

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კრებული



European
Social
Charter

Charte
sociale
européenne



სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კრებული

(ეს დოკუმენტი რეგულარულად განახლდება)

ინგლისურენოვანი გამოცემა:

*DIGEST OF THE CASE LAW OF THE EUROPEAN
COMMITTEE OF SOCIAL RIGHTS*

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია
ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ
უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ოფიციალურ
პოლიტიკად.

დოკუმენტიდან ამონარიდების
(500-მდე სიტყვა) ხელახალი გამოყენება
ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული
მიზნებით, იმ პირობით, რომ დაცული
იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ
გამოიყენება კონტექსტიდან მოწყვეტილად,
არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან
სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში
ტექსტის ბუნებასთან, ფარგლებსა ან შინაარსთან
მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის
უნდა მიეთითოს შემდეგნაირად: „© ევროპის
საბჭო, პუბლიკაციის წელი“. ყველა სხვა თხოვნა
დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ
გამოქვეყნებაზე/ თარგმნაზე უნდა წარედგინოს
ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატს
(F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).
ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან
დაკავშირებით უნდა წარედგინოს სოციალურ
უფლებათა დეპარტამენტს, DGI, ევროპის საბჭო,
F-67075 სტრასბურგი Cedex ან social.charter@coe.int

ყდა და დიზაინი: დოკუმენტების
წარმოებისა და პუბლიკაციების
დეპარტამენტი (SPDP),
ევროპის საბჭო

ფოტო: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია
რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო
განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან
გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

პუბლიკაციის თარგმანი შესრულებულია
ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და
ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება
საქართველოში“ ფარგლებში.

© ევროპის საბჭო, 2022 წლის ივნისი

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
შესავალი	7
ანგარიშგების პროცედურა	15
კოლექტიური საჩივრების პროცედურა	19
ქართვის განმარტების ძირითადი პრინციპები	39
ქართვის სხვადასხვა დებულების განმარტება	55
მუხლი 1 შრომის უფლება	55
მუხლი 2 უფლება შრომის სამართლიან პირობებზე	71
მუხლი 3 უფლება უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე	80
მუხლი 4 უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე	93
მუხლი 5 ორგანიზების უფლება	106
მუხლი 6 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება	112
მუხლი 7 ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე	124
მუხლი 8 დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება	133
მუხლი 9 პროფესიული ორიენტაციის უფლება	138
მუხლი 10 პროფესიული მომზადების უფლება	140
მუხლი 11 ჯანმრთელობის დაცვის უფლება	146
მუხლი 12 სოციალური უზრუნველყოფის უფლება	157
მუხლი 13 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება	164
მუხლი 14 სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლება	174
მუხლი 15 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება	177
მუხლი 16 ოჯახის სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება	186
მუხლი 17 ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება	196
მუხლი 18 სხვა მხარეთა ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელებაში ჩაბმის უფლება	208
მუხლი 19 მუშაკთა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე	213
მუხლი 20 დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე	225
მუხლი 21 ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება	232
მუხლი 22 სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღების უფლება	235
მუხლი 23 ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე	237
მუხლი 24 დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში	242
მუხლი 25 მუშაკთა მოთხოვნების დაცვის უფლება მათი დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში	247
მუხლი 26 სამუშაოზე ღირსების უფლება	249
მუხლი 27 ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება	253

მუხლი 28 შრომით დაწესებულებებში მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვაზე და მათთვის შეღავათების მინიჭება	256
მუხლი 29 ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება კოლექტიური გათავისუფლების პროცედურების შემთხვევებში	259
მუხლი 30 სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისაგან დაცვის უფლება	261
მუხლი 31 უფლება საცხოვრებელ ადგილზე	266
მუხლი E – დისკრიმინაციის აკრძალვა	274
მუხლი F – გადახვევა ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს	276
მუხლი G – შეზღუდვები	277
მუხლი H – ურთიერთობა ქარტიასა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა ან საერთაშორისო შეთანხმებებს შორის	279
მუხლი I – ნაკისრი ვალდებულებების შესრულება	280
დანართი: ქართლის პირადი მოქმედების სფერო	282

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განმარტავს ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვერსიის (1996 წლის 3 მაისი) თითოეულ დებულებას.

დოკუმენტი მოიცავს ქარტიის ტექსტის ძირითად განმარტებებს (თითოეული მუხლისა და თითოეული პუნქტის მიხედვით), რომლებიც ეყრდნობა მხარე სახელმწიფოებში არსებული ვითარების შემოწმებას 1968 წლიდან წარმოდგენილი ეროვნული ანგარიშების საფუძველზე, ასევე, 1998 წლიდან შეტანილ საჩივართა დამუშავებას. დოკუმენტი ასევე აღწერს ქარტიის განმარტების პრინციპებსა და კოლექტიური საჩივრების პროცედურას.

კრებული განკუთვნილია პრაქტიკოსი იურისტების, წევრ სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლების წევრების, სოციალური პარტნიორების, ასევე, სამოქალაქო და ფართო საზოგადოებისთვის. სახელმძღვანელოს მიზანია, მათ მიეცეთ ევროპის სოციალური ქარტიის უკეთ გაგნობისა და გაგების შესაძლებლობა.

კრებულის წინამდებარე ვერსია განახლდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მომზადდა ნოტინგჰემის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა სამართლის ცენტრის დახმარებით.

შესავალი

ევროპის სოციალური ქარტია არის ევროპის საბჭოს ხელშეკრულება, რომელიც მიიღეს 1961 წელს და შესწორდა 1996 წელს. იგი ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფით.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი (შემდგომში - „კომიტეტი“) აფასებს, იცავენ თუ არა ქვეყნები ქარტიით გათვალისწინებულ უფლებებს.

წინამდებარე კრებულით კომიტეტი განმარტავს ევროპის სოციალური ქარტიის 1996 წლის შესწორებული ვერსიის (შემდგომში - „ქარტია“) სხვადასხვა მუხლს.

კრებული მოამზადა კომიტეტის სამდივნომ და არ არის შესასრულებლად სავალდებულო კომიტეტისთვის.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი

1. კომიტეტის შემადგენლობა

(რიგითობის მიხედვით 2022 წლის 1 აპრილისთვის, კომიტეტის 1-ლი წესის თანახმად)

	უფლებამოსილების ვადის დასასრული
კარინ ლუკასი, თავმჯდომარის მოადგილე (ავსტრია)	31/12/2022
ილიენ შემლა, თავმჯდომარის მოადგილე (საფრანგეთი)	31/12/2024
იფა ნოლანი (ირლანდია)	31/12/2022
ჯუზეპე პალმიზანო, თავმჯდომარე (იტალია)	31/12/2022
იოჟეფ ჰაიდუ (უნგრეთი)	31/12/2018
ბარბარა კრეზალი (სლოვენია)	31/12/2022
ქრისტინა დუპატე (ლატვია)	31/12/2022
კარინ მულ ლარსენი (დანია)	31/12/2026
იუსუფ ბალჯი (თურქეთი)	31/12/2026
ტატიანა პუიუ (მოლდოვა)	31/12/2024
პოლ რიტიენსი (ბელგია)	31/12/2026
ჯორჯ ნ. თეოდოსისი (საბერძნეთი)	31/12/2026
მარიო ვინკოვიჩი (ხორვატია)	31/12/2026
მირიამ კულმანი (გერმანია)	31/12/2026
ერთი თავისუფალი ადგილი	

2. კომიტეტის ფუნქციები

კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, რამდენად შეესაბამება მხარე სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობა ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნებს. მისი წესების მე-2 მუხლის თანახმად:

- „1. კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობაზე ევროპის სოციალურ ქარტიასთან, 1988 წლის დამატებით ოქმსა და შესწორებულ სოციალურ ქარტიასთან.
2. ის ამზადებს დასკვნებს ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში და იღებს გადაწყვეტილებებს საჩივრების პროცედურის ფარგლებში.“

3. კომიტეტის წევრთა სტატუსი

კომიტეტი შედგება 15 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი წევრისგან.

მათ ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ექვსი წლის ვადით, რომლის განახლება შესაძლებელია ერთხელ. 1991 წლის შესწორებათა ოქმის („ტურინის ოქმი“) თანახმად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წევრებს ირჩევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. თუმცა, ეს ოქმის ერთადერთი დებულებაა, რომელიც პრაქტიკაში არ გამოიყენება წინასწარ, ოქმის ძალაში შესვლამდე.

კომიტეტის წესების თანახმად:

- ▶ **მე-3 წესი: კომიტეტის წევრთა მოვალეობები**
წევრებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები მათი თანამდებობისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან მიმართებით და დაიცვან კომიტეტის თათბირების საიდუმლოება.
- ▶ **მე-4 წესი: საზეიმო განცხადება**
მოვალეობების დაკისრებამდე, კომიტეტის თითოეული წევრი პირველ სხდომაზე, რომელსაც ესწრება არჩევის შემდეგ, აკეთებს შემდეგ განცხადებას:
„საზეიმოდ ვაცხადებ, რომ შევასრულებ ჩემს ფუნქციებს, როგორც ამ კომიტეტის წევრი, ჩემი თანამდებობისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან მიმართებით და დავიცავ კომიტეტის თათბირების საიდუმლოებას.“
- ▶ **მე-5 წესი: თანამდებობრივი შეუთავსებლობა**
1. დაუშვებელია, კომიტეტის წევრებმა თავიანთი უფლებამოსილების ვადაში შეასრულონ ნებისმიერი სხვა ფუნქცია, რომელიც შეუთავსებელია მათი თანამდებობისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის ან ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან.
2. თუ აღმოჩნდება, რომ კომიტეტის წევრმა იკისრა ისეთი ფუნქციების შესრულება, რომლებიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს 1-ლი პუნქტის დებულებებს, იგი ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი შედეგებიც. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის, ასევე, მე-3 წესის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, თავმჯდომარის ანგარიშის საფუძველზე, კომიტეტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შექმნილ ვითარებაზე.

4. კომიტეტის მუშაობის მეთოდები

კომიტეტი ყოველწლიურად შვიდ სესიას ატარებს ევროპის საბჭოს შენობაში, სტრასბურგში (საჭიროებისას, ონლაინ ან ჰიბრიდული ფორმატით).

კომიტეტის თითოეული წევრი მოქმედებს როგორც მომხსენებელი ქარტიის გარკვეულ დებულებებსა და საჩივრებზე, ანგარიშგების სისტემასთან მიმართებით.

ეროვნულ ანგარიშებს განიხილავს ორი ქვეკომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გარკვეული რაოდენობის დებულებებზე. ქვეკომიტეტები ამზადებენ პლენარული კომიტეტის სამუშაოს.

კოლექტიურ საჩივრებს შეისწავლის და განიხილავს კომიტეტი, პლენარულ სხდომაზე.

კომიტეტს დახმარებას უწევს სამდივნო, რომელიც დაკომპლექტებულია ევროპის საბჭოს თანამშრომლებით.

5. კომიტეტის წესები

კომიტეტის წესები არეგულირებს შიდა მუშაობას, ასევე, ქარტიის გამოყენებაზე მონიტორინგის ორი პროცედურის (საჩივრებისა და ანგარიშგების პროცედურები) ფუნქციონირებას.

ამჟამად მოქმედი წესები მიღებულია 201-ე სესიაზე, 2004 წლის 29 მარტს, და ბოლოს შესწორდა 2021 წლის 19 მაისს; იხ. <https://rm.coe.int/rules-rev-320-en/1680a2c899>.

6. კომიტეტის პრეცედენტული სამართალი

კომიტეტის „პრეცედენტული სამართალი“ დგინდება ყველა იმ წყაროში, სადაც კომიტეტი განმარტავს ქარტიის დებულებებს.

ესენია:

- ▶ გადაწყვეტილებები კოლექტიურ საჩივრებში: კერძოდ, დასაშვებობაზე, საქმის არსებით მხარეზე, საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღებასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე.
- ▶ დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობს ანგარიშგების პროცედურიდან და ქვეყნდება ყოველწლიურად, მითითების შემდეგი სისტემის მიხედვით:
 - 1961 წლის ქარტიისთვის ყოველწლიური კრებულები დანომრილია შემდეგნაირად: I, II, III, IV..., XX-1, XX-2, XX-3, XXII-2 და ა.შ.;
 - შესწორებული ქარტიისთვის კი ისინი დანომრილია შემდეგი სახით: 2002 ..., 2019, 2020, 2021 და ა.შ.
- ▶ განცხადებები განმარტების შესახებ.

ქარტიის ამა თუ იმ დებულების განმარტების დასაზუსტებლად, კომიტეტმა შესაძლოა გამოსცეს განმარტებითი განცხადებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ქვეყნდება ყოველწლიური დასკვნების ზოგად შესავალში.

7. როგორ აფასებს კომიტეტი

როდესაც კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობაზე ქარტიის მოთხოვნებთან, ის თავდაპირველად ამოწმებს, რამდენად შეესაბამება მოქმედი კანონები და რეგულაციები ქარტიით გათვალისწინებულ უფლებებს და ხომ არ უშლის ისინი ხელს ამ უფლებათა განხორციელებას.

თუ პირველი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, კომიტეტი ამოწმებს კანონმდებლობის სათანადო განხორციელებას პრაქტიკაში.

სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა „არ შეესაბამება“ ქარტიის მოთხოვნებს, თუ მოქმედი კანონმდებლობა შეუთავსებელია ქარტიის მოთხოვნებთან, ანდა თავსებადი კანონმდებლობა არასწორად/არასრულად ხორციელდება.

8. კომიტეტის წევრთა განცალკევებული მოსაზრებები

კომიტეტი დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრით. უმეტეს შემთხვევაში, კენჭისყრა ერთსულოვანია. თუმცა, ზოგჯერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. კომიტეტის წესები ნებისმიერ წევრს აძლევს საშუალებას, გამოთქვას განცალკევებული მოსაზრება, რომელიც შეიძლება იყოს განსხვავებული ან თანმხვედრი, და რომელიც ქვეყნდება დასკვნისა თუ გადაწყვეტილების გასაჯაროებისას.

9. კომიტეტის დასკვნებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

კომიტეტის დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს აქვეყნებს ევროპის საბჭო. ეს დოკუმენტები

ხელმისაწვდომია HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში, რომელიც განთავსებულია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე www.coe.int/socialcharter.

10. მითითებები კომიტეტის დასკვნებსა და გადაწყვეტილებებზე

დასკვნები ციტირებულია შემდეგი ფორმით:

- ▶ მითითებულია დასკვნები, სახელმწიფო, მუხლი და პუნქტი.

(მაგ: დასკვნები 2003, საფრანგეთი, 6§2 მუხლი).

გადაწყვეტილებები ციტირებულია შემდეგი ფორმით:

- ▶ მომჩივანი ორგანიზაციის დასახელება v. მოპასუხე სახელმწიფოს დასახელება, საჩივრის ნომერი/რეგისტრაციის წელი, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე [თარიღი]/ გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე [თარიღი], §.

(მაგ: European Roma Rights Centre (ERRC) v. France, საჩივარი N 52/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 19 ოქტომბერი, §82).

ქართლით გარანტირებული უფლებები

ქართლით გარანტირებული უფლებები ვრცელდება ყველა ფიზიკურ პირზე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით მოწყვლად პირებსა და ჯგუფებზე.

საცხოვრებელი

- ▶ სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო სტანდარტის (უსაფრთხო, ჯანსაღ და ადეკვატური ზომის) საცხოვრებელს;
- ▶ სამართლებრივი და პროცედურული გარანტიები გამოსახლების შემთხვევაში;
- ▶ პოლიტიკა და მოქმედება, რომლებიც მიმართულია უსახლკარობის პრევენციაზე;
- ▶ გადაუდებელ შემთხვევებში, ყველა უსახლკარო პირის უზრუნველყოფა ადეკვატური დროებითი საცხოვრებლით;
- ▶ ხელმისაწვდომი საცხოვრებლის უზრუნველყოფა ადეკვატური ხარისხისა და რაოდენობის სოციალური საცხოვრისებით ან სხვა საშუალებებით.

ჯანმრთელობა

- ▶ ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა;
- ▶ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობა ჯანმრთელობის საკითხებზე განათლებისა და სკრინინგის მეშვეობით;
- ▶ დაავადებებისა და უბედური შემთხვევების პრევენცია;
- ▶ ადეკვატური და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფა და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა მასზე;
- ▶ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა ყველასთვის, ვისაც ის სჭირდება, ქვეყანაში არალეგალურად მყოფ პირთა ჩათვლით;
- ▶ დედობის დაცვა, დედათა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, ქალთა სამუშაო პირობების რეგულირება დედობასთან მიმართებით, დეკრეტული შვებულება;
- ▶ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო.

განათლება

- ▶ უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება ყველა ბავშვისთვის;
- ▶ უფასო და ეფექტიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურება;
- ▶ პროფესიული მომზადება (მათ შორის, უწყვეტი სწავლება), სტაჟირება და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურ უნარებზე დაყრდნობით;

- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობა ძირითად განათლებასა და მომზადებაზე, ასევე რეაბილიტაციაზე;
- ▶ ენობრივი განათლება მიგრანტებისთვის.

დასაქმება

- ▶ დასაქმების ხელმისაწვდომობა:
 - სრული დასაქმების პოლიტიკა და მოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმების თანაბარ და ეფექტიან ხელმისაწვდომობას;
 - უფასო დასაქმების მომსახურება სამუშაოს მაძიებელთათვის და ხანგრძლივად უმუშევარ პირთა სამუშაო ბაზარზე დაბრუნების ღონისძიებები;
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობა რეაბილიტაციასა და დასაქმებაზე;
 - სხვა მხარე სახელმწიფოებში მუშაკთა შემოსავლიან საქმიანობაში ჩაბმის დაბრკოლებათა აღმოფხვრა.
- ▶ ქალისა და კაცის თანაბარი შესაძლებლობები და თანასწორი მოპყრობა.
- ▶ ექსპლუატაციის აკრძალვა:
 - იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა, პატიმართა შრომისა და საშინაო შრომის რეგულირება;
 - 15 წლამდე ასაკის ბავშვთა დასაქმების აკრძალვა.
- ▶ კოლექტიური შრომითი ურთიერთობები:
 - პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების დაფუძნებისა ან მათში გაწევრიანების თავისუფლება, პროფესიული კავშირების დამოუკიდებელი საქმიანობა და გარანტიები, დასაქმებულთა წარმომადგენლების დაცვა;
 - ერთობლივი კონსულტაციები, კოლექტიური მოლაპარაკებები, შრომითი დავების გადაწყვეტა და კოლექტიური მოქმედება;
 - დასაქმებულთა ინფორმირება, კონსულტირება და ჩართულობა სამუშაო გარემოსა და პირობების განსაზღვრა-გაუმჯობესებაში.
- ▶ მუშაკთა/დასაქმებულთა დაცვა:
 - ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა სამუშაო ადგილზე, სამართლიანი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა და შრომის ღირსეული ანაზღაურება;
 - მუშაკთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა; ასევე, დაცვა ყოველგვარი შევიწროებისგან;
 - განსაკუთრებული დაცვა ახალგაზრდა (15-დან 18 წლამდე ასაკის პირები) მუშაკების, დასაქმებული ქალების (დედობასთან მიმართებით) და ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებისთვის.
- ▶ გარანტიები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში.

სოციალური დაცვა

- ▶ დაცვა სიდარბისა და სოციალური გარიყულობისგან;
- ▶ ადეკვატური სოციალური უზრუნველყოფა, მათ შორის, იმ პირთა თანასწორი მოპყრობა, რომლებიც მხარე სახელმწიფოებს შორის გადაადგილდებიან;
- ▶ ადეკვატური სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევა ყველასათვის, ვისაც ეს სჭირდება;
- ▶ საჭიროების პრევენცია, აღმოფხვრა ან შემსუბუქება;
- ▶ ადეკვატური ხარისხის ეფექტიანი სოციალური მომსახურება, მათ შორის, კონსულტაციის

გაწევა, რჩევების მიცემა, სახლის საქმეში დახმარება, რეზიდენტული ზრუნვა და ა.შ.;

- ▶ ოჯახების სასარგებლო ღონისძიებათა გატარება (მაგ: ოჯახური კონსულტაცია, მედიაციის მომსახურება, ოჯახში ძალადობისგან დაცვა, საოჯახო დახმარება), მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა, მშობლის უფლებათა დაცვა, ბავშვთა მოვლის დაწესებულებებისა და მომსახურების უზრუნველყოფა;
- ▶ არასრულწლოვანთა დაცვა ფიზიკური და მორალური საფრთხეებისგან, როგორცაა სექსუალური ექსპლუატაცია, ტრეფიკინგი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენება, სასტიკი მოპყრობა და შეურაცხყოფა, მათ შორის, ფიზიკური დასჯა.

ინტეგრაცია და მონაწილეობა

- ▶ ადეკვატური რესურსებისა და მომსახურების საშუალებით, შესაძლებლობის მიცემა ხანდაზმულთათვის, რომ იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები, ასევე, აირჩიონ თავიანთი ცხოვრების სტილი საცხოვრებლისა და ჯანდაცვის უზრუნველყოფით; დაწესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა, ასევე, მათი დაცვა შეურაცხყოფისგან და ჩართვა საცხოვრებელ პირობებზე გადაწყვეტილებათა მიღებაში;
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შემდეგი საშუალებების უზრუნველყოფით: დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტიები; პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია უშუალოდ დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებით; ტექნიკური და ფინანსური დახმარება დამოუკიდებლობის გასაზრდელად; ინკლუზიური ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება კომუნიკაციას, მობილობასა და ტრანსპორტს, საცხოვრებელს, კულტურასა და დასვენებას;
- ▶ შრომით მიგრანტთა გადაადგილებასთან დაკავშირებული გარანტიები; ოჯახის გაერთიანება შრომითი მიგრანტებისთვის; დეპორტაციისგან დამცავი ზომები;
- ▶ შრომით მიგრანტთა თანასწორი მოპყრობა შრომის ანაზღაურებასა და დასაქმების სხვა პირობებთან მიმართებით; პროფესიული კავშირების წევრობა; სარგებლობა კოლექტიურ მოლაპარაკებათა უპირატესობებით, როგორც საცხოვრებლის, ისე გადასახადების, შენატანებისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ქართვით გათვალისწინებული უფლებები გარანტირებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, კანონიერად მცხოვრები ან/და მომუშავე უცხოელებისთვის, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა: რასა, კანის ფერი, სქესი, ასაკი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური კუთვნილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, დაბადების ან სხვა სტატუსი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობა (მუხლი E).

ქართის ხელმოწერა და რატიფიცირება

წევრი სახელმწიფოები		ხელმოწერა	რატიფიცირება	კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება	
ალბანეთი		21/09/1998	14/11/2002		
ანდორა		04/11/2000	12/11/2004		
სომხეთი		18/10/2001	21/01/2004		
ავსტრია		07/05/1999	20/05/2011		
აზერბაიჯანი		18/10/2001	02/09/2004		
ბელგია		03/05/1996	02/03/2004	23/06/2003	
ბოსნია და ჰერცეგოვინა		11/05/2004	07/10/2008		
ბულგარეთი		21/09/1998	07/06/2000	07/06/2000	
ხორვატია		06/11/2009	26/02/2003	26/02/2003	
კვიპროსი		03/05/1996	27/09/2000	06/08/1996	
ჩეხეთის რესპუბლიკა		04/11/2000	03/11/1999	04/04/2012	
დანია	*	03/05/1996	03/03/1965		
ესტონეთი		04/05/1998	11/09/2000		
ფინეთი		03/05/1996	21/06/2002	17/07/1998	X
საფრანგეთი		03/05/1996	07/05/1999	07/05/1999	
საქართველო		30/06/2000	22/08/2005		
გერმანია	*	29/06/2007	29/03/2021		
საბერძნეთი		03/05/1996	18/03/2016	18/06/1998	
უნგრეთი		07/10/2004	20/04/2009		
ისლანდია		04/11/1998	15/01/1976		
ირლანდია		04/11/2000	04/11/2000	04/11/2000	
იტალია		03/05/1996	05/07/1999	03/11/1997	
ლატვია		29/05/2007	26/03/2013		
ლიხტენშტაინი		09/10/1991			
ლიეტუვა		08/09/1997	29/06/2001		
ლუქსემბურგი	*	11/02/1998	10/10/1991		
მალტა		27/07/2005	27/07/2005		
მოლდოვას რესპუბლიკა		03/11/1998	08/11/2001		
მონაკო		05/10/2004			
მონტენეგრო		22/03/2005	03/03/2010		
ნიდერლანდები		23/01/2004	03/05/2006	03/05/2006	
ნორვეგია		07/05/2001	07/05/2001	20/03/1997	
ჩრდილოეთ მაკედონია		27/05/2009	06/01/2012		
პოლონეთი		25/10/2005	25/06/1997		
პორტუგალია		03/05/1996	30/05/2002	20/03/1998	
რუმინეთი		14/05/1997	07/05/1999		
სან მარინო		18/10/2001			
სერბეთი		22/03/2005	14/09/2009		
სლოვაკეთის რესპუბლიკა		18/11/1999	23/04/2009		
სლოვენია		11/10/1997	07/05/1999	07/05/1999	
ესპანეთი		23/10/2000	17/05/2021	17/05/2021	
შვედეთი		03/05/1996	29/05/1998	29/05/1998	
შვეიცარია		06/05/1976			
თურქეთი		06/10/2004	27/06/2007		
უკრაინა		07/05/1999	21/12/2006		
გაერთიანებული სამეფო	*	07/11/1997	11/07/1962		
სახელმწიფოთა რაოდენობა	46	2 + 44 = 46	7 + 35 = 42	16	

პირობითი აღნიშვნების განმარტება:

მუქი შრიფტით აღნიშნულია 1961 წლის ქარტიის ხელმოწერის ან რატიფიცირების თარიღები; სხვა თარიღები გვიჩვენებს 1996 წლის შესწორებული ქარტიის ხელმოწერის ან რატიფიცირების დროს.

* სახელმწიფოები, რომელთა მხრიდან რატიფიცირება აუცილებელია ტურინის ოქმის (1991) ძალაში შესვლისთვის. პრაქტიკაში მინისტრთა კომიტეტის მიერ 1991 წლის 11 დეკემბერს მიღებული [გადაწყვეტილების](#) შესაბამისად, ეს ოქმი უკვე გამოიყენება.

X სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების უფლება მის წინააღმდეგ კოლექტიური საჩივრების შეტანაზე.

ცხრილი რეგულარულად განახლდება ქარტიის ვებგვერდზე: www.coe.int/socialcharter

არჩევითი (*à la carte*) მიღება

A მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, აირჩიონ დებულებები, რომელთა მიღებასაც აპირებენ ქარტიის რატიფიცირებისას. A მუხლში ვკითხულობთ:

„ქვემოთ მოცემული B მუხლის დებულებების თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია იღებს:

- ▶ განიხილოს ამ ქარტიის I ნაწილი როგორც დეკლარირება მიზნებისა, რომელთა მიღწევასაც ის ეცდება ყველა სათანადო საშუალებებით, ისე, როგორც ეს მოცემულია აღნიშნული ნაწილის შესავალ პუნქტში;
- ▶ მისთვის შესასრულებლად სავალდებულო იყოს ამ ქარტიის II ნაწილის არანაკლებ ექვსი მუხლი, შემდეგი ცხრა მუხლიდან: 1-ლი, მე-5, მე-6, მე-7, მე-12, მე-13, მე-16, მე-19 და მე-20;
- ▶ მისთვის შესასრულებლად სავალდებულო იყოს ქარტიის II ნაწილის დამატებითი მუხლები ან დანომრილი პუნქტები, რომლებიც მას შეუძლია აირჩიოს, იმ პირობით, რომ მისთვის შესასრულებლად სავალდებულო მუხლებისა და დანომრილი პუნქტების საერთო რაოდენობა არ იყოს თექვსმეტ მუხლზე ან სამოცდასამ დანომრილ პუნქტზე ნაკლები.“

მხარე სახელმწიფოთა მიერ მიღებული დებულებების ცხრილი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.coe.int/socialcharter.

მიღებულ და მიუღებელ დებულებებს შორის ურთიერთკავშირზე კომიტეტმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

„9. ქარტია ჩაფიქრებული იყო, როგორც ერთი მთლიანი ინსტრუმენტი, და მისი ყველა დებულება ავსებს და ნაწილობრივ ემთხვევა კიდევ ერთმანეთს. შეუძლებელია თითოეული მუხლისა თუ პუნქტის მატერიალური მოქმედების სფეროს ცალსახად გამოყოფა ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარე სახელმწიფოებს არ დაეკისროთ იმ დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელთა მიღებასაც არ აპირებენ და, ამავდროულად, მათ მიერ მიღებულ დებულებათა ძირითადი არსი არ შევიწროვდეს იმის გამო, რომ შეიძლება გულისხმობდეს მიუღებელი დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს“ (Mental Disability Advocacy Centre (MDAC) v. Bulgaria, საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 26 ივნისი, §9).

ნაწილი I:

ანგარიშების პროცედურა

ანგარიშების კომიტეტის მიერ 2006 წელს მიღებული გადაწყვეტილების¹ შემდეგ, ქარტიის დებულებები დაიყო 4 თემატურ ჯგუფად. მხარე სახელმწიფოები ყოველწლიურად წარადგენენ ანგარიშს ამ 4 ჯგუფიდან ერთ-ერთთან დაკავშირებულ დებულებებზე. შესაბამისად, ქარტიის თითოეულ მიღებულ დებულებაზე ანგარიში წარედგინება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. დებულებათა 4 ჯგუფი განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ▶ **ჯგუფი 1:** დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები (მუხლები: 1, 9, 10, 15, 18, 20, 24 და 25);
- ▶ **ჯგუფი 2:** ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა (მუხლები: 3, 11, 12, 13, 14, 23 და 30);
- ▶ **ჯგუფი 3:** შრომითი უფლებები (მუხლები: 2, 4, 5, 6, 21, 22, 26, 28 და 29);
- ▶ **ჯგუფი 4:** ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები (მუხლები: 7, 8, 16, 17, 19, 27 და 31).

ანგარიშების ფორმის² მიხედვით, თითოეულ მიღებულ დებულებასთან მიმართებით მხარე სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ: შესაბამისი ინფორმაცია ასეთ დებულებათა გამოსაყენებლად გატარებულ ღონისძიებებზე, მათ შორის, სამართლებრივ ჩარჩოსა (კანონები, რეგულაციები, კოლექტიური ხელშეკრულებები, შესაბამისი ეროვნული პრეცედენტული სამართალი, და ა.შ.) და მის განსახორციელებლად მიღებულ ზომებზე (ადმინისტრაციული ან/და დაფინანსებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, დაფინანსება, პროგრამები, სამოქმედო გეგმები და ა.შ.); ასევე, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები ან სხვა ინფორმაცია, რომელიც იძლევა საშუალებას, შეფასდეს ამ სამართლებრივი ჩარჩოს პრაქტიკაში გამოყენება.

2019 წლიდან კომიტეტი მიზნობრივი კითხვებით მიმართავს მხარე სახელმწიფოებს ჩვეულებრივი წლიური ანგარიშების მოთხოვნისას, რათა მონიტორინგი კონცენტრირდეს კრიტიკულ/აქტუალურ საკითხებზე და მხარე სახელმწიფოებს დაეხმაროს ასეთი ანგარიშების შედგენაში.

2014 წლის აპრილში მინისტრთა კომიტეტმა ახალი ცვლილებები მიიღო ქარტიით გათვალისწინებულ ანგარიშების პროცედურაში.³ ცვლილებების მთავარი მიზანი იყო პროცედურის გამარტივება იმ მხარე სახელმწიფოებისთვის, რომელთაც მიღებული აქვთ კოლექტიური საჩივრების პროცედურაც. შესწორებების მიხედვით, კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიმდებმა მხარე სახელმწიფოებმა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ ე.წ. „გამარტივებული ანგარიში“ კომიტეტის მხოლოდ და მხოლოდ იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე, რომლებიც შეეხება კოლექტიურ საჩივრებს.

წლიდან წლამდე სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის სამუშაო დატვირთვაში გადაჭარბებული ცვლილებების ასარიდებლად, მხარე სახელმწიფოები, რომელთაც მიღებული აქვთ საჩივრების პროცედურა, დაიყვნენ ორ ჯგუფად. ჯგუფებში გადანაწილდნენ იმ საჩივართა რაოდენობის მიხედვით, რომლებიც 2014 წლიდან არის რეგისტრირებული მათ წინააღმდეგ (უდიდესიდან უმცირესამდე):

- ▶ **ჯგუფი A:** ბელგია, ბულგარეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია და პორტუგალია.
- ▶ **ჯგუფი B:** ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდები, ნორვეგია, სლოვენია, ესპანეთი და შვედეთი.

¹ [2006 გადაწყვეტილება \(coe.int\)](#)

² [ანგარიშების ფორმა \(coe.int\)](#)

³ [2014 გადაწყვეტილება \(coe.int\)](#)

გამარტივებული ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალურ მითითებებს, თუ რა შემდგომი ზომები მიიღო სახელმწიფომ კოლექტიურ საჩივრებზე კომიტეტის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ (საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი ადმინისტრაციული ან/და დაფინანსებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, ცვლილებები პრაქტიკაში და ა.შ.).

ვინაიდან მხარე სახელმწიფოები, რომელთაც აიღეს საჩივრების პროცედურის დაცვის ვალდებულება, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარადგინენ გამარტივებულ ანგარიშს, ხოლო დანარჩენ წლებში ამზადებენ ჩვეულებრივ ანგარიშებს დებულებათა თემატური ჯგუფების მიხედვით, ფაქტობრივად, ისინი თითოეულ მიღებულ დებულებაზე ანგარიშგებას ახორციელებენ ყოველ რვა წელიწადში ერთხელ (და არა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, როგორც ამას აკეთებენ მხარე სახელმწიფოები, რომელთაც არ აუღიათ ამ პროცედურის დაცვის ვალდებულება). იმისათვის, რომ ასეთმა მხარე სახელმწიფოებმა ოთხივე თემატურ ჯგუფზე შეძლონ ანგარიშგება რვაწლიან პერიოდში, ზოგჯერ მათ უწევთ გამარტივებული ანგარიშების წარდგენა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში (ანგარიშების კალენდარი იხილეთ ქვემოთ).

მინისტრთა კომიტეტის 2006-2014 წლების გადაწყვეტილებათა თანახმად, ამჟამად მხარე სახელმწიფოებს ანგარიშების წარდგენა მოეთხოვებათ შემდეგი კალენდრის საფუძველზე:

საანგარიშო პერიოდი	თემატური ჯგუფი/ მუხლები	ანგარიშების წარდგენის საბოლოო ვადა	ჩვეულებრივი ანგარიში	გამარტივებული ანგარიში	დასკვნების/ კვლევის შედეგების მიღება
01/01/2015-31/12/2018	ჯგუფი 1 დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები	31/12/2019	ყველა სახელმწიფო, A ჯგუფის გარდა	A ჯგუფის სახელმწიფოები	2021 წლის იანვარი
01/01/2016-31/12/2019	ჯგუფი 2 ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა	31/12/2020	ყველა სახელმწიფო, A ჯგუფის გარდა	A ჯგუფის სახელმწიფოები	2022 წლის იანვარი
01/01/2017-31/12/2020	ჯგუფი 3 შრომითი უფლებები	31/12/2021	ყველა სახელმწიფო, B ჯგუფის გარდა	B ჯგუფის სახელმწიფოები	2023 წლის იანვარი
01/01/2018-31/12/2021	ჯგუფი 4: ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები	31/12/2022	ყველა სახელმწიფო, A ჯგუფის გარდა	A ჯგუფის სახელმწიფოები	2024 წლის იანვარი
01/01/2019-31/12/2022	ჯგუფი 1 დასაქმება, მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები	31/12/2023	ყველა სახელმწიფო, B ჯგუფის გარდა	B ჯგუფის სახელმწიფოები	2025 წლის იანვარი
01/01/2020-31/12/2023	ჯგუფი 2 ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა	31/12/2024	ყველა სახელმწიფო, B ჯგუფის გარდა	B ჯგუფის სახელმწიფოები	2026 წლის იანვარი
01/01/2021-31/12/2024	ჯგუფი 3: შრომითი უფლებები	31/12/2025	ყველა სახელმწიფო, A ჯგუფის გარდა	A ჯგუფის სახელმწიფოები	2027 წლის იანვარი

საანგარიშო პერიოდი	თემატური ჯგუფი/ მუხლები	ანგარიშების წარდგენის საბოლოო ვადა	ჩვეულებრივი ანგარიში	გამარტივებული ანგარიში	დასკვნების/ კვლევის შედეგების მიღება
01/01/2022-31/12/2025	ჯგუფი 4: ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები	31/12/2026	ყველა სახელმწიფო, B ჯგუფის გარდა	B ჯგუფის სახელმწიფოები	2028 წლის იანვარი
და ა.შ.					

ანგარიშების ვალდებულების შესრულება მხარე სახელმწიფოთა მიერ

ანგარიშში შესატანი ინფორმაციის ბუნებასა და მოცულობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართალი, რომელიც აისახა კომიტეტის წინა დასკვნებსა და გადაწყვეტილებებში. მათ შეუძლიათ, მიუთითონ პრეცედენტული სამართლის სხვადასხვა პუბლიკაციაზე, სამდივნოს პასუხისმგებლობით გამოქვეყნებული კრებულის ჩათვლით. კომიტეტი დამატებით დასძენს, რომ თითოეული ანგარიში უნდა შეიცავდეს პასუხებს კომიტეტის დასკვნებში წამოჭრილ ნებისმიერ კითხვაზე, ზოგადი იქნება (შეეხება ყველა მხარე სახელმწიფოს და მოცემულია „ზოგად შესავალში“), თუ კონკრეტული (მოცემულია დასკვნებში თითოეული დებულებისთვის, თითოეულ სახელმწიფოსთან მიმართებით). რაც შეეხება სტატისტიკურ ინფორმაციას, მიიჩნევა, რომ თუ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, მთავრობას შეუძლია, მონაცემები ან შეფასებითი მაჩვენებლები წარმოადგინოს საგანგებო კვლევებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით, ან უტყუარი მონაცემები გამოიყენოს სხვა წყაროებიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2019 წლიდან კომიტეტი მიზნობრივი კითხვებით მიმართავს მხარე სახელმწიფოებს. ამ სისტემის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან, ინფორმაცია წარმოადგინონ მხოლოდ კონკრეტული კითხვების საპასუხოდ. დამატებით, მათ უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია შესაბამისობასთან დაკავშირებულ წინა დასკვნებზე, წინა გადავადებებზე, და მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებამდე გამოტანილ წინა დასკვნებზე შესაბამისობის შესახებ.

ანგარიშების ამჟამად მოქმედი სისტემა ოთხწლიან პერიოდს ითვალისწინებს ქარტიის ნებისმიერ მიღებულ დებულებაზე ანგარიშებს შორის და მაქსიმალურად ცდილობს, აიცილოს დასკვნების გადავადება. ამიტომ, კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ვიდრე გამოსცემს შეუსაბამობაზე დასკვნას იმ საფუძვლით, რომ მხარე სახელმწიფოს არ დაუდგენია თავისი ვითარების შესაბამისობა ქარტიის მოთხოვნებთან, ზოგადად, მხოლოდ ერთხელ გადაავადებს დასკვნას ინფორმაციის არარსებობის გამო. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული ნაწილით გათვალისწინებული დასკვნების გადავადების შემთხვევაში, მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა შეიტანონ მომდევნო ანგარიშში შესაბამისი დებულების შესახებ (ე.ი. ოთხ წელიწადში). სხვაგვარად, მიიღება დასკვნა შეუსაბამობაზე.

დასკვნებისა და შედეგების გამოქვეყნება და შემდგომი მონიტორინგი

კომიტეტის დასკვნები ქვეყნდება ყოველწლიურად და ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე. www.coe.int/socialcharter.

თუ კომიტეტი დასკვნის, რომ მხარე სახელმწიფოში არსებული ვითარება არ აკმაყოფილებს ქარტიის მოთხოვნებს, ამ სახელმწიფომ ქარტიას უნდა შეუსაბამოს არსებული ვითარება. თუ მხარე არავითარ ზომებს არ მიიღებს საამისოდ, მინისტრთა კომიტეტმა შესაძლოა რეკომენდაცია გასცეს მისთვის და სთხოვოს მდგომარეობის შეცვლა კანონმდებლობის ან/ და პრაქტიკის კუთხით. მინისტრთა კომიტეტის სამუშაოს ამზადებს სამთავრობო კომიტეტი, რომელიც შედგება ქარტიის მხარე სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენლებისგან. მათ ეხმარებიან დამკვირვებლები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და პროფესიულ კავშირებს (ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია (ETUC), ევროპის მრეწველთა კონფედერაცია (Business Europe) და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE)).

ნაწილი II:

კოლექტიური საჩივრების პროცედურა

კოლექტიური საჩივრების პროცედურა შეიქმნა ევროპის სოციალური ქარტიის 1995 წლის დამატებითი ოქმით, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას და კომიტეტის რეგლამენტს. პროცედურა დამატებით დაზუსტდა კომიტეტის შემდგომი გადაწყვეტილებებით, რომლებიც შეეხება შეტანილი საჩივრების დასაშვებობასა და არსებით მხარეს.

2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, 1995 წლის დამატებითი ოქმი რატიფიცირებული აქვს თექვსმეტ მხარე სახელმწიფოს (საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ბულგარეთი, ირლანდია, ფინეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, ხორვატია, ნორვეგია, სლოვენია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა და ესპანეთი).⁴

გადაწყვეტილებათა სახეები

კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში კომიტეტი იღებს ექვსი სახის გადაწყვეტილებას: საჩივრის დასაშვებობაზე, დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, საჩივრის დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, საქმის არსებით მხარეზე, საჩივრის დასაშვებობასა და არსებით მხარეზე, საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღებაზე.

ტიპური სცენარი გულისხმობს ორი ცალკე გადაწყვეტილების მიღებას - (1) საჩივრის დასაშვებობასა და (2) საქმის არსებით მხარეზე, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში მიიღება ერთი გადაწყვეტილებაც - საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ.⁵ ზოგჯერ კომიტეტი იძლევა დაუყოვნებელი ზომების მიღების უფლებას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების⁶ ან, ამავდროულად, დასაშვებობაზე გადაწყვეტილების სახით.

დასაშვებობა

1. საჩივრის ფორმა

1995 წლის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით: (i) საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით, (ii) ის უნდა ეხებოდეს შესაბამისი მხარე სახელმწიფოს მიერ მიღებულ ქარტიის დებულებას და (iii) მიუთითებდეს, თუ რა მხრივ არ უზრუნველყოფს მხარე ამ დებულების დამაკმაყოფილებელ გამოყენებას.⁷

წერილობითი ფორმით შეტანა

1995 წლის დამატებითი ოქმის მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი საჩივარი იგზავნება გენერალური მდივნის სახელზე, რომელმაც უნდა დაადასტუროს საჩივრის მიღება, მის შესახებ აცნობოს შესაბამის მხარე სახელმწიფოს და დაუყოვნებლივ გადასცეს

⁴ იხ. ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილი – ETS – N 158

⁵ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Belgium](#), საჩივარი N 109/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 10 ოქტომბერი

⁶ იხ. მაგ: [Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Belgium](#), საჩივარი N 98/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 2 დეკემბერი; იხ. ასევე [Conference of European Churches \(CEC\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 25 ოქტომბერი

⁷ ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158, მე-4 მუხლი, იხ. ასევე [University Women of Europe v Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2017 წლის 4 ივლისი, §56-9, და [Confédération française démocratique du travail \(CFDT\) v. France](#), საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §18

დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტს.⁸ კოლექტიური საჩივარი შესაძლოა წარედგინოს აღმასრულებელი მდივნის სახელზეც, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელით.⁹

ხელმოწერები

საჩივარს ხელს აწერს პირი, რომელსაც აქვს მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული კავშირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ეს კრიტერიუმი თავდაპირველად დადგენილი იყო სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მე-20 წესით, თუმცა ამჟამად გადატანილია 23-ე წესში.¹⁰

მომჩივანმა ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ ხელმომწერს აქვს საჩივრის წარდგენის სათანადო უფლებამოსილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი ჩაითვლება დაუშვებლად.¹¹

საჩივარს შეიძლება ხელი მოაწეროს მომჩივანი ორგანიზაციის თავმჯდომარემ ან დირექტორმა, იმ პირობით, თუ აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, ორგანიზაციის წესდების თანახმად.¹² იგივე ვრცელდება, როცა წესდება ხელმომწერს ანიჭებს *locus standi* უფლებას, ე.ი. უფლებას, დაიცვას ორგანიზაციის ინტერესები ან განახორციელოს ყველა ქმედება, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის კანონიერი მიზნების მისაღწევად.¹³ ხელმომწერი შესაძლოა იყოს თავმჯდომარის მოადგილეც, თუ ამას ითვალისწინებს წესდება, ან ის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილია ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად.¹⁴

თუ ხელმომწერს წესდება მუდმივად არ ანიჭებს შესაბამის უფლებამოსილებას, მასზე შეიძლება გაიცეს მინდობილობა ან მანდატი ასოციაციისა თუ პროფესიული კავშირის მმართველი ორგანოს მხრიდან.¹⁵

დელეგირება შესაძლებელია თანმიმდევრულად, თუ ყველა ეტაპზე სრულდება აუცილებელი პირობები.¹⁶

თუ ხელმომწერი დატოვებს მომჩივან ორგანიზაციას პროცედურის მიმდინარეობის პერიოდში, წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს მის უფლებამონაცვლეს.¹⁷

თუ საჩივარი წარმოდგენილია რამდენიმე ორგანიზაციის სახელით, ხელმომწერი ოფიციალურად უნდა იყოს აღჭურვილი უფლებამოსილებით თითოეული ორგანიზაციის მხრიდან.¹⁸

⁸ [ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მე-5 მუხლი

⁹ [სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წესები](#), 23-ე წესი; იხ. ასევე [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Greece](#), საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 9 დეკემბერი, §5

¹⁰ [წესები, ციტირებული ზემოთ, 23-ე წესი](#)

¹¹ [Frente Comum de Sindicatos da Administração Pública v. Portugal](#), საჩივარი N 36/2006, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2006 წლის 5 დეკემბერი, §4

¹² [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §5

¹³ [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Greece](#), საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 9 დეკემბერი, §5

¹⁴ [Syndicat national des professions du tourisme v. France](#), საჩივარი N 6/1999, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 10 თებერვალი, §§9 და 10; იხ. ასევე [Syndicat occitan de l'éducation v. France](#), საჩივარი N 23/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 13 თებერვალი, §8

¹⁵ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §7; იხ. ასევე [Centrale générale des services publics v. Belgium](#), საჩივარი N 25/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 6 სექტემბერი, §§2 და 8

¹⁶ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §§4 და 5

¹⁷ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Croatia](#), საჩივარი N 52/2008, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2009 წლის 30 მარტი, §14

¹⁸ [Syndicat SUD Travail Affaires Sociales v. France](#), საჩივარი N 24/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §§3 და 7; იხ. ასევე [Transgender Europe and ILGA-Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2015 წლის 9 სექტემბერი, §8

არ არსებობს განსაკუთრებული ფორმალური პირობები ხელმოწერისთვის: ის უნდა გაკეთდეს ერთ-ერთ დოკუმენტზე: თვითონ საჩივარზე, თანმხლებ წერილზე, ან შემდგომ გაგზავნილ დოკუმენტზე.¹⁹

შესაბამისი სახელმწიფოს მიერ მიღებულ ქარტიის დებულებასთან დაკავშირებით

საჩივარში უნდა მიეთითოს დებულებები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაირღვა (საჭიროების შემთხვევაში, ქარტიის E მუხლის ჩათვლით). ქარტიის G მუხლის დარღვევა ვერ ივარაუდება, რადგან ამ დებულებით დადგენილი პირობებით ნებადართულია ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვა და ეს ვერ მიგვიყვანს დარღვევამდე, როგორც ასეთი.²⁰ თუმცა ამ დებულების გამოყენება შესაძლებელია მითითების სახით, ქარტიის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ დებულებათა განმარტებისათვის.²¹ ეს წესები ვრცელდება ქარტიის F მუხლზეც, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.²²

ქარტიის არჩევითი (*à la carte*) მიღების შედეგები

საჩივარი უნდა უკავშირდებოდეს შესაბამისი სახელმწიფოს მიერ მიღებულ ქარტიის დებულებას.²³ თუმცა, „ქარტია ჩაფიქრებული იყო როგორც ერთი მთლიანი ინსტრუმენტი და მისი ყველა დებულება ავსებს და ნაწილობრივ ემთხვევა კიდევ ერთმანეთს.²⁴ შეუძლებელია თითოეული მუხლისა თუ პუნქტის მატერიალური მოქმედების სფეროს ცალსახად გამოყოფა ერთმანეთისგან.²⁵ აქედან გამომდინარე, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარე სახელმწიფოებს არ დაეკისროთ იმ დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელთა მიღებასაც არ აპირებენ და, ამავდროულად, მათ მიერ მიღებულ დებულებათა ძირითადი არსი არ შევიწროვდეს იმის გამო, რომ შეიძლება გულისხმობდეს მიუღებელი დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს“.²⁶

Ratione temporis იურისდიქცია

საერთაშორისო ხელშეკრულებათა უკუქცევითი ძალის არქონის პრინციპის თანახმად, რაც კოდიფიცირებულია ვენის 1969 წლის კონვენციაში საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ (მუხლი 28), საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება იწყება იმ დღიდან, როდესაც კონკრეტულ ქვეყანაში შედის ძალაში, და არა ხელმოწერის თარიღიდან.²⁷ თუმცა არსებობს გამონაკლისი ამ წესიდან: კერძოდ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მომხდარი მოვლენა გრძელდება მისი ძალაში შესვლის შემდეგაც, ეს

¹⁹ [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Greece](#), საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 9 დეკემბერი, §5

²⁰ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §31; იხ. ასევე [Equal Rights Trust \(ERT\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2016 წლის 5 ივლისი, §11; იხ. ასევე [Federation of employed pensioners of Greece \(IKA-ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2012 წლის 23 მაისი, §5-7

²¹ [Federation of employed pensioners of Greece \(IKA-ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §48; იხ. ასევე [Equal Rights Trust \(ERT\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2016 წლის 5 ივლისი, §11

²² [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2015 წლის 19 მაისი, §10

²³ [European Federation of Employees in Public Services \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 3/1999, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 1999 წლის 13 ოქტომბერი

²⁴ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 26 ივნისი, §8-10

²⁵ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 26 ივნისი, §8-10

²⁶ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 26 ივნისი, §8-10; იხ. ასევე [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. the Czech Republic](#), საჩივარი N 104/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2014 წლის 30 ივნისი, §10

²⁷ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §15

პოტენციურად განგრძობადი დარღვევაა.²⁸

2. სათანადო მომჩივანი ორგანიზაციები

1995 წლის დამატებითი ოქმის 15a მუხლის მიხედვით, საჩივრების წარდგენა ქარტიის სავარაუდოდ არადაამაკმაყოფილებელ გამოყენებაზე შეუძლიათ:

ა. დამსაქმებლებისა და პროფესიული კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მითითებულია 1961 წლის ქარტიის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც ვკითხულობთ:

„ქვეკომიტეტი (ე.ი. სამთავრობო კომიტეტი) შედგება თითოეული მხარე სახელმწიფოს ერთი წარმომადგენლისგან. ქვეკომიტეტში მოწვეული უნდა იყოს არაუმეტეს ორი დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია და ორი საერთაშორისო პროფესიული კავშირის ორგანიზაცია, რომლებიც შეუძლია განსაზღვროს დამკვირვებლებად ქვეკომიტეტის სხდომებზე, საკონსულტაციო უფლებამოსილებით. გარდა ამისა, ქვეკომიტეტს შეუძლია, კონსულტაციისთვის მიმართოს ევროპის საბჭოსთან კონსულტაციის სტატუსის მქონე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების არაუმეტეს ორ წარმომადგენელს, კერძოდ, იმ საკითხებზე, რომლებშიც ეს ორგანიზაციები განსაკუთრებით კომპეტენტურები არიან (როგორცაა ოჯახის სოციალური კეთილდღეობა და ეკონომიკური და სოციალური დაცვა).“

პრაქტიკაში, სამთავრობო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოწვეულია სამი ორგანიზაცია:

- ▶ ორი დამსაქმებელთა ორგანიზაცია: დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE) და ევროპის მრეწველთა კონფედერაცია (Business Europe); და
- ▶ ერთი დასაქმებულთა ორგანიზაცია: ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია (ETUC).

შესაბამისად, ამ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, საჩივრები შეიტანონ ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც მიღებული აქვს კოლექტიური საჩივრების პროცედურა.

დამატებითი ოქმის 15b მუხლის მიხედვით, საჩივრების წარდგენა ქარტიის სავარაუდოდ არადაამაკმაყოფილებელ გამოყენებაზე შეუძლიათ:

ბ. სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ ევროპის საბჭოსთან კონსულტაციის სტატუსს და შედიან სამთავრობო კომიტეტის მიერ ამ მიზნით შედგენილ სიაში.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ევროპის საბჭოს მონაწილის სტატუსი²⁹, შედიან ქარტიის სამთავრობო კომიტეტის მიერ შედგენილ შესაბამის სიაში, რომელიც განახლდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.³⁰

ფაქტი, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას (i) ეხმარება ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაცია, (ii) ის არის ასეთი ორგანიზაციის მომხსენებელი, ან (iii) მას შეაქვს საჩივარი, რომელიც ძირითადად შედგენილია ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, არ არის დაუშვებლობის საფუძველი.³¹

²⁸ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §15; იხ. ასევე [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. Slovenia](#), საჩივარი N 53/2008, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 2 დეკემბერი, §8, და [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Croatia](#), საჩივარი N 52/2008, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2009 წლის 30 მარტი, §18

²⁹ მანამდე გამოიყენებოდა ტერმინი „კონსულტაცია“

³⁰ იხ. იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სია, რომლებსაც აქვთ კოლექტიური საჩივრების შეტანის უფლება: <https://rm.coe.int/gc-2020-1-rev2-bil-list-ingos-01-10-2020/1680a01607>

³¹ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Greece](#), საჩივარი N 49/2008, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 23 სექტემბერი, §52 და 8; იხ. ასევე [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Sweden](#), საჩივარი N 99/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 10 სექტემბერი, და [Defence for Children International v. The Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 23 სექტემბერი, §56-11

1995 წლის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, 15b მუხლში მითითებულ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს საჩივრების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებშიც აქვთ განსაკუთრებული კომპეტენცია.³²

კომიტეტი ასეთ კომპეტენციას აფასებს შემდეგი საკითხების შესწავლით:

- ▶ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წესდება;³³ ან/და
- ▶ დანიშნულება და მიზნები;³⁴
- ▶ მისი საქმიანობა, რომელიც ასახავს მომჩივნის განსაკუთრებით ხანგრძლივ ჩართულობასა და ინტერესს საჩივრით გათვალისწინებულ სფეროთა მიმართ³⁵, ან ზოგად კომპეტენციას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში³⁶ და ძალიან ფართო მანდატს;³⁷
- ▶ მისი აღიარებული კომპეტენცია სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, ევროპის საბჭოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციის ფარგლებში;³⁸
- ▶ იმ ეროვნული ორგანიზაციის კომპეტენციის სფერო მოპასუხე სახელმწიფოში, რომელიც აფილირებულია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან, არარელევანტურია ამ მიზნისთვის;³⁹
- ▶ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ აჩვენებს მოპასუხე სახელმწიფოში საქმიანობას, ეს ხელს არ შეუშლის საჩივრის შეტანაში მაშინ, როდესაც საქმიანობს ევროპულ დონეზე;⁴⁰
- ▶ არ არის აუცილებელი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ თავისი კომპეტენცია აჩვენოს თვითონ საჩივარში, ამის გაკეთება შეუძლია შემდგომ დოკუმენტშიც, რომელსაც წარადგენს საქმისწარმოების ფარგლებში.⁴¹

1995 წლის დამატებითი ოქმის 15c მუხლის მიხედვით, საჩივრების წარდგენა ქარტიის სავარაუდოდ არადამაკმაყოფილებელ გამოყენებაზე შეუძლიათ:

გ. დამსაქმებლებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლობით ეროვნულ ორგანიზაციებს იმ მხარე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, რომლის წინააღმდეგაც შეიტანეს საჩივარი.

³² ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158, მუხლი 3

³³ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 1 აპრილი, §5; იხ. ასევე [European Council of Police Trade Unions v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2001 წლის 17 ოქტომბერი, §5; იხ. ასევე [International Association Autism-Europe \(IAAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2002 წლის 12 დეკემბერი, §7

³⁴ [Quaker Council for European Affairs \(QCEA\) v. Greece](#), საჩივარი N 8/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 28 ივნისი, §8; იხ. ასევე [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. France](#), საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 16 მაისი, §5; იხ. ასევე [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Greece](#), საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 9 დეკემბერი, §6

³⁵ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 16 ივნისი, §5; იხ. ასევე [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §§3, 7 და 12

³⁶ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 26 ივნისი, §6

³⁷ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 42/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 16 ოქტომბერი, §§7-9

³⁸ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Sweden](#), საჩივარი N 99/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2010 წლის 10 სექტემბერი, §8

³⁹ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §14

⁴⁰ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §11

⁴¹ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §13

ა) პროფესიული კავშირის ცნება

კომიტეტი განიხილავს, არის თუ არა მომჩივანი ორგანიზაცია ეროვნული პროფესიული კავშირი ან დამსაქმებელთა ორგანიზაცია ოქმის 15c მუხლის თანახმად, და თუ ასეა, არის თუ არა ის წარმომადგენელი საჩივრის მიზნებისთვის.⁴²

იმისთვის, რომ მომჩივანი ორგანიზაცია პროფესიულ კავშირად განიხილებოდეს კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის, ის უნდა ახორციელებდეს პროფესიული კავშირის პრეროგატივად ან საქმიანობად მიჩნეულ ფუნქციებს, როგორცაა: მონაწილეობა კოლექტიურ მოლაპარაკებებში, გაფიცვის მოწყობა, დამსაქმებელთა წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყება, ან/და საკუთარი წევრების სახელით ზომების მიღება მათი სამუშაო პირობების მხარდასაჭერად ან გასაუმჯობესებლად. ამ კუთხით, ორგანიზაციის დასახელება ან ფორმა გადამწყვეტი არ არის.⁴³ მხოლოდ ფაქტი, რომ პროფესიულმა კავშირმა საჩივარი შეიტანა კომიტეტში, არ შეიძლება განიხილებოდეს პროფესიული კავშირის საქმიანობის მტკიცებულებად.⁴⁴

ფაქტი რომ, მაგალითად, ადვოკატთა ასოციაციამ დაიწყო გარკვეული მოქმედება თავისი წევრების ინტერესთა დასაცავად, არ კმარა დასკვნისათვის, რომ ის პროფესიული კავშირია ზოგადად ქარტიის მნიშვნელობით, უფრო კონკრეტულად კი - 1995 წლის დამატებითი ოქმის მიხედვით.⁴⁵

ბ) პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლობითობა

ეროვნული პროფესიული კავშირების წარმომადგენლობითობა კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის ავტონომიური ცნებაა და აუცილებელი არ არის, იყოს წარმომადგენლობითობის ეროვნული ცნების იდენტური.⁴⁶ სხვა სიტყვებით, პროფესიული კავშირი, რომელიც არ მიიჩნევა წარმომადგენლად ეროვნულ დონეზე, შეიძლება წარმომადგენლად ჩაითვალოს კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის.⁴⁷ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად ერთი საწარმოს დონეზე წარმომადგენლობა არ უზრუნველყოფს წარმომადგენლობას კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის.⁴⁸

კომიტეტი წარმომადგენლობითობას განსაკუთრებულად ამოწმებს საჩივრით გათვალისწინებულ სფეროსთან, პროფესიული კავშირის მიზანსა და მის საქმიანობასთან მიმართებით.⁴⁹ ის ასევე მიიჩნევს, რომ წარმომადგენლობისათვის, პროფესიული კავშირი

⁴² [Associazione Nazionale Giudici di Pace v. Italy](#), საჩივარი N 102/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2014 წლის 2 დეკემბერი, §5-10; იხ. ასევე [Bedriftsforbundet v. Norway](#), საჩივარი N 103/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2014 წლის 14 მაისი, §7-17

⁴³ [Associazione sindacale « La Voce dei Giusti » v. Italy](#) საჩივარი N 105/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2015 წლის 17 მარტი, §8-11; იხ. ასევე [Movimento per la Libertà' della psicanalisi-Associazione Culturale Italiana v. Italy](#), საჩივარი N 122/2016, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2017 წლის 24 მარტი, §8-12

⁴⁴ [Greek Bar Associations v. Greece](#), საჩივარი N 196/2020, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2021 წლის 23 მარტი, §16-20; იხ. ასევე [Associazione Medici Liberi v. Italy](#), საჩივარი N 177/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §11

⁴⁵ [Greek Bar Associations v. Greece](#), საჩივარი N 196/2020, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2021 წლის 23 მარტი, §21

⁴⁶ [Syndicat national des professions du tourisme v. France](#), საჩივარი N 6/1999, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 10 თებერვალი, §6 და 7; იხ. ასევე [Syndicat occitan de l'éducation v. France](#), საჩივარი N 23/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 13 თებერვალი, §3 და 4

⁴⁷ [Bedriftsforbundet v. Norway](#), საჩივარი N 103/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2014 წლის 14 მაისი, §13; იხ. ასევე [Associazione Professionale e Sindacale \(ANIEF\) v Italy](#), საჩივარი N 146/2017, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §6

⁴⁸ [CGT YTO France v. France](#), საჩივარი N 174/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2020 წლის 28 იანვარი, §17; იხ. ასევე [CGT YTO France v. France](#), საჩივარი N 183/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2020 წლის 13 მაისი, §8

⁴⁹ [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 166/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2019 წლის 18 მარტი, §7, რომელშიც ციტირებულია [Syndicat de Défense des Fonctionnaires v. France](#), საჩივარი N 73/2011, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2011 წლის 7 დეკემბერი, §6

უნდა იყოს ნამდვილი, აქტიური და დამოუკიდებელი.⁵⁰

კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის პროფესიული კავშირის წარმომადგენლობითობის შესაფასებლად, კომიტეტი იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ▶ საქმის მასალების საერთო შეფასება;⁵¹
- ▶ წარმომადგენს თუ არა პროფესიული კავშირი შესაბამის დარგში მოღვაწე პროფესიონალთა დიდ უმრავლესობას;⁵²
- ▶ არის თუ არა პროფესიული კავშირი წარმომადგენელი ეროვნულ დონეზე და, აქედან გამომდინარე, რამდენად შეუძლია მოლაპარაკებათა წარმოება კოლექტიურ ხელშეკრულებებზე;⁵³
- ▶ წევრთა რაოდენობა, რომლებსაც წარმომადგენს პროფესიული კავშირი და მისი როლი კოლექტიურ მოლაპარაკებებში;⁵⁴
- ▶ საქმიანობს თუ არა პროფესიული კავშირი იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც დააფუძნეს, კონკრეტულ დარგში დასაქმებულთა (რომელთა საკმარის რაოდენობასაც წარმომადგენს) მატერიალური თუ არამატერიალური ინტერესების დასაცავად, დასაქმების ორგანიზებთან მიმართებით დამოუკიდებლობის პირობებში.⁵⁵

თუმცა, კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ წარმომადგენლობითობის კრიტერიუმთა გამოყენებით, ავტომატურად არ უნდა გამოირიცხოს მცირე ან ახლახან დაარსებული პროფესიული კავშირები, უფრო დიდი ზომის და დიდი ხნის წინ დაარსებული პროფესიული კავშირების სასარგებლოდ.⁵⁶

ეს კრიტერიუმები გათვალისწინებულია დამსაქმებელთა ორგანიზაციების შემთხვევაშიც.⁵⁷

პროფესიული კავშირი, რომლის საქმიანობაც შემოიფარგლება მხოლოდ ერთი საწარმოთი, თუმცა აფილირებულია უფრო მაღალი დონის პროფესიულ კავშირთან, როგორც წესი, არ ჩაითვლება წარმომადგენლად 1995 წლის დამატებითი ოქმის 15c მუხლის მნიშვნელობით.⁵⁸

ინფორმაციის ნაკლებობამ პროფესიული კავშირის წევრთა კონკრეტულ რაოდენობაზე, ასევე, კოლექტიურ მოლაპარაკებათა წარმოებაზე ასეთი წევრების სახელით, კომიტეტი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ვერ შეაფასებდა, იყო თუ არა ეს ორგანიზაცია წარმომადგენლობითი (აქედან გამომდინარე, საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად).⁵⁹

⁵⁰ [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 166/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2019 წლის 18 მარტი, §7

⁵¹ [Confédération Française de l'Encadrement \(CFE-CGC\) v. France](#), საჩივარი N 9/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 7 ნოემბერი, §7; [Associazione Nazionale Giudici di Pace v. Italy](#), საჩივარი N 102/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2014 წლის 2 დეკემბერი, §12

⁵² [Tehy ry and STTK ry v. Finland](#), საჩივარი N 10/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2001 წლის 12 თებერვალი, §6

⁵³ [Confédération Française de l'Encadrement \(CFE-CGC\) v. France](#), საჩივარი N 9/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 7 ნოემბერი, §7; იხ. ასევე [Tehy ry and STTK ry v. Finland](#), საჩივარი N 10/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2001 წლის 12 თებერვალი, §6

⁵⁴ [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 166/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2019 წლის 18 მარტი, §8

⁵⁵ [Associazione Professionale e Sindacale \(ANIEF\) v. Italy](#), საჩივარი N 159/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2018 წლის 3 ივლისი, §6, რომელშიც ციტირებულია [Syndicat occitan de l'Education v. France](#), საჩივარი N 23/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 13 თებერვალი, §5

⁵⁶ [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 166/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2019 წლის 18 მარტი, §8, რომელშიც ციტირებულია [Fellesforbundet for Sjøfolk \(FFFS\) v. Norway](#), საჩივარი N 74/2011, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2012 წლის 23 მაისი, §§20-21

⁵⁷ [Confederation of Swedish Enterprise v. Sweden](#), საჩივარი N 12/2002, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2002 წლის 19 ივნისი, §5

⁵⁸ [CGT YTO France v. France](#), საჩივარი N 174/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2020 წლის 28 იანვარი, §16

⁵⁹ [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 166/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2019 წლის 18 მარტი, §§10-13; იხ. ასევე [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 194/2020, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2020 წლის 11 დეკემბერი, §§10-12; იხ. ასევე [Sindacato Autonomo Europeo Scuola ed Ecologia \(SAESE\) v. Italy](#), საჩივარი N 194/2020, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2020 წლის 11 დეკემბერი, §10

პროფესიულ კავშირს, რომელიც წარმომადგენლად ითვლება კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის, საჩივრის შეტანა შეუძლია ისეთ პროფესიულ კატეგორიებთან მიმართებითაც, რომლებშიც არ წარმოადგენს დასაქმებულებს ეროვნულ დონეზე.⁶⁰

დ. წარმომადგენლობითი ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები

1995 წლის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, ნებისმიერ მხარე სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს მის იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი სხვა წარმომადგენლობითი ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის (რომელსაც აქვს განსაკუთრებული კომპეტენცია ქართული რეგულირებულ საკითხებში) უფლებას, შეიტანოს საჩივრები მის წინააღმდეგ.⁶¹ ასეთი განცხადებები შეიძლება გაკეთდეს გარკვეული ვადით⁶² და უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც მათ ასლებს გადაუგზავნის მხარე სახელმწიფოებს და გამოაქვეყნებს.⁶³ ამ დროისთვის ასეთი განცხადება გაკეთებული აქვს მხოლოდ ფინეთს.⁶⁴

„წარმომადგენლობითობის“ ცნება ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის იგივეა (შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით), რაც ეროვნული პროფესიული კავშირებისთვის.⁶⁵ კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზნებისთვის პროფესიული კავშირებისა და გაერთიანებების წარმომადგენლობითობა ავტონომიური ცნებაა, რომელსაც აქვს ეროვნული წარმომადგენლობითობის ცნებისგან განსხვავებული მოქმედების სფერო.⁶⁶ აქედან გამომდინარე, კომიტეტი თანდათანობით ადგენს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლებიც საშუალებას მისცემს, განსაზღვროს ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლობითობა, *inter alia* მათი სოციალური მიზნების, ასევე, საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით.⁶⁷ თუმცა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობითობის ცნება განსხვავდება პროფესიული კავშირების წარმომადგენლობითობის ცნებისგან იმ გაგებით, რომ რაოდენობრივი კრიტერიუმები, როგორცაა წევრობა, მოწყობა და ფინანსური შესაძლებლობები, აუცილებლად არ განსაზღვრავს ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობითობას კოლექტიური საჩივრების პროცედურის კონტექსტში.⁶⁸

1995 წლის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, მე-2 მუხლში მითითებულ ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს საჩივრების შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებშიც აქვთ განსაკუთრებული კომპეტენცია.⁶⁹

⁶⁰ [Syndicat SUD Travail Affaires Sociales v. France](#), საჩივარი N 24/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §510 და 11

⁶¹ [ევროპის სოციალური ქართის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 2§1

⁶² [ევროპის სოციალური ქართის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 2§2

⁶³ [ევროპის სოციალური ქართის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 2§3

⁶⁴ [ATTACry, Globaali sosiaalityö ry and Maan ystävät ry v. Finland](#), საჩივარი N 163/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2019 წლის 22 იანვარი, §8

⁶⁵ [The Central Association of Carers in Finland v. Finland](#), საჩივარი N 70/2011, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2011 წლის 7 დეკემბერი, §6

⁶⁶ [The Central Association of Carers in Finland v. Finland](#), საჩივარი N 70/2011, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2011 წლის 7 დეკემბერი, §6

⁶⁷ [The Central Association of Carers in Finland v. Finland](#), საჩივარი N 70/2011, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2011 წლის 7 დეკემბერი, §6; იხ. ასევე [Finnish Society of Social Rights v Finland](#), საჩივარი N 107/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2016 წლის 6 სექტემბერი, §§28-30

⁶⁸ [ATTAC RY, GLOBAALI SOSIAALITYÖ RY AND MAAN YSTÄVÄT RY V. FINLAND](#), საჩივარი N 163/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2019 წლის 22 იანვარი, §10

⁶⁹ [ევროპის სოციალური ქართის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 3

კომიტეტი ასეთ კომპეტენციას აფასებს შემდეგი საკითხების შემოწმებით:

- ▶ არასამთავრობო ორგანიზაციის წესდება;⁷⁰ ან/და
- ▶ დანიშნულება ან მიზნები;⁷¹
- ▶ მისი საქმიანობა, რომელიც ასახავს მომჩივნის განსაკუთრებით ხანგრძლივ ჩართულობასა და ინტერესს საჩივრით გათვალისწინებულ სფეროთა მიმართ⁷², ან ზოგად კომპეტენციას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში⁷³ და ძალიან ფართო მანდატს;⁷⁴
- ▶ არ არის აუცილებელი, არასამთავრობო ორგანიზაციამ თავისი კომპეტენცია აჩვენოს თვითონ საჩივარში, ამის გაკეთება შეუძლია შემდგომ დოკუმენტშიც, რომელსაც წარადგენს კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში.⁷⁵

3. პროცესი

26-ე წესის თანახმად, საჩივრები რეგისტრირდება სამდივნოში, მიღების რიგითობის მიხედვით.⁷⁶ კომიტეტი მათ განიხილავს განხილვისთვის მზაობის თანმიმდევრობით.⁷⁷

1995 წლის დამატებითი ოქმის მე-6 მუხლის თანახმად, კომიტეტმა შეიძლება სთხოვოს შესაბამის მხარე სახელმწიფოსა და ორგანიზაციას, რომელმაც შეიტანა საჩივარი, რომ წერილობითი ფორმით წარმოადგინოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჩივრის დასაშვებობაზე, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში.⁷⁸

საჩივარი შეიძლება დასაშვები იყოს გარკვეულ გამოყენებულ დებულებებთან მიმართებით, თუმცა არასაკმარისად დასაბუთებულად ჩაითვალოს სხვა დებულებებთან მიმართებით. ასეთ შემთხვევაში საჩივარი დასაშვებია მხოლოდ პირველ ნაწილში, ხოლო დარჩენილ ნაწილში დაუშვებელია.⁷⁹

კომიტეტის გადაწყვეტილება დასაშვებობაზე საჩივრის მხარეებისთვის შესასრულებლად სავალდებულოა ქარტიის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებსაც ეხება საჩივარი.⁸⁰ თუმცა, ხელშეკრულების ძირითად დებულებებთან სრული შესაბამისობისათვის, კომიტეტმა შეიძლება დაიტოვოს უფლება, რომ ქარტიის სხვა დებულებებზე დაყრდნობით განიხილოს

⁷⁰ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 1 აპრილი, §5; იხ. ასევე [European Council of Police Trade Unions v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2001 წლის 17 ოქტომბერი, §5; იხ. ასევე [International Association Autism-Europe \(IAAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2002 წლის 12 დეკემბერი, §7

⁷¹ [Quaker Council for European Affairs \(QCEA\) v. Greece](#), საჩივარი N 8/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 28 ივნისი, §8, იხ. ასევე [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. France](#), საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 16 მაისი, §5, იხ. ასევე [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Greece](#), საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 9 დეკემბერი, §6

⁷² [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2003 წლის 16 ივნისი, §5; იხ. ასევე [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §§ 3, 7 და 12

⁷³ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 26 ივნისი, §6

⁷⁴ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 42/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 16 ოქტომბერი, §§ 7-9

⁷⁵ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §13

⁷⁶ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 26

⁷⁷ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 26

⁷⁸ [ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 6

⁷⁹ [Confédération Générale du Travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2009 წლის 30 მარტი, §§4 და 8

⁸⁰ [Confédération française démocratique du travail \(CFDT\) v. France](#), საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §18

საჩივარი, რომელიც მანამდე დაუშვებლად ცნო გარკვეული მუხლების თანახმად.⁸¹ ასეთ შემთხვევაში, კომიტეტი მოპასუხე მთავრობას სთხოვს თავისი მოსაზრებების წარდგენას აღნიშნულ დებულებასთან (დებულებებთან) დაკავშირებით.⁸²

4. სხვა ძირითადი ინფორმაცია დასაშვებობაზე

დაცვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვა

კოლექტიური საჩივრების პროცედურა არ მოითხოვს დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებათა ამოწურვას, მაშინაც კი, როდესაც ასეთი საშუალებები არსებობს.⁸³

ქმედების გამეორება

საჩივარი შეიძლება დასაშვებად ცნონ მაშინაც, თუ მსგავსი საქმე მანამდე წარდგენილი იყო სხვა სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანოში, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტებში.⁸⁴

ფაქტი, რომ ქარტიის ესა თუ ის დებულება უკვე იყო წინა საჩივრის საგანი, თავისთავად არ იწვევს სხვა საჩივრის დაუშვებლობას ამავე დებულების შესახებ.⁸⁵

კავშირი ანგარიშგების პროცედურასთან

res judicata და *non bis in idem* სამართლებრივი პრინციპები არ ვრცელდება ურთიერთმიმართებაზე კოლექტიური საჩივრების პროცედურასა და ანგარიშების განხილვის პროცედურას შორის. ფაქტი, რომ კომიტეტმა უკვე განიხილა მოცემული გარემოება ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში, ან რომ მას მოიწვევენ ხელახლა განსახილველად მომდევნო ზედამხედველობის ციკლების დროს, ვერ გამოიწვევს კოლექტიური საჩივრის დაუშვებლობას იმავე დებულებასა და იმავე მხარე სახელმწიფოსთან მიმართებით.⁸⁶

საჩივრის განხილვისას ახალ ელემენტთა წარმოდგენის შედეგად, კომიტეტმა შესაძლოა ახლებურად შეაფასოს წინა საჩივრების ფარგლებში უკვე განხილული გარემოება და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს უკვე მიღებული დასკვნებისგან.⁸⁷

მტკიცება, რომ საჩივარში არ არის ნახსენები ახალი ფაქტი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, არაარსებითია მისი დასაშვებობისთვის, თუ საჩივარი შეიცავს მტკიცებებს სამართლის გარკვეულ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც ფაქტობრივად აგრძელებენ ზემოქმედებას საჩივრის წარდგენის მომენტში.⁸⁸

⁸¹ [Confédération française démocratique du travail \(CFDT\) v. France](#), საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §19

⁸² [Confédération française démocratique du travail \(CFDT\) v. France](#), საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §19

⁸³ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §§ 11 და 12; იხ. ასევე [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §10

⁸⁴ [Conference of European Churches \(CEC\) v. The Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 1 ივლისი, §13

⁸⁵ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Greece](#), საჩივარი N 49/2008, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 23 სექტემბერი, §7

⁸⁶ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 1999 წლის 10 მარტი, §§ 10-13; იხ. ასევე [Association for the Protection of All Children \(APPROACH\) Ltd v. France](#), საჩივარი N 92/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §10, და [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. the Czech Republic](#), საჩივარი N 104/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2014 წლის 30 ივნისი, §9

⁸⁷ [The European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 68/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §30

⁸⁸ [Association for the Protection of All Children \(APPROACH\) Ltd v. France](#), საჩივარი N 92/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §11

საჩივრის კოლექტიურობა

კოლექტიური საჩივრების სისტემა ხელს არ უშლის მომჩივნებს, რომ სადავო საკითხები წარმოაჩინონ ცალკეული საქმეების საშუალებით.⁸⁹

საჩივრის სავარაუდო ამკარა დაუსაბუთებლობა

საჩივრის სავარაუდო ამკარა დაუსაბუთებლობა ეხება საჩივრის არსებით მხარეს და არ განიხილება დასაშვებობის ეტაპზე.⁹⁰

ანალოგიურად, არსის სავარაუდო არარსებობა საჩივარში მისი არსებითი მხარის განხილვის საგანია და არა დასაშვებობის.⁹¹

მტკიცება, რომ საჩივარში გამოყენებული და ციტირებულია მოძველებული წყაროები, საჩივრის არსებითი მხარის განხილვის საგანია.⁹²

იგივე ვრცელდება მტკიცებებზე, რომ საჩივარი სცილდება ქარტიის დებულების მოქმედების სფეროს;⁹³ რომ პირები, რომელთა წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი, არ შედიან ქარტიის პირადი მოქმედების სფეროში მისი დანართის თანახმად;⁹⁴ ან რომ საჩივარი შეცდომით ეყრდნობოდა ქარტიის კონკრეტულ დებულებას, სხვა დებულების ნაცვლად.⁹⁵

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა განმარტება საჩივრის არსებითი მხარის განხილვისას და მას ადგილი არ აქვს დასაშვებობის ეტაპზე.⁹⁶

რაც შეეხება სადავო კანონმდებლობის განუწყვეტელ გადახედვას, საჩივრის არსებითი მხარის განხილვისას კომიტეტი შეისწავლის საკითხს, აკმაყოფილებს თუ არა ეროვნული კანონმდებლობა ქარტიის მოთხოვნებს საჩივრის საგანთან მიმართებით.⁹⁷ ამ პროცესში კომიტეტი ითვალისწინებს ნებისმიერ შესაბამის კანონმდებლობას, რომელიც ძალაში შევიდა კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებისას.⁹⁸

მტკიცება, რომ საჩივარი მიმართულია კონსტიტუციურ ან საკანონმდებლო პროცესზე გავლენის მოსახდენად, არ მოქმედებს საჩივრის დასაშვებობაზე.⁹⁹

⁸⁹ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 42/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2007 წლის 16 ოქტომბერი, §5 11

⁹⁰ [European Federation of Employees in Public Services \(EUROFEDOP\) v. Italy](#), საჩივარი N 4/1999, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 10 თებერვალი, §12

⁹¹ [University Women of Europe v Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2017 წლის 4 ივლისი, §56-9

⁹² [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §15

⁹³ [Quaker Council for European Affairs \(QCEA\) v. Greece](#), საჩივარი N 8/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 28 ივნისი, §10; იხ. ასევე [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §58 და 9, და [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Sweden](#), საჩივარი N 99/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 10 სექტემბერი, §52 და 10

⁹⁴ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2004 წლის 6 დეკემბერი, §52 და 7; იხ. ასევე [CONFERENCE OF EUROPEAN CHURCHES \(CEC\) V. THE NETHERLANDS](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 1 ივლისი, §510 და 12

⁹⁵ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §15

⁹⁶ [European Council of Police Trade Unions v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2001 წლის 17 ოქტომბერი, §53 და 7

⁹⁷ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. Greece](#), საჩივარი N 7/2000, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2000 წლის 28 ივნისი, §9; იხ. ასევე [Association for the Protection of All Children \(APPROACH\) Ltd v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §11

⁹⁸ [Association for the Protection of All Children \(APPROACH\) Ltd v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §11

⁹⁹ [European Council of Police Trade Unions v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2001 წლის 17 ოქტომბერი, §53 და 8

საჩივრის დასაშვებობაზე ასევე არ მოქმედებს მტკიცება, რომ მისი რეგისტრაციის შემდეგ ვითარება შეიცვალა, რადგან ეს საჩივრის არსებითი მხარის განხილვის საკითხია.¹⁰⁰

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

სახელმწიფო პასუხისმგებელია ქარტიით დადგენილი უფლებების აღსრულებაზე თავისი იურისდიქციის ფარგლებში.¹⁰¹ კომიტეტი უფლებამოსილია, განიხილოს მომჩივნის ბრალდებები დარღვევებზე ისეთ შემთხვევებში, სადაც სახელმწიფო არ მოქმედებდა როგორც ოპერატორი, მან უბრალოდ წერტილი ვერ დაუსვა სავარაუდო დარღვევებს მარეგულირებლის კომპეტენციის ფარგლებში.¹⁰² მთავრობის პასუხისმგებლობის ფარგლები მისი, როგორც ოპერატორისა თუ მარეგულირებლის კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროებისას განიხილება საჩივრის არსებით მხარეზე საქმისწარმოებისას.¹⁰³

დაუყოვნებელი ზომები

კომიტეტის 36§1 წესის თანახმად, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, რომელიმე მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, კომიტეტს შეუძლია, მხარეებს მიუთითოს ნებისმიერ დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევს სერიოზული გამოუსწორებელი ზიანის ასაცილებლად და ქარტიით აღიარებულ უფლებათა ეფექტიანად დასაცავად.

კომიტეტმა ხაზი გაუსვა დაუყოვნებელი ზომების განსაკუთრებულობას.¹⁰⁴ ამგვარი ზომების მოთხოვნა უნდა აღგენდეს ისეთ რეალურ მდგომარეობას, სადაც პირები, რომელთაც ეხებათ საჩივარი, არიან სხეულის სერიოზული გამოუსწორებელი დაზიანების რისკქვეშ.¹⁰⁵ დაუყოვნებელი ზომების მიღების განკარგულება შეიძლება გაიცეს ევროპის სოციალური ქარტიით აღიარებულ უფლებათა ეფექტიანად დასაცავად (წესი 36§1), რამდენადაც ქარტიის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტის მიზანი და დანიშნულებაა უფლებათა არა მხოლოდ თეორიული, არამედ რეალური დაცვა.¹⁰⁶

კომიტეტის 36§2 წესის თანახმად, თუ მომჩივანი ორგანიზაცია მოითხოვს დაუყოვნებელი ზომების მიღებას, მან უნდა მიუთითოს მოთხოვნის მიზეზები, სავარაუდო შედეგები მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, და ზომები, რომლებსაც ითხოვს.¹⁰⁷ მოთხოვნის ასლი დაუყოვნებელივ გადაეგზავნება შესაბამის სახელმწიფოს.¹⁰⁸ თავმჯდომარე შესაბამისი სახელმწიფოსთვის ადგენს თარიღს დაუყოვნებელი ზომების მიღებაზე მოთხოვნის

¹⁰⁰ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2008 წლის 1 აპრილი, §7

¹⁰¹ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §14

¹⁰² [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §14

¹⁰³ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §14

¹⁰⁴ [European Roma Rights Centre v. Belgium](#), საჩივარი N 185/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2020 წლის 14 მაისი, §12

¹⁰⁵ [European Roma Rights Centre v. Belgium](#), საჩივარი N 185/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2020 წლის 14 მაისი, §13, რომელშიც ციტირებულია [Conference of European Churches \(CEC\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 25 ოქტომბერი, §2; და [Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Belgium](#), საჩივარი N 98/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §2

¹⁰⁶ [Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Ireland](#), საჩივარი N 93/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 2 დეკემბერი; [Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Belgium](#), საჩივარი N 98/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 2 დეკემბერი; და [Unione Italiana del Lavoro U.I.L. Scuola – Sicilia v. Italy](#), საჩივარი N 113/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებელივ მისაღებ ზომებზე, 2015 წლის 9 სექტემბერი

¹⁰⁷ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 36§2

¹⁰⁸ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 36§2

წარსადგენად.¹⁰⁹

კომიტეტის 36§3 წესის თანახმად, კომიტეტის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე უნდა დაერთოს შესაბამისი მიზეზები; მას ხელი უნდა მოაწერონ კომიტეტის თავმჯდომარემ, მომხსენებელმა და აღმასრულებელმა მდივანმა (ან მათმა მოადგილეებმა).¹¹⁰ აღნიშნულის შესახებ ეცნობებათ მხარეებს. კომიტეტმა შესაძლოა მხარეებს სთხოვოს ინფორმაციის წარდგენა ნებისმიერ საკითხზე, რომელიც უკავშირდება დაუყოვნებელი ზომების განხორციელებას.¹¹¹

კომიტეტმა ბევრი მოთხოვნა მიიღო დაუყოვნებელი ზომების მიღებაზე მხარე სახელმწიფოებთან მიმართებით და ზოგიერთის საფუძველზე მოითხოვა კიდევ ასეთი ზომების მიღება.¹¹² ერთ შემთხვევაში, კომიტეტმა საკუთარი ინიციატივით მოსთხოვა მხარე სახელმწიფოს დაუყოვნებელი ზომების მიღება.¹¹³

საქმის არსებითი მხარე

წინამდებარე ნაწილი ეხება მხოლოდ იმ პროცედურულ ასპექტებს, რომლებიც უკავშირდება საჩივრების პროცედურის არსებითი მხარის განხილვის ეტაპს. რაც შეეხება პროცედურის არსებით ასპექტებს, ანუ საჩივრების განხილვისას ქარტიის დებულებათა განმარტებას კომიტეტის მიერ, მითითება კეთდება კრებულის IV ნაწილზე.

ა. საქმის არსებითი მხარის განხილვის პროცედურა

წერილობითი პროცედურა

კომიტეტის 31§1 წესის თანახმად, მას შემდეგ, რაც საჩივარს დასაშვებად ცნობენ, უმეტეს შემთხვევაში კომიტეტი მოპასუხე მხარე სახელმწიფოს სთხოვს, რომ წერილობითი ფორმით და მის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებული წარდგინებები.¹¹⁴

გარკვეულ გარემოებებში, 29§2 და 29§3 წესების თანახმად, თუ კომიტეტის თავმჯდომარე მიზანშეწონილად მიიჩნევს საჩივრის გონივრულ ვადაში დამუშავებისთვის, შესაძლოა მოპასუხე სახელმწიფოს სთხოვოს, რომ საჩივრის დასაშვებობაზე მოსაზრებათა თანადროულად, წერილობითი ფორმით წარადგინოს საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებული წარდგინებებიც, იმ ვარაუდით, რომ საჩივარი დასაშვებად იქნება ცნობილი.¹¹⁵ ორგანიზაციას, რომელმაც შეიტანა საჩივარი, თავმჯდომარემ შესაძლოა სთხოვოს, რომ იმავე პირობებით უპასუხოს მოპასუხე სახელმწიფოს მოსაზრებებს.¹¹⁶

კომიტეტის 31§2 წესის თანახმად, ამის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე საჩივრის წარმდგენ ორგანიზაციას სთხოვს, რომ იმავე პირობებით წარმოადგინოს თავისი პასუხი ამ წარდგინებებზე.¹¹⁷

¹⁰⁹ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 36§2

¹¹⁰ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 36§3

¹¹¹ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 36§3

¹¹² იხ. მაგ: [Conference of European Churches \(CEC\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 25 ოქტომბერი; [Association for the Protection of all Children \(AP-PROACH\) Ltd v. Belgium](#), საჩივარი N 98/2013, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2013 წლის 2 დეკემბერი; [Unione Italiana del Lavoro U.I.L. Scuola – Sicilia v. Italy](#), საჩივარი N 113/2014, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2015 წლის 9 სექტემბერი

¹¹³ [Amnesty International v. Italy](#), საჩივარი N 178/2019, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2019 წლის 4 ივლისი, §10

¹¹⁴ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 31§1

¹¹⁵ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 29§2

¹¹⁶ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 29§3

¹¹⁷ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 31§2

დამატებითი ოქმის 7§1 და 7§2 მუხლების თანახმად, შესაბამისმა მხარე სახელმწიფომ და საჩივრის წარმდგენმა ორგანიზაციამ დადგინილ ვადაში უნდა წარმოადგინონ ყველა შესაბამისი წერილობითი ახსნა-განმარტება ან ინფორმაცია.¹¹⁸

დამატებითი ოქმის 7§3 მუხლის თანახმად, 7§1 და 7§2 მუხლების მიხედვით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების, ინფორმაციისა თუ მოსაზრებების საფუძველზე, შესაბამისმა მხარე სახელმწიფომ და საჩივრის წარმდგენმა ორგანიზაციამ ნებისმიერი დამატებითი წერილობითი ინფორმაცია ან მოსაზრება უნდა წარადგინონ კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში.¹¹⁹

კომიტეტის 31§4 წესის თანახმად, როდესაც მიზანშეწონილად მიიჩნევა, თავმჯდომარე, მომხსენებელთან კონსულტაციის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას წერილობითი პროცედურის დახურვაზე, რის შესახებაც უნდა ეცნობოთ მხარეებს. ამ გადაწყვეტილების შემდეგ, დამატებითი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისის სახით, დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.¹²⁰

საჩივრის მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (მაგ: მოწმეთა სია). საჩივრები, წარდგინებები, წერილობითი პასუხები და წერილობითი მოსაზრებები, ასევე, პროცედურის განმავლობაში მიწოდებული ნებისმიერი დოკუმენტი (დანართების გარდა) ქვეყნდება ევროპის საბჭოს ვებგვერდზე.

კომიტეტის 37-ე წესის თანახმად, თითოეული რეგისტრირებული საჩივრის, ასევე, დანართის, წარდგინების, პასუხისა თუ მოსაზრების ტექსტი, რომლებიც წარმოდგენილია 31-ე, 32-ე, 35-ე და 36-ე წესების საფუძველზე, საჯარო უნდა იყოს კომიტეტისთვის გადაცემისას, თუ კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.¹²¹

მესამე მხარის ჩართვა

წერილობითი პროცედურის დროს გათვალისწინებულია მესამე მხარის ჩართვა სხვადასხვა ფორმით.

ა) სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს საჩივრების პროცედურა

1995 წლის დამატებითი ოქმის 7§1 მუხლისა და კომიტეტის 32§1 წესის თანახმად, ოქმის სხვა მხარე სახელმწიფოებს, ასევე, ქვეყნებს, რომლებშიც რატიფიცირებულია შესწორებული ქარტია და რომლებმაც გააკეთეს განცხადება D მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჩივართან დაკავშირებული კომენტარების წარდგენა შეუძლიათ იმავე ვადაში, რაც განსაზღვრულია მომჩივანი ორგანიზაციისა და მხარე სახელმწიფოსთვის.¹²²

პრაქტიკაში მხარე სახელმწიფოები იშვიათად სარგებლობენ ამ შესაძლებლობით. აღსანიშნავია შემდეგი მაგალითები:

- ▶ *Syndicat occitan de l'éducation v. Belgique*, საჩივარი N 23/2003 (ბელგიის მიერ წარდგენილი მოსაზრებები);
- ▶ *European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) v. France*, საჩივარი N 39/2006 (ფინეთის მიერ წარდგენილი მოსაზრებები);
- ▶ *Confédération Française de l'Encadrement (CFE-CGC) v. France*, საჩივარი N 56/2009 (ფინეთის მიერ წარდგენილი მოსაზრებები);

¹¹⁸ ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158, მუხლი 7§1

¹¹⁹ ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158, მუხლი 7§3

¹²⁰ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 31§4

¹²¹ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 37

¹²² ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158, მუხლი 7§1; წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 32§1

- ▶ European Trade Union Confederation (ETUC)/ *Centrale Générale des Syndicats Libéraux de Belgique* (CGSLB)/*Confédération des Syndicats chrétiens de Belgique* (CSC)/*Fédération Générale du Travail de Belgique* (FGTB) v. Belgium, საჩივარი N 59/2009 (ფინეთის მიერ წარდგენილი მოსაზრებები);
- ▶ *Confederazione Generale Italiana del Lavoro* (CGIL) v. Italy, საჩივარი N 158/2017 (საფრანგეთის მიერ წარდგენილი მოსაზრებები).

ბ) საერთაშორისო პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები

კომიტეტის 32§2 წესის თანახმად, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა საერთაშორისო ორგანიზაციებს (ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია (ETUC), ევროპის მრეწველთა კონფედერაცია (Business Europe) და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE)) ეთხოვებათ მოსაზრებების წარმოდგენა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ეროვნული ორგანიზაციებისა ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეტანილ საჩივრებზე.¹²³ ამ კონტექსტში წარდგენილი მოსაზრებები ეცნობება საჩივრის წარმდგენ ორგანიზაციასა და მოპასუხე სახელმწიფოს.¹²⁴

ევროპის პროფკავშირების კონფედერაციას (ETUC) მოსაზრებები წარდგენილი აქვს ბევრ საჩივარზე.¹²⁵

დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციას (IOE) მოსაზრებები წარდგენილი აქვს რამდენიმე საჩივარზე.

ევროპის მრეწველთა კონფედერაციას (Business Europe) მოსაზრებები, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთ საჩივარზე აქვს წარდგენილი.¹²⁶

ორგანიზაციების, დაწესებულებების ან პირების მოსაზრებები

კომიტეტის 32A§1 წესის თანახმად, მომხსენებლის წინადადების საფუძველზე, თავმჯდომარემ შესაძლოა ნებისმიერ ორგანიზაციას, დაწესებულებას ან პირს სთხოვოს მოსაზრებების წარდგენა.¹²⁷ კომიტეტის მიერ მიღებული მოსაზრებები გადაეცემა მოპასუხე სახელმწიფოს და იმ ორგანიზაციას, რომელმაც შეიტანა საჩივარი.¹²⁸

დღემდე არაერთ ორგანიზაციას ეთხოვა მოსაზრებათა წარმოდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ეს მოჰყვა თავად ორგანიზაციების კონტაქტს კომიტეტთან და თხოვნით მიმართვას, რომ მიეცათ მოსაზრებათა წარდგენის ნებართვა.

მოსაზრებების წარმოდგენა ეთხოვათ შემდეგ ორგანიზაციებს:

- ▶ გაეროს სპეციალური მომხსენებელი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტით სარგებლობის უფლების შესახებ – *European Roma Rights Centre (ERRC) and Mental Disability Advocacy Centre (MDAC) v. Czech Republic*, საჩივარი N 157/2017;
- ▶ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) – *Defence for Children International (DCI) v. Belgium*, საჩივარი N 69/2011;
- ▶ უსაბუთო მიგრანტთა საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმა (PICUM) – *DCI v. Belgium*, საჩივარი N 69/2011;

¹²³ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 32§2

¹²⁴ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 32§3

¹²⁵ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014; იხ. ასევე [Matica hrvatskih sindikata v. Croatia](#), საჩივარი N 116/2015; იხ. ასევე [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium, Bulgaria, Croatia, Cyprus, Czech Republic, Finland, France, Greece, Ireland, Italy, the Netherlands, Norway, Portugal, Slovenia](#) და [Sweden](#), საჩივრები N 124-138/2016; იხ. ასევე [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016; იხ. ასევე [European Youth Forum \(YFJ\) v. Belgium](#), საჩივარი N 150/2017

¹²⁶ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012

¹²⁷ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 32A§1

¹²⁸ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 32A§1

- ▶ რასიზმთან ბრძოლისა და თანაბარი შესაძლებლობების ცენტრი – International Federation for Human Rights (FIDH) v. Belgium, საჩივარი N 75/2011, და Mental Disability Advocacy Centre (MDAC) v. Belgium, საჩივარი N 109/2014;
- ▶ სამართლისა და მართლმსაჯულების ევროპული ცენტრი (ECLJ) – International Planned Parenthood Federation European Network (IPPF EN) v. Italy, საჩივარი N 87/2012;
- ▶ *Movimento italiano per la vita, Associazione Luca Coscioni per la Libertà di Ricerca Scientifica* და *Associazione Italiana per l’Educazione Demografica AIED* on IPPF-EN v. Italy, საჩივარი N 87/2012, და *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL)* v. Italy, საჩივარი N 91/2013;
- ▶ ასოციაცია „Giuristi Per La Vita“ – *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL)* v. Italy, საჩივარი N 91/2013;
- ▶ თავისუფლების დაცვის ალიანსი (ADF) – Federation of Catholic Family Associations in Europe (FAFCE) v. Sweden, საჩივარი N 99/2013, და Transgender-Europe and ILGA-Europe v. Czech Republic, საჩივარი N 117/2015;
- ▶ სქესობრივი განათლების შვედური ასოციაცია (RFSU), რეპროდუქციული უფლებების ცენტრი და Ordo Iuris ინსტიტუტი – FAFCE v. Sweden, საჩივარი N 99/2013;
- ▶ *Organismo Unitario Magistrati Onorari Uniti (OUMOU)* და *Unione Nazionale Italiana Magistrati Onorari (UNIMO)* – *Associazione Nazionale Giudici di Pace* v. Italy, საჩივარი N 102/2013;
- ▶ *Défenseur des droits* – European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family (EUROCEF) v. France, საჩივარი N 114/2015, და European Roma and Travellers Forum (ERTF) v. the Czech Republic, საჩივარი N 119/2015;
- ▶ EQUINET – University Women of Europe (UWE) v. Belgium, Bulgaria, Croatia, Cyprus, Czech Republic, Finland, France, Greece, Ireland, Italy, the Netherlands, Norway, Portugal, Slovenia and Sweden, საჩივრები N 124-138/2016;
- ▶ ევროკომისია – Greek General Confederation of Labour (GSEE) v. Greece, საჩივარი N 111/2014, და University Women of Europe (UWE) v. Belgium, Bulgaria, Croatia, Cyprus, Czech Republic, Finland, France, Greece, Ireland, Italy, the Netherlands, Norway, Portugal, Slovenia and Sweden, საჩივრები N 124-138/2016;
- ▶ *Associazione Finanziari Cittadini e Solidarieta (FICIESSE)* – *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL)* v. Italy, საჩივარი N 140/2016;
- ▶ თანაბარი შესაძლებლობების ინტერფედერალური ცენტრი (UNIA) და *Délégué général de la communauté française aux droits de l’enfant* – International Federation for Human Rights (FIDH) and Inclusion Europe v. Belgium, საჩივარი N 141/2017.

კომიტეტის მიერ მხარეებისთვის დასმული შეკითხვები

კომიტეტს შეუძლია, შეკითხვები დაუსვას საჩივრის მხარე(ებ)ს საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე.

მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილია საჩივრები, სადაც შეკითხვები დაესვათ მხარეებს:

- ▶ European Council of Police Trade Unions (CESP) v. Portugal, საჩივარი N 37/2006;
- ▶ European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) v. France, საჩივარი N 39/2006;
- ▶ International Centre for the Legal Protection of Human Rights (INTERIGHTS) v. Croatia, საჩივარი N 45/2007;
- ▶ The Central Association of Carers in Finland v. Finland, საჩივრები N 70/2011 და N 71/2011;
- ▶ International Federation of Human Rights (FIDH) v. Greece, საჩივარი N 72/2011;
- ▶ European Confederation of Police (EUROCOP) v. Ireland, საჩივარი N 83/2012;
- ▶ European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) v. The Netherlands, საჩივარი N 86/2013;
- ▶ International Planned Parenthood Federation European Network (IPPF EN) v. Italy, საჩივარი N 87/2012;

- ▶ *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL) v. Italy*, საჩივარი N 91/2013;
- ▶ *Associazione Nazionale Giudici di Pace v. Italy*, საჩივარი N 102/2013;
- ▶ *Confederazione Generale Sindacale (CGS) v. Italy*, საჩივარი N 144/2017.

საქმის საჯარო მოსმენა

პროცედურა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ წერილობითია. თუმცა, დამატებითი ოქმის 7§4 მუხლის თანახმად, საჩივრის განხილვის პროცესში კომიტეტმა შეიძლება მოუსმინოს მხარეთა წარმომადგენლებს.¹²⁹ კომიტეტის 33§1 წესის თანახმად, ასეთი მოსმენა შეიძლება გაიმართოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ან კომიტეტის ინიციატივით.¹³⁰ კომიტეტი გადაწყვეტს, იმოქმედოს თუ არა ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შესაბამისად.¹³¹ მოსმენის გამართვის მოთხოვნა წერილობითი პროცედურის განმავლობაში შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუმცა წერილობითი პროცედურის დახურვიდან ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2 კვირაში (31§4 წესის შესაბამისად).¹³² მოსმენაზე უნდა მიიწვიონ ორივე მხარე და, თუ თავმჯდომარე სხვაგვარად არ გადაწყვეტს, სხდომა უნდა იყოს საჯარო.¹³³

კომიტეტის 33§4 წესის თანახმად, საჩივრის მხარეებთან ერთად, მოსმენაში მონაწილეობისთვის იწვევენ იმ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გამოთქვამენ ჩარევის სურვილს საჩივრის მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ.¹³⁴

თუმცა, საქმის საჯარო მოსმენა გამონაკლისია, რადგან დღემდე კომიტეტს გამართული აქვს მხოლოდ 9 საჯარო მოსმენა:

- ▶ 2000 წლის 9 ოქტომბერს: *European Federation of Employees in Public Services (EUROFEDOP) v. France*, საჩივარი N 2/1999; *European Federation of Employees in Public Services (EUROFEDOP) v. Italy*, საჩივარი N 4/1999, და *European Federation of Employees in Public Services (EUROFEDOP) v. Portugal*, საჩივარი N 5/1999;
- ▶ 2001 წლის 11 ივნისს: *Confédération Française de l'Encadrement «CFE-CGC» v. France*, საჩივარი N 9/2000;
- ▶ 2003 წლის 31 მარტს: *Confederation of Swedish Enterprise v. Sweden*, საჩივარი N 12/2002;
- ▶ 2003 წლის 29 სექტემბერს: *Autism Europe v. France*, საჩივარი N 13/2002;
- ▶ 2004 წლის 11 ოქტომბერს: *European Roma Rights Centre v. Greece*, საჩივარი N 15/2003;
- ▶ 2007 წლის 27 ივნისს: *ATD Fourth World v. France*, საჩივარი N 33/2006, და *European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) v. France*, საჩივარი N 39/2006;
- ▶ 2010 წლის 21 ივნისს: *Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy*, საჩივარი N 58/2009;
- ▶ 2015 წლის 7 სექტემბერს: *Confederazione Generale Italiana del Lavoro (CGIL) v. Italy*, საჩივარი N 91/2013;
- ▶ 2016 წლის 20 ოქტომბერს: *Greek General Confederation of Labour (GSEE) v. Greece*, საჩივარი N 111/2014.

საქმის წარმოება

მომხსენებელმა, რომელსაც ნიშნავს თავმჯდომარე საჩივრის რეგისტრაციისას, უნდა წარმოადგინოს საქმის არსებით მხარეზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც

¹²⁹ [ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 7§4

¹³⁰ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 33§1

¹³¹ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 33§1

¹³² [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 31§4

¹³³ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 33§§2-3

¹³⁴ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 33§4

შემდეგ ერთხელ ან მეტჯერ განიხილება კომიტეტში.¹³⁵

კომიტეტის ყველა დოკუმენტი განხილვასთან დაკავშირებით საიდუმლოა და არ არის განკუთვნილი გასაჯაროებისთვის.¹³⁶

გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.¹³⁷ კომიტეტის 34§2 წესის თანახმად, ხმის მიცემა საქმის არსებით მხარეზე გადაწყვეტილებისთვის შეუძლიათ კომიტეტის მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ განხილვის ძირითად ნაწილში.¹³⁸ 34§1 წესის თანახმად, მოსმენის გამართვის შემთხვევაში, წევრი, რომელიც არ ესწრება მოსმენას, ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის არსებითი მხარის განხილვაში.¹³⁹

კომიტეტის 16§2 წესის თანახმად, თუ ხმები თანაბრად გადანაწილდება, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

კომიტეტის 35§1 წესის თანახმად, გადაწყვეტილების მიღებისა და დასრულების შემდეგ, მას ხელს აწერენ მომხსენებელი, თავმჯდომარე და აღმასრულებელი მდივანი (ან მათი მოადგილეები), ხოლო ნებისმიერი განცალკევებული მოსაზრება უნდა დაერთოს კომიტეტის გადაწყვეტილებას.¹⁴⁰

კომიტეტის 35§2 წესის თანახმად, ამის შემდეგ გადაწყვეტილება უნდა შეიტანონ ოქმში, რომელიც გადაეცემათ პროცედურის მონაწილე მხარეებს. მხარეებს უფლება აქვთ, არ გამოაქვეყნონ ის დამატებითი ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.¹⁴¹

ბ. არსებითი მხარის შეფასება

1) ბრალდებების გადაწყობა მათი მნიშვნელობის მიხედვით

საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტმა შესაძლოა გადაწყვიტოს ბრალდებათა გადაწყობა საჩივრის მიზნებისთვის, მათი შესაბამისობის მიხედვით.¹⁴²

2) რეკლასიფიკაცია

კომიტეტს შეიძლება შეექმნას შეხედულება, რომ მომჩივანთა მიერ წამოჭრილი საკითხები უკეთესად გადაწყდება მათ მიერ საჩივარში მითითებული დებულებებისგან განსხვავებული მუხლებით.¹⁴³ თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ მომჩივანთა მიერ წამოჭრილი საკითხები ექცევა ქარტიის იმ დებულებათა მოქმედების ფარგლებში, რომლებიც მხარე სახელმწიფოს არ მიუღია, ვერ განიხილავს ასეთ საჩივარს.¹⁴⁴

3) ბრალდებათა განუხილველად დატოვება სპეციფიკურ დებულებებთან მიმართებით, ქარტიის სხვა დებულებათა ფარგლებში განხილვის გამო

¹³⁵ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 27§1

¹³⁶ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 38

¹³⁷ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 16§1

¹³⁸ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 34§2

¹³⁹ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 34§1

¹⁴⁰ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 35§1

¹⁴¹ წესები, ციტირებული ზემოთ, წესი 35§2

¹⁴² იხ. მაგ: [The Central Association of Carers in Finland v. Finland](#), საჩივარი N 71/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 4 დეკემბერი, §18

¹⁴³ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) and Confederation of Greek Civil Servants' Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §40; [Syndicat de défense des fonctionnaires v. France](#), საჩივარი N 73/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 12 სექტემბერი, §46

¹⁴⁴ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) and Confederation of Greek Civil Servants' Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §40

თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ საკითხი უკვე განხილულია ქარტიის სხვა დებულების ფარგლებში, საჭიროდ არ ჩათვლის მის განხილვას განცალკევებით, ქარტიის სხვა დებულების საფუძველზე.¹⁴⁵

4) შესაბამისი ინფორმაცია კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის

კომიტეტმა შესაძლოა განიხილოს მხარეთა მიერ წარდგენილი ყველა ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომელ პერიოდს უკავშირდება.¹⁴⁶

5) მტკიცებულებები

საჩივარს უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები.¹⁴⁷

გ. გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე

გადაწყვეტილების ფორმა

კომიტეტს გამოაქვს დასკვნა, დაირღვა თუ არა ქარტიის შესაბამისი დებულება.

კომიტეტის 35§1 წესის თანახმად, 1995 წლის დამატებითი ოქმის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ოქმში შესულ გადაწყვეტილებას საჩივრის არსებით მხარეზე უნდა დაერთოს შესაბამისი მიზეზები და ხელს აწერდნენ თავმჯდომარე, მომხსენებელი და აღმასრულებელი მდივანი. კომიტეტის გადაწყვეტილებას უნდა დაერთოს ნებისმიერი განცალკევებული მოსაზრება.¹⁴⁸

დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში

ზოგჯერ დარღვევა ხდება დამამძიმებელ გარემოებებში. კომიტეტი ამ ცნებას განმარტავს შემდეგნაირად:

- ▶ როდესაც მიიღება ზომები, რომლებიც დარღვევას ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებულად მიემართება მოწყვლად ჯგუფებს და ზემოქმედებს მათზე;¹⁴⁹
- ▶ როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არა მხოლოდ პასურობენ და არ იღებენ შესაბამის ზომებს დამრღვევთა მიმართ, არამედ თავადაც უწყობენ ხელს ასეთი დარღვევის ჩადენას.¹⁵⁰

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დარღვევები არ ეხებათ მხოლოდ დაზარალებულ პირებს, ან მათ ურთიერთობას მოპასუხე სახელმწიფოსთან.¹⁵¹ ისინი გამოწვევას უქმნიან ფართო საზოგადოების ინტერესებსაც, ასევე, ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს საერთო ძირითად სტანდარტებს ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობასთან მიმართებით.¹⁵² აქედან გამომდინარე, ეს მდგომარეობა სასწრაფო

¹⁴⁵ [International Commission of Jurists and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და დაუყოვნებლივ მისაღებ ზომებზე, 2019 წლის 23 მაისი, §264

¹⁴⁶ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §34

¹⁴⁷ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §42: შრომის ინსპექცია

¹⁴⁸ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 35§1

¹⁴⁹ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §76

¹⁵⁰ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §76

¹⁵¹ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. France](#), საჩივარი N 63/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 28 ივნისი, §54

¹⁵² [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. France](#), საჩივარი N 63/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 28 ივნისი, §54

ყურადღებას მოითხოვს ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსგან.¹⁵³

თუ კომიტეტი დაადგენს დარღვევას დამამძიმებელ გარემოებებში, მინისტრთა კომიტეტს სთხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.¹⁵⁴

დარღვევის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენის დადგენა მოპასუხე მთავრობისთვის გულისხმობს არა მხოლოდ ადეკვატური გამოსასწორებელი ზომების მიღებას, არამედ სათანადო რწმუნებისა და გარანტიების წარმოდგენის ვალდებულებასაც, რომ ასეთი დარღვევები შეწყდება და აღარ განმეორდება.¹⁵⁵

გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება და მათი გამოქვეყნება

1995 წლის დამატებითი ოქმის 8§2 მუხლის თანახმად, ანგარიში გადაეცემათ საჩივრის მხარეებსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც არ აქვეყნებს მას.¹⁵⁶ ანგარიში არ უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 4 თვის განმავლობაში, თუ მინისტრთა კომიტეტი არ მიიღებს რეზოლუციას ამ პერიოდის გასვლამდე.¹⁵⁷

გადაწყვეტილება ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე, ასევე HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში.

დ. გადაწყვეტილება საჩივრის ამოღებაზე განსახილველი საჩივრებიდან

კომიტეტის 39-ე წესის თანახმად, თუ ვეღარ სრულდება საჩივრის ძალაში დატოვების პირობები, კომიტეტმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი საჩივრის ამოღებაზე განსახილველი საჩივრებიდან.¹⁵⁸ დღემდე მას განსახილველი საჩივრებიდან ამოღებული აქვს ორი საჩივარი:

- ▶ არასამთავრობო ორგანიზაციის გაკოტრების საქმეში, რომელსაც შეტანილი ჰქონდა საჩივარი. კომიტეტმა აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო პროცედურის ჩატარება შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და, ერთი მხარის არყოფნის გამო, საჩივარი უნდა ამოღებულიყო განსახილველი საჩივრებიდან.¹⁵⁹
- ▶ საქმეში, სადაც მომჩივანმა საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღება მოითხოვა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გამო, რომელთა შედეგადაც, მომჩივანი ორგანიზაციის თანახმად, მდგომარეობა გახდა ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისი.¹⁶⁰

საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღებამდე, კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ არ არსებობს ზოგადი ინტერესის მქონე დამაჯერებელი არგუმენტები, რომ ერთი მხარის არყოფნის პირობებშიც გაგრძელდეს საჩივრის განხილვა.¹⁶¹

¹⁵³ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. France](#), საჩივარი N 63/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 28 ივნისი, §54

¹⁵⁴ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. France](#), საჩივარი N 63/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 28 ივნისი, §54

¹⁵⁵ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. France](#), საჩივარი N 63/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 28 ივნისი, §54

¹⁵⁶ [ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 8§2

¹⁵⁷ [ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას, ETS – N 158](#), მუხლი 8§2

¹⁵⁸ [წესები, ციტირებული ზემოთ](#), წესი 39

¹⁵⁹ [International Helsinki Federation for Human Rights \(IHF\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 44/2007, გადაწყვეტილება საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღებაზე, 2008 წლის 5 მარტი

¹⁶⁰ [Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღებაზე, 2013 წლის 2 ივლისი

¹⁶¹ [Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება საჩივრის განსახილველი საჩივრებიდან ამოღებაზე, 2013 წლის 2 ივლისი, §§ 2, 3

ნაწილი III:

ქართის განმარტების ძირითადი პრინციპები

ქართის ბუნება და მიზანი

ევროპის სოციალური ქარტია არის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულება. მისი მიზანია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ევროპაში გამოიყენებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებად.

ამ თვალსაზრისით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა განსხვავებული ეროვნული ტრადიციებისა და საერთოევროპული სოციალური ღირებულებების დაცვასთან ერთად (რაც უნდა გამყარდეს ქარტიით), მნიშვნელოვანია:

- ▶ ერთგულების კონსოლიდაცია საერთო ღირებულებების მიმართ, როგორცაა სოლიდარობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და მონაწილეობა;
- ▶ ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა ეფექტიანად გავრცელება ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში.

ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების ძირითადი პასუხისმგებლობა, ცხადია, ეკისრება ეროვნულ ხელისუფლებას. კონსტიტუციური მოწყობის, სოციალური კეთილდღეობისა და სამრეწველო ურთიერთობების სისტემათა გათვალისწინებით, ეროვნულმა ხელისუფლებამ შესაძლოა გარკვეული უფლებამოსილებები გადასცეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ან სოციალურ პარტნიორებს. თუმცა, განხორციელების ამგვარ სტრატეგიებს უნდა ახლდეს შესაბამისი გარანტიები, რომ საფრთხე არ შეექმნება ქარტიით ნაკისრ ვალდებულებათა რეალურად შესრულებას.¹⁶²

პირადი მოქმედების სფერო

ქართის პირადი მოქმედების სფერო განისაზღვრება ქარტიის დანართით, კომიტეტის განმარტების შესაბამისად. იხ. კრებულის ნაწილი ქარტიის დანართთან დაკავშირებით.

კონკრეტული და ეფექტიანი უფლებები

რამდენიმე კოლექტიური საჩივრის განხილვისას, კომიტეტმა განმარტა მხარე სახელმწიფოთა ვალდებულებები ქარტიის შესასრულებლად.

კომიტეტი იხსენებს, რომ ქარტიის მიზანი და დანიშნულებაა, იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტი და ადამიანის უფლებები დაიცვას არა მხოლოდ თეორიულად, არამედ რეალურადაც.^{163 164}

ამასთან დაკავშირებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქარტია ვერ განხორციელდება მხოლოდ

¹⁶² დასკვნები 2006, ზოგადი შესავალი

¹⁶³ International Commission of Jurists (ICJ) v. Portugal, საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §32

¹⁶⁴ European Federation of National Organisations working with the Homeless (FEANTSA) v. Slovenia, საჩივარი N 53/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 8 სექტემბერი, §28

კანონმდებლობის მიღებით, თუ მის გამოყენებას არ ახლავს ეფექტიანი და მკაცრი ზედამხედველობა.

ქარტიის განხორციელება მოითხოვს, რომ მხარე სახელმწიფოებმა მიიღონ არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პრაქტიკული ზომებიც, დოკუმენტით აღიარებულ უფლებათა სრულად ასამოქმედებლად.¹⁶⁵

კერძოდ, ქარტიით დასახული მიზნების სტაბილური პროგრესით მისაღწევად, კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტის განხორციელება მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივი ზომების მიღებას, არამედ ასევე რესურსების ხელმისაწვდომობას და ოპერატიული პროცედურების დანერგვას, რომლებიც აუცილებელია ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა სრულად ამოქმედებისათვის.¹⁶⁶

ქარტია, როგორც ცოცხალი ინსტრუმენტი

კომიტეტი ქარტიით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებებს განმარტავს არსებული პირობებისა¹⁶⁷ და შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების¹⁶⁸, ასევე, ახლად წარმოქმნილი საკითხებისა და გარემოებების გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით, ქარტია ცოცხალი ინსტრუმენტია.¹⁶⁹

ქარტიით გათვალისწინებული უფლებების პროგრესული განხორციელება

ქარტიით გარანტირებული გარკვეული უფლებები მოითხოვს დაუყოვნებლივ განხორციელებას, როგორც კი დოკუმენტი ძალაში შევა შესაბამისი სახელმწიფოსთვის.

სხვა უფლებები მხარეებმა შეიძლება უზრუნველყონ თანდათანობით. ეს ეხება უფლებებს, რომელთა განხორციელებაც განსაკუთრებით კომპლექსური პროცესია და შეიძლება მოიცავდეს მნიშვნელოვან საბიუჯეტო ხარჯებს.

კომიტეტმა მკაფიოდ განსაზღვრა, ქარტიის პროგრესული განხორციელების რომელი მეთოდები შეიძლება შეესაბამებოდეს ქარტიას.

როდესაც ერთ-ერთი განსახილველი უფლების უზრუნველყოფა განსაკუთრებით კომპლექსური და ძვირია, მხარე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ქარტიით განსაზღვრული მიზნების გონივრულ ვადაში მისაღწევად, გაზომვადი პროგრესითა და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით. მხარე სახელმწიფოებმა საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი არჩევანის გავლენას მაღალი მოწყვლადობის ჯგუფებსა და სხვა შესაბამის პირებზე, განსაკუთრებით, მათ ოჯახებზე, რომელთაც ყველაზე მეტი ტვირთი აწვებათ ინსტიტუციური ხარვეზების შემთხვევაში.¹⁷⁰

როცა არ არსებობს მიღებული ზომების პრაქტიკული ზეგავლენის გაზომვის რაიმე

¹⁶⁵ International Association Autism-Europe v. France, საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

¹⁶⁶ International Movement ATD Fourth World v. France, საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §61

¹⁶⁷ Marangopoulos Foundation for Human Rights v. Greece, საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §194

¹⁶⁸ European Federation of National Organisations working with the Homeless (FEANTSA), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §64

¹⁶⁹ Transgender-Europe and ILGA-Europe v. Czech Republic, საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §75

¹⁷⁰ International Association Autism-Europe v. France, საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

ვალდებულება ან საშუალებები, ქარტიით გათვალისწინებული უფლებები, სავარაუდოდ, არ იქნება ქმედითი [...]. გრაფიკთან დაკავშირებით [...] არსებითი მნიშვნელობა აქვს გონივრული ვადების დადგენას, სადაც გათვალისწინებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული შეზღუდვები, არამედ იმ ჯგუფების საჭიროებებიც, რომლებიც მიუკუთვნებიან გადაუდებელ კატეგორიას. ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება ხელისუფლების მიერ დასახული მიზნების მიღწევის გადადება განუსაზღვრელი ვადით.¹⁷¹

როდესაც აფასებს ქარტიის განხორციელების შეფერხების გონივრულობას, კომიტეტი ითვალისწინებს მხარე სახელმწიფოთა დისკრეციის ფარგლებს.¹⁷²

საანგარიშო პერიოდი

ანგარიშების პროცედურის ფარგლებში კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს გარემოებებზე, რომლებიც არსებობს ანგარიშით გათვალისწინებულ პერიოდში. არსებული ანგარიშების სისტემის მიხედვით, საანგარიშო პერიოდი შეადგენს 4 წელს. ზოგჯერ კომიტეტი ახანგრძლივებს ამ ვადას, რათა გაითვალისწინოს საანგარიშო პერიოდს მიღმა მომხდარი ცვლილებები.¹⁷³ როგორც წესი, კომიტეტი უცვლელად ტოვებს თავის დასკვნას შეუსაბამობაზე საანგარიშო პერიოდისთვის, თუ ცვლილებები, რომელთა შედეგადაც მდგომარეობა გახდა ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისი, ძალაში შევიდა საანგარიშო პერიოდის შემდეგ.¹⁷⁴

თუმცა, კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც არსებობს საქმის არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მიღებისას (ამ მომენტისთვის კომიტეტის ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით).¹⁷⁵

ქარტიის განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით

შემდეგი პრინციპებისა და ცნებების განმარტებისას, კომიტეტმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე:

1) დროებითი იურისდიქცია

ეს არის საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი კონკრეტულ სახელმწიფოსთან მიმართებით და აღნიშნავს კომიტეტის დროებითი იურისდიქციის დასაწყისს.¹⁷⁶ მიუთითებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში *Papamichalopoulos and Others v. Greece* (1993), კომიტეტი მიიჩნევს, რომ არსებობს გამონაკლისები ამ წესიდან, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მომხდარი მოვლენები გრძელდება მისი ძალაში შესვლის შემდეგაც და უწყვეტად არღვევს ქარტიით გათვალისწინებულ უფლებებს.

კომიტეტი უთითებს სასამართლოს დიდი პალატის პრეცედენტულ სამართალზე საქმეებში *Blečić v. Croatia*, 2006, და *Šilih v. Slovenia* (2009), სადაც აღნიშნა, რომ მისი დროებითი იურისდიქცია

¹⁷¹ International Movement ATD Fourth World v. France, საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §65-66

¹⁷² Action Européenne des Handicapés (AEH) c. France, საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §§ 95-100

¹⁷³ დამატება დასკვნებზე VI (1982), ისლანდია

¹⁷⁴ დასკვნები XV-1 (2000), დანია

¹⁷⁵ European Council of Police Trade Unions (CESP), v. France, საჩივარი N 57/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 1 დეკემბერი, §52

¹⁷⁶ Marangopoulos Foundation for Human Rights (MFHR) v. Greece, საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობაზე, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §15

განისაზღვრებოდა იმ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც იყო სავარაუდო ჩარევა.¹⁷⁷ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს ქარტიის განმარტებაზეც; ასევე დასძენს, რომ სადავო უფლებათა განსაკუთრებული ბუნება შესაძლოა რელევანტური იყოს იმის შესაფასებლად, არის თუ არა მდგომარეობა მიმდინარე (რაც დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ზემოთ ციტირებულ საქმეში *Šilih*).

2) დისკრიმინაციის დაუშვებლობა: ქარტიის E მუხლი

E მუხლის ქარტიის სხვა მუხლთან ერთობლიობაში განხილვის პრინციპი

კომიტეტის აზრით, E მუხლის ფუნქცია კონვენციის მე-14 მუხლის ანალოგიურია. მიუთითებს რა სასამართლოს მიერ 1968 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაზე საქმეში *Belgian linguistics*, კომიტეტი მიიჩნევს, რომ E მუხლი არ არსებობს დამოუკიდებლად და უნდა განიხილებოდეს ქარტიის ერთ-ერთ არსებით დებულებასთან ერთობლიობაში.¹⁷⁸

კომიტეტი იმეორებს ამ მოსაზრებას და აცხადებს, რომ ქარტიის E მუხლი არ გამოიყენება, თუ სადავო ფაქტები არ ექცევა ქარტიის ერთი ან მეტი დებულების მოქმედების სფეროში, თუმცა ამჯერად ეყრდნობა 1984 წელს *Rasmussen*-ის საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებას.¹⁷⁹

კომიტეტი დასძენს, რომ კონკრეტული არსებითი დებულების შესაბამისმა ზომამ შესაძლოა დაარღვიოს E მუხლი, რომელიც განიხილება ამ დებულებასთან ერთობლიობაში, იმ საფუძვლით, რომ ის დისკრიმინაციულია.

დისკრიმინაციის განმარტება

კომიტეტი მიუთითებს სასამართლოს 2000 წლის გადაწყვეტილებაზე საქმეში *Thlimmenos v. Greece*, სადაც დისკრიმინაცია დადგინდა კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, რადგან მხარე სახელმწიფომ არ გამოიყენა განსხვავებული მოპყრობა განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ.^{180 181}

ამ პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ E მუხლი კრძალავს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ირიბი დისკრიმინაციის ყველა ფორმას. ასეთი ირიბი დისკრიმინაცია შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა სათანადოდ და დადებითად არ არის გათვალისწინებული ყველა შესაბამისი განსხვავება, ან არ მიღებულია ადეკვატური ზომები, რომ ყველასთვის გახსნილი უფლებები და კოლექტიური უპირატესობები ჭეშმარიტად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ შესაბამისი ზომების მიუღებლობა არსებულ განსხვავებათა გასათვალისწინებლად შესაძლოა ასევე წარმოადგენდეს დისკრიმინაციას.

მიუთითებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში *Abdulaziz, Cabales and Balkandali* (1984), კომიტეტი მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციის ცნება მოიცავს შემთხვევებს, როდესაც პირს ან პირთა ჯგუფს ეპყრობიან შედარებით ნაკლები კეთილგანწყობით, სათანადო დასაბუთების გარეშე.¹⁸²

¹⁷⁷ Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Croatia, საჩივარი N 52/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 22 ივნისი, §§22-26

¹⁷⁸ *Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur (SAGES) v. France*, საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §34

¹⁷⁹ *Confédération française démocratique du travail (CFDT) v. France*, საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §§37-39 და 42

¹⁸⁰ *International Association Autism-Europe v. France*, საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

¹⁸¹ *Mental Disability Advocacy Center (MDAC) v. Bulgaria*, საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §§50-51

¹⁸² *Confédération française démocratique du travail (CFDT) v. France*, საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §§39 და 41

„დისკრიმინაციულად განსხვავებული მოპყრობის“ განმარტება

მიუთითებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე *Belgian linguistics*-ის (1968), *Marckx*-ის (1978) და *Rasmussen*-ის (1984) საქმეებში, კომიტეტი მიიჩნევს, რომ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ „ის არ საბუთდება ობიექტურად და გონივრულად“ ან არ ემსახურება „ლეგიტიმურ მიზანს“, ანდა არ არსებობს „თანაზომიერების გონივრული ურთიერთმიმართება გამოყენებულ ზომებსა და მისაღწევ მიზანს შორის“. კომიტეტი დასძენს: მართალია, მხარე სახელმწიფოები გარკვეული „დისკრეციის ფარგლებით“ სარგებლობენ იმის შეფასებისას, ამართლებს თუ არა (და რამდენად) განსხვავება სხვაგვარად მსგავს სიტუაციებს შორის განსხვავებულ მოპყრობას სამართლის კუთხით, საბოლოოდ კომიტეტის გადასაწყვეტია, ექცევა თუ არა ასეთი განსხვავება ამ ფარგლებში.^{183 184}

„რასობრივი დისკრიმინაციის“ ცნების განმარტება

კომიტეტი ქარტიისთვის იყენებს რასობრივი დისკრიმინაციის იმ განმარტებას, რომელიც სასამართლომ გამოიყენა 2005 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Timishev v. Russia*. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, დისკრიმინაცია პირის რეალური ან ნავარაუდები ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით, რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა და არავითარი განსხვავებული მოპყრობა, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ან მნიშვნელოვანწილად პირის ეთნიკურ წარმომავლობას, ვერ იქნება ობიექტურად გამართლებული თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹⁸⁵

მხარე სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულება, ეფექტიანად განახორციელონ ჯანმრთელობის დაცვის უფლება არადისკრიმინაციული განათლებით სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

მიუთითებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში *Folgerø and Others v. Norway* (2007), კომიტეტი აღნიშნავს, რომ მხარე სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, ეფექტიანად განახორციელოს ჯანმრთელობის დაცვის უფლება არადისკრიმინაციულ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე განათლებით, რომელიც არ გაახანგრძლივებს ან არ განამტკიცებს სოციალურ გარიყულობას და ადამიანის ღირსების უარყოფას.¹⁸⁶

ამ ვალდებულებას აქვს ორი ასპექტი: ბავშვებმა არ უნდა განიცადონ დისკრიმინაცია ასეთი განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ; და ეს განათლება არ უნდა გამოიყენებოდეს სტერეოტიპების განმტკიცებისა და ცრურწმენების დამკვიდრების საშუალებად, რაც ხელს უწყობს ისტორიულად მარგინალიზებული ჯგუფების სოციალურ გარიყულობას, ან არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობის სხვა ფორმების ჩამოყალიბებას, რომლებიც ძირს უთხრის ადამიანურ ღირსებას.

3) ბომა მოსახლეობის უფლებები

ბომათა თემის მოწყვლადობის გათვალისწინება სამართალსა და პრაქტიკაში

კომიტეტმა მიუთითა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე *Buckley*-ის (1996), *Chapman*-ის (2001) და *Connors*-ის (2004) საქმეებში გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სადაც დადგინდა, რომ სამართალსა და პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბომათა თემის

¹⁸³ *Confédération française démocratique du travail (CFDT) v. France*, საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §§37-39 და 41

¹⁸⁴ *European Roma Rights Centre (ERRC) v. France*, საჩივარი N 51/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 19 ოქტომბერი, §82

¹⁸⁵ *Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy*, საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§37-40, 106, 117, 120-121, 129, 131, 138 და 155-156

¹⁸⁶ *International Centre for the Legal Protection of Human Rights (INTERIGHTS) v. Croatia*, საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 30 მარტი, §§50 და 61

განსხვავებულ საჭიროებებსა და ცხოვრების წესს.¹⁸⁷

ამ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, კომიტეტი ადგენს, რომ მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული ზომები, რათა ქართლში აღიარებული უფლებები სრულად ამოქმედდეს ბოშებთან მიმართებითაც.

ბოშათა თემების დე ფაქტო აღიარება.

ეყრდნობა რა სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე *Oneryildiz v. Turkey* (2004), კომიტეტი მიიჩნევს: როდესაც ბოშათა უკანონო დასახლება მრავალი წელია არსებობს, მას არარეგულარულად, თუმცა მაინც მიეწოდება საჯარო მომსახურება, როგორცაა ელექტროენერგია, და ისინი იხდიან გადასახადს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები აღიარებენ და უშვებენ ბოშათა დე ფაქტო ქმედებებს.¹⁸⁸

ბოშა მოსახლეობის დაცვა კულტურული მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

საქმეებზე *Chapman v. the United Kingdom* (2001), *Muñoz Díaz v. Spain* (2009) და *Orsus v. Croatia* (2010) სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალოგიურად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ უმცირესობათა იდენტობისა და ცხოვრების წესის დაცვის მიზანია როგორც მათი ინტერესების დაცვა, ისე მთელი საზოგადოებისთვის ღირებული კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება.¹⁸⁹

მხარე სახელმწიფოთა ვალდებულება, მიიღონ ყველა კანონიერი და პრაქტიკული ზომა პრესაში რასიზმსა და ქსენოფობიასთან საბრძოლველად, რომელიც მიემართება ბოშებს.

მიუთითებს რა სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილებაზე საქმეში *Jersild v. Denmark*, კომიტეტი აღიარებს: მართალია, რთულია სწორი ბალანსის დაცვა პრესის თავისუფლებასა და სხვების დაცვას შორის რასისტული შენიშვნების გავრცელებისას, თუმცა მთავრობამ ყველა აუცილებელი ნაბიჯი უნდა გადადგას შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ, კერძოდ, იმ სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებების გატარებით, რომლებიც ებრძვიან ბოშა მოსახლეობისთვის საზიანო რასიზმსა და ქსენოფობიას, რაც არ მომხდარა ციტირებულ საქმეში.¹⁹⁰

მხარე სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილება პირის ვინაობასთან დაკავშირებულ საქმეებში.

მიუთითებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საქმეებში *Connors v. the United Kingdom* (2004) და *the Evans v. the United Kingdom* (2007), რომლებიც შეეხება ბოშა მოსახლეობის აღწერას, კერძოდ, თითის ანაბეჭდების აღებასა და ფოტომეტრიული თუ სხვა პერსონალური ინფორმაციის შეგროვება-შენახვას, კომიტეტი მიიჩნევს, რომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს უზღუდებთ დისკრეციის ფარგლები ამ სფეროში, როდესაც სადავოა პირის მიერ პირადი ან ძირითადი უფლებების ეფექტიანი განხორციელების საკითხი, ან პირის არსებობისა თუ ვინაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტი.¹⁹¹

¹⁸⁷ European Roma Rights Centre (ERRC) v. Greece, საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §§19-21 და 25

¹⁸⁸ European Roma Rights Centre v. Bulgaria, საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 18 ოქტომბერი, §§35, 37 და 54

¹⁸⁹ Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy, საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§37-დან 40-მდე, 106, 117, 120-121, 129, 131, 138 და 155-156

¹⁹⁰ European Roma Rights Centre v. Bulgaria, საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 18 ოქტომბერი, §§35, 37 და 54

¹⁹¹ Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy, საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§37-დან 40-მდე, 106, 117, 120-121, 129, 131, 138 და 155-156

კომიტეტი დასძენს, რომ განმარტების ეს პრინციპები ვრცელდება ქარტიის მე-16 მუხლის კონტექსტშიც.

მიუთითებს რა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საქმეებში *Malone v. the United Kingdom* (1984) და *Rotaru v. Romania and Amann v. Switzerland* (2000), კომიტეტი მიიჩნევს, რომ პირობები, რომლებშიც განხორციელდა ქმედებები, კერძოდ, განსაკუთრებული გარემოებების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობა, აბრკოლებდა რეალურ დაცვას თვითნებობისგან.

4) გარე სამყაროსთან ურთიერთობის უფლება

მიუთითებს რა კონვენციის მე-8 მუხლზე, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში *P.G. and J.H. v. the United Kingdom* (2001), კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქარტიის მე-16 მუხლი იცავს პიროვნული განვითარების, ასევე, სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარება-გაფართოების უფლებებს.¹⁹²

5) გაძევების ცნება: ქარტიის მე-16 მუხლი

„კოლექტიური გაძევების“ განმარტება

კომიტეტმა კოლექტიური გაძევების განმარტება აიღო კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლიდან, რომლის თანახმადაც, კოლექტიური გაძევება არის „ნებისმიერი ზომა, რომელიც აიძულებს უცხოელებს, როგორც ჯგუფს, დატოვონ ქვეყანა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ზომა მიიღება ჯგუფის წარმომადგენელი თითოეული ცალკეული უცხოელის კონკრეტული საქმის გონივრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე.“¹⁹³

ქარტიასთან მიმართებით, კომიტეტი ასევე იყენებს სასამართლოს განმარტებას გადაწყვეტილებაში, რომელიც მიიღო საქმეზე *Conka v. Belgium* (2002), კერძოდ: როდესაც ქვეყნიდან აძევებენ ერთი და იმავე წარმომავლობის ადამიანთა დიდ რაოდენობას, არსებობს კარგი საფუძველი ეჭვისთვის, რომ გაძევება შეიძლება იყოს კოლექტიური.

გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიების დაცვა

გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიების საკითხთან მიმართებით, კომიტეტი მიუთითებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე *Connors-ის საქმეში* (2004), სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ „პირისთვის ხელმისაწვდომი პროცედურული გარანტიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, დაიცვა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრისას თავისი დისკრეციის ფარგლები. კერძოდ, სასამართლომ უნდა გადაამოწმოს, იყო თუ არა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომლის შედეგადაც მიიღეს ჩარევის ზომები და იძლეოდა თუ არა ის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი ინტერესების სათანადოდ დაცვის საშუალებას.“¹⁹⁴

6) ევროგაერთიანების კანონმდებლობისა და ევროპის სოციალური ქარტიის არაეკვივალენტურობა

მიუთითებს რა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საქმეში *Cantoni v. France* (1996), კომიტეტი ამტკიცებს: ფაქტი, რომ დებულება შეესაბამება ევროგაერთიანების დირექტივას, არ გამორიცხავს მას ქარტიის მოქმედების სფეროსა და კომიტეტის

¹⁹² International Centre for the Legal Protection of Human Rights (INTERIGHTS) v. Greece, საჩივარი N 49/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 11 დეკემბერი, §§37 და 58

¹⁹³ Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy, საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§155-156

¹⁹⁴ International Centre for the Legal Protection of Human Rights (INTERIGHTS) v. Greece, საჩივარი N 49/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 11 დეკემბერი, §§37 და 38

ზედამხედველობის ფარგლებიდან.^{195 196 197}

გარდა ამისა, კომიტეტი აღნიშნავს: მართალია, სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეულ გარემოებებში შეიძლება არსებობდეს ევროკავშირის კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის პრეზუმფიცია, თუმცა მსგავსი პრეზუმფიცია, თუნდაც სადავო, არ უნდა გავრცელდეს ევროპის სოციალურ ქარტიასთან მიმართებით.

7) მხარე სახელმწიფოთა მიერ დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები ქარტიით დასახული მიზნების მისაღწევად

მიუთითებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში *Ilascu and Others v. Moldova and Russia* (2004), კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაშინაც კი, როცა ქარტიით გათვალისწინებული ერთ-ერთი უფლების უზრუნველყოფა განსაკუთრებით კომპლექსური და ძვირია, მხარე სახელმწიფოები უნდა ეცადონ ქარტიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას გონივრულ ვადაში, გაზომვადი პროგრესითა და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით.¹⁹⁸

მიუთითა რა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეში *Hatton and Others v. the United Kingdom* (2001), კომიტეტმა მიიჩნია, რომ მხარე სახელმწიფოთა მიერ მიღებული ზომები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: გონივრული ვადა, გაზომვადი პროგრესი და დაფინანსების შეთანხმება, რომელიც იძლევა ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას.

8) ქარტიის 31-ე მუხლის განმარტება (უფლება საცხოვრებელ ადგილზე)

კომიტეტი მიიჩნევს, რომ 31-ე მუხლის მისეული განმარტება უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის შესაბამის დებულებათა ინტერპრეტაციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.^{199 200 201}

9) სკოლაში ფიზიკური დასჯისა და მშობლების მიერ ფიზიკური დასჯის ცნებათა განმარტება: ქარტიის 17§1b მუხლი

კომიტეტი მიუთითებს სასამართლოს მიერ ისეთი ცნებების განმარტებაზე, როგორცაა ბავშვის გაროზგვა (*Tyrer v. the United Kingdom*, 1978), სკოლაში ფიზიკური დასჯა (*Campbell and Cosans v. the United Kingdom*, 1982) და მშობლების მიერ ფიზიკური დასჯა (*A. v. the United Kingdom*, 1998). ამის მიზანია, განმარტოს ქარტიის 17§1b მუხლი, რომელიც შეეხება ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვას დაუღვერობისგან, ძალადობისა ან ექსპლუატაციისაგან.^{202 203 204 205 206}

¹⁹⁵ *Confédération Française de l'Encadrement (CFE-CGC) v. France*, საჩივარი N 16/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 12 ოქტომბერი, §30

¹⁹⁶ *Confédération Française de l'Encadrement (CFE-CGC) v. France*, საჩივარი N 56/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 23 ივნისი, §30, 32-33, 87-88

¹⁹⁷ *Confédération générale du travail (CGT) v. France*, საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 23 ივნისი, §§32, 34-35

¹⁹⁸ *European Roma Rights Centre v. Bulgaria*, საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 18 ოქტომბერი, §§35, 37 და 54

¹⁹⁹ *INTERNATIONAL MOVEMENT ATD FOURTH WORLD V. FRANCE*, საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §§68-69

²⁰⁰ *European Federation of National Organisations working with the Homeless (FEANTSA) v. France*, საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §§64-65

²⁰¹ *European Federation of National Organisations working with the Homeless (FEANTSA) v. Slovenia*, საჩივარი N 53/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 8 სექტემბერი, §§32-35

²⁰² *World Organisation against Torture (OMCT) v. Greece*, საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §31

²⁰³ *World Organisation against Torture (OMCT) v. Ireland*, საჩივარი N 18/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §§60 და 63

²⁰⁴ *World Organisation against Torture (OMCT) v. Italy*, საჩივარი N 19/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §41

²⁰⁵ *World Organisation against Torture (OMCT) v. Portugal*, საჩივარი N 20/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §34

²⁰⁶ *World Organisation against Torture (OMCT) v. Belgium*, საჩივარი N 17/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §38

10) მშობლების უფლება, შვილებს სექსუალური განათლება მისცენ საკუთარი შეხედულებისამებრ

კომიტეტი მიიჩნევს, რომ მშობლებს უფლება აქვთ, შვილებს სექსუალური განათლება მისცენ საკუთარი რელიგიური თუ ფილოსოფიური შეხედულებების შესაბამისად. ამ მიზნით, კომიტეტი უყრდნობა სასამართლოს დასკვნებს 1976 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*.

11) ქარტიის მე-11 მუხლისა (ჯანმრთელობის დაცვის უფლება) და კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) კომპლემენტარულობა

კომიტეტს მიაჩნია, რომ ქარტიის მე-11 მუხლი (ჯანმრთელობის დაცვის უფლება) და კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) ერთმანეთს ავსებს, სასამართლოს განმარტების შესაბამისად.²⁰⁷

12) ქარტიის მე-5 მუხლის (ორგანიზების უფლება) დარღვევა

საქმეზე *Gustafsson v. Sweden* (1998) სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ სისტემა, რომელშიც დამსაქმებლებს უპრობიან განსხვავებულად, იმის მიხედვით, არიან თუ არა ორგანიზაციის წევრები, შეუთავსებელია ქარტიის მე-5 მუხლთან (ორგანიზების უფლება), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა გაერთიანების თავისუფლების არსი.²⁰⁸

13) უცხოელ არასრულწლოვანთა დაცვის უფლება

საქმეებზე *Moustaquim v. Belgium* (1991) და *Beldjoudi v. France* (1992) სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მსგავსად, კომიტეტი აღიარებს, რომ მხარე სახელმწიფოს უფლება აქვს, აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლა და ცხოვრება, ასევე, მათი გაძევება ტერიტორიიდან.²⁰⁹

თუმცა, საქმეში *Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium* (2006) სასამართლოს დასკვნების შესაბამისად, კომიტეტი მიიჩნევს, რომ უცხოელ არასრულწლოვნებს, განსაკუთრებით, თანმხლები პირის გარეშე, არ უნდა ჩამოერთვათ დაცვის უფლება, რომელსაც ანიჭებთ საკუთარი სტატუსი, რათა შეთანხმდეს მათი ძირითადი უფლებები და სახელმწიფოს საიმპიგრაციო პოლიტიკით დაწესებული შეზღუდვები.

ქარტიის განმარტება სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების გათვალისწინებით

ქარტიის განმარტებისას კომიტეტი ითვალისწინებს სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებს, რომლებიც რელევანტურია ქარტიით უზრუნველყოფილ უფლებათა სფეროში, ასევე, ამ ხელშეკრულებათა განმარტებას შესაბამისი მონიტორინგის ორგანოების მიერ.

კერძოდ, კომიტეტი მიუთითებს შემდეგ დოკუმენტებზე:

²⁰⁷ Marangopoulos Foundation for Human Rights (MFHR) v. Greece, საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §196 და 202

²⁰⁸ Federation of Finnish Enterprises v. Finland, საჩივარი N 35/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 16 ოქტომბერი, §§28-29

²⁰⁹ Defense for Children International v. the Netherlands, საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §§41-42

1) გაეროს საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

კომიტეტი მიუთითებს პაქტის მე-11 მუხლზე, ასევე, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგად კომენტარებზე N 4 და N 7, რომლებიც მიემართება უფლებას საცხოვრებელ ადგილზე (31-ე მუხლი)²¹⁰ და იძულების წესით გამოსახლებას.²¹¹

რაც შეეხება განათლების უფლებას (მე-17 მუხლი), კომიტეტი მიუთითებს გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგად კომენტარზე N 13²¹², ასევე, პაქტის მე-8 მუხლზე ორგანიზების უფლების შესახებ.

2) გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

კომიტეტი მიუთითებს პაქტის მე-8 მუხლზე ორგანიზების უფლების შესახებ²¹³, ასევე, 22-ე მუხლზე, რომელიც შეეხება პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაწევრიანების უფლებას.²¹⁴

3) გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

როდესაც იღებს გადაწყვეტილებას ქარტიით უზრუნველყოფილ ბავშვის უფლებათა დარღვევაზე, კომიტეტი ზოგადად მიუთითებს კონვენციაზე, ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტების შესაბამისად.

კერძოდ, ისეთ გარემოებებზე გადაწყვეტილების მიღებისას, სადაც ქარტიის განმარტება ეხება ბავშვის უფლებებს, კომიტეტი თავს ვალდებულია მიიჩნევს, რომ შეასრულოს საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნა - გამოიყენოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი. აქედან გამომდინარე, კომიტეტი იცავს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოთხოვნას: „ყოველი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული თუ მართლმსაჯულების ორგანო ან დაწესებულება ვალდებულია, გამოიყენოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი, სისტემატური განხილვით, თურაგავლენას ახდენს/მოახდენს ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე მათი გადაწყვეტილებები და ქმედებები (მაგ: შემოთავაზებული/არსებული კანონი თუ პოლიტიკა, ადმინისტრაციული ქმედება, ან სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის, ისეთიც, რომლებიც უშუალოდ არ ეხება ბავშვებს, მაგრამ ირიბად ზემოქმედებს მათზე).“²¹⁵

ფიზიკური დასჯის აკრძალვასთან მიმართებით, კომიტეტი მიუთითებს გაეროს კონვენციის მე-19 მუხლსა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარებზე.²¹⁶

თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა თავშესაფრით უზრუნველყოფასთან მიმართებით (მუხლები 31§2 და მე-17), კომიტეტი მიუთითებს გაეროს კონვენციასა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარებზე.

²¹⁰ *Mouvement international ATD Quart Monde v. France*, საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §§68-71

²¹¹ *Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy*, საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§20-21

²¹² *Mental Disability Advocacy Center (MDAC) v. Bulgaria*, საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §37

²¹³ *European Council of Police Trade Unions (CESP) v. France*, საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე

²¹⁴ *European Council of Police Trade Unions (CESP) v. France*, საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §30

²¹⁵ *Defence for Children International (DCI) v. The Netherlands*, საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §29

²¹⁶ *World Organisation against Torture (OMCT) v. Ireland*, საჩივარი N 18/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §61

4) 1965 წლის 21 დეკემბრის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

5) ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებები;²¹⁷

6) ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის გადაწყვეტილებები;²¹⁸

7) საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციის პრინციპები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომელიც ცნობილია, როგორც პინჰიროს პრინციპები გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია)²¹⁹

აღნიშნული პრინციპები შეიცავს პოლიტიკასთან დაკავშირებულ კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციის უფლება პრაქტიკაში. ეს არის კონსოლიდირებული ტექსტი სამართლებრივი, პოლიტიკის, პროცედურული, ინსტიტუციური და ტექნიკური განხორციელების მექანიზმებზე, რომლებიც მიემართება საცხოვრებლისა და საკუთრების რესტიტუციას.

8) გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტით სარგებლობის უფლების შესახებ, 2009 წლის 1 აგვისტო, A/64/272²²⁰

ქარტიის განმარტება ევროკავშირის კანონმდებლობის ბათვალისწინებით

ქარტიის განმარტებისას კომიტეტი ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობას.

გარდა ამისა, 1961 წლის ტექსტთან შედარებით, ქარტიაში შევიდა შესწორებები, რომლებიც ითვალისწინებს ევროგაერთიანების კანონმდებლობაში 1961 წლის შემდეგ შეტანილ ცვლილებებს და გავლენას ახდენს მხარე სახელმწიფოთა მიერ ქარტიის განხორციელების წესზე.

მაგალითად:

- ▶ ქალთა უფლებებში შეტანილი ცვლილებები ქალებსა და კაცებს შორის სრული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, გარდა დედობის დაცვის უფლებისა, პირდაპირ მთაგონებულია ევროკავშირის კანონმდებლობით (ქარტიის მე-8 მუხლი); მაგალითად, ქარტიით დაცული მუშაკი ქალის, ასევე, ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალი მუშაკების განმარტება მთაგონებულია საბჭოს 1992 წლის 19 ოქტომბრის დირექტივით 92/85/EEC, რომელიც შეეხება ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალი მუშაკების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ზომების შემოღებას (მე-10 ინდივიდუალური დირექტივა, 89/391/EEC დირექტივის 16(1) მუხლის მნიშვნელობით).
- ▶ სამსახურში მიღების მინიმალური ასაკი სახიფათო ან ჯანმრთელობისთვის საზიანოდ მიჩნეული პროფესიებისთვის, რომლებიც არ იყო დადგენილი 1961 წლის ქარტიაში, შესწორებულ ქარტიაში განისაზღვრა 18 წლით. ეს დებულებები მთაგონებულია საბჭოს

²¹⁷ Marangopoulos Foundation for Human Rights (MFHR) v. Greece, საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §196-დან 202-მდე

²¹⁸ Marangopoulos Foundation for Human Rights (MFHR) v. Greece, საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §196

²¹⁹ Centre on Housing Rights and Evictions (COHRE), v. Croatia, საჩივარი N 52/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 22 ივნისი, §§17-18

²²⁰ Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic, საჩივარი N 117/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §81

1994 წლის 22 ივნისის დირექტივით 94/33/EC, რომელიც ეხება ახალგაზრდა მუშაკთა დაცვას სამსახურში (ქარტიის 7§2 მუხლი).

- ▶ 29-ე მუხლის მიხედვით, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ დამსაქმებელთა მიერ დასაქმებულთა წარმომადგენლების ინფორმირება და კონსულტირება კოლექტიურ გათავისუფლებამდე/მასობრივ დათხოვნამდე. ავტორთა შთაგონების წყარო განლდათ საბჭოს 1992 წლის 24 ივნისის დირექტივა 92/56/EEC, რომლითაც შესწორდა დირექტივა 75/129 წევრ სახელმწიფოთა მასობრივ დათხოვნასთან დაკავშირებულ კანონმდებლობათა დაახლოების შესახებ.

კომიტეტმა განმარტა კავშირი ქარტიის სამართალსა და ევროკავშირის სამართალს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს ქარტიის განხორციელებაზე, არ არსებობს ქარტიასთან შესაბამისობის პრეზუმფცია, თუ სახელმწიფოს სათანადოდ აქვს ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანილი და განხორციელებული დირექტივა, მაშინაც კი, როცა ის ეხება ქარტიით გათვალისწინებულ საკითხს. კომიტეტმა აღნიშნა:

„31. მთავრობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას და, შედეგად, ქარტიასაც.

32. ამ არგუმენტის საპასუხოდ, კომიტეტი იმეორებს: ფაქტი, რომ სადავო დებულებები ეფუძნება ევროკავშირის დირექტივას, არ გამორიცხავს მათ ქარტიის მოქმედების სფეროდან (CFE-CGC v. France, საჩივარი N 16/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 12 ოქტომბერი, §30; იხ. ასევე, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, *Cantoni v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, §30).

33. კომიტეტმა უკვე აღნიშნა, რომ ის არ არის უფლებამოსილი, შეაფასოს სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივასთან, ან დირექტივის შესაბამისობა ევროპის სოციალურ ქარტიასთან. თუმცა, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან შესასრულებლად სავალდებულო ზომებზე იმ დირექტივების სახით, რომლებიც შეეხება ევროპის სოციალური ქარტიით გათვალისწინებულ საკითხებს, როგორც შესაბამისი ტექსტის მომზადებისას, ისე შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გადატანისას, სრულად უნდა გაითვალისწინონ ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირების დროს ნაკისრი ვალდებულებები. საბოლოო ჯამში, კომიტეტმა უნდა შეაფასოს სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიასთან, მათ შორის, როდესაც ევროკავშირის დირექტივის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გადატანამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ქარტიის სათანადოდ განხორციელებაზე.

34. კომიტეტის თქმით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ გარკვეულ გარემოებებში შესაძლოა არსებობდეს ევროკავშირის კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან (შემდგომში „კონვენცია“) შესაბამისობის პრეზუმფცია მთელი რიგი ინდიკატორების გამო, გამომდინარე იქიდან, თუ რა ადგილი უკავიათ კონვენციით უზრუნველყოფილ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ევროკავშირის კანონმდებლობაში.

35. კომიტეტი მიიჩნევს, რომ არც სოციალურ უფლებათა მდგომარეობა ევროკავშირის სამართლებრივ წესრიგში და არც მეორეული სამართლის შემუშავების პროცესი არ ამართლებს მსგავს პრეზუმფციას - თუნდაც სადავოს - ევროკავშირის სამართლებრივი ტექსტების ევროპის სოციალურ ქარტიასთან შესაბამისობის შესახებ.

36. ევროკავშირისადამისი წევრისახელმწიფოებისპოლიტიკური ნებისარარსებობა, რომ ევროპის სოციალურ ქარტიასთან მიერთება ამ ეტაპზე განიხილონ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთების თანადროულად, ამყარებს კომიტეტის ასეთ შეფასებას.

37. კომიტეტი ყურადღებით დააკვირდება, თუ როგორ ვითარდება ევროკავშირის ფუნქციონირების ეტაპობრივი რეფორმიდან გამომდინარე მოვლენები ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ძირითად უფლებათა ქარტიის ჩათვლით. იგი გადახედავს თავის შეფასებას შესაბამისობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით, როგორც კი ჩათვლის, რომ ფაქტორები, რომლებიც სასამართლომ დაადგინა კონვენციასთან მიმართებით პრეზუმფციაზე გადაწყვეტილების მიღებისას და აღარ არსებობს ევროპის სოციალურ ქარტიასთან მიმართებით, მატერიალიზებულია.

38. ამავდროულად, როდესაც კომიტეტი აფასებს მდგომარეობას, სადაც მხარე სახელმწიფოები ითვალისწინებენ ევროკავშირის სამართლებრივ ტექსტებს ან შებოჭილნი არიან ამ დოკუმენტებით, კომიტეტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს, დაცულია თუ არა უფლებები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.²²¹

აქედან გამომდინარე, კომიტეტმა ქარტიის ყოველი მუხლის შემთხვევაში უნდა განსაზღვროს, გულისხმობს თუ არა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივის დებულებები, რომ თითოეულ სახელმწიფოში მისი განსახორციელებელი გარემოებები შეესაბამება ქარტიას.

რაც შეეხება სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, რისკებისგან დაცვისა და მათი პრევენციის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო აღიარებულ ნორმებს. ჩაითვლება, რომ სახელმწიფო ასრულებს ამ ზოგად ვალდებულებას, თუკი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გადმოტანილი აქვს ევროგაერთიანების კანონმდებლობის დიდი ნაწილი სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში.²²²

რაც შეეხება აზბესტს, მაგალითად, საერთაშორისო საცნობარო სტანდარტებია: ევროგაერთიანების დირექტივა 83/477/EEC, რომელიც შეეხება დასაქმებულთა დაცვას სამუშაო ადგილას აზბესტთან დაკავშირებული რისკებისგან (შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 27 მარტის დირექტივით 2003/18/EC); ასევე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1986 წლის N 162 კონვენცია აზბესტის შესახებ.²²³

მაიონებელ გამოსხივებასთან მიმართებით, ეროვნულ სტანდარტებში გასათვალისწინებელია რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის რეკომენდაციები (1990 წლის N 60 პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული ICRP-ის რეკომენდაციები), რომლებიც შეეხება დოზურ ზღვრებს სამუშაო ადგილას ზემოქმედების შემთხვევაში, ასევე, იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც უშუალოდ არ მუშაობენ მაიონებელ გამოსხივებასთან, თუმცა შესაძლოა მოექცნენ მისი ზემოქმედების ქვეშ. ეროვნულ კანონმდებლობაში საბჭოს 1996 წლის 13 მაისის 96/29/Euratom დირექტივის გადმოტანა, რომელიც შეეხება მოსახლეობისა და დასაქმებულების დაცვას მაიონებელი გამოსხივების საფრთხისგან, საკმარისია, რადგან მასში ასახულია ICPR 103 რეკომენდაციებით დადგენილი დოზური ზღვრები.²²⁴

რაც შეეხება სამუშაო დროს, კომიტეტმა განიხილა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 4 ნოემბრის დირექტივა 2003/88/EC სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ²²⁵ და მიიჩნია: მიუხედავად იმისა, რომ დირექტივის პრეამბულაში არ არის მითითებული ქარტიაზე - მაშინ, როცა ქარტია რატიფიცირებულია ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება რამდენჯერმე მკაფიოდ მიუთითებს მასზე - საკითხები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დირექტივის ტექსტს, უდავოდ წარმოაჩენს მისი ავტორების განზრახვას, დაიცვან ქარტიით გათვალისწინებული უფლებები.

²²¹ *Confédération Générale du Travail (CGT) v. France*, საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 23 ივნისი, §§31-38

²²² დასკვნები 2005, კვიპროსი

²²³ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის განმარტების შესახებ

²²⁴ დასკვნები 2005, კვიპროსი

²²⁵ *Confédération Générale du Travail (CGT) v. France*, საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 23 ივნისი, §§ 39-42

კომიტეტს მიაჩნია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მიღწეული პრაქტიკული შეთანხმებები, სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, ხელს არ უშლის ქარტიის 2§1 და 4§2 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებათა კონკრეტულ და ეფექტიან განხორციელებას.

თუმცა, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეს დირექტივა ითვალისწინებს ბევრ გამონაკლისს და ვალდებულებისგან გათავისუფლების პირობას, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქარტიის მოთხოვნათა პრაქტიკაში დაცვაზე მხარე სახელმწიფოთა მიერ. ამრიგად, კომიტეტის აზრით, იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყენებენ ან გააერთიანებენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ამ გამონაკლისებსა და ვალდებულებისგან გათავისუფლების პირობებს, თითოეულ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა შესაძლოა შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს ქარტიის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს უფლების განმარტებისას, კომიტეტმა გაითვალისწინა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.²²⁶

ოჯახის გაერთიანების უფლებასთან მიმართებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ დირექტივის (EU) 2003/86/EC დებულებები შესაბამის წევრ სახელმწიფოებს აძლევს ისეთი წესების მიღება-გამოყენების უფლებას, რომლებიც არღვევს ქარტიის 19§6 მუხლს.²²⁷

კერძოდ, ეს დებულებები ეხება შემდეგ საკითხებს:

ა) ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნა შრომითი მიგრანტებისთვის, რომელთაც სურთ ოჯახის გაერთიანება.

ითვალისწინებდა რა შრომით მიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კონვენციის (ETS N 93) დებულებებს, კომიტეტი ყოველთვის მიიჩნევდა²²⁸, რომ ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის მოთხოვნა გადაჭარბებულია და არღვევს ქარტიის მოთხოვნებს.

ბ) სოციალური დახმარების გამოკლება იმ შრომითი მიგრანტის შემოსავლის დაანგარიშებიდან, რომელსაც სურს ოჯახის გაერთიანება (ხელმისაწვდომ საშუალებებთან დაკავშირებულ კრიტერიუმებთან მიმართებით).

კომიტეტი აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ უკვე შეზღუდა შემოაღნიშნული დირექტივით გათვალისწინებული შესაძლებლობა, რომ ოჯახის გაერთიანება შეიზღუდოს არსებული შემოსავლების საფუძველზე (იხ. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება *Chakroun*-ის საქმეზე, C-578/08, 48-ე პუნქტი).

კომიტეტი იხსენებს, რომ შრომით მიგრანტებს, რომელთაც საკმარისი შემოსავალი აქვთ ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად, ავტომატურად არ უნდა ეთქვათ უარი ოჯახის გაერთიანების უფლებაზე შემოსავლის წყაროს გამო, თუკი კანონიერად იღებენ ამ შემოსავალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (იხ. *Gül v. Switzerland*, N 23218/94, 1996 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება), კომიტეტი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გამონაკლისი, ხელშეწყობის ნაცვლად, ხელს უშლის ოჯახის გაერთიანებას. შესაბამისად, ეს შეზღუდვა, სავარაუდოდ, არსს აცლის 19§6 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას და, აქედან გამომდინარე, ეწინააღმდეგება ქარტიას.

²²⁶ Marangopoulos Foundation for Human Rights (MFHR) v. Greece, საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §196

²²⁷ დასკვნები 2011, განცხადება 19§6 მუხლის განმარტების შესახებ

²²⁸ დასკვნები I (1969), გერმანია

გ) მოთხოვნა, რომ შრომითი მიგრანტების ოჯახის წევრებმა ჩააბარონ ენის ან/და ინტეგრაციის ტესტი ქვეყანაში შესვლის უფლების მისაღებად, ან, ქვეყანაში ყოფნის შემთხვევაში, იქ დარჩენის უფლების მისანიჭებლად.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ რადგან აღნიშნული მოთხოვნა, განსაკუთრებული სიმკაცრის გამო, აბრკოლებს განაცხადის შეტანას ოჯახის გაერთიანების შესახებ, ეს პირობა, ხელშეწყობის ნაცვლად, ხელს უშლის ოჯახის გაერთიანებას. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვა, სავარაუდოდ, არსს აცლის 1996 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას და, აქედან გამომდინარე, ეწინააღმდეგება ქარტიას.

ქარტიის განხორციელება ეკონომიკური კრიზისის დროს

2009 წლის დასკვნებში კომიტეტმა განცხადება გააკეთა ქარტიის გამოყენებაზე გლობალური ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში:

ქარტიის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შესაბამისი საშუალებით შექმნან პირობები, რომლებშიც ეფექტიანად განხორციელდება *inter alia* ჯანმრთელობის დაცვის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, სოციალური და სამედიცინო დახმარების მიღების უფლება და სოციალური კეთილდღეობის მომსახურებით სარგებლობის უფლება. ამ თვალსაზრისით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა არ უნდა შეამციროს ქარტიით აღიარებულ უფლებათა დაცვა. შესაბამისად, ყველა მთავრობა ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ქარტიით განსაზღვრულ უფლებათა ეფექტიანად დასაცავად იმ პერიოდში, როდესაც ბენეფიციარებს ყველაზე მეტად სჭირდებათ.²²⁹

საქმეში *General Federation of employees of the national electric power corporation (GENOP-DEI)/Confederation of Greek Civil Servants' Trade Unions (ADEDY) v. Greece* (საჩივარი N 65/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი) კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს პრინციპი ვრცელდება ქარტიით უზრუნველყოფილ შრომით უფლებებზეც.²³⁰

მეტიც, საქმეში *Federation of employed pensioners of Greece ((IKA-ETAM) v. Greece* (საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი) კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს პრინციპი ვრცელდება ქარტიით გარანტირებულ სოციალური უზრუნველყოფის უფლებებზეც.²³¹

²²⁹ დასკვნები 2009, ზოგადი შესავალი
²³⁰ *General Federation of employees of the national electric power corporation (GENOP-DEI) / Confederation of Greek Civil Servants' Trade Unions (ADEDY) v. Greece*, საჩივარი N 65/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §§ 16-დან 18-მდე
²³¹ *Federation of employed pensioners of Greece ((IKA-ETAM) v. Greece*, საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §75

ნაწილი IV:

ქარტიის სხვადასხვა დებულების განმარტება

მუხლი 1 შრომის უფლება

ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საარსებო სახსრები გამოიმუშაოს თავისუფლად არჩეული საქმიანობით.

1§1 შრომის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მათ ერთ-ერთ ძირითად მიზნად და ვალდებულებად აღიარონ დასაქმების მაქსიმალურად შესაძლო მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, შემდგომში სრული დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით.

ქარტიის 1§1 მუხლის მიღებით, მხარე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, განახორციელონ სრული დასაქმების პოლიტიკა.²³² ამ მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ და განახორციელონ სამუშაო ადგილების შექმნისა და შენარჩუნებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური პოლიტიკა და ადეკვატური ზომები, რათა უმუშევრებს დაეხმარონ სამსახურის მოძებნას ან/და სამსახურისთვის შესაფერისი კვალიფიკაციის მიღებაში.²³³ სრული დასაქმების მიზნის მისაღწევად სახელმწიფოთა მიერ გაღებული ძალისხმევა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და უმუშევრობის დონეს.²³⁴

კომიტეტი 1§1 მუხლის განმარტებაში არ ეხება კოლექტიური მოლაპარაკებების ჩარჩოს, არბიტრაჟს, ინფორმირებასა და კონსულტირებას საწარმოში, სამუშაო დროის რეჟიმებს, ანაზღაურების დონესა და დაცვის სხვა ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფილია შრომითი ან/და სოციალური უზრუნველყოფის სამართლით.²³⁵ თუ დაცვის ამ ფორმებს არ აქვთ პირდაპირი დაამკარა გავლენა სრული დასაქმების მიზნის მიღწევაზე, ისინი უფროსათანადოდ განიხილება და ფასდება ქარტიის სხვა სპეციფიკური დებულებების საფუძველზე.²³⁶

აღნიშნული დებულება აკისრებს ქმედების და არა შედეგის ვალდებულებას.²³⁷ იმისათვის, რომ გადაწყვიტოს, ასრულებს თუ არა რეალურად ქვეყანა ამ ვალდებულებას, კომიტეტი დინამიკაში აფასებს კონკრეტული მომენტისთვის არსებულ მდგომარეობას, განხორციელებული უწყვეტი ქმედების გათვალისწინებით.²³⁸ თუ მხარე სახელმწიფო ოდესმე შეწყვეტს სრული დასაქმებისკენ სწრაფვას ეკონომიკური სისტემის სასარგებლოდ, რითაც იქმნება უმუშევართა მუდმივი ჯგუფი, ის დაარღვევს სოციალურ ქარტიას.²³⁹

²³² [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §125

²³³ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §125

²³⁴ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §125

²³⁵ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §126

²³⁶ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §126

²³⁷ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

მხოლოდ უმუშევრობის დონის შემცირება არ კმარა სრული დასაქმებისთვის გაწეული ძალისხმევის საჩვენებლად, თუ, მაგალითად, აქტიური მოსახლეობის 5% მაინც უმუშევარია.²⁴⁰ მეორე მხრივ, უმუშევრობის დონის ზრდა ხელს არ შეუშლის კომიტეტს, რომ დაასკვნას ქარტიის მოთხოვნათა შესრულება, თუ მნიშვნელოვანი ძალისხმევაა გაწეული შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.²⁴¹

გრძელვადიანი უმუშევრობა არის ფენომენი, რომელიც გულისხმობს მარგინალიზაციისა და სოციალური გარიყულობის უფრო მაღალ რისკს, რადგან ასეთ მუშაკებს, როგორც წესი, ყველაზე ნაკლები კვალიფიკაცია და გამოცდილება აქვთ.²⁴² კომიტეტი მკაცრ მონიტორინგს უწევს ამ ტიპის უმუშევრობის შესამცირებლად მიღებულ აქტიურ ზომებს.²⁴³

შესაბამისობის შეფასება ეფუძნება მთელ რიგ ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებს და ითვალისწინებს შედეგებს, რომლებსაც მხარე სახელმწიფოები აღწევენ ეკონომიკური ზრდის დასაქმებად გარდაქმნისა და უმუშევართა აქტიური დახმარების კუთხით.²⁴⁴

მხარე სახელმწიფოებს აქვთ დისკრეციის ფართო ფარგლები, როდესაც საქმე ეხება ეროვნული დასაქმების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.²⁴⁵

პირველ რიგში, კომიტეტი შეისწავლის მთელ რიგ მაჩვენებლებს, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას (მაგ: მშპ-ის ზრდა, ინფლაცია, სამუშაო ადგილების ზრდა), დასაქმების მოდელს (მაგ: დასაქმების დონე, ნახევარგანაკვეთიანი და ფიქსირებულგანაკვეთიანი სამუშაოს თანაფარდობა), ასევე, უმუშევრობის სტრუქტურასა და დონეს, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას (მაგ: ახალგაზრდები, ხანგრძლივად უმუშევარი პირები და უმცირესობათა წარმომადგენლები).²⁴⁶

ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტი იკვლევს პოლიტიკას, რისთვისაც ეყრდნობა როგორც სამართლებრივ ან დეკლარაციულ ვალდებულებათა შესრულების მტკიცებულებებს სრული დასაქმების კუთხით, ისე სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევის ამსახველ მონაცემებს, როგორცაა: გატარებულ დასაქმების დონისძიებათა ფარგლები (მაგ: რეალურად შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, ასეთ დონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა უმუშევართა რაოდენობასთან შეფარდებით, უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობა ასეთ დონისძიებებში ჩართვამდე) და სხვადასხვა დონისძიებისთვის გამოყოფილი რესურსების მოცულობა (მაგ: მთლიანი ხარჯი მშპ-ში, ბალანსი აქტიურ და პასიურ დონისძიებებს შორის).²⁴⁷

შრომის ბაზარზე გატარებული დონისძიებები უნდა იყოს მიზნობრივი და ეფექტიანი და ექვემდებარებოდეს რეგულარულ მონიტორინგს.²⁴⁸ ეს ზომები ხელს უნდა უწყობდეს მიგრანტებს, ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებსაც, რომლებიც შედიან შრომის ბაზარზე, ასევე, უმცირესობათა წარმომადგენლებს, უმუშევრობის ან არასრული დასაქმების განსხვავებული დონით (განსაკუთრებით ბოშებს).²⁴⁹ მდგომარეობა არ აკმაყოფილებს ქარტიის 1§1 მუხლის მოთხოვნებს, თუ შრომის ბაზრის აქტიურ დონისძიებებზე წვდომა აქვს ძალიან ცოტა ადამიანს.²⁵⁰

მდგომარეობა ქარტიის დარღვევად ჩაითვალა სახელმწიფოებში, სადაც:

²⁴⁰ [დასკვნები III \(1973\), განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴¹ [დასკვნები III \(1973\), განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴² [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

²⁴³ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

²⁴⁴ [დასკვნები 2002, განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴⁵ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §20

²⁴⁶ დასკვნები (2002), განცხადება 1§1 მუხლის განმარტების შესახებ

²⁴⁷ [დასკვნები 2020, თურქეთი](#)

²⁴⁸ [დასკვნები 2012, ალბანეთი](#)

²⁴⁹ [დასკვნები , 2020, აზერბაიჯანი; დასკვნები 2020, ლიეტუვა](#)

²⁵⁰ [დასკვნები 2012, ალბანეთი](#)

- ▶ არ არსებობდა არც სრული დასაქმების მიღწევის დეკლარაციული ვალდებულება და არც დასაქმების შეთანხმებული პოლიტიკა;²⁵¹
- ▶ ძალიან მაღალი იყო უმუშევრობის (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) და გრძელვადიანი უმუშევრობის დონე, რის ფონზეც არ კმაროდა გატარებული ღონისძიებები (მათ შორის, აქტიურ ღონისძიებებში მონაწილეთა მცირე რაოდენობისა და მცირე დანახარჯების გამო);²⁵²
- ▶ დასაქმების პოლიტიკა ხასიათდებოდა უარყოფითი ტენდენციებით, როგორც უმუშევარ პირთა გააქტიურების, ისე მთლიანი დანახარჯების კუთხით, იმ დროს, როდესაც უმუშევრობა მკვეთრად იზრდებოდა ეკონომიკური ზრდის მიუხედავად;²⁵³
- ▶ ძალიან ცოტა სამუშაოს მაძიებელს ჰქონდა წვდომა სწავლებაზე;²⁵⁴
- ▶ სახელმწიფო დანახარჯები შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის მიმართულებით შეადგენდა მშპ-ის ძალიან დაბალ პროცენტს და არ იყო დადგენილი, რომ დასაქმების პოლიტიკაში გაწეული ძალისხმევა საკმარისი იყო უმუშევრობასთან საბრძოლველად და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშესაწყობად.²⁵⁵

1§2 შრომის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, ეფექტიანად დაიცვან მუშაკის უფლება, გამოიმუშაოს საარსებო სახსრები მის მიერ თავისუფლად არჩეული საქმიანობით.

დანართი: ეს დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს კრძალავს ან უშვებს ნებისმიერი შეთანხმების ან პრაქტიკის არსებობას პროფესიულ კავშირში გაწევრიანებით დაცვის შესახებ.²⁵⁶

1§2 მუხლი მოიცავს სამ სხვადასხვა საკითხს:

1. დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა დასაქმების სფეროში. (1§2 მუხლთან შესაბამისობის მოთხოვნათა უმეტესობა, რომლებიც მიემართება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას, ვრცელდება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციაზე);²⁵⁷
2. იძულებითი შრომის აკრძალვა;²⁵⁸
3. ნებისმიერი პრაქტიკის აკრძალვა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს დასაქმებულთა უფლებას, საარსებო სახსრები გამოიმუშაონ თავისუფლად არჩეული საქმიანობით.²⁵⁹

თუმცა, ეს უფლება არ გულისხმობს, რომ მუშაკის მიერ თავისუფლად არჩეული საქმიანობა ყველა გარემოებაში დაცული იქნება ცვლილებებისგან, მათ შორის, საჯარო სექტორში რეორგანიზაციით გამოწვეული ცვლილებებისგან.²⁶⁰

1§2 მუხლი არსებითად უკავშირდება ქარტიის სხვა დებულებებს, ესენია: მე-20 მუხლი (დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და

²⁵¹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ნიდერლანდები \(ანტილოები და არუბა\)](#)

²⁵² [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

²⁵³ [დასკვნები XVI-1 \(2002\), პოლონეთი](#)

²⁵⁴ [დასკვნები 2012, ალბანეთი](#)

²⁵⁵ [დასკვნები 2012, სომხეთი](#)

²⁵⁶ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²⁵⁷ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁵⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁵⁹ [Unione Generale Lavoratori – Federazione Nazionale Corpo forestale dello Stato \(UGL-CFS\) and Sindacato autonomo polizia ambientale forestale \(SAPAF\) v. Italy](#), საჩივარი N 143/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 3 ივლისი, §76

²⁶⁰ [Unione Generale Lavoratori – Federazione Nazionale Corpo forestale dello Stato \(UGL-CFS\) and Sindacato autonomo polizia ambientale forestale \(SAPAF\) v. Italy](#), საჩივარი N 143/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 3 ივლისი, §77

თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება, სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე)²⁶¹, 8§2 მუხლი (დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება), 15§2 მუხლი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების უფლება)²⁶², 23-ე მუხლი (ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე) და 27-ე მუხლი (ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება). თუ მხარე სახელმწიფოს მიღებული აქვს ეს სპეციფიკური დებულებები, მდგომარეობა განიხილება ამ მუხლების და არა 1§2 მუხლის შესაბამისად.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა დასაქმების სფეროში

შესწორებული ქარტიის 1§2 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს ეს მუხლი, ვალდებული არიან, ეფექტიანად დაიცვან მუშაკთა უფლება, საარსებო სახსრები გამოიმუშაონ თავისუფლად არჩეული საქმიანობით.²⁶³ ეს ვალდებულება მოითხოვს დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის ყველა ფორმის (პირდაპირი თუ ირიბი) აღმოფხვრასაც, პროფესიული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების მიუხედავად.²⁶⁴

დისკრიმინაცია შეიძლება წარმოიშვას ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის ან სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ ერთნაირი მოპყრობის შედეგად.²⁶⁵ შესაძლოა მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციაა და არღვევს შესწორებულ ქარტიას, თუ მას არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ასევე, ობიექტური და გონივრული საფუძველი.²⁶⁶

ირიბი დისკრიმინაცია შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა სათანადოდ და დადებითად არ არის გათვალისწინებული ყველა შესაბამისი განსხვავება, ან არ მიღებულა ადეკვატური ზომები, რათა ყველასთვის გახსნილი უფლებები და კოლექტიური უპირატესობები ქუმმარტად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.²⁶⁷

ა) ნიშნები, რომელთა საფუძველზეც აკრძალულია დისკრიმინაცია

კომიტეტი მიიჩნევს, რომ 1§2 მუხლის თანახმად, კანონმდებლობით უნდა იკრძალოს დასაქმების სფეროში დისკრიმინაცია, სულ მცირე, ისეთი ნიშნებით, როგორცაა რასა, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია და პოლიტიკური შეხედულებები.²⁶⁸ უფრო ძლიერი დაცვა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს გარკვეულ საფუძვლებთან მიმართებით (მაგ: დისკრიმინაცია გენდერული, რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით).²⁶⁹

თუ მხარე სახელმწიფოს მიღებული აქვს ქარტიის 15§2 მუხლი, კომიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ამკრძალავ კანონმდებლობას განიხილავს ამ დებულების და არა 1§2 მუხლის თანახმად.²⁷⁰

1§2 მუხლის შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ის გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში

²⁶¹ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁶² [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁶³ [Syndicat national des professions du tourisme v. France](#), საჩივარი N 6/1999, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2000 წლის 10 ოქტომბერი, §24

²⁶⁴ [Syndicat national des professions du tourisme v. France](#), საჩივარი N 6/1999, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2000 წლის 10 ოქტომბერი, §24; დასკვნები XVI-1 (2002), ისლანდია

²⁶⁵ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 21 მარტი, §49

²⁶⁶ [Syndicat national des professions du tourisme v. France](#), საჩივარი N 6/1999, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2000 წლის 10 ოქტომბერი, §25

²⁶⁷ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 91/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 12 ოქტომბერი, §237

²⁶⁸ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

²⁶⁹ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

²⁷⁰ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ავსტრია](#)

სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი ინტერესის, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა ან ზნეობის დასაცავად.²⁷¹

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

ქარტიის შესაბამისი სათანადო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის არსებობა აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა ქარტიის პრინციპების ეფექტიანად გამოყენებისათვის.²⁷² დასაქმებაზე წვდომის კუთხით ქალებსა და აკაცებს შორის დისკრიმინაციის სამართლებრივად აკრძალვა არ კმარა, ის უნდა აღმოიფხვრას პრაქტიკაში.²⁷³

საპოლიციო სასწავლებელში ქალთა მიღების შეზღუდვა და, შედეგად, გამორიცხვა საპოლიციო მოვალეობათა 85%-დან პირდაპირი დისკრიმინაციაა სქესის ნიშნით, რადგან ეს არ არის აუცილებელი საზოგადოებრივი ინტერესების ან სახელმწიფო უსაფრთხოების დასაცავად დემოკრატიულ საზოგადოებაში და გაუმართლებელია ამ საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე.²⁷⁴

ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია

25 წლამდე დასაქმებულთა მინიმალური ხელფასის შემცირებამ შეიძლება წამოჭრას ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი.²⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მუშაკთა მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება შეიძლება ემსახუროდეს დასაქმების პოლიტიკის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას (კერძოდ, შრომის ბაზარზე ახალგაზრდა მუშაკთა ინტეგრაციას სერიოზული ეკონომიკური კრიზისისას), მინიმალური ხელფასის შემცირების მოცულობა და ის წესი, რომლის მიხედვითაც შემცირება ვრცელდება 25 წლამდე ასაკის ყველა მუშაკზე, არ უნდა იყოს არათანაზომიერი, თუნდაც კონკრეტული ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით.²⁷⁶

დისკრიმინაცია ეროვნული წარმოშობის ნიშნით

1§2 მუხლის თანახმად, იმ მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის წევრები, სარგებლობენ იმავე უფლებებით, როგორც აქვთ ევროკავშირის მოქალაქეებს, კერძოდ, ისეთ სამუშაოსთან მიმართებით, რომელზეც გავლენას არ ახდენს სახელმწიფოს მიერ პრეროგატივის უფლებით სარგებლობა.²⁷⁷

ქარტიის მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, საკუთარ ტერიტორიაზე დასაქმებისას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დააწესონ მოთხოვნა სამუშაო ნებართვის შესახებ, თუმცა მათ არ აქვთ უფლება, მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებს ზოგადად აუკრძალონ დასაქმება ისეთი მიზეზებით, რომლებიც განსხვავდება ქარტიის G მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისგან.²⁷⁸ ერთადერთი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლოა აუკრძალოთ ისეთ სამუშაოზე დასაქმება, რომელიც არსებითად უკავშირდება საზოგადოებრივ ინტერესებს ან სახელმწიფო უსაფრთხოებას და გულისხმობს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელებას.²⁷⁹

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 1§2 მუხლს, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა დამსაქმებლისგან მოითხოვს, რომ პერსონალის

²⁷¹ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

²⁷² [დასკვნები XVI-1 \(2003\), საბერძნეთი](#)

²⁷³ [დასკვნები XVI-1 \(2003\), საბერძნეთი](#)

²⁷⁴ [დასკვნები XVI-1 \(2003\), საბერძნეთი](#)

²⁷⁵ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §132

²⁷⁶ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 23 მარტი, §135

²⁷⁷ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ავსტრია](#)

²⁷⁸ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

²⁷⁹ [დასკვნები 2006, 2012, ალბანეთი](#)

შემცირებისას, პირველ რიგში, გაათავისუფლოს უცხოელი მუშაკები, რადგან ასეთი ქმედება დისკრიმინაციულია.²⁸⁰

დისკრიმინაცია სამუშაო განრიგთან მიმართებით

უნდა არსებობდეს ადეკვატური სამართლებრივი გარანტიები არასრულ განაკვეთზე მუშაობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ.²⁸¹ კერძოდ, უნდა არსებობდეს წესები, რომლებიც აღკვეთს არადეკლარირებულ სამუშაოს ზეგანაკვეთური დროის საშუალებით და უზრუნველყოფს თანაბარ ანაზღაურებას ყველა ასპექტში, არასრულ და სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებულ პირთა შორის.²⁸²

ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები შეიძლება საჭირო იყოს მოქნილობისათვის და სამუშაო ძალის საჭიროებებზე მოსარგებად, განსაკუთრებით, განათლების სექტორში, სადაც მოთხოვნა იცვლება ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა დონის სკოლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე.²⁸³

თუმცა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სათანადო წონასწორობის დაცვა მოქნილობასა და დასაქმებულთა უფლებას შორის, საარსებო სახსრები გამოიმუშაონ თავისუფლად არჩეული საქმიანობით.²⁸⁴ კერძოდ, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები არ უნდა გამოიყენებოდეს იმ მკაცრი წესების ასარიდებლად, რომლებიც ვრცელდება უვადო შრომით ხელშეკრულებებზე.²⁸⁵ ამ მიზნით, საჭიროა ადეკვატური სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც გამორიცხავს თანმიმდევრული ვადიანი შრომითი ხელშეკრულებებით ბოროტად სარგებლობას.²⁸⁶ თუ ეს მაინც მოხერხდება, სამართალსა და პრაქტიკაში უნდა არსებობდეს ადეკვატური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი სამართლებრივი დაცვის საშუალებები.²⁸⁷

ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხანგრძლივობა აუცილებლად არ გულისხმობს უვადო შრომით ხელშეკრულებაზე წვდომის უპირობო და ავტომატურ უფლებას, განსაკუთრებით, საჯარო სექტორში.²⁸⁸ თუმცა, როდესაც ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების ხანგრძლივობა აკმაყოფილებს აუცილებელ სტანდარტებს და უვადო შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პერსონალის სამუშაო გამოცდილების ეკვივალენტურია, თანმიმდევრული ხელშეკრულებების ფარგლებში დაგროვებული გამოცდილება, დროებითი წყვეტილთაგ, გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო კონკურსების დროს, როგორც სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმი.²⁸⁹

ფაქტი, რომ საჯარო სექტორში ვადიანი შრომითი ხელშეკრულება ავტომატურად ვერ გარდაიქმნება უვადო შრომით ხელშეკრულებად, თავისთავად ვერ ჩაითვლება ქარტიის საწინააღმდეგოდ, თუ არსებობს ქმედითი ზომები, რომლებიც აღკვეთს ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ბოროტად გამოყენებას და სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებად გვევლინება ასეთი გამოყენების შემთხვევებში.²⁹⁰

²⁸⁰ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ავსტრია](#)

²⁸¹ [დასკვნები 2008, ალბანეთი](#)

²⁸² [დასკვნები 2008, ალბანეთი](#)

²⁸³ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §112

²⁸⁴ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §113

²⁸⁵ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §113

²⁸⁶ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §113

²⁸⁷ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §113

²⁸⁸ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §114

²⁸⁹ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §114

²⁹⁰ [Confederazione Generale Sindacale \(CGS\) v. Italy](#), საჩივარი N 144/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §102

ბ) მატერიალური მოქმედების სფერო

აკრძალულია დისკრიმინაცია სამსახურში აყვანასა ან, ზოგადად, დასაქმების პირობებთან დაკავშირებით (კერძოდ, როგორცაა ანაზღაურება, სწავლება, დაწინაურება, სხვა პოზიციაზე გადაყვანა, სამსახურიდან გათავისუფლება, ან სხვა საზიანო ქმედება).²⁹¹

გ) ზომები, რომლებიც აუცილებელია დისკრიმინაციის ეფექტიანად აკრძალვისათვის

კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დისკრიმინაცია.²⁹²

152 მუხლის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სამართლებრივი ზომები დისკრიმინაციის ეფექტიანად აკრძალვისათვის.²⁹³ ამ ზომებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს, სულ მცირე, შემდეგი გარანტიები:

- ▶ თანასწორი მოპყრობის პრინციპის საწინააღმდეგო ნებისმიერი დებულება, რომელსაც შეიცავს კოლექტიური ან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება ან კომპანიის წესდება, ცნობილი იქნეს ბათილად, ანუღირდეს, გაუქმდეს ან შეიცვალოს;²⁹⁴
- ▶ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების ცნება მოიცავდეს: სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც ხელმისაწვდომია დისკრიმინაციის ბრალდების შემთხვევაში და შესაძლებელს ხდის სამსახურში აღდგენასა და კომპენსაციის გადახდას; და შრომის ინსპექციის მიერ ეფექტიანად აღსრულებადი ადეკვატური სანქციის არსებობას;²⁹⁵
- ▶ დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევისას, არსებობდეს სანქციები, რომლებიც საკმარისად შემაკავებელი იქნება დამსაქმებლისთვის, და ანაზღაურება, რომელიც იქნება პირისთვის მიყენებული ზარალის პროპორციული.²⁹⁶ დისკრიმინაციის ბრალდების შემთხვევაში, შესაბამისი და სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები უნდა იყოს ადეკვატური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი.²⁹⁷ კომპენსაციის წინასწარ განსაზღვრული ზედა ზღვრის დაწესება არ შეესაბამება ქარტიას, რადგან ზოგ შემთხვევაში ამან შეიძლება დააბრკოლოს ისეთი ანაზღაურების მინიჭება, რომელიც იქნება მიყენებული ზიანის თანაზომიერი და საკმარისად გადამარწმუნებელი დამსაქმებლისთვის;²⁹⁸
- ▶ დასაქმებული, რომელმაც შეიტანა საჩივარი ან მიმართა სასამართლოს, დაცული იყოს სამსახურიდან გათავისუფლებისა ან დამსაქმებლის სხვაგვარი სადამსჯელო ქმედებისგან;²⁹⁹
- ▶ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მტკიცების ტვირთის გადანაცვლებას დისკრიმინაციის საქმეებში, დასაქმებულის სასარგებლოდ.³⁰⁰

კომიტეტი მიიჩნევს, რომ შემდეგი ზომები აძლიერებს დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეფექტიანობას, ქარტიის 152 მუხლის თანახმად:

- ▶ პროფესიული კავშირების უფლების აღიარება, რომ დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შემთხვევაში მიიღონ ზომები, მათ შორის, ფიზიკური პირების

²⁹¹ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

²⁹² [დასკვნები XVIII-I \(2006\), ავსტრია](#)

²⁹³ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

²⁹⁴ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

²⁹⁵ [დასკვნები 2020, კვიპროსი](#)

²⁹⁶ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

²⁹⁷ [დასკვნები XVIII-I \(2006\), ავსტრია](#)

²⁹⁸ [დასკვნები XVIII-I \(2006\), ავსტრია](#)

²⁹⁹ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

³⁰⁰ [Syndicat de Défense des fonctionnaires v. France](#), საჩივარი N 73/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 13 სექტემბერი, §59

სახელით;³⁰¹

- ▶ კოლექტიური მოქმედების შესაძლებლობის მიცემა ჯგუფებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით;³⁰²
- ▶ სპეციალიზებული ორგანოს შექმნა, რომელიც დამოუკიდებლად შეუწყობს ხელს თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვას, კერძოდ, მხარს დაუჭერს დისკრიმინაციით დაზარალებულ პირებს საქმისწარმოების დაწყებაში.³⁰³

წინა პოლიტიკური საქმიანობის გამო პირის ამორიცხვა თანამდებობების დაკავებიდან, დაქირავებაზე უარის თქმის ან სამსახურიდან გათავისუფლების ფორმით, აკრძალულია, თუ ეს აუცილებელი არ არის G მუხლის მნიშვნელობით. ეს არ ეხება მხოლოდ იმ სამსახურებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სამართალზე, მართლწესრიგსა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ან ასეთი პასუხისმგებლობების მომცველ ფუნქციებს.³⁰⁴

იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა

I) იძულებითი შრომა საქონლის ან მომსახურების შესაქმნელად

იძულებითი ან სავალდებულო შრომის ყველა ფორმა უნდა აიკრძალოს.³⁰⁵ ამ ცნების განმარტება ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 4§2 მუხლის ინტერპრეტაციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N 29 კონვენციის იძულებითი შრომის შესახებ:

„ყოველგვარი სამუშაო ან სამსახური, რომელიც რაიმე სასჯელის მუქარით მოეთხოვება პირს და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს (მუხლი 2§1).³⁰⁶

კომიტეტი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „მონობის“ ცნების განმარტებაზე, რაც ასევე აკრძალულია კონვენციის 4§2 მუხლით.³⁰⁷

ნებისმიერი მუშაკის იძულება, შეასრულოს სამუშაო მისი ნების საწინააღმდეგოდ და თავისუფლად გამოხატული თანხმობის გარეშე, ეწინააღმდეგება ქარტიას.³⁰⁸ ეს ასევე ვრცელდება პირის იძულებაზე, შეასრულოს სამუშაო, რომელსაც მანამდე საკუთარი სურვილით ასრულებდა, თუმცა აღარ სურს მისი შესრულება.³⁰⁹

იძულებითი შრომის აკრძალვა გულისხმობს, რომ ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობაზე, ან გარკვეული კატეგორიის პერსონალის მიერ სამსახურის შეწყვეტასა და მიტოვებაზე - მაგალითად, სავაჭრო საზღვაო ფლოტსა ან ავიაციაში - არ ვრცელდება სასჯელადსრულების ზომა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის ქმედება, რომლისთვისაც შეიძლება წაყენოს ბრალდება, რისკებს უქმნის გემის ან თვითმფრინავის უსაფრთხოებას, ანდა ბორტზე მყოფ პირთა სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას.³¹⁰

იძულებითი შრომის აკრძალვის საწინააღმდეგო კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოუყენებლობა არ კმარა იმისათვის, რომ მდგომარეობა შეესაბამებოდეს ქარტიის 1§2 მუხლის მოთხოვნებს.³¹¹ შესაბამისად, ასეთი კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს.³¹²

³⁰¹ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

³⁰² [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

³⁰³ [დასკვნები XVI-1 \(2003\), ისლანდია](#)

³⁰⁴ [დასკვნები 2006, ლიეტუვა](#)

³⁰⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁰⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁰⁷ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁰⁸ [დასკვნები III \(1971\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁰⁹ [დასკვნები III \(1971\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³¹⁰ [დასკვნები V \(1975\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³¹¹ [დასკვნები V \(1975\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები XIII-3 \(1995\), ირლანდია](#)

³¹² [დასკვნები V \(1975\), განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

ქარტიის მხარე სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი პოზიტიური ვალდებულება და ამოქმედონ ისეთი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო, რომლითაც შესაძლებელი იქნება: იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის სხვა ფორმების აღკვეთა; დაზარალებულთა დაცვა და ამ პრაქტიკის სადავო ბრალდებათა გამოძიება; ნებისმიერი იმ ქმედების სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიკაცია და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიზანია პირის დატოვება მძიმე შრომითი ექსპლუატაციის პირობებში.³¹³

აქედან გამომდინარე, კომიტეტი ქარტიის 1§2 მუხლის მიხედვით განიხილავს, ასრულებენ თუ არა მხარე სახელმწიფოები თავიანთ პოზიტიურ ვალდებულებას, როგორცაა:

- ▶ იძულებითი შრომისა და მძიმე შრომითი ექსპლუატაციის სხვა ფორმების კრიმინალიზაცია, ეფექტიანი გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა;³¹⁴
- ▶ იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის სხვა ფორმების აღკვეთა;³¹⁵
- ▶ იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის სხვა ფორმების მსხვერპლთა დაცვა და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფა მათთვის, კომპენსაციის ჩათვლით.³¹⁶

კრიმინალიზაცია და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა

მხარე სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა მიიღონ სისხლისსამართლებრივი დებულებები იძულებითი შრომისა და მძიმე შრომითი ექსპლუატაციის სხვა ფორმების წინააღმდეგ, არამედ შესაბამისი ზომებიც გაატარონ მათ აღსასრულებლად.³¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად (*Chowdury and Others*, §116), კომიტეტი მიიჩნევს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა საკუთარი ინიციატივით უნდა იმოქმედონ მას შემდეგ, რაც საკითხი მათ წინაშე დადგება; გამოძიების წარმოების ვალდებულება არ უნდა იყოს დამოკიდებული დაზარალებული პირის ან მისი ახლო ნათესავის ოფიციალურ საჩივარზე.³¹⁸ ეს ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოა სამართალდამცველი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისთვის.³¹⁹

პრევენცია

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პრევენციული ზომები, როგორცაა მონაცემთა შეგროვება; იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებისა და მათი სიხშირის კვლევა; ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარება დარგის სპეციალისტებისთვის, სამართალდამცველი ორგანოებისა და მათი პერსონალისთვის; და ტრენინგების უზრუნველყოფა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის.³²⁰ მხარე სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ შრომის ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებიც/ მანდატიც, რათა ამ სამსახურმა შეძლოს შესაბამისი შრომის კანონმდებლობის აღსრულება ყველა დასაქმებულთან მიმართებით და ეკონომიკის ყველა სექტორში, ასევე, აღკვეთოს იძულებითი შრომა და შრომითი ექსპლუატაცია.³²¹ მხარე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის გულმოდგინება, რომ გამოავლინონ და აღკვეთონ იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები თავიანთ მიწოდების ჯაჭვში.³²²

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კომპანიებს უნდა აიძულებდეს ანგარიშების

³¹³ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³¹⁴ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³¹⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³¹⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³¹⁷ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³¹⁸ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³¹⁹ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³²⁰ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³²¹ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)
³²² [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

წარდგენას ზომებზე, რომლებსაც იღებენ იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევათა გამოსაძიებლად თავიანთ მიწოდების ჯაჭვში.³²³ კანონმდებლობა ასევე უნდა ითხოვდეს ყველა ზომის მიღებას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, რომ ფულადი სახსრები უნებლიეთ არ გამოიყენებოდეს თანამედროვე მონობის სხვადასხვა ფორმის მხარდასაჭერად.³²⁴

მსხვერპლთა დაცვა და სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ხელმისაწვდომობა, კომპენსაციის ჩათვლით

დამცავი ზომები ადამიანით ვაჭრობის კონტექსტში უნდა მოიცავდეს მსხვერპლთა იდენტიფიცირებას კვალიფიციურ პირთა მიერ და მათ დახმარებას ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გამოჯანმრთელებასა და რეაბილიტაციაში (როგორცაა შურისძიებისგან დაცვა, უსაფრთხო საცხოვრებელი, ჯანმრთელობის დაცვა, მატერიალური დახმარება, სოციალური და ეკონომიკური დახმარება, იურიდიული კონსულტაცია, მთარგმნელისა და თარჯიმნის მომსახურება, ნებაყოფლობითი რეპატრიაცია, ბინადრობის ნებართვის გაცემა მიგრანტებზე).³²⁵ არსებული სამართლებრივი ჩარჩო იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლთათვის, მათ შორის, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტებისთვის, უნდა უზრუნველყოფდეს წვდომას სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებებზე (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა თუ შრომითი სამართლის სასამართლოებამდე). ეს გულისხმობს ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებას, მათ შორის, განაცდურისა და გადაუხდელი სოციალური გადასახადის გადახდას.³²⁶

კომიტეტი მიუთითებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის (1930) 2014 წლის ოქმზე, რომელიც მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დაზარალებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებებზე, როგორცაა ზიანის ანაზღაურება, ეროვნულ ტერიტორიაზე მათი ყოფნის ან სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად.³²⁷

იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვის მოთხოვნა შეიძლება დაირღვეს, როდესაც:

- ▶ დებულებები სისხლისსამართლებრივ სანქციებს ითვალისწინებს მეზღვაურთათვის, რომლებიც სჩადიან დისციპლინური გადაცდომას ან ატოვებენ პოსტს, მაშინაც კი, თუ ამით საფრთხე არ ექმნება გემს ან ბორტზე მყოფ ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.³²⁸
- ▶ არმიის საკადრო ოფიცრებს, რომლებმაც გაიარეს რამდენიმე ტაპიანი სამხედრო მომზადება, მოეთხოვებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ოცდახუთ წლამდე³²⁹, ანდა პენსიაზე ვადამდე გასვლის გადაწყვეტილების მიღება რჩება თავდაცვის მინისტრის დისკრეციულ უფლებამოსილებაში და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება გრძელდება ისეთი პერიოდით, რომელიც არ შეესაბამება პროფესიის არჩევისა და დატოვების თავისუფლებას.³³⁰
- ▶ რეკვიზიციის უფლებამოსილებისთვის გამონაკლისი შემთხვევები ძალიან ფართოდ არის განსაზღვრული.³³¹ ნებისმიერი ასეთი უფლებამოსილება სათანადოდ მკაფიოდ უნდა განიმარტოს.³³²

³²³ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³²⁴ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³²⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი; სომხეთი](#)

³²⁶ [დასკვნები 2020, სომხეთი](#)

³²⁷ [დასკვნები XXII-1 \(2020\), გერმანია](#)

³²⁸ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. Greece](#), საჩივარი N 7/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2000 წლის 5 დეკემბერი, §22; იხ. ასევე დასკვნები 2012, პორტუგალია

³²⁹ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. Greece](#), საჩივარი N 7/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2000 წლის 5 დეკემბერი, §21

³³⁰ [დასკვნები 2004, ირლანდია; დასკვნები 2012, ირლანდია](#)

³³¹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), საბერძნეთი](#)

³³² [დასკვნები XVI-1 \(2002\), საბერძნეთი](#)

„გიგ ეკონომიკას“ ან „პლატფორმულ ეკონომიკაში“ დასაქმებულები

კომიტეტი ასევე აფასებს იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის საწინააღმდეგოდ მიღებულ ზომებს ორი კონკრეტული მიმართულებით: საშინაო შრომა და „გიგ ეკონომიკა“, ან „პლატფორმული ეკონომიკა“.³³³

საჭიროა კონკრეტული ზომების მიღება/გათვალისწინება „გიგ ეკონომიკას“, ან „პლატფორმულ ეკონომიკაში“ დასაქმებულთა დასაცავად შრომითი ექსპლუატაციისა და ბოროტად გამოყენებისაგან.³³⁴

II) იძულებითი შრომა საშინაო გარემოში

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე *Siliadin v. France* (2005 წლის 26 ივლისი), კომიტეტი მიიჩნევს, რომ ქართის 152 მუხლის თანახმად, იძულებითი შრომის აკრძალვა მოიცავს ოჯახში მონობასაც.³³⁵ საშინაო შრომის დროს და საოჯახო მეურნეობებში მუშაობისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იძულებით შრომასა და შრომით ექსპლუატაციას. ასეთი სამუშაო ხშირად გულისხმობს შეურაცხყოფელ, დამამცირებელ და არაადამიანურ საცხოვრებელ თუ სამუშაო პირობებს ოჯახში დასაქმებულთათვის.³³⁶ მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სამართლებრივი დებულებები საშინაო გარემოში იძულებითი შრომის წინააღმდეგ და ოჯახში დასაქმებულთა დასაცავად, ასევე, გაატარონ ზომები ამ დებულებათა განსახორციელებლად.³³⁷

III) მუშაობა სასჯელადსრულების დაწესებულებებში

პატიმართა სამუშაო პირობები სათანადოდ უნდა დარეგულირდეს, განსაკუთრებით, თუ ისინი პირდაპირ ან ირიბად მუშაობენ ციხის გარე დამსაქმებლებზე. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის შესაბამისად, ასეთი რეგულირება კანონების, რეგულაციების ან შეთანხმებების საშუალებით (განსაკუთრებით, როდესაც კომპანიები ციხის სახელოსნოებში მოქმედებენ ქვეკონტრაქტორთა სახით) უნდა ეხებოდეს ანაზღაურებას, სამუშაო საათებსა და შრომის სხვა პირობებს, ასევე, სოციალურ დაცვას (ისეთ სფეროებში, როგორცაა საწარმოო ტრავმები, უმუშევრობა, ჯანდაცვა და ხანდაზმულთა პენსია).³³⁸

IV) მოთხოვნა სამუშაოს ან ტრენინგის შეთავაზებაზე უარის შემთხვევაში უმუშევრობის შედავათების დაკარგვის შესახებ

მოთხოვნა, რომ პირები, რომლებიც ითხოვენ უმუშევრობის შემწეობას, დათანხმდნენ სამუშაოს ან ტრენინგის შეთავაზებას, ან სხვა შემთხვევაში ვეღარ მიიღებენ უმუშევრობის შემწეობას, განისაზღვრება 12§1 მუხლით.³³⁹ თუმცა, შედავათების ან დანმარების დაკარგვა, როდესაც უმუშევარი პირი უარს ამბობს სამუშაოს შეთავაზებაზე, შესაძლოა ზღუდავდეს მუშაობის თავისუფლებას, თუ პირი იძულებულია, შემწეობის დაკარგვის შიშით დათანხმდეს ნებისმიერ სამუშაოს, განსაკუთრებით, რომელიც:

- ▶ მოითხოვს შესაბამისი პირის კვალიფიკაციაზე ბევრად ნაკლებ უნარ-ჩვევებს;³⁴⁰
- ▶ ითვალისწინებს პირის წინა ხელფასზე გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას;³⁴¹
- ▶ მოითხოვს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის გარკვეულ დონეს, ან უნარს, რომელსაც პირი არ ფლობს იმ დროისათვის;³⁴²

³³³ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³³⁴ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³³⁵ [დასკვნები 2012, საფრანგეთი](#)

³³⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³³⁷ [დასკვნები 2008, განცხადება 152 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³³⁸ [დასკვნები 2012, განცხადება 152 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³³⁹ [დასკვნები 2012, განცხადება 152 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁰ [დასკვნები 2012, განცხადება 152 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴¹ [დასკვნები 2012, განცხადება 152 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴² [დასკვნები 2012, განცხადება 152 მუხლის განმარტების შესახებ](#)

- ▶ არ შეესაბამება შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობას, ადგილობრივ ხელშეკრულებებს, ან კოლექტიური დასაქმების ხელშეკრულებებს, რომლებიც მოიცავს შესაბამის სექტორსა თუ პროფესიას და ამიტომ შეიძლება გავლენა იქონიოს დასაქმებულის ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე;³⁴³
- ▶ სთავაზობს ანაზღაურებას, რომელიც ჩამოუვარდება ეროვნულ ან რეგიონულ მინიმალურ ხელფასს, შესაბამისი სექტორისა თუ პროფესიისთვის შეთანხმებულ ნორმას, ან სახელფასო სკალას;³⁴⁴
- ▶ სთავაზობს ანაზღაურებას, რომელიც არაგონივრულად დაბალია უმუშევრობის ყველა იმ შედეგთან შედარებით, რომლებსაც პირი იღებს შესაბამისი დროისათვის და, აქედან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულისა და მისი ოჯახის ღირსეული ცხოვრების დონეს;³⁴⁵
- ▶ შემოთავაზებულია მიმდინარე შრომითი დავის შედეგად;³⁴⁶
- ▶ შესაბამისი პირის სახლიდან იმდენად შორს არის, რომ შეიძლება არაგონივრულად ჩაითვალოს შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: სამსახურში მისასვლელად საჭირო დრო, ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებები, სახლს გარეთ გატარებული დრო მთლიანობაში, ჩვეული სამუშაო პირობები პიროვნების მიერ არჩეულ პროფესიაში, ან პირის ოჯახური ვალდებულებები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ეს ვალდებულებები არ ქმნიდა რამე პრობლემას პირის წინა სამსახურში);³⁴⁷
- ▶ მოითხოვს საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ოჯახური ვალდებულებების მქონე პირებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება მტკიცება, რომ ეს ვალდებულებები შეიძლება სათანადოდ შესრულდეს ახალ საცხოვრებელ ადგილას, შესაბამისი საცხოვრებელი ხელმისაწვდომია და, თუ პირის მდგომარეობა მოითხოვს, დასაქმების სამსახურები ან ახალი დამსაქმებელი დაფარავენ გადაადგილების ხარჯებს თანამშრომლის ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლების პატივისცემით.³⁴⁸

როდესაც შესაბამისი ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას უმუშევრობის შემწეობის მოხსნას ან დროებით შეჩერებაზე იმის გამო, რომ შემწეობის მიმღებმა პირმა უარი თქვა შეთავაზებულ სამუშაოზე, შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული გადაწყვეტილების განხილვა ეროვნული სასამართლოების მიერ, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომელმაც მიიღო ეს გადაწყვეტილება.³⁴⁹

თავისუფლად არჩეული საქმიანობით საარსებო სახსრების გამოიმუშავების უფლების სხვა ასპექტები

1§2 მუხლი შესაძლოა დაირღვეს რამდენიმე სხვა პრაქტიკითაც:

I) სამხედრო სამსახურის შემცვლელი სამსახურის ხანგრძლივობა (პირადი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა)

სამხედრო სამსახურის შემცვლელი სამსახურის ხანგრძლივობა (ალტერნატიული სამსახური, რომლის დროსაც პირს ერთმევა უფლება, საარსებო სახსრები გამოიმუშაოს თავისუფლად არჩეული საქმიანობით) უნდა იყოს გონივრული.³⁵⁰ ასეთი ჩანაცვლების ხანგრძლივობა უნდა იყოს სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობის პროპორციული და მთლიანობაში არ აღემატებოდეს მას.³⁵¹

³⁴³ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁴ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁵ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁶ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁷ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁸ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁴⁹ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁵⁰ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁵¹ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

ალტერნატიული სამსახური, რომელიც არ არის სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობაზე 1.5-ჯერ მეტი, როგორც წესი, შეესაბამება ქარტიას.³⁵² თუ სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა მოკლეა, კომიტეტი სავალდებულოდ არ მოითხოვს, რომ ალტერნატიული სამსახური არ იყოს სამხედრო სამსახურის ვადაზე 1.5-ჯერ მეტი.³⁵³ თუმცა, რაც უფრო დიდია სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა, მით უფრო მკაცრად აფასებს კომიტეტი ალტერნატიული სამსახურის დამატებითი ვადის მიზანშეწონილობას.³⁵⁴

პირადი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება, როგორც ასეთი, არ არის გარანტირებული ქარტიის 1§2 მუხლით.³⁵⁵ ქარტია არ ითხოვს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ცალსახად ითვალისწინებდეს სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებას ამ საფუძვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი მოთხოვნის არარსებობა რეალურად ხელს უშლის ნებისმიერ გათავისუფლებას სამხედრო სამსახურიდან.³⁵⁶

II) შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მინიმალური პერიოდი

1§2 მუხლის თანახმად, ნებისმიერ მინიმალურ პერიოდს უნდა ჰქონდეს გონივრული ხანგრძლივობა. თუ ეს ვადა გახანგრძლივდება განათლებიდან ან პროფესიული მომზადებიდან გამომდინარე, რომლითაც პირმა ისარგებლა, ის უნდა იყოს განათლებისა და სწავლების პერიოდის პროპორციული.³⁵⁷ ანალოგიურად, თანაზომიერი უნდა იყოს ნებისმიერი გადასახადის/ხარჯის ოდენობაც, რომელიც პირმა უნდა გადაიხადოს სამსახურის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში.³⁵⁸

III) სამედიცინო განხრით სამსახურის მინიმალური პერიოდი

კომიტეტის მიიჩნევს, რომ სამხედრო ექიმებისთვის დაწესებული მოთხოვნა სწავლების შემდეგ მინიმალური სამხედრო სამსახურის გავლაზე, ლეგიტიმურია, ისევე, როგორც მოთხოვნა, რომ სავალდებულო პერიოდის დასრულებამდე სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში, მათ გადაიხადონ გარკვეული თანხა. ეს საჭიროა სახელმწიფოს მიერ სამხედრო ექიმების სწავლებაზე გაღებული ხარჯის ასანაზღაურებლად და ჯარში საკმარისი რაოდენობის ექიმთა უზრუნველსაყოფად (საჭიროების მიხედვით).³⁵⁹

მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავიანთი დისკრეციის ფარგლებში დაიანგარიშონ სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა სწავლების შემდეგ და განსაზღვრონ სამსახურიდან ვადაზე ადრე წასვლის პირობები.³⁶⁰ კომიტეტმა არაერთხელ დაადგინა, რომ სამსახურის მინიმალური პერიოდის ხანგრძლივობა, განათლებიდან ან სწავლებიდან გამომდინარე, რომლითაც პირმა ისარგებლა, უნდა იყოს განათლებისა და სწავლების პროპორციული.³⁶¹ ანალოგიურად, თანაზომიერი უნდა იყოს ნებისმიერი გადასახადის/ხარჯის ოდენობაც, რომელიც პირმა უნდა აანაზღაუროს სამსახურის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში.³⁶²

³⁵² [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁵³ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁵⁴ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁵⁵ [European Organisation of Military Associations and Trade Unions \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 164/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 21 ოქტომბერი, §53

³⁵⁶ [European Organisation of Military Associations and Trade Unions \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 164/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 21 ოქტომბერი, §53

³⁵⁷ [დასკვნები 2012, საფრანგეთი](#)

³⁵⁸ [დასკვნები 2012, საფრანგეთი](#)

³⁵⁹ [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §38

³⁶⁰ [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §39

³⁶¹ [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §39

³⁶² [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §39

სწავლების შემდეგ 10-წლიანი სავალდებულო სამსახურის მოთხოვნა შეესაბამება ქარტიის 1§2 მუხლს.³⁶³

კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომლის ხანგრძლივობაც ორჯერ აღემატება თავდაპირველი სწავლების პერიოდს (12-დან 17 წლამდე, სპეციალისტის მომზადების შემთხვევაში, როდესაც მომზადების პერიოდი ითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადაში), პროპორციულად მიიჩნევა განათლებისა და სწავლების პერიოდის ხანგრძლივობასთან მიმართებით.³⁶⁴

IV) მუშაკთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება

ახალი ტექნოლოგიების გაჩენამ გარდატეხა მოახდინა კომუნიკაციების სფეროში: მან დამსაქმებლებს მისცა თანამშრომლებზე მუდმივი ზედამხედველობის საშუალება, თანამშრომლებს კი - პრაქტიკული შესაძლებლობა, თავიანთ კომპანიებზე იმუშაონ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან, მათ შორის, საკუთარი სახლებიდან. შედეგად, ზღვარი პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის შესუსტდა.³⁶⁵ სამუშაოს თავისუფლად შესრულების უფლება მოიცავს დაცვას პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლების დარღვევისგან.³⁶⁶

ვინაიდან ტერმინი „პირადი ცხოვრება“ შეიძლება განიმარტოს სხვადასხვა სიმკაცრით, შესაძლოა, უმჯობესი იყოს საუბარი „პირადი ცხოვრების უფლების დარღვევაზე“.³⁶⁷ 1§2 მუხლის თანახმად, პირი დაცული უნდა იყოს პირად ცხოვრებაში ჩარევისგან, რაც უკავშირდება ან გამომდინარეობს მისი დასაქმების მდგომარეობიდან, კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მონაცემთა შეგროვების თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით.³⁶⁸

1§2 მუხლი ცალსახად ეხება მხოლოდ იმ მომენტს, როდესაც პირი იწყებს სამსახურს.³⁶⁹ თუმცა, ლოგიკურად, თავისუფლების ძირითადი პრინციპი, რომელზეც ქარტია მიუთითებს ამ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით, შემდგომშიც უნდა მოქმედებდეს არასამუშაო სფეროში.³⁷⁰

პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და ღირსების უფლება ირღვევა სხვადასხვა ფორმით.³⁷¹ ეს შეიძლება უკავშირდებოდეს დასაქმებულისა ან სამუშაოს მაძიებლისთვის კითხვების დასმას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ოჯახურ მდგომარეობა ან წარმომავლობა, პარტნიორი, შეხედულებები, სექსუალური ორიენტაცია ან ქცევა, მისი ან ოჯახის წევრების ჯანმრთელობა, როგორ ატარებს თავისუფალ დროს და ა.შ.³⁷² აღნიშნული უფლება შეიძლება ასევე დაირღვეს, თუ დამსაქმებელი ამ მონაცემებს დროებით ან სამუდამოდ შეინახავს, დაამუშავებს, მესამე პირებს გაუზიარებს და გამოიყენებს დასაქმებულის მიმართ ზომების მისაღებად.³⁷³

პრინციპები, რომლებიც დასაქმებულებს იცავს პირად ცხოვრებაში არასაჭირო ჩარევისგან, 1§2 და 26-ე მუხლებში ფორმულირებულია ყველაზე ზოგადი ტერმინებით.³⁷⁴ თუმცა, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს ფაქტი, რომ სხვადასხვა გარემოებაში ამ პრინციპების დარღვევა შეიძლება არღვევდეს შესწორებული სოციალური ქარტიის სხვა მუხლებსაც³⁷⁵, განსაკუთრებით, შემდეგ

³⁶³ [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §40

³⁶⁴ [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §46

³⁶⁵ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁶⁶ [დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁶⁷ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁶⁸ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2012, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁶⁹ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷⁰ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷¹ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷² [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷³ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷⁴ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷⁵ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

დებულებებს: მე-3 მუხლი (რომლის ერთ-ერთი მიზანია დასაქმებულთა ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის საფრთხეებთან ბრძოლა), მე-5 მუხლი (ორგანიზაციაში გაწევრიანებასა და ორგანიზაციის წევრობაზე ინფორმაციის გამჭვირვებლობასთან დაკავშირებით), მე-6 მუხლი (კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით), მე-11 მუხლი (ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით), მე-20 მუხლი (სქესის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით), 24-ე მუხლი (კერძოდ, „ა“ პუნქტთან მიმართებით, რომელიც ეხება სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზებს), და 26-ე მუხლი (შევიწროების სხვადასხვა ფორმისგან დაცვასთან მიმართებით).³⁷⁶

1§3 შრომის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, შექმნან და შეინარჩუნონ დასაქმების უფასო სამსახურები ყველა მუშაკისთვის.

1§3 მუხლი განსაზღვრავს უფლებას დასაქმების უფასო სამსახურების არსებობაზე. ყველა მუშაკი სარგებლობს ამ უფლებით, აქედან გამომდინარე, ასეთი სამსახურები ეფექტიანად უნდა ფუნქციონირებდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით და ეკონომიკის ყველა დარგში.³⁷⁷ ამ სამსახურების მთავარი ფუნქციაა, დაასაქმონ უმუშევარი სამუშაოს მაძიებლები და ის დასაქმებულები, რომლებიც სხვა სამუშაოს ეძებენ.³⁷⁸ დასაქმების ძირითადი მომსახურება, როგორცაა სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია და ვაკანსიების შეტყობინება, უნდა იყოს უფასო, როგორც დასაქმებულების, ისე დამსაქმებლებისთვის.³⁷⁹

ვაკანსიების შეტყობინებისთვის დამსაქმებლებზე გადასახადის დაწესება ეწინააღმდეგება 1§3 მუხლს, მაშინაც კი, როცა გადასახადი მცირეა და ემსახურება მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვას.³⁸⁰ დასაქმების კერძო სააგენტოების მიერ გადასახადის დაწესება არ ეწინააღმდეგება 1§3 მუხლს, თუ ყველა პროფესიასა და გეოგრაფიულ არეალში ფუნქციონირებს დასაქმების სრულფასოვანი, უფასო სამსახურები.³⁸¹

დასაქმების სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების შესაფასებლად, კომიტეტი იყენებს შემდეგ რაოდენობრივ მაჩვენებლებს:

- ▶ დასაქმების სამსახურში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და უმუშევართა საერთო რაოდენობა;³⁸²
- ▶ დასაქმების სამსახურისთვის შეტყობინებული ვაკანსიების რაოდენობა;³⁸³
- ▶ ასეთი სამსახურის საშუალებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა;³⁸⁴
- ▶ დასაქმების კოეფიციენტი (ე.ი. შეტყობინებული ვაკანსიების რამდენ პროცენტს შეადგენს დასაქმების სამსახურის მიერ დასაქმებულთა რაოდენობა);³⁸⁵
- ▶ საშუალო დრო, რომელიც დასაქმების სამსახურს სჭირდება ვაკანსიის შესავსებად;³⁸⁶
- ▶ შრომის ბაზარზე მთლიანობაში დასაქმებულ პირთა რამდენ პროცენტს შეადგენენ ასეთი სამსახურის მიერ დასაქმებული პირები;³⁸⁷
- ▶ საჯარო და კერძო სამსახურების შესაბამისი საბაზრო წილი (დასაქმების სამსახურის საშუალებით დასაქმებულთა რაოდენობა შრომის ბაზარზე მთლიანობაში დასაქმებულთა რაოდენობასთან შეფარდებით).³⁸⁸

³⁷⁶ [დასკვნები 2006, განცხადება 1§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

³⁷⁷ [დასკვნები 2016, სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

³⁷⁸ [დასკვნები 2016, სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

³⁷⁹ [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

³⁸⁰ [დასკვნები XIV-1 \(1998\), თურქეთი](#)

³⁸¹ [დასკვნები 2020, აზერბაიჯანი; დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

³⁸² [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁸³ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁸⁴ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁸⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁸⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁸⁷ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

³⁸⁸ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

- ▶ დასაქმების სახელმწიფო სამსახურების მიერ მიღებული ზომები ეფექტიანი პერსონალიზებული მომსახურების მისაწოდებლად, განსაკუთრებით, ხანგრძლივად უმუშევარი პირების, დაბალკვალიფიციური პირების, ახალგაზრდებისა და ბოშებისთვის;³⁸⁹
- ▶ დასაქმების სამსახურებში მომუშავე პირთა რაოდენობა (ცენტრალურად და ადგილობრივად);³⁹⁰
- ▶ დასაქმების მომსახურებაში ჩართულ კონსულტანტთა რაოდენობა;³⁹¹
- ▶ დასაქმების სამსახურთა პერსონალის რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი;³⁹²
- ▶ დასაქმების კერძო სააგენტოთა ლიცენზირების, ფუნქციონირებისა და დასაქმების სამსახურებთან მუშაობის კოორდინირების ფორმა;³⁹³
- ▶ პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების მონაწილეობა დასაქმების სამსახურების ორგანიზებასა და მართვაში.³⁹⁴

პროფესიულ კავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ დასაქმების სამსახურების ორგანიზებასა და მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობა.³⁹⁵

1§4 შრომის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შესაბამისი პროფესიული ორიენტაციის საშუალებებს, პროფესიულ მომზადებასა და რეალიზაციას.

1§4 მუხლი განსაზღვრავს უფლებას პროფესიულ ორიენტაციაზე, დასაქმებულ და უმუშევარ პირთა უწყვეტ პროფესიულ მომზადებასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებულ პროფესიულ ორიენტაციასა და მომზადებაზე.³⁹⁶

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ ასეთი მომსახურება, მასზე წვდომა მისცენ ყველა დაინტერესებულ პირს და უზრუნველყონ თანასწორი მოპყრობა ქარტიის სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.³⁹⁷

1§4 მუხლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ▶ სთავაზობს თუ არა შრომის ბაზარი პროფესიული ორიენტაციისა და მომზადების მომსახურებას დასაქმებულ და უმუშევარ პირებს, ასევე, მომზადებას, რომელიც მორგებულია კონკრეტულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე;
- ▶ წვდომა: რამდენმა ადამიანმა ისარგებლა აღნიშნული მომსახურებით;
- ▶ არსებობს თუ არა კანონმდებლობა, რომელიც ცალსახად კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას პროფესიული მომზადების სფეროში.³⁹⁸

პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ეფექტიანობა ფასდება შემდეგი მაჩვენებლებით: დაფინანსება, პერსონალი და ბენეფიციართა რაოდენობა.³⁹⁹

ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნა სწავლის დაწყებამდე არ უნდა გავრცელდეს სტუდენტებსა ან სტაჟიორებზე, რომლებიც შესაბამისი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე

³⁸⁹ დასკვნები 2020, სლოვაკეთის რესპუბლიკა
³⁹⁰ დასკვნები 2020, სლოვაკეთის რესპუბლიკა
³⁹¹ დასკვნები 2020, სლოვაკეთის რესპუბლიკა
³⁹² დასკვნები 2020, სლოვაკეთის რესპუბლიკა
³⁹³ დასკვნები 2020, სლოვაკეთის რესპუბლიკა
³⁹⁴ დასკვნები 2020, სლოვაკეთის რესპუბლიკა
³⁹⁵ დასკვნები XV-1 (2000), დანართი, პოლონეთი
³⁹⁶ დასკვნები 2003, ბულგარეთი
³⁹⁷ დასკვნები 2012, საქართველო; დასკვნები XII-1 (1991), განცხადება 1§4 მუხლის განმარტების შესახებ
³⁹⁸ დასკვნები 2008, ალბანეთი
³⁹⁹ დასკვნები XX-1 (2012), ისლანდია

ცხოვრობენ ნებისმიერი სტატუსით, ან ფლობენ ცხოვრების უფლებას ქვეყანაში ლეგალურად მცხოვრებ პირთან კავშირის გამო.⁴⁰⁰ თუ პროფესიული ორიენტაციის, მომზადებისა ან რეაბილიტაციის მსურველ უცხოელს მოეთხოვება ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნა, ეს უთანასწორო მოპყრობაა, რაც ეწინააღმდეგება ქარტიას.⁴⁰¹

1§4 მუხლი ავსებს მე-9 მუხლს (პროფესიული ორიენტაციის უფლება), 10§3 მუხლს (სრულწლოვანი მუშაკების უწყვეტი პროფესიული მომზადების უფლება) და 15§1 მუხლს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული განათლებისა და მომზადების უფლება), რომლებიც შეიცავს პროფესიული ორიენტაციისა და მომზადების მომსახურების უფრო კონკრეტულ უფლებებს, შედარებით ფართო მატერიალური მოქმედების სფეროებით.⁴⁰²

თუ მხარე სახელმწიფოს მიღებული აქვს ზემოაღნიშნული დებულებები (მუხლები 9, 10§3 და 15§1), მდგომარეობა აღარ განიხილება 1§4 მუხლის საფუძველზე და, ამის ნაცვლად, მიეთითება 9, 10§3 და 15§1 მუხლების მიხედვით გაკეთებული შეფასება.⁴⁰³ ვინაიდან ეს დებულებები უფლებათა უფრო ფართო სპექტრს ადგენს, ვიდრე 1§4 მუხლი, მათთან შეუსაბამობაზე დასკვნა მიიღება 1§4 მუხლის საფუძველზე, თუ შეუსაბამობის მიზეზი უკავშირდება კონკრეტულად 1§4 მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ასპექტებს.⁴⁰⁴ თუ მხარე სახელმწიფოს არ აქვს მიღებული 9, 10§3 და 15§1 მუხლებიდან ერთ-ერთი (ან მეტი), მდგომარეობის ქარტიის მოთხოვნებთან შესაბამისობა დგინდება არსებითად 1§4 მუხლის საფუძველზე, თუმცა მხოლოდ ამ დებულებით გათვალისწინებულ ზოგად ასპექტებთან მიმართებით.⁴⁰⁵

როდესაც მხარე სახელმწიფოს არ აქვს რატიფიცირებული 15§1 მუხლი, მდგომარეობა ვერ იქნება 1§4 მუხლის შესაბამისი, თუ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ცალსახად იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დისკრიმინაციისგან პროფესიული მომზადების სფეროში.⁴⁰⁶ მდგომარეობა ვერ იქნება ქარტიის 1§4 მუხლის შესაბამისიც, თუ არ არის დადგენილი, რომ კანონმდებლობა დასაქმებულ პირთათვის ითვალისწინებს ინდივიდუალურ შვებულებას პროფესიული მომზადების გასაავლელად.⁴⁰⁷ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება ძირითადი პროფესიული მომზადების გავლაზე ეფექტიანად უნდა იყოს გარანტირებული.⁴⁰⁸

მუხლი 2 უფლება შრომის სამართლიან პირობებზე

ყველა მუშაკს აქვს უფლება შრომის სამართლიან პირობებზე.

2§1 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ გონივრული დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების რაოდენობა და სამუშაო კვირის თანმიმდევრული შემცირება, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შრომის პროდუქტიულობის გაზრდა და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

2§1 მუხლით დასაქმებულთათვის გარანტირებულია უფლება დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების გონივრულ ოდენობაზე, ზეგანაკვეთური დროის ჩათვლით.⁴⁰⁹ ამის მიზანია

⁴⁰⁰ დასკვნები 2008, ბულგარეთი

⁴⁰¹ დასკვნები 2008, ბულგარეთი

⁴⁰² დასკვნები 2007, ბულგარეთი

⁴⁰³ დასკვნები I (1969), განცხადება 1§4 მუხლის განმარტების შესახებ

⁴⁰⁴ დასკვნები 2008, განცხადება 1§4 მუხლის განმარტების შესახებ

⁴⁰⁵ დასკვნები 2003, ბულგარეთი

⁴⁰⁶ დასკვნები 2020, აზერბაიჯანი

⁴⁰⁷ დასკვნები 2020, მალტა

⁴⁰⁸ დასკვნები 2020, მონტენეგრო

⁴⁰⁹ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ

დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა.⁴¹⁰ დასაქმებულთა მდგომარეობას „გამოძახებით“ ან უწყვეტი სამუშაო საათების განმავლობაში მუშაობისას კომიტეტი განიხილავს ამ დებულების შესაბამისად.⁴¹¹ ამ მუხლთან მიმართებით, ადეკვატურად უნდა იყვნენ დაცულნი არასრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავე პირებიც.⁴¹²

გონივრული სამუშაო საათები, მათ შორის, ზეგანაკვეთური დრო, გარანტირებული უნდა იყოს კანონმდებლობით, რეგულაციებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით ან სხვა შესასრულებლად სავალდებულო საშუალებებით.⁴¹³ პრაქტიკაში ამ ზღვრების დაცვა უნდა გააკონტროლოს შესაბამისმა ორგანომ.⁴¹⁴ ზღვრები უნდა გავრცელდეს ყველა კატეგორიის დასაქმებულზე და მათი გადაჭარბება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგ: სტიქიური უბედურებები, ფორსმაჟორული გარემოებები და ა.შ.).⁴¹⁵

ქართია ცალსახად არ განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს გონივრული სამუშაო საათები.⁴¹⁶ აქედან გამომდინარე, მდგომარეობა ფასდება ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში; კომიტეტმა დაადგინა, რომ ყოველდღიური სამუშაო დრო არავითარ შემთხვევაში (გარდა საგანგებო მდგომარეობისა) არ უნდა აღემატებოდეს 16 საათს, მაშინაც კი, როცა სანაცვლოდ გულისხმობს ყოველკვირეული სამუშაო დროის შემცირებას.⁴¹⁷

როდესაც აფასებს მხარე სახელმწიფოთა მიერ 2§1 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულებას, კომიტეტი მიიჩნევს, რომ განსახილველ სახელმწიფოში კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო საათების რაოდენობის გარდა, გასათვალისწინებელია კოლექტიურ ხელშეკრულებათა ზეგავლენაც, ასევე, დამსაქმებლის მიერ ზეგანაკვეთური მუშაობის მოთხოვნის უფლების ბუნება და მოცულობა.⁴¹⁸

ზეგანაკვეთურ მუშაობაზე გადაწყვეტილება არ უნდა მიიღებოდეს მხოლოდ დამსაქმებლის ან დასაქმებულის შეხედულებისამებრ.⁴¹⁹ ზეგანაკვეთური მუშაობის მიზეზები და ხანგრძლივობა უნდა რეგულირდებოდეს.⁴²⁰ მხარე სახელმწიფოებმა უნდა დააფუძნონ შესაბამისი ორგანოები, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო დროის ზღვრების დაცვას პრაქტიკაში.⁴²¹

2§1 მუხლი ითვალისწინებს ყოველკვირეული სამუშაო საათების თანმიმდევრულ შემცირებას, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა შრომის პროდუქტიულობის გაზრდა და სხვა შესაბამისი ფაქტორები. „სხვა შესაბამისი ფაქტორები“ შეიძლება იყოს სამუშაოს ტიპი და სამუშაო ადგილას არსებული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები.⁴²² 40 საათზე ნაკლები სამუშაო კვირის ფართოდ შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ვადის შემცირების საჭიროება.⁴²³

დასაქმებულთა პირადი და ოჯახური ცხოვრების დასაცავად, კომიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ფაქტს, რომ დასაქმებულებს მკაფიოდ და სათანადოდ ეცნობოთ ნებისმიერი ცვლილება მათ სამუშაო საათებში.⁴²⁴

⁴¹⁰ [Confédération Générale du Travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 22/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §34

⁴¹¹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴¹² [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴¹³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴¹⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴¹⁵ [დასკვნები \(2014\), ნიდერლანდები](#)

⁴¹⁶ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴¹⁷ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ნორვეგია; დასკვნები \(2014\), სომხეთი](#)

⁴¹⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴¹⁹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴²⁰ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴²¹ [დასკვნები 2018, საქართველო](#)

⁴²² [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴²³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴²⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

საკანონმდებლო დებულებები, რომლებითაც შემოღებული ან ნებადართულია მოქნილი სამუშაო საათები, ბევრმა მხარე სახელმწიფომ მიიღო.⁴²⁵ სამუშაო საათების საშუალო მოცულობა ანგარიშდება საანგარიშო პერიოდისთვის.⁴²⁶ ამ სქემების შედეგად, ნამუშევარი საათები, რომლებიც აღემატება საშუალო სამუშაო დროს, პრაქტიკაში ანაზღაურდება დასვენებით საანგარიშო პერიოდის სხვა კვირების განმავლობაში.⁴²⁷ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს ზომები არ არღვევს ქარტიას.⁴²⁸ მოქნილი სამუშაო დრო, როგორც ასეთი, არ არღვევს ქარტიას.⁴²⁹

ქარტიასთან შესაბამისობისათვის, შიდასახელმწიფოებრივი კანონები ან რეგულაციები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

- (I) აღკვეთდნენ არაგონივრულ ყოველდღიურ და ყოველკვირეულ სამუშაო დროს.⁴³⁰
- (II) მოქმედებდნენ სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს ადეკვატურ გარანტიებს.⁴³¹
- (III) ითვალისწინებდნენ გონივრულ საანგარიშო პერიოდს საშუალო სამუშაო დროის გამოსათვლელად.⁴³² პერიოდი ოთხიდან ექვს თვემდე მისაღებია 2§1 მუხლის მიზნებისთვის. გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება ასევე მისაღები იყოს მაქსიმუმ ერთ წლამდე პერიოდი.⁴³³ საანგარიშო პერიოდის გახანგრძლივება შეიძლება გამართლებული იყოს ობიექტური, ტექნიკური, ან სამუშაოს ორგანიზებასთან დაკავშირებული მიზეზებით.⁴³⁴

მთლიანი სამუშაო კვირა (ჩვეულებრივ სამუშაო საათებს დამატებული ზეგანაკვეთური დრო), რომელიც „მოქნილი სამუშაო საათების რეგულაციების“ ფარგლებში შეიძლება აღწევდეს ან აღემატებოდეს კვირაში 60 საათს, არაგონივრულია.⁴³⁵ დასაქმებულთა გარკვეული კატეგორიების გამორიცხვა კანონით დაწესებული დაცვისგან არაგონივრულ სამუშაო საათებთან მიმართებით, შეუსაბამობის საფუძველია.⁴³⁶ მეზღვაურთა უფლება გონივრულ ყოველკვირეულ სამუშაო დროზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს კანონმდებლობით.⁴³⁷

კომიტეტი უფრო მეტ გარანტიებს ითხოვს, თუ მოქნილი სამუშაო საათები შეთანხმებულია საწარმოს დონეზე გაფორმებულ კოლექტიურ ხელშეკრულებებში.⁴³⁸

დასაქმებულებს, რომლებიც მოქნილი სამუშაო გრაფიკით მუშაობენ ხანგრძლივი საანგარიშო პერიოდის (მაგ: ერთი წლის) განმავლობაში, არ უნდა მოეთხოვებოდეთ მუშაობა არაგონივრული სამუშაო საათების ან გადაჭარბებული რაოდენობის გრძელი სამუშაო კვირების განმავლობაში.⁴³⁹

გამოძახებით მუშაობის პერიოდი (*périodes d'astreinte*) - რომლის განმავლობაშიც

⁴²⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴²⁶ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 და 4§2 მუხლების განმარტების შესახებ](#)

⁴²⁷ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 და 4§2 მუხლების განმარტების შესახებ](#)

⁴²⁸ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴²⁹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 და 4§2 მუხლების განმარტების შესახებ](#)

⁴³⁰ [Confédération Française de l'Encadrement CFE-CGC v. France](#), საჩივარი N 9/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2001 წლის 16 ნოემბერი, §29

⁴³¹ [Confédération Française de l'Encadrement CFE-CGC v. France](#), საჩივარი N 9/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2001 წლის 16 ნოემბერი, §29

⁴³² [Confédération Française de l'Encadrement CFE-CGC v. France](#), საჩივარი N 9/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2001 წლის 16 ნოემბერი, §29

⁴³³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴³⁴ [დასკვნები XIX-3 \(2010\), ესპანეთი](#)

⁴³⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ნიდერლანდები; Conclusions 2018, თურქეთი](#)

⁴³⁶ [დასკვნები 2018, ნიდერლანდები](#)

⁴³⁷ [დასკვნები 2018, ესტონეთი](#)

⁴³⁸ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴³⁹ [დასკვნები XX-3 \(2014\), გერმანია](#)

დასაქმებულს არ მოეთხოვება სამუშაოს შესრულება დამსაქმებლისთვის - მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს ეფექტიან სამუშაო დროს, ვერ ჩაითვლება დასვენების პერიოდად ქარტიის მე-2 მუხლის მნიშვნელობით.⁴⁴⁰ გამოძახებით მუშაობის პერიოდის გაიგივება დასვენების პერიოდთან არღვევს 2§1 მუხლით გათვალისწინებული გონივრული სამუშაო დროის უფლებას.⁴⁴¹ ეფექტიანი სამუშაოს არარსებობა *a posteriori* განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც დასაქმებული *a priori* თავად ვერ განკარგავს საკუთარ დროს, ვერ იქნება ადეკვატური კრიტერიუმი ასეთი პერიოდის დასვენების პერიოდად მისაჩნევად.⁴⁴²

2§2 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ სახელმწიფო უქმე დღეების ანაზღაურება.

ყოველკვირეული დასვენების პერიოდებისა და ყოველწლიური შვებულების გარდა, 2§2 მუხლით გარანტირებულია სახელმწიფო უქმე დღეების ანაზღაურების უფლებაც.⁴⁴³ სახელმწიფო უქმე დღეები შეიძლება განისაზღვროს კანონმდებლობით ან კოლექტიური ხელშეკრულებებით.⁴⁴⁴

ქარტიაში არ არის მითითებული სახელმწიფო უქმე დღეების რაოდენობა. ეს რიცხვი განსხვავდება მხარე სახელმწიფოთა მიხედვით. ჯერ არ დადგენილა შეუსაბამობა ამ დებულებასთან მხარე სახელმწიფოში ცოტა სახელმწიფო უქმე დღის არსებობის გამო. თუმცა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა დასაქმებულის უფლება სახელმწიფო უქმე დღეების ანაზღაურებაზე.⁴⁴⁵

როგორც წესი, სახელმწიფო უქმე დღეებში მუშაობა უნდა იკრძალებოდეს.⁴⁴⁶ თუმცა, ეს შეიძლება ნებადართული იყოს კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებით დადგენილ კონკრეტულ გარემოებებში.⁴⁴⁷

სახელმწიფო უქმე დღეებში სამუშაოს შესრულება გულისხმობს შუღლუვას დასაქმებულის მხრიდან და ის უნდა ანაზღაურდეს.⁴⁴⁸ გათვალისწინებულია რა სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული განსხვავებული მიდგომები ასეთი კომპენსაციის ფორმებსა და დონეებთან მიმართებით, ასევე, მხარე სახელმწიფოთა შორის შეუთავსებლობა აღნიშნული კუთხით, მათ შეუძლიათ დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობა ამ საკითხში, იმ პირობით, რომ ყველა დასაქმებულს ექნება ადეკვატური კომპენსაციის მიღების უფლება სახელმწიფო უქმე დღეებში მუშაობისათვის.⁴⁴⁹

როდესაც ფასდება სახელმწიფო უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ადეკვატურობა, გასათვალისწინებელია კანონით ან სხვადასხვა მოქმედი კოლექტიური ხელშეკრულებით დადგენილი ანაზღაურების დონეები, გაზრდილი ხელფასის ან/და საკომპენსაციო შვებულების სახით, რომლებიც ემატება ოფიციალურ დასვენების დღეებში გადახდილ ანაზღაურებას და გაანგარიშდება დღიურად, ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად.⁴⁵⁰ მაგალითად, 75%-ით გაზრდილი რეგულარული შრომის ანაზღაურება არ არის საკმარისად მაღალი კომპენსაცია, რომ სათანადო დონის ანაზღაურებად ჩაითვალოს

⁴⁴⁰ [Confédération générale du travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 23 ივნისი, §64

⁴⁴¹ [Confédération Française de l'Encadrement CFE-CGC v. France](#), საჩივარი N 16/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 12 ოქტომბერი, §53

⁴⁴² [Confédération Française de l'Encadrement CFE-CGC v. France](#), საჩივარი N 16/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 12 ოქტომბერი, §§50-53

⁴⁴³ [დასკვნები 2018, ოატვია](#)

⁴⁴⁴ [დასკვნები 2018, ოატვია](#)

⁴⁴⁵ [დასკვნები XXI-3 \(2019\), გაერთიანებული სამეფო](#)

⁴⁴⁶ [დასკვნები 2018, ოატვია](#)

⁴⁴⁷ [დასკვნები 2014, ნიდერლანდები](#)

⁴⁴⁸ [დასკვნები 2014, ნიდერლანდები](#)

⁴⁴⁹ [დასკვნები 2014, ანდორა](#)

⁴⁵⁰ [დასკვნები 2014, საფრანგეთი](#)

სახელმწიფო უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოსთვის.⁴⁵¹

სახელმწიფო უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოსთვის უნდა გაიცეს ჩვეულებრივზე მაღალი ანაზღაურება, რომელიც, სულ მცირე, ორჯერ აღემატება ჩვეულებრივ განაკვეთს.⁴⁵² კომპენსაციის სახით მუშაკს შესაძლოა მიეცეს სანაცვლო დასვენების დროც, ნამუშევარი დღეების მინიმუმ ორმაგი ოდენობით.⁴⁵³

2§3 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ მინიმუმ ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

2§3 მუხლით გარანტირებულია მინიმუმ ოთხკვირიანი (ან 20 სამუშაო დღით) ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

ყოველწლიური შვებულების აღებაზე შეიძლება ვრცელდებოდეს მოთხოვნა, რომ სრულად იყოს გასული თორმეტი სამუშაო თვე, რომლისთვისაც დასაქმებულს ასეთი შვებულება ეძლევა.⁴⁵⁴

დაუშვებელია ყოველწლიური შვებულების ჩანაცვლება ფინანსური ანაზღაურებით, ხოლო დასაქმებულებს არ უნდა ჰქონდეთ ყოველწლიურ შვებულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.⁴⁵⁵ თუმცა, ეს პრინციპი არ გამორიცხავს დასაქმებულისთვის ერთჯერადი თანხის გადახდას სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში, იმ ანაზღაურებადი შვებულების კომპენსაციისთვის, რომლის აღების უფლებაც ჰქონდა, თუმცა არ აუღია.⁴⁵⁶

მინიმუმ ორკვირიანი უწყვეტი ყოველწლიური შვებულება დასაქმებულმა უნდა გამოიყენოს იმ წლის განმავლობაში, რომელშიც ეკუთვნოდა.⁴⁵⁷ ფაქტი, რომ ყველა თანამშრომელს არ აქვს წელიწადში, სულ მცირე, ორკვირიანი უწყვეტი შვებულებით სარგებლობის უფლება, ქარტიასთან შეუსაბამობის საფუძველია.⁴⁵⁸ ორ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ყოველწლიური შვებულება შეიძლება გადაიდოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ კონკრეტულ გარემოებებში, რომლებიც ამართლებს ასეთ გადადებას.⁴⁵⁹

ყოველწლიური შვებულების მთლიანად მომდევნო წლისთვის გადადება არ შეესაბამება ქარტიის 2§3 მუხლს.⁴⁶⁰

დასაქმებულებს, რომლებიც ყოველწლიური შვებულების დროს ავად გახდებიან ან ტრავმას მიიღებენ, უფლება აქვთ, დაკარგული დღეები სხვა დროს აინაზღაურონ ისე, რომ მთლიანობაში გამოუვიდეთ ამ პუნქტით გათვალისწინებული ოთხკვირიანი შვებულება.⁴⁶¹ ეს მოთხოვნა ეხება ყველა შემთხვევას, იმის მიუხედავად, შრომისუნარობა შვებულების პერიოდამდე წარმოიშობა, თუ მის დროს; ასევე, შემთხვევებს, როდესაც საწარმოში ყველა მუშაკისთვის არის დადგენილი ფიქსირებული შვებულების პერიოდი.⁴⁶² პირობის დაწესება, რომ დასაქმებულმა დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულზე დამსაქმებელს და მიაწოდოს სამედიცინო ცნობა, შეესაბამება ქარტიის 2§3 მუხლს.⁴⁶³

⁴⁵¹ [დასკვნები XX-3 \(2014\), საბერძნეთი](#)

⁴⁵² [დასკვნები 2010, განცხადება 2§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁵³ [დასკვნები 2010, განცხადება 2§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁵⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 2§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁵⁵ [დასკვნები I \(1969\), ირლანდია](#)

⁴⁵⁶ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 2§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁵⁷ [დასკვნები 2007, განცხადება 2§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁵⁸ [დასკვნები XXI-3 \(2018\), ესპანეთი](#)

⁴⁵⁹ [დასკვნები 2007, განცხადება 2§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁶⁰ [დასკვნები 2018, რუსეთის ფედერაცია](#)

⁴⁶¹ [დასკვნები XII-2 \(1992\), განცხადება 2§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁶² [დასკვნები XII-2 \(1992\), განცხადება 2§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁶³ [დასკვნები 2014, ავსტრია](#)

2§4 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღმოფხვრან რისკი შინაგანად სახიფათო და არაჯანმრთელ სამუშაოებზე, ხოლო იქ, სადაც ჯერჯერობით შეუძლებელია ამ რისკის აღმოფხვრა ან საკმარისად შემცირება, უზრუნველყონ ან სამუშაო საათების შემცირება, ან დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება ამ საქმიანობით დაკავებული მუშაკებისთვის.

ქარტიის მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, აღმოფხვრან რისკები ბუნებრივად სახიფათო და არაჯანსაღ სამუშაოებზე.⁴⁶⁴ კომიტეტი გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებს სახიფათო და არაჯანსაღ სამუშაოების განსაზღვრისას.⁴⁶⁵ თუმცა, ზოგიერთი დარგი და პროფესია უნდა ჩაითვალოს სახიფათოდ ან არაჯანსაღად (მაგ: სამთო მრეწველობა, კარიერების დამუშავება, ფოლადთან მუშაობა, გემთმშენებლობა და ისეთი სამუშაოები, სადაც დასაქმებულები განიცდიან მაიონებული გამოსხივების, ექსტრემალური ტემპერატურისა და ხმაურის ზემოქმედებას).⁴⁶⁶

სახიფათო და არაჯანსაღ სამუშაოების აღმოფხვრა იდეალური გამოსავალი იქნებოდა, თუმცა ვიდრე ასეთი პროფესიები ჯერ კიდევ არსებობს, 2§4 მუხლი მოითხოვს კონკრეტული ზომების მიღებას.⁴⁶⁷

თუ, ერთი მხრივ, იმ ტექნიკური პირობების მუდმივი გაუმჯობესება, რომლებშიც ხორციელდება გარკვეული სახიფათო ან არაჯანსაღ სამუშაოები, ძირითადი ფაქტორია უბედურ შემთხვევათა და დაავადებათა რისკის შესამცირებლად, მეორე მხრივ, თანაბრად აუცილებელია სამუშაო საათების შემცირება და დამატებითი თავისუფალი დროის მიცემა დასაქმებულთათვის, რადგან ეს ამცირებს ფიზიკურ და გონებრივ დაღლილობას, რისკების ზემოქმედებას, და დასაქმებულებს აქვთ უფრო ხანგრძლივი დასვენების პერიოდები.⁴⁶⁸

როდესაც აფასებს 2§4 მუხლის მოთხოვნათა შესრულებას მხარე სახელმწიფოთა მიერ, კომიტეტი პირველ რიგში განიხილავს, თუ რა ზომებია მიღებული სახიფათო ან არაჯანსაღ სამუშაოებისთვის დამახასიათებელი რისკების თანდათანობით აღმოსაფხვრელად.⁴⁶⁹ მეორე: კომიტეტი შეისწავლის, თუ რომელი საკომპენსაციო ზომები გამოიყენება ისეთი რისკების ქვეშ მყოფ მუშაკთა მიმართ, რომლებიც ვერ აღმოიფხვრება ან ჯერ არ აღმოფხვრილა, ანდა საკმარისად არ შემცირებულა პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანად გამოყენების მიუხედავად, ან იმის გამო, რომ ასეთი ღონისძიებები ჯერ არ გამოუყენებიათ.⁴⁷⁰

რისკების აღმოფხვრა ან შემცირება

2§4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, აღმოფხვრან რისკები ბუნებრივად სახიფათო ან არაჯანსაღ სამუშაოებზე.⁴⁷¹ ეს ნაწილი მჭიდროდ უკავშირდება ქარტიის მე-3 მუხლს (უფლება უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე, იხ. ქვემოთ), რომლის თანახმადაც, მხარე სახელმწიფოებს ევალებათ შესაბამისი პოლიტიკისა და ზომების გატარება სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.⁴⁷² საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი ითვალისწინებს მოწოდებულ ინფორმაციას და ქარტიის მე-3 მუხლზე მიღებულ დასკვნებს.⁴⁷³

მაგალითად, საკანონმდებლო დებულება, რომ რადიაციის მსგავს აგენტთა ზემოქმედება (რომლებიც საფრთხეს უქმნის ან რისკქვეშ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობასა და

⁴⁶⁴ [დასკვნები XX-3 \(2014\) გერმანია](#)

⁴⁶⁵ [დასკვნები II \(1971\), განცხადება 2§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁶⁶ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ნორვეგია; *STTK ry and Tehy ry v. Finland*, საჩივარი N 10/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2001 წლის 17 ოქტომბერი, §27; \[დასკვნები 2018, ბოსნია და ჰერცეგოვინა\]\(#\)](#)

⁴⁶⁷ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 2§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁶⁸ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 2§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁶⁹ [დასკვნები XX-3 \(2014\) გერმანია](#)

⁴⁷⁰ [დასკვნები XX-3 \(2014\) გერმანია](#)

⁴⁷¹ [დასკვნები 2018, ლატვია](#)

⁴⁷² [დასკვნები 2018, ლატვია](#)

⁴⁷³ [დასკვნები XVIII-2 \(2007\), განცხადება 2§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

უსაფრთხოებას) შემცირდეს იმ დონემდე, რომ აღარ იყოს სახიფათო ან სარისკო დასაქმებულების ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის, შესაბამება 2§4 მუხლს.⁴⁷⁴

თვითდასაქმებულებზე სათანადოდ უნდა ვრცელდებოდეს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები.⁴⁷⁵

ნარჩენი რისკის საპასუხო დონის ძიებები

თუ რისკების აღმოფხვრა შეუძლებელია, ან არ შემცირებულა/აღმოფხვრილა, 2§4 მუხლი ითვალისწინებს კომპენსაციის ორ ფორმას: ყოველდღიური სამუშაო საათების შემცირება და დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა.⁴⁷⁶ კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამუშაო საათების შემცირება და დამატებითი შვებულების მიცემა მნიშვნელოვანია როგორც დასაქმებულთა სიფხიზლისთვის სახიფათო სიტუაციებში, ისე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად.⁴⁷⁷

თუ გავითვალისწინებთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნებზე აქცენტს ამ დებულებაში, რისკების ზემოქმედების შესამცირებლად სხვა მიდგომებმაც შეიძლება უზრუნველყოს ქარტიასთან შესაბამისობა.⁴⁷⁸ ალტერნატიული მიდგომები შეფასდება ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.⁴⁷⁹

ფინანსური კომპენსაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს შესაბამის და სათანადო ზომად 2§4 მუხლის მიზნების მისაღწევად.⁴⁸⁰ პენსიაზე ადრე გასვლა, ხელფასის გაზრდა ან საკვები დანამატებით უზრუნველყოფა ასევე არ არის შესაბამისი და სათანადო ზომები შესწორებული ქარტიის 2§4 მუხლის მიზნების მისაღწევად.⁴⁸¹

საკომპენსაციო ზომები, როგორცაა ერთი დამატებითი დასვენების დღე და მაქსიმუმ 40-საათიანი სამუშაო კვირა, არაა დეკვატურად ჩაითვალა, რადგან რისკქვეშ მყოფ დასაქმებულებს რეგულარულად არ ეძლევათ საკმარისი დრო ძალების აღსადგენად.⁴⁸²

ნარჩენი რისკების ზემოქმედების საკომპენსაციო ზომები უნდა დარეგულირდეს ცენტრალურ დონეზე და არ იყოს დამოკიდებული სოციალურ პარტნიორთა შორის შეთანხმებაზე.⁴⁸³

2§5 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფის ყოველკვირეული დასვენების პერიოდს, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა ემთხვეოდეს შესაბამის ქვეყანაში ან რეგიონში ტრადიციით ან ჩვეულებით აღიარებულ დასვენების დღეს.

2§5 მუხლი ითვალისწინებს ყოველკვირეული დასვენების პერიოდს, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა ემთხვეოდეს შესაბამის ქვეყანას ან რეგიონში ტრადიციით ან ჩვეულებით აღიარებულ დასვენების დღეს (კვირა დღე ქარტიის ყველა მხარე სახელმწიფოში).⁴⁸⁴ თუმცა, ეს მუხლი ითვალისწინებს დასვენების დღის აღების შესაძლებლობას სხვა დღესაც (კვირის გარდა), საქმიანობის ბუნებიდან ან ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე.⁴⁸⁵

⁴⁷⁴ [დასკვნები 2014, ფინეთი](#)

⁴⁷⁵ [დასკვნები XX-3 \(2014\), საბერძნეთი](#)

⁴⁷⁶ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §236

⁴⁷⁷ [დასკვნები III \(1973\), ირლანდია](#)

⁴⁷⁸ დასკვნები (XVIII-2) 2007, განცხადება 2§4 მუხლის განმარტების შესახებ

⁴⁷⁹ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §236

⁴⁸⁰ [დასკვნები XIII-3 \(1995\) საბერძნეთი](#)

⁴⁸¹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი; დასკვნები 2007, რუმინეთი](#)

⁴⁸² [დასკვნები XX-3 \(2014\), საბერძნეთი](#)

⁴⁸³ [დასკვნები 2014, ნიდერლანდები](#)

⁴⁸⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁴⁸⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

გარდა ამისა, სამუშაო კვირის განმავლობაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეორე დასვენების დღეც.⁴⁸⁶

მიუხედავად იმისა, რომ დასვენების პერიოდი უნდა იყოს „ყოველკვირეული“, მისი გადადება შეიძლება მომდევნო კვირისთვის, იმ პირობით, თუ არცერთი მუშაკი არ იმუშავებს ზედიზედ 12 დღე, ორდღიანი დასვენებით სარგებლობამდე.⁴⁸⁷ დასვენების პერიოდამდე ზედიზედ 12 სამუშაო დღე მაქსიმალური ზღვარია.⁴⁸⁸

ამ წესიდან გამონაკლისი შესაძლოა შეესაბამებოდეს 2§5 მუხლს, თუ დასვენების პერიოდი ნამდვილად გამონაკლის შემთხვევაში გადავადდება, მკაცრი გარანტიების თანხლებით (როგორცაა: შრომის ინსპექციის ნებართვა, პროფესიული კავშირების ან, სიტუაციიდან გამომდინარე, დასაქმებულთა წარმომადგენლების თანხმობით; საქმეში უსაფრთხოების წარმომადგენლის ჩარევის შესაძლებლობა, თუ დამსაქმებელი არ დაიცავს შესაბამის წესებს).⁴⁸⁹

დაუშვებელია ყოველკვირეული დასვენების პერიოდის უფლების ჩანაცვლება კომპენსაციით, ხოლო დასაქმებულებს არ უნდა შეეძლოთ ყოველკვირეულ დასვენების პერიოდზე უარის თქმა.⁴⁹⁰

გამოძახებით მუშაობის დრო ყოველკვირეული დასვენების პერიოდში, როდესაც დასაქმებულს არ მოეთხოვებოდა მუშაობა, ვერ ჩაითვლება ყოველკვირეულ დასვენების პერიოდად.⁴⁹¹

2§6 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ მუშაკები წერილობითი ფორმით იყვნენ ინფორმირებულნი, რაც შეიძლება სწრაფად და ყველა შემთხვევაში, არა უგვიანეს ორი თვისა მათი დასაქმების დაწყების თარიღიდან, კონტრაქტის ან მათი შრომითი ურთიერთობების ძირითადი ასპექტების შესახებ.

დანართი: მხარეებმა შესაძლოა განსაზღვრონ, რომ ეს დებულება არ გავრცელდეს:

- a. მუშაკებზე, რომელთა შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი ურთიერთობების საერთო ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ თვეს, ან/და სამუშაო კვირა არ აღემატება რვა საათს;**
- b. შემთხვევებზე, როდესაც შრომითი ხელშეკრულება ან შრომითი ურთიერთობები ჩვეულებრივი ან/და სპეციფიკური ბუნებისაა და ამ დებულების გამოყენებლობა გამართლებულია ობიექტური მოსაზრებებით.⁴⁹²**

2§6 მუხლი ითვალისწინებს დასაქმებულთა უფლებას, სამსახურის დაწყებისას მიიღონ წერილობითი ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს შრომით ხელშეკრულებასა ან სხვა სავალდებულო დოკუმენტში, რომელიც მუშაკს გადაეცემა სამსახურში აყვანისას (დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები, კოლექტიური კონტრაქტი ან კომპანიის წესდება, ბრძანება ოფიციალური დანიშვნის შესახებ, სახელფასო ცნობა, კოლექტიური ხელშეკრულება, სამუშაოს აღწერილობა და ა.შ.).⁴⁹³

ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შრომითი ურთიერთობების ან შრომითი ხელშეკრულების ძირითად ასპექტებს, როგორცაა:

- ▶ მხარეთა ვინაობა;

⁴⁸⁶ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 2§5 მუხლის განმარტების შესახებ

⁴⁸⁷ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 2§5 მუხლის განმარტების შესახებ

⁴⁸⁸ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 2§5 მუხლის განმარტების შესახებ

⁴⁸⁹ დასკვნები 2010, რუმინეთი; დასკვნები 2014, შვედეთი; დასკვნები XX-3 (2014), დანია

⁴⁹⁰ დასკვნები 2016, სომხეთი

⁴⁹¹ *Confédération Générale du Travail (CGT) v. France*, საჩივარი N 22/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §39

⁴⁹² ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

⁴⁹³ დასკვნები 2014, მოლდოვას რესპუბლიკა; დასკვნები 2018, უკრაინა

- ▶ სამუშაო ადგილი;
- ▶ შრომითი ურთიერთობების ან შრომითი ხელშეკრულების დაწყების თარიღი;
- ▶ დროებითი შრომითი ურთიერთობების ან შრომითი ხელშეკრულების შემთხვევაში, მისი სავარაუდო ხანგრძლივობა;
- ▶ ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა;
- ▶ შეტყობინების პერიოდი შრომითი ურთიერთობების ან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;
- ▶ ანაზღაურება;
- ▶ დასაქმებულის ნორმალური სამუშაო დღის ან კვირის ხანგრძლივობა;
- ▶ საჭიროების შემთხვევაში, მითითება კოლექტიურ ხელშეკრულებებზე, რომლებიც არეგულირებს დასაქმებულის სამუშაო პირობებს.⁴⁹⁴

2§7 შრომის სამართლიან პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფას, რომ მუშაკებმა, რომლებიც ასრულებენ ღამის სამუშაოს, ისარგებლონ იმ შედავათებით, რომლებიც ითვალისწინებენ სამუშაოს სპეციფიკურ ხასიათს.

2§7 მუხლი ითვალისწინებს საკომპენსაციო ზომებს იმ დასაქმებულთათვის, რომლებიც ასრულებენ ღამის სამუშაოს. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ან პრაქტიკა უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა არის „ღამის სამუშაო“ ამ დებულების კონტექსტში, კერძოდ, რომელი პერიოდი ითვლება „ღამედ“ და ვინ შეიძლება ჩაითვალოს „ღამის სამუშაოზე დასაქმებულ პირად“.⁴⁹⁵

ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს სამუშაოს სპეციფიკურ ბუნებას, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

- ▶ რეგულარული სამედიცინო შემოწმება, მათ შორის, შემოწმება ღამის სამუშაოზე დასაქმებამდე;⁴⁹⁶
- ▶ დღის სამუშაოზე გადაყვანის შესაძლებლობა;⁴⁹⁷
- ▶ მუდმივი კონსულტაციები დასაქმებულთა წარმომადგენლებთან შემდეგ საკითხებზე: ღამის სამუშაოს შემოღება, მისი პირობები, და ზომები, რომლებიც მიღებულია დასაქმებულთა საჭიროებების შესაჯერებლად ღამით მუშაობის განსაკუთრებულ ბუნებასთან.⁴⁹⁸

კანონმდებლობის მოთხოვნის არარსებობა, რომ ღამის სამუშაოზე დასაქმებულებს ჩაუტარდეთ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება მოვალეობათა შესრულების დაწყებამდე, შემდგომში კი - რეგულარული სამედიცინო შემოწმებებიც, 2§7 მუხლთან შეუსაბამობის საფუძველია.⁴⁹⁹ აღნიშნული შემოწმებები დასაქმებულებს უნდა ჩაუტარდეთ უფასოდ.⁵⁰⁰

თუ დასაქმებულთა წარმომადგენლებთან არ ტარდება რეგულარული კონსულტაციები ღამის სამუშაოს პირობებზე, ასევე, დასაქმებულთა საჭიროებების მორგებაზე ღამის სამუშაოს სპეციფიკურ ბუნებასთან, ეს 2§7 მუხლთან შეუსაბამობის საფუძველია.⁵⁰¹

⁴⁹⁴ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

⁴⁹⁵ [დასკვნები 2014, ბულგარეთი](#); [დასკვნები 2018, საქართველო](#)

⁴⁹⁶ [დასკვნები 2003, რუმინეთი](#)

⁴⁹⁷ [დასკვნები 2003, რუმინეთი](#)

⁴⁹⁸ [დასკვნები 2003, რუმინეთი](#)

⁴⁹⁹ [დასკვნები 2018, ანდორა](#)

⁵⁰⁰ [დასკვნები 2018, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

⁵⁰¹ [დასკვნები 2018, ჩრდილოეთ მაკედონია](#)

ყველა მუშაკს აქვს უფლება უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე.

ეს უფლება ფართოდ აღიარებული პრინციპია, რომელიც პირდაპირ გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპიდან, ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის უფლებიდან.⁵⁰² მე-3 მუხლის მიზანი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიზანს, რომელიც აღიარებს სიცოცხლის უფლებას.⁵⁰³ ის ვრცელდება მთელ ეკონომიკაზე და მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს, დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებს.⁵⁰⁴

მე-3 მუხლით განსაზღვრული უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უფლების გამოყენებასთან მიმართებით, იკვეთება სხვადასხვა ახალი ტენდენცია (მაგ: გაზრდილი კონკურენცია, ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება, ახალი ტექნოლოგიები, ორგანიზაციული შეზღუდვები, თვითდასაქმება, აუტსორსინგი, დასაქმება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, მუშაობის გაზრდილი ინტენსივობა).⁵⁰⁵ ეს იწვევს მუდმივ ცვლილებებს სამუშაო გარემოში და ქმნის დასაქმების ახალ ფორმებს, რის შედეგადაც იზრდება და იცვლება მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკფაქტორები.⁵⁰⁶ კერძოდ, ახალი ტექნოლოგიები, ორგანიზაციული შეზღუდვები და ფსიქოლოგიური მოთხოვნები ხელს უწყობს ფსიქოსოციალური რისკფაქტორების განვითარებას, რასაც მოჰყვება სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესი, აგრესია, ძალადობა და შევიწროება.⁵⁰⁷ თავის მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები დასაქმებულებში, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვება სამუშაოს შესრულების, ხშირი ავადმყოფობის, გაცდენის, უბედური შემთხვევებისა და სამუშაო ძალის დენადობის კუთხით.⁵⁰⁸ აღნიშნული რისკფაქტორები განისაზღვრება დაავადებებისა და შესაძლებლობათა შეზღუდვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად მთელ მსოფლიოში. ისინი ვრცელდება სხვადასხვა ასაკობრივ თუ გენდერულ კატეგორიასა და სოციალურ ფენაზე და თანაბრად ახდენს გავლენას როგორც დაბალშემოსავლიან, ისე მაღალშემოსავლიან ქვეყნებზე.⁵⁰⁹

კვლევებით ასევე დადგინდა, რომ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პოლიტიკის არსებობა და ფსიქოსოციალური რისკების მართვა უფრო ხშირია დიდ საწარმოებში; ამასთანავე, პრაქტიკაში ფსიქოსოციალური რისკების მართვის მთავარი მამოძრავებელი ძალაა სამართლებრივი ვალდებულებებისა და დასაქმებულთა მოთხოვნების შესრულება.⁵¹⁰ გარდა ამისა, კვლევებით დადგინდა, რომ ფსიქოსოციალური რისკების მართვის მამოძრავებელი ძალა და ბარიერები თავისთავად მრავალგანზომილებიანია, რადგან დამსაქმებლის მოქმედების ნება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორცაა: ორგანიზაციული რაციონალურობა, ეკონომიკური შესაძლებლობები ან, ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება.⁵¹¹ ასეთი კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ფაქტორები მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყენებს შრომის ინსპექციის კომპეტენციასთან, რესურსებსა და ინსტიტუციურ შესაძლებლობებთან მიმართებით, რაც მხარე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ქარტიით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებისას.⁵¹²

⁵⁰² [დასკვნები I \(1969\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰⁴ [დასკვნები II \(1971\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#); [დასკვნები 2013, განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰⁵ [დასკვნები II \(1971\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#); [დასკვნები 2013, განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰⁶ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰⁷ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰⁸ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵⁰⁹ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵¹⁰ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵¹¹ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁵¹² [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

პანდემიის დროს ყველა შესაძლო ზომა უნდა გატარდეს ჯანდაცვის სექტორში მომუშავე პირთა უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.⁵¹³ ეს გულისხმობს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის დაუყოვნებელი ზომების მიღებას, როგორცაა: შესაბამისი ფიზიკური დისტანციის დაცვა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა გამოყენება, გაძლიერებული ჰიგიენა და დეზინფექცია და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მკაცრი სამედიცინო ზედამხედველობა.⁵¹⁴ ამ კუთხით, სათანადოდ გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ გარკვეული კატეგორიის მუშაკები (წინა ხაზზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, სატრანსპორტო და მიწოდების სერვისის, ნარჩენების შემგროვებელი სამსახურებისა და აგროსასურსათო გადამამუშავებელი საწარმოების თანამშრომლები) არიან გაზრდილი რისკის ქვეშ.⁵¹⁵

მხარე სახელმწიფოებმა საფუძვლიანად უნდა მიმოიხილონ პროფესიული რისკების პრევენცია როგორც ეროვნული პოლიტიკის, ისე კომპანიების დონეზე, ქარტიის 3§1 მუხლით გათვალისწინებულ სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო კონსულტაციით.⁵¹⁶ ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო შესაძლოა ითხოვდეს, რომ ცვლილებები და კომპანიის დონეზე არსებული რისკების შეფასება მოერგოს ახალ გარემოებებს.⁵¹⁷

3§1 უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ჩამოაყალიბონ, განახორციელონ და პერიოდულად გადახედონ შრომის უსაფრთხოების, შრომის ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრულ ეროვნულ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანი არის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება და უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილება, რომლებიც გამომდინარეობენ, დაკავშირებული არიან ან ადგილი აქვთ შრომის დროს, კერძოდ, იმ რისკის მინიმუმამდე შემცირებით, რომელიც თან სდევს შრომით გარემოს.

3§1 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, რომ ჩამოაყალიბონ, განახორციელონ და პერიოდულად გადახედონ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის თანმიმდევრულ პოლიტიკას, სოციალურ პარტნიორებთან კონსულტაციით.⁵¹⁸

3§1 მუხლის თანახმად, ასეთი პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სტრატეგიებს, რომელთა მიზანია, პროფესიული რისკების პრევენცია ყველა დონეზე იქცეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის განუყოფელ ასპექტად.⁵¹⁹ ამ დებულების შესასრულებლად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

- ▶ შეფასდეს სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები და გატარდეს მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები, კონკრეტული რისკების გათვალისწინებით. მონიტორინგი გაეწიოს ამ ღონისძიებებს, დასაქმებულებს კი მიეწოდოს ინფორმაცია და ტრენინგები. ცალკეულ კომპანიებში პროფესიული რისკების პრევენცია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ რეგულაციების გამოყენება და იმ მდგომარეობის გამოსწორება, რამაც გამოიწვია საწარმოო ტრავმები;⁵²⁰
- ▶ შემუშავდეს შესაბამისი საჯარო მონიტორინგის სისტემა (რაც ხშირად შრომის ინსპექციის პასუხისმგებლობაა) სტანდარტების შესანარჩუნებლად და სამუშაო ადგილზე გამოსაყენებლად;⁵²¹
- ▶ შემუშავდეს და განვითარდეს პროგრამები ისეთ სფეროებში, როგორცაა:

⁵¹³ განცხადება პანდემიისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების შესახებ, 2020 წლის 20 აპრილი

⁵¹⁴ განცხადება კოვიდ-19-ისა და 2021 წლის 24 მარტს მიღებული სოციალური უფლებების შესახებ

⁵¹⁵ განცხადება კოვიდ-19-ისა და 2021 წლის 24 მარტს მიღებული სოციალური უფლებების შესახებ

⁵¹⁶ განცხადება კოვიდ-19-ისა და 2021 წლის 24 მარტს მიღებული სოციალური უფლებების შესახებ

⁵¹⁷ განცხადება კოვიდ-19-ისა და 2021 წლის 24 მარტს მიღებული სოციალური უფლებების შესახებ

⁵¹⁸ დასკვნები 2003, განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. კერძოდ: [დასკვნები 2003, ბუღარეთი](#)

⁵¹⁹ დასკვნები 2003, განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. კერძოდ: [დასკვნები 2003, ბუღარეთი](#)

⁵²⁰ დასკვნები 2003, განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. კერძოდ: [დასკვნები 2003, ბუღარეთი](#)

⁵²¹ დასკვნები 2003, განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. კერძოდ: [დასკვნები 2003, ბუღარეთი](#)

ტრენინგი (კვალიფიციური პერსონალი); ინფორმაცია (სტატისტიკური სისტემები და ცოდნის გავრცელება); ხარისხის უზრუნველყოფა (პროფესიული კვალიფიკაცია, სერტიფიცირების სისტემები ობიექტებისა და მოწყობილობა-დანადგარებისთვის); და საჭიროების შემთხვევაში, კვლევა (სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერტული ცოდნა).⁵²²

ეროვნული პოლიტიკის ზოგადი მიზანი

პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს პრევენციის კულტურის გაძლიერება და შენარჩუნება ეროვნულ დონეზე, სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით.⁵²³

პროფესიული რისკების პრევენცია უნდა განისაზღვროს პრიორიტეტად და გათვალისწინებული იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ყველა დონეზე და ყველა სფეროში (მაგ: დასაქმების, მუშაობის შესაძლებლობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერის თვალსაზრისით).⁵²⁴ 3§1 მუხლის სათანადოდ შესრულების შესაფასებლად, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ▶ როგორ ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N 155 (1981) სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ;⁵²⁵
- ▶ როგორ ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N 187 (2006) სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ხელშემწყობი ჩარჩოს შესახებ;⁵²⁶
- ▶ როგორ არის გადმოტანილი ეროვნულ კანონმდებლობაში ევროპარლამენტისა და საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის დირექტივა 89/391/EEC სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი ზომების მიღების შესახებ (რომელიც შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 20 ივნისის 2007/30/EC დირექტივით);⁵²⁷
- ▶ საჭიროების შემთხვევაში, როგორ ხორციელდება ევროკავშირის სტრატეგიული ჩარჩო სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ, 2014-2020 (COM(2014)0332).

მიღებული პოლიტიკა და სტრატეგიები რეგულარულად უნდა შეფასდეს და გადაიხედოს, განსაკუთრებით, ცვალებადი რისკების გათვალისწინებით.⁵²⁸

პროფესიული რისკების პრევენციის ორგანიზება

პრევენციის კულტურა გულისხმობს, რომ ყველა პარტნიორი, იქნება ეს ხელისუფლება, დამსაქმებელი თუ დასაქმებული, აქტიურად ჩაერთოს პროფესიული რისკების პრევენციაში და მუშაობდეს კარგად განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ჩარჩოსა და წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურების ფარგლებში. ძირითადი ასპექტებია:

კომპანიებთან მიმართებით: დამცავი წესების დაცვასთან ერთად, შეფასდეს სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები და გატარდეს რისკების ტიპზე მორგებული პრევენციული ზომები; ასევე, დასაქმებულებს მიეწოდოს ინფორმაცია და ტრენინგები.⁵²⁹ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქმიანობის ზოგიერთ დარგს (მშენებლობა; სოფლის მეურნეობა; თევზჭერა; მეტყევეობა; ლითონის დამუშავება; სამთო მრეწველობა და ა.შ.), ზოგიერთ საწარმოსა (მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს) და დასაქმების განსაკუთრებულ ფორმებს (წინასწარი, ვადიანი, დროებითი, სეზონური), რომლებიც განსაკუთრებით რისკებს შეიცავს.

⁵²² დასკვნები 2003, განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. კერძოდ: [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

⁵²³ [დასკვნები 2009, სომხეთი](#)

⁵²⁴ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#); [დასკვნები 2009, სომხეთი](#)

⁵²⁵ [დასკვნები 2013, ალბანეთი](#)

⁵²⁶ [დასკვნები 2013, ავსტრია](#)

⁵²⁷ [დასკვნები 2013, ალბანეთი](#)

⁵²⁸ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

⁵²⁹ [დასკვნები 2009, სომხეთი](#)

რაც შეეხება დასაქმების განსაკუთრებულ ფორმებს, დამსაქმებლებს ან/და მომხმარებლებს მოეთხოვებათ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგის ჩატარება და სამედიცინო ზედამხედველობა, რათა გათვალისწინებული იყოს პროფესიული რისკების ზემოქმედება სხვადასხვა დამსაქმებელთან მუშაობისას;⁵³⁰

- ▶ შრომის ინსპექციის საქმიანობის ძირითადი ასპექტი (გათვალისწინებული 3§1 მუხლით) არის შრომის ინსპექტორთა მოვალეობა, რომ ინფორმირების, სწავლებისა და პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში გააზიარონ ინსპექტირებისა და გამოძიებისას მიღებული ცოდნა რისკებსა და მათ პრევენციაზე.⁵³¹

სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება (კვლევა და ტრენინგი)

იმისათვის, რომ გაიზარდოს ზოგადი ცნობიერება და ცოდნა საფრთხისა და რისკის ცნებების, ასევე, მათი პრევენციისა თუ მართვის გზების შესახებ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ შემდეგ აქტივობებში:⁵³²

- ▶ ტრენინგი (კვალიფიციური პერსონალის მომზადება);
- ▶ ინფორმირება (სტატისტიკური სისტემების შექმნა და ცოდნის გავრცელება);
- ▶ ხარისხის უზრუნველყოფა (პროფესიული კვალიფიკაციის ამღლება, სერტიფიცირების სისტემების შექმნა ობიექტებისა და მოწყობილობა-დანადგარებისთვის);
- ▶ კვლევა (სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერტული ცოდნის უზრუნველყოფა).

კონსულტაციები დამსაქმებელთა და დასაქმებულთა/მუშაკთა ორგანიზაციებთან

შესაბამისი ორგანოების მიერ არჩეული ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებისას, უნდა ჩატარდეს კონსულტაციები დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან ეროვნულ, სექტორულ და კომპანიების დონეზე.⁵³³

3§1 მუხლი ითვალისწინებს კონსულტაციებს, რომელთა მიზანია სამმხრივი თანამშრომლობა ხელისუფლების ორგანოებს, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის სამუშაო პირობებისა და გარემოს გასაუმჯობესებელი გზების მოსაძებნად⁵³⁴, ასევე, მათი საქმიანობის კოორდინაცია და თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და პრევენციის ძირითად საკითხებზე.⁵³⁵

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციების მექანიზმები და პროცედურები უნდა დადგინდეს ეროვნულ და სექტორულ დონეზე.⁵³⁶ კონსულტაციის უფლება დაკმაყოფილებულად მიიჩნევა, თუ არსებობენ სპეციალიზებული ორგანოები, მთავრობისა და დამსაქმებელთა თუ დასაქმებულთა ორგანიზაციების წარმომადგენლებით, რომლებთანაც კონსულტაციას გადიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.⁵³⁷ ეს კონსულტაციები შეიძლება ტარდებოდეს მუდმივად ან ერთჯერადად, თუმცა ორივე შემთხვევაში უნდა იყოს ეფექტიანი და ხელს უწყობდეს სოციალურ დიალოგს სამუშაო ადგილას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.⁵³⁸

3§2 უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით მხარეები ვალდებულიებას იღებენ, მიიღონ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული წესები.⁵³⁹

⁵³⁰ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁵³¹ [დასკვნები 2009, მალტა](#)

⁵³² დასკვნები 2003, განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. კერძოდ: [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

⁵³³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁵³⁴ [დასკვნები 2017, უკრაინა](#)

⁵³⁵ [დასკვნები 2017, უკრაინა](#)

⁵³⁶ [დასკვნები 2017, ალბანეთი](#)

⁵³⁷ [დასკვნები 2017, უკრაინა](#)

⁵³⁸ [დასკვნები 2009, ლიეტუვა](#); [დასკვნები 2017, უკრაინა](#)

⁵³⁹ 1996 წლის შესწორებული ქარტიის 3§2 მუხლი შეესაბამება 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლს

სამართლებრივ ჩარჩოში გასათვალისწინებელი რისკები

მე-3 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებაა უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო სტანდარტების უფლების მაქსიმალურად დაცვა.⁵⁴⁰ 3§2 მუხლის თანახმად, ეს ვალდებულება გულისხმობს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის რეგულაციების მიღებას პრევენციულ და დამცავ ზომებზე სამუშაო ადგილას არსებულ რისკებთან მიმართებით, რომლებიც აღიარებულია სამეცნიერო საზოგადოების მიერ და დადგენილია ევროგაერთიანებისა თუ სხვა საერთაშორისო რეგულაციებითა და სტანდარტებით.⁵⁴¹

ქარტიარ განსაზღვრავს რისკებს, რომლებიც უნდა დარეგულირდეს. ზედამხედველობა იღებს ირიბ ფორმას, სამუშაო ადგილას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ტექნიკურ სტანდარტებზე მითითებით, როგორცაა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და ევროკავშირის დირექტივები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ.⁵⁴²

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს ჩარჩო კანონმდებლობას, რომელიც ადგენს დამსაქმებელთა პასუხისმგებლობებსა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს, ასევე, კონკრეტულ რეგულაციებს. მხარე სახელმწიფოებში განხორციელებული ტექნიკური ცვლილებების შემთხვევაში, რომელთა გამოც მათი რეგულაციები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში შეიძლება აღარ შეესაბამებოდეს ახალ გარემოებებს, უნდა დამტკიცდეს, რომ არსებული რეგულაციები კვლავ ადეკვატურია, საჭიროების შემთხვევაში კი უწყვეტად მოერგოს ასეთ ცვლილებებს.⁵⁴³

რისკის სფეროები, რომლებიც ამჟამად ექცევა კომიტეტის ყურადღების ცენტრში:

1. ფსიქოსოციალური რისკები, სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესი, აგრესია, ძალადობა და შევიწროება სამუშაო ადგილზე.⁵⁴⁴
2. სამუშაო ადგილები და აღჭურვილობა, განსაკუთრებით, მანქანა-დანადგარების დაცვა, ტვირთის ხელით აწევა და მონიტორიან დანადგარებთან მუშაობა; ჰიგიენა (მაღაზიები და ოფისები); მაქსიმალური წონა; ჰაერის დაბინძურება, ხმაური და ვიბრაცია; ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის ნიშნები.⁵⁴⁵
3. მავნე აგენტები და ნივთიერებები, როგორცაა ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური აგენტები, განსაკუთრებით, კანცეროგენები, მათ შორის: თეთრი ტყვია (საღებავში), ბენზოლი, აზბესტი, ვანილის ქლორიდის მონომერი, მეტალის ტყვია და მისი იონური ნაერთები, მაიონებელი გამოსხივება და სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული დიდი ავარიების საფრთხის კონტროლი.⁵⁴⁶
4. დარგობრივი რისკები, მათ შორის: წონის მითითება გემით გადასაზიდ შეფუთვებზე; დოკერთა დაცვა უბედური შემთხვევისგან; ნავსადგურებში მუშაობა; მშენებლობის უსაფრთხოების წესები დროებით ან მობილურ სამშენებლო უბნებზე; მაღაროები და სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, სადაც ტარდება ბურღვითი, ღია კარიერული ან მიწისქვეშა გათხრები; გემები და თევზსაჭერი გემები; დიდი საწარმოო ავარიების პრევენცია; სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი.⁵⁴⁷

⁵⁴⁰ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §224

⁵⁴¹ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §224

⁵⁴² დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁴³ დასკვნები II (1971), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁴⁴ დასკვნები 2013, განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁴⁵ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁴⁶ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁴⁷ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

პრევენციისა და დაცვის ღონეები

რეგულაციები უნდა განსაზღვრავდეს პრევენციულ და დამცავ ზომებს საერთაშორისო ტექნიკური საცნობარო სტანდარტებით გათვალისწინებული რისკების წინააღმდეგ.⁵⁴⁸ რაც შეეხება მავნე ნივთიერებების ზემოქმედებას, როდესაც აფასებს მხარე სახელმწიფოთა შესაბამისობას მე-3 მუხლის მოთხოვნებთან, კომიტეტი უთითებს საერთაშორისო ტექნიკური ნორმებით დადგენილ ზემოქმედების ზღვრებზე.⁵⁴⁹

მხარე სახელმწიფო აკმაყოფილებს ამ ზოგად მოთხოვნას, თუ ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანილი აქვს ევროკავშირის კანონმდებლობის უმეტესი ნაწილი სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში.⁵⁵⁰

მავნე აგენტებისა და ნივთიერებებისგან დაცვა

მხარე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ აზბესტსა და მაიონებელ გამოსხივებას და დაამტკიცონ, რომ დასაქმებულები დაცულნი არიან, სულ მცირე, საერთაშორისო საცნობარო სტანდარტებით დადგენილ ღონეზე.⁵⁵¹

I. აზბესტისგან დაცვა

ჩარჩო დადგენილია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციით 1369(1998), რომელიც შეეხება აზბესტის საფრთხეს მუშაკებისა და გარემოსთვის.⁵⁵² ზემოქმედების დასაშვებ ზღვრებს ეროვნულ ღონეზე განსაზღვრავს შემდეგი საერთაშორისო საცნობარო სტანდარტები: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N 162 აზბესტის შესახებ (1986); როტერდამის კონვენცია (2004); და საბჭოს 1983 წლის 19 სექტემბრის დირექტივა 83/477/EEC, რომელიც შეეხება მუშაკთა დაცვას სამუშაო ადგილზე აზბესტის ზემოქმედების რისკებისგან (შესაბამისი შესწორებებით).⁵⁵³ ზემოქმედების ზღვრული ღონეები უნდა გადაიხედოს და განახლდეს ტექნოლოგიური პროგრესის, ასევე, მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად.⁵⁵⁴ აზბესტის სრული აკრძალვა არის ზომა, რომლითაც შესაძლებელია ქარტიის 3§1 მუხლით გათვალისწინებული უფლების უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფა.⁵⁵⁵ თუმცა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ აზბესტის ამკრძალავი სამართლებრივი დებულებების არარსებობას პრობლემად არ განიხილავს 3§1 მუხლი, რომელიც, ახლანდელი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ითხოვს აზბესტის ყველაზე საშიფათო ფორმებით გამოყენების აკრძალვას (ამფიბოლის ბოჭკოს სახით), თუმცა არ ითვალისწინებს სრულ აკრძალვას.⁵⁵⁶ სახელმწიფოებმა უნდა აღრიცხონ ყველა დაბინძურებული შენობა და მასალა და ამოიღონ აზბესტი, სადაც კი ტექნიკური ცოდნა საშუალებას იძლევა.⁵⁵⁷ სამუშაო ადგილზე აზბესტის გამოყენება ყველაზე საშიფათოდ აღიარებული ფორმებით (ამფიბოლი), უნდა იკრძალებოდეს.⁵⁵⁸ რადგან საბჭოს დირექტივა 83/477/EC გაუქმდა, უნდა მიეთითოს ერთი ზღვრულად დასაშვები ღონე ყველა ბოჭკოსთვის, რომელიც შემცირებულია 0.1 ბოჭკო/სმ³-მდე. ეს ნიშნული დადგინდა ევროპარლამენტისა და

⁵⁴⁸ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁴⁹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), იტალია](#)

⁵⁵⁰ [დასკვნები 2005, კვიპროსი](#)

⁵⁵¹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁵⁵² დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁵³ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁵⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁵⁵⁵ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁵⁶ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ბელგია](#)

⁵⁵⁷ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁵⁸ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის 2009/148/EC დირექტივით, რომელიც შეეხება მუშაკთა დაცვას სამუშაო ადგილზე აზბესტთან დაკავშირებული რისკებისგან.⁵⁵⁹

II. მაიონებული გამოსხივებისგან დაცვა

მაიონებელ გამოსხივების ეროვნული სტანდარტები უნდა ითვალისწინებდეს რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის 2007 წლის რეკომენდაციებს (ICRP, პუბლიკაცია N 103),⁵⁶⁰ ასევე, კომისიის რეკომენდაციებს სამუშაო ადგილას ზემოქმედების მაქსიმალური დონეებისა და იმ პირების შესახებ, რომლებიც არ მუშაობენ უშუალოდ რადიოაქტიურ გარემოში, თუმცა შესაძლოა დროდადრო აღმოჩნდნენ გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ (ICRP, პუბლიკაცია N 60).⁵⁶¹

ეროვნულ კანონმდებლობაში საბჭოს 2013 წლის 5 დეკემბრის დირექტივის 2013/59/Euratom გადმოტანა, რომელიც ადგენს უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებს მაიონებული გამოსხივების ზემოქმედებით გამოწვეული საფრთხისგან დასაცავად და აუქმებს დირექტივებს 89/618/Euratom, 90/641/Euratom, 96/29/Euratom, 97/43/Euratom და 2003/122/Euratom (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ის ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა გადმოეტანათ 2018 წლის 6 თებერვლამდე), საკმარისია, რომ მხარე სახელმწიფოებში შეფასდეს გამოსხივებისგან დაცვა მე-3 მუხლის შესაბამისად, რადგან ეს დირექტივა იკავებს რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის რეკომენდაციების ადგილს.⁵⁶²

ჩარჩო კანონმდებლობისა და კონკრეტული რეგულაციების პირადი მოქმედების სფერო

სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები უნდა გავრცელდეს ყველა დასაქმებულზე, ყველა სამუშაო ადგილსა და საქმიანობის ყველა სექტორზე.⁵⁶³

მე-3 მუხლში გამოყენებული ტერმინი „მუშაკები“ მოიცავს როგორც დასაქმებულ, ისე თვითდასაქმებულ პირებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თვითდასაქმებული პირები ხშირად მუშაობენ მათალრისკიან დარგებში.⁵⁶⁴ მისი მიზანია, რომ სამუშაო გარემო იყოს უსაფრთხო და ჯანსაღი ყველა ოპერატორისთვის.⁵⁶⁵

დროებითი და სეზონური მუშაკები, ასევე, პირები, რომლებიც დროებით ასრულებენ სხვის მოვალეობას ან დასაქმებულნი არიან ვადიანი შრომითი ხელშეკრულებებით, ადეკვატურად უნდა იყვნენ დაცულნი (მათ შორის, რისკებისგან, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა დამსაქმებელთან თანმიმდევრულად ნამუშევარ პერიოდთა დაგროვებასა და მავნე ნივთიერებათა ზემოქმედებას), რათა თავიდან აიცილონ მუდმივ მუშაკთა ნებისმიერი სახის დისკრიმინაციასამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით.⁵⁶⁶ საჭიროების შემთხვევაში, რეგულაციებით უნდა აიკრძალოს დროებითი მუშაკების დასაქმება ზოგიერთ განსაკუთრებით საშიშ სამუშაოზე.⁵⁶⁷ კომიტეტი ითვალისწინებს საერთაშორისო საცნობარო სტანდარტთა შესრულებას ამ სფეროში. ესენია: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები: N 96 (1949) უფასო დასაქმების სააგენტოების შესახებ, N 181 (1997) დასაქმების

⁵⁵⁹ [დასკვნები 2013, პორტუგალია](#)

⁵⁶⁰ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

⁵⁶¹ [დასკვნები 2007, რუმინეთი](#)

⁵⁶² [დასკვნები 2005, კვიპროსი](#); [დასკვნები 2017, პორტუგალია](#)

⁵⁶³ დასკვნები II (1971), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁶⁴ [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

⁵⁶⁵ [დასკვნები III \(1973\), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ);

[დასკვნები IV \(1975\), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ);

[დასკვნები XIII-4 \(1996\), ბელგია](#)

⁵⁶⁶ ზოგადი კითხვები ზოგად შესავალში 2012: 1§2 მუხლი: იძულებითი შრომის არსებობა საშინაო გარემოში; იხ. ასევე [დასკვნები 2009, ანდორა](#)

⁵⁶⁷ [დასკვნები 2013, ბულგარეთი](#)

კერძო სააგენტოების შესახებ⁵⁶⁸ და N 155 (1981) მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ;⁵⁶⁹ ასევე, საბჭოს 1991 წლის 25 ივნისის დირექტივა 91/383/EEC, რომელიც შეეხება ვადიანი და დროებითი შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებული პირებისთვის სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის გასაუმჯობესებელი ზომების დამატებას (შესწორდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 20 ივნისის დირექტივით 2007/30/EC).⁵⁷⁰ კომიტეტი ასევე ითვალისწინებს: რეგულაციებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, როგორცაა დროებით მუშაკთა სამედიცინო შემოწმება, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმირება და გადამზადება დაქირავების, სხვა პოზიციაზე გადაყვანის ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დროს;⁵⁷¹ მუშაკთა წარმომადგენლობას სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა თუ უსაფრთხოების დაცვის საკითხებში;⁵⁷² და ზომებს, რომლებიც მიღებულია ამ პირთა უბედური შემთხვევების შესამცირებლად.

ჩარჩო კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა მოიცავდეს ეკონომიკის ყველა დარგს.⁵⁷³ აუცილებელი არ არის საგანგებო ტექსტის მიღება თითოეული საქმიანობისა და დარგისთვის, თუმცა ის საკმარისად მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რათა ეფექტიანად გავრცელდეს ყველა სექტორზე, მათთვის დამახასიათებელ საფრთხეთა მასშტაბისა თუ ხარისხის გათვალისწინებით. რეგულაციებმა უნდა მოიცვას ყველა დარგი და ყველა კომპანია, თანამშრომელთა რაოდენობის მიუხედავად.⁵⁷⁴

აქედან გამომდინარე, ჩარჩო კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა ვრცელდებოდეს საცხოვრებელ შენობაში დასაქმებულებზე, ე.ი. შინ დამხმარე პირებსა და ოჯახში დასაქმებულებზე, თუმცა წესები შეიძლება მოერგოს ამ მუშაკთა საქმიანობის ტიპს და შედარებით ნაკლებრისკიან სამუშაოს და ჩამოყალიბდეს ზოგადი ტერმინებით.⁵⁷⁵

კონსულტაციები დამსაქმებელთა და დასაქმებულთა/მუშაკთა ორგანიზაციებთან

რეგულაციები უნდა შემუშავდეს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით.⁵⁷⁶

3§1 მუხლის მსგავსად, კონსულტაციები სცილდება სამხრეთ თანამშრომლობას ხელისუფლების ორგანოებსა და დამსაქმებელთა თუ დასაქმებულთა ორგანიზაციებს შორის სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებელი გზების მოსაძიებლად და მოიცავს მათი საქმიანობის კოორდინაციასაც, ასევე, თანამშრომლობას კანონებისა და რეგულაციების შემუშავებაში, ყველა დონეზე და ყველა დარგისთვის.⁵⁷⁷

3§3 უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ ასეთი წესების შესრულება ზედამხედველობის ზომების მეშვეობით.

3§3 მუხლის მიზანია სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უფლების ეფექტიანად განხორციელება. ეს გულისხმობს მონიტორინგს საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების რაოდენობაზე სამსახურში, რეგულაციათა გამოყენების შემოწმებას და ამ საკითხზე კონსულტაციის გავლას დამსაქმებელთა და დასაქმებულთა

⁵⁶⁸ [დასკვნები 2017, საფრანგეთი](#)

⁵⁶⁹ [დასკვნები 2017, უკრაინა](#)

⁵⁷⁰ [დასკვნები 2009, რუმინეთი](#)

⁵⁷¹ [დასკვნები 2009, ლიეტუვა](#)

⁵⁷² [დასკვნები 2009, ბელგია](#)

⁵⁷³ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁷⁴ [დასკვნები XIII-1 \(1993\), საბერძნეთი](#)

⁵⁷⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ბელგია](#); [დასკვნები XIII-1 \(1993\), განცხადება 3§2 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§1 მუხლის შესახებ)

⁵⁷⁶ [დასკვნები 2017, ლატვია](#)

⁵⁷⁷

საწარმოო ტრავმები და პროფესიული დაავადებები

საწარმოო ტრავმების სიხშირესა და ტენდენციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ფასდება 353 მუხლით განსაზღვრულ უფლებათა ეფექტიანი განხორციელება.⁵⁷⁹ ამ კუთხით, კონტროლდება უბედური შემთხვევების რაოდენობა სამუშაო სივრცეში (აქ არ შედის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, როდესაც სამუშაოზე არყოფნის პერიოდი აღემატება სამ დღეს) და მათი რიცხვი სამუშაო ძალასთან მიმართებით, ეკონომიკის თითოეულ დარგში დასაქმებულთა რაოდენობასთან შედარებით (ე.ი. EUROSTAT-ის მიერ განსაზღვრულ უბედურ შემთხვევათა სტანდარტული კოეფიციენტი 100 000 მუშაკისთვის, სადაც გათვალისწინებულია თითოეული დარგის შედარებითი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში).⁵⁸⁰

კომიტეტი აკონტროლებს სამუშაოსთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევათა საერთო რაოდენობას საქმიანობის ყველა სექტორში და ყველა კატეგორიის მუშაკისთვის, დროებით დასაქმებულებისა და შრომითი მიგრანტების ჩათვლით.⁵⁸¹ მდგომარეობა ქარტიასთან შეუთავსებლად მიიჩნევა, თუ საწარმოო უბედური შემთხვევებისა და ფატალური შემთხვევების რაოდენობა ცალსახად ძალიან მაღალია კომიტეტის დასკვნისთვის, რომ სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უფლება რეალურადაც ეფექტიანად ხორციელდება.⁵⁸² შეფასება შეიძლება გაკეთდეს აბსოლუტური ციფრების საფუძველზე⁵⁸³, ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებით.⁵⁸⁴

იგივე მიდგომა ვრცელდება სამუშაო ადგილას ფატალურ უბედურ შემთხვევათა რაოდენობაზე და მათ წილზე სამუშაო ძალასთან მიმართებით.⁵⁸⁵ ფატალური უბედური შემთხვევების რაოდენობა, რომელიც ორჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, მიუთითებს, რომ მათ შესამცირებლად მიღებული ზომები არაადეკვატურია და, აქედან გამომდინარე, მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის მოთხოვნებს.⁵⁸⁶

მხარე სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ: პროფესიული დაავადების იურიდიული განმარტება; პროფესიულ დაავადებათა გამოვლენის, განხილვისა და გადახედვის მექანიზმები (ან ასეთ დაავადებათა ჩამონათვალი); პროფესიულ დაავადებათა სიხშირე და გამოვლენილ და შეტყობინებულ პროფესიულ დაავადებათა რაოდენობა (დაყოფილი საქმიანობის სექტორებისა და წლების მიხედვით), ფატალური შემთხვევების ჩათვლით; პროფესიულ დაავადებათა არასათანადოდ გამოვლენისა და აღიარების საწინააღმდეგოდ მიღებული ან/და გათვალისწინებული ზომები; საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პროფესიული დაავადებები; გატარებული ან გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები.⁵⁸⁷ ჯერ არ შემუშავებულა კრიტერიუმები, რომლებითაც შეფასდება პროფესიული დაავადებათა სიხშირის სხვადასხვა დონის შესაბამისობა ქარტიასთან.⁵⁸⁸

მხარე სახელმწიფოებს ევალებათ ზუსტი ინფორმაციის წარმოდგენა სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების მხრივ განვითარებულ მოვლენებზე, ხოლო 353 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვის შეფასებისას, ასეთი შემთხვევების რაოდენობა,

⁵⁷⁸ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §231; [დასკვნები XIV-2 \(1998\)](#), [განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ)

⁵⁷⁹ [დასკვნები 2017, საფრანგეთი](#)

⁵⁸⁰ [დასკვნები XIV-2 \(1998\)](#), იტალია

⁵⁸¹ [დასკვნები 2009](#), იტალია

⁵⁸² [დასკვნები XIV-2 \(1998\)](#), პორტუგალია

⁵⁸³ [დასკვნები 2003](#), სლოვენია

⁵⁸⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\)](#), პორტუგალია

⁵⁸⁵ [დასკვნები 2013](#), ლიეტუვა

⁵⁸⁶ [დასკვნები 2013](#), ლიეტუვა

⁵⁸⁷ [დასკვნები XXI-2 \(2017\)](#), ესპანეთი

⁵⁸⁸ [დასკვნები 2013](#), ლიეტუვა

სიხშირე და ტენდენციები გადამწყვეტი ფაქტორია.⁵⁸⁹ მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები სამსახურში მომხდარ უბედურ შემთხვევათა და პროფესიულ დაავადებათა შეუტყობინებლობის ან/და დაფარვის წინააღმდეგ.⁵⁹⁰ ამ საკითხებზე შეტყობინების სისტემის არაეფექტიანობამ ან გაუმართაობამ შესაძლოა გამოიწვიოს ქარტიის მოთხოვნებთან შეუსაბამობა.⁵⁹¹

კანონებისა და რეგულაციების აღსრულება შრომის ინსპექციის მიერ

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის რეგულაციათა აღსრულება ზედამხედველობის ზომების საშუალებით, ეყრდნობა ქარტიის A§4 მუხლის III ნაწილს, რომლის მიხედვითაც მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ჰქონდეთ ეროვნული პირობების შესაბამისი შრომის ინსპექციის სისტემა.⁵⁹² კერძოდ, მათ უნდა მიიღონ ზომები, რათა:

- ▶ დაკმაყოფილდეს სულ უფრო კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი მოთხოვნები შრომის ინსპექციის სისტემათა კომპეტენციის, რესურსებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების შესახებ;⁵⁹³
- ▶ შრომის ინსპექტირება კონცენტრირდეს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე.⁵⁹⁴

ქარტიის სათანადო განხორციელება „ვერ მოხერხდება მხოლოდ კანონმდებლობის მოქმედებით, თუ მას არ ახლავს ეფექტიანი გამოყენება და მკაცრი ზედამხედველობა“.⁵⁹⁵ მონიტორინგი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონებისა და რეგულაციების დაცვაზე სამუშაო ადგილას, წინაპირობაა მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების ეფექტიანობისათვის.⁵⁹⁶

I. ორგანიზება

3§3 მუხლი არ განსაზღვრავს შრომის ინსპექციის ორგანიზების სტანდარტულ მოდელს, რადგან A§4 მუხლის III ნაწილში მითითებულია „ეროვნული პირობების შესაბამისი“ სისტემა.⁵⁹⁷ შრომის ინსპექციის სამსახურის მოვალეობები შეიძლება გადანაწილდეს სპეციალიზებული იურისდიქციის მქონე რამდენიმე ორგანოში.⁵⁹⁸ ასეთი სერვისების გადაჭარბებულმა განაწილებამ მონიტორინგის რამდენიმე ორგანოს შორის, რომლებიც მუშაობენ რესურსების ნაკლებობისა და არასრულყოფილი თანამშრომლობის პირობებში, შესაძლოა შეამციროს შრომის ინსპექტირების ეფექტიანობა.⁵⁹⁹

II. საქმიანობა და საშუალებები

მხარე სახელმწიფოებმა შრომის ინსპექტორებს საკმარისი რესურსები უნდა გამოუყონ მინიმალური რაოდენობის რეგულარული ინსპექტირებებისთვის, რათა შეძლებისდაგვარად ბევრმა მუშაკმა განახორციელოს მე-3 მუხლით დადგენილი უფლება და მინიმუმამდე შემცირდეს უბედური შემთხვევების რისკი.⁶⁰⁰

⁵⁸⁹ [დასკვნები 2013, რუსეთი](#)

⁵⁹⁰ [დასკვნები 2013, ალბანეთი](#)

⁵⁹¹ [დასკვნები 2013, ალბანეთი](#)

⁵⁹² [დასკვნები 2013, განცხადება 3§3 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§2 მუხლის შესახებ)

⁵⁹³ [დასკვნები 2013, განცხადება 3§3 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§2 მუხლის შესახებ)

⁵⁹⁴ [დასკვნები 2013, განცხადება 3§3 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§2 მუხლის შესახებ); [დასკვნები 2017, ლატვია](#)

⁵⁹⁵ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §228, რომელშიც ციტირებულია [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §32

⁵⁹⁶ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §228

⁵⁹⁷ [დასკვნები 2013, განცხადება 3§3 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 3§2 მუხლის შესახებ)

⁵⁹⁸ [დასკვნები 2013, ავსტრია](#)

⁵⁹⁹ [დასკვნები 2013, უკრაინა](#)

⁶⁰⁰ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §229, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XIV-2 \(1998\), ბელგია](#)

გამოყოფილი რესურსების შემოწმებისას, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- ▶ ინსპექტირებათა რაოდენობა და სიხშირე, რომლებსაც შრომის ინსპექციის სამსახური ატარებს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით;⁶⁰¹
- ▶ საინსპექციო ვიზიტებს დაქვემდებარებულ საწარმოთა რაოდენობა სექტორების მიხედვით;⁶⁰²
- ▶ დასაქმებულთა რაოდენობა და პროცენტული წილი თითოეულ სექტორში ინსპექტირების ვიზიტებისას,
- ▶ შეძლებისდაგვარად ჩაშლილი მუშაკთა სქესისა და ასაკის მიხედვით;⁶⁰³
- ▶ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორატებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა, თითოეული სექტორის მიხედვით; მხარე სახელმწიფოები არღვევენ 3(3) მუხლს, როდესაც ინსპექციის სამსახურის დაკომპლექტება და მისი ვიზიტების რაოდენობა აშკარად არ შეესაბამება თანამშრომელთა რიცხვს;⁶⁰⁴
- ▶ შრომის ინსპექციის შესაძლებლობათა გაძლიერების ღონისძიებები ტექნოლოგიური და სამართლებრივი განვითარების გათვალისწინებით;⁶⁰⁵
- ▶ საჭიროების შემთხვევაში, შრომის ინსპექციის ცენტრალური ორგანოების ზოგადი ანგარიშები, მათ შორის, რომლებსაც პერიოდულად წარუდგენენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას.⁶⁰⁶

ინსპექტორებს უნდა ჰქონდეთ უფლება, შეამოწმონ ყველა სამუშაო ადგილი (საცხოვრებელი ფართის ჩათვლით) ეკონომიკის ყველა სექტორში, კერძო იქნება ეს, თუ საჯარო სექტორი.⁶⁰⁷ მათ ასევე უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის მოპოვების საკმარისი და შესაბამისი საშუალებები, ასევე, გამოძიებისა და აღსრულების უფლებამოსილება, კერძოდ, გადაუდებელი ზომების მიღების უფლება, როდესაც დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ექმნება მყისიერი საფრთხე.⁶⁰⁸

შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილების ფარგლების შეფასებისას, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- ▶ შეუძლიათ თუ არა ინსპექტორებს შესვლა ნებისმიერ სამუშაო ადგილზე წინასწარი გაფრთხილების გარეშე, და აქვთ თუ არა ყველა იმ შემოწმების ჩატარების უფლებამოსილება, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევენ, ანალიზისთვის ნიმუშების აღება-წამოღების ჩათვლით;⁶⁰⁹
- ▶ შრომის ინსპექციის ადმინისტრაციული შესაძლებლობები;⁶¹⁰
- ▶ შრომის ინსპექტორთა მიერ გავლილი თავდაპირველი და მიმდინარე ტრენინგები;⁶¹¹

⁶⁰¹ [დასკვნები XIII-1 \(1993\), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ)

⁶⁰² [დასკვნები XIII-1 \(1993\), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ)

⁶⁰³ [დასკვნები XIII-1 \(1993\), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ)

⁶⁰⁴ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §229; [დასკვნები 2017, ბელგია, თურქეთი](#)

⁶⁰⁵ [დასკვნები XIII-1 \(1993\), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ)

⁶⁰⁶ [დასკვნები XIII-1 \(1993\), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ)

⁶⁰⁷ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ); [დასკვნები 2013, განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ](#) (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ); [დასკვნები XX-2 \(2013\), განცხადება 352 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁰⁸ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 353 მუხლის განმარტების შესახებ (ე.ი. 1961 წლის ქარტიის 352 მუხლის შესახებ); [დასკვნები 2009, მოლოდვა](#)

⁶⁰⁹ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

⁶¹⁰ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

⁶¹¹ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

- ▶ შრომის ინსპექციას დაქვემდებარებულ საწარმოთა რაოდენობა;⁶¹²
- ▶ ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურები, რომლებსაც შრომის ინსპექტორები იყენებენ უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის რეგულაციების დარღვევისას;⁶¹³
- ▶ ეკისრებათ თუ არა დამრღვევებს სისხლისსამართლებრივი სანქციები და რა გარემოებებში.⁶¹⁴

III. ზომები და სანქციები

რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, სასჯელის სისტემა უნდა იყოს ეფექტიანი და გადამარწმუნებელი.

მდგომარეობა განიხილება შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- ▶ აღრიცხულ სამართალდარღვევათა რაოდენობა დაკისრებული სასჯელების რაოდენობასთან მიმართებით;⁶¹⁵
- ▶ დარღვევების სიხშირე სასჯელის სიმძიმესთან მიმართებით;
- ▶ დაკისრებულ სანქციათა სახეები და მათი ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი ბუნება;
- ▶ დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმების რაოდენობა და საერთო მოცულობა, კერძოდ, არის თუ არა ეს მოცულობა შესაბამის მუშაკთა რაოდენობის პროპორციული;⁶¹⁶
- ▶ დაკისრებული ჯარიმების რაოდენობა, მოცულობა და გადამარწმუნებელი ეფექტი.⁶¹⁷

მეტისმეტად დაბალი სანქციების დაწესება კანონმდებლობაში, ან მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგად, ამცირებს შრომის ინსპექციის ეფექტიანობას.⁶¹⁸

კონსულტაციები დამსაქმებელთა და დასაქმებულთა/მუშაკთა ორგანიზაციებთან

რეგულაციები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უნდა აღსრულდეს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით შრომის ინსპექციის საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს არ მოიცავს მონაწილეობას კომპანიის ინსპექტირებაში, რაც გარანტირებულია ქართლის 22-ე მუხლით, კერძოდ, „მუშაკთა უფლებით, მონაწილეობა მიიღონ სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრა-გაუმჯობესებაში“.⁶¹⁹

3§4 უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ პრევენციული და საკონსულტაციო ფუნქციების მქონე ყველა მუშაკისთვის ჯანმრთელობის სამსახურების პროგრესულ განვითარებას.

დანართი: ამ დებულების მიზნებისთვის, ჯანმრთელობის სამსახურების ფუნქციები, მოწყობა და ფუნქციონირების პირობები განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან რეგულაციებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით, ან ეროვნული პირობების შესაბამისი სხვა საშუალებებით.⁶²⁰

3§4 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით, ხელი შეუწყონ ჯანმრთელობის

⁶¹² დასკვნები 2005, ლიეტუვა

⁶¹³ დასკვნები 2005, ლიეტუვა

⁶¹⁴ დასკვნები 2005, ლიეტუვა

⁶¹⁵ დასკვნები 2017, ესტონეთი

⁶¹⁶ დასკვნები 2005, ლიეტუვა

⁶¹⁷ დასკვნები 2017, ესტონეთი

⁶¹⁸ დასკვნები 2013, რუმინეთი

⁶¹⁹ დასკვნები 2005, ნორვეგია

⁶²⁰ ევროპის სოციალური ქართის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

სამსახურების პროგრესულ განვითარებას, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მუშაკისა და საწარმოსთვის ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში.⁶²¹ თუ ეს სამსახურები არ ჩამოყალიბდება ყველა საწარმოში, ამ მიზნისთვის, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგია, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით.⁶²²

3§4 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ჯანმრთელობის სამსახურების პროგრესულ განვითარებას.⁶²³ ეს ნიშნავს, რომ მხარე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები ქარტიით განსაზღვრული მიზნების გონივრულ ვადაში მისაღწევად, გაზომვადი პროგრესითა და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით.⁶²⁴ აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნული სამსახურები არ ჩამოყალიბდება ყველა საწარმოში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ამ მიზნით უნდა შეიმუშაონ სტრატეგია, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით.⁶²⁵ ჯანმრთელობის სამსახურების პროგრესული განვითარების ხელშემწყობი ნებისმიერი სტრატეგია უნდა ვრცელდებოდეს მთლიანად სახელმწიფოს ტერიტორიასა და სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებზე დ ფარავდეს არა მხოლოდ საქმიანობის ზოგიერთ დარგს, მსხვილ საწარმოებსა და განსაკუთრებით მძიმე რისკებს, არამედ ყველა კატეგორიის მუშაკს.⁶²⁶

როდესაც აფასებს მხარე სახელმწიფოს შესაბამისობას ამ დებულების მოთხოვნებთან, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: პროფესიულ დაავადებათა სფეროს სპეციალისტების რაოდენობა მთლიან მუშახელში; იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც აწვდიან ან იზიარებენ პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებას; და ასეთი სამსახურების ზედამხედველობის ქვეშ მყოფ მუშაკთა რაოდენობის ზრდა წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით. ასევე გასათვალისწინებელია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N 161 კონვენციის (ოკუპაციური ჯანმრთელობის მომსახურების შესახებ, 1985) რატიფიცირება, ან ეროვნულ კანონმდებლობაში საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივის გადმოტანა, რომელიც შეეხება მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებელი ზომების მიღებას სამუშაო ადგილას.⁶²⁷

ჯანმრთელობის სამსახურებს, რომელთა სპეციალიზაცია ცარის შრომის მედიცინა, სამსახურში უსაფრთხოების დაცვასთან ერთად, აქვთ პრევენციული და საკონსულტაციო ფუნქციებიც.⁶²⁸ ისინი მონაწილეობენ შემდეგ პროცესებში: სამუშაო ადგილთან დაკავშირებული რისკების შეფასება და პრევენცია; ზედამხედველობა დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე; მონაწილეობა სამუშაო ტრენინგებში, რომლებიც შეეხება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს სამუშაო ადგილას; და მუშაკთა ჯანმრთელობაზე სამუშაო პირობების გავლენის შეფასება.⁶²⁹ ჯანმრთელობის სამსახურები შესაბამისად უნდა იყვნენ მომზადებულნი, აღჭურვილნი და დაკომპლექტებულნი, რათა შეძლონ სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესის, აგრესიისა თუ ძალადობის იდენტიფიცირება, გაზომვა და აღკვეთა.⁶³⁰

⁶²¹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

⁶²² [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

⁶²³ [დასკვნები 2009, ალბანეთი](#)

⁶²⁴ [დასკვნები 2009, ალბანეთი](#), რომელშიც ციტირებულია [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

⁶²⁵ [დასკვნები 2009, ალბანეთი](#)

⁶²⁶ [დასკვნები 2013, უკრაინა](#)

⁶²⁷ [დასკვნები 2009, საფრანგეთი](#); [ალბანეთი](#), [სლოვენია](#); [დასკვნები 2017, ბულგარეთი](#)

⁶²⁸ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

⁶²⁹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

⁶³⁰ [დასკვნები 2013, განცხადება მე-3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

მუხლი 4 უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე

ყველა მუშაკს აქვს უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე, რომელიც საკმარისია მათი და მათი ოჯახების ცხოვრების ღირსეული დონისათვის.

მე-4 მუხლი შეიძლება განხორციელდეს კოლექტიური ხელშეკრულებების, საკანონმდებლო რეგულაციების ან ეროვნული პირობების შესაბამისი სხვა საშუალებებით, რადგან ის ვრცელდება ყველა დასაქმებულზე.

4§1 სამართლიან ანაზღაურებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ მუშაკთა უფლება ისეთ ანაზღაურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი და მათი ოჯახების ცხოვრების ღირსეულ დონეს.

4§1 მუხლით გარანტირებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება, როგორცაა ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფა. ის ვრცელდება ყველა მუშაკზე, მათ შორის, საჯარო მოხელეებსა და ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალზე სახელმწიფო⁶³¹, რეგიონულ და ადგილობრივ საჯარო სექტორში; ასევე, იმ დარგებსა თუ სამუშაოებზე, რომლებსაც არ მოიცავს კოლექტიური შეთანხმება, არატიპურ სამუშაოებზე (დამხმარე დასაქმება)⁶³² და სპეციალურ რეჟიმებსა თუ სტატუსებზე (მინიმალური ხელფასი შრომითი მიგრანტებისთვის).⁶³³

„ღირსეული ცხოვრების დონის“ ცნებას ეხება უბრალო მატერიალურ საჭიროებებს, როგორცაა საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი, და მოიცავს კულტურულ, საგანმანათლებლო და სოციალურ დონის ძიებებში მონაწილეობისთვის საჭირო რესურსებს.⁶³⁴

„შრომის ანაზღაურება“ უკავშირდება კომპენსაციას – ფულადი ან არაფულადი სახით – რომელსაც დამსაქმებელი უხდის მუშაკს ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოსთვის. სადაც შესაძლებელია, ეს მოიცავს, სპეციალურ პრემიებსა და ფულად ჯილდოებსაც. მეორე მხრივ, სოციალური ტრანსფერები (მაგ: სოციალური უზრუნველყოფის შემწეობები ან შეღავათები) გათვალისწინებულია მხოლოდ მაშინ, როცა მათ პირდაპირი კავშირი აქვს ხელფასთან.

4§1 მუხლის ფარგლებში სამართლიანად მისაჩნევად, შრომის ბაზარზე გადახდილი მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს წმინდა ეროვნული საშუალო ხელფასის 60%-ზე ნაკლები.⁶³⁵ შეფასება ეფუძნება წმინდა ოდენობას, ანუ ხელფასს გადასახადებისა და სოციალური შენატანების გამოქვითვის შემდეგ.⁶³⁶ ამ მიზნებისთვის, გადასახადში იგულისხმება ყველა სახის გადასახადი გამომუშავებულ შემოსავალზე. ამდენად, არაპირდაპირი გადასახადები გათვალისწინებული არ არის.⁶³⁷ თუ წმინდა ოდენობის დადგენა რთულია, მისი შეფასება უნდა წარმოადგინოს შესაბამისმა მხარე სახელმწიფომ.⁶³⁸

თუ არსებობს ნორმატიული მინიმალური ეროვნული ხელფასი, მისი წმინდა ღირებულება სრულ განაკვეთზე მომუშავე პირისთვის გამოიყენება სრული განაკვეთის წმინდა საშუალო ხელფასთან შედარების საფუძველად (თუ შესაძლებელია, გამოითვლება ეკონომიკის ყველა სექტორისთვის, სხვა შემთხვევაში კი დაანგარიშდება წარმომადგენლობითი სექტორისთვის, როგორცაა მრეწველობა, ან რამდენიმე სფეროსთვის).⁶³⁹ სხვა სიტუაციებში გათვალისწინებულია კოლექტიური შეთანხმებით დადგენილი ყველაზე დაბალი ხელფასი, ან ფაქტობრივად გადახდილი ყველაზე დაბალი ხელფასი.⁶⁴⁰ ეს შეიძლება იყოს ყველაზე

⁶³¹ [დასკვნები XX-3 \(2014\), საბერძნეთი](#)

⁶³² [დასკვნები 2014, საფრანგეთი](#)

⁶³³ [დასკვნები 2014, ანდორა](#)

⁶³⁴ [დასკვნები 2010, განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ.](#)

⁶³⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶³⁶ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶³⁷ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶³⁸ [დასკვნები XVI-2 \(2003\), დანია](#)

⁶³⁹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁴⁰ [დასკვნები XVI-2 \(2003\), დანია](#)

დაბალი ხელფასი წარმომადგენლობით სექტორში, მაგალითად, მრეწველობაში.⁶⁴¹

თუ წმინდა მინიმალური ხელფასი წმინდა საშუალო ხელფასის 50-60%-ია, მხარე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, რომ ეს ხელფასი უზრუნველყოფს ღირსეული ცხოვრების დონეს.⁶⁴² თუ მინიმალური ხელფასი დაბალია, 4§1 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას, კომიტეტმა შეიძლება გაითვალისწინოს სხვა ელემენტები, მაგალითად, თავისუფლებიან თუ არა მუშაკები თანაგადახდისგან ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებით, ან აქვთ თუ არა უფლება გაზრდილ საოჯახო შემწეობებზე.⁶⁴³

ხელფასი არ შეესაბამება ქარტიის მოთხოვნებს (პროცენტულობის მიუხედავად), თუ პრაქტიკაში არ უზრუნველყოფს ღირსეული ცხოვრების დონეს მუშაკისთვის. ანუ ის ამკარად სიღარიბის ზღვარს მაღლა უნდა იყოს მოცემული ქვეყნისთვის.⁶⁴⁴

უკიდურეს შემთხვევებში (მაგ: როდესაც ყველაზე დაბალი ხელფასი საშუალო ხელფასის ნახევარზე ნაკლებია), მდგომარეობა მიიჩნევა ქარტიის დარღვევად, ასეთი მტკიცებულებებისგან დამოუკიდებლად.⁶⁴⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა (25 წლამდე ასაკის) მუშაკებისთვის დაბალი მინიმალური ხელფასის დაწესება არ ეწინააღმდეგება ქარტიას, თუ ის ხელს უწყობს დასაქმების პოლიტიკის ლეგიტიმურ მიზანს და მისი მიღწევის თანაზომიერია (მაგ: როდესაც ახალგაზრდა მუშაკები მონაწილეობენ შეგირდობის სქემაში ან სხვაგვარად გადიან პროფესიულ მომზადებას).⁶⁴⁶ მინიმალური ხელფასის ასეთმა შემცირებამ შეიძლება გაზარდოს ახალგაზრდა მუშაკთა წვდომა შრომის ბაზარზე; ასევე, ის შეიძლება გამართლდეს სტატისტიკური ტენდენციით, რომ ახალგაზრდებს, საშუალოდ, უფრო დაბალი დანახარჯები წარმოექმნებათ, ვიდრე სხვა კატეგორიის მუშაკებს, როდესაც საქმე ეხება საცხოვრებელს, ოჯახის რჩენასა და ცხოვრების სხვა ხარჯებს.⁶⁴⁷ თუმცა, მინიმალური ხელფასის ნებისმიერი ასეთი შემცირება არ უნდა ჩამოსცდეს სიღარიბის ზღვარს კონკრეტულ ქვეყანაში.⁶⁴⁸ კომიტეტმა არათანაზომიერად მიიჩნია მინიმალური ხელფასის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ შემცირება 25 წლამდე ასაკის ყველა მუშაკისთვის.⁶⁴⁹

COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში, მხარე სახელმწიფოებმა საჭირო ძალისხმევა უნდა მიუძღვნან ამ მინიმალური მოთხოვნის მიღწევას და შესრულებას და რეგულარულად შეცვალონ ანაზღაურების მინიმალური განაკვეთები.⁶⁵⁰ შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება მოიცავს ანაზღაურების გაზრდას იმ მუშაკებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად ექმნებათ COVID-19-თან დაკავშირებული რისკები.⁶⁵¹ უფრო ზოგადად, შემოსავლის დაკარგვა ჩაკეტვების დროს, ან დამატებითი ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნა დისტანციური მუშაობისა და სახლიდან მუშაობისას (COVID-19-ის გამო), შესაბამისად უნდა ანაზღაურდეს.⁶⁵²

⁶⁴¹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁴² [დასკვნები XXI-3 \(2019\), დანია](#)

⁶⁴³ [დასკვნები XVI-2 \(2004\), პორტუგალია](#)

⁶⁴⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁴⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 4§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁴⁶ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §§60, 68

⁶⁴⁷ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §§60

⁶⁴⁸ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §§60

⁶⁴⁹ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §§68 და 70

⁶⁵⁰ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

⁶⁵¹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

⁶⁵² [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

4§2 სამართლიან ანაზღაურებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ მუშაკთა უფლება გაზრდილი ანაზღაურების მიღებაზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის, ცალკეულ შემთხვევებში, გამონაკლისების გათვალისწინებით.

4§2 მუხლი განუყოფლად უკავშირდება 2§1 მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს გონივრული ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათების უფლებას.⁶⁵³ ზეგანაკვეთურია სამუშაო, რომელიც სრულდება ჩვეულებრივ სამუშაო საათებზე დამატებით.⁶⁵⁴

ამ დებულების პრინციპის შესაბამისად, არასამუშაო დროს შესრულებული სამუშაო მოითხოვს დასაქმებულის გაზრდილ ძალისხმევას, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ჩვეულებრივ ხელფასზე მაღალი განაკვეთით.⁶⁵⁵

კომიტეტი მიიჩნევს, რომ მის პასუხისმგებლობაში არ შედის გადაწყვეტილების მიღება ზეგანაკვეთური ანაზღაურების ფიქსირებულ განაკვეთზე, ასევე, მის ეფექტზე მსყიდველუნარიანობის კუთხით.⁶⁵⁶ კომიტეტს მოეთხოვება, რომ მხოლოდ 4§2 მუხლის შესაბამისად განსაზღვროს, იღებენ თუ არა ანაზღაურებას ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის შესაბამისი პირობები და, უპირველეს ყოვლისა, აღემატება თუ არა განაკვეთი მათ ჩვეულებრივ ხელფასს.⁶⁵⁷

თუ შრომის ზეგანაკვეთური ანაზღაურება გაიცემა მთლიანად დასვენების სახით, 4§2 მუხლი მოითხოვს, რომ ეს დრო აღემატებოდეს დამატებით ნამუშევარ საათებს.⁶⁵⁸ ამიტომ, საკმარისი არ იქნება დასაქმებულისთვის შვებულების შეთავაზება ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათების ხანგრძლივობით.⁶⁵⁹

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შერეული სისტემები (მაგ: როდესაც დასაქმებულს ჩვეულებრივი განაკვეთით აუნაზღაურდება ზეგანაკვეთური სამუშაო, მაგრამ სანაცვლოდ ასევე იღებს დასვენების დროს), არ ეწინააღმდეგება 4§2 მუხლს.⁶⁶⁰

რიგ ქვეყნებში სამუშაო საათები გამოითვლება საშუალო ყოველკვირეული საათებით რამდენიმე თვის განმავლობაში.⁶⁶¹ ასეთ პერიოდებში ყოველკვირეული სამუშაო საათები შეიძლება მერყეობდეს დადგენილ მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის, ისე, რომ ამ საათებიდან არცერთი არ განიხილება ზეგანაკვეთურად და, შესაბამისად, არ კვალიფიცირდება უფრო მაღალანაზღაურებად საათებად.⁶⁶² ასეთი შეთანხმებები არ არღვევს 4§2 მუხლს, იმ პირობით, რომ დაცულია 2§1 მუხლით [უფლება სამართლიან სამუშაო პირობებზე] განსაზღვრული პირობები, რომლებიც ითვალისწინებს გონივრულ ყოველდღიურ და ყოველკვირეულ სამუშაო საათებს. მათ შორის:

- (I) დაცულია ყოველკვირეული (60 საათამდე) და ყოველდღიური (16 საათამდე) სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა;⁶⁶³
- (II) მოქნილობის ზომები მოქმედებს სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში,

⁶⁵³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება 2§1 და 4§2 მუხლების განმარტების შესახებ.](#)

⁶⁵⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 4§2 მუხლის განმარტების შესახებ.](#)

⁶⁵⁵ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 4§2 მუხლის განმარტების შესახებ; [დასკვნები I \(1969\), განცხადება 4§2 მუხლის განმარტების შესახებ.](#)

⁶⁵⁶ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 57/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 1 დეკემბერი, §35

⁶⁵⁷ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 57/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 1 დეკემბერი, §35

⁶⁵⁸ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ბუღია](#)

⁶⁵⁹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ბუღია](#)

⁶⁶⁰ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 60/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 17 ოქტომბერი, §21; იხ. ასევე [დასკვნები 2014, სლოვენია](#)

⁶⁶¹ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება 4§2 მუხლის განმარტების შესახებ

⁶⁶² [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

⁶⁶³ [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

რომელიც იძლევა შესაბამის გარანტიებს და ამკარად ზღუდავს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა თავისუფლებას, რომ სამუშაო საათები შეცვალონ კოლექტიური შეთანხმების მეშვეობით;⁶⁶⁴

(III) მოქნილი სამუშაო გრაფიკი გონივრულ საანგარიშო პერიოდს ითვალისწინებს საშუალო სამუშაო დროის გამოსათვლელად.⁶⁶⁵

გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია დაიშვას გამონაკლისი დასაქმებულთა უფლებიდან, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის მიეცეთ გაზრდილი შრომის ანაზღაურება. ამ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“ ექვევინ „სახელმწიფო მოხელეები და კერძო სექტორის აღმასრულებელი მენეჯმენტი“.⁶⁶⁶

სახელმწიფო მოხელე: ერთადერთი დასაშვები გამონაკლისია „მაღალი თანამდებობის პირის“ კატეგორია.⁶⁶⁷ ეს ეხება, მაგალითად, პოლიციის კომისრებს⁶⁶⁸, ან ადმინისტრაციულ სასამართლოთა მოსამართლეებს.⁶⁶⁹ უფრო მაღალ ზეგანაკვეთურ ანაზღაურებაზე გამონაკლისების დაწესება ყველა პოლიციელისთვის, წოდებისა და პასუხისმგებლობის მიუხედავად⁶⁷⁰, ან ყველა სახელმწიფო მოხელისა თუ საჯარო თანამდებობის პირისთვის, პასუხისმგებლობის დონის მიუხედავად, არ შეესაბამება 4§2 მუხლს.⁶⁷¹

დამატებითი სამუშაო საათების გაზრდილი განაკვეთით ანაზღაურებაზე შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და ამ მიზნის პროპორციულია.⁶⁷² კომიტეტმა დაადგინა, რომ „სოლიდარობის დღის“ შემოღება - კერძოდ, დამატებითი ერთდღიანი არაანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება (შვიდი საათი, წელიწადში ნამუშევარ 1600 საათთან შეფარდებით) - იმ ზომების დასაფინანსებლად, რომლებითაც ხანდაზმულებს ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეცემათ დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება, დასაშვები შეზღუდვაა 4§2 მუხლისთვის.

4§3 სამართლიან ანაზღაურებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ ქალი და მამაკაცი მუშაკების უფლება თანაბარი ღირებულების სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღებაზე.

4§3 მუხლი უზრუნველყოფს თანაბარი ანაზღაურების უფლებას სქესის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.⁶⁷³ ეს ერთ-ერთი ასპექტია დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უფლებისა, რომელიც გარანტირებულია მე-20 მუხლით. შედეგად, მე-20 მუხლის პრეცედენტული სამართალი (იხ. ქვემოთ), შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, ვრცელდება 4§3 მუხლზეც. ქვემოთ განხილულია მხოლოდ ის ასპექტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება თანაბარ ანაზღაურებას.

მიუხედავად ქარტიიდან და სხვა საერთაშორისო თუ ევროპული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ვალდებულებებისა, რომ აღიარებული და უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი ანაზღაურების უფლება ქალებისა და კაცების

⁶⁶⁴ [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

⁶⁶⁵ [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

⁶⁶⁶ [დასკვნები IX-2 \(1986\), ირლანდია; დასკვნები X-2 \(1990\), ირლანდია](#)

⁶⁶⁷ [Conseil Européen des Syndicats de Police \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 57/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 1 დეკემბერი, §42

⁶⁶⁸ [Conseil Européen des Syndicats de Police \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 57/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 1 დეკემბერი, §§ 42-44

⁶⁶⁹ [Union syndicale des magistrats administratifs \(USMA\) v. France](#), საჩივარი N 84/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §§ 67 და 69

⁶⁷⁰ [Conseil Européen des Syndicats de Police \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 38/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 3 დეკემბერი, §22

⁶⁷¹ [დასკვნები XV-2 \(2001\), პოლონეთი](#)

⁶⁷² [Confédération générale du travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 23 ივნისი, §§ 87-89

⁶⁷³ [დასკვნები XII-5 \(1997\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

თანაბარი სამუშაოსთვის, ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის, სხვაობა გენდერული ანაზღაურების კუთხით დღესდღეობით ისევ არსებობს.⁶⁷⁴ არსებული სტატისტიკა აჩვენებს ევროპის სახელმწიფოებში გენდერული ანაზღაურების სხვაობის შემცირებისა და ზრდის ტენდენციებს, ასევე, სახელმწიფოთა არასაკმარისი ძალისხმევის შედეგებს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.⁶⁷⁵

მხარე სახელმწიფოთა ვალდებულებები, რომ აღიარონ და უზრუნველყონ თანაბარი ანაზღაურების უფლება 4§3 მუხლის შესაბამისად, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ▶ თანაბარი სამუშაოს ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების უფლების აღიარება კანონმდებლობაში;⁶⁷⁶
- ▶ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების ხელმისაწვდომობა, როდესაც არ არის გარანტირებული თანაბარი ანაზღაურების უფლება თანაბარი სამუშაოსთვის, ან თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის;⁶⁷⁷
- ▶ ანაზღაურების გამჭვირვალობისა და სამუშაოთა შედარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;⁶⁷⁸
- ▶ თანასწორობის ორგანოებისა და სხვა შესაბამისი ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობა.⁶⁷⁹

თანაბარი ანაზღაურების პრინციპი

სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია კაცებსა და ქალებს შორის შრომის ანაზღაურებასთან მიმართებით.⁶⁸⁰ ქალი და კაცი მუშაკების თანაბარი ანაზღაურება მოითხოვება არა მხოლოდ თანაბარი სამუშაოსთვის, არამედ თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვისაც.⁶⁸¹

იმისათვის, რომ განისაზღვროს, სამუშაო თანაბარია, თუ თანაბარი ღირებულების, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ამოცანების ბუნება, პირის უნარები, და მოთხოვნები განათლებისა და მომზადების შესახებ.⁶⁸² თანაბარი სამუშაოს ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს ცნებას აქვს ხარისხობრივი განზომილება და ყოველთვის ვერ განისაზღვრება დამაკმაყოფილებლად, რაც ძირს უთხრის სამართლებრივ განსაზღვრულობას.⁶⁸³ ამიტომ, სახელმწიფოები უნდა შეეცადონ, რომ საჭიროებისას ცნადად განსაზღვრონ ეს ცნება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, კანონმდებლობის ან პრეცედენტული სამართლის მეშვეობით.⁶⁸⁴

⁶⁷⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §110

⁶⁷⁵ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §110

⁶⁷⁶ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §115

⁶⁷⁷ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §115

⁶⁷⁸ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §115

⁶⁷⁹ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §115

⁶⁸⁰ [University Women of Europe \(UWE\) v. France](#), საჩივარი N 130/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 5 დეკემბერი, §164

⁶⁸¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 4§3 მუხლის განმარტების შესახებ](#); იხ. ასევე [დასკვნები VIII \(1982\), განცხადება 4§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁸² [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §156

⁶⁸³ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §156

⁶⁸⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §156

თანასწორობის პრინციპი უნდა მოიცავდეს ანაზღაურების ყველა ელემენტს (ანუ ხელფასს პლუს ყველა სხვა სარგებელი), რომელსაც პირდაპირ ან ირიბად უხდის დამსაქმებელი დასაქმებულს ფულადი ან არაფულადი სახით, მისი დასაქმებისთვის.⁶⁸⁵

სქესთა შორის დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გულისხმობს სრულ და არასრულ განაკვეთზე დასაქმებულთა თანაბარი ანაზღაურების წესის დაცვას.⁶⁸⁶ ამ პრინციპის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ირიბი დისკრიმინაცია, ვინაიდან ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია.⁶⁸⁷

ადსრულების და სასამართლო გარანტიები

453 მუხლი მის მიმღებ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი აღიარონ არა მხოლოდ კანონმდებლობაში, არამედ ფაქტობრივადაც.⁶⁸⁸

საკანონმდებლო საშუალებები

ქარტიის შესაბამისად, ქალისა და კაცის უფლებას თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებაზე პირდაპირ უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული კანონმდებლობა.⁶⁸⁹ კონსტიტუციაში მხოლოდ პრინციპის დაფიქსირება არ კმარა.⁶⁹⁰ თანაბარი ანაზღაურების გარანტია უნდა გავრცელდეს საჯარო სამსახურსა და კერძო სექტორში დასაქმებულებზე.⁶⁹¹

თანაბარი ანაზღაურების პრინციპი გამორიცხავს არათანაბარ ანაზღაურებას, მიუხედავად იმ მექანიზმისა, რომელიც წარმოქმნის ასეთ უთანასწორობას.⁶⁹² დისკრიმინაციული ანაზღაურების წყარო შეიძლება იყოს კანონი, კოლექტიური შეთანხმებები, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება და დამსაქმებლის შიდა კანონები.⁶⁹³

ნებისმიერი კანონმდებლობა, რეგულაცია ან ადმინისტრაციული ზომა, რომელიც არ შეესაბამება თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, უნდა გაუქმდეს ან გაბათილდეს.⁶⁹⁴ დისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოუყენებლობა არ კმარა იმისთვის, რომ მდგომარეობა ჩაითვალოს ქარტიის შესაბამისად;⁶⁹⁵ შესაძლებელი უნდა იყოს კოლექტიური შეთანხმების, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ან კომპანიის შინაგანაწესის ნებისმიერი იმ დებულების გაუქმება, გამოთხოვა, გაბათილება ან შეცვლა, რომელიც არ შეესაბამება თანაბარი ანაზღაურების პრინციპს.⁶⁹⁶

რაც შეეხება ხელფასების დადგენას, მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, აირჩიონ საკუთარი მეთოდები და განიხილონ, როგორც კოლექტიური მოლაპარაკებებით გადასაწყვეტი საკითხი. თუმცა, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით უნდა ისჯებოდეს თანაბარი

⁶⁸⁵ [დასკვნები XVIII-2 \(2007\), მალტა](#)

⁶⁸⁶ [დასკვნები XVI-2 \(2003\), პორტუგალია](#)

⁶⁸⁷ [დასკვნები XVI-2 \(2003\), პორტუგალია](#)

⁶⁸⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 453 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁸⁹ [დასკვნები XV-2 \(2001\), სლოვაკეთის რესპუბლიკა; დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁶⁹⁰ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §115

⁶⁹¹ [დასკვნები 2018, საქართველო](#)

⁶⁹² [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §141

⁶⁹³ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §141

⁶⁹⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. France](#), საჩივარი N 130/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 5 დეკემბერი, §166

⁶⁹⁵ [University Women of Europe \(UWE\) v. France](#), საჩივარი N 130/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 5 დეკემბერი, §166

⁶⁹⁶ [University Women of Europe \(UWE\) v. France](#), საჩივარი N 130/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 5 დეკემბერი, §166

ანაზღაურების პრინციპის დარღვევა და განისაზღვროს ზოგადი წესები თანამშრომლებისა და ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც აწარმოებენ ხელფასებზე მოლაპარაკებას (მაგ: გამოირიცხოს ანაზღაურების განსხვავებული სკალები და დისკრიმინაციული დებულებები). თუ კოლექტიური მოლაპარაკებებით ვერ მიიღწევა სრული თანასწორობა ანაზღაურებაში, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ხელფასების დადგენის ლეგალური მეთოდებით, ან სხვა შესაბამისი საშუალებებით.

სასამართლო გარანტიები

ანაზღაურების კუთხით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი და ქმედითი საშუალებები.⁶⁹⁷ მუშაკებს, რომლებიც ჩივიან, რომ დისკრიმინაცია განიცადეს, უნდა შეეძლოთ თავიანთი საქმის სასამართლოში შეტანა.⁶⁹⁸ ანაზღაურებაში დისკრიმინაციის მსხვერპლთა გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ეფექტიანი წვდომა სასამართლოზე.⁶⁹⁹ ამიტომ, საქმისწარმოება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დროული.⁷⁰⁰

დისკრიმინაციის შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მტკიცების ტვირთის გადატანას მოსარჩელის სასარგებლოდ:⁷⁰¹ თუ პირი თვლის, რომ დისკრიმინაცია განიცადა სქესის ნიშნით დამის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები გონივრულ საფუძველს ქმნის დისკრიმინაციის სავარაუდოდ, ბრალდებულს ეკისრება პასუხისმგებლობა, ამტკიცოს, რომ დისკრიმინაციის პრინციპი არ დაურღვევია.⁷⁰²

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები ხელფასების დონის შესახებ შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი დისკრიმინაციის დასამტკიცებლად.⁷⁰³ ამიტომ, სასამართლო წარმოების კონტექსტში შესაძლებელი უნდა იყოს კოლეგის ხელფასზე ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება, პერსონალურ მონაცემებსა და კომერციულ/სამრეწველო საიდუმლოებასთან დაკავშირებული წესების სათანადოდ დაცვით.⁷⁰⁴

ყველას, ვინც განიცადა ანაზღაურებაში დისკრიმინაცია სქესის ნიშნით, უნდა ჰქონდეს შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლება, რომელიც საკმარისია პირისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და დამნაშავეს შესაკავებლად.⁷⁰⁵ არათანაბარი ანაზღაურების შემთხვევაში, ნებისმიერი კომპენსაცია, სულ მცირე, უნდა ფარავდეს სხვაობას ანაზღაურებაში.⁷⁰⁶ კომპენსაციის ნებისმიერი ზედა ზღვრის დაწესება, რომელიც არ იძლევა მიყენებული ზიანის სათანადოდ ანაზღაურების საშუალებას და არ ახდენს საკმარის ეფექტს, ეწინააღმდეგება ქარტიას.⁷⁰⁷ ეს პრინციპი ვრცელდება დავებზე, რომლებიც შეეხება როგორც თანაბარ ანაზღაურებას, ისე თანამდებობიდან გათავისუფლებას საპასუხო ზომების სახით.⁷⁰⁸

⁶⁹⁷ [დასკვნები VIII \(1982\), განცხადება 453 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁶⁹⁸

⁶⁹⁹ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §145

⁷⁰⁰ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §145

⁷⁰¹ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §144

⁷⁰² [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §147, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XIII-5, 1988 წლის განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁰³ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §157

⁷⁰⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §157

⁷⁰⁵ [დასკვნები XIII-5 \(1997\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁰⁶ [დასკვნები XVI-2 \(2003\), მალტა](#)

⁷⁰⁷ [დასკვნები XIX-3 \(2010\), გერმანია](#); [დასკვნები 2018, სომხეთი](#); იხ. ასევე [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §146

⁷⁰⁸ [დასკვნები XX-3 \(2014\), გერმანია](#)

თუ არსებობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ზედა ზღვარი, დაზარალებულს უნდა შეეძლოს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სხვა სამართლებრივი საშუალებებით (მაგ: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით).⁷⁰⁹

ქარტიის 4§3 მუხლი ასევე მოითხოვს, რომ ბათილად გამოცხადდეს შრომითი ხელშეკრულების ან კოლექტიური შეთანხმების ყველა პუნქტი, რომლებიც არღვევს თანაბარი ანაზღაურების პრინციპს.⁷¹⁰ ამასთან, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, უარი თქვას დამრღვევ დებულებათა გამოყენებაზე.⁷¹¹

ანაზღაურების გამჭვირვალობა

კომიტეტს მიაჩნია, რომ ანაზღაურების გამჭვირვალობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ეფექტიანად გამოყენებაში.⁷¹² გამჭვირვალობა ხელს უწყობს გენდერული ნიშნით მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გამოვლენას და ხელს უწყობს მაკორექტირებელ ქმედებებს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების, მათი ორგანიზაციებისა და შესაბამისი ორგანოების მხრიდან.⁷¹³

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ეროვნული პირობებისა და ტრადიციების შესაბამისად, რათა ანაზღაურების კუთხით უზრუნველყონ შესაბამისი გამჭვირვალობა პრაქტიკაში. ასეთ ზომებს შორისაა: ევროკომისიის 2014 წლის 7 მარტის რეკომენდაცია, რომელიც შეეხება კაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გაძლიერებას გამჭვირვალობის მეშვეობით, კერძოდ, დამსაქმებლების ვალდებულებას, რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია ხელფასებზე და წარადგინონ გენდერის მიხედვით ჩამოღობილი მონაცემები.⁷¹⁴ კომიტეტი ასეთ ზომებს ქარტიასთან შესაბამისობის ინდიკატორად მიიჩნევს ამ საკითხში.⁷¹⁵

პრაქტიკაში ხელფასების გამჭვირვალობის აღიარებისა და პატივისცემის ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება დაარღვიოს მუხლები 4§3 და 20.⁷¹⁶

შედარების მეთოდები

თანაბარი ანაზღაურებისთვის, აუცილებელია, არსებობდეს სამუშაოების შედარების შესაძლებლობა.⁷¹⁷ შესადარებელ სამუშაოებსა და ანაზღაურების დონეზე ინფორმაციის ნაკლებობამ შეიძლება უკიდურესად გაართულოს ანაზღაურებაში დისკრიმინაციის პოტენციური მსხვერპლისთვის საქმის სასამართლოში წარდგენა.⁷¹⁸ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია გენდერის მიხედვით ჩამოღობილი ანაზღაურების დონეებზე, მათ შორის, ანაზღაურების პაკეტის დამატებით ან/და ცვლად კომპონენტებზე.⁷¹⁹ მხარე სახელმწიფოებმა სანდო და სტანდარტიზებული სტატისტიკა უნდა

⁷⁰⁹ [დასკვნები 2018, თურქეთი](#)

⁷¹⁰ [დასკვნები XV-2 \(2001\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

⁷¹¹ [დასკვნები XV-2 \(2001\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

⁷¹² [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §154

⁷¹³ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §154

⁷¹⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §155

⁷¹⁵ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §155

⁷¹⁶ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §182

⁷¹⁷ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §157

⁷¹⁸ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §157

⁷¹⁹ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §157

შეაგროვონ ქალებისა და კაცების ხელფასებზე.⁷²⁰

ჩვეულებრივ, ხელფასებს ადარებენ იმავე საწარმოს/კომპანიის თანამშრომლებს შორის.⁷²¹ თუმცა, შეიძლება იყოს სიტუაციები, როდესაც ასეთი შედარება კეთდება მხოლოდ კომპანიებს/საწარმოებს შორის.⁷²² ამიტომ, კომიტეტი მოითხოვს, რომ ხელფასების შედარება შესაძლებელი იყოს კომპანიებს შორისაც.⁷²³ ასევე მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ ზედმეტად არ უნდა შეზღუდოს სამუშაოების შედარების სფერო (მაგ: მკაცრად ერთი და იმავე კომპანიით შემოფარგვლით).⁷²⁴ სულ მცირე, კანონმდებლობამ ანაზღაურების შედარება კომპანიებს შორის უნდა მოითხოვოს ერთ ან რამდენიმე სიტუაციაში. კერძოდ, როდესაც:

- ▶ საკანონმდებლო ნორმები სამუშაო და ანაზღაურების პირობებზე ვრცელდება ერთზე მეტ კომპანიაში;⁷²⁵
- ▶ კოლექტიური შრომითი შეთანხმება ან დასაქმების პირობებთან დაკავშირებული რეგულაციები ვრცელდება რამდენიმე კომპანიაზე;⁷²⁶
- ▶ დასაქმების პირობები ცენტრალიზებულია ერთზე მეტი კომპანიისთვის ჰოლდინგსა [კომპანიასა] ან კონგლომერატში.⁷²⁷

ანაზღაურების/სამუშაო ადგილების შედარება კომპანიებში მნიშვნელოვანია სამუშაოს შეფასების სისტემათა ეფექტიანობისთვის, კერძოდ, იმ საწარმოებში, სადაც, ძირითადად - ან თუნდაც ექსკლუზიურად - დასაქმებულნი არიან ქალები.⁷²⁸

მხარე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ პოზიტიური ზომები ანაზღაურებაში სხვაობის შესამცირებლად, მათ შორის:

- ▶ სამუშაოთა კლასიფიკაციისა და შეფასების გასაუმჯობესებელი ზომები, როგორც ანაზღაურებაში უთანასწორობის შემცირების საშუალება;⁷²⁹
- ▶ ხელფასებთან დაკავშირებული სტატისტიკის ხარისხისა და დაფარვის გასაუმჯობესებელი ზომები;⁷³⁰
- ▶ ნაბიჯები, რათა დასაქმების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში მეტი ყურადღება დაეთმოს ქალებისა და კაცების თანაბარ ანაზღაურებას;⁷³¹
- ▶ დასაქმების სფეროში პროფესიულ სქესობრივ სეგრეგაციასთან ბრძოლის ზომები.⁷³²

საპასუხო ქმედება

დასაქმებულები, რომლებიც ჩივიან თანაბარი ანაზღაურების უფლების შესახებ, სამართლებრივად უნდა იყვნენ დაცულნი ყველა ფორმის საპასუხო ქმედებისგან.⁷³³ თუ დასაქმებული საპასუხო ქმედების მსხვერპლია, უნდა არსებობდეს შესაბამისი საშუალება მისი ზიანს ასანაზღაურებლად და დამსაქმებლის შესაკავებლად.⁷³⁴

⁷²⁰ [დასკვნები 2018, ანღორა](#)

⁷²¹ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷²² [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷²³ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷²⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §158

⁷²⁵ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷²⁶ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷²⁷ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷²⁸ [დასკვნები XVI-2 \(2003\), პორტუგალია](#)

⁷²⁹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁷³⁰ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁷³¹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁷³² [დასკვნები 2018, ლატვია](#)

⁷³³ [დასკვნები XV-2 \(2001\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

⁷³⁴ [დასკვნები XV-2 \(2001\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

როდესაც დასაქმებულს სამსახურიდან ათავისუფლებენ თანაბარ ანაზღაურებაზე ჩივილის გამო, მას უნდა შეეძლოს საჩივრის შეტანა უსამართლოდ გათავისუფლების საფუძველზე.⁷³⁵ ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია, პირი ალაღვინოს იმავე ან მსგავს პოზიციაზე.⁷³⁶ თუ ასეთი აღდგენა შეუძლებელია, დამსაქმებელი ვალდებულია, გადაინადოს კომპენსაცია, რომელიც საკმარისი იქნება დასაქმებულის მატერიალური და მორალური ზიანის დასაფარად და დამსაქმებლის შესაკავებლად.⁷³⁷ სასამართლოებმა თავისუფლად უნდა განსაზღვრონ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა.⁷³⁸

4§4 სამართლიან ანაზღაურებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, იყოს გონივრული ვადით ადრე ინფორმირებული მისი დასაქმების შეწყვეტის შესახებ.

დანართი: ეს დებულება არ კრძალავს თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას რაიმე მძიმე დანაშაულისთვის.⁷³⁹

4§4 პუნქტი ანაზღაურების შესახებ მუხლის ნაწილია, რადგან გონივრული შეტყობინების მიწოდების მთავარი მიზანია, შესაბამის პირს მიეცეს გარკვეული დრო სხვა სამუშაოს მოსაძებნად, ვიდრე მიმდინარე სამუშაო დასრულდება, ანუ ჯერ კიდევ იღებს ხელფასს.

ქვეყანაში 4§4 მუხლთან დაკავშირებულ ვითარებას კომიტეტი აფასებს შემდეგი ასპექტების საფუძველზე:

1. წესები, რომლებიც არეგულირებს შეტყობინების პერიოდს (ან კომპენსაციის დონეს შეტყობინების სანაცვლოდ):
 - ა. წესის წყაროს თანახმად, როგორცაა: კანონმდებლობა, კოლექტიური შეთანხმებები, ინდივიდუალური ხელშეკრულებები და სასამართლო გადაწყვეტილებები;⁷⁴⁰
 - ბ. ნებისმიერი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, მათ შორის, საჯარო სამსახურში (კომიტეტს სურს, იხილოს შეტყობინების მინიმალური მკაფიო ვადა, მაშინაც კი, თუ დასაქმების გამოსაცდელი ვადა მოკლეა, ან ახლახან შემცირდა კანონით);⁷⁴¹
 - გ. არაუსაფრთხო სამუშაო ადგილებზე მუშაკთა მოპყრობასთან მიმართებით;⁷⁴²
 - დ. მხარეთა კონტროლის მიღმა მიზეზებით დასაქმების შეწყვეტისას (მათ შორის, გადახდისუნარობის ან დამსაქმებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ის არის ფიზიკური პირი); ასეთი გარემოებები არ შეიძლება გახდეს შეუტყობინებლობის საფუძველი;⁷⁴³
 - ე. ნებისმიერ გარემოებაში, როდესაც დასაქმებულები შეიძლება გაათავისუფლონ თანამდებობიდან გაფრთხილების ან კომპენსაციის გარეშე.⁷⁴⁴
2. ნამსახურებ წელთა აღიარება კანონის, კოლექტიური შეთანხმების ან ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე, იქნება ეს ერთსა და იმავე დამსაქმებელთან, თუ

⁷³⁵ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §148

⁷³⁶ [დასკვნები XIX-3 \(2010\), ისლანდია](#)

⁷³⁷ [დასკვნები XIII-2 \(1994\), მალტა](#)

⁷³⁸ [დასკვნები XIX-3 \(2010\), გერმანია](#)

⁷³⁹ ევროპის სოციალური ქარტიის დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 35

⁷⁴⁰ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁴¹ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁴² [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁴³ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁴⁴ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

თანამიმდევრული დასაქმების არასტაბილური ფორმების პირობებში;⁷⁴⁵

3. დასაქმებულის შრომის ანაზღაურების კომპონენტები დათხოვნაზე შეტყობინების პერიოდში.⁷⁴⁶

შეტყობინების გონივრული პერიოდი

კომიტეტმა თავი შეიკავა სიტყვა „გონივრული“ აბსოლუტური განმარტებისგან.⁷⁴⁷ ფაქტობრივად, ის მიჰყვა უკუპროცედურას და განიხილა, იყო თუ არა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეტყობინების პერიოდის ხანგრძლივობა აშკარად „არაგონივრული“.⁷⁴⁸ შეტყობინების გონივრული ვადა ითვალისწინებს დასაქმებულის წელთა ნამსახურობას; ასევე, აუცილებლობას, რომ საარსებო წყარო პირს არ ჩამოერთვას მოულოდნელად და გათავისუფლებაზე ინფორმაცია მიეწოდოს დროულად, რათა შეძლოს ახალი სამუშაოს პოვნა. ამ პერიოდში დასაქმებულს აქვს შრომის ჩვეულებრივი ანაზღაურების მიღების უფლება.⁷⁴⁹ მთავრობებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ეს ელემენტები გათვალისწინებული იყო შეტყობინების პერიოდთან დაკავშირებული ძირითადი წესების შემუშავება-გამოყენებისას.⁷⁵⁰ კომიტეტმა დაასკვნა, რომ ქარტიას ეწინააღმდეგებოდა:

- ▶ შეტყობინების ხუთდღიანი ვადა სამ თვეზე ნაკლები დასაქმების შემდეგ, თუნდაც გამოსაცდელ პერიოდში;⁷⁵¹
- ▶ შეტყობინების ერთკვირიანი ვადა ექვს თვეზე ნაკლები დასაქმების შემდეგ;⁷⁵²
- ▶ შეტყობინების ორკვირიანი ვადა ექვს თვეზე მეტი დასაქმების შემდეგ;⁷⁵³
- ▶ შეტყობინების ერთ თვეზე ნაკლები ვადა ერთი წლის დასაქმების შემდეგ;⁷⁵⁴
- ▶ შეტყობინების ერთთვიანი ვადა მუშაკებისთვის ხუთი ან მეტი წლის სტაჟით;⁷⁵⁵
- ▶ შეტყობინების რვაკვირიანი ვადა, სულ მცირე, ათი წლის დასაქმების შემდეგ;⁷⁵⁶
- ▶ შეტყობინების თორმეტკვირიანი ვადა დასაქმებულებისთვის, რომლებიც თანამდებობიდან გაათავისუფლეს შესაძლებლობის ხანგრძლივი შეზღუდვის გამო და რომლებსაც აქვთ ხუთი ან მეტი წლის სტაჟი.⁷⁵⁷

შეტყობინების ნაცვლად ხელფასის მიღება დასაშვებია იმ პირობით, თუ გადახდილი თანხა უტოლდება ანაზღაურებას, რომელსაც თანამშრომელი გამოიმუშავებდა შესაბამის შეტყობინების პერიოდში.⁷⁵⁸ ქარტიის 4§4 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ეფექტიანობისთვის, შეტყობინება ან/და კომპენსაცია არ უნდა ღარჩეს შრომითი ხელშეკრულების მხარეთა დისკრეციამი: კერძოდ, ეს საკითხები უნდა რეგულირდებოდეს სამართლებრივი ინსტრუმენტებით, როგორცაა კანონმდებლობა, პრეცედენტული სამართალი, რეგულაციები ან კოლექტიური შეთანხმებები.⁷⁵⁹

შემთხვევები, როდესაც გამოიყენება შეტყობინების პერიოდი

4§4 მუხლი ვრცელდება არა მხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლებაზე, არამედ

⁷⁴⁵ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁴⁶ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁴⁷ [დასკვნები XIII-3 \(1995\), პორტუგალია](#)

⁷⁴⁸ [დასკვნები XIII-3 \(1995\), პორტუგალია](#)

⁷⁴⁹ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁵⁰ [დასკვნები 2018, განცხადება 4§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁵¹ [დასკვნები 2007, ალბანეთი](#)

⁷⁵² [დასკვნები XIII-3 \(1995\), პორტუგალია](#)

⁷⁵³ [დასკვნები XVI-2 \(2004\), პოლონეთი](#)

⁷⁵⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ესპანეთი](#)

⁷⁵⁵ [დასკვნები 2007, ალბანეთი](#)

⁷⁵⁶ [დასკვნები 2010, თურქეთი](#)

⁷⁵⁷ [დასკვნები 2010, ესტონეთი](#)

⁷⁵⁸ [დასკვნები 2010, თურქეთი](#)

⁷⁵⁹ [დასკვნები 2014, რუსეთის ფედერაცია](#)

დასაქმების შეწყვეტის ყველა შემთხვევაზე, როგორცაა კომპანიის გაკოტრება, პირის შესაძლებლობის შეზღუდვა, ან დამსაქმებელი ფიზიკური პირის გარდაცვალება.⁷⁶⁰

დასაქმების შეწყვეტაზე გონივრული შეტყობინების უფლება ვრცელდება ყველა კატეგორიის მუშაკზე, მიუხედავად მათი სტატუსისა, მათ შორის, არასტანდარტულ პირობებში მომუშავე პირებზე, როგორცაა ფიქსირებულვადიანი⁷⁶¹, დროებითი, ნახევარგანაკვეთური⁷⁶², პერიოდული, სეზონური ან დამატებითი⁷⁶³ დასაქმება. ის ვრცელდება საჯარო მოხელეებსა და ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალზე საჯარო სამსახურში⁷⁶⁴, ფიზიკურად მომუშავე მუშაკებსა⁷⁶⁵ და საქმიანობის ყველა სექტორზე.⁷⁶⁶ ასევე ეხება გამოსაცდელ პერიოდს⁷⁶⁷ და ვადიანი ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტას.⁷⁶⁸ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკმარისად ფართო უნდა იყოს, რათა არცერთი მუშაკი დარჩეს დაუცველი.⁷⁶⁹

თუ თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია დისციპლინური მიზეზებისგან განსხვავებული საფუძვლებით, ექვემდებარება გარკვეულ პროცედურებს, შეტყობინების პერიოდი იწყება მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.⁷⁷⁰ ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულთათვის შეტყობინების პერიოდი გამოითვლება ნამსახურები წლების და არა ფაქტობრივი სამუშაო დროის მიხედვით.⁷⁷¹ მუშაკებისთვის, რომლებმაც დადეს თანამიმდევრული ვადიანი ხელშეკრულებები, ეს დრო გაანგარიშდება ყველა თანამიმდევრული კონტრაქტით დაგროვილი სტაჟის საფუძველზე.⁷⁷² კოლექტიურ შეთანხმებაში კანონით დადგენილი შეტყობინების პერიოდის ნებისმიერი შემცირება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია შეტყობინების გონივრული ვადა.⁷⁷³ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოქმედი შეტყობინების პერიოდი შეიძლება იყოს უფრო მოკლე, თუ ის გონივრული რჩება გამოსაცდელი ვადის მაქსიმალურ დასაშვებ ხანგრძლივობასთან მიმართებით.⁷⁷⁴

შეტყობინების პერიოდის გამორიცხვის შემთხვევები

შეტყობინების გონივრული ვადის უფლებიდან ერთადერთი გამონაკლისი ეხება დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ქარტიის დანართში გათვალისწინებული მძიმე დანაშაულისთვის.⁷⁷⁵ ეს შეიძლება იყოს რამდენიმე ნაკლებად მძიმე დარღვევის დაგროვების შედეგიც, თუ მათ წინ უსწრებდა წერილობითი გაფრთხილება დამსაქმებლის მხრიდან.⁷⁷⁶

მაგალითად, კომიტეტმა სერიოზულ გადაცდომად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

- ▶ სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული ან ტექნოლოგიური საიდუმლოების

⁷⁶⁰ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ესპანეთი](#)

⁷⁶¹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ესპანეთი](#)

⁷⁶² [დასკვნები XVIII-2 \(2007\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#); ასევე, იხ. [დასკვნები 2007, ალბანეთი](#)

⁷⁶³ [დასკვნები 2010, ბულგარეთი](#)

⁷⁶⁴ [დასკვნები 2010, საქართველო](#)

⁷⁶⁵ [დასკვნები XVI-2 \(2003\), საბერძნეთი](#)

⁷⁶⁶ [დასკვნები I \(1969\), იტალია](#)

⁷⁶⁷ [General Federation of employees of the national electric power corporation \(GENOP-DEI\) and Confederation of Greek Civil Servants' Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 65/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §§26 და 28

⁷⁶⁸ [დასკვნები XIV-2 \(1998\), ესპანეთი](#)

⁷⁶⁹ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 9 მარტი, §199

⁷⁷⁰ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 9 მარტი, §200

⁷⁷¹ [დასკვნები XVIII-2 \(2007\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

⁷⁷² [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 9 მარტი, §200

⁷⁷³ [დასკვნები XVIII-2 \(2007\), ნიდერლანდები](#)

⁷⁷⁴ [დასკვნები 2014, ესტონეთი](#)

⁷⁷⁵ ევროპის სოციალური ქარტიის დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 35

⁷⁷⁶ [დასკვნები 2010, ალბანეთი](#)

გამჟღავნება;⁷⁷⁷

- ▶ თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის დარღვევა ან სექსუალური შევიწროება;⁷⁷⁸
- ▶ უარი კანონმდებლობით, რეგულაციებით ან დასაქმების პოლიტიკით მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე;⁷⁷⁹
- ▶ მუშაობა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული თუ ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;⁷⁸⁰
- ▶ თანამდებობის დატოვება;⁷⁸¹
- ▶ უარი სავალდებულო სამედიცინო გამოკვლევებზე;⁷⁸²
- ▶ გაუმართლებელი არყოფნა ზედღირად ხუთი დღის ან წელიწადში ათ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში;⁷⁸³
- ▶ პროდუქტიულობის უჩვეულო შემცირება;⁷⁸⁴
- ▶ ამორალური ქმედებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის მუშაკის შენარჩუნებას მასწავლებლის პოზიციაზე.⁷⁸⁵

შეტყობინების ან კომპენსაციის გარეშე თანამდებობიდან გათავისუფლება სხვა დასაშვები საფუძვლებით, როგორცაა მოვალეობის შეუსრულებლობა, მუშაკის მიმართ ნდობის დაკარგვა, ან მუშაკის სამხედრო სამსახურში გაწვევა, ქარტიასთან შეუსაბამოდ ჩაითვალა.⁷⁸⁶ ასევე უარყოფილია თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება შემდეგი საფუძვლებით:

- ▶ დამსაქმებელი ფიზიკური პირის გარდაცვალება ან კომპანიის ლიკვიდაცია;⁷⁸⁷
- ▶ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ადმინისტრაციული ლიცენზიის გაუქმება;⁷⁸⁸
- ▶ მოთხოვნა კანონიერად უფლებამოსილი ორგანოების ან თანამდებობის პირებისგან,⁷⁸⁹
- ▶ სათანადოდ დამოწმებული შეუსაბამობა სამუშაოსთან;⁷⁹⁰
- ▶ ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული გარემოებები, რომლებიც საჭიროებს სამუშაო ძალის ცვლილებას;⁷⁹¹
- ▶ არასაკმარისი კვალიფიკაცია თანამდებობისთვის;⁷⁹²
- ▶ შრომითი ხელშეკრულების გადაცემა სამართალმემკვიდრე დამსაქმებელზე;⁷⁹³
- ▶ ფორსმაჟორი;⁷⁹⁴
- ▶ დაპატიმრება და დაკავება.⁷⁹⁵

4§5 სამართლიან ანაზღაურებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, დაუშვან ხელფასებიდან გამოქვითვა მხოლოდ

⁷⁷⁷ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁷⁸ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁷⁹ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁸⁰ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁸¹ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁸² [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁸³ [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

⁷⁸⁴ [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

⁷⁸⁵ [დასკვნები 2014, რუსეთის ფედერაცია](#)

⁷⁸⁶ [დასკვნები 2010, სომხეთი](#)

⁷⁸⁷ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

⁷⁸⁸ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁸⁹ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁹⁰ [დასკვნები 2014, ლიეტუვა](#)

⁷⁹¹ [დასკვნები 2014, მალტა](#)

⁷⁹² [დასკვნები 2014, რუსეთის ფედერაცია](#)

⁷⁹³ [დასკვნები 2014, სლოვენია](#)

⁷⁹⁴ [დასკვნები 2014, თურქეთი](#)

⁷⁹⁵ [დასკვნები 2014, თურქეთი](#)

ეროვნული კანონებით ან წესებით განსაზღვრული ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული პირობებითა და ზომით.

დანართი: მხარეს შეუძლია ამ პუნქტში მოთხოვნილი ვალდებულების აღება, თუ დასაქმებულთა დიდი ნაწილის ხელფასიდან გამოქვითვა არ არის დაშვებული კანონით, კოლექტიური შეთანხმებით ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით (გამონაკლისს მიუკუთვნებინ პირები, რომლებზეც ეს არ ვრცელდება).⁷⁹⁶

4§5 მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვები დაშვებულია მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში, რომლებიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივი ინსტრუმენტით (კანონი, რეგულაცია, კოლექტიური შეთანხმება ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება).⁷⁹⁷ ამიტომ, მუშაკებმა არ უნდა თქვან უარი ხელფასის გამოქვითვის შეზღუდვის უფლებაზე და ასეთი გამოქვითვის განსაზღვრის გზა განსაკარგავად არ უნდა დარჩეთ შრომითი ხელშეკრულების მხარეებს.⁷⁹⁸ 4§5 მუხლი ასევე ვრცელდება საჯარო მოხელეებზე და საჯარო სამსახურში კონტრაქტით დასაქმებულ პირებზე.⁷⁹⁹

ასეთი გამოქვითვა უნდა ექცეოდეს გონივრულ ფარგლებში და თავისთავად არ ართმევდეს საარსებო წყაროს დასაქმებულებსა და მათზე დამოკიდებულ პირებს.⁸⁰⁰

დებულება ეხება გამოქვითვის ყველა ფორმას. მათ შორისაა: პროფესიული კავშირის გადასახადები, დისციპლინური ჯარიმები, ალიმენტი, ანაზღაურება ან სახელფასო ავანსები, საგადასახადო დავალიანება, სარგებლის არაფულადი სახით ანაზღაურება, ხელფასის დანიშვნა ან გადაცემა და ა.შ.⁸⁰¹

მუხლი 5 ორგანიზაციის უფლება

დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს/მუშაკებს აქვთ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება, თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად.

თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად, მუშაკთა და დამსაქმებულთა მიერ ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნისა და ამ ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფისა და წახალისების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ გაითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომ ხელი შეემალოს და არ იქნება გამოყენებული იმგვარად, რომ დაბრკოლდეს ამ თავისუფლებით სარგებლობა. ის ზომა, რომლითაც ამ მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები გამოიყენება პოლიციის მიმართ, განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან წესებით. პრინციპი, რომელიც არეგულირებს ამ გარანტიების გამოყენებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიმართ, და ზომა, რომლითაც ისინი გამოიყენება ამ კატეგორიის პირების მიმართ, ასევე განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან კანონქვემდებარე აქტებით.

ეს მუხლი ადგენს პრინციპს, რომ დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს უფლება აქვთ, შექმნან ეროვნული ან საერთაშორისო გაერთიანებები თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად.⁸⁰² დებულება მოიცავს ორ ვალდებულებას, რომლებსაც აქვს უარყოფითი და დადებითი ასპექტი.⁸⁰³

⁷⁹⁶ ევროპის სოციალური ქარტიის დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 35

⁷⁹⁷ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 4§5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁷⁹⁸ [დასკვნები 2005, ნორვეგია; დასკვნები 2018, ნიდერლანდები](#)

⁷⁹⁹ [დასკვნები 2014, პორტუგალია](#)

⁸⁰⁰ [დასკვნები 2014, ესტონეთი](#)

⁸⁰¹ [დასკვნები 2014, ესტონეთი](#)

⁸⁰² [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁰³ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

პირველი ვალდებულების შესრულებამოითხოვს, რომ მხარე სახელმწიფოს კანონმდებლობაში არ არსებობდეს რაიმე საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დამსაქმებელთა ან დასაქმებულთა თავისუფლებას, შექმნან ან შეუერთდნენ შესაბამის ორგანიზაციებს.⁸⁰⁴ მეორე ვალდებულებიდან გამომდინარე, მხარე სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები ორგანიზების უფლების განსახორციელებლად და დასაქმებულთა ორგანიზაციების დასაცავად დამსაქმებელთა ნებისმიერი ჩარევისგან.⁸⁰⁵

პირადი მოქმედების სფერო

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ყველა კლასს, მათ შორის, საჯარო მოხელეებს, ქვემოთ მოყვანილი გამონაკლისების გათვალისწინებით, ორგანიზების სრული უფლება აქვთ, ქარტიის შესაბამისად.⁸⁰⁶ თუმცა, მე-5 მუხლის ბოლო ორი წინადადებით, ამ უფლების გარკვეული შეზღუდვები დასაშვებია პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წევრებთან მიმართებით.⁸⁰⁷

უმუშევრებსა და პენსიონერებს შეუძლიათ პროფესიულ კავშირებში გაერთიანება და დარჩენა.⁸⁰⁸ თუმცა, მხარე სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ, მისცენ პროფესიული კავშირების ორგანიზების უფლება, თუკი ამ პირებს აქვთ ისეთი ორგანიზაციების შექმნის უფლება, რომლებსაც შეუძლიათ საკონსულტაციო პროცესებში მონაწილეობა მათ უფლებებსა და ინტერესებზე გავლენის მქონე საკითხების შესახებ.⁸⁰⁹

ქარტიის 19§4b მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოები სხვა მხარეთა მოქალაქეებს უნდა მოეპყრონ საკუთარ მოქალაქეებზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით, როცა საქმე ეხება პროფესიული კავშირების დაფუძნებასა და წევრობას და კოლექტიური მოლაპარაკებებით სარგებლობას.⁸¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ მე-5 მუხლში გარანტირებულია ადამიანთა უფლება, შექმნან და შეუერთდნენ პროფესიულ კავშირებს, ამავე მუხლის თანახმად, მუშაკებს უნდა ჰქონდეთ ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის თავისუფლება.⁸¹¹ ეს გულისხმობს თავად ორგანიზაციების უფლებასაც, შექმნან ფედერაციები ან შეუერთდნენ მათ.⁸¹² მხარე სახელმწიფოს არ შეუძლია დასაქმებულთა ორგანიზების დონის შეზღუდვა და მან უნდა დაუშვას ორგანიზაციების შეერთება ფედერაციებსა და კონფედერაციებთან.⁸¹³

ა) შეზღუდვები პოლიციასთან მიმართებით

რაც შეეხება პოლიციას, მე-5 მუხლის მეორე წინადადებიდან და ამ დებულების მოსამზადებელი მასალებიდან ნათელია შემდეგი საკითხი: მართალია, მხარე სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდოს პოლიციელთა ორგანიზების თავისუფლება, თუმცა მას არ აქვს ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა გარანტიის ჩამორთმევის უფლება.⁸¹⁴ სხვა სიტყვებით, მე-5 მუხლი მხარე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, რომ შეუზღუდონ, თუმცა მთლიანად

⁸⁰⁴ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁰⁵ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁰⁶ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁰⁷ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁰⁸ [დასკვნები 2010, განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁰⁹ [დასკვნები 2010, განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸¹⁰ [დასკვნები XIX-3 \(2010\) „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“, მე-5 მუხლი](#)

⁸¹¹ [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §48

⁸¹² [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §48

⁸¹³ [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §48

⁸¹⁴ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

არ ჩამოართვან პოლიციელებს ორგანიზების უფლება.⁸¹⁵ პოლიციისთვის ორგანიზების უფლების შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესაბამება ქარტიას, თუ აკმაყოფილებს G მუხლში განსაზღვრულ პირობებს (დადგენილია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ მიზნის მისაღწევად).⁸¹⁶

აქედან გამომდინარე, პირველ რიგში, პოლიციელებს უნდა შეეძლოთ ნამდვილი ორგანიზაციების შექმნა/მათში გაერთიანება თავიანთი მატერიალური და მორალური ინტერესების დასაცავად; და მეორე: ასეთ ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ სარგებლობა პროფესიული კავშირების პრეროგატივებით.⁸¹⁷ პროფესიული კავშირების მთავარი პრეროგატივაა სამუშაო პირობებსა და ანაზღაურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა გამოსატყვის უფლება, სამუშაო ადგილზე წვდომის უფლება და შეკრებისა და სიტყვის თავისუფლება.⁸¹⁸ ეს განმარტება ეხება როგორც პოლიციელთა, ისე სხვა პირთა პროფესიულ ორგანიზაციებს.⁸¹⁹

პოლიციელებს არ უნდა შეუზღუდოთ დასაქმებულთა ეროვნულ ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლება იმ მიზნით, რომ აკრძალოთ მონაწილეობა მოლაპარაკებებში ხელფასების, პენსიებისა და სამუშაო პირობების შესახებ.⁸²⁰

როდესაც შეზღუდვა ფაქტობრივად ართმევს წარმომადგენლობით გაერთიანებებს ყველაზე ეფექტიან საშუალებას - მათი წევრების სახელით წარმართონ მოლაპარაკება დასაქმების პირობებზე, ეს ვერ ჩაითვლება პროპორციულ ზომად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ინტერესების მიზნების მისაღწევად.⁸²¹

ვიდრე უზრუნველყოფილია პროფესიული კავშირის ძირითადი გარანტიები, მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, განასხვაონ სხვადასხვა კატეგორიის პერსონალი პოლიციაში და დაუწესონ მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი რეჟიმი.⁸²² მათ შეუძლიათ, გარკვეულ გარემოებებში და ქარტიის G მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მალალი თანამდებობის პოლიციელები გამორიცხონ ორგანიზების უფლების სფეროდან.⁸²³

ქარტიის მე-5 მუხლი ეროვნულ კანონმდებლობას საშუალებას აძლევს მოითხოვოს, რომ პოლიციელთა პროფესიული გაერთიანებები დაკომპლექტდეს მხოლოდ პოლიციელებისგან,⁸²⁴ ასევე, პოლიციელთა პროფესიულ გაერთიანებებს ჰქონდეთ უფლება, გაწევრიანდნენ მხოლოდ პოლიციის პროფკავშირულ ორგანიზაციებში, იქნება ეს ეროვნული, თუ საერთაშორისო.⁸²⁵

მდგომარეობა შეესაბამება მე-5 მუხლს, თუ პოლიციელებს არ აქვთ პროფესიული კავშირების

⁸¹⁵ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §25

⁸¹⁶ [European Council of Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §§61-63; იხ. ასევე [დასკვნები XX-3 \(2014\), გაერთიანებული სამეფო](#)

⁸¹⁷ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §26

⁸¹⁸ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §40

⁸¹⁹ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §40

⁸²⁰ [European Confederation of Police \(EuroCOP\) v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §§ 119 და 121

⁸²¹ [European Confederation of Police \(EuroCOP\) v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, § 121

⁸²² [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §27; იხ. ასევე [European Confederation of Police \(EuroCOP\) v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §109

⁸²³ [European Confederation of Police \(EuroCOP\) v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §79

⁸²⁴ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §35

⁸²⁵ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §37

შექმნის უფლება, მაგრამ ეძლევათ პროფესიული გაერთიანებების ჩამოყალიბების უფლება, რომლებსაც აქვთ პროფესიული კავშირების მსგავსი მახასიათებლები და კომპეტენციები.⁸²⁶

ბ) შეიარაღებული ძალები

მე-5 მუხლში ნათქვამია: „პრინციპი, რომელიც არეგულირებს ამ გარანტიების გამოყენებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიმართ, და ზომა, რომლითაც ისინი გამოიყენება ამ კატეგორიის პირების მიმართ, ასევე განისაზღვრება ეროვნული კანონებით ან კანონქვემდებარე აქტებით“.⁸²⁷ თუმცა, კომიტეტი ამოწმებს, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოები, რომლებიც მიეკუთვნებიან შეიარაღებულ ძალებს, მართლაც ასრულებდნენ სამხედრო ფუნქციებს.⁸²⁸

ქარტიის მე-5 მუხლი უფლებას აძლევს მხარე სახელმწიფოებს, რომ შეზღუდვები დააწესონ შეიარაღებული ძალების წევრებზე და ამ საკითხში ანიჭებს დისკრეციის ფარგლებს, ქარტიის G მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.⁸²⁹ თუმცა, ეს შეზღუდვები მთლიანად არ უნდა აღკვეთდეს ორგანიზების უფლებას (მაგ: სრულად არ უნდა კრძალავდეს პროფკავშირულ პროფესიულ გაერთიანებებს და მათ გაწევრიანებას ეროვნულ ფედერაციებში/ კონფედერაციებში).⁸³⁰

როდესაც განიხილავს, თურამდენად აუცილებელია შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ქარტიის G მუხლის მნიშვნელობით, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხს: შეიარაღებული ძალების წევრები, რომლებსაც შეიძლება ჩამოერთვათ გაერთიანების თავისუფლება, უნდა განისაზღვრონ შემზღუდველი წესით, ხოლო ორგანიზების უფლების სრული აღკვეთა (რომელიც მოიცავს ორგანიზაციების/პროფესიული კავშირების შექმნისა და პროფესიულ კავშირში გაწევრიანება-არგაწევრიანების თავისუფლებას) არ არის აუცილებელი ღონისძიება დემოკრატიულ საზოგადოებაში, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების დასაცავად.⁸³¹

სამხედრო წარმომადგენლობითი გაერთიანებების შემთხვევაში, დასაქმებულთა ეროვნულ ორგანიზაციებში გაწევრიანების სრული აკრძალვა არ არის აუცილებელი ან პროპორციული ზომა, შესაბამისად, არ აკმაყოფილებს ქარტიის მე-5 და G მუხლების მოთხოვნებს, განსაკუთრებით, როცა შეზღუდვა ფაქტობრივად ართმევს წარმომადგენლობით გაერთიანებებს ეფექტიან საშუალებას, რომ თავიანთი წევრების სახელით ჩაერთონ მოლაპარაკებებში დასაქმების პირობებზე, რადგან დასაქმებულთა ეროვნული ქოლგა ორგანიზაციები ფლობენ მნიშვნელოვან ძალას ეროვნულ მოლაპარაკებებში.⁸³²

პროფესიული კავშირებისა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბება

პროფესიულ კავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ წინასწარი ნებართვის გარეშე ორგანიზების თავისუფლება, ხოლო საწყისი ფორმალობები, როგორცაა დეკლარაცია და რეგისტრაცია, იყოს მარტივი და ადვილად გამოსაყენებელი.⁸³³

⁸²⁶ European Confederation of Police (EuroCOP) v. Ireland, საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, § 77

⁸²⁷ [ევროპის სოციალური ქარტიის მე-5 მუხლი](#)

⁸²⁸ [European Council of Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §59, იხ. ასევე [დასკვნები XVIII-1 \(2006\), პოლონეთი](#)

⁸²⁹ [European Council of Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §80

⁸³⁰ [European Council of Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §84; იხ. ასევე [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §47

⁸³¹ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §92

⁸³² [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §90

⁸³³ [დასკვნები 2010, საქართველო](#)

ორგანიზაციის რეგისტრაციისა ან დაარსებისთვის დაწესებული საფასური უნდა იყოს გონივრული და მიზნად ისახავდეს მხოლოდ მკაცრად აუცილებელი ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვას.⁸³⁴

კანონმდებლობამ, რომელიც ადგენს პროფესიული კავშირის ჩამოყალიბებისთვის საჭირო წევრთა აშკარად გადაჭარბებულ მინიმალურ რაოდენობას, შეიძლება დააბრკოლოს პროფესიული კავშირების დაარსება და დაარღვიოს გაერთიანების თავისუფლება.⁸³⁵ კომპანიის დასაქმებულთა, სულ მცირე, მეოთხედის განსაზღვრა პროფესიული კავშირის ჩამოსაყალიბებლად და 50 დამფუძნებელი წევრის დადგენა კომპანიის გარეთ გაერთიანების შესაქმნელად, გადაჭარბებულად ზღუდავს ორგანიზების უფლებას.⁸³⁶

პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება პრაქტიკაში უნდა იყოს დაცული მრავალეროვნულ კომპანიებში.⁸³⁷

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოში გასაჩივრების უფლებასაც, ყველა ამ უფლების დასაცავად.⁸³⁸

პროფესიულ კავშირში გაწევრიანების/არაგაწევრიანების თავისუფლება

დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ პროფესიულ კავშირში არა მხოლოდ გაწევრიანების, არამედ არაგაწევრიანების თავისუფლებაც.⁸³⁹ კანონით დაწესებული სავალდებულო პროფკავშირული მოძრაობის ნებისმიერი ფორმა შეუთავსებლად უნდა ჩაითვალოს ქარტიის ამ მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებასთან.⁸⁴⁰

შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს მუშაკთა პროფესიულ კავშირში გაწევრიანების უფლება, ასევე, ეფექტიანი სასჯელები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები ამ უფლების დაუცველობისთვის.⁸⁴¹ პროფესიული კავშირის წევრები დაცულნი უნდა იყვნენ ყოველგვარი მავნე შედეგისგან, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ კავშირის წევრობას ან საქმიანობას და ზეგავლენას ახდენდეს მათ დასაქმებაზე. ეს განსაკუთრებულად ეხება რეპრესიას ან დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას სამსახურში აყვანის, გათავისუფლების ან დაწინაურების სფეროებში, პროფესიული კავშირის წევრობის ან კავშირში მისი საქმიანობის გამო.⁸⁴² მე-5 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას სამსახურში აყვანასა და, ზოგადად, დასაქმების პირობებთან მიმართებით (როგორცაა შრომის ანაზღაურება, მომზადება, დაწინაურება, გადაყვანა, თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვა საზიანო ქმედებები).⁸⁴³ ასეთ დისკრიმინაციის შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს კომპენსაცია, რომელიც იქნება დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის შესაბამისი და თანაზომიერი.⁸⁴⁴ პროფკავშირული საქმიანობის გამო დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში, კომიტეტი, შესწორებული ქარტიის 24-ე მუხლის შესაბამისად (რომელიც კრძალავს დასაქმების შეწყვეტას საპატიო მიზეზის გარეშე), მიიჩნევს, რომ კომპენსაცია, სულ მცირე, უნდა შეესაბამებოდეს ხელფასს, რომელსაც პირს გადაუხდიდნენ თანამდებობიდან გათავისუფლებასა და სასამართლო გადაწყვეტილებას ან სამსახურში აღდგენას შორის პერიოდში.⁸⁴⁵

მე-5 მუხლით გარანტირებული თავისუფლება გულისხმობს, რომ მუშაკის მიერ პროფესიულ კავშირში გაწევრიანების უფლებით სარგებლობა მისი არჩევანია და პირმა ეს არ უნდა

⁸³⁴ [დასკვნები XV-1 \(2000\), გაერთიანებული სამეფო; დასკვნები XVI-1 \(2002\), გაერთიანებული სამეფო](#)

⁸³⁵ [დასკვნები XIII-5 \(1997\), პორტუგალია](#)

⁸³⁶ [დასკვნები 2018, ლატვია](#)

⁸³⁷ [დასკვნები 2018, აზერბაიჯანი](#)

⁸³⁸ [დასკვნები 2016, მალტა](#)

⁸³⁹ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁴⁰ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁴¹ [დასკვნები 2016, ესტონეთი](#)

⁸⁴² [დასკვნები 2010, მოლოდოვის რესპუბლიკა](#)

⁸⁴³ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

⁸⁴⁴ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

⁸⁴⁵ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

გადაწყვეტილს იმ შეზღუდვების გავლენით, რომლებიც გამორიცხავს ასეთი თავისუფლებით სარგებლობას.⁸⁴⁶ ამ თავისუფლების დასაცავად, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ მკაფიოდ უნდა აკრძალოს ყველა დებულება, რომლებიც შეეხება პროფესიული კავშირის წევრობის აუცილებლობას დასაქმებამდე ან დასაქმების შემდეგ და ასეთი კავშირების უზრუნველყოფას (მაგ: ავტომატური გამოქვითვა ყველა მუშაკის ხელფასიდან, მიუხედავად იმისა, პროფესიული კავშირის წევრია თუ არა; ასევე, კომპანიაში მოქმედი პროფესიული კავშირის დაფინანსება).⁸⁴⁷ შედეგად, კოლექტიურ შეთანხმებათა დებულებები, ანიურიდიულად ნებადართული შეთანხმებები, რომლებითაც პრაქტიკაში იჯავშნება სამუშაო ადგილები კონკრეტული პროფესიული კავშირის წევრებისთვის, არღვევს მე-5 მუხლით გარანტირებულ თავისუფლებას.⁸⁴⁸ კოლექტიურ შეთანხმებათა პრიორიტეტული დებულებები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს გარკვეულ პროფესიულ კავშირთა წევრებს სამსახურში მიღებისა და დასაქმების შეწყვეტისას, არღვევს პროფესიულ კავშირში არგაწევრიანების უფლებას.⁸⁴⁹

პროფესიული კავშირის საქმიანობა

პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები ფართო ავტონომიით უნდა სარგებლობდნენ შიდა სტრუქტურასა თუ ფუნქციონირებასთან მიმართებით.⁸⁵⁰ მათ უნდა ჰქონდეთ სამუშაო პროგრამის შემუშავებისა და ეფექტიანი საქმიანობის უფლება.⁸⁵¹ შედეგად, სახელმწიფოს ნებისმიერი გადაჭარბებული ჩარევა არღვევს მე-5 მუხლს.⁸⁵² ამ ავტონომიას აქვს სხვადასხვა ასპექტი, კერძოდ:

- ▶ პროფესიულ კავშირებს აქვთ თავიანთი წევრებისა და წარმომადგენლების არჩევის უფლება;⁸⁵³
- ▶ იმ საფუძვლების მკაცრად შეზღუდვა, რომლებითაც პროფესიულ კავშირს შეუძლია თავისი წევრების კანონიერად დასჯა, გაუმართლებელი ჩარევაა პროფესიული კავშირების ავტონომიაში, რომელიც გათვალისწინებულია მე-5 მუხლით;⁸⁵⁴
- ▶ პროფესიული კავშირის ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ სამუშაო ადგილზე წვდომის უფლება, წევრებს კი შეუძლოთ შეხვედრების გამართვა დამსაქმებლის ინტერესებსა და ბიზნესის საჭიროებებთან დაკავშირებულ ფარგლებში.⁸⁵⁵

მე-5 მუხლის დარღვევად მიიჩნევა: პროფესიული კავშირის უცხოელი წარმომადგენლის არჩევის/დანიშვნის აკრძალვა; მნიშვნელოვანი შეზღუდვების დაწესება პროფესიული კავშირის მიერ საკუთარი აქტივების გამოყენებაზე; იმ მიზეზების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომელთა გამოც პროფესიულ კავშირს აქვს დისციპლინური ზომების გამოყენების უფლება თავისი წევრების მიმართ.⁸⁵⁶

წარმომადგენლობა

შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ შეიძლება შეზღუდოს სხვადასხვა კონსულტაციასა და კოლექტიურ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მხოლოდ წარმომადგენლობითი პროფესიული კავშირებით.⁸⁵⁷

⁸⁴⁶ [Confederation of Swedish Enterprise v. Sweden](#), საჩივარი N 12/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 15 მაისი, §29

⁸⁴⁷ დასკვნები VIII (1984), განცხადება მე-5 მუხლის განმარტების შესახებ, [Confederation Of Swedish Enterprises V Sweden](#), საჩივარი N 12/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 22 მაისი, §42

⁸⁴⁸ [დასკვნები XIX-3 \(2010\), ისლანდია](#)

⁸⁴⁹ [დასკვნები XXI-3 \(2018\), ისლანდია](#)

⁸⁵⁰ [დასკვნები 2014, სერბეთი](#)

⁸⁵¹ [დასკვნები XII-2 \(1992\), გერმანია](#)

⁸⁵² [დასკვნები 2014, სერბეთი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XII-2 \(1992\), გერმანია](#)

⁸⁵³ [დასკვნები 2014, სერბეთი](#)

⁸⁵⁴ [დასკვნები 2014, სერბეთი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XVII-1 \(2005\), გაერთიანებული სამეფო](#)

⁸⁵⁵ [დასკვნები 2014, სერბეთი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XV-1 \(2000\) საფრანგეთი](#)

⁸⁵⁶ [დასკვნები 2010, საქართველო](#), [დასკვნები XX-3 \(2014\) გაერთიანებული სამეფო](#)

⁸⁵⁷ [დასკვნები 2014, სერბეთი](#)

მე-5 მუხლთან შესაბამისობისათვის, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

- ▶ წარმომადგენლობითობაზე გადაწყვეტილებები პირდაპირ ან ირიბად არ უნდა აბრკოლებდეს პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას;⁸⁵⁸
- ▶ წარმომადგენლობითი კავშირებით შემოფარგლული საქმიანობის სფეროები არ უნდა მოიცავდეს პროფესიული კავშირის ძირითად პრეროგატივებს;⁸⁵⁹
- ▶ წარმომადგენლობითობის დასადგენად გამოყენებული კრიტერიუმები უნდა იყოს გონივრული, მკაფიო, წინასწარ განსაზღვრული, ობიექტური, კანონით დადგენილი და ღია სასამართლო განხილვისათვის.⁸⁶⁰

მუხლი 6 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება

ყველა მუშაკსა და დამსაქმებელს აქვს კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლება

ქარტიის 652 და 654 მუხლებით გარანტირებული კოლექტიური მოლაპარაკებებისა და კოლექტიური მოქმედების უფლების განხორციელება არსებითი საფუძველია ქარტიით გარანტირებული სხვა ძირითადი უფლებების განხორციელებისთვის, როგორცაა:

- ▶ უფლება შრომის სამართლიან პირობებზე (მუხლი 2);
- ▶ უფლება უსაფრთხო და ჯანმრთელ სამუშაო პირობებზე (მუხლი 3);
- ▶ უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე (მუხლი 4);
- ▶ ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება (მუხლი 21);
- ▶ სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღების უფლება (მუხლი 22);
- ▶ დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში (მუხლი 24);
- ▶ მუშაკთა მოთხოვნების დაცვის უფლება მათი დამსაქმებლის გადახდისუნარობის შემთხვევაში (მუხლი 25);
- ▶ სამუშაოზე ღირსების უფლება (მუხლი 26);
- ▶ შრომით დაწესებულებებში მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვაზე და მათთვის შეღავათების მინიჭება (მუხლი 28);
- ▶ ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება კოლექტიური გათავისუფლების პროცედურების შემთხვევებში (მუხლი 29).⁸⁶¹

მე-6 მუხლის ფორმულირებაში არაფერია ისეთი, რაც მხარე სახელმწიფოებს, უფლებას აძლევს, რომ შეზღუდვები დააწესონ, მათ შორის, პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებთან მიმართებით.⁸⁶² ამიტომ, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს ქარტიის 6 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.⁸⁶³

651 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ ერთობლივ კონსულტაციებს მუშაკებსა და დამსაქმებლებს შორის.

⁸⁵⁸ [დასკვნები 2014, ანდორა](#)

⁸⁵⁹ [დასკვნები XV-1 \(2000\), ბელგია](#)

⁸⁶⁰ [დასკვნები XV-1 \(2000\), საფრანგეთი](#)

⁸⁶¹ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 109

⁸⁶² [European Confederation of Police \(EuroCOP\) v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §159

⁸⁶³ [European Council of Trade Unions \(CESP\) v. France](#), საჩივარი N 101/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 27 იანვარი, §118

6§1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ერთობლივია კონსულტაცია, რომელიც წარმართება დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს ან მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს შორის, რათა შეთანხმდნენ თანასწორობის პირობებზე ყველა საერთო ინტერესთან მიმართებით და ყველა დონეზე.⁸⁶⁴ გამოთქმა „ერთობლივი კონსულტაცია“ გამოიყენება ყველა სახის კონსულტაციასთან მიმართებით, რომლებიც იმართება მრეწველობის ორივე მხარეს შორის (მთავრობის წარმომადგენლებით, ან მათ გარეშე), იმ პირობით, რომ ორივე მათგანს თანაბარი ხმის უფლება აქვს ამ საკითხში.⁸⁶⁵ ზოგ მხარე სახელმწიფოში კონსულტაციები იმართება ერთობლივი ორგანოების ჩარჩოში, სადაც მთავრობის წარმომადგენელი ხშირად მოქმედებს, როგორც თავმჯდომარე.⁸⁶⁶ დადგინდა, რომ ერთობლივი კონსულტაციის ეს ფორმა შეესაბამება 6§1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.⁸⁶⁷

კომიტეტის განმარტებით, 6§1 მუხლი ნიშნავს, რომ მხარე სახელმწიფოებმა პოზიტიური ნაბიჯები უნდა გადადგან პროფესიულ კავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს შორის კონსულტაციების წასახალისებლად.⁸⁶⁸ თუ ასეთი კონსულტაციები სპონტანურად არ წარმართება, მხარე სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ მუდმივი ორგანოები და შეთანხმებები, რომლებშიც პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა ორგანიზაციები თანაბრად და ერთობლივად იქნებიან წარმოდგენილნი.⁸⁶⁹

კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ეროვნულ, რეგიონულ/სექტორულ და საწარმოს დონეზე⁸⁷⁰, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში (მათ შორის, საჯარო სამსახურში).⁸⁷¹

საწარმოს დონეზე კონსულტაციები განიხილება 6§1 და 21-ე მუხლების შესაბამისად.⁸⁷² მხარე სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ ორივე დებულება, საწარმოს დონეზე კონსულტაციები განიხილება 21-ე მუხლის შესაბამისად.⁸⁷³

კონსულტაციები უნდა მოიცავდეს საერთო ინტერესის მქონე ყველა საკითხს: პროდუქტიულობა, ეფექტიანობა, საწარმოო სანიტარია, უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სხვა პროფესიული საკითხები (სამუშაო პირობები, პროფესიული მოზადება და ა.შ.); ეკონომიკური პრობლემები (კომპანიის ორგანიზაცია და მართვა, სამუშაო დრო, წარმოების მაჩვენებლები, პერსონალის სტრუქტურა და რაოდენობა და ა.შ.); და სოციალური საკითხები (სოციალური დაზღვევა, სოციალური კეთილდღეობა და ა.შ.).⁸⁷⁴

სხვადასხვა საკონსულტაციო პროცედურაში ეფექტიანი მონაწილეობისათვის, მხარე სახელმწიფოებმა პროფესიულ კავშირებს შეიძლება მოსთხოვონ წარმომადგენლობითობის კრიტერიუმების შესრულება, გარკვეული ზოგადი პირობების დაცვით.⁸⁷⁵ ასეთი მოთხოვნა გადაჭარბებულად არ უნდა ზღუდავდეს პროფესიულ კავშირთა შესაძლებლობას, ეფექტიანად მონაწილეობდნენ კონსულტაციებში.⁸⁷⁶ 6§1 მუხლთან შესაბამისობისათვის, წარმომადგენლობითობის კრიტერიუმები უნდა იყოს კანონით დადგენილი, ობიექტური და გონივრული, ასევე, ექვემდებარებოდეს სასამართლო განხილვას, თვითნებური უარისგან დასაცავად.⁸⁷⁷

⁸⁶⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§1 მუხლის განმარტების შესახებ](#); იხ. ასევე [დასკვნები IV \(1975\), განცხადება 6§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁶⁵ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 6§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁶⁶ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 6§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁶⁷ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 6§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁶⁸ [Centrale générale des services publics \(CGSP\) v. Belgium](#), საჩივარი N 25/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 9 მაისი, §41

⁸⁶⁹ [Centrale générale des services publics \(CGSP\) v. Belgium](#), საჩივარი N 25/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 9 მაისი, §41, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XVI-2 \(2004\), უნგრეთი](#)

⁸⁷⁰ [დასკვნები 2010, უკრაინა](#)

⁸⁷¹ [დასკვნები III \(1973\), დანია, გერმანია, ნორვეგია, შვედეთი; Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §107

⁸⁷² [დასკვნები 2010, უკრაინა](#)

⁸⁷³ [დასკვნები 2010, უკრაინა](#)

⁸⁷⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§1 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები V \(1977\), ირლანდია](#)

⁸⁷⁵ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

⁸⁷⁶ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

⁸⁷⁷ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

6§2 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აუცილებლობის და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ხელი შეუწყონ დამსაქმებლებს ან დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და მუშაკთა ორგანიზაციებს შორის ნებაყოფლობითი მოლაპარაკებების მექანიზმს, კოლექტიური შეთანხმებების საფუძველზე დასაქმების ვადებისა და პირობების მოწესრიგების მიზნით.

6§2 მუხლის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა აღიაროს, რომ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი ურთიერთობების დარეგულირება კოლექტიური შეთანხმებებით.⁸⁷⁸ თუ კოლექტიური მოლაპარაკებების სპონტანური განვითარება არ კმარა, მისაღებია პოზიტიური ზომები ამ ხელშეკრულებათა გაფორმების ხელშესაწყობად და წასახალისებლად, რათა თითოეული მხარე მზად იყოს ერთმანეთთან კოლექტიური მოლაპარაკებებისათვის.⁸⁷⁹ თუ კოლექტიური შეთანხმებები ფარავს დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 30%-ს, ნებაყოფლობითი მოლაპარაკება პრაქტიკაში საკმარისად არ არის წახალისებული.⁸⁸⁰

როგორც უნდა იყოს დადგენილი პროცედურები, კოლექტიური მოლაპარაკება უნდა დარჩეს თავისუფალი და ნებაყოფლობითი.⁸⁸¹

მხარე სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ პროფესიულ კავშირთა თავისუფლებაში, თავად გადაწყვიტონ, თუ რომელი სამრეწველო ურთიერთობის დარეგულირება სურთ კოლექტიურ შეთანხმებებში და რომელი სამართლებრივი მეთოდები უნდა გამოიყენონ შესაბამის მუშაკთა ინტერესების ხელშესაწყობად და დასაცავად.⁸⁸² ასეთ კავშირებს უნდა მიეცეთ დასაქმებულთა საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისკენ სწრაფვის საშუალება, ხოლო პროფესიული კავშირების უფლებები ამ სფეროში კანონმდებლობამ არ უნდა შემოფარგლოს მინიმალური პირობების მიღწევით.⁸⁸³

რამდენად ვრცელდება კოლექტიური მოლაპარაკებები საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირებზე, მათ შორის, პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წევრებზე, შეიძლება განისაზღვროს კანონით.⁸⁸⁴ მიუხედავად ამისა, თანამდებობის პირები ყოველთვის ინარჩუნებენ უფლებას, მონაწილეობდნენ ნებისმიერ პროცესში, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათთვის განკუთვნილი პროცედურების განსაზღვრას.⁸⁸⁵ წინასწარ განსაზღვრულ შედეგზე უბრალოდ მხარის მოსმენა არ აკმაყოფილებს ქარტიის 6§2 მუხლის მოთხოვნებს.⁸⁸⁶ პირიქით, აუცილებელია, რეგულარული კონსულტაციები გაიმართოს ყველა მხარესთან დასაქმების პირობების დადგენისას, რათა მათ მიეცეთ შედეგზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.⁸⁸⁷ თუ პროფესიული კავშირის უფლებები შეზღუდულია, მან უნდა შეინარჩუნოს უნარი, რომ თავისი წევრების ინტერესები დაიცვას, სულ მცირე, ერთი ეფექტიანი მექანიზმის მეშვეობით.⁸⁸⁸ ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კოლექტიური

⁸⁷⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁷⁹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁸⁸⁰ [დასკვნები 2018, სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

⁸⁸¹ [Irish Congress of Trade Unions v. Ireland](#), საჩივარი N 123/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 19 სექტემბერი, §93

⁸⁸² [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 111

⁸⁸³ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, §§111 და 120

⁸⁸⁴ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §58

⁸⁸⁵ [დასკვნები III, \(1973\) გერმანია; European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 11/2001, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2002 წლის 22 მაისი, §58

⁸⁸⁶ [EuroCOP v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §176

⁸⁸⁷ [EuroCOP v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §176

⁸⁸⁸ [EuroCOP v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §177; [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §§87-88

მოლაპარაკების მექანიზმი რეალურად უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობას, რომ მოლაპარაკებამ გამოიღოს მუშაკთა სასარგებლო შედეგი.⁸⁸⁹

სწრაფად ცვალებადმა სამუშაო სამყარომ, ასევე, საკონტრაქტო შეთანხმებათა გავრცელებამ, რისი მიზანიც ხშირად არის შრომის კანონმდებლობის შესაბამისად დასაქმების კონტრაქტთა თავიდან აცილება, განაპირობა ის, რომ სულ უფრო მეტი დასაქმებული რჩება დამოკიდებული მუშაკის განმარტების მიღმა. მათ შორის არიან: დაბალანაზღაურებადი მუშაკები, ან მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც *დე ფაქტო* „დამოკიდებულნი“ არიან ერთ ან მეტ დამქირავებელზე.⁸⁹⁰ ეს მოვლენები გასათვალისწინებელია 6§2 მუხლის მოქმედების სფეროს განსაზღვრისას თვითდასაქმებულ მუშაკებთან მიმართებით.⁸⁹¹

ქარტიით დაცული კოლექტიური მოლაპარაკების ტიპის განსაზღვრისას, არ კმარა დაყრდნობა დასაქმებულსა და თვითდასაქმებულს შორის განსხვავებებზე. გადამწყვეტი კრიტერიუმია ძალაუფლების დისბალანსი მიმწოდებლებსა და დამქირავებლებს შორის.⁸⁹² თუ სამუშაო ძალის მიმწოდებლები ვერ ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას სახელმეკრულებო პირობების შინაარსზე, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, ეს დისბალანსი გამოასწორონ კოლექტიური მოლაპარაკებების მეშვეობით.⁸⁹³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაჭარბებული იქნებოდა კოლექტიური მოლაპარაკებების პირდაპირი აკრძალვა ყველა თვითდასაქმებულისთვის, რადგან ეს ეწინააღმდეგება ამ დებულების საგანსა და მიზანს.⁸⁹⁴

მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, პროფესიულ კავშირებს მოსთხოვონ წარმომადგენლობითობის ვალდებულების შესრულება გარკვეული ზოგადი პირობების დაცვით. 6§2 მუხლთან მიმართებით, ასეთი მოთხოვნა გადაჭარბებულად არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული კავშირების შესაძლებლობას, ეფექტიანად მონაწილეობდნენ კონსულტაციებში.⁸⁹⁵ კოლექტიური მოლაპარაკებების მეზღუდავ პროფესიული კავშირებისთვის, რომლებიც წარმომადგენენ დასაქმებულთა, სულ მცირე, 33%-ს, მიჩნეულია 6§2 მუხლის დარღვევად.⁸⁹⁶

კოლექტიური შეთანხმებები უნდა გაფართოვდეს იმ შედეგების სამმხრივი ანალიზის საფუძველზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს გაფართოებას ხელმეკრულებებით მოცული სექტორებისთვის.⁸⁹⁷

მდგომარეობა, როდესაც კანონმდებლობა ცალმხრივად აძლევს საშუალებას დამსაქმებლებს, რომ არ გამოიყენონ კოლექტიურ შეთანხმებებში განსაზღვრული პირობები, შეუთავსებელია 6§2 მუხლთან.⁸⁹⁸

მდგომარეობა, როდესაც მუშაკებსა და პროფესიულ კავშირებს არ აქვთ სამართალწარმოების

⁸⁸⁹ EuroCOP v. Ireland, საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, §177; იხ. ასევე [Unione Generale Lavoratori – Federazione Nazionale Corpo forestale dello Stato \(UGL-CFS\) and Sindacato autonomo polizia ambientale forestale \(SAPAF\) v. Italy](#), საჩივარი N 143/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 3 ივლისი, §118

⁸⁹⁰ [Irish Congress of Trade Unions v. Ireland](#), საჩივარი N 123/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 12 სექტემბერი, §37

⁸⁹¹ [Irish Congress of Trade Unions v. Ireland](#), საჩივარი N 123/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 12 სექტემბერი, §37

⁸⁹² [Irish Congress of Trade Unions v. Ireland](#), საჩივარი N 123/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 12 სექტემბერი, §38

⁸⁹³ [Irish Congress of Trade Unions v. Ireland](#), საჩივარი N 123/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 12 სექტემბერი, §38

⁸⁹⁴ [Irish Congress of Trade Unions v. Ireland](#), საჩივარი N 123/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 12 სექტემბერი, §40.

⁸⁹⁵ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

⁸⁹⁶ [დასკვნები XIX-3 \(2010\), „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“](#)

⁸⁹⁷ [დასკვნები 2010, განცხადება 6§2 მუხლის განმარტების შესახებ](#), რომელშიც ციტირებულია the Digest of the Freedom of Association Committee of the Governing Body of the ILO, მე-5 (გადახედილი) გამოცემა, 2006, §1051

⁸⁹⁸ [დასკვნები XXI-3 \(2018\), ესპანეთი](#)

დაწყების უფლება მაშინ, როცა დამსაქმებლები ფინანსურ წახალისებას სთავაზობენ დასაქმებულებს და აიძულებენ უარის თქმას კოლექტიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე, არ შეესაბამება 652 მუხლს.⁸⁹⁹

653 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ მორიგებისა და ნებაყოფლობითი არბიტრაჟის შესაბამისი მექანიზმის შექმნასა და გამოყენებას შრომითი დავების გადასაწყვეტად.

653 მუხლის შესაბამისად, უნდა დაინერგოს შერიგების, მედიაციის ან/და არბიტრაჟის პროცედურები, რათა ხელი შეუწყოს კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტას.⁹⁰⁰ ისინი შეიძლება დადგინდეს კანონით, კოლექტიური შეთანხმებით, ან სამრეწველო პრაქტიკით.⁹⁰¹ აღნიშნული პროცედურები უნდა არსებობდეს ადმინისტრაციასა და მის თანამდებობის პირებს შორის დავების გადასაწყვეტად.⁹⁰²

653 მუხლი ვრცელდება ინტერესთა კონფლიქტზე, ანუ ზოგადად დავებზე, რომლებიც ეხება კოლექტიური შეთანხმების დადებას, ან მოქმედი კოლექტიური შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო პირობების ცვლილებას კოლექტიური მოლაპარაკებების მეშვეობით.⁹⁰³ ის არ ეხება უფლებათა კონფლიქტს, ანუ კოლექტიური ხელშეკრულების გამოყენება-განხორციელებასთან დაკავშირებულ ან პოლიტიკურ დავებს.⁹⁰⁴

შერიგების პროცესის მიზანია შრომითი კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ხოლო არბიტრაჟს კონფლიქტის მოგვარება შეუძლია მხარეთა მიერ არჩეული ერთი ან რამდენიმე პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.⁹⁰⁵ ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან შემრიგებელი პროცედურის შედეგი მხარეებისთვის სავალდებულო არ არის, არბიტრაჟისთვის მიმართვა კი ნებაყოფლობითია (მხარეთა შეთანხმებით).⁹⁰⁶ თუმცა, დავის არბიტრაჟით გადაჭრის შემთხვევაში, საარბიტრაჟო წარმოების შედეგი მხარეებისთვის სავალდებულოა.⁹⁰⁷

ყველა საარბიტრაჟო სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო არბიტრაჟის შედეგი არ უნდა განისაზღვროს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.⁹⁰⁸

არბიტრაჟისთვის იძულებითი მიმართვის ნებისმიერი ფორმა არღვევს ამ დებულებას, მიუხედავად იმისა, აძლევს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ერთ-ერთ მხარეს დავის არბიტრაჟისთვის გადაცემის საშუალებას მეორე მხარის თანხმობის გარეშე, ან მთავრობასა თუ ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებას, დავა არბიტრაჟს გადასცეს ერთ-ერთი ან ორივე მხარის თანხმობის გარეშე.⁹⁰⁹ ასეთი მეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ G მუხლით დადგენილ ფარგლებში.⁹¹⁰

654 კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ მუშაკთა და დამსაქმებელთა უფლება კოლექტიურ მოქმედებაზე ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, გაფიცვის უფლების ჩათვლით, იმ ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ადრე დადებული კოლექტიური შეთანხმებებიდან.

⁸⁹⁹ [დასკვნები XXI-3 \(2018\), გაერთიანებული სამეფო](#)
⁹⁰⁰ [დასკვნები 2014, მოლოდვის რესპუბლიკა](#)
⁹⁰¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 653 მუხლის განმარტების შესახებ](#)
⁹⁰² [დასკვნები 2014, მოლოდვის რესპუბლიკა](#); [დასკვნები III \(1973\), დანია](#), გერმანია, ნორვეგია, შვედეთი
⁹⁰³ [დასკვნები 2010, საქართველო](#)
⁹⁰⁴ [დასკვნები 2010, საქართველო](#)
⁹⁰⁵ [დასკვნები 2014, მოლოდვის რესპუბლიკა](#)
⁹⁰⁶ [დასკვნები 2014, მოლოდვის რესპუბლიკა](#)
⁹⁰⁷ [დასკვნები 2014, მოლოდვის რესპუბლიკა](#)
⁹⁰⁸ [დასკვნები 2010, საქართველო](#); იხ. ასევე [დასკვნები XIV-1 \(1998\), ისლანდია](#)
⁹⁰⁹ [დასკვნები 2010, საქართველო](#)
⁹¹⁰ [დასკვნები 2010, საქართველო](#); იხ. ასევე [დასკვნები 2006, მოლოდვი, 653 მუხლი](#)

დანართი: თითოეულ მხარეს შეუძლია (რამდენადაც მას ეხება), კანონით მოაწესრიგოს გაფიცვის უფლების განხორციელება, იმ პირობით, რომ ამ უფლებაზე დაწესებული ნებისმიერი შემდგომი შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს G მუხლის პირობების შესაბამისად.⁹¹¹

1961 წლის ქარტიის თანახმად, კოლექტიური მოქმედების უფლების დაცვა მიზნად ისახავს კოლექტიურ კონფლიქტთა გადაწყვეტას.⁹¹² სანამ ასეთი მიზანი ფაქტობრივად შესრულდება პრაქტიკაში, მის მისაღწევად შეიძლება განისაზღვროს ეკვივალენტური საშუალებები.⁹¹³

6§4 მუხლით გარანტირებულია გაფიცვისა და ლოკაუტის უფლება.⁹¹⁴

ამ მუხლის შესაბამისად, ქარტია აღიარებს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა უფლებას, ერთობლივად იმოქმედონ ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში.⁹¹⁵ თუმცა, ეს არანაირ დაბრკოლებას არ უქმნის კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს ლოკაუტისა და გაფიცვის უფლების განხორციელებას, იმ პირობით, რომ არც კანონმდებლობა და არც სასამართლო გადაწყვეტილებები არ ახდენს გავლენას აღიარებული უფლების არსებობაზე.⁹¹⁶

გაფიცვის უფლება განუყოფლად უკავშირდება კოლექტიური მოლაპარაკების უფლებას, რადგან ის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა მოლაპარაკების პროცესში ხელსაყრელი შედეგის მისაღწევად.⁹¹⁷ შესაბამისად, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროფესიული კავშირებისთვის.⁹¹⁸ გაფიცვის უფლების გაუქმება გავლენას ახდენს ქარტიის მე-6 მუხლით გათვალისწინებული კოლექტიური მოლაპარაკების უფლების ერთ-ერთ არსებით ელემენტზე, ურომლისოდაც ამ უფლების შინაარსი კარგავს არსს და, შესაბამისად, ეფექტიანობასაც.⁹¹⁹ შედეგად, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გარკვეულ პირობებში.⁹²⁰

თუ გაფიცვის უფლების საზღვრები მხარე სახელმწიფოში განსაზღვრულია სასამართლოების მიერ და არა კანონმდებლობით, კომიტეტმა უნდა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა ასე დადგენილი პრეცედენტული სამართალი ქარტიის მოთხოვნებს.⁹²¹ კომიტეტი იკვლევს შიდა სასამართლოების პრეცედენტულ სამართალს, რათა შეამოწმოს, ზედმეტად ხომ არ ზღუდავენ გაფიცვის უფლებას, კერძოდ, ხომ არ ამცირებენ რაიმე სახის ჩარევით გაფიცვის უფლების არსს, რათა ის არაეფექტიანი გახდეს.⁹²² ფაქტი, რომ ეროვნულ მოსამართლეს შეუძლია განსაზღვრა, „ნაადრევი“ თუ არა გაფიცვის მოწოდება, არ შეესაბამება 6§4 მუხლს, რადგან ეს მოსამართლეს საშუალებას აძლევს, განახორციელოს პროფესიული კავშირის მთავარი პრეროგატივა - გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა გაფიცვა და როდის.⁹²³

სასამართლოებს არ შეუძლიათ კოლექტიურ მოქმედებათა გამორიცხვა მომავალ დამსაქმებელსა და დასაქმების პირობებთან მიმართებით, ბიზნესის ნაწილის გადაცემის კონტექსტში.⁹²⁴ კანონიერი კოლექტიური მოქმედება არ შეიძლება შემოიფარგლოს დავებით დასაქმებულებსა და დამსაქმებელს შორის. ეს ხელს შეუძლის პროფესიულ კავშირს,

⁹¹¹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

⁹¹² [დასკვნები XX-3 \(2014\), გერმანია](#)

⁹¹³ [დასკვნები XX-3 \(2014\), გერმანია](#)

⁹¹⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹¹⁵ [დასკვნები VIII \(1984\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹¹⁶ [დასკვნები VIII \(1984\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹¹⁷ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §143

⁹¹⁸ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §143

⁹¹⁹ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §144

⁹²⁰ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §143

⁹²¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹²² [დასკვნები XVII-1 \(2005\), ნიდერლანდები](#)

⁹²³ [დასკვნები 2018, ნიდერლანდები](#)

⁹²⁴ [დასკვნები XXI-3 \(2018\), გაერთიანებული სამეფო](#)

რომ მიიღოს ზომები *დე ფაქტო* დამსაქმებლის წინააღმდეგ, რომელიც არ არის უშუალო დამსაქმებელი.⁹²⁵ 6§4 მუხლით გარანტირებულია მეორეულ მოქმედებებში მონაწილეობის უფლება.⁹²⁶

ქარტია სულაც არ გულისხმობს, რომ კანონმდებლობამ და პრეცედენტულმა სამართალმა სრული თანასწორობა უნდა დაადგინონ გაფიცვის უფლებასა (რომელსაც ცალსახად ახსენებს ქარტია და ძირითად უფლებად აღიარებს მრავალი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუცია) და ლოკაუტის უფლებას შორის.⁹²⁷ შესაბამისად, ქარტიის მხარე სახელმწიფო არ შეიძლება დადანაშაუდეს ლოკაუტის მარეგულირებელი კანონმდებლობის შეუსრულებლობისთვის.⁹²⁸ გარდა ამისა, კომპეტენტური ტრიბუნალები უფლებამოსილი არიან, გარკვეული შეზღუდვები დააწესონ ლოკაუტის განხორციელებაზე კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება უფლების ბოროტად გამოყენებას, ანდა ეს არ არის გამართლებული „ფორსმაჟორული“ ვითარებითა თუ საწარმოს დეზორგანიზაციის საფუძვლით, რომელიც გამოწვეულია მუშაკთა კოლექტიური მოქმედებით.⁹²⁹

ჯგუფები, რომლებსაც აქვთ კოლექტიური მოქმედების გამოცხადების უფლება

6§4 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან არ მოითხოვს გაფიცვის უფლების მინიჭებას მუშაკთა რომელიმე ჯგუფისთვის, მაგრამ მათ უტოვებს არჩევანს, გადაწყვიტონ, თუ რომელ ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ ეს უფლება და ამგვარად შეზღუდონ პროფესიული კავშირების მიერ გაფიცვის გამოცხადების უფლება.⁹³⁰ თუმცა, ასეთი შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესაბამება 6§4 მუხლს, თუ არსებობს პროფესიული კავშირების შექმნის სრული თავისუფლება და პროცესი არ მოიცავს ზედმეტ ფორმალობებს, რომლებიც ხელს უშლის გაფიცვისას საჭირო სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას.⁹³¹

საპირისპიროდ, ყველაზე წარმომადგენლობითი პროფესიული კავშირებისთვის გაფიცვის უფლების შეზღუდვა ეროვნულ დონეზე, პროფესიულ კატეგორიასა ან შესაბამის კომპანიაში, ორგანიზაციაში ან შესაბამის დეპარტამენტში, არ შეესაბამება 6§4 მუხლს.⁹³² გარდა ამისა, 6§4 მუხლს ეწინააღმდეგება მდგომარეობა, როცა გაფიცვის გამოცხადების უფლება დაცულია პროფესიული კავშირებისთვის, თუმცა პროფესიული კავშირის რეგისტრაციის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ოცდაათ დღემდე, რადგან ეს არღვევს გაფიცვის უფლებას.⁹³³

მუნიციპალური წესი, რომლის თანახმადაც დასაქმებულებს გაფიცვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ პროფესიულ კავშირს მანამდე სახელმწიფო ორგანოსგან მოპოვებული აქვს „მოლაპარაკების ლიცენზია“, რომლის გაცემაც ამ ორგანოს დისკრეციაა და არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას, შეუთავსებელია ქარტიის 6§4 მუხლის დებულებებთან.⁹³⁴

გაფიცვის უფლების აღიარებაზე უარის თქმა არაკომერციულ საქმიანობაში ჩართული ანაზღაურებადი მუშაკებისთვის ასევე ეწინააღმდეგება ქარტიას.⁹³⁵

გაფიცვის გამოცხადების შემდეგ, გაფიცვის უფლება აქვს ნებისმიერ დასაქმებულს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იმ პროფესიული კავშირის წევრი, რომელმაც გამოაცხადა გაფიცვა.⁹³⁶ მდგომარეობა, როდესაც პროფესიულ კავშირებს მონოპოლია აქვთ გაფიცვაზე, არ

⁹²⁵ [დასკვნები XXI-3 \(2018\), გაერთიანებული სამეფო](#)

⁹²⁶ [დასკვნები XX-3 \(2014\), გაერთიანებული სამეფო](#)

⁹²⁷ [დასკვნები VIII \(1984\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹²⁸ [დასკვნები VIII \(1984\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹²⁹ [დასკვნები VIII \(1984\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹³⁰ [დასკვნები 2004, შვედეთი](#)

⁹³¹ [დასკვნები 2004, შვედეთი](#)

⁹³² [დასკვნები XV-1 \(2000\), საფრანგეთი](#)

⁹³³ [დასკვნები XXI-3 \(2018\), ხორვატია](#)

⁹³⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹³⁵ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹³⁶ [დასკვნები XVI-1 \(2003\), პორტუგალია](#)

კოლექტიური მოქმედებების ნებადართული მიზნები

6§4 მუხლი კოლექტიური მოქმედების უფლებას აღიარებს მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში.⁹³⁸ ის არ ეხება უფლებათა კონფლიქტს, რომელიც უკავშირდება კოლექტიური ხელშეკრულების არსებობას, ნამდვილობას, განმარტებას ან დარღვევას.⁹³⁹ პოლიტიკური გაფიცვები არ არის გათვალისწინებული მე-6 მუხლით, რომლის მიზანია „კოლექტიური მოლაპარაკების უფლების“ დაცვა. ასეთი გაფიცვები არ შედის კოლექტიური მოლაპარაკების ფარგლებში.⁹⁴⁰

ამდენად, სპეციალური მიდგომა, რომელიც უფლებათა კონფლიქტს სასამართლოებს უტოვებს გადასაწყვეტად და მოითხოვს, რომ კოლექტიური მოქმედება მიემართებოდეს ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრას, არსებითად, შეესაბამება 1961 წლის ქარტიის 6§4 მუხლის დებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაჭარბებული შეზღუდვები არ არის დაწესებული დამსაქმებელთა და დასაქმებულთა უფლებაზე, მონაწილეობდნენ კოლექტიურ მოქმედებებში ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებით.⁹⁴¹

გაფიცვის უფლების კონკრეტული შეზღუდვები

გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ აკმაყოფილებს G მუხლით დადგენილ პირობებს, რომლის თანახმადაც, ქარტიით გარანტირებულ უფლებებზე შეზღუდვები უნდა იყოს კანონით დადგენილი, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა ან მორალის დასაცავად.⁹⁴² როდესაც ითვალისწინებს ქარტიის უფლებათა შეზღუდვის „კანონით დადგენას“, მუხლი G არ მოითხოვს, რომ ამგვარი შეზღუდვები დაწესდეს მხოლოდ ნორმატიული კანონის დებულებებით.⁹⁴³ ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი შეიძლება ასევე აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნას, თუ საკმარისად სტაბილური და პროგნოზირებადია შესაბამის მხარეთა საკმარისი სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.⁹⁴⁴ გარდა ამისა, ეს გამოთქმა მოიცავს სამართლიანი პროცედურების დაცვას.⁹⁴⁵

გარკვეული ტიპის კოლექტიური მოქმედებების აკრძალვა ან თუნდაც ზოგადი კანონიერი შეზღუდვა უკანონო ან ძალადობრივ მიზნებზე მიმართული ინიციატივების ასაცილებლად (მაგ: დისკრიმინაციული ან ისეთი მიზნების, რომლებიც არ უკავშირდება შრომითი უფლებების განხორციელებას), სულაც არ ეწინააღმდეგება ქარტიის 6§4 მუხლს.⁹⁴⁶ კოლექტიური მოქმედების გადაჭარბებული ან ძალადობრივი ფორმები, როგორცაა გრძელვადიანი ბლოკადა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან ზედმეტად ზღუდავს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს (მაგ: თანამშრომელთა მუშაობის უფლებას, ან

⁹³⁷ [დასკვნები XVI-1 \(2003\), პორტუგალია](#)

⁹³⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹³⁹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁴⁰ [დასკვნები II \(1971\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁴¹ [დასკვნები XX-3 \(2014\), გერმანია](#)

⁹⁴² [დასკვნები 2014, ნორვეგია](#); იხ. ასევე [დასკვნები X-1 \(1987\), ნორვეგია](#) (1961 წლის ქარტიის 31-ე მუხლთან დაკავშირებით, რომელსაც შეესაბამება შესწორებული ქარტიის მუხლი G).

⁹⁴³ [European Trade Union Confederation \(ETUC\)/ Centrale Générale des Syndicats Libéraux de Belgique \(CGSLB\)/Confédération des Syndicats Chrétiens de Belgique \(CSC\)/ Fédération Générale du Travail de Belgique \(FGTB\) v. Belgium](#), საჩივარი N 59/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 13 სექტემბერი, §43

⁹⁴⁴ [European Trade Union Confederation \(ETUC\)/ Centrale Générale des Syndicats Libéraux de Belgique \(CGSLB\)/Confédération des Syndicats Chrétiens de Belgique \(CSC\)/ Fédération Générale du Travail de Belgique \(FGTB\) v. Belgium](#), საჩივარი N 59/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 13 სექტემბერი, §43

⁹⁴⁵ [European Trade Union Confederation \(ETUC\)/ Centrale Générale des Syndicats Libéraux de Belgique \(CGSLB\)/Confédération des Syndicats Chrétiens de Belgique \(CSC\)/ Fédération Générale du Travail de Belgique \(FGTB\) v. Belgium](#), საჩივარი N 59/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 13 სექტემბერი, §44

⁹⁴⁶ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 119

დამსაქმებლის უფლებას, ჩაერთოს შემოსავლიან საქმიანობაში), შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს კანონით.⁹⁴⁷

თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც აპრიორი გამორიცხავს კოლექტიური მოქმედების უფლების განხორციელებას, ან უშვებს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შრომის მინიმალური (დადგენილი) სტანდარტების მისაღწევად, არ შეესაბამება ქარტიის 6§4 მუხლს, რადგან არღვევს მშრომელთა და პროფესიული კავშირების ფუნდამენტურ უფლებას, კოლექტიურად იმოქმედონ დასაქმებულთა ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად.⁹⁴⁸ ქარტიით გათვალისწინებული ღირებულებების, პრინციპებისა და ძირითადი უფლებების სისტემის ფარგლებში, კოლექტიური მოლაპარაკებისა და კოლექტიური მოქმედების უფლება არსებითია პროფესიული კავშირების ავტონომიისათვის და მუშაკთა დასაქმების პირობების დასაცავად. ამ უფლების არსის პატივსაცემად, პროფესიულ კავშირებს უნდა მიეცეთ დასაქმებულთა საცხოვრებელი თუ სამუშაო პირობების გაუმჯობესებისკენ სწრაფვის საშუალება და მისი მოცულობა არ უნდა შეზღუდოს კანონმდებლობამ მინიმალური პირობების მიღწევით.⁹⁴⁹

დამსაქმებლებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ ცალმხრივად განსაზღვრონ გაფიცვისას საჭირო მომსახურების მინიმალური ოდენობა.⁹⁵⁰

I. ძირითად მომსახურებებთან/სექტორებთან დაკავშირებული შეზღუდვები

საჯარო მნიშვნელობის სექტორებში გაფიცვის აკრძალვა მიიჩნევა ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად, რადგან ასეთმა გაფიცვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ ინტერესებს, ეროვნულ უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ ჯანმრთელობას.⁹⁵¹ თუმცა, გაფიცვების უბრალო აკრძალვა, თუნდაც ძირითად სექტორებში – განსაკუთრებით, როდესაც ისინი ფართოდ არის განსაზღვრული (მაგ: „ენერჯეტიკა“ ან „ჯანდაცვა“) – არ განიხილება თითოეული სექტორის სპეციალურ მოთხოვნათა პროპორციულად.⁹⁵² გაფიცვის უბრალო აკრძალვა, დასაქმებულთა კონკრეტული ფუნქციების გამიჯვნის გარეშე, ვერ ჩაითვლება თითოეული სექტორის კონკრეტულ გარემოებათა თანაზომიერად და, შესაბამისად, აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁹⁵³ საუკეთესო შემთხვევაში, ამ სექტორებში მომსახურების მინიმალური მოთხოვნის შემოღება შეიძლება შეიძლება ჩაითვალოს 6§4 მუხლის შესაბამისად.⁹⁵⁴ თუ არ არსებობს მინიმალური მომსახურების შემოღების დებულება საგანგებო და სამაშველო მომსახურებებზე ბირთვულ ობიექტებსა და ტრანსპორტის სექტორში და გაფიცვები უბრალოდ ეკრძალებათ გარკვეული კატეგორიის მუშაკებს, მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიას.⁹⁵⁵

II. საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან დაკავშირებული შეზღუდვები

კომიტეტი აღიარებს, რომ შესწორებული ქარტიის G მუხლის შესაბამისად, გარკვეული კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს. მათ შორის არიან პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წევრები, მოსამართლეები და

⁹⁴⁷ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 119

⁹⁴⁸ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 120

⁹⁴⁹ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 120

⁹⁵⁰ [დასკვნები 2018, სერბეთი](#)

⁹⁵¹ [Matica Hrvatskih Sindikata v. Croatia](#), საჩივარი N 116/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 21 მარტი, §114; [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁵² [Matica Hrvatskih Sindikata v. Croatia](#), საჩივარი N 116/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 21 მარტი, §114

⁹⁵³ [დასკვნები XVII-1 \(2006\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁹⁵⁴ [Matica Hrvatskih Sindikata v. Croatia](#), საჩივარი N 116/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 21 მარტი, §114; იხ. ასევე [დასკვნები XVII-1 \(2006\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁹⁵⁵ [დასკვნები 2018, უკრაინა](#)

მაღალი თანამდებობის სამოქალაქო მოსამსახურეები.⁹⁵⁶ იმ საჯარო მოსამსახურეთა გაფიცვის უფლების შეზღუდვა, რომელთა მოვალეობები და ფუნქციები, მათი ბუნებისა ან პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, პირდაპირ გავლენას ახდენს სხვათა უფლებებზე, ეროვნულ უსაფრთხოებასა ან საზოგადოებრივ ინტერესებზე, შეიძლება ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს G მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.⁹⁵⁷

მეორე მხრივ, კომიტეტი მიიჩნევს, რომ, ზოგადად, საჯარო მოსამსახურეებისთვის გაფიცვის უფლებაზე უარის თქმა არ შეესაბამება ქარტიას.⁹⁵⁸ ამასთანავე, სახელმწიფო თანამდებობის პირებისთვის გაფიცვის გამოცხადების მხოლოდ სიმბოლური უფლების მიცემა არ არის საკმარისი.⁹⁵⁹

გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირების, მაგალითად, შეიარაღებული ძალების წევრების გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს.⁹⁶⁰

რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, სამხედრო მოქმედებების ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში ბრძანებისა და კონტროლის შენარჩუნების უცილებლობა ვერ გაამართლებს გაფიცვის უფლების აბსოლუტურ აკრძალვას, რადგან ის არ არის ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი და, შესაბამისად, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁹⁶¹ თავდაცვის სექტორში გაფიცვისას შესაძლებელია შემოღებული იყოს მინიმალური მომსახურებები.⁹⁶² კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ღონისძიებებსაც, როგორცაა სამხედრო პერსონალსა და სარდლობას შორის უმაღლესი მოლაპარაკებების ეფექტიანი და რეგულარული პროცედურა, რომლებიც შეეხება არა მხოლოდ მატერიალურ პირობებსა და ხელფასის საკითხებს, არამედ შრომის ორგანიზებას, შერიგებას ან საარბიტრაჟო პროცედურას.⁹⁶³ ასეთი ზომების (მინიმალური მომსახურების ან/და ეფექტიანი მოლაპარაკებისა თუ შერიგების პროცედურა) არსებობით გაფიცვის უფლების აკრძალვა თანაზომიერი იქნება.⁹⁶⁴

შეიარაღებული ძალების გაფიცვის უფლებასთან მიმართებით მხარე სახელმწიფოებს უფრო მეტი დისკრეცია ენიჭებათ, ვიდრე პოლიციასთან მიმართებით.⁹⁶⁵

რაც შეეხება პოლიციელებს, გაფიცვის უფლების აბსოლუტური აკრძალვა შეიძლება განიხილებოდეს 6§4 მუხლის შესაბამისად, თუ არსებობს ამის გამამართლებელი დამაჯერებელი მიზეზები.⁹⁶⁶ მეორე მხრივ, შეზღუდვების დაწესება ამგვარი გაფიცვის

⁹⁵⁶ [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §113, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁵⁷ [Confederation of Independent Trade Unions in Bulgaria \(CITUB\), Confederation of Labour “Podkrepa” and European Trade Union Confederation \(CES\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 32/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 16 ოქტომბერი, §45

⁹⁵⁸ [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §113, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები I \(1969\), განცხადება 6§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁵⁹ [Confederation of Independent Trade Unions in Bulgaria \(CITUB\), Confederation of Labour “Podkrepa” and European Trade Union Confederation \(CES\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 32/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 16 ოქტომბერი, §44-46

⁹⁶⁰ [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §113

⁹⁶¹ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §152

⁹⁶² [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §152

⁹⁶³ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §152

⁹⁶⁴ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 140/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 22 იანვარი, §152

⁹⁶⁵ [European Organisation of Military Associations \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 112/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 სექტემბერი, §116

⁹⁶⁶ [European Confederation of Police \(EuroCOP\) v. Ireland](#), საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, § 211

მოქმედების წესსა და ფორმაზე შეიძლება შეესაბამებოდეს ქარტიას.⁹⁶⁷

III. შეზღუდვები პარლამენტის ან მთავრობის ჩარევის სახით, გაფიცვის დასასრულებლად

როდესაც პარლამენტი აწესებს არბიტრაჟს გაფიცვის დასასრულებლად, ასეთი შეზღუდვა 6§4 მუხლს შეესაბამება მხოლოდ და მხოლოდ G მუხლით განსაზღვრულ ფარგლებში, კერძოდ, თუ დადგენილია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა ან მორალის დასაცავად.⁹⁶⁸ სხვა სიტყვებით, გაფიცვის შესაწყვეტად სავალდებულო არბიტრაჟის გამოყენება ეწინააღმდეგება ქარტიას, თუ არ იკვეთება G მუხლით დადგენილი შემთხვევები. ეროვნული საკანონმდებლო ორგანოები, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება პასუხისმგებელი არიან ამ პირობების მკაცრად დაცვაზე.⁹⁶⁹ ხელისუფლების ორგანოებმა უნდა აჩვენონ, რომ ისინი დაკმაყოფილებულია თითოეულ შემთხვევაში, ხოლო კომიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს G მუხლის პირობების დაცვა.⁹⁷⁰

ბალანსი გაფიცვის უფლებასა და ეკონომიკურ თავისუფლებებს შორის, ევროკავშირისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად

სამართლებრივი წესები, რომლებიც უკავშირდება მხარე სახელმწიფოთა მიერ დაწესებული ეკონომიკური თავისუფლებების განხორციელებას უშუალოდ შიდა კანონმდებლობით ან, ირიბად, ევროკავშირის კანონმდებლობით, შემდეგნაირად განიმარტება: არ უნდა დაწესდეს არაპროპორციული შეზღუდვები შრომითი უფლებების განხორციელებაზე, რომლებიც დადგენილია შიდასახელმწიფოებრივი ან ევროკავშირის კანონმდებლობითა და სხვა საერთაშორისო სავალდებულო სტანდარტებით.⁹⁷¹ კერძოდ, ეროვნული და ევროკავშირის წესები, რომლებიც არეგულირებს ამ თავისუფლებებით სარგებლობას, უნდა აღიარებდეს პროფესიული კავშირებისა და მათი წევრების ფუნდამენტურ უფლებას, ისწრაფვოდნენ დასაქმებულთა საცხოვრებელი და სამუშაო პირობების დასაცავად და გასაუმჯობესებლად, ასევე, მათ მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, ეროვნებისა თუ სხვა საფუძვლების მიუხედავად.⁹⁷²

შესაბამისად, მომსახურებათა თავისუფალი ტრანსსასაზღვრო გადაადგილების ხელშეწყობა და დამსაქმებლის ან საწარმოს თავისუფლების წახალისება, რომ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც მიაწოდონ მომსახურებები (რაც მნიშვნელოვანი და ღირებული ეკონომიკური თავისუფლებებია ევროკავშირის კანონმდებლობაში), არ შეიძლება განიხილებოდეს (ქარტიით გათვალისწინებული ღირებულებათა სისტემის, პრინციპებისა და ძირითადი უფლებების თვალსაზრისით), როგორც მეტი *a priori* ღირებულების მქონე, ვიდრე ძირითადი შრომითი უფლებები, მათ შორის, კოლექტიური მოქმედების უფლება მუშაკთა ინტერესებისა და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შემდგომი და უკეთესი დაცვის მოთხოვნით.⁹⁷³ გარდა ამისა, ამ უფლების განხორციელებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა არ უნდა აბრკოლებდეს პროფესიულ კავშირთა მონაწილეობას კოლექტიურ მოქმედებებში, მუშაკთა დასაქმების პირობების, მათ შორის, ხელფასის დონის გასაუმჯობესებლად, განურჩევლად ეროვნებისა.⁹⁷⁴

⁹⁶⁷ European Confederation of Police (EuroCOP) v. Ireland, საჩივარი N 83/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 დეკემბერი, § 211

⁹⁶⁸ [დასკვნები 2004, ნორვეგია](#)

⁹⁶⁹ [დასკვნები 2004, ნორვეგია](#)

⁹⁷⁰ [დასკვნები 2014, ნორვეგია](#)

⁹⁷¹ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 121

⁹⁷² [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 121

⁹⁷³ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 122

⁹⁷⁴ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება დასაშვებობასა და საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 22

პროცედურული მოთხოვნები

ა) მშვიდობის ვალდებულება

საწარმოო ურთიერთობების სისტემები, სადაც კოლექტიური შეთანხმებები განიხილება სოციალური მშვიდობის ხელშეკრულებად, რომლის დროსაც გაფიცვები აკრძალულია, შეესაბამება 654 მუხლს.⁹⁷⁵ თუმცა, სამშვიდობო ვალდებულება ზუსტად უნდა ასახავდეს სოციალურ პარტნიორთა ნებას, დავის მხარეებს კი უნდა შეეძლოთ დავის გადაწყვეტის მექანიზმისთვის მიმართვა, რომელიც შეესაბამება 653 მუხლს.⁹⁷⁶

ბ) სხვა პროცედურული მოთხოვნები

გაფიცვის უფლების გამოყენება დასაქმებულთა გარკვეული პროცენტის წინასწარი თანხმობით, შეესაბამება 654 მუხლს, იმ პირობით, რომ კენჭისყრის მეთოდი, კვორუმი და საჭირო უმრავლესობა გადაჭარბებულად არ ზღუდავს ამ უფლების განხორციელებას.⁹⁷⁷ სიტუაციები, როდესაც გაფიცვა შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური შეთანხმებით გათვალისწინებულ მუშაკთა 1/2-ის თანხმობით, გადაჭარბებულად ზღუდავს პროფესიული კავშირების კოლექტიური მოქმედების უფლებას.⁹⁷⁸

გაფიცვამდე შერიგების პროცედურასთან მიმართებით დადგენილი შეტყობინების პერიოდი ან მოსაფიქრებელი ვადა შეესაბამება 654 მუხლს, თუ გონივრული ხანგრძლივობისაა.⁹⁷⁹ მოთხოვნა 30-დღიანი პერიოდის გასვლაზე, სანამ მედიაციის მცდელობები წარუმატებლად ჩაითვლება და გაფიცვის გამოცხადება შესაძლებელი გახდება, გადაჭარბებულია.⁹⁸⁰

ასევე გადაჭარბებულია მოთხოვნა, რომ გაფიცვის დაწყებამდე ეცნობოს დამსაქმებელს იმ გაფიცვის ხანგრძლივობა, რომელიც ეხება ძირითად სახელმწიფო სერვისებს.⁹⁸¹

გაფიცვის შედეგები

კომიტეტი მიიჩნევს, რომ წესი, რომლის თანახმადაც გაფიცვა წყვეტს შრომით ხელშეკრულებას, არ შეესაბამება ქარტიით გათვალისწინებულ გაფიცვის უფლებას.⁹⁸² თუმცა, კითხვას, არღვევს თუ არა ამგვარი წესი ქარტიას კონკრეტულ შემთხვევაში, პასუხი უნდა გაეცეს არა აბსტრაქტულად, არამედ იმ შედეგების გათვალისწინებით, რომლებსაც კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობა და სამრეწველო პრაქტიკა ანიჭებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასა და აღდგენას.⁹⁸³ თუ გაფიცვის მონაწილეებს სრულად აღადგენენ სამუშაოზე გაფიცვის დასრულების შემდეგ და არ ირღვევა მათი ადრე შეძენილი უფლებები (მაგ: პენსიასთან, შვებულებასა და სტაჟთან დაკავშირებით), შრომითი ხელშეკრულებების ფორმალური შეწყვეტა გაფიცვის გამო არ არღვევს ქარტიას.⁹⁸⁴

გაფიცულთა ხელფასიდან ნებისმიერი გამოქვითვა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის იმ წილს, რომელიც შეესაბამება გაფიცვაში მონაწილეობის დროს.⁹⁸⁵

გაფიცვაში მონაწილე მუშაკებს, რომლებიც არ არიან გაფიცვის გამომცხადებელი პროფესიული კავშირის წევრები, აქვთ იგივე დაცვის უფლება, რაც ამ კავშირის წევრებს, და არ უნდა ჩაითვალოს შრომითი ხელშეკრულების დამრღვევებად გაფიცვის გამო.⁹⁸⁶

⁹⁷⁵ [დასკვნები 2004, ნორვეგია](#)

⁹⁷⁶ [დასკვნები 2004, ნორვეგია](#)

⁹⁷⁷ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ლატვია; დასკვნები II \(1971\), კვიპროსი](#)

⁹⁷⁸ [დასკვნები XVII-1 \(2004\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁹⁷⁹ [დასკვნები XIV-1 \(1998\), კვიპროსი](#)

⁹⁸⁰ [დასკვნები XVII-1 \(2004\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

⁹⁸¹ [დასკვნები 2006, იტალია](#)

⁹⁸² [დასკვნები I \(1969\), განცხადება 654 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁸³ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 654 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁸⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 654 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁸⁵ [დასკვნები XIII-1 \(1993\), საფრანგეთი](#)

⁹⁸⁶ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), დანია](#)

მუხლი 7 ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვაზე

ბავშვებსა და მოზარდებს აქვთ განსაკუთრებული დაცვის უფლება ფიზიკური და მორალური საფრთხისგან, რომლის წინაშეც დგანან.

7§1 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი შეადგენდეს 15 წელს, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვები დასაქმებული არიან კანონით გათვალისწინებულ მსუბუქ სამუშაოზე, რაც ზიანს არ აყენებს მათ ჯანმრთელობას, ზნეობას ან განათლებას.

7§1 მუხლის გამოყენებისას, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი – 15 წელი.

15 წლამდე ასაკის ბავშვთა დასაქმების აკრძალვა ვრცელდება ეკონომიკის ყველა სექტორზე, სოფლის მეურნეობის ჩათვლით, და ყველა სამუშაო ადგილზე, მათ შორის, საოჯახო საწარმოებსა და კერძო საოჯახო მეურნეობაზე.⁹⁸⁷ ის ასევე ეხება ეკონომიკური საქმიანობის ყველა ფორმას, მუშაკის სტატუსის მიუხედავად (დასაქმებული, თვითდასაქმებული, ოჯახის არაანაზღაურებადი დამხმარე ან სხვა).⁹⁸⁸

7§1 მუხლით გარანტირებულ უფლებათა ეფექტიანი დაცვა შეუძლებელია მხოლოდ კანონმდებლობის დადგენით: ის ფაქტობრივად უნდა გამოიყენებოდეს პრაქტიკაში და მკაცრად აღსრულდეს.⁹⁸⁹ ამ მიმართებით, გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს შრომის ინსპექციამ.⁹⁹⁰

7§1 მუხლი უშვებს გამონაკლისს მსუბუქი სამუშაოსთვის, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ბავშვების ჯანმრთელობას, მორალურ კეთილდღეობას, განვითარებას ან განათლებას.⁹⁹¹ მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ სამუშაოს იმ ტიპების დადგენა, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მსუბუქად, ან, სულ მცირე, იმ სამუშაოთა სიის შედგენა, რომლებიც არ არის მსუბუქი.⁹⁹² კანონით ნებადართული მსუბუქი სამუშაო საკმარისად ზუსტად უნდა განიმარტოს.⁹⁹³ სამუშაო აღარ იქნება მსუბუქი, თუ ის სრულდება ზედმეტად დიდხანს.⁹⁹⁴ ამიტომ, სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ „მსუბუქი სამუშაოს“ შესრულების პირობები და დასაშვები მაქსიმალური ხანგრძლივობა.⁹⁹⁵

კომიტეტი მიიჩნევს, რომ 15 წლამდე ასაკის ბავშვებმა, რომლებზეც ვრცელდება სავალდებულო განათლება, სასკოლო არდადეგების დროს არ უნდა შეასრულონ მსუბუქი სამუშაო დღეში 6 და კვირაში 30 საათზე მეტი ხანგრძლივობით. ამის მიზანია ისეთი რისკების აცილება, რომლებიც შეიძლება აღნიშნულმა საქმიანობამ შეუქმნას მათ ჯანმრთელობას, განვითარებას ან განათლებას.⁹⁹⁶

ბავშვებს, რომლებზეც ჯერ კიდევ ვრცელდება სავალდებულო სასკოლო განათლება, სწავლის პერიოდში შეუძლიათ მსუბუქი სამუშაოს შესრულება დღეში 2 და კვირაში 12 საათით, სკოლაში

⁹⁸⁷ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁸⁸ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §§27-28

⁹⁸⁹ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §32

⁹⁹⁰ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §32

⁹⁹¹ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §29

⁹⁹² [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §29

⁹⁹³ დასკვნები 2019, ალბანეთი

⁹⁹⁴ [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §§29-31

⁹⁹⁵ [დასკვნები 2015, განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

⁹⁹⁶ [დასკვნები 2015, განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

დასწრებისთვის დადგენილი დროის მიღმა.⁹⁹⁷ თუმცა, 15 წლამდე ასაკის ბავშვებმა არ უნდა იმუშაონ კვირაში 20-25 საათზე მეტი სემესტრის განმავლობაში, ან 3 საათზე მეტი სასწავლო დღის მანძილზე.⁹⁹⁸

ზაფხულის არდადეგების დროს ბავშვებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ზედიზედ ორკვირიანი დასვენება.⁹⁹⁹

რაც შეეხება შინ შესრულებულ სამუშაოს, მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, დააკვირდნენ პირობებს, რომლებშიც ის ხორციელდება.¹⁰⁰⁰

7§2 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი შეადგენდეს 18 წელს, იმ საქმიანობების მიმართ, რომლებიც მიიჩნევა სახიფათო ან არაჯანმრთელ სამუშაოებად.

დანართი: აღნიშნული დებულება ხელს არ უშლის მხარეებს, თავიანთ კანონმდებლობაში განსაზღვრონ, რომ დადგენილ მინიმალურ ასაკამდე ახალგაზრდებს შეუძლიათ სამუშაოს შესრულება იმ მოცულობით, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია მათი პროფესიული მომზადებისთვის, თუკი ასეთი სამუშაო შესრულება კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად და მიიღება ზომები ამ ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად.¹⁰⁰¹

7§2 მუხლის გამოყენებისას, ეროვნულმა კანონმდებლობამ 18 წელი უნდა დააწესოს მინიმალურ ასაკად „სახიფათო“ ან „არაჯანსაღი“ სამუშაოებისთვის. უნდა არსებობდეს საკანონმდებლო ჩარჩო პოტენციურად საშიშპირობებიანი სამუშაოს განსაზღვრისთვის, სადაც ჩამოთვლილი იქნება სამუშაოს ასეთი ფორმები, ან დადგინდება რისკის ტიპები (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური), რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ სამუშაოს შესრულებისას.¹⁰⁰²

თუ ასეთი სამუშაო აუცილებელია მათი პროფესიული მომზადებისთვის, 18 წლამდე ბავშვებს შეიძლება მიეცეთ მისი შესრულების უფლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს სამუშაო სრულდება კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.¹⁰⁰³ ბავშვები უნდა იყვნენ მომზადებულნი სახიფათო დავალებების შესასრულებლად.¹⁰⁰⁴ შრომის ინსპექციამ უნდა გააკონტროლოს ეს ღონისძიებები.¹⁰⁰⁵

7§3 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ ის პირები, რომლებსაც არ დაუსრულებიათ სავალდებულო განათლება, არ იყვნენ დასაქმებულნი ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც ჩამოართმევს მათ სრული განათლების მიღების საშუალებას.

7§3 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ დასაქმებულ ბავშვებს, რომლებზეც ჯერ კიდევ ვრცელდება სავალდებულო სასკოლო განათლება, არ ჩამოერთვათ განათლების სრულად მიღების შესაძლებლობა.¹⁰⁰⁶

ამ დებულების შესაბამისად, სკოლის მოსწავლეებისთვის დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი სამუშაო.¹⁰⁰⁷ „მსუბუქი სამუშაოს“ ცნება იგივეა, რაც გათვალისწინებულია 7§1 მუხლით.¹⁰⁰⁸

⁹⁹⁷ [დასკვნები 2011, პორტუგალია; დასკვნები 2019, სომხეთი](#)

⁹⁹⁸ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

⁹⁹⁹ [დასკვნები 2015, განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁰⁰ დასკვნები 2006, ზოგადი შესავალი 7§1 მუხლის შესახებ

¹⁰⁰¹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁰⁰² [დასკვნები 2006, საფრანგეთი](#)

¹⁰⁰³ [დასკვნები 2006, ნორვეგია](#)

¹⁰⁰⁴ [დასკვნები 2006, საფრანგეთი](#)

¹⁰⁰⁵ [დასკვნები 2006, ნორვეგია](#)

¹⁰⁰⁶ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁰⁷ [დასკვნები 2015, განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁰⁸ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2015, განცხადება 7§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

იმ მხარე სახელმწიფოთა შემთხვევაში, რომლებმაც ერთი და იგივე ასაკობრივი ზღვარი დააწესეს სამუშაოზე დასაშვებად და სავალდებულო განათლების დასასრულებლად და ის აღემატება 15 წელს, მსუბუქ სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხები განიხილება 7§1 მუხლის შესაბამისად.¹⁰⁰⁹ თუმცა, ვინაიდან 7§3 მუხლი ეხება სავალდებულო განათლების უფლების ეფექტიანად განხორციელებას, ამ უფლებასთან დაკავშირებული საკითხები ფასდება 7§3 მუხლის შესაბამისად.¹⁰¹⁰

ასევე აუცილებელია შესაბამისი გარანტიების არსებობა, რათა ხელისუფლების ორგანოებმა (შრომის ინსპექცია, სოციალური და საგანმანათლებლო სამსახურები) შეძლონ ბავშვების დაცვა ისეთი სამუშაოსგან, რომელმაც შეიძლება ჩამოართვას განათლების სრულად მიღების შესაძლებლობა.¹⁰¹¹

სასკოლო სემესტრის განმავლობაში ბავშვების მუშაობა უნდა შეიზღუდოს, რათა ხელი არ შეუშალოს მათ სკოლაში დასწრებაში, სწავლასა და საშინაო დავალებების შესრულებაში.¹⁰¹²

ბავშვების მუშაობის დაშვება დილით, სკოლის დაწყებამდე, არსებითად ეწინააღმდეგება 7§3 მუხლს.¹⁰¹³ 15 წლის ასაკის ბავშვებისთვის, რომლებზეც ჯერ კიდევ ვრცელდება სავალდებულო განათლება, გაზეთების დარიგების უფლების მიცემა სკოლამდე, დილის 6 საათიდან, დღეში 2 საათით და კვირაში 5 დღე, არ შეესაბამება ქართლს.¹⁰¹⁴

იმისათვის, რომ ბავშვებს არ ჩამოერთვათ განათლების სრულად მიღების შესაძლებლობა, მხარე სახელმწიფოებმა მათთვის უნდა უზრუნველყონ დასვენების სავალდებულო და შეუფერხებელი პერიოდი სასკოლო არდადეგების დროს.¹⁰¹⁵ სასწავლო წლის განმავლობაში ნორმებთან შესაბამისობის შეფასებისას, გასათვალისწინებელია არდადეგების ხანგრძლივობა და განაწილება, უწყვეტი დასვენების დრო, მსუბუქი სამუშაო ბუნება და ხანგრძლივობა, და შრომის ინსპექციის მხრიდან კონტროლის ეფექტიანობა.¹⁰¹⁶

მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სავალდებულო და შეუფერხებელი დასვენება სასკოლო არდადეგების დროს.¹⁰¹⁷ მისი ხანგრძლივობა ზაფხულის პერიოდში არ უნდა იყოს ზედიზედ 2 კვირაზე ნაკლები.¹⁰¹⁸

7§4 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირებისთვის სამუშაო საათები იყოს შეზღუდული მათი განვითარების საჭიროებების, კერძოდ, მათი პროფესიული მომზადების შესაბამისად.

7§4 მუხლის შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა შეზღუდოს იმ 18 წლამდე ასაკის პირთა სამუშაო საათებიც, რომლებზეც აღარ ვრცელდება სავალდებულო სასკოლო განათლება.¹⁰¹⁹ შეზღუდვა შეიძლება იყოს კანონმდებლობის, რეგულაციების, ხელშეკრულებების ან პრაქტიკის შედეგი.¹⁰²⁰

16 წლამდე ასაკის პირებისთვის დღეში 8 ან კვირაში 40-საათიანი ლიმიტი ეწინააღმდეგება 7§4 მუხლს.¹⁰²¹ თუმცა, 16 წელზე უფროსი ასაკის პირებისთვის იმავე ლიმიტების დაწესება შეესაბამება 7§4 მუხლს.¹⁰²²

¹⁰⁰⁹ [დასკვნები 2006, განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁰¹⁰ [დასკვნები 2006, განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁰¹¹ დასკვნები V (1977), განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ; [დასკვნები 2006, პორტუგალია](#)
¹⁰¹² [დასკვნები 2006, ალბანეთი](#); [დასკვნები 2019, სერბეთი](#)
¹⁰¹³ [დასკვნები 2011, 2019, იტალია](#)
¹⁰¹⁴ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები](#)
¹⁰¹⁵ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები](#)
¹⁰¹⁶ [დასკვნები 2011, განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁰¹⁷ [დასკვნები 2011, განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁰¹⁸ [დასკვნები 2011, განცხადება 7§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁰¹⁹ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)
¹⁰²⁰ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)
¹⁰²¹ [დასკვნები XI-1 \(1991\), ნიდერლანდები](#)
¹⁰²² [დასკვნები 2002, იტალია](#)

7§5 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ ახალგაზრდა მუშაკთა და შეგირდთა უფლება სამართლიანი ხელფასის ან სხვაგვარი შესაბამისი გასამრჯელოს მიღებაზე.

7§5 მუხლის გამოყენებისას, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდა მუშაკთა უფლებას სამართლიან ხელფასზე და სტაჟიორთა/შეგირდთა უფლებას შესაბამის შემწეობებზე.¹⁰²³ ეს უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს კანონმდებლობიდან, კოლექტიური ხელშეკრულებებიდან ან სხვა საშუალებებიდან.¹⁰²⁴

ხელფასების „სამართლიანი“ ან „შესაბამისი“ ბუნება ფასდება ახალგაზრდა დასაქმებულთა ანაზღაურების შედარებით ზრდასრულთათვის (18 წლის ან მეტი) გადახდილ საწყის ან მინიმალურ ხელფასთან.¹⁰²⁵

4§1 მუხლის შესაბამისად მიღებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ხელფასს გადასახადებისა და სოციალური შენატანების გამოქვითვის შემდეგ.¹⁰²⁶

ახალგაზრდა მუშაკები

ახალგაზრდა მუშაკის ხელფასი შეიძლება ჩამოუვარდებოდეს ზრდასრული ადამიანის საწყის ხელფასს, მაგრამ ნებისმიერი განსხვავება უნდა იყოს გონივრული.¹⁰²⁷ ის არ უნდა იყოს არსებითი და უნდა შეიზღუდოს ღროით.¹⁰²⁸ თხუთმეტი/თექვსმეტი წლის მოზარდისთვის დასაშვებია ზრდასრული ადამიანის საწყის ხელფასზე 30%-ით დაბალი ანაზღაურება, ხოლო თექვსმეტი/თვრამეტი წლის მოზარდისთვის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.¹⁰²⁹

ზრდასრული ადამიანის საანგარიშო ხელფასი ყველა შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს, რათა შეესაბამებოდეს ქარტიის 4§1 მუხლს.¹⁰³⁰ თუ საბაზისო ხელფასი ძალიან დაბალია, მაშინ სამართლიანად არ ჩაითვლება ახალგაზრდა მუშაკის ხელფასიც, რომელიც იცავს ამ პროცენტულ განსხვავებას.¹⁰³¹

სტაჟიორები/შეგირდები

სტაჟიორების/შეგირდების ანაზღაურება შეიძლება იყოს უფრო დაბალი, რადგან გასათვალისწინებელია მიღებული სამუშაო მომზადების ღირებულება.¹⁰³² თუმცა, სტაჟირების სისტემა არ უნდა იხრებოდეს თავისი მიზნისგან და არ უნდა გამოიყენებოდეს ახალგაზრდა მუშაკებისთვის დაბალი ანაზღაურების გადასახდელად.¹⁰³³ შესაბამისად, სტაჟირების პერიოდი არ უნდა იყოს ძალიან ხანგრძლივი, კვალიფიკაციის ამოღებასთან ერთად კი შეგირდის შემწეობაც უნდა გაიზარდოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში - ზრდასრულის საწყისი ან მინიმალური ხელფასის, სულ მცირე, მესამედის (სტაჟირების დაწყებისას) არანაკლებ ორ მესამედამდე (სტაჟირების ბოლოს).¹⁰³⁴ ორი ან სამწლიანი პროფესიული მომზადების შემდეგ, სტაჟიორი/შეგირდი საკმარისად არის გაწვრთნილი, რომ ზრდასრულ მუშაკად ჩაითვალოს ანაზღაურების მიზნებისთვის.¹⁰³⁵

7§6 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო

¹⁰²³ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰²⁴ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰²⁵ [დასკვნები XI-1 \(1991\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁰²⁶ [დასკვნები XI-1 \(1991\), გაერთიანებული სამეფო; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁰²⁷ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰²⁸ [დასკვნები II \(1971\), განცხადება 7§5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰²⁹ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

¹⁰³⁰ [დასკვნები IX-1 \(1987\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁰³¹ [დასკვნები IX-1 \(1987\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁰³² [დასკვნები II \(1971\), განცხადება 7§5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰³³ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁰³⁴ [დასკვნები 2006, პორტუგალია; დასკვნები XVII-2 \(2005\), გერმანია; დასკვნები 2019, ავსტრია](#)

¹⁰³⁵ [დასკვნები II \(1971\), განცხადება 7§5 მუხლის განმარტების შესახებ](#)

დღის განმავლობაში ახალგაზრდების მიერ პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დრო დამსაქმებლის თანხმობით მიჩნეული იქნეს სამუშაო დღის ნაწილად.

ახალგაზრდების მიერ პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული ჩვეულებრივი სამუშაო საათები განიხილება სამუშაო დღის ნაწილად.¹⁰³⁶ ასეთი მომზადება უნდა ჩატარდეს დამსაქმებლის თანხმობით (თუმცა არა აუცილებლად მისი დაფინანსებით) და უკავშირდებოდეს ახალგაზრდის სამუშაოს.

აქედან გამომდინარე, მომზადების დრო უნდა ანაზღაურდეს, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო საათები (დამსაქმებლის მიერ, ან სახელმწიფო სახსრებით, გარემოებებიდან გამომდინარე), პირს კი არ უნდა ევალებოდეს მომზადების დროის კომპენსაციას, რაც ფაქტობრივად გაზრდიდა სამუშაო საათების საერთო რაოდენობას.¹⁰³⁷

757 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირებს ჰქონდეთ უფლება ყოველწლიურ მინიმუმ ოთხკვირიან ანაზღაურებად შვებულებაზე.

757 მუხლის გამოყენებისას, 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ არანაკლებ ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება.

ამ შემთხვევაში გამოიყენება ისეთივე წესები, როგორც ვრცელდება ზრდასრულთა წლიურ ანაზღაურებად შვებულებაზე (253 მუხლი).¹⁰³⁸ 18 წლამდე ასაკის დასაქმებულ პირებს არ უნდა შეეძლოთ უარის თქმა წლიურ ანაზღაურებად შვებულებაზე¹⁰³⁹, ასევე, ფულად კომპენსაციაზე ყოველწლიური შვებულებისთვის.¹⁰⁴⁰

757 მუხლის თანახმად, დასაქმებულებს, რომლებსაც შრომისუნარიანობა შეეზღუდათ მთლიანი ყოველწლიური შვებულების ან მისი ნაწილის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის, ან ავადმყოფობის გამო, უნდა ჰქონდეთ უფლება, დაკარგული შვებულებით ისარგებლონ სხვა დროს, სულ მცირე, იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ქართლით გათვალისწინებული ოთხკვირიანი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უზრუნველსაყოფად.¹⁰⁴¹ ეს პრინციპი ვრცელდება ყველა გარემოებაზე, მიუხედავად იმისა, შრომისუნარობა შვებულებამდე წარმოიშვა, თუ შვებულების დროს, ასევე შემთხვევებზე, როდესაც კომპანია ითხოვს, რომ დასაქმებულებმა შვებულებები აიღონ კონკრეტულ დროს.¹⁰⁴²

758 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფონ, რომ 18 წლამდე ასაკის პირები არ იყვნენ დასაქმებულნი დამის სამუშაოებზე, ეროვნული კანონებით ან წესებით განსაზღვრული გარკვეული სამუშაოების გარდა.

დანართი: მხარემ შეიძლება აიღოს ამ პუნქტში მოთხოვნილი ვალდებულება, თუ იზიარებს მის სულისკვეთებას და კანონით აქვს დადგენილი, რომ თვრამეტ წლამდე ასაკის პირთა უმრავლესობა არ უნდა დასაქმდეს დამის საათებში.¹⁰⁴³

758 მუხლის გამოყენებისას, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმების აკრძალვას დამის საათებში.

კანონები ან რეგულაციები არ უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ სამრეწველო სამუშაოზე.¹⁰⁴⁴ გამონაკლისი შეიძლება დაიშვას ცალკეული პროფესიებისთვის და ძალიან შეზღუდულ

¹⁰³⁶ [დასკვნები XV-2 \(2001\), ნიდერლანდები](#)
¹⁰³⁷ [დასკვნები V \(1977\), განცხადება 756 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁰³⁸ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)
¹⁰³⁹ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)
¹⁰⁴⁰ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)
¹⁰⁴¹ [დასკვნები 2006, საფრანგეთი](#)
¹⁰⁴² [დასკვნები 2006, საფრანგეთი](#), რომელშიც ციტირებულია დასკვნები XII-2, 253 მუხლი
¹⁰⁴³ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163
¹⁰⁴⁴ [დასკვნები XVII-2 \(2005\), პორტუგალია, თურქეთი](#)

შემთხვევებში, თუ ისინი: აშკარად გათვალისწინებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით; აუცილებელია ეკონომიკური სექტორის გამართული ფუნქციონირებისათვის; და ახალგაზრდა მუშაკთა რაოდენობა მცირეა.¹⁰⁴⁵

თუ რომელი პერიოდი მიჩნევა „ღამედ“, ეს დამოკიდებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა ან რეგულაციებზე.¹⁰⁴⁶

7§9 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფას, რომ 18 წლამდე ასაკის პირები, რომლებიც დასაქმებული არიან ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრულ სამუშაოებზე, დაექვემდებარონ რეგულარულ სამედიცინო კონტროლს.

7§9 მუხლის გამოყენებისას, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო რეგულარულ სამედიცინო გამოკვლევებს 18 წლამდე ასაკის პირთათვის, რომლებიც ეწევიან შიდასახელმწიფოებრივი კანონებითა და რეგულაციებით განსაზღვრულ საქმიანობას.¹⁰⁴⁷

გამოკვლევები უნდა მოერგოს ახალგაზრდა მუშაკთა კონკრეტულ მდგომარეობას და მათ წინაშე არსებულ კონკრეტულ რისკებს.¹⁰⁴⁸ შემოწმება შეიძლება ჩაატაროს პროფესიული ჯანდაცვის სამსახურმა, თუ სპეციალურად არის მომზადებული ამისთვის.¹⁰⁴⁹

ვალდებულება მოიცავს სრულ სამედიცინო შემოწმებას სამსახურში აყვანისას და შემდგომ რეგულარულ გამოკვლევებს.¹⁰⁵⁰ შემოწმებებს შორის ინტერვალი არ უნდა იყოს ძალიან ხანგრძლივი. ამ კუთხით, ორწლიანი ინტერვალი გადაჭარბებულად ჩაითვალია.¹⁰⁵¹

7§9 მუხლით გარანტირებული სამედიცინო გამოკვლევები უნდა ითვალისწინებდეს სამუშაოსთვის საჭირო უნარებს.¹⁰⁵²

7§10 ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფას, სპეციალური დაცვა ფიზიკური და მორალური ზიანისაგან, რომელსაც შეიძლება დაექვემდებარონ ბავშვები და ახალგაზრდები, და კერძოდ იმ ზიანისგან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს მათი საქმიანობიდან.

7§10 მუხლით გარანტირებულია ბავშვთა უფლება, დაცულნი იყვნენ ფიზიკური და მორალური საფრთხეებისგან სამუშაო გარემოში და მის მიღმა.¹⁰⁵³ ეს მოიცავს მათ დაცვას ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან და საინფორმაციო ტექნოლოგიების ბოროტად გამოყენებისგან.¹⁰⁵⁴

მხარე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ სექსუალური და საშინაო/შრომითი ექსპლუატაცია ბავშვთა მიმართ, მათ შორის, შრომითი ტრეფიკინგი, მათხოვრობა ან ორგანოების ამოკვეთა.¹⁰⁵⁵ ქვეყნებმა უნდა მიიღონ პრევენციული ზომებიც და დაეხმარონ მიუსაფარ ბავშვებს.¹⁰⁵⁶ ყველა ამ შემთხვევაში, მხარე სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა შეიმუშაონ აუცილებელი კანონმდებლობა ბავშვებისა და ახალგაზრდების დასაცავად და ექსპლუატაციის

¹⁰⁴⁵ [დასკვნები XVII-2 \(2005\), მალტა](#)

¹⁰⁴⁶ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 7§8 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁴⁷ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება 7§9 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

¹⁰⁴⁸ [დასკვნები 2006, ალბანეთი](#)

¹⁰⁴⁹ [დასკვნები VIII \(1984\), განცხადება 7§9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁵⁰ [დასკვნები XIII-1 \(1993\), შვედეთი](#)

¹⁰⁵¹ [დასკვნები 2011, ესტონეთი](#)

¹⁰⁵² [დასკვნები XIII-2 \(1994\), იტალია; დასკვნები 2011, ესტონეთი](#)

¹⁰⁵³ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

¹⁰⁵⁴ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

¹⁰⁵⁵ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §185

¹⁰⁵⁶ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §185

ასარიდებლად, არამედ ეს ზომები ეფექტიანად უნდა გაატარონ პრაქტიკაშიც.¹⁰⁵⁷

ფაქტი, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება გარანტირებულია ქარტიის მე-17 მუხლით, არ გამოირიცხავს ბავშვთა დაცვის გარკვეული საკითხების განხილვას 7§10 მუხლის შესაბამისად.¹⁰⁵⁸ მხარე სახელმწიფოთა შესაბამისობას 7§10 მუხლთან კომიტეტი აფასებს ისეთი საკითხების შესწავლით, როგორცაა ბავშვების მორალური საფრთხისგან დაცვა სამსახურში და სამსახურს მიღმა, ასევე, მათი ჩართულობა სექსინდუსტრიასა და მათხოვრობაში. მე-17 მუხლის შესაბამისად განხილული საკითხები მოიცავს ბავშვთა დაცვას არასათანადო მოპყრობისგან, მათ შორის, ფიზიკური დასჯისგან.¹⁰⁵⁹ თუ მხარე სახელმწიფოს არ აქვს მიღებული მე-17 მუხლი, ფიზიკური დასჯის საკითხი განიხილება 7§10 მუხლის შესაბამისად.¹⁰⁶⁰

პირადი მოქმედების სფერო

7§10 მუხლი გამოიყენება უცხოელ ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიან ქარტიის მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუ მხარე სახელმწიფოს არ ექნება ამ მუხლის შესრულების ვალდებულება, ჩაითვლება, რომ ქვეყანაში არალეგალურად მყოფი უცხოელი არასრულწლოვნებისთვის არ არის გარანტირებული ძირითადი უფლებები და ირღვევა ამ ბავშვებისა და ახალგაზრდების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები.¹⁰⁶¹

ამიტომ, ნაბიჯები უნდა გადაიდგას თანმხლები პირის გარეშე მყოფ ან ოჯახისგან განცალკევებულ არასრულწლოვანთა დასაცავად.¹⁰⁶² თუ სახელმწიფო ვერ მოახერხებს ასეთ ბავშვებზე ზრუნვას და აუცილებელი ზომების მიღებას, რომ ისინი განსაკუთრებულად იყვნენ დაცულნი ფიზიკური და მორალური საფრთხისგან, სერიოზული რისკები შეექმნება სარგებლობას ფუნდამენტური უფლებებით (სიცოცხლის უფლება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება და ადამიანის ღირსების პატივისცემა), რაც დაარღვევს 7§10 მუხლს.¹⁰⁶³

სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვა

ბავშვთა კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლის ეფექტიანი პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სამ ძირითად და ურთიერთდაკავშირებულ ფორმას: ბავშვთა პროსტიტუცია, ბავშვთა პორნოგრაფია და ბავშვთა ტრეფიკინგი.¹⁰⁶⁴

- ▶ ბავშვთა პროსტიტუცია არის ბავშვის შეთავაზება, შეძენა, გამოყენება ან მიწოდება სექსუალური მოქმედებებისთვის, საფასურის ან სხვა ანაზღაურების სანაცვლოდ.¹⁰⁶⁵
- ▶ ბავშვთა პორნოგრაფია ფართოდ არის განსაზღვრული და ითვალისწინებს ფაქტს, რომ ახალმა ტექნოლოგიებმა შეცვალა ამ ცნების ბუნება. იგი მოიცავს იმ მასალის შექმნას, წარმოებას, განაწილებას, ხელმისაწვდომობასა და ფლობას, რომლებიც ვიზუალურად ასახავს აშკარა სექსუალური ქცევით დაკავებულ ბავშვს, ან რეალისტურ სურათებს,

¹⁰⁵⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §176

¹⁰⁵⁸ [Association for the protection of All Children \(APPROACH\) Ltd. v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 2013 წლის ივლისი, §10

¹⁰⁵⁹ [დასკვნები XV-2 \(2001\), განცხადება 7§10 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁶⁰ [Association for the protection of All Children \(APPROACH\) Ltd. v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 2013 წლის ივლისი, §10

¹⁰⁶¹ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §85

¹⁰⁶² [დასკვნები 2019, საბერძნეთი](#)

¹⁰⁶³ [European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §138

¹⁰⁶⁴ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

¹⁰⁶⁵ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 12 სექტემბერი, §57

რომლებზეც ჩანს აშკარა სექსუალური ქცევით დაკავებული ბავშვი.¹⁰⁶⁶

- ▶ ბავშვთა ტრეფიკინგი არის ბავშვების დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შენახვა, მიწოდება, გაყიდვა ან მიღება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებით.¹⁰⁶⁷

7§10 მუხლით გათვალისწინებული უფლების უზრუნველსაყოფად, მხარეებმა უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები, რომელთა მიზანია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმის აკრძალვა და მასთან ბრძოლა, კერძოდ, ბრძოლა სექსინდუსტრიაში არასრულწლოვნის ჩართვის წინააღმდეგ.¹⁰⁶⁸ ამ აკრძალვას უნდა ახლდეს ზედამხედველობის შესაბამისი მექანიზმი და სანქციები.¹⁰⁶⁹

ქვემოთ მოცემულია მინიმალური ვალდებულებები:¹⁰⁷⁰

- ▶ მუხლი 7§10 მოითხოვს სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ქმედების კრიმინალიზაციას,¹⁰⁷¹ არ არის აუცილებელი, მხარემ მიიღოს შესაბამის ქმედებათა კრიმინალიზაციის კონკრეტული რეჟიმი, თუმცა მათ წინააღმდეგ უნდა აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა.¹⁰⁷² გარდა ამისა, მხარე სახელმწიფოში კრიმინალიზებული უნდა იყოს გარკვეული ქმედებები 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის მიმართ, სექსუალური თანხმობისთვის დადგენილი ქვედა ეროვნული ასაკის მიუხედავად.¹⁰⁷³ ბავშვები, რომლებიც არიან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი, არ უნდა დაისაჯონ ასეთ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რაიმე ქმედებისთვის.¹⁰⁷⁴
- ▶ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ასევე ამგვარ ქმედებებზე მონიტორინგისა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმები.¹⁰⁷⁵

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ყველა ფორმის აკრძალვისა და მასთან ბრძოლის სხვა ზომები მოიცავს ცნობიერების ამაღლებას.¹⁰⁷⁶

თანმხლებ პირთან ერთად ან მის გარეშე მყოფი მიგრანტი გოგონები არიან სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის მომატებული რისკის ქვეშ.¹⁰⁷⁷ ამიტომ, მხარე სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ კონკრეტული პრევენციული ზომები, რათა დააკმაყოფილონ ამ ბავშვების საჭიროებები მიმღებ ცენტრებსა და განსახლების სხვა ობიექტებში (საცხოვრებელი ფართის, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით), მათი უკიდურესი დაუცველობის გათვალისწინებით.¹⁰⁷⁸ მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ შეტყობინების გენდერულად მგრძობიარე პროცედურებიც და მხარი დაუჭირონ მომსახურებებს, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები შეძლებენ ძალადობისა და ბოროტად გამოყენების შესაძლო შემთხვევებზე შეტყობინებას და დახმარების მოძებნას უსაფრთხო გზით.¹⁰⁷⁹

¹⁰⁶⁶ [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 12 სექტემბერი, §57

¹⁰⁶⁷ [დასკვნები 2004, ბულოგარეთი; Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 12 სექტემბერი, §57

¹⁰⁶⁸ [დასკვნები 2004, ბულოგარეთი](#)

¹⁰⁶⁹ [დასკვნები 2004, ბულოგარეთი](#)

¹⁰⁷⁰ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰⁷¹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), პოლონეთი](#)

¹⁰⁷² [Federation of Catholic Family Associations in Europe \(FAFCE\) v. Ireland](#), საჩივარი N 89/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 12 სექტემბერი, §58

¹⁰⁷³ [დასკვნები XIX-4 \(2011\), ხორვატია](#)

¹⁰⁷⁴ [დასკვნები XVII-2 \(2005\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁰⁷⁵ [დასკვნები 2004, ბულოგარეთი; დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰⁷⁶ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁰⁷⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §189

¹⁰⁷⁸ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §189

¹⁰⁷⁹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §189

დაცვა საინფორმაციო ტექნოლოგიების არამიზნობრივი გამოყენებისგან

ინტერნეტი ხდება ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტი ბავშვთა პორნოგრაფიის გასავრცელებლად.¹⁰⁸⁰

ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებით ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან საბრძოლველად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საკანონმდებლო და პრაქტიკული ზომები: მაგალითად, გაითვალისწინონ ინტერნეტპროვაიდერთა პასუხისმგებლობა მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალათა კონტროლზე; ასევე, წახალისონ მონიტორინგის საუკეთესო სისტემის შემუშავება-გამოყენება ქსელში მიმდინარე აქტივობებისა (უსაფრთხოების შეტყობინებები, გაფრთხილების დილაკები და ა.შ.) და რეგისტრაციის პროცედურებისთვის (ფილტრაციისა და რეიტინგის სისტემები და ა.შ.).¹⁰⁸¹ ზოგიერთმა მხარე სახელმწიფომ მიიღო დებულება „ბავშვთა გრუმინგის“ შესახებ (სექსუალური დანაშაულის ჩადენის განზრახვით, შეხვედრის მოწყობა სექსუალური თანხმობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთან).¹⁰⁸²

ინტერნეტპროვაიდერებს უნდა ევალებოდეთ, წაშალონ ან შეზღუდონ წვდომა არალეგალურ მასალაზე, რომლის შესახებაც იცინ.¹⁰⁸³ უნდა შეიქმნას ინტერნეტუსაფრთხოების ცხელი ხაზები არალეგალურ მასალაზე შესატყობინებლად.¹⁰⁸⁴

მხარე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის გავრცელება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით და მიიღონ საკანონმდებლო და პრაქტიკული ზომები, რათა არასრულწლოვნები დაიცვან ბოროტად გამოყენებისგან (მაგ.: დაუცველი წვდომისგან მავნე ვებგვერდებსა და აუდიოვიზუალურ/ბეჭდურ მასალებზე).¹⁰⁸⁵

ფიზიკური დასჯა

კომიტეტის აზრით, ფაქტი, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება გარანტირებულია ქარტიის მე-17 მუხლით, არ გამორიცხავს ბავშვთა დაცვის გარკვეული საკითხების განხილვას 7§10 მუხლის შესაბამისად.¹⁰⁸⁶ კომიტეტი იხსენებს, რომ ამ ორი დებულების მოქმედების სფერო დიდწილად კვეთს ერთმანეთს.¹⁰⁸⁷ ამიტომ, თუ მხარე სახელმწიფოებს არ აქვთ მიღებული ქარტიის 17§1 მუხლი, კომიტეტი ფიზიკური დასჯის საკითხს განიხილავს 7§10 მუხლის შესაბამისად.¹⁰⁸⁸

ქარტიის თანახმად, ბავშვთა ფიზიკური დასჯის ყველა ფორმის აკრძალვა არის ზომა, რომელიც ირიდებს განხილვებსა და შფოთვებს, თუ სად შეიძლება გადიოდეს ზღვარი ფიზიკური დასჯის მისაღებ და მიუღებელ ფორმას შორის.¹⁰⁸⁹ კომიტეტმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ფიზიკური დასჯის ყველა ფორმა უნდა აიკრძალოს ყველა გარემოში და ამ აკრძალვას უნდა ჰქონდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი.¹⁰⁹⁰ არსებული სანქციები უნდა იყოს შესაბამისი, შემაკავებელი და თანაზომიერი.¹⁰⁹¹

¹⁰⁸⁰ [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

¹⁰⁸¹ [დასკვნები 2004, რუმინეთი, ბულგარეთი](#)

¹⁰⁸² [დასკვნები XIX-4 \(2011\), პოლონეთი](#)

¹⁰⁸³ [დასკვნები XIX-4 \(2011\), ხორვატია](#)

¹⁰⁸⁴ [დასკვნები XIX-4 \(2011\), ხორვატია](#)

¹⁰⁸⁵ [დასკვნები 2004, რუმინეთი](#)

¹⁰⁸⁶ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰⁸⁷ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XV-2 \(2001\), განცხადება 7§10 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁰⁸⁸ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁰⁸⁹ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#), რომელშიც ციტირებულია დასკვნების ზოგადი შესავალი XV-2 (2001)

¹⁰⁹⁰ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი; Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Ireland](#), საჩივარი N 93/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 დეკემბერი, §§53-54

¹⁰⁹¹ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#), რომელშიც ციტირებულია [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Ireland](#), საჩივარი N 18/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §56

ექსპლუატაციის სხვა ფორმებისგან დაცვა

მხარე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალოს ბავშვთა გამოყენება ექსპლუატაციის სხვა ფორმებში, როგორცაა საშინაო/შრომითი ექსპლუატაცია, მათხოვრობა ან ორგანოების ამოკვეთა.¹⁰⁹² ასევე უნდა მიიღონ ზომები დაუცველ მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა დასაცავად და დასახმარებლად, განსაკუთრებული აქცენტი მიუსაფარ და შრომის რისკქვეშ მყოფ ბავშვებზე, მათ შორის, სოფლად.¹⁰⁹³

მიუსაფარი ბავშვები განსაკუთრებით დაუცველი არიან ტრეფიკინგისა და ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებთან მიმართებით.¹⁰⁹⁴ ამ კუთხით, კომიტეტმა მიუთითა გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგად კომენტარზე N 21, რომელიც ავტორიტეტულ მითითებებს აძლევს სახელმწიფოებს, რომ მიუსაფარი ბავშვებისთვის შეიმუშაონ ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგიები. პროცესი უნდა დაეყრდნოს ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც პრევენციას, ისე რეაგირებას ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად.¹⁰⁹⁵

მხარე სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა შეიმუშაონ აუცილებელი კანონმდებლობა ბავშვებისა და ახალგაზრდების დასაცავად და ექსპლუატაციის ასარიდებლად, არამედ ეს ზომები ეფექტიანად უნდა გაატარონ პრაქტიკაშიც.¹⁰⁹⁶

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა გააუმჯობესონ შესაბამის პროფესიონალთა ცოდნა (პოლიციელები, სოციალური მუშაკები, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები, შრომის ინსპექტორები, სამედიცინო პერსონალი, პროკურორები, მოსამართლეები, მედია და სხვა ინტერესთა ჯგუფები) ტრეფიკინგსა და მისი მსხვერპლის უფლებებზე.¹⁰⁹⁷

მუხლი 8 დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება

დასაქმებულ ქალებს, დედობის შემთხვევაში, აქვთ განსაკუთრებული დაცვის უფლება.

8§1 დასაქმებული ქალების დედობის უფლების დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ანაზღაურებადი შვებულებით, ადეკვატური სოციალური უზრუნველყოფით ან სახელმწიფო ფონდებით გათვალისწინებული შეღავათებით უზრუნველყონ დასაქმებული ქალებისთვის ბავშვის დაბადებამდე და ბავშვის დაბადების შემდეგ არანაკლებ თოთხმეტი კვირის ხანგრძლივობის დეკრეტული შვებულება.

8§1 მუხლი აღიარებს დასაქმებულ ქალთა უფლებებს დეკრეტულ შვებულებასა და დასაქმების შეღავათებზე:

დეკრეტული შვებულების უფლება

ქარტიით გათვალისწინებული არანაკლებ 14-კვირიანი დეკრეტული შვებულების უფლება გარანტირებული უნდა იყოს კანონით.¹⁰⁹⁸ ამ უფლების მიზანია, დაიცვას დასაქმებული ქალები დედობის შემთხვევაში და, ამასთანავე, ასახოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის,

¹⁰⁹² [დასკვნები 2004, ბულგარეთი](#)

¹⁰⁹³ [დასკვნები 2019, რუსეთის ფედერაცია](#)

¹⁰⁹⁴ [დასკვნები 2004, რუმინეთი; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁰⁹⁵ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁰⁹⁶ [დასკვნები 2006, ბულგარეთი](#)

¹⁰⁹⁷ [დასკვნები 2019, სერბეთი](#)

¹⁰⁹⁸ [დასკვნები III \(1973\), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები XIX-4 \(2011\), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

ანუ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის უფრო ზოგადი ინტერესი.¹⁰⁹⁹ ის გარანტირებული უნდა იყოს ყველა კატეგორიის დასაქმებულისთვის¹¹⁰⁰, ხოლო შვებულება იყოს დეკრეტული და არა ავადმყოფობის გამო გაცემული.

ეროვნული კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ქალებს უნდა აძლევდეს საშუალებას, რომ სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენონ აღიარებული უფლება მუშაობის შეწყვეტაზე, სულ მცირე, 14 კვირის განმავლობაში (რითაც ექნებათ არჩევანის თავისუფლება შესაბამის დონეზე დაწესებული შეღავათების სქემის მეშვეობით), მეორე მხრივ კი დამსაქმებელს ავალდებულებდეს ქალთა თავისუფალი არჩევანის პატივისცემას.

შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ შესაძლოა ქალებს მისცეს უფრო მოკლე დეკრეტული შვებულების არჩევის უფლება.¹¹⁰¹ მშობიარობის შემდგომი ექვსკვირიანი შვებულების მოთხოვნა მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მიღწევის საშუალებაა.¹¹⁰² თუ სავალდებულო შვებულების ხანგრძლივობა ექვს კვირაზე ნაკლებია, მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებით, რომლებიც სრულად იცავს დასაქმებულ ქალთა თავისუფლებას, აირჩიონ სამსახურში დაბრუნების დრო მშობიარობის შემდეგ. კერძოდ, ესენია: დაცვის შესაბამისი დონე იმ ქალებისთვის, რომლებმაც ცოტა ხნის წინ იმშობიარეს და სურთ სრული დეკრეტული შვებულების მიღება (მაგ: კანონმდებლობა სამსახურში გენდერის ან ოჯახური პასუხისმგებლობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ); შეთანხმება სოციალურ პარტნიორებს შორის, რომელიც იცავს შესაბამის ქალთა არჩევანის თავისუფლებას; დედობასთან დაკავშირებული ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო (მაგ: არსებობს თუ არა მშობლის შვებულების სისტემა, რომლითაც ორივე მშობელს შეუძლია ანაზღაურებადი შვებულების მიღება დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ).¹¹⁰³

8§1 მუხლთან შესაბამისობისთვის, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:

- ▶ სამართლებრივი გარანტიები, რათა თავიდან აიცილონ ქალებზე ზეწოლა დამსაქმებლების მხრიდან, მათი დეკრეტული შვებულების შესამცირებლად,¹¹⁰⁴
- ▶ სოციალურ პარტნიორებთან შეთანხმება მშობიარობის შემდგომ შვებულებაზე. შეთანხმებამ უნდა დაიცვას ქალთა თავისუფალი არჩევანი, რომლებიც კანონით და პრაქტიკაში უნდა იყვნენ დაცულნი არასათანადო ზეწოლისგან, აიღონ ექვს კვირაზე ნაკლები ხანგრძლივობის მშობიარობის შემდგომი შვებულება;¹¹⁰⁵ კოლექტიური შეთანხმებები უზრუნველყოფს დამატებით დაცვას.¹¹⁰⁶

დეკრეტული დახმარების უფლება

8§1 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დასაქმებულმა ქალებმა მიიღონ შესაბამისი კომპენსაცია დეკრეტული შვებულების დროს შრომითი შემოსავლის დაკარგვისთვის.¹¹⁰⁷

კომპენსაციის ფორმის განსაზღვრა ექვევა მხარე სახელმწიფოთა დისკრეციის ფარგლებში და ეს შეიძლება იყოს ანაზღაურებადი შვებულება (დამსაქმებლის მიერ ხელფასების გადახდის გაგრძელება), სოციალური უზრუნველყოფის დეკრეტული დახმარება, ნებისმიერი ალტერნატიული შეღავათი სახელმწიფო სახსრებიდან, ან ასეთი კომპენსაციების კომბინაცია.¹¹⁰⁸

¹⁰⁹⁹ დასკვნები XIX-4 (2011), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁰⁰ დასკვნები XV-2 (2001), დაკვირვებები 8§1 მუხლის შესახებ

¹¹⁰¹ დასკვნები XIX-4 (2011), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁰² დასკვნები XIX-4 (2011), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁰³ დასკვნები XIX-4 (2011), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁰⁴ დასკვნები XXI-4 (2019), გაერთიანებული სამეფო

¹¹⁰⁵ დასკვნები XXI-4 (2019), გაერთიანებული სამეფო; უკრაინა

¹¹⁰⁶ დასკვნები XXI-4 (2019), გაერთიანებული სამეფო

¹¹⁰⁷ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁰⁸ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

გადახდის ფორმის მიუხედავად, ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს შესაბამისად¹¹⁰⁹ - არ იყოს მნიშვნელოვნად მცირე წინა ხელფასთან შედარებით და ამ ხელფასის 70%-ზე ნაკლები.¹¹¹⁰

გარდა ამისა, კომპენსაციის მინიმალური განაკვეთი არ უნდა ჩამოსცდეს სიღარიბის ზღვარს. ეს ზღვარი განისაზღვრება, როგორც მედიანური ეკვივალირებული შემოსავლის 50%, რომელიც გამოითვლება ევროსტატის სიღარიბის რისკის ზღვრული მნიშვნელობის საფუძველზე.¹¹¹¹ თუ შესაბამისი შეღავათი შეადგენს მედიანური ეკვივალირებული შემოსავლის 40%-50%-ს, გათვალისწინებულია სხვა ბენეფიტები, მათ შორის, სოციალურ კეთილდღეობასა ან საცხოვრებელთან მიმართებით.¹¹¹² თუმცა, მედიანური ეკვივალირებული შემოსავლის 40%-ზე ნაკლები განაკვეთი აშკარად არასაკმარისია. ამიტომ, სხვა შეღავათებთან მისი კომბინირებით, სიტუაცია ვერ გახდება 8§1 მუხლის შესაბამისი.¹¹¹³

მაღალანაზღაურებადი მუშაკებისთვის დეკრეტული შვებულების დროს კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობის გაცემა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება 8§1 მუხლს.¹¹¹⁴ შემცირების სამართლიანობის შესაფასებლად, გასათვალისწინებელია სხვადასხვა ელემენტი, როგორცაა შეღავათების გამოთვლის ზედა ზღვარი, მისი შედარება ზოგად სახელფასო მოდელთან და ქალთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს ამ ზღვარს ზემოთ.¹¹¹⁵

კომპენსაციის მიღების უფლებაზე შეიძლება გავრცელდეს შესაბამისობის პირობები, როგორცაა დასაქმებისა ან შენატანების მინიმალური ვადა.¹¹¹⁶ თუმცა, ასეთი პირობები არ უნდა იყოს გადაჭარბებული: კერძოდ, საკვალიფიკაციო პერიოდები უნდა უშვებდეს წყვეტას დასაქმების ჩანაწერში.¹¹¹⁷ სოციალური უზრუნველყოფის სქემამი შენატანების თორმეტთვიანი ვადის მოთხოვნა ორსულობამდე, რათა პირი კვალიფიცირდეს დეკრეტული შეღავათების მისაღებად, არ იქნება ქარტიის შესაბამისი.¹¹¹⁸

8§2 დასაქმებული ქალების დედობის უფლების დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისთვის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება, ქალის მიერ მისი ფუნქციონირების შესახებ დამსაქმებლისათვის შეტყობინებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში, ან ქალისათვის მისი გათავისუფლების შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამოწურვისას.

დანართი: ეს დებულება არ უნდა განიხარტოს ისე, თითქოს ადგენს აბსოლუტურ აკრძალვას. გამონაკლისი დასაშვებია, თუ:

- ა. დასაქმებულმა ქალმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, რომელიც ამართლებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას;
- ბ. შესაბამისი საწარმო წყვეტს მუშაობას;
- გ. გასულია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა.¹¹¹⁹

თანამდებობიდან გათავისუფლების აკრძალვა

8§2 მუხლი მოითხოვს, რომ უკანონოდ ჩაითვალოს დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლება დამსაქმებლისთვის ორსულობაზე შეტყობინების მომენტიდან დეკრეტული

¹¹⁰⁹ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹¹⁰ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹¹¹ დასკვნები XVII-2 (2005), ლატვია

¹¹¹² დასკვნები XXI-4 (2019), გაერთიანებული სამეფო

¹¹¹³ დასკვნები XXI-4 (2019), გაერთიანებული სამეფო

¹¹¹⁴ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹¹⁵ დასკვნები XV-2 (2001), ბელგია

¹¹¹⁶ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹¹⁷ დასკვნები 2015, განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹¹⁸ დასკვნები 2019, ალბანეთი

¹¹¹⁹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

შვებულების დასრულებამდე.¹¹²⁰

8§2 მუხლი თანაბრად ვრცელდება ვადიანი და უვადო კონტრაქტებით დასაქმებულ ქალებზე.¹¹²¹

დაცულ პერიოდში დამსაქმებლის მიერ თანამდებობიდან გათავისუფლებაზე შეტყობინება არ არღვევს 8§2 მუხლს, თუ შეტყობინების პერიოდი და ნებისმიერი პროცედურა შეჩერებულია შვებულების დასრულებამდე.¹¹²² შეტყობინების პერიოდის შეჩერების მარეგულირებელი იგივე წესები და პროცედურები გამოიყენება, როცა შეტყობინება ეხება თანამდებობიდან გათავისუფლებას დაცვის ვადის გასვლამდე.¹¹²³

თუმცა, ორსული ქალის თანამდებობიდან გათავისუფლება არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას, თუ მას ჩადენილი აქვს სერიოზული გადაცდომა, კომპანია წყვეტს საქმიანობას, ან გასულია ხელშეკრულების ვადა.¹¹²⁴ ეს გამონაკლისები მკაცრად არის განმარტებული.¹¹²⁵ დეკრეტული შვებულების დროს დასაქმებულის თანამდებობიდან გათავისუფლება სხვა მიზეზების გამო, როგორცაა კოლექტიური დათხოვნა, არ შეესაბამება 8§2 მუხლს.¹¹²⁶

ზიანის ანაზღაურება თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლების შემთხვევაში

თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლების შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს დაცვის შესაბამისი და ეფექტიანი საშუალებები: კერძოდ, დასაქმებულებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები დაირღვა ამ კუთხით, უნდა ჰქონდეთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.¹¹²⁷

თუ თანამდებობიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება ამ დებულებას, ქალების სამსახურში აღდგენა უნდა იყოს წესი.¹¹²⁸ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს შეუძლებელია (მაგ: საწარმო იხურება), ან ქალს ეს არ სურს, უნდა გაიცეს შესაბამისი კომპენსაცია.¹¹²⁹ კომპენსაცია საკმარისი უნდა იყოს დამსაქმებლის შესაკავებლად და დასაქმებულის მიერ განცდილი ზიანის ასანაზღაურებლად.¹¹³⁰ კომპენსაციის ნებისმიერი ზედა ზღვარი, რომელიც არ იძლევა მიყენებული ზარალის თანაზომიერად ანაზღაურების საშუალებას და არ არის საკმარისად შემაკავებელი, აკრძალულია.¹¹³¹ თუ დადგენილია ზედა ზღვარი მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, დაზარალებულს უნდა შეეძლოს არამატერიალური ზიანის შეუზღუდავი ანაზღაურების მოთხოვნა სხვა სამართლებრივი გზებით. სასამართლოებმა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, რომ მიანიჭონ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ გონივრულ ვადაში.¹¹³²

8§3 დასაქმებული ქალების დედობის უფლების დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიება იღებენ, უზრუნველყონ დედების მიერ შესვენების გამოყენების უფლება ამ მიზნისათვის.

8§3 მუხლის თანახმად, ყველა დასაქმებულ მეძუძურ დედას (მათ შორის, ოჯახში დასაქმებულ და სახლიდან მომუშავე ქალებს) ამ მიზნით უნდა მიეცეს დასვენების დრო.¹¹³³

¹¹²⁰ [დასკვნები XIII-4 \(1996\), განცხადება 8§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹²¹ [დასკვნები XIII-4 \(1996\), ავსტრია](#)

¹¹²² [დასკვნები XIII-4 \(1996\), განცხადება 8§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹²³ [დასკვნები XIII-4 \(1996\), განცხადება 8§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹²⁴ [დასკვნები X-2 \(1990\), ესპანეთი](#)

¹¹²⁵ [დასკვნები XXI-4 \(2019\), ესპანეთი](#)

¹¹²⁶ [დასკვნები XXI-4 \(2019\), ესპანეთი](#)

¹¹²⁷ [დასკვნები XXI-4 \(2019\), ესპანეთი](#)

¹¹²⁸ [დასკვნები 2005, კვიპროსი; დასკვნები I \(1969\), განცხადება მე-8 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹²⁹ [დასკვნები XXI-4 \(2019\), ესპანეთი](#)

¹¹³⁰ [დასკვნები 2005, კვიპროსი](#)

¹¹³¹ [დასკვნები 2011, განცხადება 8§2 და 27§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹¹³² [დასკვნები 2011, განცხადება 8§2 და 27§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹¹³³ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ესპანეთი](#)

დასვენების დრო მოვლისთვის უნდა გაიცეს სამუშაო საათებშიც და განიხილებოდეს/ ანაზღაურდეს, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო დრო.¹¹³⁴ თუმცა, დებულება არასრული სამუშაო განაკვეთის შესახებ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს, თუ შემოსავლის დაკარგვა ანაზღაურდება მშობლის შეღავათით, ან სხვა შემწეობით.¹¹³⁵

დასვენების დრო მოვლისთვის უნდა გაიცეს, სულ მცირე, მანამდე, სანამ ბავშვი ცხრა თვის ასაკს მიაღწევს.¹¹³⁶

კომიტეტი მხარე სახელმწიფოთა შესაბამისობას 8§3 მუხლთან აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. დადგინდა, რომ ქარტიას შეესაბამება შემდეგი ზომები: ორი ნახევარსაათიანი შესვენება, თუ დამსაქმებელი უზრუნველყოფს მოვლის ან ბუნებრივი კვების ოთახს;¹¹³⁷ ყოველდღიური ერთსაათიანი შესვენებები;¹¹³⁸ და კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს დღეში ორ შესვენებას ერთი წლის განმავლობაში ბუნებრივი კვებისთვის, ან სამუშაოს ადრე დაწყება-დატოვების უფლებას.¹¹³⁹

8§4 დასაქმებული ქალების დედობის უფლების დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, დაარეგულირონ ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალების დასაქმება დამის სამუშაოებზე.

8§4 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ დაარეგულირონ დამის სამუშაო ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალებისთვის, მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შესაზღუდად.

ამ დებულების შესასრულებლად, მხარე სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ სპეციალური რეგულაციების მიღება, თუ შეუძლიათ აჩვენონ რეგულაციები, რომლებიც განურჩევლად ვრცელდება ორივე სქესის მუშაკებზე.¹¹⁴⁰

ეს რეგულაციები:

- ▶ დამის სამუშაოზე დასაქმებულ საოჯახო ვალდებულების მქონე პირს უნდა აძლევდეს დღის სამუშაოზე გადასვლის უფლებას და დამსაქმებელს უკრძალავდეს ასეთი თანამშრომლის დავალდებულებას, რომ გადავიდეს დამის სამუშაოზე;¹¹⁴¹
- ▶ განსაზღვრავდეს ორსულ ქალთა დამის სამუშაოზე დასაქმების პირობებს: შრომის ინსპექციის წინასწარი ავტორიზაცია (საჭიროების შემთხვევაში); დადგენილი სამუშაო საათები, შესვენებები და დასვენების დღეები დამის საათებში მუშაობის შემდეგ; დღის სამუშაოზე გადაყვანის უფლება დამით მუშაობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში და ა.შ.¹¹⁴²

სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ასაკრძალად, დაცვის პერიოდში მომუშავე ქალები არ უნდა აღმოჩნდნენ ნაკლებხელსაყრელ მდგომარეობაში, როდესაც აუცილებელია მათი სამუშაო პირობების დაარეგულირება ჯანმრთელობის საჭირო დონეზე დასაცავად.¹¹⁴³ კერძოდ, როდესაც ქალები ვერ საქმდებიან თავიანთ სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზეზების გამო და ისინი გადაჰყავთ სხვა თანამდებობაზე, ან როცა ასეთი გადაყვანა შეუძლებელია და სანაცვლოდ ეძლევათ შვებულება, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაცულ პერიოდში ამ ქალებმა მიიღონ მანამდელი საშუალო ხელფასი,

¹¹³⁴ დასკვნები XIII-4 (1996), ნიდერლანდები

¹¹³⁵ დასკვნები 2005, შვედეთი

¹¹³⁶ დასკვნები 2005, კვიპროსი

¹¹³⁷ დასკვნები I (1969), იტალია

¹¹³⁸ დასკვნები I (1969), გერმანია

¹¹³⁹ დასკვნები 2011, საფრანგეთი

¹¹⁴⁰ დასკვნები X-2 (1988), განცხადება 8§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁴¹ დასკვნები 2003, საფრანგეთი

¹¹⁴² დასკვნები X-2 (1988), განცხადება 8§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹¹⁴³ დასკვნები 2019, განცხადება 8§4 და 8§5 მუხლების განმარტების შესახებ

ანდა სოციალური შეღავათი, რომელიც შეესაბამება წინა საშუალო ხელფასის 100%-ს.¹¹⁴⁴ გარდა ამისა, ქალებს უნდა ჰქონდეთ წინა სამუშაოზე დაბრუნების უფლება¹¹⁴⁵, რომელიც გარანტირებული იქნება კანონმდებლობით.¹¹⁴⁶

8§5 დასაქმებული ქალების დედობის უფლების დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აკრძალონ ორსული, მელოგინე და ჩვილ ბავშვზე მზრუნველი ქალების დასაქმება მიწისქვეშა სამთამადნო და ყველა სხვა სამუშაოზე, რომელიც შეუფერებელია მათთვის საშიში, არაჯანმრთელი ან მძიმე ბუნების გამო, და მიიღონ სათანადო ზომები ამ ქალების დასაქმების უფლების დასაცავად.

8§5 მუხლი ეხება ყველა ორსულ, მელოგინე, ან ჩვილ ბავშვზე მზრუნველ ქალს ანაზღაურებადი დასაქმებისას.

ეს დებულება კრძალავს ორსული, ახალნამშობიარები და ჩვილზე მზრუნველი ქალების დასაქმებას მაღაროებში, მიწისქვეშა სამუშაოებზე.¹¹⁴⁷ ის ეხება უშუალოდ მოპოვებით სამუშაოებს, მაგრამ არ გულისხმობს ქალებს, რომლებიც:

- ▶ იკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს და არ შრომობენ ფიზიკურად;
- ▶ მუშაობენ ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სფეროში;
- ▶ გადიან მომზადების ხანმოკლე ტრენინგს მაღაროების მიწისქვეშა მონაკვეთებში.¹¹⁴⁸

სამუშაოსთან დაკავშირებული რისკებიდან გამომდინარე, ქალების შესაბამისი ჯგუფისთვის უნდა აიკრძალოს ან მკაცრად დარეგულირდეს ზოგიერთი სხვა საშიში საქმიანობა, რომლებიც უკავშირდება ტყვიის, ბენზოლის, მაიონებელი გამოსხივების, მაღალი ტემპერატურის, ვიბრაციის ან ვირუსული აგენტების ზემოქმედებას.¹¹⁴⁹ შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ მაღალ დონეზე უნდა დაიცვას ამ დებულების მოქმედების სფეროში შემავალ ქალთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ყველა ცნობილი რისკისგან.¹¹⁵⁰

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს ორსული ან მეძუძური ქალის სხვა სამუშაოზე გადაყვანის საშუალებას (ანაზღაურების დაკარგვის გარეშე), თუ მათი სამუშაო არ შეუფერება მათ მდგომარეობას.¹¹⁵¹ როცა ეს შეუძლებელია, ქალებს უნდა მიეცეთ ანაზღაურებადი შვებულება ან სოციალური შეღავათი, წინა საშუალო ხელფასის 100%-ის ოდენობით.¹¹⁵² დასაქმებულთა უფლება, დეკრეტული/ბავშვის მოვლის შვებულების ბოლოს დაბრუნდნენ წინა სამუშაოზე, გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით.¹¹⁵³

მუხლი 9 პროფესიული ორიენტაციის უფლება

ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს პროფესიული ორიენტაციის შესაბამისი პირობები ისეთი პროფესიის არჩევაში დასახმარებლად, რომელიც შეესაბამება მის პირად შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

პროფესიული ორიენტაციის უფლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აუცილებლობის შესაბამისად უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ ისეთი სამსახურების არსებობას, რომლებიც დაეხმარება ყველა პირს, შეზღუდული შესაძლებლობის

¹¹⁴⁴ დასკვნები 2019, განცხადება 8§4 და 8§5 მუხლების განმარტების შესახებ

¹¹⁴⁵ დასკვნები 2019, განცხადება 8§4 და 8§5 მუხლების განმარტების შესახებ

¹¹⁴⁶ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹¹⁴⁷ დასკვნები X-2 (1988), განცხადება 1961 წლის ქარტიის 8§5 მუხლის (ანუ 8§4b მუხლის) განმარტების შესახებ

¹¹⁴⁸ დასკვნები X-2 (1990), განცხადება 1961 წლის ქარტიის 8§5 მუხლის (ანუ 8§4b მუხლის) განმარტების შესახებ

¹¹⁴⁹ [დასკვნები 2019, უკრაინა](#)

¹¹⁵⁰ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹¹⁵¹ დასკვნები 2019, განცხადება 8§4 და 8§5 მუხლების განმარტების შესახებ

¹¹⁵² დასკვნები 2019, განცხადება 8§4 და 8§5 მუხლების განმარტების შესახებ

¹¹⁵³ [დასკვნები 2019, უკრაინა](#)

მქონე პირთა ჩათვლით, გადაჭრას დასაქმების არჩევასა და პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული პრობლემები პირის თავისებურებისა და დასაქმების შესაძლებლობასთან მისი დამოკიდებულების სათანადოდ გათვალისწინებით. ამ დახმარების გაწევა უნდა მოხდეს უფასოდ, როგორც ახალგაზრდებისათვის, სკოლის მოსწავლეთა ჩათვლით, ასევე მოზრდილებისთვისაც.

მე-9 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ისეთი მომსახურების შემუშავებასა და მიწოდებას, რომელიც უსასყიდლოდ დაეხმარება ყველა პირს პროფესიული ორიენტაციის პრობლემათა გადაჭრაში.¹¹⁵⁴

ეს მუხლი ითვალისწინებს მხარე სახელმწიფოთა ორმაგ ვალდებულებას: ერთი მხრივ, რეკომენდაციების გაცემას განათლების შესაძლებლობებზე და, მეორე მხრივ, ორიენტაციის მომსახურებათა მიწოდებას პროფესიული შესაძლებლობების შესახებ.¹¹⁵⁵ პროფესიული ორიენტაცია არის მომსახურება, რომელიც ყველა ადამიანს ეხმარება პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრაში, ითვალისწინებს რა პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებს და მათ კავშირს დასაქმების შესაძლებლობებთან.¹¹⁵⁶ პროფესიული ორიენტაციის დაწესებულებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ უმუშევრებისთვის, არამედ ყველა კატეგორიის სტუდენტისთვის, კერძოდ, ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამთავრებენ სკოლას.¹¹⁵⁷ უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს თანაბრად უნდა ჰქონდეთ წვდომა პროფესიულ ორიენტაციაზე, როგორც განათლების სისტემაში, ისე შრომის ბაზარზე.¹¹⁵⁸

თანასწორი მოპყრობა პროფესიულ ორიენტაციასთან მიმართებით გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის, სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეების ჩათვლით, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე.¹¹⁵⁹ ეს გულისხმობს, რომ სწავლის დაწყებამდე, სტუდენტებსა და სტაჟიორებს, რომლებიც შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ნებისმიერი სტატუსით ან ფლობენ ცხოვრების უფლებას ქვეყანაში ლეგალურად მობინადრე პირებთან კავშირის გამო, არ მოეთხოვებათ ბინადრობის ხანგრძლივობა.¹¹⁶⁰ ამ მიზნით, მოთხოვნები ბინადრობის ან დასაქმების ხანგრძლივობაზე ან/და ნაცვალგების დებულების გამოყენებაზე ეწინააღმდეგება ქარტიის დებულებებს.¹¹⁶¹ ეს არ ეხებათ სტუდენტებსა და სტაჟიორებს, რომლებიც ზემოაღნიშნული კავშირების გარეშე შევიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, მხოლოდ ტრენინგზე დასასწრებად.¹¹⁶²

პროფესიული ორიენტაციის უფლება გარანტირებული უნდა იყოს:

- ▶ სკოლის სისტემის ფარგლებში (ინფორმაცია მომზადებისა და მასზე წვდომის შესახებ);¹¹⁶³
- ▶ შრომისბაზრის ფარგლებში (ინფორმაცია პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე, კარიერულ დაგეგმვაზე და ა.შ.). ამ ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის უფლება გარანტირებული უნდა იყოს სკოლადამთავრებულებისთვის, სამუშაოს მაძიებლებისა და უმუშევრებისთვის.¹¹⁶⁴

პროფესიული ორიენტაციის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინდიკატორები: მიზნები, ორგანიზაცია, საქმიანობა, ჯამური ხარჯები, პერსონალის რაოდენობა და

¹¹⁵⁴ [დასკვნები I \(1969\), განცხადება მე-9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁵⁵ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁵⁶ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება მე-9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁵⁷ [დასკვნები I \(1969\), განცხადება მე-9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁵⁸ [დასკვნები 2020, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹¹⁵⁹ [დასკვნები 2020, 2012, მონტენეგრო](#)

¹¹⁶⁰ [დასკვნები 2020, 2012, მონტენეგრო](#)

¹¹⁶¹ [დასკვნები XVI-2 \(2003\), პოლონეთი](#)

¹¹⁶² [დასკვნები 2012, მონტენეგრო](#)

¹¹⁶³ [დასკვნები 2012, მონტენეგრო](#)

¹¹⁶⁴ [დასკვნები 2012, მონტენეგრო](#)

მოსარგებლეთა რაოდენობა.¹¹⁶⁵

პროფესიული ორიენტაცია უსასყიდლოდ უნდა მიაწოდოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციურმა პერსონალმა მნიშვნელოვანი რაოდენობის პირებს, შესაბამისი ბიუჯეტით, როგორც სასკოლო სისტემაში, ისე შრომის ბაზარზე.¹¹⁶⁶ ეკონომიკური რეცესიის დროს პროფესიულ ორიენტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.¹¹⁶⁷

სიტუაციები, როდესაც სკოლების მხოლოდ 50% სთავაზობს შესაბამის პროფესიულ მომსახურებებს, არ შეესაბამება ქართვის მე-9 მუხლს.¹¹⁶⁸

თუ მხარე სახელმწიფოებს მიღებული აქვთ მე-9 და მე-15 მუხლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული ორიენტაცია განიხილება მე-15 მუხლის შესაბამისად.¹¹⁶⁹ ინფორმაციის ნაკლებობა ხარჯებსა და პერსონალზე, რომელიც უკავშირდება შშმ პირთათვის შეთავაზებულ პროფესიულ ორიენტაციას, იწვევს მე-9 მუხლთან შეუსაბამობას.¹¹⁷⁰

მუხლი 10 პროფესიული მომზადების უფლება

ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს შესაბამისი პირობები პროფესიული მომზადებისთვის.

10§1 პროფესიულ მომზადებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აუცილებლობის შესაბამისად, უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ ყველა პირის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩათვლით, ტექნიკურ და პროფესიულ მომზადებას დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით და უზრუნველყონ უმაღლესი ტექნიკური და საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობის საშუალებები მხოლოდ პიროვნული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პროფესიული მომზადების უფლება გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის.¹¹⁷¹

10§1 მუხლი მოიცავს ყველა სახის უმაღლეს განათლებას.¹¹⁷² ეროვნულ სისტემათა ევოლუციის გათვალისწინებით, რომლებიც ცდილობენ განათლებასა და მომზადებას შორის საზღვრების გარღვევას ყველა დონეზე და მათ გაერთიანებას უწყვეტი სწავლების ხელშემწყობ მიდგომაში, 10§1 მუხლის პროფესიული მომზადების ცნება ფარავს შემდეგ საკითხებს: საწყისი მომზადება (ზოგადი და პროფესიული საშუალო განათლება); საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება; პროფესიული მომზადება, ორგანიზებული სხვა საჯარო ან კერძო სუბიექტთა მიერ (უწყვეტი მომზადების ჩათვლით, რომელიც განიხილება ქართვის 10§3 მუხლის შესაბამისად).¹¹⁷³ საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება ითვლება პროფესიულ მომზადებად, რადგან სტუდენტებს უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით.¹¹⁷⁴

ეკონომიკური რეცესიის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს პროფესიული მომზადების მნიშვნელობაზე და უპირატესობა მიენიჭოს ახალგაზრდებს, რომლებიც დგანან მაღალი უმუშევრობის წინაშე.¹¹⁷⁵

¹¹⁶⁵ [დასკვნები 2012, მონტენეგრო](#)

¹¹⁶⁶ [დასკვნები 2020, ლიეტუვა](#)

¹¹⁶⁷ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება მე-9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁶⁸ [დასკვნები 2020, ლიეტუვა](#)

¹¹⁶⁹ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

¹¹⁷⁰ [დასკვნები 2020, აზერბაიჯანი](#)

¹¹⁷¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 10§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁷² [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

¹¹⁷³ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

¹¹⁷⁴ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

¹¹⁷⁵ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება მე-10 მუხლის განმარტების შესახებ](#)

პროფესიული მომზადებისას მხარე სახელმწიფოებმა უნდა:

- ▶ უზრუნველყონ ზოგადი და პროფესიული საშუალო განათლება, საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება, სტაჟირება და უწყვეტი განათლება;¹¹⁷⁶
- ▶ ხიდი გადონ საშუალო პროფესიულ განათლებასა და საუნივერსიტეტო/ არასაუნივერსიტეტო უმაღლეს განათლებას შორის;¹¹⁷⁷
- ▶ შემოიღონ მომზადების/მუშაობის კონტექსტში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების აღიარების/დადასტურების მექანიზმები კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, ზოგადი თუ ტექნიკური განათლების მისაღებად, ან ტექნიკურ და საუნივერსიტეტო უმაღლეს განათლებაზე წვდომის მოსაპოვებლად;¹¹⁷⁸
- ▶ მიიღონ ზომები, რათა ზოგადი საშუალო და ზოგადი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები რელევანტური იყოს შრომის ბაზარზე პროფესიული ინტეგრაციისათვის.¹¹⁷⁹

ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დაფუძნებული უმაღლესი ტექნიკური ან საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობა ვერ მიიღწევა მხოლოდ საგანმანათლებლო სტრუქტურების შექმნით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის/გამოცდილების აღიარებას და განათლების ერთი სახეობიდან/საფეხურიდან მეორეზე გადასვლას; ეს ასევე გულისხმობს, რომ რეგისტრაციის საფასური ან განათლების სხვა ხარჯები არ უნდა უქმნიდეს ფინანსურ დაბრკოლებებს ზოგიერთი კანდიდატს.¹¹⁸⁰ უნდა გატარდეს სხვა ზომებიც ისეთი უმაღლესი ტექნიკური თუ საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობისათვის, რომელიც ეყრდნობა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს (მაგ: წვდომა საკმარისი რაოდენობის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, სწავლის საფასურის გონივრული ოდენობის დაწესება, სტიპენდიებისა და სხვა გრანტების ან შეღავათების უზრუნველყოფა).¹¹⁸¹

10§1 მუხლთან შესაბამისობის ძირითადი ინდიკატორებია: განათლებისა და სწავლების სისტემის არსებობა; ამ სისტემის მთლიანი შესაძლებლობები (კერძოდ, თანაფარდობა სასწავლო ადგილებსა და კანდიდატებს შორის); ჯამური დანახარჯები განათლებასა და მომზადებაზე, მშპ-ის პროცენტული წილის სახით; პროფესიული მომზადების კურსების გავლისა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი; უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი; და ლოდინის დრო ამ ადამიანთა მიერ პირველი კვალიფიციური სამუშაოს მისაღებად.¹¹⁸²

უნდა შემუშავდეს სტრატეგიები და ზომები, რათა პროფესიული განათლებითა და მომზადებით შეძენილი უნარები შესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კერძოდ, ითვალისწინებდეს ტექნოლოგიურ განვითარებასა და გლობალიზაციას.¹¹⁸³

ქართვის დანართის თანახმად, თანასწორი მოპყრობა გარანტირებული უნდა იყოს სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე.¹¹⁸⁴ ეს გულისხმობს, რომ სწავლის დაწყებამდე, სტუდენტებსა და სტაჟორებს, რომლებიც შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ნებისმიერი სტატუსით, ან ფლობენ ცხოვრების უფლებას ქვეყანაში ლეგალურად მობინადრე პირებთან კავშირის გამო, არ მოეთხოვებათ ბინადრობის ხანგრძლივობა.¹¹⁸⁵

ეს არ ეხებათ სტუდენტებსა და სტაჟორებს, რომლებიც ზემოაღნიშნული კავშირების გარეშე

¹¹⁷⁶ [დასკვნები 2007, ირლანდია](#)

¹¹⁷⁷ [დასკვნები 2016, რუსეთის ფედერაცია](#)

¹¹⁷⁸ [დასკვნები 2016, რუსეთის ფედერაცია](#)

¹¹⁷⁹ [დასკვნები 2016, რუსეთის ფედერაცია](#)

¹¹⁸⁰ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

¹¹⁸¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 10§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁸² [დასკვნები 2012, კვიპროსი](#)

¹¹⁸³ [დასკვნები 2020, უკრაინა](#)

¹¹⁸⁴ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹¹⁸⁵ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

შევიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ ტრენინგზე დასასწრებად.¹¹⁸⁶ მოთხოვნები ბინადრობის ან დასაქმების ხანგრძლივობაზე ან/და ნაცვალებების დებულების გამოყენებაზე ეწინააღმდეგება ქარტიას.¹¹⁸⁷

უნდა გატარდეს ზომები მიგრანტთა და ლტოლვილთა ჩასართავად პროფესიულ განათლებასა და მომზადებაში.¹¹⁸⁸ თუ კანონი დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის ინსტიტუტების შესახებ არ ითვალისწინებს კონკრეტულ ინსტრუმენტს ლტოლვილთა პროფესიული სწავლებისათვის ან მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მდგომარეობა არ შეესაბამება 10§1 მუხლს.¹¹⁸⁹

მდგომარეობა ასევე არ შეესაბამება შესწორებული ქარტიის 10§1 მუხლს, თუ სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეები განიცდიან ირიბ დისკრიმინაციას, კერძოდ, უმაღლეს განათლებაზე წვდომისათვის ერთწლიანი ბინადრობის მოთხოვნით.¹¹⁹⁰

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული ორიენტაცია ქარტიის მე-15 მუხლის შესაბამისად განიხილება იმ მხარე სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც მიღებული აქვთ ეს დებულება.¹¹⁹¹

10§2 პროფესიულ მომზადებაზე უფლების უფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფას ან ხელი შეუწყონ შეგირდთა სწავლების და სხვა მეთოდური სისტემების შექმნას სხვადასხვა სპეციალობაში ახალგაზრდა ვაჟებისა და გოგონების მომზადების მიზნით.

ქარტიაში მოხსენიებული სტაჟირების/შეგირდობის პირობები არ უნდა იყოს მხოლოდ ექსპერიმენტული ან მხოლოდ პრაქტიკაში სწავლაზე მიმართული, ის უნდა განიმარტებოდეს ფართოდ და მოიცავდეს სრულ, კოორდინირებულ და სისტემატურ სწავლებას.¹¹⁹² სტაჟირება/შეგირდობა არის მომზადება, რომელიც დაფუძნებულია ახალგაზრდასა და დამსაქმებელს შორის კონტრაქტზე, მაშინ, როცა სხვა სახის მომზადება შეიძლება ეფუძნებოდეს ასეთ კონტრაქტს, მაგრამ გულისხმობდეს სკოლაზე დაფუძნებულ პროფესიულ სწავლებასაც.¹¹⁹³ სტაჟირება უნდა აერთიანებდეს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამუშაო სამყაროს შორის კი უნდა შენარჩუნდეს მჭიდრო ურთიერთობა.¹¹⁹⁴

სტაჟირება ფასდება შემდეგი ელემენტების საფუძველზე: სტაჟირების ხანგრძლივობა და დროის განაწილება პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას შორის; სტაჟირორთა შერჩევა; ტრენინგების შერჩევა და მომზადება; სტაჟირების ხელშეკრულების შეწყვეტა.¹¹⁹⁵ გარდა ამისა, ამ დებულებასთან შესაბამისობის შეფასების მთავარი ინდიკატორია სტაჟირების სისტემისა და ახალგაზრდების მომზადების სხვა მექანიზმების არსებობა, ასეთი მომზადების ხარისხი (ანუ შეგირდთა რაოდენობა), მისთვის მიძღვნილი ჯამური დანახარჯები (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში) და საკმარისი ადგილების უზრუნველყოფა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.¹¹⁹⁶

ნაწილობრივი გამოცდილების სავალდებულო პერიოდები სტუდენტთა მომზადების ნაწილის სახით ისეთ სფეროებში, როგორცაა მედიცინა, სტომატოლოგია, სამართალი და განათლება (უნივერსიტეტში სწავლის დროსაც და მის შემდეგაც), შედის 10§2 მუხლის მოქმედების

¹¹⁸⁶ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹¹⁸⁷ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹¹⁸⁸ [დასკვნები 2020, ესტონეთი](#)

¹¹⁸⁹ [დასკვნები XXII-1 \(2020\), პოლონეთი](#)

¹¹⁹⁰ [დასკვნები 2007, ირლანდია](#)

¹¹⁹¹ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹¹⁹² [დასკვნები I \(1969\), განცხადება 10§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁹³ [დასკვნები XIX-1 \(2008\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

¹¹⁹⁴ [დასკვნები XIV-2 \(1998\), სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

¹¹⁹⁵ [დასკვნები XVI-2 \(2004\), მალტა](#)

¹¹⁹⁶ [დასკვნები 2020, საქართველო](#)

სფეროში.¹¹⁹⁷

თანასწორი მოპყრობა სტაჟირებისა და მომზადების სხვა ფორმების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით გარანტირებული უნდა იყოს არამოქალაქეებისთვისაც, 10§1 მუხლში მითითებული პირობების შესაბამისად.¹¹⁹⁸ ეს გულისხმობს, რომ სწავლის დაწყებამდე, სტუდენტებსა და სტაჟირებს, რომლებიც შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ნებისმიერი სტატუსით, ან ფლობენ ცხოვრების უფლებას ქვეყანაში ლეგალურად მობინადრე პირებთან კავშირის გამო, არ მოეთხოვებათ ბინადრობის ხანგრძლივობა.¹¹⁹⁹ ეს არ ეხებათ სტუდენტებსა და სტაჟირებს, რომლებიც ზემოაღნიშნული კავშირების გარეშე შევიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, მხოლოდ ტრენინგზე დასასწრებად.¹²⁰⁰

რაც შეეხება მომზადებაზე ხელმისაწვდომობას, მოთხოვნები ბინადრობის ან დასაქმების ხანგრძლივობაზე ან/და ნაცვალგების დებულების გამოყენებაზე, არ შეესაბამება ქარტიას.¹²⁰¹

10§3 პროფესიულ მომზადებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, საჭიროებისამებრ უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ:

- ▶ ადეკვატურ და არსებულ ხელმისაწვდომ პროფესიული მომზადების საშუალებებს მოზრდილი მუშაკებისათვის;
- ▶ სპეციალურ საშუალებებს მოზრდილი მუშაკების გადამზადების მიზნით, რაც განპირობებულია ტექნოლოგიური განვითარებით ან დასაქმების სფეროში ახალი ტენდენციების შემოღებით.

უწყვეტი პროფესიული მომზადების გაგრძელების უფლება გარანტირებული უნდა იყოს დასაქმებული და უმუშევარი პირებისთვის, ახალგაზრდა უმუშევართა ჩათვლით.¹²⁰² ეს დებულება ვრცელდება თვითდასაქმებულებზეც.¹²⁰³ 10§3 მუხლი ითვალისწინებს უმუშევართა გააქტიურების მხოლოდ იმ ზომებს, რომლებიც ეხება მომზადებას, ხოლო 1§1 მუხლი ეხება უმუშევართა გააქტიურების ზოგად ზომებს.¹²⁰⁴ სპეციალური ზომები გრძელვადიანი უმუშევრებისთვის განიხილება 10§4 მუხლის შესაბამისად.¹²⁰⁵ უწყვეტი პროფესიული მომზადების ცნება მოიცავს ზრდასრულთა განათლებას. დასაქმებულთა და უმუშევართათვის ამ დებულებასთან შესაბამისობის ძირითადი ინდიკატორებია: შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომი უწყვეტი პროფესიული მომზადებისა და განათლების ტიპები; მომზადების ზომები გარკვეული ჯგუფებისთვის (მაგ: ქალები); მომზადებაში პირთა მონაწილეობის საერთო მაჩვენებელი და გენდერული ბალანსი; უწყვეტ პროფესიულ მომზადებაში ჩართულ დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი; და ზოგადი ხარჯები.¹²⁰⁶

გარდა ამისა, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის თანახმად, ქარტიის 10§3 მუხლის მიზანია, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმწიფოებს დაავალდებულოს საშუალებების უზრუნველყოფა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადებისთვის: კერძოდ, ზომების მიღება შემცირებულ პირთა და იმ მუშაკთა გადასამზადებლად, რომლებმაც ზიანი განიცადეს ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად.¹²⁰⁷ ამის მიზანია, თავიდან აიცილოს ჯერ კიდევ აქტიურ მუშაკთა გათავისუფლება, რომლებიც ტექნოლოგიური ან/და ეკონომიკური პროგრესის შედეგად, უმუშევრობის რისკის ქვეშ არიან.¹²⁰⁸ უნდა შემუშავდეს სტრატეგიები და ზომები (სამართლებრივი, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული

¹¹⁹⁷ [დასკვნები III \(1973\), განცხადება 10§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹¹⁹⁸ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹¹⁹⁹ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹²⁰⁰ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹²⁰¹ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹²⁰² [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹²⁰³ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹²⁰⁴ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹²⁰⁵ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹²⁰⁶ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹²⁰⁷ [დასკვნები XIX-1 \(2008\), ესპანეთი](#)

¹²⁰⁸ [დასკვნები XIX-1 \(2008\), ესპანეთი](#)

ჩარჩოები, დაფინანსების და სხვა პრაქტიკული ღონისძიებები) უნარების ფართო სპექტრში მომზადება-გადამზადებისთვის (განსაკუთრებით, როგორცაა ციფრული კულტურა, ახალი ტექნოლოგიები, ადამიანისა და მანქანის ურთიერთქმედება, ახალი სამუშაო გარემო, ახალი ხელსაწყოებისა და მანქანების გამოყენება და ექსპლუატაცია), რომლებიც დასაქმებულებს სჭირდებათ განვითარებად შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობისთვის.¹²⁰⁹

რაც შეეხება უმუშევრებს, მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული მომზადება.¹²¹⁰ აქტივაციის კოეფიციენტი (ანუ აქტიურ ღონისძიებებში მონაწილე უმუშევარ პირთა საშუალო წლიური რაოდენობის თანაფარდობა რეგისტრირებულ უმუშევართა და აქტიურ ღონისძიებებში მონაწილე პირთა რაოდენობასთან) გამოიყენება მხარე სახელმწიფოთა პოლიტიკის გავლენის შესაფასებლად.¹²¹¹

დამატებით, გათვალისწინებულია შემდეგი ასპექტები:

- ▶ კანონმდებლობის არსებობა ინდივიდუალური სასწავლო შვებულების შესახებ და მისი მახასიათებლები, კერძოდ, ხანგრძლივობა, ანაზღაურება და მინიჭების ინიციატივა;¹²¹²
- ▶ პროფესიული მომზადების ხარჯების ტვირთის განაწილება საჯარო ორგანოებზე (სახელმწიფო ან სხვა კოლექტიურ ორგანოებზე), უმუშევრობის დაზღვევის სისტემებზე, საწარმოებსა და შინამეურნეობებზე, უწყვეტი მომზადებისთვის.¹²¹³

ნებისმიერი მოთხოვნა ბინადრობის ან დასაქმების ხანგრძლივობის შესახებ ეწინააღმდეგება ქარტიას.¹²¹⁴

10§4 პროფესიულ მომზადებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, საჭიროებისამებრ უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ სპეციალურ ზომებს დიდი ხნის უმუშევართა გადამზადებისა და შრომით პროცესში რეინტეგრაციისათვის;

10§4 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა ებრძოლონ გრძელვადიან უმუშევრობას, გადამზადებისა და რეინტეგრაციის ზომებით.¹²¹⁵ გრძელვადიანად უმუშევარია პირი, რომელსაც არ უმუშავია 12 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში.¹²¹⁶

ამ დებულებასთან შესაბამისობის მთავარი მაჩვენებლებია: შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომი მომზადება-გადამზადების ღონისძიებები; და პირთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ამ ტიპის მომზადება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა გრძელვადიან უმუშევრებს და ღონისძიებათა გავლენას გრძელვადიანი უმუშევრობის შემცირებაზე.¹²¹⁷

არამოქალაქეებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ თანასწორი მოპყრობა გრძელვადიან უმუშევართა მომზადებაზე ხელმისაწვდომობისა და გადამზადების თვალსაზრისით.¹²¹⁸ სწავლისთვის ფინანსური დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვისაც, რომლებიც ქვეყანაში კანონიერად ცხოვრობენ ნებისმიერი სტატუსით, ან ფლობენ ცხოვრების უფლებას შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ პირებთან კავშირის გამო.¹²¹⁹ ეს არ უხებათ სტუდენტებსა და სტაჟორებს, რომლებიც ზემოაღნიშნული კავშირების გარეშე შევიდნენ ტერიტორიაზე მხოლოდ სწავლის მიზნით.¹²²⁰ ამიტომ, 10§4 მუხლი არ მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან, რომ თავისი მოქალაქეების

¹²⁰⁹ დასკვნები XXII-1 (2021), ლუქსემბურგი

¹²¹⁰ დასკვნები XIX-1 (2008), უნგრეთი

¹²¹¹ დასკვნები 2012, სერბეთი

¹²¹² დასკვნები 2012, სერბეთი

¹²¹³ დასკვნები 2012, სერბეთი

¹²¹⁴ დასკვნები XVI-2 (2004), ირლანდია

¹²¹⁵ დასკვნები 2003, იტალია

¹²¹⁶ დასკვნები 2003, იტალია

¹²¹⁷ დასკვნები 2020, კვიპროსი

¹²¹⁸ დასკვნები 2020, უკრაინა

¹²¹⁹ დასკვნები XXII-1 (2020), ლუქსემბურგი

¹²²⁰ დასკვნები XXII-1 (2020), ლუქსემბურგი

თანასწორად გაუწიონ ფინანსური დახმარება ნებისმიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ჯერ არ არის რეზიდენტი ამ სახელმწიფოში.¹²²¹ თუმცა, ის მოითხოვს, რომ სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც უკვე აქვთ რეზიდენტის სტატუსი, თავიანთი მოქალაქეების თანასწორად მოეპყრონ როგორც პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის (10§1 მუხლი), ისე ფინანსური დახმარების თვალსაზრისით (10§4 მუხლი).¹²²² მხარე სახელმწიფოები, რომლებიც მუდმივი ბინადრობის მოთხოვნას ან ბინადრობის ხანგრძლივობას აწესებენ სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვის, რათა მათ შეძლონ ფინანსური დახმარების მოთხოვნა პროფესიული განათლებისა და მომზადების მისაღებად, არღვევენ ქარტიას.¹²²³

10§5 პროფესიულ მომზადებაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, წაახალისონ შემდეგი ზომებით უზრუნველყოფილი შედეგების სრული გამოყენება:

მე-5 პუნქტი ითვალისწინებს დამატებით ფუნდამენტურ ზომებს პრაქტიკაში ეფექტიანი ხელმისაწვდომობისთვის.

1. ნებისმიერი გადასახადის ან მოსაკრებლის შემცირება ან გაუქმება;

მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული მომზადება, როგორც განსაზღვრულია 1-ელ პუნქტში, მიეწოდოს უფასოდ, ან ეს საფასური თანდათანობით შემცირდეს.¹²²⁴ ქარტიის დანართის თანახმად, თანასწორი მოპყრობა გარანტირებული უნდა იყოს სხვა მხარეთა მოქალაქეებისთვის, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.¹²²⁵ ეს გულისხმობს, რომ სწავლის დაწყებამდე, სტუდენტებსა და სტაჟიორებს, რომლებიც შესაბამისი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულნი არიან ნებისმიერი სტატუსით ცხოვრებისთვის, გარდა სტუდენტის ან სტაჟიორისა, ან ფლობენ ცხოვრების უფლებას ქვეყანაში ლეგალურად მობინადრე პირებთან კავშირის გამო, არ მოეთხოვებათ ბინადრობის ხანგრძლივობა.¹²²⁶ ეს არ უხედავთ სტუდენტებსა და სტაჟიორებს, რომლებიც ზემოაღნიშნული კავშირების გარეშე შევიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, მხოლოდ ტრენინგზე დასასწრებად.¹²²⁷

მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 10§5 მუხლს, თუ პროფესიული მომზადებისთვის ფინანსური დახმარების მისაღებად საჭიროა ცხოვრების სამწლიანი ვადა.¹²²⁸

2. ფინანსური დახმარების გაწევა შესაბამის შემთხვევებში;

ეს ნიშნავს ფინანსური დახმარების გაწევას იმ პირებისთვის, რომლებიც სხვაგვარად ვერ შეძლებდნენ სტაჟირებას ან მომზადებას.¹²²⁹ გარდა უფასო ან იაფი მომზადებისა, აქ იგულისხმება დახმარების გაწევა გრანტების, შემწეობების ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ღონისძიებების სახით.¹²³⁰ ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, გრანტები სასწავლო პროგრამებისთვის შრომის ბაზრის პოლიტიკის კონტექსტში, გათვალისწინებულია 10§5 მუხლით.¹²³¹ მხარე სახელმწიფოებმა ფინანსური დახმარება უნდა გაუწიონ ან უნივერსალური მიდგომით, ან საჭიროებათა შეფასების საფუძველზე, ან დამსახურების მიხედვით.¹²³² ნებისმიერ შემთხვევაში, დახმარება, სულ მცირე, უნდა იყოს,

¹²²¹ დასკვნები XXII-1 (2020), ლუქსემბურგი

¹²²² დასკვნები XXII-1 (2020), ლუქსემბურგი

¹²²³ დასკვნები XXII-1 (2020), ლუქსემბურგი

¹²²⁴ [დასკვნები 2020, მალტა](#)

¹²²⁵ [დასკვნები XVI-2 \(2004\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹²²⁶ [დასკვნები XVI-2 \(2004\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹²²⁷ [დასკვნები XVI-2 \(2004\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹²²⁸ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹²²⁹ [დასკვნები XIII-1 \(1993\), თურქეთი](#)

¹²³⁰ [დასკვნები XIII-1 \(1993\), თურქეთი](#)

¹²³¹ [დასკვნები 2016, იტალია](#)

¹²³² [დასკვნები XIX-1 \(2008\), თურქეთი](#)

შესაბამისი, და ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც სჭირდება.¹²³³ ის შეიძლება მოიცავდეს სტიპენდიებსა ან სესხებს, შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით.¹²³⁴ ამ დებულებასთან შესაბამისობის შეფასებისას, ასევე გათვალისწინებულია მოსარგებლეთა რაოდენობა და ფინანსური დახმარების მოცულობა.¹²³⁵

თანასწორი მოპყრობა ფინანსური დახმარების ხელმისაწვდომობის კუთხით გარანტირებული უნდა იყოს არამოქალაქებისთვისაც, 1-ლი პუნქტის პირობების შესაბამისად.¹²³⁶

3. მისი დამსაქმებლის მოთხოვნით, მუშაკის მიერ დამატებით პროფესიულ მომზადებაზე დახარჯული დროის ჩათვლა ჩვეულებრივ სამუშაო საათებში;

დასაქმების განმავლობაში, დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილ დამატებით მომზადებაზე დახარჯული დრო უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივ სამუშაო საათებში.¹²³⁷ დამატებითი მომზადება ნიშნავს ნებისმიერი სახის სწავლებას, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს დასაქმებულთა ამჟამინდელი პროფესიისთვის და მიემართება მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.¹²³⁸ ის არ გულისხმობს მანამდელ მომზადებას.¹²³⁹ ტერმინი „დასაქმების განმავლობაში“ ნიშნავს, რომ დასაქმებულს ამჟამად შრომითი ურთიერთობა აქვს დამსაქმებელთან, რომელიც მოითხოვს მომზადებას.¹²⁴⁰

4. შესაბამისი ზედამხედველობის საშუალებებით, დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით შეგირდთა სწავლებისა და პროფესიული მომზადების სხვა საშუალებათა ეფექტურობის უზრუნველყოფა ახალგაზრდა მუშაკებისათვის, და ზოგადად, ახალგაზრდა მუშაკების სათანადო დაცვა.

მხარე სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ თავიანთი პროფესიული მომზადების პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია ახალგაზრდა მუშაკებისთვის, მათ შორის, სტაჟიორებისთვის.¹²⁴¹ კერძოდ, საჭიროა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების ჩართვა სასწავლო პროგრამების ეფექტიანობაზე მონიტორინგში.¹²⁴²

მუხლი 11 ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს ნებისმიერი ზომით, რომელიც საშუალებას მისცემს, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტით.

ქარტიის მე-11 მუხლით გარანტირებული ჯანმრთელობის დაცვის უფლება ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, რიგი პოზიტიური ვალდებულებების დაწესებით, რომლებიც მიზნად ისახავს მის ეფექტიან განხორციელებას.¹²⁴³ ამ ორი ხელშეკრულებით დადგენილი ჯანმრთელობის უფლებები განუყოფლად უკავშირდება ერთმანეთს, რადგან „ადამიანის ღირსება ძირითადი ღირებულება და მართლაც ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ბირთვია (ევროპის სოციალური ქარტია იქნება ეს, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული

¹²³³ [დასკვნები XIX-1 \(2008\), თურქეთი](#)
¹²³⁴ [დასკვნები 2016, იტალია](#)
¹²³⁵ [დასკვნები 2016, იტალია; დასკვნები XIV-2 \(1998\), ირლანდია](#)
¹²³⁶ [დასკვნები 2003, სლოვენია](#)
¹²³⁷ [დასკვნები 2020, თურქეთი](#)
¹²³⁸ [დასკვნები 2020, თურქეთი](#)
¹²³⁹ [დასკვნები 2020, თურქეთი](#)
¹²⁴⁰ [დასკვნები 2020, თურქეთი](#)
¹²⁴¹ [დასკვნები 2020, ლიეტუვა](#)
¹²⁴² [დასკვნები XIV-2 \(1998\), გაერთიანებული სამეფო](#)
¹²⁴³ [დასკვნები 2005, განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ](#)

კონვენცია), ჯანდაცვა კი აუცილებელი პირობაა ამ ღირსების შესანარჩუნებლად“.¹²⁴⁴

ჯანმრთელობის დაცვის უფლება დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ფაქტობრივადაც. ქარტიის განხორციელება მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივი ზომების მიღებას, არამედ პრაქტიკულ მოქმედებებსაც, რათა ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი რესურსები და დაინერგოს საჭირო პროცედურები ქარტიაში მითითებულ უფლებათა სრული რეალიზაციისთვის.¹²⁴⁵

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის დაცვა მე-11 მუხლით გარანტირებული ჯანმრთელობის უფლებების განუყოფელი ნაწილია.¹²⁴⁶

11§1 ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღონ ზომები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავს: ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრას.

უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს სტანდარტზე

მე-11 მუხლით გარანტირებულია უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს შესაძლო სტანდარტსა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე. ამ მუხლის თანახმად, ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობა და არ გულისხმობს მხოლოდ დაავადების ან უძღურების არარსებობას, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კონსტიტუციაში დადგენილი განმარტების შესაბამისად, რომელიც მიიღო ქარტიის ყველა მხარემ.¹²⁴⁷

მე-11 მუხლი აწესებს მთელ რიგ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს.¹²⁴⁸ მუხლის სათაური – „ჯანმრთელობის დაცვის უფლება“ – ცხადყოფს, რომ ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ გულისხმობს მხოლოდ ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობას პოზიტიური და პროაქტიული სახელმწიფო ზომების მეშვეობით, რომლებიც იძლევა ჯანმრთელობის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტით სარგებლობის საშუალებას (როგორცაა ხარისხიანი ჯანდაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობა). სახელმწიფოთა ვალდებულებები ასევე არ შემოიფარგლება ქარტიის მე-11 მუხლში მითითებული ზომების გატარებით. პირიქით, ჯანმრთელობის დაცვის ცნება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, თავი შეიკავოს პირდაპირი ან ირიბი ჩარევისგან ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობაში. ეს ეხება ჯანმრთელობის განმარტებას, რომელიც ციტირებულია ზემოთ.¹²⁴⁹

მე-11 მუხლის ეს განმარტება შეესაბამება სამართლებრივ დაცვას, რომელიც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო დებულებებით ჯანმრთელობის შესახებ.¹²⁵⁰

მე-11 მუხლის მიხედვით, ჯანმრთელობა ნიშნავს ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კონსტიტუციაში დადგენილი განმარტების შესაბამისად, რომელიც მიიღო ქარტიის ყველა მხარემ.¹²⁵¹

¹²⁴⁴ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. France](#), საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 3 ნოემბერი, §31

¹²⁴⁵ [განცხადება პანდემიის დროს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹²⁴⁶ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §74

¹²⁴⁷ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §71

¹²⁴⁸ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §79

¹²⁴⁹ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §79

¹²⁵⁰ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §79

¹²⁵¹ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §71; [დასკვნები 2005, განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ](#)

მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საუკეთესო მდგომარეობა არსებული ცოდნის შესაბამისად. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს სპეციალურ ზომებს დედების, ბავშვებისა და მოხუცების ჯანმრთელობის დასაცავად.¹²⁵²

ჯანდაცვის სისტემამ სათანადოდ უნდა უპასუხოს ჯანმრთელობის რისკებს, რომელთა არიდებაც შესაძლებელია, ანუ რომლებიც შეიძლება გაკონტროლდეს ადამიანის ქმედებით.¹²⁵³ ამ მხრივ, ძირითადი ინდიკატორებია სიცოცხლის ხანგრძლივობა და სიკვდილის მთავარი მიზეზები, რომლებიც უნდა აჩვენებდეს გაუმჯობესებას და ძალიან არ ჩამორჩებოდეს ევროპულ საშუალო მაჩვენებელს.¹²⁵⁴

აცილებადია ის რისკები, რომლებიც წარმოიქმნება გარემოს საფრთხეებისგან. 11§1 მუხლი უზრუნველყოფს უფლებას ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოზე.¹²⁵⁵

ნებისმიერი სახის სამედიცინო ღონისძიება, რომელიც არ არის აუცილებელი, შეიძლება ჩაითვალოს მე-11 მუხლის საწინააღმდეგოდ, თუ სხვა უფლების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია მის დასრულებაზე.¹²⁵⁶

ჩვილთა და დედათა სიკვდილიანობა კარგი ინდიკატორია იმისა, თუ როგორ მუშაობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მთლიანობაში.¹²⁵⁷ ამ რისკების თავიდან აცილება შესაძლებელია, ამიტომ - განსაკუთრებით, მაღალგანვითარებულ ჯანდაცვის სისტემებში - უნდა გატარდეს ყველა ზომა ამ მაჩვენებელთა შეძლებისდაგვარად შესამცირებლად და ნულამდე დასაყვანად.¹²⁵⁸ 11§1 მუხლის მუდმივ შეუსრულებლობაზე მეტყველებს ჩვილთა და დედათა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლები რიგ ქვეყნებში, რაც, ჯანმრთელობის სხვა ძირითად ინდიკატორებთან ერთად განხილვისას, მიუთითებს ჯანდაცვის სისტემის სუსტ მხარეებზე.¹²⁵⁹

ჯანმრთელობის დაცვაზე წვდომის უფლება

ჯანმრთელობის უფლება მოიცავს ჯანდაცვაზე წვდომასაც, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის, დისკრიმინაციის გარეშე.¹²⁶⁰ ეს ნიშნავს, რომ ჯანდაცვა ეფექტიანი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფები (უსახლკაროები, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დაწესებულებებში მცხოვრები ადამიანები, ციხეებში მყოფი პირები და არალეგალური მიგრანტები) შესაბამისად უნდა იყვნენ დაცულნი.¹²⁶¹

მხარე სახელმწიფოები დისკრეციის ფარგლებით სარგებლობენ, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როდის იწყება სიცოცხლე. ამიტომ, თითოეულ მხარე სახელმწიფოს ევალება განსაზღვრა (თავისი დისკრეციის ფარგლებში), რამდენად აქვს ნაყოფს უფლება ჯანმრთელობაზე.¹²⁶²

მე-11 მუხლის გამოყენების შეზღუდვამ არ უნდა დააბრკოლოს მოსახლეობის მოწყვლადი

¹²⁵² [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹²⁵³ [დასკვნები XV-2 \(2001\), დანია](#)

¹²⁵⁴ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

¹²⁵⁵ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §§ 194-195, § 202

¹²⁵⁶ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §80

¹²⁵⁷ [დასკვნები 2003, რუმინეთი](#)

¹²⁵⁸ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

¹²⁵⁹ [დასკვნები 2013, უკრაინა](#)

¹²⁶⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §218

¹²⁶¹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §218

¹²⁶² [Federation of Catholic Families Associations in Europe \(FAFCE\) v. Sweden](#), საჩივარი N 99/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 17 მარტი, §73

ჯგუფების სარგებლობა ჯანმრთელობის უფლებით. ასეთი მიდგომა მოითხოვს, რომ მკაცრად განიმარტოს ქარტიის პირადი მოქმედების სფეროს გამოყენება მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად, რომელიც შეეხება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას.¹²⁶³

დანართის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ქარტიის 1-17 და 20-31 მუხლებით გათვალისწინებული პირები მოიცავს უცხოელებსაც, თუ ისინი არიან სხვა მხარის მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე.

პირადი მოქმედების სფეროს შეზღუდვა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ არალეგალურ მიგრანტებს ჩამოერთვათ ქარტიით გათვალისწინებული საბაზისო უფლებების დაცვა, ან შეელახოთ ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობა ან ადამიანური ღირსების დაცვა.¹²⁶⁴

ადამიანის ღირსება ძირითადი ღირებულება და მართლაც ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ბირთვია (ევროპის სოციალური ქარტია იქნება ეს, თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), ჯანდაცვა კი აუცილებელი პირობაა ამ ღირსების შესანარჩუნებლად.¹²⁶⁵

კანონმდებლობა ან პრაქტიკა, რომელიც უარყოფს მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯანდაცვის უფლებას (თუნდაც იქ არალეგალურად იმყოფებოდნენ), ეწინააღმდეგება ქარტიას.¹²⁶⁶

მიგრანტ ბავშვთა უზრუნველყოფა თავშესაფრითა და სათანადო საცხოვრებელი მინიმალური წინაპირობაა არასრულწლოვანთა ავადმყოფობის მიზეზების აღმოსაფხვრელად (მათ შორის, ეპიდემიური, ენდემური ან სხვა დაავადებების).¹²⁶⁷

თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს შესაბამის საცხოვრებელსა და სამედიცინო დახმარებას თანმხლებ პირებთან ერთად ან მათ გარეშე მყოფი მიგრანტი ბავშვებისთვის, რის გამოც ზოგი მათგანი იძულებული იქნება, იცხოვროს ქუჩაში ან „დაცვითი ზრუნვის ქვეშ“, დაირღვევა ქარტიის 11§§1 და 11§§3 მუხლები.¹²⁶⁸

კომიტეტმა ხაზი გაუსვა მიგრანტ და თავშესაფრის მაძიებელ ბავშვთა ეფექტიანი სამედიცინო შემოწმების მნიშვნელობას და ფსიქოსოციალური დახმარების გაწევას ჩამოსვლისთანავე.¹²⁶⁹ ასეთი სკრინინგი აუცილებელია ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და გადამდები დაავადებების გამოსავლენად.¹²⁷⁰ მიმღებ ცენტრებში ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა აფერხებს ბავშვთა სამედიცინო და ფსიქოსოციალურ შეფასებას. შესაბამისად, წარმოიშობა რისკი, რომ ამ ცენტრებში ცუდი საცხოვრებელი პირობებით ან დაავადების გადაცემით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები შეუმჩნეველი დარჩება და მოგვიანებით გამოვლინდება.¹²⁷¹

ენა არ შეიძლება იყოს ბარიერი შესაბამის სამედიცინო მომსახურებებზე წვდომისთვის.¹²⁷²

¹²⁶³ [დასკვნები 2005, განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹²⁶⁴ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §28

¹²⁶⁵ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. France](#), საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 3 ნოემბერი, §31

¹²⁶⁶ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. France](#), საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 3 ნოემბერი, §32

¹²⁶⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §221

¹²⁶⁸ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §230

¹²⁶⁹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §227

¹²⁷⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §227

¹²⁷¹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §227

¹²⁷² [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 151/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 5 დეკემბერი, §80

ჯანდაცვაზე წვდომის უფლება მოითხოვს, რომ:

- ▶ ჯანდაცვის ხარჯები, ნაწილობრივ მაინც, გაიღოს მთელმა თემმა;¹²⁷³
- ▶ ჯანდაცვის ხარჯები არ იყოს უსაფუძვლო ტვირთი ადამიანისთვის; საკუთარი ჯიბიდან გადახდა არ განისაზღვროს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მთავარ წყაროდ;¹²⁷⁴ და გადაიღვას ნაბიჯები საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების პაციენტთა ფინანსური ტვირთის შესამცირებლად;¹²⁷⁵
- ▶ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა უნდა ითვალისწინებდეს საპარლამენტო ასამბლეის 1626 (2003) რეკომენდაციას „ევროპაში ჯანმრთელობის სისტემათა რეფორმა: თანასწორობის, ხარისხისა და ეფექტიანობის შეჯერება“. დოკუმენტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ჯანდაცვის სისტემის რეფორმათა შეფასების მთავარ კრიტერიუმად შემოიღონ ჯანდაცვის ეფექტიანი ხელმისაწვდომობა ყველასთვის, დისკრიმინაციის გარეშე და ადამიანის ძირითადი უფლების სახით;¹²⁷⁶
- ▶ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზომებმა ზედმეტად არ უნდა შეაფერხოს მისი უზრუნველყოფა. მოლოდინის სიებისა და დროის მართვა ჯანდაცვის სფეროში განიხილება მინისტრთა კომიტეტის (99)21 რეკომენდაციით, რომელიც შეეხება ასეთი მართვის კრიტერიუმებს. მკურნალობაზე წვდომა უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ დონეზე შეთანხმებულ გამჭვირვალე კრიტერიუმებს და ითვალისწინებდეს კლინიკური მდგომარეობის ან ცხოვრების ხარისხის გაუარესების რისკებს;¹²⁷⁷
- ▶ სამედიცინო მუშაკები და აღჭურვილობა უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის. საავადმყოფოების შემთხვევაში, ჯანმოს მიზანი განვითარებადი ქვეყნებისთვის არის 3 საწოლი ათას მოსახლეზე.¹²⁷⁸ საავადმყოფოს საწოლის ძალიან დაბალი ხვედრითი წილი, მოლოდინის სიებთან ერთად, შეიძლება აბრკოლებდეს ჯანდაცვაზე წვდომას ბევრი ადამიანისთვის.¹²⁷⁹ საავადმყოფოში, მათ შორის, ფსიქიატრიულ კლინიკაში დარჩენის პირობები უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი და შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსებას;¹²⁸⁰
- ▶ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, მხარი დაუჭირონ პირებს, რომლებსაც, გარიყვის ხარისხის, წარსული გამოცდილებისა და სოციალური მდგომარეობის გამო, არ შეუძლიათ სამართლებრივი დაცვის საშუალებებით სარგებლობა ბარიერების გადასალახად და საკუთარი უფლებების ეფექტიანად დასაცავად.¹²⁸¹

პანდემიის დროს:

- ▶ ჯანმრთელობის დაცვა უნდა იყოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი ყველასთვის. სახელმწიფოებმა შესაბამისად უნდა დაიცვან ჯანდაცვის ზომებით განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფები: უსახლკაროები, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები, მოხუცები, მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დაწესებულებებში მცხოვრები ადამიანები, ციხეებში მყოფი პირები და არალეგალური მიგრანტები.¹²⁸²
- ▶ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) განმარტებით, მიზანი უნდა იყოს ჯანდაცვის თანასწორობა: კერძოდ, აცილებადი ან უსამართლო განსხვავებების არარსებობა ადამიანთა ჯგუფებს შორის, მიუხედავად იმისა, სტრატეგიკაციის რომელი საშუალებებით არიან ეს ჯგუფები განსაზღვრულნი - სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული თუ სხვა.¹²⁸³

¹²⁷³ [დასკვნები I \(1969\), განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები XV-2 \(2001\), დანართი, კვიპროსი](#)

¹²⁷⁴ [დასკვნები 2013, საქართველო](#)

¹²⁷⁵ [დასკვნები XVII-2 \(2005\), პორტუგალია](#)

¹²⁷⁶ [დასკვნები 2005, განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹²⁷⁷ [დასკვნები XV-2 \(2001\), გაერთიანებული სამეფო; დასკვნები XX-2 \(2013\), პოლონეთი](#)

¹²⁷⁸ [დასკვნები XV-2 \(2001\), დანართი, თურქეთი](#)

¹²⁷⁹ [დასკვნები XV-2 \(2001\), დანართი](#)

¹²⁸⁰ [დასკვნები 2005, განცხადება მე-11 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2005, რუმინეთი](#)

¹²⁸¹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 151/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 5 დეკემბერი, §84

¹²⁸² [განცხადება პანდემიის დროს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹²⁸³ [განცხადება პანდემიის დროს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

- ▶ მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ავადმყოფთა სამკურნალოდ, მათ შორის, უზრუნველყონ წვდომა საკმარის საავადმყოფო საწოლებზე, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში და აღჭურვილობაზე. უნდა გატარდეს ყველა შესაძლო ზომა საკმარისი რაოდენობის სამედიცინო პერსონალის უზრუნველსაყოფად და მათი სამუშაო პირობების სიჯანსაღისა და უსაფრთხოებისთვის (იხ. ასევე ქარტიის მე-3 მუხლი). ეს მოიცავს საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფას.¹²⁸⁴

როგორც ჯანმრთელობის უფლებებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ნაწილი, მხარე სახელმწიფოებმა დისკრიმინაციის გარეშე უნდა მიაწოდონ სათანადო და დროული ზრუნვა, მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებები. ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ქალთა ჯანმრთელობის სპეციფიკურ საჭიროებებს, არ შეესაბამება ქარტიის მე-11 მუხლს, ან E მუხლს, მე-11 მუხლთან ერთობლიობაში.¹²⁸⁵

გარდა ამისა, კომიტეტს მიაჩნია, რომ ნებისმიერი სამედიცინო მკურნალობა ინფორმირებული თანხმობის გარეშე აუცილებლად აჩენს კითხვებს 1961 წლის ქარტიის მე-11 მუხლის შესაბამისად. ინფორმირებული თანხმობა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტით სარგებლობის უფლების შესახებ (ანგარიში, 2009 წლის 1 აგვისტო, A/64/272) შემდეგნაირად განმარტა: „ინფორმირებული თანხმობა არის არა მხოლოდ თანხმობა სამედიცინო ჩარევაზე, არამედ ნებაყოფლობითი და საკმარისად ინფორმირებული გადაწყვეტილება, რომელიც იცავს პაციენტის უფლებას, ჩართული იყოს სამედიცინო გადაწყვეტილების მიღებაში და, ამ კუთხით, შესაბამის მოვალეობებსა და ვალდებულებებს აკისრებს ჯანდაცვის პროვაიდერებს. მისი ეთიკური და სამართლებრივი ნორმატიული დასაბუთებები გამომდინარეობს პაციენტის ავტონომიის, თვითგამორკვევის, სხეულის ხელშეუხებლობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობიდან.“¹²⁸⁶

კომიტეტი მიიჩნევს (მიუთითებს რა ევროპის საბჭოს 1997 წლის კონვენციაზე ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიდოს კონვენცია) და ადამიანის უფლებათა სხვა ორგანოების კარგად დამკვიდრებულ პოზიციაზე), რომ ნებისმიერი სამედიცინო ღონისძიება თავისუფალი ინფორმირებული თანხმობის გარეშე (მკაცრი გამონაკლისების გათვალისწინებით), ვერ იქნება თავსებადი ფიზიკურ ხელშეუხებლობასა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან. სამედიცინო ზომა თავისუფალი ინფორმირებული თანხმობის გარეშე არღვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას, ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება ზიანს აყენებდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ჯანმრთელობას. თავისუფალი თანხმობის გარანტიას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობისთვის და ის განუყოფელია ადამიანის ავტონომიისა და ღირსებისგან, ასევე ჯანმრთელობის უფლების დაცვის ვალდებულებისგან.¹²⁸⁷

რაც შეეხება აბორტს, მას შემდეგ, რაც მხარე სახელმწიფოები შემოიღებენ საკანონმდებლო დებულებებს გარკვეულ სიტუაციებში აბორტის დაშვებაზე, მათ ევალებათ თავიანთი ჯანდაცვის სისტემის ორგანიზება ისე, რომ ჯანდაცვის პროფესიონალთა მიერ სინდისის თავისუფლების ეფექტიანი გამოყენება პროფესიულ კონტექსტში არ აბრკოლებდეს პაციენტთა წვდომას იმ მომსახურებებზე, რომლებზეც აქვთ კანონიერი უფლება.¹²⁸⁸

¹²⁸⁴ [განცხადება პანდემიის დროს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹²⁸⁵ [International Planned Parenthood Federation – European Network \(IPPF EN\) v. Italy](#), საჩივარი N 87/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 10 სექტემბერი, § 66; იხ. ასევე [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 91/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 12 ოქტომბერი, §162 და 190

¹²⁸⁶ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §81

¹²⁸⁷ [Transgender Europe and ILGA Europe v. Czech Republic](#), საჩივარი N 117/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 15 მაისი, §82

¹²⁸⁸ [International Planned Parenthood Federation – European Network \(IPPF EN\) v. Italy](#), საჩივარი N 87/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 10 სექტემბერი, § 69; იხ. ასევე [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 91/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 12 ოქტომბერი, §166-167

გარდა ამისა, მე-11 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ სამედიცინო მუშაკებს მისცენ მომსახურებაზე უარის თქმის უფლება, პირადი მრწამსის გამო.¹²⁸⁹

11§2 ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღონ ზომები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავს: ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის წახალისებისათვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას.

ამ დებულების შესაბამისად არსებობს ორი ვალდებულება:

განათლება და ცნობიერების ამაღლება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის მიზანია საზოგადოების ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანმოს მიზნების შესაბამისად. ეროვნული რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების ინფორმირებას, განათლებასა და მონაწილეობას. მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ, რომ ახორციელებენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტიან საგანმანათლებლო პოლიტიკას, როგორც ზოგადად, ისე ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემების მქონე მოსახლეობისთვის. საჭიროების შემთხვევაში, ეს მოიცავს განათლებას გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის საკითხებში.¹²⁹⁰

საზოგადოების ინფორმირება, განსაკუთრებით, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს. ამ აქტივობის ზუსტი ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამის ქვეყნებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემათა მიხედვით.¹²⁹¹ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება ისეთი მავნე ქმედებების მიმართ, როგორიცაა მოწევა და ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკების მოხმარება; ასევე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება, მათ შორის, ისეთ ასპექტებში, როგორიცაა ჯანსაღი კვება, სქესობრივი ცხოვრება და გარემო.¹²⁹²

პანდემიის შემთხვევაში, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა გაანათლონ საზოგადოება შესაბამის დაავადებასთან დაკავშირებულ რისკებზე. მათ შორის, განახორციელონ საზოგადოების ინფორმირების პროგრამები, თუ როგორ უნდა შეამცირონ ინფექციის რისკი და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ წვდომა ჯანდაცვის მომსახურებებზე.¹²⁹³

ჯანმრთელობის საკითხებზე განათლება უნდა მიეწოდებოდეს მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში და გახდეს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.¹²⁹⁴ ოჯახის შემდეგ, სკოლა ყველაზე შესაფერისი ადგილია ჯანდაცვის სწავლებისთვის, რადგან განათლების ზოგადი მიზანია ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გაცემა. ამ მიმართებით, გათვალისწინებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია N R(88)7 სკოლაში ჯანდაცვაზე განათლების, ასევე, მასწავლებელთა როლისა და მომზადების შესახებ.¹²⁹⁵

ჯანმრთელობის საკითხებზე განათლება უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებსაც: მოწევისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების პრევენცია; განათლება სექსუალურ და რეპროდუქციულ

¹²⁸⁹ [Federation of Catholic Families Associations in Europe \(FAFCE\) v. Sweden](#), საჩივარი N 99/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 17 მარტი, §71

¹²⁹⁰ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §§ 216 და 219

¹²⁹¹ [დასკვნები 2007, ალბანეთი](#)

¹²⁹² [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 30 მარტი, §43

¹²⁹³ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹²⁹⁴ [დასკვნები 2007, ალბანეთი](#)

¹²⁹⁵ [დასკვნები 2007, ალბანეთი](#)

ჯანმრთელობაზე, კერძოდ, სექსობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და შიდსის პრევენციაზე; საგზაო უსაფრთხოება და ჯანსაღი კვების ხელშეწყობა.¹²⁹⁶

განათლება სექსუალურ დარეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე განიხილება როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობათა განვითარებაზე მიმართული პროცესი, რომ თავიანთი სექსუალობა გაიაზრონ საკუთარ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ და რეპროდუქციულ პრიზმაში. ეს მათ მისცემს პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ქცევაზე.¹²⁹⁷

აღიარებულია, რომ კულტურული ნორმები, რელიგია, სოციალური სტრუქტურები, სასკოლო გარემო და ეკონომიკური ფაქტორები განსხვავდება ევროპაში და გავლენას ახდენს სექსუალური და რეპროდუქციული განათლების შინაარსზე, ასევე, მის მიწოდებაზე. თუმცა, საბაზისო და ფართოდ მიღებულ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ სასკოლო განათლებამ შეიძლება ეფექტიანად შეამციროს სექსუალური რისკების შემცველი ქცევა, მხარე სახელმწიფოებს ევალუბათ:

- ▶ სექსუალური და რეპროდუქციული განათლება გახდეს ჩვეულებრივი სასკოლო გეგმის ნაწილი;
- ▶ მიწოდებული განათლების მოცულობა შეესაბამებოდეს მისთვის გამოყოფილ დროს და სხვა რესურსებს (მასწავლებლები, მათი მომზადება, სასწავლო მასალები და ა.შ.);
- ▶ განათლების ფორმა და შინაარსი, მათ შორის, სასწავლო გეგმები და სწავლების მეთოდები, იყოს შესაბამისი, კულტურულად შესაფერისი, საკმარისად ხარისხიანი და ობიექტური; ასევე, ეფუძნებოდეს მიმდინარე სამეცნიერო მტკიცებულებებს, არ მოიცავდეს ცენზურას, არ მალავდეს ინფორმაციას, ან მიზანმიმართულად არ ამახინჯებდეს მას (მაგ: კონტრაცეფციასა და სექსუალური/რეპროდუქციული ჯანმრთელობის შენარჩუნების საშუალებებთან მიმართებით);
- ▶ არსებობდეს განათლების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა, ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა ეფექტიანად შესრულებისათვის.¹²⁹⁸

როგორც ზემოთ განისაზღვრა, 11§2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები არ მოქმედებს მშობლების უფლებაზე, ინფორმაცია და რჩევა მიაწოდონ შვილებს, ბუნებრივად იზრუნონ მათზე, როგორც მშობლებმა, ან ისინი წაიყვანონ თავიანთი რელიგიისა თუ ფილოსოფიური მრწამსის გზაზე (იხ. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, საქმე *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება).¹²⁹⁹

უქიმის კონსულტაცია და სკრინინგი

სამედიცინო კონსულტაციები და სკრინინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასოდ და რეგულარულად უნდა უტარდებოდეთ ბავშვებსა და ორსულ ქალებს.¹³⁰⁰

სამედიცინო გამოკვლევები მთელ სწავლის პერიოდში უნდა ჩატარდეს უფასოდ. შესაბამისობის შეფასებისას გათვალისწინებულია სკოლაში სამედიცინო შემოწმებათა სიხშირე, მათი მიზნები, შესაბამის მოსწავლეთა წილი და პერსონალის დონე.¹³⁰¹

სასურველია, სკრინინგი ჩატარდეს სისტემატურად, ყველა იმ დაავადებასთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება გახდეს სიკვდილის მთავარი მიზეზი.¹³⁰² სადაც სკრინინგი ეფექტიანი

¹²⁹⁶ დასკვნები 2007, ალბანეთი

¹²⁹⁷ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 30 მარტი, §46

¹²⁹⁸ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 30 მარტი, §47

¹²⁹⁹ [International Centre for the Legal Protection of Human Rights \(INTERIGHTS\) v. Croatia](#), საჩივარი N 45/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 30 მარტი, §50

¹³⁰⁰ დასკვნები 2005, მოლდოვა

¹³⁰¹ დასკვნები XV-2 (2001), საფრანგეთი

¹³⁰² დასკვნები 2005, მოლდოვა

აღმოჩნდება, როგორც პრევენციული ზომა, ის სრულად უნდა გამოიყენებოდეს.¹³⁰³

11§3 **ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უშუალოდ, ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავს: შეძლებისდაგვარად ეპიდემიურ, ენდემურ და სხვა დაავადებათა, ისევე, როგორც უბედურ შემთხვევათა, აღკვეთას.**

უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი

მხარე სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი, კერძოდ: როდესაც, წინასწარი სამეცნიერო შეფასებით, გონივრული საფუძველი არსებობს შემოფოტებისთვის, რომ ადამიანის ჯანმრთელობას ექმნება პოტენციური საფრთხე, მხარე სახელმწიფომ ადეკვატური ზომები უნდა მიიღოს ამ რისკების ასაცილებლად.¹³⁰⁴

ასეთი ზომები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: ტესტირება და მიკვლევა, ფიზიკური დისტანცია და თვითიზოლაცია, შესაბამისი ნიღბებისა და სადეზინფექციო საშუალებების უზრუნველყოფა და კარანტინისა და „ჩაკეტვის“ დაწესება. ყველა ასეთი ზომა უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს თანამედროვე მეცნიერული ცოდნის გათვალისწინებით და ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტების დაცვით.¹³⁰⁵ აუცილებელი ზომები უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ჯანმრთელობის უფლების დაცვის ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია მე-11 მუხლით, არამედ ქარტიის სხვა ვალდებულებებსაც ჯანმრთელობასთან მიმართებით, მათ შორის, შემდეგი კუთხით: მუშაკთა უფლება უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებზე (მუხლი 3), სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13), ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაზე (მუხლი 23), ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება დაცვასა და ჯანდაცვაზე (მუხლი 7§9-10 და მუხლი 17§1).¹³⁰⁶

გარდა ამისა, ასეთი ზომები უნდა გატარდეს შეძლებისდაგვარად მალე, არსებული ფინანსური, ტექნიკური თუ ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენებით და ყველა შესაბამისი საშუალებით. პანდემიის დროს ეს საშუალებები უნდა იყოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო, საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის ჩათვლით.¹³⁰⁷ მხარე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი არჩევანის გავლენას დაუცველ ჯგუფებსა თუ სხვა შესაბამის პირებზე, განსაკუთრებით, მათ ოჯახებზე, რომლებსაც ყველაზე დიდი ტვირთი აწევბათ ინსტიტუციური ხარვეზების შემთხვევაში.¹³⁰⁸

დაბოლოს, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კონკრეტული, მიზანმიმართული ზომები იმ პირთა ჯანდაცვის უფლებით სარგებლობისათვის, რომელთაც თავიანთი საქმიანობა (ფორმალური თუ არაფორმალური) ინფიცირების განსაკუთრებული რისკის ქვეშ აყენებს.¹³⁰⁹

ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემო

ქარტიის შესაბამისად, დაბინძურების დაძლევა ის მიზანია, რომელიც ეტაპობრივად მიიღწევა. მიუხედავად ამისა, მხარე სახელმწიფოები უნდა ესწრაფვოდნენ ამ მიზნის მიღწევას გონივრულ ვადებში, გაზომვადი პროგრესითა და მათ ხელთ არსებული რესურსების

¹³⁰³ [დასკვნები XV-2 \(2001\), ბუღგია](#)

¹³⁰⁴ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი; იხ. ასევე [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. Greece](#), საჩივარი N 72/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 23 იანვარი, § 150-154

¹³⁰⁵ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹³⁰⁶ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹³⁰⁷ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

¹³⁰⁸ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი, რომელშიც ციტირებულია [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, § 53

¹³⁰⁹ [განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 21 აპრილი

მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით.¹³¹⁰ მხარე სახელმწიფოთა მიერ მიღებული ზომების შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობა, ევროკავშირისა და გაეროს წინამე აღებული ვალდებულებები¹³¹¹, მათი რეგულაციები და შესაბამისი კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება.

ჰაერის დაბინძურება

ამ კუთხით ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა მოითხოვს, რომ მხარე სახელმწიფოებმა:

- ▶ შეიმუშაონ და რეგულარულად განაახლონ საკმარისად ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და რეგულაციები;¹³¹²
- ▶ გადადგან კონკრეტული ნაბიჯები, როგორცაა აღჭურვილობის მოდიფიკაცია; ასევე, ზღვრული მნიშვნელობის შემოღება ემისიებისა და ჰაერის ხარისხის გასაზომად, რათა თავიდან აიცილონ ჰაერის დაბინძურება ადგილობრივ დონეზე¹³¹³ და ხელი შეუწყონ მის გლობალურ შემცირებას. გლობალური დაბინძურების შემთხვევაში, ემისიის კონტროლი შეფასდება იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც დასახულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC, 1992 წლის 9 მაისი) და UNFCCC-ის კიოტოს პროტოკოლის (1997 წლის 11 დეკემბერი) განსახორციელებლად;¹³¹⁴
- ▶ სათანადოდ გამოიყენონ გარემოსდაცვითი სტანდარტები და რეგულაციები ეფექტიანი და ქმედითი ზედამხედველობის მექანიზმის მეშვეობით, ისეთ ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც საკმარისად შემაკავებელია და პირდაპირ ზეგავლენას ახდენს დამაბინძურებელ ემისიათა დონეზე;¹³¹⁵
- ▶ შეაფასონ ჯანმრთელობისთვის შექმნილი რისკები, შესაბამისი ჯგუფების ეპიდემიოლოგიური მონიტორინგის მეშვეობით.¹³¹⁶

წყლის მართვა

11§3 მუხლის შესასრულებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პრევენციული და დამცავი ზომები წყალთან დაკავშირებით. ქარტიას არღვევს მდგომარეობა, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პრობლემად რჩება სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა.¹³¹⁷

ბირთვული საფრთხეები ატომური ელექტროსადგურების მახლობლად მცხოვრები თემებისთვის

დოზის ზღვრები უნდა შეესაბამებოდეს რადიაციული დაცვის საერთაშორისო კომისიის 1990 წლის რეკომენდაციებს. შეფასება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფუძნება ენერჯის წარმოება ატომურ ენერჯიას.¹³¹⁸

აზბესტთან დაკავშირებული რისკები

მე-11 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს ისეთი პოლიტიკის დანერგვას, რომელიც

¹³¹⁰ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §§ 203 და 205

¹³¹¹ [დასკვნები XV-2 \(2001\), იტალია](#)

¹³¹² [დასკვნები XV-2 \(2001\)](#), დანართი, სლოვაკეთის რესპუბლიკა

¹³¹³ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §203

¹³¹⁴ [დასკვნები XV-2 \(2001\), იტალია](#)

¹³¹⁵ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §§ 203, 209, 210 და 215

¹³¹⁶ [Marangopoulos Foundation for Human Rights \(MFHR\) v. Greece](#), საჩივარი N 30/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 6 დეკემბერი, §§ 203 და 220

¹³¹⁷ [დასკვნები 2013, საქართველო](#)

¹³¹⁸ [დასკვნები XV-2 \(2001\), საფრანგეთი; დასკვნები XV-2 \(2001\), დანია](#)

კრძალავს აზბესტისა და მისი შემცველი პროდუქტების გამოყენებას, წარმოებასა და გაყიდვას.¹³¹⁹ ასევე უნდა არსებობდეს კანონმდებლობა, რომელიც საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა მფლობელებს დაავალდებულებს აზბესტის მოძებნას და, საჭიროების შემთხვევაში, მოშორებას, საწარმოებს კი დააკისრებს ნარჩენების განთავსების ვალდებულებას.¹³²⁰

სურსათის უვნებლობა

მხარე სახელმწიფოებმა უნდა: დაადგინონ სურსათის ეროვნული ჰიგიენური ნორმები, რომლებსაც ექნება კანონიერი ძალა და რომლებიც გაითვალისწინებს სამეცნიერო მტკიცებულებებს; განსაზღვრონ და შეინარჩუნონ მექანიზმები, რომ მონიტორინგი გაუწიონ ამ ნორმებთან შესაბამისობას კვების მთელ ჯაჭვში; შეიმუშაონ, განახორციელონ და რეგულარულად განაახლონ სისტემატური პრევენციული ზომები, კერძოდ, ეტიკეტირების მეშვეობით; და გააკონტროლონ საკვებით გამოწვეული დაავადებების წარმოქმნა.¹³²¹

ხმაურით გამოწვეული დაბინძურება

ხმაურით გამოწვეულ დაბინძურებასთან დაკავშირებული პრევენციული და დამცავი ზომები ასევე აუცილებელია მე-11 მუხლის შესაბამისად.

საცხოვრებელი

მხარე სახელმწიფოებს, რომლებსაც არ მიუღიათ 31-ე მუხლი (უფლება საცხოვრებელ ადგილზე), საცხოვრებლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორმების აღსრულება მოეთხოვებათ მე-11 მუხლის შესაბამისად.¹³²²

თამბაქო, ალკოჰოლი და ნარკოტიკები

მოწვევის საწინააღმდეგო ზომები განსაკუთრებით აქტუალურია მე-11 მუხლთან შესაბამისობისათვის, რადგან მოწვევა განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილის ის მთავარი მიზეზია, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია. ჯანმრთელობის ევროპის ქვეყნებს დაუსახა მიზანი, რომ არამწვეველთა წილი მოსახლეობაში, სულ მცირე, 80%-მდე გაზარდონ და დაიცვან არამწვეველები თამბაქოს კვამლის უნებლიე ზემოქმედებისგან.¹³²³ შეფასება ითვალისწინებს ჯანმრთელობისა და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ინდიკატორებს.¹³²⁴

ეფექტიანობისთვის, ნებისმიერმა პრევენციულმა პოლიტიკამ უნდა შეზღუდოს თამბაქოს მიწოდება წარმოების, განაწილების, რეკლამისა და ფასების კონტროლით.¹³²⁵ კერძოდ, უნდა აიკრძალოს: თამბაქოს მიყიდვა ახალგაზრდებისთვის¹³²⁶, მოწვევა - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში¹³²⁷ (მათ შორის, ტრანსპორტში) და რეკლამა - პლაკატებზე და პრესაში.¹³²⁸ კომიტეტი ასეთი პოლიტიკის ეფექტიანობას შეაფასებს თამბაქოს მოხმარების სტატისტიკაზე დაყრდნობით.¹³²⁹

პრევენციულ ზომებთან დაკავშირებული ეს მიდგომა ვრცელდება ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის საწინააღმდეგო ზომებზეც, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.¹³³⁰

¹³¹⁹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), პორტუგალია](#)

¹³²⁰ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ლატვია](#)

¹³²¹ დასკვნები XV-2 (2001), დანართი, კვიპროსი

¹³²² [დასკვნები XVII-2 \(2005\), პორტუგალია](#)

¹³²³ [დასკვნები XV-2 \(2001\), საბერძნეთი](#)

¹³²⁴ [დასკვნები 2013, მალტა](#)

¹³²⁵ [დასკვნები XVII-2 \(2005\), მალტა](#)

¹³²⁶ [დასკვნები XV-2 \(2001\), პორტუგალია](#)

¹³²⁷ [დასკვნები 2013, ანდორა](#)

¹³²⁸ [დასკვნები XV-2 \(2001\), საბერძნეთი](#)

¹³²⁹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), მალტა](#)

¹³³⁰ [დასკვნები XVII-2 \(2005\), მალტა](#)

იმუნიზაცია და ეპიდემიოლოგიური მონიტორინგი

მხარე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ იმუნიზაციის ფართოდ ხელმისაწვდომი პროგრამები და შეინარჩუნონ დაფარვის მაღალი დონე არა მხოლოდ დაავადებათა შესამცირებლად, არამედ ვირუსის რეზერვუარის გასანივრებად და მიაღწიონ ჯანმრთელობის მიერ დასახულ მიზნებს - რიგი ინფექციური დაავადებების აღმოფხვრას.¹³³¹

ქვეყნებმა უნდა აჩვენონ ინფექციურ დაავადებათა მართვის შესაძლებლობა - დაავადებაზე ინფორმირებისა და შეტყობინების ზომები, სპეციალური მკურნალობა შიდა დაავადებულთათვის და გადაუდებელი ზომები ეპიდემიების შემთხვევაში.¹³³²

უნდა წახალისდეს ვაქცინის კვლევა, რომელსაც შესაბამისად დააფინანსებენ და ეფექტიანი კოორდინაცია გაეწევა საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის.¹³³³

უბედური შემთხვევები

მხარე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები უბედური შემთხვევების ასარიდებლად (საგზაო შემთხვევები; ასევე, სახლში, სკოლაში, სამუშაო სივრცეში ან სამუშაოსგან თავისუფალ დროს მომხდარი და ცხოველებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები).¹³³⁴ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების ტენდენციები განიხილება სამსახურში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების თვალსაზრისით (მუხლი 3).

მუხლი 12 სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ყველა მუშაკს და მასზე დამოკიდებულ პირს აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

12§1 სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, შექმნან ან შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა.

განმარტებები

12§1 მუხლი უზრუნველყოფს დასაქმებულთა და მათზე დამოკიდებულ პირთა, მათ შორის, თვითდასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის უფლებას.¹³³⁵ მხარე სახელმწიფოებმა ეს უფლება უნდა უზრუნველყონ კანონით დადგენილი და პრაქტიკაში მოქმედი სოციალური უზრუნველყოფის სისტემით.¹³³⁶

რთულია სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა შედავათების, კერძოდ, სოციალური დახმარების გამიჯვნა. მე-12 და, შესაბამისად, მე-13 მუხლის მიხედვით, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების გამიჯვნისას კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტული შედავათის მიზანსა და პირობებზე: სოციალური უზრუნველყოფის შედავათები ეძლევათ რისკების წარმოშობის შემთხვევაში, მაგრამ არ არის გამიზნული პოტენციური საჭიროების კომპენსაციისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რისკის შედეგად.¹³³⁷

სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს როგორც უნივერსალურ, ისე პროფესიულ სქემებს, აერთიანებს გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ შემწეობებს, შენატანით,

¹³³¹ დასკვნები XV-2 (2001), ბელგია

¹³³² დასკვნები XVII-2 (2005), ლატვია

¹³³³ განცხადება პანდემიისას ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ, 2020 წლის 21 აპრილი

¹³³⁴ დასკვნები 2005, მოლოდოვა

¹³³⁵ დასკვნები XIV-1 (1998), ირლანდია

¹³³⁶ დასკვნები 2017, ბოსნია და ჰერცეგოვინა

¹³³⁷ განცხადება მე-12 და მე-13 მუხლების განმარტების შესახებ, დასკვნები XIII-4

შენატანის გარეშე და კომბინირებული სახით.¹³³⁸

მატერიალური და პირადი მოქმედების სფერო

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა 12§1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ექცევა, თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:¹³³⁹

- ▶ **რისკების რაოდენობა:** 12§1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა უნდა ფარავდეს ტრადიციულ რისკებს და, შესაბამისად, უზრუნველყოფდეს შემდეგ შეღავათებს: სამედიცინო მომსახურება, ავადმყოფობის შემწეობა, უმუშევრობის შემწეობა, ხანდაზმულთა შემწეობა, შემწეობა სამუშაო სივრცეში მიღებული დაზიანების შემთხვევაში, საოჯახო დახმარება და დეკრეტული დახმარება.¹³⁴⁰
- ▶ **პირადი მოქმედების სფერო:** სოციალური უზრუნველყოფის სისტემამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი პროცენტი უნდა მოიცვას ჯანმრთელობის დაზღვევისა და ოჯახური შეღავათების კუთხით.¹³⁴¹ ჯანმრთელობის დაზღვევა უნდა სცდებოდეს შრომითი ურთიერთობის ფარგლებს.¹³⁴² სისტემამ უნდა დაფაროს აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოსავლის შემცველ შეღავათებთან მიმართებით, როგორცაა ავადმყოფობის შემწეობა, დეკრეტული დახმარება და უმუშევრობის შემწეობა, პენსია, შემწეობა სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა ან პროფესიული დაავადებებისთვის.¹³⁴³
- ▶ **დაფინანსება:** სოციალური უზრუნველყოფის სისტემა უნდა ფინანსდებოდეს კოლექტიურად, ანუ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შენატანებით, ან/და სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუ სისტემა ფინანსდება გადასახადებით, დაცულ პირთა დაფარვა უნდა ეფუძნებოდეს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს და არ აზიანებდეს დასაშვებობის პირობებს (საჭიროებათა შეფასების ტესტს და ა.შ.).¹³⁴⁴

კოლექტიური დაფინანსების პრინციპი [ანუ დაფინანსება დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შენატანებით ან/და სახელმწიფო ბიუჯეტიდან]¹³⁴⁵ მე-12 მუხლით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფუნდამენტური მახასიათებელია, რადგან, მისი მეშვეობით, რისკის ტვირთი სამართლიანი და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი გზით ნაწილდება საზოგადოების წევრებს შორის, რაც ხელს უწყობს მოწყვლადი კატეგორიის დასაქმებულთა დაცვას დისკრიმინაციისგან.¹³⁴⁶

სოციალური უზრუნველყოფის შეღავათების შესაბამისობა

სოციალური უზრუნველყოფის სისტემით გარანტირებული უნდა იყოს სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი უფლება შეღავათებთან მიმართებით, რომლებიც განსაზღვრულია ამ სისტემის თითოეული დარგის ფარგლებში.¹³⁴⁷

12§1 მუხლის შესაბამისად, როდესაც შეღავათი შემოსავლის შემცველი სარგებელია, მისი დონე უნდა იყოს გონივრულად თანაზომიერი წინა შემოსავალთან მიმართებით და არ დაეცეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რომელიც განისაზღვრება მედიანური ეკვივალირებული

¹³³⁸ [დასკვნები 2017, საქართველო](#)

¹³³⁹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება მე-12 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹³⁴⁰ [დასკვნები 2006, ბუღარეთი](#)

¹³⁴¹ [დასკვნები 2017, საქართველო](#)

¹³⁴² [დასკვნები 2017, საქართველო](#)

¹³⁴³ [დასკვნები 2017, თურქეთი](#)

¹³⁴⁴ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §58, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ნიდერლანდები](#), 12§1 მუხლი

¹³⁴⁵ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §58, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ნიდერლანდები](#), 12§1 მუხლი

¹³⁴⁶ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ნიდერლანდები](#)

¹³⁴⁷ [დასკვნები XIII-4 \(1996\), განცხადება მე-12 მუხლის განმარტების შესახებ](#)

შემოსავლის 50%-ის სახით.¹³⁴⁸ კომიტეტი ამ ინდიკატორს ითვლის ევროსტატის სიღარიბის რისკის ზღვრული მნიშვნელობის საფუძველზე.¹³⁴⁹ თუ შემოსავლის შემცველი შეღავათი მედიანური ეკვივალენტული შემოსავლის 40%-50%-ია, საჭიროების შემთხვევაში, განიხილება სხვა შეღავათები.¹³⁵⁰ თუ შემოსავლის შემცველი შეღავათის მინიმალური დონე მედიანური ეკვივალენტული შემოსავლის (ან სიღარიბის ზღვრული მნიშვნელობის) 40%-ზე ნაკლებია, მისი სხვა შეღავათებთან გაერთიანებით მდგომარეობა ვერ განდება ქარტიის შესაბამისი.¹³⁵¹

12§1 მუხლთან შესაბამისობისათვის, უმუშევრობის შემწეობა უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს, კერძოდ:

- ▶ მისი გადახდის ხანგრძლივობა იყოს გონივრული.¹³⁵²
- ▶ არსებობდეს გონივრული საწყისი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უმუშევარს შეეძლება უარის თქმა წინაუნარებთან შეუსაბამოს ამ უშუალოდ მომზადების შეთავაზებაზე, უმუშევრობის შემწეობის დაკარგვის გარეშე. სხვაგვარად, ეს იქნებოდა დისკრიმინაცია E მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (ჯანმრთელობის მდგომარეობა).¹³⁵³

სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში დედობისა და ოჯახის სფეროთა არსებობა გათვალისწინებულია 12§1 მუხლის მიზნებისთვის, თუმცა ამ შეღავათების მოქმედების სფერო და დონე ფასდება მე-8¹³⁵⁴ და მე-16¹³⁵⁵ მუხლების შესაბამისად.¹³⁵⁶ ანალოგიურად, როდესაც აფასებს მხარე სახელმწიფოს შესაბამისობას 12§1 მუხლთან, კომიტეტი მიუთითებს 23-ე (ხანდაზმულთა შემწეობა) და 13§1 (სოციალური დახმარების შეღავათები) მუხლების შესაბამისად განხორციელებულ შეფასებაზე. მან დაადგინა, რომ 23-ე მუხლთან შეუსაბამობის დასკვნა, გამოტანილი ხანდაზმულთა პენსიის არაადეკვატური დონის გამო, მოხსენიებული იქნებოდა 12§1 მუხლის შესაბამისადაც, მაგრამ არ გამოიწვევდა შეუსაბამობას იმავე საფუძველით.¹³⁵⁷

12§2 სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც, სულ მცირე, თანაბარი უნდა იყოს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიცირებისათვის აუცილებელი დონისა.

12§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს ისეთი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შენარჩუნებას, რომელიც, სულ მცირე, შეესაბამება სოციალური უზრუნველყოფის ევროპული კოდექსის რატიფიკაციისთვის საჭირო მიზნებს. ეს კოდექსი მოითხოვს უფრო მეტი ნაწილის მიღებას, ვიდრე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N 102 კონვენცია; კერძოდ, ეს ეხება ექვს ნაწილს II-დან X-მდე. აქედან, ნაწილი II (სამედიცინო დახმარება) ითვლება ორ ნაწილად, ხოლო ნაწილი V (ხანდაზმულობა) – სამად.¹³⁵⁸ თითოეული დარგი ადგენს პირადი დაფარვისა და შეღავათების მინიმალურ დონეებს.¹³⁵⁹

თუ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსი, მაშინ დასკვნა ამ პუნქტის შესახებ ეყრდნობა მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებს, კოდექსის შესაბამისად (რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნება შრომის საერთაშორისო

¹³⁴⁸ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §63

¹³⁴⁹ [დასკვნები XXI-2 \(2017\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹³⁵⁰ [დასკვნები 2013, უნგრეთი](#)

¹³⁵¹ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §59-63

¹³⁵² [დასკვნები XVIII-1 \(2006\), მალტა](#)

¹³⁵³ [დასკვნები 2013, სლოვაკეთის რესპუბლიკა](#)

¹³⁵⁴ [დასკვნები XX-4 \(2015\), განცხადება 8§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹³⁵⁵ [დასკვნები \(1969\), განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹³⁵⁶ დასკვნები 2017, ზოგადი შესავალი

¹³⁵⁷ დასკვნები 2017, ზოგადი შესავალი

¹³⁵⁸ [დასკვნები 2013, სერბეთი](#)

¹³⁵⁹ [დასკვნები 2013, სერბეთი](#)

ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის, ასევე, ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის სამთავრობო კომიტეტის შეფასებებს).¹³⁶⁰ ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსთან შეუსაბამობა გამოიწვევს შეუსაბამობას ქარტიის 12§2 მუხლთან, თუ სახელმწიფო ვერ დააკმაყოფილებს რატიფიკაციისთვის საჭირო ნაწილების მინიმუმს.¹³⁶¹

თუ სახელმწიფოს არ აქვს რატიფიცირებული ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსი, კომიტეტი შეაფასებს ქვეყნის სოციალური უზრუნველყოფის სისტემას და გადაწყვეტს, შეესაბამება თუ არა ის 12§2 მუხლს.¹³⁶² იმისათვის, რომ შეფასდეს, შეესაბამება თუ არა სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, სულ მცირე, კოდექსის რატიფიცირებისთვის საჭირო დონეს, კომიტეტს დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა წარედგინოს სისტემით დაფარულ სფეროებზე, პირადი მოქმედების სფეროსა და შეთავაზებულ შეღავათების დონეზე.¹³⁶³ შეფასების შედეგები ასევე გასათვალისწინებელია 12§1 მუხლის ფარგლებში.¹³⁶⁴

12§3 სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ეცადონ ეტაპობრივად მაღალ დონეზე აიყვანონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა.

12§3 მუხლი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებას. პროგრესის მდგომარეობა შეიძლება შეესაბამებოდეს 12§3 მუხლს, მაშინაც კი, თუ 12§1 და 12§2 მუხლების მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული, ან ეს დებულებები არ მიუღია შესაბამის სახელმწიფოს.¹³⁶⁵

სქემების გაფართოება, ახალი რისკებისგან დაცვა ან შეღავათების დონის გაზრდა გაუმჯობესების მაგალითებია.¹³⁶⁶

სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში ნაწილობრივ შემზღუდველი განვითარება (რომელიც ასევე შეიძლება შეფასდეს სოციალური უზრუნველყოფის უფლებათა „შემზღუდავად“ ან „ლიმიტირებად“), ავტომატურად არ არღვევს 12§3 მუხლს.¹³⁶⁷ ეს საკითხი უნდა შეფასდეს შესწორებული ქარტიის G მუხლის შესაბამისად.¹³⁶⁸ მდგომარეობის შეფასება ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს:

- ▶ ცვლილების ბუნება (გამოყენების სფერო, შეღავათების მინიჭების პირობები, შემწეობების ოდენობები და ა.შ.);¹³⁶⁹
- ▶ ცვლილებების (მისაღწევი მიზნების) მიზნუბები და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო, რომელშიც ისინი წარმოიშობა;¹³⁷⁰
- ▶ წარმოდგენილ ცვლილებათა მასშტაბი (შესაბამის პირთა კატეგორიები და რაოდენობა, შემწეობების დონეები ცვლილებამდე და მის შემდეგ);¹³⁷¹
- ▶ რეფორმის აუცილებლობა;¹³⁷²
- ▶ სოციალური დახმარების ზომები მათთვის, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა

¹³⁶⁰ [დასკვნები 2006, იტალია](#)

¹³⁶¹ [დასკვნები 2006, იტალია](#)

¹³⁶² [დასკვნები XIV-1 \(1998\), ფინეთი](#)

¹³⁶³ [დასკვნები 2013, სერბეთი](#)

¹³⁶⁴ იხ. მაგ: [დასკვნები 2017, ანდორა](#)

¹³⁶⁵ [დასკვნები 2009, განცხადება 12§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹³⁶⁶ [დასკვნები 2013, საქართველო](#)

¹³⁶⁷ იხ. მაგ: [Federation of employed pensioners of Greece \(\(IKA –ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012 გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §70

¹³⁶⁸ იხ. მაგ: [Federation of employed pensioners of Greece \(\(IKA –ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §72

¹³⁶⁹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§1, 12§2, 12§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹³⁷⁰ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§1, 12§2, 12§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹³⁷¹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§1, 12§2, 12§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹³⁷² [Panhellenic Federation of pensioners of the public electricity corporation \(POS-DEI\) v. Greece](#), საჩივარი N 79/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §67, რომელშიც ციტირებულია დასკვნების ზოგადი შესავალი XIV-1, გვ. 11

განხორციელებული ცვლილებების შედეგად (ამ ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია მე-13 მუხლის შესაბამისად);¹³⁷³

▶ ასეთი ცვლილებებით მიღებული შედეგები.¹³⁷⁴

მაშინაც კი, თუ კონკრეტული შემზღვევლი ზომები, როგორც ასეთი, შეესაბამება ქარტიას, მათი კუმულაციური ეფექტი შეიძლება არღვევდეს ქარტიის 12§3 მუხლს.¹³⁷⁵

საჯარო ფინანსების კონსოლიდაციისთვის მიღებული ზომები შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ საშუალებად, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შენარჩუნებისა და მდგრადობისათვის. ეკონომიკასა და სოციალურ უფლებებს შორის მჭიდრო ურთიერთობის გათვალისწინებით, ეკონომიკური მიზნების მიღწევა არ ეწინააღმდეგება მე-12 მუხლს.¹³⁷⁶

თუმცა, კონსოლიდაციის არცერთმა ასეთმა ზომამ არ უნდა შეარყიოს სოციალური უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ძირითადი ჩარჩო და არ უნდა წაართვას ადამიანებს დაცვით სარგებლობის შესაძლებლობა, რომელსაც სისტემა სთავაზობს სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური რისკების წინააღმდეგ.¹³⁷⁷ ამიტომ, ნებისმიერი ცვლილება ამ კუთხით უნდა ინარჩუნებდეს საკმარისად ვრცელ სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფის სისტემას და არ გამორიცხავდეს ამ სისტემით შეთავაზებული სოციალური დაცვიდან მუშაკთა მთელ კატეგორიას.¹³⁷⁸ ცვლილებებმა არ უნდა აქციოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემა სოციალური დანმარების საბაზისო სისტემად.¹³⁷⁹ ფინანსური კონსოლიდაციის ზომები, რომლებიც არ შეესაბამება ამ შეზღუდვებს, რეტროგრესული ნაბიჯებია, რომლებიც ვერ ჩაითვლება 12§3 მუხლის შესაბამისად.¹³⁸⁰

12§4 სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ ზომები სათანადო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადებით ან სხვა საშუალებებით და ასეთ შეთანხმებებში გათვალისწინებული პირობების დაცვით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ:

- a. მათი მოქალაქეებისა და სხვა მხარეების მოქალაქეებისათვის ერთნაირი რეჟიმი სოციალური უზრუნველყოფის უფლებებთან მიმართებით, რაც მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე შეღავათების შენარჩუნებას, მიუხედავად მხარეებს შორის ტერიტორიებზე იმ პირთა ნებისმიერი გადაადგილებისა, რომლებიც სარგებლობენ შესაბამისი შეღავათებით.

დანართი: ფორმულირება „და ასეთ შეთანხმებებში გათვალისწინებული პირობების დაცვით“ მე-4 პუნქტის შესავალში შეიძლება გულისხმობს შემდეგსაც: ნებისმიერი იმ შეღავათის მინიჭებამდე, რომელიც ხელმისაწვდომია სადაზღვევო შენატანისგან დამოუკიდებლად,

¹³⁷³ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§1, 12§2, 12§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹³⁷⁴ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§1, 12§2, 12§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹³⁷⁵ [Federation of employed pensioners of Greece \(\(IKA –ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §§ 78-83

¹³⁷⁶ [Federation of employed pensioners of Greece \(\(IKA – ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §§ 71

¹³⁷⁷ [Federation of employed pensioners of Greece \(\(IKA – ETAM\) v. Greece](#), საჩივარი N 76/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 7 დეკემბერი, §§ 47

¹³⁷⁸ [General Federation of employees national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §47

¹³⁷⁹ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §85

¹³⁸⁰ [General Federation of employees national electric power corporation \(GENOP-DEI\) / Confederation of Greek Civil Servants Trade Unions \(ADEDY\) v. Greece](#), საჩივარი N 66/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 მაისი, §47. გაითვალისწინეთ, რომ გამოყენებული ენის მიუხედავად, კომიტეტი არ იყენებს რეტროგრესიის ანალიზს, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, გაეროს რამდენიმე სახელმძღვანელო ორგანო. პირიქით, კომიტეტი აფასებს ამგვარი შეზღუდვების შესაბამისობას ქარტიასთან, იმის გამოყენებით, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში მიჩნეულია „შეზღუდვების“ ანალიზად, თავდაპირველი ქარტიის 31-ე მუხლისა და შესწორებული ქარტიის „შეზღუდვების შესახებ“ G მუხლის თვალსაზრისით.

მხარეს შეუძლია, სხვა მხარეთა მოქალაქეებს მოსთხოვოს ბინადრობის დადგენილი ვადის ამოწურვა.¹³⁸¹

12§4 მუხლის პირადი მოქმედების სფერო

12§4 მუხლის პირადი მოქმედების სფეროს განსაზღვრისას მითითება კეთდება ქარტიის დანართის 1-ელ პუნქტზე: „12§4 მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, 1-დან 17-მდე მუხლებით გათვალისწინებულ პირებში შედიან უცხოელები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან სხვა მხარეთა მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე“. ქარტიის დანართიდან გამომდინარე, 12§4 მუხლი ვრცელდება სხვა მხარე სახელმწიფოთა იმ მოქალაქეებზეც, რომლებიც აღარ ცხოვრობენ შესაბამის ტერიტორიაზე, მაგრამ ადრე ცხოვრობდნენ ან მუშაობდნენ იქ და მიღებული აქვთ სოციალური უზრუნველყოფის უფლებები.

12§4 მუხლის მოქმედების სფერო ვრცელდება ლტოლვილებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც¹³⁸², ასევე, თვითდასაქმებულებზე.¹³⁸³

დაბოლოს, ნაცვალგების პრინციპი არ ვრცელდება 12§4 მუხლზე.¹³⁸⁴

12§4a მუხლის მატერიალური მოქმედების სფერო

იმისათვის, რომ სოციალური უზრუნველყოფის უფლება გარანტირებული იყოს სახელმწიფოთა შორის გადაადგილებული პირებისთვის, სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან შემდეგი პრინციპები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ყველა დარგთან მიმართებით:

თანასწორი მოპყრობის უფლება

12§4 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, თანასწორი მოპყრობის გარანტია მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობიდან ამოიღონ უცხოელთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმა სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეობის გამო.¹³⁸⁵

იგულისხმება როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი დისკრიმინაცია. არ შეიძლება, ეროვნული კანონმდებლობა სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებს უზრუნველყოფდეს მხოლოდ მოქალაქეებისთვის, ანდა დამატებით ან უფრო შემზღვეველ პირობებს უწესებდეს უცხოელებს.¹³⁸⁶ ასევე არ შეიძლება, ეროვნული კანონმდებლობა სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებისთვის ადგენდეს შესაბამისობის კრიტერიუმებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნების მითითების გარეშე გამოიყენება, უცხოელებისთვის უფრო რთული შესასრულებელია (მოქალაქეებთან შედარებით) და, შესაბამისად, მეტ გავლენას ახდენს მათზე.¹³⁸⁷ თუმცა, კანონმდებლობამ შეიძლება მოითხოვოს ბინადრობის ვადის ამოწურვა შენატანის გარეშე შეღავათების მისაღებად.¹³⁸⁸ ამ მიმართებით, მუხლი 12§4 მოითხოვს, რომ ნებისმიერი ასეთი პერიოდი იყოს გონივრული.¹³⁸⁹ ხუთწლიანი ვადა ძალიან ხანგრძლივად ჩაითვალება.¹³⁹⁰

რაც შეეხება ბავშვის შემწეობას: პირობა, რომ შესაბამისი ბავშვი ცხოვრობდეს გადამხდელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შეიძლება შეესაბამებოდეს 12§4 მუხლს.¹³⁹¹ კითხვა,

¹³⁸¹ ETS 35 – სოციალური ქარტია (დანართი), 18.X.1961

¹³⁸² [დასკვნები XIV-1 \(1998\), თურქეთი](#)

¹³⁸³ [დასკვნები XIV-1 \(1998\), თურქეთი](#)

¹³⁸⁴ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 12§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹³⁸⁵ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 12§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹³⁸⁶ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 12§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹³⁸⁷ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 12§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹³⁸⁸ [დასკვნები 2004, ლიეტუვა](#)

¹³⁸⁹ [დასკვნები 2004, ლიეტუვა](#)

¹³⁹⁰ [დასკვნები 2004, ლიეტუვა](#)

¹³⁹¹ [დასკვნები 2006, იტალია](#)

მოეთხოვება თუ არა ბავშვს ტერიტორიაზე ცხოვრება შემწეობის მისაღებად, განიხილება მხოლოდ 12§4 მუხლის და არა მე-16 მუხლის შესაბამისად.¹³⁹² სახელმწიფოები, რომლებიც იყენებენ „ბავშვის ბინადრობის მოთხოვნას“, 12§4 მუხლის ფარგლებში თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, ვალდებული არიან, გონივრულ ვადაში დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები სახელმწიფოებთან, რომლებიც იყენებენ უფლებათა მინიჭების განსხვავებულ პრინციპს.¹³⁹³

თანასწორი მოპყრობა არ ნიშნავს საოჯახო დახმარების ერთნაირი ოდენობით გადახდას, თუ ბავშვები, რომლებსაც ის ენიჭებათ, არ არიან იმავე ქვეყნის რეზიდენტები, რომლისაც მიმღები პირები. შეღავათის ოდენობა შეიძლება შემცირდეს, თუ ბავშვის ბინადრობის ქვეყანაში ცხოვრების ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია, თუმცა შემცირება უნდა შეესაბამებოდეს სხვაობას ამ ქვეყნებში ცხოვრების ღირებულებებს შორის.¹³⁹⁴

შეძენილ უფლებათა შენარჩუნების უფლება

შეღავათები შშმ პირთათვის, ხანდაზმულთა შემწეობა, მარჩენალდაკარგულთა შეღავათები და შემწეობა სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების ან პროფესიული დაავადებებისთვის, რომლებიც პირმა მიიღო ერთი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შენარჩუნდება ტერიტორიებს შორის მისი გადაადგილების მიუხედავად.¹³⁹⁵ უმუშევრობის შემწეობის განსაკუთრებული ბუნების გამო (ეს არის შრომის ბაზრის ტენდენციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი შეღავათი), 12§4 მუხლი არ მოითხოვს მის გატანას.¹³⁹⁶

შეღავათების ექსპორტისათვის, სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ ორმხრივი შეთანხმებები ან სხვა საშუალებები, როგორცაა ცალმხრივი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ზომები.¹³⁹⁷

- ბ. სოციალური უზრუნველყოფის უფლებათა მინიჭება, შენარჩუნება და აღდგენა ისეთი საშუალებებით, როგორცაა თითოეული ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად დაზღვევის პერიოდისა და დამთავრებული სამუშაო სტაჟის აკუმულირება.

12§4b მუხლის მატერიალური მოქმედების სფერო

შეძენილ უფლებათა შენარჩუნების უფლება

შეძენილი უფლებების თვალსაზრისით, არახელსაყრელ პირობებში არ უნდა აღმოჩნდეს პირი, რომელიც იცვლის დასაქმების ქვეყანას დაჯერ არ ამოსწურვია დასაქმების ან დაზღვევის პერიოდი, რომელიც აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობით გარკვეულ შეღავათებზე უფლების მისაღებად და მათი ოდენობის დასადგენად. შეძენილი უფლებების შენარჩუნება, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვს სხვა ტერიტორიაზე დასრულებული დასაქმებისა ან დაზღვევის პერიოდების დაგროვებას. გრძელვადიანი შეღავათების შემთხვევაში, უნდა გამოიყენებოდეს პროპორციული მიდგომა.¹³⁹⁸

შეძენილი უფლებების დასაცავად, სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ შემდეგი საშუალებები: მრავალმხრივი კონვენცია, ორმხრივი შეთანხმება, ან ცალმხრივი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ზომა.¹³⁹⁹ ვარაუდობენ, რომ სახელმწიფოებს, სადაც რატიფიცირებულია ევროპული კონვენცია სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, საკმარისი ძალისხმევა აქვთ გაღებული შეძენილი უფლებების დასაცავად.¹⁴⁰⁰

¹³⁹² [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§1 და მე-16 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹³⁹³ [დასკვნები 2006, იტალია](#)

¹³⁹⁴ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 მუხლის განმარტების შესახებ

¹³⁹⁵ [დასკვნები XVI-1\(2002\), ბელგია](#); იხ. ასევე [დასკვნები XIV-1 \(1998\), ფინეთი](#)

¹³⁹⁶ [დასკვნები XIV-1 \(1998\), ნორვეგია](#)

¹³⁹⁷ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 მუხლის განმარტების შესახებ

¹³⁹⁸ [დასკვნები 2009, ფინეთი](#)

¹³⁹⁹ [დასკვნები 2009, ფინეთი](#)

¹⁴⁰⁰ [დასკვნები 2006, იტალია](#)

მუხლი 13 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება

სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სახსრები.

13§1 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც არ გააჩნია ადეკვატური სახსრები და არ შეუძლია მათი მოპოვება საკუთარი ძალებით ან სხვა საშუალებებით, კერძოდ, სათანადო დახმარებით, ავადმყოფობის შემთხვევაში შესაბამისი მოვლით, სოციალური უზრუნველყოფის სფეროში გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებით.

სოციალური ქარტია არღვევს დახმარების ტრადიციულ ცნებას, რომელიც განპირობებულია ქველმოქმედების მორალური მოვალეობით: „მხარე სახელმწიფოები არა მხოლოდ უფლებამოსილი არიან, რომ თავიანთი შეხედულებისამებრ გაუწიონ დახმარება, არამედ ვალდებულიც, რომლის შესრულება შეიძლება სასამართლო წესით დაეკისროთ“.¹⁴⁰¹

ქარტია სოციალურ უზრუნველყოფას და სოციალურ დახმარებას ითვალისწინებს ორ დამოუკიდებელ მუხლში (12 და 13), განსხვავებული ვალდებულებებით.¹⁴⁰² ამიტომ, კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ეს დაყოფა. ქარტიის ფორმულირება არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მითითებას ამ ორი ცნებიდან რომელიმეს მოქმედების სფეროზე.¹⁴⁰³ ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა გადაწყდეს, კონკრეტული შეღავათი სოციალური უზრუნველყოფაა, თუ სოციალური დახმარება, არის შეღავათის მიზანი და მასთან დაკავშირებული პირობები.¹⁴⁰⁴

ამრიგად, კომიტეტი „სოციალურ დახმარებად“ განიხილავს შეღავათებს, რომელთა დაშვების მთავარი კრიტერიუმი ინდივიდუალური საჭიროება, ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე, რომ მიეკუთვნებოდეს კონკრეტული რისკის დასაფარად შექმნილ სოციალური უზრუნველყოფის სქემას, ან გათვალისწინებული იყოს პროფესიული საქმიანობა თუ შენატანების გადახდა.¹⁴⁰⁵ გარდა ამისა, როგორც 13§1 მუხლი მიუთითებს, დახმარება გაიცემა, თუ არანაირი სოციალური შეღავათი არ უზრუნველყოფს შესაბამის პირს საკმარისი რესურსებით ან სახსრებით, რომ დაფაროს თავისი მკურნალობისთვის საჭირო ხარჯები.¹⁴⁰⁶

ამიტომ, 13§1 მუხლი ითვალისწინებს უფლებას შეღავათებზე, რომელთა დასაშვებობის მთავარი კრიტერიუმი ინდივიდუალური საჭიროება და რომლებიც გაიცემა ნებისმიერ პირზე, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ სჭირდება.¹⁴⁰⁷

დახმარების მინიჭების პირობები

დახმარების სისტემა უნდა იყოს უნივერსალური და შეღავათები გაიცეს „ნებისმიერ პირზე“, მხოლოდ საჭიროების საფუძვლით.¹⁴⁰⁸ შეღავათების მისანიჭებლად შეიძლება დაწესდეს მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, იმ პირობით, რომ ამ ზღვარს ქვემოთ ახალგაზრდები მიიღებენ შესაბამის საარსებო მინიმალურ დახმარებას¹⁴⁰⁹, რომელიც არ შემოიფარგლება დამატებითი ან პირობითი დახმარებით.¹⁴¹⁰ პირობა, რომელიც შეეხება ქვეყანაში ან მისი ტერიტორიის ნაწილში ბინადრობის ხანგრძლივობას (განსხვავებით დარჩენას ან ყოფნასთან

¹⁴⁰¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁴⁰² დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 და მე-13 მუხლების განმარტების შესახებ

¹⁴⁰³ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 და მე-13 მუხლების განმარტების შესახებ

¹⁴⁰⁴ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 და მე-13 მუხლების განმარტების შესახებ

¹⁴⁰⁵ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 და მე-13 მუხლების განმარტების შესახებ

¹⁴⁰⁶ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-12 და მე-13 მუხლების განმარტების შესახებ

¹⁴⁰⁷ [დასკვნები 2013, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁴⁰⁸ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 48/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 18 თებერვალი, §38

¹⁴⁰⁹ [დასკვნები XV-1 \(2000\), საფრანგეთი](#)

¹⁴¹⁰ [დასკვნები 2009, საფრანგეთი](#)

დაკავშირებული პირობისგან), ან სერიოზული გადაცდომის¹⁴¹¹ გამო გათავისუფლებულ პირთა გამორიცხვას სოციალური დახმარებიდან, არ შეესაბამება 13§1 მუხლს.¹⁴¹²

დახმარების ვალდებულება ჩნდება როგორც კი პირს ამის საჭიროება უდგება, ანუ ვერ იღებს „შესაბამის რესურსებს“.¹⁴¹³ იგულისხმება რესურსები, რომლებიც საჭიროა ღირსეული ცხოვრებისა და ძირითადი საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილებისთვის.¹⁴¹⁴ საპირისპიროდ, შესაბამისი დახმარება ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას, რომ დააკმაყოფილოს მათი საბაზისო საჭიროებები (იხ. ქვემოთ). რესურსების დონე, რომლის ქვემოთაც პირს შეუძლია დახმარების მიღება, ფასდება სიღარიბის ზღვარზე დაყრდნობით, ქვემოთ განსაზღვრული გაგებით.

სოციალური დახმარების მიღების უფლება წარმოიშობა მაშინ, როდესაც პირს არ შეუძლია რესურსების მოპოვება „არც თავისი ძალისხმევით, არც სხვა წყაროებიდან -კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის სქემის შეღავათების სახით“.¹⁴¹⁵ სადაც ის ჩნდება როგორც „მორალური ღირებულება, სამართლებრივი განმარტების გარეშე“, ოჯახური სოლიდარობა არ განიხილება შემოსავლის „სხვა წყაროდ“ ურესურსო პირებისთვის, რადგან არ უზრუნველყოფს მკაფიო და ზუსტ საფუძველს საჭიროების მქონე პირთა სოციალური მხარდაჭერისთვის.¹⁴¹⁶

კავშირის დამყარება სოციალურ დახმარებასა და სამსახურის ძებნის ან პროფესიული მომზადების სურვილს შორის არ ეწინააღმდეგება ქარტიას, თუ ეს პირობები გონივრულია და შეესაბამება მიზანს - პიროვნების სირთულეების გრძელვადიან გადაწყვეტას. სოციალური დახმარების შემცირება ან შეჩერება შეიძლება შეესაბამებოდეს ქარტიას, თუ ეს არ ართმევს პირს საარსებო წყაროს (ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს, სულ მცირე, გადაუდებელი დახმარება).¹⁴¹⁷ გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს გადაწყვეტილების გასაჩივრება დახმარების შეჩერების ან შემცირების გამო (იხ. ქვემოთ).¹⁴¹⁸

დახმარების ფორმა

სოციალური დახმარება

13§1 მუხლში მითითებული არ არის, თუ რა ფორმა უნდა ჰქონდეს სოციალურ დახმარებას. ამიტომ ეს შეიძლება იყოს შეღავათი როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით. კომიტეტმა აღნიშნა, რომ „შემოსავლის გარანტია დადგენილია მხარე სახელმწიფოთა უმეტესობაში“,¹⁴¹⁹ მაგრამ ეს თეორიულად არ აქცევს შემოსავლის გარანტიის სისტემის დანერგვას 13§1 მუხლთან შესაბამისობის პირობად. თუმცა, სადაც მხარე სახელმწიფოებმა არ შემოიღეს ზოგადი შემოსავლის გარანტიის სისტემა, მდგომარეობა აღმოჩნდა 13§1m მუხლთან შეუსაბამო, იმ მოტივით, რომ მათი დახმარების სისტემა არ მოიცავდა მთელ მოსახლეობას.¹⁴²⁰

გარდა ამისა, მაშინაც კი, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლების ორგანოები არიან პასუხისმგებელნი სოციალური დახმარების მიწოდებაზე/გაცემაზე, ქარტიის მხარე სახელმწიფოები რჩებიან საბოლოო პასუხისმგებლებად ამ მოვალეობათა სწორად შესრულებაზე, თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.¹⁴²¹ ოფიციალური პოლიტიკის განხორციელების

¹⁴¹¹ [დასკვნები XIX-2 \(2009\), ლუქსემბურგი](#)

¹⁴¹² [დასკვნები XVI-1 \(2003\), ესპანეთი](#); იხ. ასევე [დასკვნები 2013, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁴¹³ [დასკვნები 2013, ბულგარეთი](#)

¹⁴¹⁴ [დასკვნები XIV-1 \(1998\), პორტუგალია](#)

¹⁴¹⁵ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §111

¹⁴¹⁶ [დასკვნები 2009, საფრანგეთი](#)

¹⁴¹⁷ დასკვნები XIV-1 (1998), განცხადება 3§1 მუხლის განმარტების შესახებ; [დასკვნები 2006](#); [2009 ესტონეთი](#)

¹⁴¹⁸ [დასკვნები 2006, ესტონეთი](#)

¹⁴¹⁹ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 13§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴²⁰ [დასკვნები 2006, მოლდოვა](#)

¹⁴²¹ [დასკვნები 2013, იტალია](#)

საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.¹⁴²² შესაბამისად, სადაც სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებები დეცენტრალიზებულია, ქარტიასთან შესაბამისობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ქარტიის ეფექტიანი განხორციელება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.¹⁴²³ ქარტია არ მოითხოვს დაცვის ერთსა და იმავე დონეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა ითხოვს გონივრულ ერთგვაროვან მოპყრობას.¹⁴²⁴ თავიანთი სტრატეგიული არჩევანისა და უპირატესობების მიუხედავად, ადგილობრივმა ერთეულებმა (რეგიონებმა, პროვინციებმა ან/და მუნიციპალიტეტებმა) მაინც უნდა შეასრულონ ქარტიის მე-13 მუხლი.¹⁴²⁵

ვინაიდან ხანდაზმულთა შემოსავლის გარანტიას კავშირი აქვს როგორც 13§1, ისე 23-ე მუხლთან, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც მიღებული აქვთ 23-მუხლი, ერთი ურესურსო ხანდაზმულისთვის გადახდილი არადაგროვებადი (შენატანის გარეშე) პენსიის დონე განიხილება ამავე მუხლის მიხედვით (ხანდაზმულთა უფლება სოციალურ დაცვაზე); თუ მხარე სახელმწიფოებს არ მიუღიათ 23-ე მუხლი, ეს საკითხი შეფასდება 13§1 მუხლის შესაბამისად.¹⁴²⁶

სამედიცინო დახმარება

ყველა ადამიანს, რომელსაც არ აქვს საკმარისი რესურსები, ავადმყოფობის შემთხვევაში უნდა შეეძლოს უფასო დახმარების მიღება, რომელიც აუცილებელია მის მდგომარეობისთვის.¹⁴²⁷ ამ კონტექსტში, სამედიცინო დახმარება მოიცავს უფასო ან სუბსიდირებულ ჯანდაცვას ან გადახდებს, რომლებიც პირებს საშუალებას აძლევს, გადაიხადონ თავიანთი მდგომარეობისთვის აუცილებელი ზრუნვის საფასური.¹⁴²⁸

კომიტეტს არ განუსაზღვრავს, რას მოიცავს ზრუნვა და შემოიფარგლება თუ არა ის მხოლოდ დაავადების მკურნალობით. მან განაცხადა, რომ „მის კომპეტენციაში არ შედის საჭირო ზრუნვის ბუნების ან მკურნალობის ადგილის განსაზღვრა“.¹⁴²⁹ თუმცა, კომიტეტს მიაჩნია, რომ სამედიცინო დახმარების უფლება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევებით.¹⁴³⁰ სისტემა, რომელიც ხარჯებს ფარავს შეზღუდული დროით, ან არ მოიცავს პირველად და სპეციალიზებულ ამბულატორიულ დახმარებას, რომელიც შეიძლება დასჭირდეს ურესურსო პირს, სათანადოდ არ ზრუნავს ღარიბ ან სოციალურად დაუცველ პირებზე, რომლებიც ავადდებიან.¹⁴³¹ გარდა ამისა, შესაბამისი დაავადების სიმძიმე არ შეიძლება იყოს სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმის მიზეზი.¹⁴³²

დახმარების დონე და ხანგრძლივობა

დახმარება უნდა იყოს „შესაბამისი“, ანუ იძლეოდეს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას და საკმარისად აკმაყოფილებდეს ადამიანის ძირითად საჭიროებებს.¹⁴³³ დახმარების დონის შესაფასებლად, გათვალისწინებულია საბაზისო შეღავათები, დამატებითი შეღავათები და სიღარიბის ზღვარი ქვეყანაში¹⁴³⁴ (რომელიც განისაზღვრება მედიანური ეკვივალირებული შემოსავლის 50%-ის სახით და გამოითვლება ევროსტატის სიღარიბის რისკის ზღვრულ

¹⁴²² [დასკვნები 2013, იტალია](#)

¹⁴²³ [დასკვნები 2013, იტალია](#)

¹⁴²⁴ [დასკვნები 2013, იტალია](#)

¹⁴²⁵ [დასკვნები 2013, იტალია](#)

¹⁴²⁶ [დასკვნები 2009, სომხეთი](#)

¹⁴²⁷ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 46/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 დეკემბერი, §44

¹⁴²⁸ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 46/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 დეკემბერი, §44

¹⁴²⁹ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴³⁰ [დასკვნები 2009, სომხეთი](#)

¹⁴³¹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 46/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 დეკემბერი, §44

¹⁴³² [დასკვნები XIII-4 \(1996\), საბერძნეთი](#)

¹⁴³³ [დასკვნები XIX-2 \(2009\), ლატვია](#)

¹⁴³⁴ [დასკვნები XIX-2 \(2009\), ლატვია](#)

მნიშვნელობაზე დაყრდნობით).¹⁴³⁵ ეკვივალირებულ განკარგვად შემოსავალს ევროსტატი ანგარიშობს ოჯახის შემოსავლის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება თითოეული წევრის მიერ ნებისმიერი წყაროდან მიღებული ფულადი შემოსავლების შეჯამებით (გადახდილი გადასახადებისა და სოციალური შენატანების გამოკლებით). ოჯახის ზომასა და შემადგენლობაში განსხვავებათა ასახვისთვის, ეს ჯამი იყოფა „ეკვივალენტურ ზრდასრულთა“ რაოდენობაზე, სტანდარტული სკალის გამოყენებით (ე.წ. OECD-ის მოდიფიცირებული სკალა). შედეგად, მიღებული ციფრი მიემართება ოჯახის თითოეულ წევრს (წყარო: ევროსტატი).¹⁴³⁶

ამ ინდიკატორის არარსებობის, გათვალისწინებულია სიღარიბის ეროვნული ზღვარი.¹⁴³⁷

დახმარება შესაბამისია, თუ მარტოხელა პირისთვის გადახდილი ყოველთვიური შემწეობა (ძირითადი ან/და დამატებითი) მკვეთრად არ ჩამოუვარდება სიღარიბის ზღვარს, ზემოაღნიშნული გაგებით.¹⁴³⁸

ამ შეფასებისას ასევე გათვალისწინებულია სამედიცინო დახმარების დონე.¹⁴³⁹

სოციალური დახმარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მანამ, სანამ არსებობს საჭიროება და, შესაბამისად, არ უნდა შეიზღუდოს დროში.¹⁴⁴⁰ ტრენინგში მონაწილეობის ან დასაქმების პირობით (იხ. ზემოთ) სოციალური დახმარების მიღების უფლება უნდა შეფასდეს მხოლოდ საჭიროების კრიტერიუმით, შესაბამისი რესურსების არსებობა კი ერთადერთი კრიტერიუმი უნდა იყოს დახმარების უარყოფის, შეჩერებისა ან შემცირებისათვის.¹⁴⁴¹

გასაჩივრების უფლებით გამყარებული ინდივიდუალური უფლება

დახმარების უფლება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციაზე. ის უნდა განისაზღვროს, როგორც ინდივიდუალური უფლება, რომელიც დადგენილია კანონით და გამყარებულია გასაჩივრების ეფექტიანი უფლებით.¹⁴⁴² კერძოდ, სოციალური დახმარების გარკვეული ფორმების განპირობება საბიუჯეტო რესურსებით შეუთავსებელია ქარტიასთან.¹⁴⁴³

კანონიერი უფლება

კანონმა უნდა დაადგინოს ობიექტური კრიტერიუმები და ჩამოაყალიბოს საკმარისად ზუსტად, რათა საჭიროების მდგომარეობის, ასევე, დახმარების აუცილებლობის შეფასება არ დარჩეს მთლიანად ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ხელში.¹⁴⁴⁴ კანონმა უნდა განსაზღვროს საჭიროების მდგომარეობის შესაფასებლად გასათვალისწინებელი ელემენტებიც და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს მისი შეფასების კრიტერიუმები; ასევე უნდა გაითვალისწინოს პროცედურა ადამიანის საკმარისი რესურსების დასადგენად, ამ რესურსებისა და საჭიროებების შესწავლის მეთოდთა ჩათვლით.¹⁴⁴⁵ თუ არ არსებობს ზუსტი საკანონმდებლო ზღვარი, რომლის ქვემოთაც ადამიანი ითვლება საჭიროების მქონედ, ან კრიტერიუმთა საერთო ბირთვი, რომელიც საფუძველად უდევს შეღავათების მინიჭებას, ერთჯერადი შემწეობა ვერ ჩაითვლება შემოსავლის საკმარის გარანტიად ურესურსო პირებისთვის.¹⁴⁴⁶

¹⁴³⁵ [დასკვნები XIX-2 \(2009\), ლატვია](#)

¹⁴³⁶ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §62

¹⁴³⁷ [დასკვნები 2009, სომხეთი](#)

¹⁴³⁸ [Finnish Society of Social Rights v. Finland](#), საჩივარი N 88/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 9 სექტემბერი, §113, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2004, ლიეტუვა](#)

¹⁴³⁹ [დასკვნები 2009, ლიეტუვა](#)

¹⁴⁴⁰ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 48/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 18 თებერვალი, §39

¹⁴⁴¹ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ესპანეთი](#)

¹⁴⁴² [დასკვნები I \(1969\), განცხადება 13§1 მუხლის განმარტების შესახებ](#); დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁴³ [დასკვნები XV-1 \(2000\), ესპანეთი](#)

¹⁴⁴⁴ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁴⁵ ასევე, იხ. დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁴⁶ [დასკვნები XIX-2 \(2009\), საბერძნეთი](#)

ეფექტიანი გასაჩივრება

13§1 მუხლით გათვალისწინებული უფლება სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, „რომლის შესრულება შეიძლება სასამართლო წესით დაეკისროთ“.¹⁴⁴⁷ აუცილებელი არ არის, ეს იყოს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაში არსებული სასამართლო, ანდა მართლმსაჯულებისორგანიზაციულიგაგებით.კომიტეტიგანსაკუთრებულყურადღებას უთმობს განმხილველი ორგანოს სასამართლო როლს, რომელსაც ასრულებს საკუთარ იურისდიქციაში არსებულ საქმეთა განხილვასა და სავალდებულო გადაწყვეტილებათა მიღებაში, კანონის საფუძველზე.¹⁴⁴⁸ ამრიგად, ეს შეიძლება იყოს ჩვეულებრივი სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოც, იმ პირობით, რომ სთავაზობს შემდეგ გარანტიებს:

- ▶ დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარტიებისგან. ორგანოს დამოუკიდებლობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულია მისი წევრების დანიშვნა, უფლებამოსილების ვადა და გარე ზეწოლის საწინააღმდეგო გარანტიები (თანამდებობიდან გადაყენებისა და გათავისუფლების მარეგულირებელი წესები, მითითებები, საჭირო კვალიფიკაცია და ა.შ.).¹⁴⁴⁹
- ▶ ყველა არასასურველი გადაწყვეტილება დახმარების მინიჭება-შენარჩუნების შესახებ ექვემდებარება გასაჩივრებას, დახმარების შეჩერებისა ან შემცირების გადაწყვეტილებათა ჩათვლით (მაგ: თუ დაინტერესებული პირი უარს იტყვის დასაქმების ან მომზადების შეთავაზებაზე).¹⁴⁵⁰
- ▶ განმხილველ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება, საქმე განიხილოს არსებითად და არა სამართლებრივი ნორმების დარღვევის მხრივ.¹⁴⁵¹

გასაჩივრების უფლების ეფექტიანად გამოყენებისათვის, მომჩივანს უნდა გაეწიოს იურიდიული დახმარება.¹⁴⁵²

პირადი მოქმედების სფერო

მხარე სახელმწიფოებში კანონიერად მცხოვრები ან რეგულარულად მომუშავე მოქალაქეები

ქარტიის დანართის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ სხვა მხარის ტერიტორიაზე და არ ფლობენ საკმარის რესურსებს, მოქალაქეთა თანასწორად უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი დახმარების ინდივიდუალური უფლებებით¹⁴⁵³, ნაცვალებების აუცილებლობის გარეშე.¹⁴⁵⁴ 1961 წლის ქარტიის დანართი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ ლტოლვილებს, რომლებიც განსაზღვრული არიან 1951 წლის 28 ივლისს ხელმოწერილი კონვენციით ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (ჟენევა) და კანონიერად იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე, მოეპყრონ შეძლებისდაგვარად ხელსაყრელად და, ნებისმიერ შემთხვევაში, არანაკლებ ხელსაყრელად, ვიდრე დადგენილია მხარე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციითა და ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით აღებული ვალდებულებებით, რომლებიც გამოიყენება ამ ლტოლვილთა მიმართ.¹⁴⁵⁵ ქარტია ამ მოთხოვნას ავრცელებს მოქალაქეობის არმქონე პირებზეც, მოქალაქეობის არმქონე პირების შესახებ კონვენციის ფარგლებში (ნიუ იორკი, 1954), ასევე დოკუმენტების არქონის გამო *დე ფაქტო* მოქალაქეობის არმქონე პირებზე.¹⁴⁵⁶

¹⁴⁴⁷ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

¹⁴⁴⁸ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

¹⁴⁴⁹ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ისლანდია](#)

¹⁴⁵⁰ [დასკვნები XVIII-I \(2006\), უნგრეთი; დასკვნები 2009, ანდორა](#)

¹⁴⁵¹ [დასკვნები XIII-4 \(1996\), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁴⁵² [დასკვნები XVI-1 \(2003\), ირლანდია](#)

¹⁴⁵³ [დასკვნები XIII-4 \(1996\), განცხადება 13² მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁴⁵⁴ [დასკვნები VII \(1981\), განცხადება 13§4 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁴⁵⁵ ევროპის 1961 წლის ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 35, §2

¹⁴⁵⁶ [დასკვნები 2013, სერბეთი](#)

თანასწორი მოპყრობა გარანტირებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც უცხოელი მიიღებს მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრების ან რეგულარულად მუშაობის ნებართვას. ქარტია არ არეგულირებს მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელთა მიღების პროცედურებს, „რეზიდენტის“ სტატუსის წესები კი რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. კერძოდ, ეს გამომდინარეობს ქარტიის დანართიდან 18§1 მუხლთან მიმართებით: „მიიჩნევა, რომ ეს დებულებები [18§1 მუხლი და I ნაწილის მე-18 პუნქტი] არ ეხება ტერიტორიაზე შესვლის საკითხს [სახელმწიფოებში, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ ქარტია] და ზიანს არ აყენებს 1955 წლის 13 დეკემბერს პარიზში ხელმოწერილ ადგილსამყოფლის შესახებ ევროპული კონვენციის დებულებებს“.¹⁴⁵⁷

შედეგად, თანასწორი მოპყრობით სარგებლობისთვის, რეზიდენტის სტატუსზე შეიძლება გავრცელდეს ბინადრობის ხანგრძლივობის ან ტერიტორიაზე ყოფნის მოთხოვნა, ყოველთვის იმ პირობით, რომ ეს არ იქნება აშკარად გადაჭარბებული.¹⁴⁵⁸

დახმარების მხრივ თანასწორი მოპყრობა გარანტირებული უნდა იყოს კანონმდებლობით. თუმცა, კომიტეტი ამ პირობას დაკმაყოფილებულად ცნობს, როდესაც თანასწორი მოპყრობა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული ცირკულარით.¹⁴⁵⁹

თანასწორი მოპყრობა ნიშნავს, რომ შეღავათების მიღება, მათ შორის, შემოსავლის გარანტიები, კანონით არ შემოიფარგლება მოქალაქეებით ან გარკვეული კატეგორიის უცხოელებით და პრაქტიკაში გამოყენებული შეღავათების მინიჭების კრიტერიუმები არ განსხვავდება ეროვნების მიხედვით.¹⁴⁶⁰ თანასწორი მოპყრობა ასევე გულისხმობს, რომ უცხოელებზე არ უნდა გავრცელდეს დამატებითი პირობები (როგორცაა ბინადრობის ხანგრძლივობა), ან მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც უფრო რთულია მათთვის.¹⁴⁶¹

რეპატრიაცია

მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ უცხოელთა რეპატრიაცია არ შეიძლება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ დახმარება ესაჭიროებათ.¹⁴⁶² სანამ ისინი კანონიერად ცხოვრებენ ან რეგულარულად მუშაობენ ამ ტერიტორიაზე, სარგებლობენ თანასწორი მოპყრობით.¹⁴⁶³ თუ ასეთი პირობები არიან შრომითი მიგრანტები, ისინი დაცულნი არიან 19§8 მუხლითაც, რომელიც ხელს უშლის გაძევებას იმ მიზეზით, რომ მათ დახმარება ესაჭიროებათ.¹⁴⁶⁴

ბინადრობის ან/და შრომის ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, მხარეებს არ აქვთ შემდგომი ვალდებულებები ქარტიით გათვალისწინებულ უცხოელთა მიმართ, თუნდაც იმყოფებოდნენ საჭიროების მდგომარეობაში.¹⁴⁶⁵ თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას აქვს ბინადრობის ნებართვის გაუქმების უფლება მხოლოდ იმ მოტივით, რომ შესაბამისი პირი არ ფლობს რესურსებს და ვერ უზრუნველყოფს თავისი ოჯახის საჭიროებებს.¹⁴⁶⁶

არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი უცხოელები

13§1 მუხლი ითვალისწინებს არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ უცხოელთა გადაუდებელი სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლებასაც, შეზღუდულად და გამონაკლისის

¹⁴⁵⁷ 1961 წლის ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 35, §2; 1996 წლის ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁴⁵⁸ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

¹⁴⁵⁹ [დასკვნები XIV-1 \(1998\), საბერძნეთი](#)

¹⁴⁶⁰ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ბელგია](#); [დასკვნები XVIII-1 \(2006\), გერმანია](#)

¹⁴⁶¹ *Médecins du Monde – International v. France*, საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §176; [დასკვნები XVIII-1 \(2006\), დანია](#)

¹⁴⁶² [დასკვნები 2017, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁴⁶³ [დასკვნები XIV-1 \(1998\), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁴⁶⁴ [დასკვნები XIV-1 \(1998\), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁴⁶⁵ [დასკვნები XXI-2 \(2017\), დანია](#)

¹⁴⁶⁶ [დასკვნები XIV-1 \(1998\), ნორვეგია](#); [დასკვნები XXI-2 \(2017\), დანია](#)

სახით.¹⁴⁶⁷ ეს არის იმავე ტიპის გადაუდებელი სოციალური და სამედიცინო დახმარება, რომელიც 13§4 მუხლით ვრცელდება არარეზიდენტ უცხოელებზე.¹⁴⁶⁸

13§2 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ ასეთი დახმარების მიმღები პირები ამ მიზეზით არ უნდა დაზარალებდნენ მათი პოლიტიკური და სოციალური უფლებების მეზღუდვით.

13§2 მუხლის შესაბამისად, დახმარების მიმღებ პირებს არ უნდა შეუმცირდეთ პოლიტიკური ან სოციალური უფლებები.

ნებისმიერი დისკრიმინაცია დახმარების მიმღები პირების მიმართ, რომელიც შეიძლება იყოს მკაფიოდ გამოხატული ღებულების პირდაპირი ან ირიბი¹⁴⁶⁹ შედეგი, უნდა აღმოიფხვრას.¹⁴⁷⁰

გარდა ამისა, ღებულებები, რომლებიც ხაზს უსვამს თანასწორობის პრინციპს და კრძალავს დისკრიმინაციას, პრაქტიკაში უნდა განიმარტოს ისე, რომ არ უშვებდეს ცხოვრების მატერიალური პირობების, სოციალური სტატუსის ან სხვა რომელიმე პირადი გარემოების (მაგ: ჯანმრთელობის მდგომარეობა) გამოყენებას სამოქალაქო თუ სოციალურ უფლებათა მეზღუდვის გასამართლებლად.¹⁴⁷¹

ზოგადად სოციალური მომსახურებების და, კერძოდ, დახმარების მიღების უფლების გავრცელება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ფლობენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ან კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ბინადრობის მოწმობას, შეიძლება შეუთავსებელი იყოს 13§2 მუხლთან, ვინაიდან პირებს, რომლებსაც არ აქვთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დასაფუძნებლად საჭირო რესურსები, შეიძლება ჩამოერთვათ დახმარება.¹⁴⁷²

შესაბამისი პოლიტიკური უფლებები სცდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრულ უფლებებს: 13§2 მუხლის მოქმედების სფერო უფრო ფართოა, რადგან კრძალავს დისკრიმინაციას (როგორც პირდაპირს, ისე ირიბს) ყველა სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებასთან მიმართებით, იმ უფლებათა ჩათვლით, რომლებიც არ არის გარანტირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.¹⁴⁷³

სოციალური ან სამედიცინო დახმარების ბენეფიციარები ეფექტიანად უნდა იყვნენ დაცულნი დისკრიმინაციული ზომებისგან, განსაკუთრებით, დასაქმებასა და საჯარო მომსახურებებზე წვდომის თვალსაზრისით.¹⁴⁷⁴

პოლიტიკური უფლებები, როგორცაა ხმის მიცემა, არსებითად შემოიფარგლება ქვეყნის მოქალაქეებით, იმიზეზით, რომ გულისხმობს როლს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში. შესაბამისად, „ამ საფუძვლით შესაძლო დისკრიმინაციის [ნებისმიერი] შეფასებისას, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია პოლიტიკური უფლებები, რომელთა მოთხოვნაც უცხოელებს შეუძლიათ მიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ გაგებით, რომ ბინადრობის გარკვეული ხანგრძლივობის მქონე უცხოელებს შეუძლიათ უფრო ფართო უფლებებით სარგებლობა“.¹⁴⁷⁵

13§3 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ თითოეული პირის მიერ შესაბამისი საჯარო და კერძო მომსახურების კონსულტაციებითა და დახმარებით

¹⁴⁶⁷ დასკვნები 2013, განცხადება 13§1 და 13§4 მუხლების განმარტების შესახებ

¹⁴⁶⁸ დასკვნები XXI-2 (2017), ესპანეთი

¹⁴⁶⁹ დასკვნები XVIII-1 (2006), ხორვატია

¹⁴⁷⁰ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 13§2 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁷¹ დასკვნები 2002, სლოვენია

¹⁴⁷² დასკვნები 2006, ბულგარეთი

¹⁴⁷³ დასკვნები XVIII-1 (2006), მალტა

¹⁴⁷⁴ დასკვნები XVI-2 (2004), უნგრეთი

¹⁴⁷⁵ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება 13§2 მუხლის განმარტების შესახებ

სარგებლობა, პირად ან ოჯახურ პრობლემათა აღმოფხვრის, თავიდან აცილების ან შემსუბუქების მიზნით.

13§3 მუხლი ეხება რჩევისა და პირადი დახმარების უფასო მომსახურებებს, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია შესაბამისი რესურსების გარეშე მყოფი, ან ასეთი რისკის წინაშე მდგომი პირებისთვის.¹⁴⁷⁶

14§1 მუხლი ეხება ზოგადად სოციალური დაცვის მომსახურებებს, ხოლო 13§3 მუხლი უფრო კონკრეტული დებულებაა.¹⁴⁷⁷ სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებულ მომსახურებათა საკოორდინაციო ღონისძიებები განიხილება ქარტიის 30-ე მუხლით, ხოლო სოციალურ საცხოვრისზე მიმართულ და უსახლკარობასთან ბრძოლის ზომებს ფარავს 31-ე მუხლი.¹⁴⁷⁸

პირადი მოქმედების სფერო

მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებიც რეგულარულად მუშაობენ ან კანონიერად ცხოვრობენ სხვა მხარის ტერიტორიაზე, უნდა ჰქონდეთ წვდომა სოციალური სამსახურების მიერ შემოთავაზებულ კონსულტაციასა და პირად დახმარებაზე, იმავე პირობებით, როგორც აქვთ მოქალაქეებს.¹⁴⁷⁹

შეღვათები და მომსახურებები

13§3 მუხლით გათვალისწინებული სოციალური მომსახურებები უნდა ასრულებდეს პრევენციულ, მხარდამჭერ და სამკურნალო როლს. ეს ნიშნავს რჩევის მიცემასა და დახმარებას, რათა შესაბამისი პირები სრულად იცნობდნენ თავიანთ სოციალურ და სამედიცინო დახმარების უფლებებს, ასევე, მათი გამოყენების შესაძლებლობებს.¹⁴⁸⁰

კერძოდ, სოციალური უზრუნველყოფის სისტემამ უნდა მოიცვას კომპლექსური სტრატეგია სიღარიბის შესამცირებლად და ადამიანთა გასაძლიერებლად, რათა მათ, როგორც საზოგადოების სრულყოფილებიანმა წევრებმა, შეძლონ თავიანთი ადგილის დაბრუნება პირადი გარემოებების, სურვილებისა და შესაძლებლობებისთვის შესაფერისი საშუალებებით, რომლებიც მიღებულია მათ საზოგადოებაში.¹⁴⁸¹ უმეტეს შემთხვევაში, ნებისმიერ ასეთ სტრატეგიაში ძირითადი ელემენტია დასაქმების შესაძლებლობები, ასევე, პროფესიული მომზადება ან გადამზადება.¹⁴⁸²

13§3 მუხლი არ მოითხოვს მე-14 მუხლით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის სერვისებისგან განცალკევებულ სპეციალურ მომსახურებებს, ვიდრე შესაბამისი რესურსების არმქონე პირები იღებენ შეღვათებს და მათ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებებს.¹⁴⁸³

კრიტერიუმები თანაბარი და ეფექტიანი წვდომისთვის

ქარტიასთან შესაბამისობისთვის, სოციალური უზრუნველყოფის მთავარმა სამსახურებმა საკუთარ მომხმარებლებს თანაბარი და ეფექტიანი წვდომა უნდა მისცენ თავიანთი ფუნქციონირებისა და ორგანიზების გზებით. მათ შორისაა: გეოგრაფიული განაწილება; დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და მოვალეობები, მოხალისეთა ჩათვლით; ერთი მხრივ, ამ მომსახურებებისთვის გამოყოფილი დაფინანსებისა და მატერიალური თუ ადამიანური რესურსების შესაბამისობა და, მეორე მხრივ, მომხმარებელთა რაოდენობა.¹⁴⁸⁴

¹⁴⁷⁶ [დასკვნები 2013, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁴⁷⁷ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁷⁸ დასკვნები 2005, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁷⁹ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸⁰ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸¹ დასკვნები XIV-1 (1998), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸² დასკვნები XIV-1 (1998), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸³ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸⁴ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

იმისთვის, რომ დადგინდეს შესაბამის პირთა თანაბარი და ეფექტიანი წვდომა მომსახურებებზე, აგრეთვე, შეფასდეს მომსახურებათა ხარისხი, ან მომხმარებელთა უფლებებსა თუ მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, შეირჩა ისეთივე კრიტერიუმები, როგორც გამოიყენება ზოგადი სოციალური მომსახურებების შესაფასებლად (იხ. მუხლი 14). კერძოდ:

- ▶ სოციალურ მომსახურებებზე წვდომის მარეგულირებელი შესაფერისობის კრიტერიუმია პირადი შესაძლებლობებისა და საშუალებების არქონა პრობლემათა გადასაჭრელად;
- ▶ სოციალური სამსახურებიდან კონსულტაციისა და რჩევების მიღების ინდივიდუალური უფლება გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც კი შეიძლება დასჭირდეს;
- ▶ დაცული უნდა იყოს კლიენტის უფლებები: ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება კლიენტთან კონსულტაციით და არა მისი ნების საწინააღმდეგოდ; მათთვის, ვისაც სურს, უჩივლოს სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებს, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები; ასევე უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი ორგანოსთვის მიმართვის უფლება დისკრიმინაციისა და ადამიანის ღირსების შელახვის ბრალდებათა შემთხვევაში.¹⁴⁸⁵

ქვეყნებში, სადაც ზოგადი სოციალური სამსახური პასუხისმგებელია 13§3 მუხლის გამოყენებაზე, მითითება კეთდება მდგომარეობის შეფასებაზე 14§1 მუხლის შესაბამისად.¹⁴⁸⁶ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსები 13§1 მუხლის შესაბამისად, ასეთი მომსახურება უნდა იყოს უფასო.¹⁴⁸⁷

13§4 სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ ევროპის 1953 წლის 11 დეკემბრის პარიზში ხელმოწერილი კონვენციის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, გამოიყენონ ამ მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებები სხვა მხარეთა იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე.

*დანართი: მთავრობებს, რომლებიც არ არიან სოციალური და სამედიცინო დახმარების ევროპული კონვენციის მხარეები, შეუძლიათ ქარტიის ამ პუნქტის რატიფიცირება, იმ პირობით, რომ სხვა მხარეთა მოქალაქეებს მოეპყრობიან აღნიშნული კონვენციის დებულებათა შესაბამისად.*¹⁴⁸⁸

13§4 მუხლი არარეზიდენტ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ანიჭებს გადაუდებელი სოციალური და სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას.

13§4 მუხლის პირადი მოქმედების სფერო

ეს სფერო განსხვავდება ქარტიის სხვა დებულებების პირადი მოქმედების სფეროებისგან. ფაქტობრივად, დანართის 1§1 პუნქტი, რომელიც ეხება მის პირად სფეროს, აცხადებს, რომ მუხლები 1-17 და 20-31 ვრცელდება უცხოელებზე „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არიან სხვა მხარეთა მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე“, მაგრამ ამატებს, რომ ეს წესი „ზიანს არ აყენებს 12§4 და 13§4 მუხლებს“. ამრიგად, 13§4 მუხლი ეხება „სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე“. შესაბამისად, მისი ბენეფიციარები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან კონკრეტულ ქვეყანაში, მაგრამ არ აქვთ რეზიდენტის სტატუსი.¹⁴⁸⁹

განმარტების თანახმად, გადაუდებელი დახმარების მიღების უფლებაზე არ შეიძლება

¹⁴⁸⁵ დასკვნები 2005, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸⁶ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ისლანდია](#)

¹⁴⁸⁷ დასკვნები 2005, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁸⁸ 1961 წლის ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 35; 1996 წლის ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁴⁸⁹ დასკვნები XIV-1 (1998), განცხადება 13§4 მუხლის განმარტების შესახებ

გავრცელდეს პირობა ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ.¹⁴⁹⁰

გადაუდებელი დახმარების შინაარსი

მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, რომ არარეზიდენტ უცხოელებს (კანონიერად არიან წარმოდგენილი, თუ არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიან), გადაუდებელი სოციალური და სამედიცინო დახმარება (საცხოვრებელი, საკვები, სასწრაფო დახმარება და ტანსაცმელი) გაუწიონ გადაუდებელ და სერიოზულ საჭიროებათა დასაძლევად („გადაუდებლობისა“ და „სერიოზულობის“ კრიტერიუმთა ვიწროდ განმარტების გარეშე).¹⁴⁹¹ მხარე სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ გარანტირებული შემოსავლის უზრუნველყოფის მექანიზმთა გამოყენება თავიანთი სოციალური დაცვის სისტემათა შესაბამისად.¹⁴⁹²

უფასო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდება უნდა დარეგულირდეს ადამიანის ჯანმრთელობის კონკრეტული მდგომარეობით.¹⁴⁹³ ქვეყანაში არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ არასრულწლოვან მიგრანტებს უფლება აქვთ, მიიღონ სამედიცინო დახმარება, რომელიც სცდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ფარგლებს და მოიცავს პირველად, მეორეულ და ფსიქოლოგიურ დახმარებებს.¹⁴⁹⁴

გასაჩივრების უფლება

გადაუდებელი სოციალური დახმარება უნდა გამყარდეს დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლებით. უნდა არსებობდეს დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოში გასაჩივრების მოქმედი მექანიზმი, რათა სწორი ადმინისტრირება გაეწიოს საცხოვრებლის გამოყოფას. ეს უფლება პრაქტიკაშიც ეფექტიანი უნდა იყოს.¹⁴⁹⁵

რეპატრიაციის მარეგულირებელი პირობები – კავშირი 1953 წლის კონვენციასთან

13§4 მუხლის პირადი და მატერიალური მოქმედების სფერო განისაზღვრება დანართისა და 13§4 მუხლის ტექსტით. შესაბამისად, ამ მოქმედების სფეროზე გავლენას არ ახდენს მითითება 1953 წლის კონვენციაზე. 13§4 მუხლსა და 1953 წლის კონვენციას შორის ერთადერთი კავშირი ეხება პირობებს, რომლებშიც მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ რესურსების არმქონე არარეზიდენტ უცხოელთა რეპატრიაცია იმ საფუძვლით, რომ დახმარება ესაჭიროებათ. კერძოდ, ამ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შეეფერებოდეს ტრანსპორტირებას (1953 წლის კონვენციის 7.a.ii მუხლი). აღნიშნული ალტერნატივის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ძალიან ზომიერად და იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს წინააღმდეგობები ჰუმანიტარული საფუძვლით (1953 წლის კონვენციის 7.b მუხლი, იხ. აგრეთვე მუხლები 8-10).¹⁴⁹⁶

ზემოაღნიშნული რეპატრიაციის პირობები, რომლებიც დადგენილია სხვა მხარე სახელმწიფოთა საჭიროების მქონე არარეზიდენტი მოქალაქეებისთვის, გამოიყენება იმ მხარე სახელმწიფოების მიმართაც, რომლებსაც არ აქვთ რატიფიცირებული 1953 წლის კონვენცია.¹⁴⁹⁷

1953 წლის კონვენციის მე-7 მუხლში მითითებული სხვა პირობები არ გამოიყენება, რადგან დაუშვებელია მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგულარულად მომუშავე ან კანონიერად მცხოვრები სხვა მხარე სახელმწიფოს მოქალაქის რეპატრიაცია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ

¹⁴⁹⁰ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §171

¹⁴⁹¹ [დასკვნები XIV-1 \(1998\), ნიდერლანდები; Médecins du Monde – International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §178; [დასკვნები XX-2 \(2013\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

¹⁴⁹² დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁹³ [დასკვნები XX-2 \(2013\), ჩეხეთის რესპუბლიკა; დასკვნები 2013, შვედეთი; დასკვნები XIV-1 \(1998\), ისლანდია](#)

¹⁴⁹⁴ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §128

¹⁴⁹⁵ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §187

¹⁴⁹⁶ დასკვნები XIII-4 (1996), განცხადება მე-13 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁹⁷ დასკვნები XIV-1 (1998), განცხადება 13§4 მუხლის განმარტების შესახებ

დახმარება უსაჭიროება. სანამ კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ ამ ტერიტორიაზე, ისინი სარგებლობენ დანართით დადგენილი თანასწორი მოპყრობით. თუ ასეთი პირები არიან შრომითი მიგრანტები, ისინი დაცულნი არიან 1958 მუხლითაც, რომელიც არ იძლევა გაძევების უფლებას იმ მიზეზით, რომ მათ უსაჭიროებათ სოციალური დახმარება.¹⁴⁹⁸

მუხლი 14 სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებით სარგებლობის უფლება

ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლება

14§1 სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ ან უზრუნველყონ ისეთი მომსახურებების შექმნა, რომლებიც სოციალური საქმიანობის მეთოდების გამოყენებით ხელს შეუწყობენ როგორც ცალკეული პირების, ისე საზოგადოებაში ჯგუფების კეთილდღეობასა და განვითარებას და მათ შეგუებას სოციალურ გარემოსთან.

14§1 მუხლით გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლება მხარეებისგან მოითხოვს სოციალურ სამსახურთა ქსელის შექმნას, რომელიც ადამიანებს ეხმარება კეთილდღეობის მიღწევასა და შენარჩუნებაში, ასევე, სოციალური ადაპტაციის ნებისმიერი პრობლემის გადალახვაში.¹⁴⁹⁹

მე-14 მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალურ უფლებას, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრების ეფექტიან უფლებას.¹⁵⁰⁰

პირადი მოქმედების სფერო

14§1 მუხლით გარანტირებულია ზოგადი სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლება, რომელიც პოტენციურად უნდა გავრცელდეს მთელ მოსახლეობაზე.¹⁵⁰¹ ეს განასხვავებს მე-14 მუხლით გარანტირებულ უფლებას „ქარტიის სხვადასხვა მუხლისგან, რომლებიც მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა მიწოდებას ვიწროდ სპეციალიზებული მიზნებით“.¹⁵⁰²

სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებების მიწოდება ეხება ყველას, ვინც დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება: კერძოდ, მოწყვლად ჯგუფებსა და სოციალური პრობლემების მქონე პირებს.¹⁵⁰³ ამიტომ, ეს მომსახურებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობის ყველა კატეგორიისთვის, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეს ისინი.¹⁵⁰⁴ ასეთი მომსახურებები ხშირად უკავშირდება პირისპირ კონტაქტს და დამოკიდებულია მასზე. იქ, სადაც ციფრული უზრუნველყოფა სასურველი ან აუცილებელი ხდება მიმდინარე კონტექსტში, მხარე სახელმწიფოებმა სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა მომხმარებლებს ეფექტიანი წვდომა უნდა მისცენ საჭირო ტექნოლოგიებზე.¹⁵⁰⁵

კომიტეტმა გამოავლინა ჯგუფები, რომლებსაც შეიძლება განსაკუთრებულად დასჭირდეთ სოციალური მომსახურებები. ესენია: ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რთულ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები, ახალგაზრდა დამნაშავეები,

¹⁴⁹⁸ დასკვნები XIV-1 (1998), განცხადება 1354 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁴⁹⁹ [დასკვნები 2005, ბულოგარეთი](#)

¹⁵⁰⁰ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 75/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 18 მარტი, §108

¹⁵⁰¹ [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁰² [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁰³ [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁰⁴ [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁰⁵ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

უმცირესობები (მიგრანტები, ბოშები, ლტოლვილები და ა.შ.), უსახლკაროები, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირები, ძალადობის მსხვერპლი ქალები და ყოფილი პატიმრები.¹⁵⁰⁶ ეს სია ამომწურავი არ არის, რადგან სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებების უფლებახელმისაწვდომი უნდა იყოს თემის ყველა წევრისა და აჯგუფისთვის.¹⁵⁰⁷ დისკრიმინაციისა და ადამიანის ღირსების შელახვის გადაუდებელ შემთხვევებში უნდა არსებობდეს დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება.¹⁵⁰⁸

ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ და რეგულარულად მომუშავე უცხოელთა შესაბამისობის კრიტერიუმები სოციალური სამსახურებისგან დახმარების მისაღებად, არ უნდა იყოს ძალიან შემზღვეველი.¹⁵⁰⁹ ხუთწლიანი ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნა გადაჭარბებულია.¹⁵¹⁰

„დროებით რეზიდენტებს“, ანუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ და რეგულარულად მუშაობენ ქვეყანაში და არ არიან მუდმივი რეზიდენტები, ისეთივე წვდომა უნდა ჰქონდეთ სოციალურ მომსახურებებზე, როგორც მხარე სახელმწიფოს მოქალაქეებს.¹⁵¹¹

ქარტიის სხვა დებულებები ეხება სოციალურ მომსახურებებს (მუხლები 12 და 13; 13§3 მუხლის მოქმედების სფეროში შემავალ მომსახურებათა ჩათვლით), რომლებიც განსაზღვრულია „ვიწროდ სპეციალიზებული მიზნებით“. როდესაც მხარე სახელმწიფოს არ აქვს მიღებული ეს სხვადასხვა დებულება, სიტუაცია კონკრეტული სამიზნე ჯგუფების სოციალურ მომსახურებებთან მიმართებით განიხილება მე-14 მუხლის შესაბამისად.¹⁵¹²

მომსახურებათა ტიპები

სოციალურ მომსახურებებში შედის: კონსულტაცია, რჩევები, რეაბილიტაცია და სოციალურ მუშაკთა მხარდაჭერის სხვა ფორმები; სახლის საქმეში დახმარების მომსახურებები (დახმარება სახლის მართვაში, პირადი ჰიგიენა, სოციალური მხარდაჭერა, საკვების მიწოდება); რეზიდენტული ზრუნვა; და გადაუდებელი სოციალური ზრუნვა (თავშესაფრები).¹⁵¹³

საკითხები, როგორცაა ბავშვის მოვლა, ბავშვზე ზრუნვა, ოჯახში ძალადობა, საოჯახო მედიაცია, შვილად აყვანა, მინდობით აღზრდა და ბავშვთა სახლებში ზრუნვა, ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული და ხანდაზმულთა მომსახურებები, ძირითადად დაფარულია მუხლებით: 7§10, 16, 17, 23 და 27.¹⁵¹⁴ სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის საწინააღმდეგო ზომები განიხილება ქარტიის 30-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო სოციალური საცხოვრისის მომსახურებები და უსახლკარობასთან ბრძოლის ზომები განიხილება ქარტიის (შესწორებული) 31-ე მუხლით.¹⁵¹⁵

სოციალურ მომსახურებათა ხარისხი

14§1 მუხლის შესაბამისად, კომიტეტი განიხილავს წესებს, რომლებიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა უფლებით სარგებლობის პირობები (როგორც ეფექტიან და თანაბარ წვდომასთან დაკავშირებული საკითხი); სოციალური მომსახურებების ხარისხი და მათზე ზედამხედველობა; მოსარგებლეთა უფლებები და მათი მონაწილეობა სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა შექმნა-შენარჩუნებაში (მუხლი 14§2). პირებმა, რომლებიც განაცხადს აკეთებენ სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებზე, უნდა მიიღონ ყველა საჭირო რჩევა და კონსულტაცია,

¹⁵⁰⁶ [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁰⁷ [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁰⁸ [დასკვნები 2017, ავსტრია](#)

¹⁵⁰⁹ [დასკვნები 2017, აზერბაიჯანი](#)

¹⁵¹⁰ [დასკვნები 2017, აზერბაიჯანი](#)

¹⁵¹¹ [დასკვნები 2017, ბულგარეთი](#)

¹⁵¹² [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵¹³ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵¹⁴ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵¹⁵ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

რაც შესაძლებლობას მისცემს, ისარგებლონ ხელმისაწვდომი მომსახურებებით, მათი საჭიროებების შესაბამისად.¹⁵¹⁶

ეფექტიანი და თანაბარი წვდომა სოციალურ მომსახურებებზე გულისხმობს, რომ:

- ▶ სოციალური სამსახურებიდან კონსულტაციისა და რჩევების მიღების ინდივიდუალური უფლება გარანტირებული უნდა იყოს ყველასთვის. სხვა სახის მომსახურებებზე წვდომა შეიძლება ორგანიზებული იყოს შესაბამისობის კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც არ უნდა იყოს ძალიან შემზღვეველი და ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფდეს ზრუნვას გადაუდებელი აუცილებლობისას;¹⁵¹⁷
- ▶ სოციალურ მომსახურებებზე წვდომა გარანტირებული უნდა იყოს მათთვის, ვისაც არ აქვს შესაძლებლობები და საშუალებები მდგომარეობასთან გასამკლავებლად. სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების მიზანია კეთილდღეობა, თვითუზრუნველყოფის შესაძლებლობის მიცემა და შესაბამისი პირებისა თუ ჯგუფების ადაპტაცია სოციალურ გარემოსთან;¹⁵¹⁸
- ▶ დაცული უნდა იყოს მოსარგებლის უფლებები: ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღებოდეს კლიენტთან კონსულტაციით და არა მისი ნების საწინააღმდეგოდ; დისკრიმინაციისა და ადამიანის ღირსების შელახვის შემთხვევებში ხელმისაწვდომი იყოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები, გასაჩივრების სახით, ასევე დამოუკიდებელი ორგანოსთვის მიმართვის უფლება;¹⁵¹⁹
- ▶ სოციალური მომსახურებები შეიძლება გაეწიოს ფიქსირებული ან ცვლადი საფასურის სანაცვლოდ, თუმცა ის არ უნდა იყოს ისეთი მაღალი, რომ ხელი შეუშალოს ეფექტიან წვდომას სერვისზე. პირებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსები 13§1 მუხლის შესაბამისად, ასეთი მომსახურება უნდა გაეწიოთ უფასოდ;¹⁵²⁰
- ▶ ამ მომსახურებათა გეოგრაფიული განაწილება უნდა იყოს საკმარისად ფართო;¹⁵²¹
- ▶ ამ მომსახურებებზე მიმართვა არ უნდა არღვევდეს ადამიანთა უფლებას პირადი ცხოვრების საიდუმლოების, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვაზე.¹⁵²²

სოციალურ მომსახურებათა უფლება გარანტირებული უნდა იყოს როგორც კანონით, ისე პრაქტიკაში.¹⁵²³ სოციალური სამსახურების რესურსები უნდა შეესაბამებოდეს მათ პასუხისმგებლობებს და მომხმარებელთა ცვალებად საჭიროებებს.¹⁵²⁴ ეს გულისხმობს, რომ:

- ▶ პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და საკმარისი რაოდენობით წარმოდგენილი;
- ▶ გადაწყვეტილება მიიღებოდეს შეძლებისდაგვარად მომხმარებლებთან სიახლოვით;
- ▶ არსებობდეს მექანიზმები როგორც საჯარო, ისე კერძო მომსახურებათა შესაბამისობაზე ზედამხედველობისთვის.¹⁵²⁵

14§2 სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებული უნდა იყოს, ხელი შეუწყონ ცალკეული პირების და ნებაყოფლობით ან სხვა ორგანიზაციათა მონაწილეობას ასეთი მომსახურებების შექმნასა და შენარჩუნებაში.

14§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ დაეხმარონ ნებაყოფლობით საზოგადოებებს, რომლებიც ცდილობენ სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებათა

¹⁵¹⁶ [დასკვნები 2009, განცხადება 14§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵¹⁷ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵¹⁸ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵¹⁹ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵²⁰ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵²¹ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵²² [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵²³ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵²⁴ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

¹⁵²⁵ [დასკვნები 2005, ბულგარეთი](#)

შექმნას.¹⁵²⁶ ეს არ გულისხმობს ერთიან მოდელს - მხარე სახელმწიფოებმა შეიძლება სხვადასხვა გზით მიაღწიონ ამ მიზანს: მათ შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ისეთი სოციალური მომსახურებების შექმნას, რომლებსაც ერთობლივად მართავენ საჯარო ორგანოები, კერძო საწარმოები და ნებაყოფლობითი საზოგადოებები, ან გარკვეული სერვისების მიწოდება მთლიანად დაუტოვონ ნებაყოფლობით სექტორს. მე-2 პუნქტში მითითებული „ცალკეული პირები და ნებაყოფლობითი ან სხვა ორგანიზაციები“ მოიცავს ნებაყოფლობით სექტორს (არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა გაერთიანებებს), კერძო პირებსა და კერძო კომპანიებს.¹⁵²⁷

კომიტეტი განიხილავს ყველა სახის მხარდაჭერასა და ზრუნვას, რომლებიც მოხსენიებულია 14§1 მუხლში, ასევე, ფინანსურ დახმარებას ან საგადასახადო წახალისებას იმავე მიზნებით. მხარე სახელმწიფოებმა მომსახურებებზე წვდომა უნდა უზრუნველყონ ყველასთვის თანაბარი პირობებით და ისინი ეფექტიანი უნდა იყოს 14§1 მუხლში მოხსენიებულ კრიტერიუმთა შესაბამისად; კერძოდ, საჯარო და კერძო მომსახურებები სათანადოდ უნდა იყოს კოორდინირებული და მათი ეფექტიანობა არ უნდა შემცირდეს მიმწოდებელთა რაოდენობის გამო. საჭიროა პრევენციული და რეპარაციული ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნა მომსახურების ხარისხის გასაკონტროლებლად, ასევე, მომხმარებელთა უფლებების, ადამიანის ღირსებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად.¹⁵²⁸

14§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების წახალისებასაც, რომ თავიანთი როლი შეასრულონ მომსახურებათა შენარჩუნებაში. მაგალითად, მიიღონ ზომები სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგის გასაძლიერებლად სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში, რომლებიც გავლენას ახდენს სოციალურ მომსახურებებზე; მათ შორის, ხელი შეუწყონ მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფების წარმომადგენლობას იმ ორგანოებში, სადაც წარმოდგენილია სახელმწიფო ხელისუფლებაც, ასევე, მომხმარებელთა კონსულტაციებს საკითხებზე, რომლებიც შეეხება სხვადასხვა სოციალური სამსახურის ორგანიზებასა და მათ მიერ გაწეულ დახმარებას.¹⁵²⁹ უნდა შეიქმნას ავტორიზაციის ან აკრედიტაციის სისტემა და მონიტორინგი გაეწიოს ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული მომსახურების სტანდარტებს.¹⁵³⁰

მუხლი 15 მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

ასაკისა და მეზღუდული შესაძლებლობების ხასიათისა, წარმოშობის მიზეზის მიუხედავად, მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ,

1. მიიღონ აუცილებელი ზომები ზოგადი სქემების ფარგლებში, რათა უზრუნველყონ მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორიენტაცია და პროფესიული მომზადება, ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ არის, სპეციალიზებული საჯარო ან კერძო ორგანოების მეშვეობით;
2. ხელი შეუწყონ დასაქმებაზე მათ წვდომას ყველა ზომის საშუალებით, რომლებიც მიზნად ისახავს დამსაქმებელთა წახალისებას, დაიქირაონ და დასაქმებული ჰყავდეთ მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში და მიუსადაგონ სამუშაოს პირობები მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია უუნარობის გამო, ისეთი

¹⁵²⁶ დასკვნები 2005, განცხადება 14§2 მუხლის განმარტების შესახებ
¹⁵²⁷ დასკვნები 2015, თურქეთი
¹⁵²⁸ დასკვნები 2005, ბულგარეთი
¹⁵²⁹ დასკვნები 2005, ბულგარეთი
¹⁵³⁰ დასკვნები 2017, სომხეთი

სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით ან შექმნით, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შესაძლებლობების ხარისხთან. განსაზღვრულ შემთხვევებში, ასეთი ზომები შეიძლება მოითხოვდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და მხარდაჭერის სპეციალური სამსახურების გამოყენებას;

3. ხელი შეუწყონ მათ სრულ სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, იმ საშუალებებით, რომლებიც შეიცავს ტექნიკურ დახმარებას, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიკაციისა და გადაადგილების სფეროში არსებული ბარიერების აღმოფხვრას, ტრანსპორტითა და საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფას, კულტურული ღონისძიებებისა და დასვენების ხელმისაწვდომობას.

შეზღუდული შესაძლებლობის განმარტება

კომიტეტმა მანამდე ხაზი გაუსვა შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო განმარტებიდან სოციალურ განმარტებაზე გადასვლის მნიშვნელობას.¹⁵³¹ ერთ-ერთი ადრეული მაგალითი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაამტკიცა ფუნქციონირების, შესაძლებლობების შეზღუდვისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციაში (ICF 2001), რომელიც ფოკუსირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის, გარემოსა და პიროვნული ფაქტორების ურთიერთქმედებაზე.¹⁵³² გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (2006), კერძოდ, მისი 1-ლი მუხლი, მკაფიოს ადგენს ამ ტენდენციას, ხაზს უსვამს რა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის არიან ხანგრძლივი შეზღუდვის, მათ შორის, ფიზიკური, გონებრივი ან ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირები, რომელთა სრულ, ეფექტიან და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებაში შეიძლება ხელი შეუშალოს სხვადასხვა ბარიერმა. ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია ინკლუზიური განათლებიდან აპრიორი გამორიცხვა შეზღუდული შესაძლებლობის ტიპის მიხედვით.¹⁵³³ მართლაც, გაეროს ამავე კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას „შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე“, შეიძლება განიმარტოს უფრო ფართოდ: ეს ცნება მოიცავს როგორც მათ, ვისაც წარსულში ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა, მაგრამ კვლავაც განიცდის უარყოფით მოპყრობას, ასევე პირებს, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ ეს პრობლემა, თუმცა სხვები შეიძლება ექცეოდნენ ისე, თითქოს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობები (ე.წ. „შესაძლებლობების დამოკიდებულებითი შეზღუდვა“).¹⁵³⁴

მე-15 მუხლი ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირზე, შეზღუდვის ბუნებისა და წარმოშობის, ასევე, პირის ასაკის მიუხედავად.¹⁵³⁵ არა მხოლოდ კანონმდებლობაში, პრაქტიკაშიც თანასწორად უნდა ეპყრობოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც არიან ქარტილის სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეები და „კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.¹⁵³⁶

15§1 მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ აუცილებელი ზომები ზოგადი სქემების ფარგლებში, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორიენტაცია და პროფესიული მომზადება, ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ არის, სპეციალიზებული საჯარო ან კერძო ორგანოების მეშვეობით.

15§1 მუხლის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ბუნებისა და წარმოშობის მიზეზის მიუხედავად, აქვს პროფესიული ორიენტაციის, განათლებისა და მომზადების უფლება ზოგადი სქემების ფარგლებში, სადაც ეს შესაძლებელია; თუ შეუძლებელია, ეს უნდა მოხერხდეს

¹⁵³¹ დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵³² დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵³³ დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵³⁴ დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵³⁵ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §48

¹⁵³⁶ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ](#)

სპეციალიზებული, საჯარო თუ კერძო, ორგანოების მეშვეობით.¹⁵³⁷ როგორც ქარტიის მე-10 მუხლის, ისე მე-15 მუხლის თანახმად, პროფესიული მომზადება მოიცავს უმაღლესი განათლების ყველა ტიპს, საუნივერსიტეტო განათლების ჩათვლით.¹⁵³⁸ კომიტეტი განიხილავს 15§1 მუხლის საკითხებს, რადგან ისინი ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს (არა მხოლოდ ბავშვებს).¹⁵³⁹

სამართლებრივი ჩარჩო

ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა პირებისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი სამოქალაქო უფლებების ხელშეწყობასა და ძირითადი უფლებების გარანტირებაში.¹⁵⁴⁰ ამიტომ, 15§1 მუხლის შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს არადისკრიმინაციული კანონმდებლობა, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შშმ ბავშვების ჩასართავად ზოგად ან ძირითად საგანმანათლებლო სქემებში.¹⁵⁴¹ ასეთი კანონმდებლობა უნდა მოითხოვდეს, სულ მცირე, დამაჯერებელ დასაბუთებას სპეციალური ან სეგრეგირებული განათლების სისტემებისთვის და დაცვის ეფექტიან საშუალებას უზრუნველყოფდეს მათთვის, ვინც უსამართლოდ იქნება გაირიყება, განცალკევდება, ან სხვაგვარად მოაკლდება განათლების უფლება.¹⁵⁴² იგი შეიძლება მოიცავდეს ზოგად ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, კონკრეტულ კანონმდებლობას განათლების შესახებ, ან ორივეს კომბინაციას.¹⁵⁴³

ქარტიის 15§1 მუხლი მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს განათლების მიწოდებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, პროფესიულ ორიენტაციასა და მომზადებასთან ერთად, განათლების სისტემის ერთ ან მეორე ძირითად კომპონენტში (სხვა სიტყვებით, ზოგადსაგანმანათლებლო ან სპეციალურ სკოლებში).¹⁵⁴⁴ პრიორიტეტზე, რომელიც უნდა მიენიჭოს განათლების მიღებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელზეც პირდაპირ მიუთითებს აღნიშნული მუხლი, ვრცელდება პირობითობის დებულება. ჩვეულებრივი განმარტებით (ანუ კონტექსტისა და მიზნის გათვალისწინებით), ეს დებულება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მიუთითებს შემდეგ საკითხზე: იმისათვის, რომ უზრუნველყონ შშმ პირთა დამოუკიდებლობა, სოციალური ჩართულობა და საზოგადოებაში მონაწილეობა განათლების გზით, მათ უნდა გაითვალისწინონ შეზღუდვის ტიპი, სიმძიმის ხარისხი და სხვადასხვა ინდივიდუალური გარემოება, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.¹⁵⁴⁵ შესაბამისად, ქარტიის 15§1 მუხლი მხარე სახელმწიფოებს არ უტოვებს ფართო დისკრეციას სკოლის ტიპის არჩევისას, სადაც ხელი უნდა შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობას, ჩართულობასა და მონაწილეობას, რადგან ეს ცალსახად უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.¹⁵⁴⁶

მხარე სახელმწიფოებს ევალდებათ იმ ადამიანური რესურსით დახმარებაც, რომელიც აუცილებელია შესაბამის პირთა სკოლაში სწავლის პერიოდში.¹⁵⁴⁷ დისკრეციის ფარგლები ვრცელდება მხოლოდ იმ საშუალებებზე, რომლებსაც მხარე სახელმწიფოები ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნევენ ასეთი დახმარებისთვის, იმ კულტურული, პოლიტიკური

¹⁵³⁷ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵³⁸ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)

¹⁵³⁹ დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵⁴⁰ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §48

¹⁵⁴¹ [დასკვნები 2007, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁴² [დასკვნები 2007, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁴³ [დასკვნები 2007, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁴⁴ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §78

¹⁵⁴⁵ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §78

¹⁵⁴⁶ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §78

¹⁵⁴⁷ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §81

თუ ფინანსური გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც მოქმედებს მათი საგანმანათლებლო სისტემა.¹⁵⁴⁸ თუმცა, ეს იმ პირობით, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, გაკეთებული არჩევანი და მიღებული საშუალებები არ გამოიყენება ისე, რომ დადგინდეს უფლებამ დაკარგოს ეფექტიანობა და იქცეს პირწმინდად თეორიულ უფლებად.¹⁵⁴⁹ მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 15§1 მუხლს, თუ არ დგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლება ზოგად განათლებასა და მომზადებაზე ფაქტობრივად არის გარანტირებული.¹⁵⁵⁰

ზომები ინკლუზიის ხელშესაწყობად და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად

„ინტეგრაცია“ და „ინკლუზია“ ორი განსხვავებული ცნებაა: აუცილებელი არ არის, ინტეგრაციას მივყავდეთ ინკლუზიამდე.¹⁵⁵¹ ინტეგრაციის დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ მორგება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაზე, მაშინ, როცა ინკლუზია არის ბავშვის უფლება, მონაწილეობდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სკოლას კი ევალება მისი მიღება ბავშვის საუკეთესო ინტერესების, შესაძლებლობებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.¹⁵⁵²

კომიტეტმა აღნიშნა, რომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში N 4 (2016) ინკლუზიური განათლების უფლების შესახებ განაცხადა: „ინკლუზია მოიცავს სისტემური რეფორმის პროცესს, სადაც ერთიანდება შინაარსის, სწავლების, მეთოდების, მიდგომების, სტრუქტურებისა და სტრატეგიების ცვლილება და მოდიფიკაცია განათლებაში ბარიერების დასაძლევად, რათა ყველა ასაკის მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი და მონაწილეობითი სწავლის გამოცდილება, ასევე, გარემო, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მათ საჭიროებებსა და უპირატესობებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განთავსება ჩვეულებრივ კლასებში, თანმხლები სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, რომლებიც შეეხება ორგანიზებას, სასწავლო გეგმასა და სწავლების/სწავლის სტრატეგიებს, არ არის ინკლუზია. გარდა ამისა, ინტეგრაციით ავტომატურად არა არის გარანტირებული სეგრეგაციიდან ინკლუზიაზე გადასვლა“.¹⁵⁵³

ინკლუზიური განათლების უფლება დაცულია ქარტიით, რათა ბავშვს გარანტირებული ჰქონდეს ხარისხიან განათლებაზე წვდომა.¹⁵⁵⁴ ის ასევე ემსახურება ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ბავშვს იცავს გარიყულობისა და იზოლაციისგან.¹⁵⁵⁵ მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ, რომ ხელშესახებ პროგრესს აღწევენ ინკლუზიური და ადაპტირებული განათლების სისტემათა შექმნის მიმართულებით.¹⁵⁵⁶

ინკლუზიური განათლება გულისხმობს მხარდაჭერასა და გონივრულ მისადაგებას, რაზე დაყრდნობის უფლებაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სკოლებზე ეფექტიანი წვდომისთვის.¹⁵⁵⁷ ასეთი გონივრული მისადაგებები ეხება ინდივიდს და გვეხმარება ფაქტობრივ უთანასწორობათა გამოსწორებაში.¹⁵⁵⁸ შესაბამისი გონივრული მისადაგება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: კლასისა და ადგილმდებარეობის

¹⁵⁴⁸ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §81

¹⁵⁴⁹ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §81

¹⁵⁵⁰ [დასკვნები 2020, სერბეთი](#)

¹⁵⁵¹ დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵⁵² [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Belgium](#), საჩივარი N 109/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 16 ოქტომბერი, §66

¹⁵⁵³ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁵⁴ [International Federation for Human Rights \(FIDH\) and Inclusion Europe v. Belgium](#), საჩივარი N 141/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §181

¹⁵⁵⁵ [International Federation for Human Rights \(FIDH\) and Inclusion Europe v. Belgium](#), საჩივარი N 141/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §181

¹⁵⁵⁶ დასკვნები 2020, განცხადება 15§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵⁵⁷ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁵⁸ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

ადაპტაცია; სხვადასხვა ფორმის კომუნიკაციისა და სასწავლო მასალის უზრუნველყოფა; სწავლის ან შეფასებისას ადამიანური რესურსის ან დამხმარე ტექნოლოგიების უზრუნველყოფა; არამატერიალურ მისადაგება, როგორცაა მოსწავლისთვის მეტი დროის მიცემა, ფონური ხმაურის შემცირება, სენსორული დატვირთვისადმი მგრძობიანობის გათვალისწინება, შეფასების ალტერნატიულ მეთოდთა დანერგვა, ან სასწავლო გეგმის ელემენტის ალტერნატიული ელემენტით ჩანაცვლება.¹⁵⁵⁹ სკოლაში დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუტიზმით დაავადებული ბავშვებისა და მოზარდების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შესანარჩუნებლად.¹⁵⁶⁰

განათლება და მომზადება აუცილებელია შრომის ღია ბაზარზე ადგილის დასაკავებლად და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.¹⁵⁶¹ შშმ ახალგაზრდები, სამუშაო განათლების დაბალი დონით (მეორე ეტაპზე ქვემოთ), თავისთავად არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან შრომის ბაზარზე.¹⁵⁶² მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ინტეგრაციისათვის და შესაბამისი სწავლება მიაწოდონ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალურ სკოლებში.¹⁵⁶³ გარდა ამისა, მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ, რომ ხელშესახებ პროგრესს აღწევენ ინკლუზიური და ადაპტირებული განათლების სისტემათა შექმნაში.¹⁵⁶⁴

სპეციალიზებული დაწესებულებებმა შიდაორგანიზაციული ან/და სამუშაო მეთოდებით უნდა უზრუნველყონ ორიენტაციის, განათლებისა და პროფესიული მომზადების უპირატესობა სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებთან შედარებით, რომელთა შესრულებაც შეიძლება მოეთხოვებოდეთ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. ეს საჭიროა მაშინაც, როცა აღნიშნულ დაწესებულებებში კანონმდებლობა განათლების მიწოდებას ითვალისწინებს მხოლოდ დამხმარე ელემენტის სახით, სხვა რიგ საქმიანობებს შორის (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, სამედიცინო და პარასამედიცინო).¹⁵⁶⁵

განათლებაზე წვდომა

როდესაც კომიტეტი აფასებს შშმ ბავშვებისა და ზრდასრულების ეფექტიან და თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლებაში და პროფესიულ მომზადებაზე, ითვალისწინებს შემდეგ ძირითად ინდიკატორებს:

- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვების) საერთო რაოდენობა;¹⁵⁶⁶
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში, ასეთი სკოლების სპეციალურ განყოფილებებში (ან დამატებით აქტივობებში), სპეციალურ სკოლებსა და პროფესიულ დაწესებულებებში;¹⁵⁶⁷
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რაოდენობა და თანაფარდობა განათლების სისტემის მიღმა;¹⁵⁶⁸
- ▶ შრომის ბაზარზე შემსვლელ შშმ მოსწავლეთა პროცენტული წილი ზოგადი ან სპეციალური განათლების მიღების ან/და მომზადების შემდეგ;¹⁵⁶⁹
- ▶ დაწესებულებებში მცხოვრებ შშმ პირთა (ბავშვები და ზრდასრულები) რაოდენობა;¹⁵⁷⁰
- ▶ ნებისმიერი პრევენციული სამართალი და შესაბამის ორგანოებში შეტანილი

¹⁵⁵⁹ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁶⁰ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §85

¹⁵⁶¹ [დასკვნები XX-1 \(2012\), ავსტრია](#)

¹⁵⁶² [დასკვნები XX-1 \(2012\), ავსტრია](#)

¹⁵⁶³ [დასკვნები XX-1 \(2012\), ავსტრია](#)

¹⁵⁶⁴ [დასკვნები XX-1 \(2012\), ავსტრია](#)

¹⁵⁶⁵ [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §111, §116

¹⁵⁶⁶ [დასკვნები 2012, რუსეთის ფედერაცია](#)

¹⁵⁶⁷ [დასკვნები 2020, ანდორა](#); [დასკვნები 2012, რუსეთის ფედერაცია](#)

¹⁵⁶⁸ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁶⁹ [დასკვნები 2012, რუსეთის ფედერაცია](#)

¹⁵⁷⁰ [დასკვნები 2008, ლიეტუვა](#)

საჩივრები, რომლებიც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას განათლებასა და მომზადებაში;¹⁵⁷¹

- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც არ ამთავრებენ სავალდებულო სკოლას, იმ ბავშვების საერთო რაოდენობასთან შედარებით, რომლებიც ასევე არ ამთავრებენ სავალდებულო სკოლას;¹⁵⁷²
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რაოდენობა და თანაფარდობა სხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახლში განათლებამიღებულ ბავშვთა ჩათვლით; ბავშვები, რომლებიც ნახევარ განაკვეთზე დადიან სკოლაში, ან იმყოფებიან რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებში (დროებით ან ხანგრძლივად);¹⁵⁷³
- ▶ შშმ ბავშვთა მიტოვების მაჩვენებელი სკოლის სრულ კონტინგენტთან შედარებით.¹⁵⁷⁴

ქარტიის 15§1 მუხლი ადგენს ქარტიით დაცულ ერთ-ერთ უფლებას, რომლის უზრუნველყოფაც განსაკუთრებით რთულია და ძვირი.¹⁵⁷⁵ ამიტომ, სახელმწიფოს მიერ ქარტიის მიზნების მისაღწევად მიღებული ზომები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ კრიტერიუმს: (i) გონივრული ვადები, (ii) გაზომვადი პროგრესი და (iii) დაფინანსება ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისთვის.¹⁵⁷⁶

მხარე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათი არჩევანის გავლენას დაუცველ ჯგუფებსა თუ სხვა შესაბამის პირებზე, განსაკუთრებით, მათ ოჯახებზე, რომლებსაც ყველაზე დიდი ტვირთი აწვებათ ინსტიტუციური ხარვეზების შემთხვევაში.¹⁵⁷⁷

15§2 მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ დასაქმებაზე მათ წვდომას ყველა ზომის საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს დამსაქმებელთა წახალისებას, დაიქირაონ და დასაქმებული ჰყავდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში და მიუსადაგონ სამუშაოს პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია უუნარობის გამო, ისეთი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით ან შექმნით, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შესაძლებლობების ხარისხთან. განსაზღვრულ შემთხვევებში, ასეთი ზომები შეიძლება მოითხოვდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და მხარდაჭერის სპეციალური სამსახურების გამოყენებას.

აწესებს რა ფიზიკური და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირთა პროფესიული მომზადების, რეაბილიტაციისა და განსახლების ცალკე უფლებას, მე-15 მუხლი მიზნად ისახავს მათ გაძლიერებულ დაცვას დასაქმების სფეროში, სადაც ისინი უფრო მოწყვლადები არიან, დანარჩენ სამუშაო ძალასთან შედარებით.¹⁵⁷⁸ მე-15 მუხლში მიღებული მიდგომით, მხარე სახელმწიფო პასუხისმგებელია, გაატაროს ზომები, რომლებითაც დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვან და აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებაში.¹⁵⁷⁹

15§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ და ეფექტიან წვდომას დასაქმებაზე.¹⁵⁸⁰ ეს ვალდებულება ეხება როგორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს¹⁵⁸¹ და არ მცირდება ჯანმრთელობის კრიზისის დროს.¹⁵⁸² იგი სახელმწიფოებისგან

¹⁵⁷¹ [დასკვნები 2008, ლიეტუვა](#)

¹⁵⁷² [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁷³ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁷⁴ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁵⁷⁵ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

¹⁵⁷⁶ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

¹⁵⁷⁷ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

¹⁵⁷⁸ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁷⁹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁸⁰ [დასკვნები XX-1 \(2012\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

¹⁵⁸¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 15§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁸² [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

მოითხოვს გონივრული მისადაგების ზომების მიღებას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაიცვან ვირუსით გამოწვეული რისკებისგან, რომლებიც ასოცირდება სამუშაო პირობებთან (მათ შორის, მგზავრობისას - სამსახურისკენ და უკან).¹⁵⁸³

მხარე სახელმწიფოებმა სისტემატურად უნდა განაახლონ შემდეგი მონაცემები: შშმ პირთა საერთო რაოდენობა, მათ შორის, იმ პირთა რიცხვი, რომლებიც არიან შრომისუნარიან ასაკში; დასაქმებულები (ღია ბაზარზე და შშმ პირთა დასაქმების დაწესებულებებში); პირები, რომლებიც სარგებლობენ დასაქმების ხელშემწყობი ზომებით; სამუშაოს მაძიებლები და უმუშევრები; შშმ პირთა გადაყვანა მათი დასაქმების დაწესებულებებიდან ღია ბაზარზე.¹⁵⁸⁴

სამართლებრივი ჩარჩო

კანონმდებლობამ უნდა აკრძალოს დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, რათა შრომის ღია ბაზარზე შეიქმნას ჭეშმარიტად თანაბარი შესაძლებლობები.¹⁵⁸⁵ 15§2 მუხლის შესაბამისად, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სამუშაო პირობების მისადაგებას (გონივრული მისადაგება) და უზრუნველყოფდეს სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებას მათთვის, ვინც უკანონოდ იქნება დისკრიმინირებული.¹⁵⁸⁶ გარდა ამისა, დამსაქმებელი ვალდებულია, მიიღოს ზომები გონივრული მისადაგების შესაბამისად, უზრუნველყოს ეფექტიანი ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე და სამსახურში შეინარჩუნოს შშმ პირები, განსაკუთრებით, ის ადამიანები, რომლებსაც შესაძლებლობა შეუზღუდათ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების შედეგად.¹⁵⁸⁷

ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნაკლებად არიან დასაქმებულნი ჩვეულებრივ შრომის ბაზარზე, COVID-19-ის კრიზისი მეტი მარგინალიზაციის რისკს ქმნის მათთვის.¹⁵⁸⁸ ამ სიტუაციაში მხარე სახელმწიფოებმა, ერთი მხრივ, შესაბამისად უნდა აანაზღაურონ სოციალური უზრუნველყოფის შეღავათებით შშმ პირთა მიერ სამსახურისა და შემოსავლის დაკარგვა და, მეორე მხრივ, გააძლიერონ ძალისხმევა შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციისთვის.¹⁵⁸⁹ პანდემიის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს დამსაქმებლის ვალდებულებას - მიიღოს ზომები გონივრული მისადაგების მოთხოვნის შესაბამისად, რათა უზრუნველყოს ეფექტიანი წვდომა დასაქმებაზე და სამსახურში შეინარჩუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.¹⁵⁹⁰

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომა დასაქმებაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადებისა და რეაბილიტაციის უფლების ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს კონკრეტული ზომების მიღებას, რომლებმაც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მიიღოს პოზიტიური ქმედების ფორმა შშმ პირთა „დასაქმებულობის“, დასაქმებაზე წვდომისა და დასაქმებულად დარჩენის გასაუმჯობესებლად.¹⁵⁹¹ დასაქმების პოლიტიკამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა მისცეს თავიანთი უნარების გამოყენების საშუალება და შესთავაზოს სამუშაო, რომელიც შეესაბამება მათ პოტენციალს ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში დასაქმებლად.¹⁵⁹² გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირთა დაცვას, რომლებსაც შესაძლებლობა შეუზღუდათ პროფესიული დაავადების ან სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად.¹⁵⁹³

¹⁵⁸³ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁵⁸⁴ [დასკვნები XX-1 \(2012\), ჩეხეთის რესპუბლიკა; დასკვნები 2012 კვიპროსი](#)

¹⁵⁸⁵ [დასკვნები 2012, რუსეთის ფედერაცია; დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹⁵⁸⁶ [დასკვნები XIX-1 \(2008\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

¹⁵⁸⁷ [დასკვნები 2007, განცხადება 15§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁸⁸ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁵⁸⁹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁵⁹⁰ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁵⁹¹ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁹² [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁵⁹³ [დასკვნები XIV-2 \(1998\), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ](#)

სამუშაო ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების განსაკუთრებულად გათვალისწინება გულისხმობს მისი ყველა მონაწილის პასუხისმგებლობას (მთავრობის, დამსაქმებლებისა და პროფესიული კავშირების).¹⁵⁹⁴ ამიტომ, ქარტიის ამ დებულების მიზანია, შშმ პირებს მიეცეთ დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, არა მხოლოდ საკუთრივ შეზღუდული შესაძლებლობის გადააზრებით, არამედ იმ საშუალებებითაც, რომლებითაც მიიღწევა შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობა საზოგადოებაში.¹⁵⁹⁵

მხარე სახელმწიფოები დისკრეციის ფარგლებით სარგებლობენ სხვა ზომებთან მიმართებით, რომლებსაც იღებენ შშმ პირთათვის დასაქმებაზე ხელმისაწვდომობისათვის. 15§2 მუხლი არ მოითხოვს კვტების შემოღებას, თუმცა ასეთი სისტემის გამოყენების შემთხვევაში, მისი ეფექტიანობაც გათვალისწინებულია 15§2 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას.¹⁵⁹⁶

შესწორებული ქარტიის 15§2 მუხლი მოითხოვს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დასაქმდნენ ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში, თუ ეს შეუძლებელი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის ბუნების გამო.¹⁵⁹⁷ ასეთ გამონაკლის შემთხვევებში, მათი დასაქმება შესაძლებელია შშმ პირთა დასაქმების დაწესებულებებში.¹⁵⁹⁸ ამ სტრუქტურების მიზანი უნდა იყოს თავისი ბენეფიციარების დახმარება ღია შრომის ბაზარზე შესვლაში.¹⁵⁹⁹

შშმ პირთა დასაქმების დაწესებულებებში მომუშავე პირებზე - რომელთა ძირითადი საქმიანობაა წარმოება - ვრცელდება შრომის კანონმდებლობის ძირითადი დებულებები, კერძოდ, სამართლიანი ანაზღაურების უფლება და პროფესიული კავშირის უფლებები.¹⁶⁰⁰

15§3 მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ მათ სრულ სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ, იმ საშუალებებით, რომლებიც შეიცავს ტექნიკურ დახმარებას, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიკაციისა და გადაადგილების სფეროში არსებული ბარიერების აღმოფხვრას, ტრანსპორტითა და საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფას, კულტურული ღონისძიებებისა და დასვენების ხელმისაწვდომობას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება სოციალურ ჩართულობაზე, რომელიც გათვალისწინებულია ქარტიის 15§3 მუხლით, გულისხმობს კომუნიკაციისა და მობილობის ბარიერების მოხსნას ტრანსპორტის (სახმელეთო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო), საცხოვრებლის (საზოგადოებრივი, სოციალური და კერძო), კულტურული აქტივობებისა და დასვენების (სოციალური და სპორტული ღონისძიებები) ხელმისაწვდომობისათვის.¹⁶⁰¹ ასეთი ღონისძიებები, მათ შორის, ტექნიკური დახმარება, არ უნდა განხორციელდეს იზოლირებულად: ისინი უნდა დაიგეგმოს ერთმანეთის შესავსებად, მკაფიო საკანონმდებლო საფუძვლით.¹⁶⁰²

შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

15§3 მუხლით მოთხოვნილია:

- ▶ ყოვლისმომცველი არადისკრიმინაციული კანონმდებლობის არსებობა ისეთი სფეროების საჯარო და კერძო სექტორებში, როგორცაა საცხოვრებელი, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია და კულტურული თუ დასასვენებელი აქტივობები; ასევე, სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებები მათთვის, ვისაც უკანონოდ მოეპყრნენ.¹⁶⁰³

¹⁵⁹⁴ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵⁹⁵ დასკვნები XIV-2 (1998), განცხადება მე-15 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁵⁹⁶ დასკვნები XIV-2 (1998), ბელოგია

¹⁵⁹⁷ დასკვნები 2005, ესტონეთი

¹⁵⁹⁸ დასკვნები 2005, ესტონეთი

¹⁵⁹⁹ დასკვნები 2005, ესტონეთი

¹⁶⁰⁰ დასკვნები XVII-2 (2005), ჩეხეთის რესპუბლიკა

¹⁶⁰¹ დასკვნები 2005, ნორვეგია

¹⁶⁰² დასკვნები 2008, განცხადება 15§3 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2005, ნორვეგია

¹⁶⁰³ დასკვნები 2005, ნორვეგია

ადინიშნული კანონმდებლობა შეიძლება მოიცავდეს ზოგად ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, კონკრეტულ კანონმდებლობას, ან მათ კომბინაციას;¹⁶⁰⁴

- ▶ თანმიმდევრული პოლიტიკის მიღება შეზღუდული შესაძლებლობის კონტექსტში: პოზიტიური ზომები შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციისა და სრული მონაწილეობის მისაღწევად.¹⁶⁰⁵ ასეთ ზომები უნდა ეყრდნობოდეს მკაფიო სამართლებრივ საფუძველს და იყოს კოორდინირებული.¹⁶⁰⁶

იმისათვის, რომ რეალურად შეეწყოს ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულ სოციალურ ინტეგრაციას და ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

- ▶ უნდა დადგინდეს მექანიზმები კომუნიკაციისა და მობილობის ბარიერთა შესაფასებლად, რომლებსაც აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, და განისაზღვროს დამხმარე ზომები მათ გადასალახად;¹⁶⁰⁷
- ▶ ტექნიკური საშუალებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსასყიდლოდ, ან მათი ღირებულება დაიფაროს მოსარგებლის შენატანით, მისი საშუალებების გათვალისწინებით. ასეთი დამხმარე საშუალებები შეიძლება იყოს პროთეზები, როლატორები, სავარძელ-ეტლები, მეგზური ძაღლები და საცხოვრებლის ადაპტირება შესაბამისი მექანიზმებით;¹⁶⁰⁸
- ▶ პირადი ასისტენტი და სხვა დამხმარე საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს უსასყიდლოდ, ან მათი ღირებულება დაიფაროს შენატანით და ბენეფიციარის საშუალებათა გათვალისწინებით.¹⁶⁰⁹

კონსულტაცია

15§3 მუხლი მოითხოვს, რომ პოზიტიური ზომების შემუშავება-განხილვისას კონსულტაცია გაიმართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან და ამისთვის არსებობდეს შესაბამისი ფორუმი.¹⁶¹⁰

შშმპირებიდამათიორგანიზაციებიCOVID-19-ისკონტექსტშიცუნდაჩაერთონკონსულტაციებში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და გადახედვაში.¹⁶¹¹ პანდემიამ არ უნდა გაზარდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციონალიზაცია.¹⁶¹²

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების უზრუნველყოფის ზომები

ამ პირთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტელეკომუნიკაციები და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხოლო ქესტურ ენას ჰქონდეს ოფიციალური სტატუსი.¹⁶¹³

COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში, მომსახურებები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია პანდემიასთან გასამკლავებლად - მათ შორის, დისტანციური და ონლაინმომსახურებები, საკარანტინო დაწესებულებები, პირადი დაცვის საშუალებები, საჯარო ინფორმაცია და სახელმძღვანელო მითითებები - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების სხვა წევრთა თანასწორად.¹⁶¹⁴ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ქესტურ ენაზე, ხელმისაწვდომი

¹⁶⁰⁴ [დასკვნები 2012, ესტონეთი](#)

¹⁶⁰⁵ [დასკვნები 2007, სლოვენია](#)

¹⁶⁰⁶ [დასკვნები 2007, სლოვენია](#)

¹⁶⁰⁷ [დასკვნები 2008, განცხადება 15§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁰⁸ [დასკვნები 2008, განცხადება 15§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁰⁹ [დასკვნები 2008, განცხადება 15§3 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶¹⁰ [დასკვნები 2020, სერბეთი; დასკვნები 2005, ნორვეგია](#)

¹⁶¹¹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁶¹² [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁶¹³ [დასკვნები 2016, ავსტრია, რომელშიც ციტირებულია დასკვნები 2005, ესტონეთი და დასკვნები 2003, სლოვენია](#)

¹⁶¹⁴ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

საშუალებებით, ხერხებითა და ფორმატებით.¹⁶¹⁵

მობილობა და ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტი (სახმელეთო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო), ყველა ახალაშენებული/გარემონტებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა, დაწესებულება და ნაგებობა, რომლებიც ღიაა საზოგადოებისთვის, ასევე, კულტურული და დასასვენებელი აქტივობები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფიზიკურად.¹⁶¹⁶

საცხოვრებელი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები გასათვალისწინებელია საბინაო პოლიტიკაშიც, მათ შორის, შესაბამისი რაოდენობის საჯარო, სოციალური თუ კერძო საცხოვრებლების მშენებლობით.¹⁶¹⁷ გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ფინანსური დახმარება არსებული საცხოვრებლის ადაპტაციისთვის.¹⁶¹⁸

ფინანსური და პერსონალური დახმარება

მხარე სახელმწიფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიღარიბის ფართოდ გავრცელება (მონეტარული თვალსაზრისით განისაზღვრება/გაიზომება, თუ მრავალგანზომილებიანი კუთხით) მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფო ძალისხმევას ეფექტიანობას შშმ პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ჩართულობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებათა უზრუნველსაყოფად.¹⁶¹⁹ სახელმწიფოთა ვალდებულება, მიიღონ ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული სოციალური ჩართულობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის, მჭიდროდ უკავშირდება ზომებს, რომლებიც მიემართება ამ პირთა სიღარიბის შემსუბუქებასა და აღმოფხვრას.¹⁶²⁰ ამიტომ, კომიტეტი ითვალისწინებს შშმ პირთა სიღარიბის დონეს, როდესაც განიხილავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ქარტიის 15§3 მუხლის შესაბამისად.¹⁶²¹

სახელმწიფო ზომები ასევე უნდა ფოკუსირდეს შშმ პირთა დისკრიმინაციასთან ბრძოლასა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობაზე (განსაკუთრებით, ისეთ მოწყვლად ჯგუფებში, როგორებიც არიან ეთნიკური უმცირესობები, ბოშები, თავშესაფრის მაძიებლები და მიგრანტები).¹⁶²²

მუხლი 16 ოჯახის სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება

ოჯახს, როგორც საზოგადოების ძირითად ერთეულს, აქვს უფლება შესაბამის სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე, მისი სრული განვითარებისათვის.

საზოგადოების ფუნდამენტური ერთეულის – ოჯახის სრული განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად, მხარეები ვალდებულია იღებენ, ხელი შეუწყონ ოჯახური ცხოვრების ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ დაცვას ისეთი საშუალებებით, როგორიცაა სოციალური და ოჯახისთვის განკუთვნილი დახმარება,

¹⁶¹⁵ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁶¹⁶ [დასკვნები 2016, ლატვია](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2003, იტალია](#)

¹⁶¹⁷ [დასკვნები 2003, იტალია](#)

¹⁶¹⁸ [დასკვნები 2003, იტალია](#)

¹⁶¹⁹ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁶²⁰ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁶²¹ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

¹⁶²² [დასკვნები 2020, ანდორა](#)

საგადასახადო შეღავათები, ოჯახის უზრუნველყოფა საცხოვრებლით, შეღავათები ახალდაქორწინებულთათვის და სხვა შესაბამისი შეღავათები.

დანართი: ამ დებულებით გათვალისწინებული დაცვა ეხება ოჯახებს, მარტოხელა მშობლებს.¹⁶²³

ვინაიდან „ოჯახი“ შეიძლება სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა დროს განსხვავებულ რამეს ნიშნავდეს, კომიტეტი მიუთითებს თითოეული მხარე სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გამოყენებულ განმარტებებზე¹⁶²⁴, რომლებიც არ უნდა იყოს ზედმეტად შემზღვეველი.¹⁶²⁵

მე-16 მუხლის მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახით.¹⁶²⁶ ოჯახი არის ბავშვიან მშობელთა შინამეურნეობა, მარტოხელა მშობლებისა და იმ ახალგაზრდა წყვილების ჩათვლით, რომლებსაც შეიძლება ჰყავდეთ შვილები მომავალში.¹⁶²⁷ თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი მე-16 მუხლის განუყოფელი ნაწილია.¹⁶²⁸ ოჯახის წევრებს, რომლებიც არიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და 1996 მუხლით გარანტირებული აქვთ ოჯახის გაერთიანების უფლება, მოქალაქეთა თანასწორად უნდა მოეპყრონ ოჯახის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტში.¹⁶²⁹

კომიტეტი იკვლევს სახელმწიფოთა მიერ გამოყენებულ საშუალებებს სხვადასხვა ტიპის ოჯახების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვისათვის. მათ შორის არიან მარტოხელა მშობლები და სხვა მოწყვლადი ოჯახები (მაგ: ბოშების).¹⁶³⁰ სახელმწიფოებს თავისუფლად შეუძლიათ ასეთი საშუალებების არჩევა, იმ პირობით, რომ საფრთხეს არ შეუქმნიან ბოშათა ოჯახების ეფექტიან დაცვას.¹⁶³¹

სოციალური დაცვა

საცხოვრებელი ოჯახებისთვის

სათანადო/ღირსეული საცხოვრებელი

მე-16 მუხლი უზრუნველყოფს ოჯახების უფლებას ღირსეულ საცხოვრებელზე.¹⁶³² ფაქტი, რომ საცხოვრებლის უფლება დადგენილია ქარტიის 31-ე მუხლით, არ გამოირიცხავს მე-16 მუხლით წარმოქმნილი საბინაო საკითხების განხილვას, რომლებიც მიემართება საცხოვრებელს ოჯახების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის კონტექსტში.¹⁶³³ სათანადო საცხოვრებლისა და იძულების წესით გამოსახლების ცნებები იდენტურია მე-16 და 31-ე მუხლების შესაბამისად.¹⁶³⁴

გარდა ამისა, საცხოვრებლის უფლება იძლევა მრავალი სხვა უფლებით სარგებლობის საშუალებას – როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით.¹⁶³⁵ ის ასევე ცენტრალური მნიშვნელობისაა ოჯახისთვის.¹⁶³⁶ მე-

¹⁶²³ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁶²⁴ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶²⁵ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶²⁶ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶²⁷ [დასკვნები XVII-1 \(2005\), თურქეთი](#)

¹⁶²⁸ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, § 26

¹⁶²⁹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 1254 და მე-16 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶³⁰ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶³¹ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶³² [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §9

¹⁶³³ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §9

¹⁶³⁴ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, § 115; დასკვნები 2011, აზერბაიჯანი

¹⁶³⁵ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §24

¹⁶³⁶ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §24

16 მუხლთან შესაბამისობისთვის, მხარე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ შესაბამისი რაოდენობის საცხოვრებელთა უზრუნველყოფას ოჯახებისთვის, გაითვალისწინონ ოჯახების საჭიროებები საბინაო პოლიტიკაში და უზრუნველყონ, რომ საცხოვრებელი იყოს შესაბამისი სტანდარტის.¹⁶³⁷ ის უნდა მოიცავდეს ძირითად მომსახურებებსაც (როგორცაა გათვლილი და ელექტროენერჯია).¹⁶³⁸ სათანადო საცხოვრებელში იგულისხმება არა მხოლოდ შესაბამისი სტანდარტთა დაკმაყოფილება და საბაზისო კეთილმოწყობა, არამედ მისი ზომის შესაფერისობაც, მობინადრე ოჯახის შემადგენლობის გათვალისწინებით.¹⁶³⁹

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სამართლებრივი და პრაქტიკული ზომები, რომლებიც აუცილებელია სათანადო საცხოვრებლის უფლების ეფექტიანად დასაცავად, მე-16 მუხლის მიხედვით.¹⁶⁴⁰ ამ მიზანს უნდა მიაღწიონ გონივრულ ვადაში, გაზომვადი პროგრესით და იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას.¹⁶⁴¹

საბინაო შეღავათები

ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბინაო შეღავათები, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურად ოჯახებისთვის (მაგ: გრანტები ან სუბსიდიები სახლის შესაძენად ან მშენებლობისთვის, საგადასახადო შეღავათები იპოთეკის დასაფარად, სუბსიდირებული სესხები პირველი სახლის შესაძენად, სუბსიდირებული ქირა ოჯახებისთვის, საბინაო შემწეობები და ა.შ.).¹⁶⁴² სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებისა და ლტოლვილების ოჯახებს თანასწორად უნდა მოეპყრონ საბინაო სუბსიდიების ანაზღაურებისას.¹⁶⁴³ მე-16 მუხლის ის ნაწილი, რომელიც ეხება ოჯახების უფლებას ღირსეულ საცხოვრებელსა და თავშესაფრის უზრუნველყოფაზე, ვრცელდება ქვეყანაში უკანონოდ მყოფ უცხოელთა ოჯახებზეც.¹⁶⁴⁴

იმისათვის, რომ ოჯახის უფლება საცხოვრებელზე დამაკმაყოფილებლად გამოიყენებოდეს ქარტიის მე-16 მუხლის შესაბამისად, უნდა შესრულდეს იგივე მოთხოვნები, რომლებსაც ადგენს 31-ე მუხლი შესაფერისი საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით.¹⁶⁴⁵

მხარე სახელმწიფოებმა უნდა:

- ▶ მიიღონ აუცილებელი სამართლებრივი, ფინანსური და საოპერაციო საშუალებები, რათა სტაბილურ პროგრესს მიაღწიონ ქარტიით დასახული მიზნების მისაღწევად;¹⁶⁴⁶
- ▶ შეინარჩუნონ მნიშვნელოვანი სტატისტიკა საჭიროებების, რესურსებისა და შედეგების შესახებ;¹⁶⁴⁷

¹⁶³⁷ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §24

¹⁶³⁸ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §24

¹⁶³⁹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §24

¹⁶⁴⁰ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, § 113

¹⁶⁴¹ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, § 113

¹⁶⁴² [დასკვნები XVII-1 \(2005\), თურქეთი](#)

¹⁶⁴³ [დასკვნები 2019, ავსტრია](#)

¹⁶⁴⁴ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 20 ოქტომბერი, § 136

¹⁶⁴⁵ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §109, რომელშიც ციტირებულია [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 54

¹⁶⁴⁶ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §109, რომელშიც ციტირებულია [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 54

¹⁶⁴⁷ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §109, რომელშიც ციტირებულია [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 54

- ▶ რეგულარულად მიმოიხილონ მიღებული სტრატეგიების გავლენა;¹⁶⁴⁸
- ▶ დაადგინონ განრიგი და განუსაზღვრელი ვადით არ გადადონ თითოეული ეტაპის მიზნების მიღწევა;¹⁶⁴⁹
- ▶ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიღებული პოლიტიკის გავლენას შესაბამის პირთა თითოეულ კატეგორიაზე, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე.¹⁶⁵⁰

თუმცა, ქარტიის მე-16 მუხლის შესაბამისად, თითოეული ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა თავისთავად არ არღვევს ოჯახის საცხოვრებლის უფლებას.¹⁶⁵¹

გამოსახლებისგან დაცვა

მე-16 მუხლით გათვალისწინებული სათანადო საცხოვრებლის უფლების ეფექტიანობა მოითხოვს მის სამართლებრივ დაცვას შესაბამისი პროცედურული გარანტიებით.¹⁶⁵² მოიჯარეებს ან მობინადრეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ხელმისაწვდომ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, ან დაცვის სხვა საშუალებებზე.¹⁶⁵³ გასაჩივრების ნებისმიერი პროცედურა უნდა იყოს ეფექტიანი.¹⁶⁵⁴ გარდა ამისა, საცხოვრებლის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის ვალდებულება ვრცელდება უკანონო გამოსახლებისგან დაცვაზეც.¹⁶⁵⁵

ქარტიასთან შესაბამისობისთვის, გამოსახლების საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა სამართლებრივი დაცვა უნდა დადგინდეს კანონით და მოიცავდეს შემდეგ ვალდებულებებს:

- ▶ დაზარალებულ მხარეებთან კონსულტაციების გავლა გამოსახლების ალტერნატიულ გადაწყვეტათა მოსაძებნად;¹⁶⁵⁶
- ▶ საფრთხილების გონივრული ვადის დაწესება გამოსახლებამდე;¹⁶⁵⁷
- ▶ ღამით ან ზამთარში გამოსახლების აკრძალვა;¹⁶⁵⁸
- ▶ წვდომა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე;¹⁶⁵⁹
- ▶ წვდომა იურიდიულ დახმარებაზე;¹⁶⁶⁰
- ▶ ანაზღაურება არალეგალური გამოსახლების შემთხვევაში.¹⁶⁶¹

გამოსახლება უნდა:

¹⁶⁴⁸ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §109, რომელშიც ციტირებულია [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 54

¹⁶⁴⁹ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §109, რომელშიც ციტირებულია [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 54

¹⁶⁵⁰ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §109, რომელშიც ციტირებულია [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 54

¹⁶⁵¹ [International Federation for Human Rights \(FIDH\) v. Ireland](#), საჩივარი N 110/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 12 მაისი, §110

¹⁶⁵² [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁶⁵³ [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁶⁵⁴ [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁶⁵⁵ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §24

¹⁶⁵⁶ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁵⁷ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁵⁸ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 7 დეკემბერი, §41

¹⁶⁵⁹ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁶⁰ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁶¹ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

- ▶ განხორციელდეს შესაბამის პირთა ღირსების დაცვით;¹⁶⁶²
- ▶ რეგულირდებოდეს წესებით, რომლებიც საკმარისად იცავს პირთა უფლებებს;¹⁶⁶³
- ▶ მოიცავდეს წინადადებებს ალტერნატიული საცხოვრებლის შესახებ.¹⁶⁶⁴

ადგილის ან საცხოვრებლის უკანონო დაკავება შეიძლება გახდეს უკანონო მოიჯარეთა გამოსახლების საფუძველი.¹⁶⁶⁵ თუმცა, უკანონო დაკავების კრიტერიუმები არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო, გამოსახლება კი უნდა წარიმართოს მოქმედი პროცედურული წესების მიხედვით და შესაბამის პირთა უფლებების საკმარისად დაცვით.¹⁶⁶⁶

სოფლების იძულებითი ევაკუაციისას, ან საცხოვრებლის განადგურების შემთხვევაში, მხარე სახელმწიფოებმა დაზარალებულთათვის უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები და მიიღონ ზომები ოჯახების ღირსეულ საცხოვრებელში გადასაცვანად, ან მათთვის ფინანსური დახმარების გასაწევად.¹⁶⁶⁷

თუ ოჯახები იძულებით გადაადგილდებიან ომის გამო, მე-16 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებსაქვთ პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ შესაბამისი ზომები საცხოვრებლისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების უზრუნველსაყოფად გადაადგილებული ოჯახებისთვის, რომლებმაც დაკარგეს საბინაო უფლებები და გამოთქვეს თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების მკაფიო სურვილი, ან რომლებიც ვერ ბრუნდებიან უკან საცხოვრებლისა და დაცვის სხვა ფორმების უქონლობის გამო.¹⁶⁶⁸

მონყვლადი ჯგუფები

თუ მძიმე შეზღუდვის მქონე პირთა საჭიროებებზე ადაპტირებული ზრუნვისა და სოციალური მომსახურებების ნაკლებობა ბევრ ოჯახს აიძულებს ცხოვრებას არახელსაყრელ გარემოებებში (რაც ძირს უთხრის მათ ერთიანობას), ეს ნიშნავს, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოებრივი ერთეული, დაუცველია და ირღვევა ქარტიის მე-16 მუხლი.¹⁶⁶⁹

თავიანთი ისტორიის შედეგად, ბოშები იქნენ განსაკუთრებული ტიპის დაუცველ ჯგუფად და მონყვლად უმცირესობად.¹⁶⁷⁰ სავალდებულო მოთხოვნები სოციალური გარიყულობის აცილების, განსხვავებათა პატივისცემისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ვრცელდება ბოშათა ყველა ჯგუფზე, მომთაბარე იქნება, თუ დასახლებული.¹⁶⁷¹ ამიტომ, მათ განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ.¹⁶⁷² როგორც შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოში, ისე კონკრეტულ შემთხვევებზე გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მათ საცხოვრებელ საჭიროებებსა და ცხოვრების განსხვავებულ წესზე. ამის მიზანია არა მხოლოდ უმცირესობათა ინტერესების დაცვა, არამედ კულტურული

¹⁶⁶² [დასკვნები 2011, თურქეთი](#), 3152 მუხლი; [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 104/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 17 მაისი, §82

¹⁶⁶³ [დასკვნები 2011, თურქეთი](#), 3152 მუხლი; [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 104/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 17 მაისი, §82

¹⁶⁶⁴ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 7 დეკემბერი, §41

¹⁶⁶⁵ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, § 51

¹⁶⁶⁶ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, § 51

¹⁶⁶⁷ [დასკვნები XIII-3 \(1995\), თურქეთი](#)

¹⁶⁶⁸ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Croatia](#), საჩივარი N 52/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 22 ივნისი, § 63

¹⁶⁶⁹ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 75/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 18 მარტი, §187

¹⁶⁷⁰ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§ 39-40

¹⁶⁷¹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §25

¹⁶⁷² [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§ 39-40

მრავალფეროვნების შენარჩუნებაც, რაც ღირებულია მთელი საზოგადოებისთვის.¹⁶⁷³ ამ მიმართებით, აუცილებელია, ხელმისაწვდომი იყოს შესაფერისი დროებითი და მუდმივი საცხოვრებელი.¹⁶⁷⁴

ნებისმიერი ადგილი, სადაც ოჯახი ცხოვრობს კანონიერად ან არალეგალურად, შენობა იქნება ეს, თუ მოძრავი ქონება, როგორცაა სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა (ქარავანი), უნდა ჩაითვალოს საცხოვრებლად, ქარტიის მნიშვნელობის ფარგლებში.¹⁶⁷⁵ საცხოვრებლის იურიდიული აღიარებით წარმოქმნილი უფლებები და მოვალეობები უნდა გავრცელდეს საცხოვრებლის ყველა ფორმაზე, მათ შორის, ალტერნატიულზეც (როგორცაა სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობა).¹⁶⁷⁶ ამიტომ, რეგულაციები საყოფაცხოვრებო პირობების (განსაკუთრებით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების) შესახებ გონივრულად უნდა მოერგოს საცხოვრებლის ამ ალტერნატიულ ფორმებსაც, რათა არ დაწესდეს არაგონივრული შეზღუდვები ასეთ საცხოვრებლებში ბინადრობის შესაძლებლობაზე.¹⁶⁷⁷

მოგზაურთა ცხოვრების წესის მიმართ გამოყენებისას, ეს მოთხოვნა წარმოქმნის პოზიტიურ ვალდებულებას, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის საცხოვრებელი ფართები ასეთ სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობის დასაყენებლად.¹⁶⁷⁸

ბავშვთა მოვლის დაწესებულებები

თუ მხარე სახელმწიფოს მიღებული აქვს ქარტიის 27-ე მუხლი, ბავშვთა მოვლის დაწესებულებები და ღონისძიებები განიხილება ამ დებულების შესაბამისად.¹⁶⁷⁹

მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ბავშვთა მოვლის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი დაწესებულებები (გათვალისწინებული უნდა იყოს დაფარვა 0-6 წლამდე ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით, პერსონალის თანაფარდობა ბავშვებთან, პერსონალის მომზადება, შესაფერისი შენობა-ნაგებობები, ბავშვის მოვლის ღირებულება მშობლებისთვის და ა.შ.).¹⁶⁸⁰

სოფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაგა-ბალები ან მსგავსი ობიექტები, ასევე, ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის შესახებ.¹⁶⁸¹

საკონსულტაციო მომსახურებები ოჯახებისთვის

ოჯახებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის სოციალურ მომსახურებებზე, განსაკუთრებით, როთულ დროს.¹⁶⁸² მხარე სახელმწიფოებმა მათ უნდა გაუწიონ *inter alia* საკონსულტაციო მომსახურება და ფსიქოლოგიური რეკომენდაციები ბავშვის აღზრდის შესახებ.¹⁶⁸³

¹⁶⁷³ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§ 39-40

¹⁶⁷⁴ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁷⁵ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, § 73

¹⁶⁷⁶ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, § 74

¹⁶⁷⁷ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, 2013 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, § 74

¹⁶⁷⁸ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 62/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 21 მარტი, § 112, რომელშიც ციტირებულია [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §25

¹⁶⁷⁹ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁸⁰ [დასკვნები 2019, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁸¹ [დასკვნები XIII-3 \(1995\), თურქეთი](#)

¹⁶⁸² [დასკვნები 2011, თურქეთი](#)

¹⁶⁸³ [დასკვნები 2011, თურქეთი](#)

ოჯახების წარმომადგენელ გაერთიანებათა მონაწილეობა

საოჯახო პოლიტიკის შემუშავებისას ოჯახების მეხედულებათა გასათვალისწინებლად, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია ოჯახების წარმომადგენელ ყველა სამოქალაქო ორგანიზაციასთან.¹⁶⁸⁴

სამართლებრივი დაცვა

მეუღლეთა უფლებები და ვალდებულებები

მეუღლეთა თანასწორი უნდა იყვნენ წყვილის უფლება-მოვალეობებთან მიმართებით, კერძოდ, ისეთ საკითხებში, როგორცაა ქონების ფლობა, განკარგვა და გამოყენება, მშობლის უფლებები და ბავშვთა ქონების მართვა.¹⁶⁸⁵

ოჯახის დანგრევის შემთხვევაში, მე-16 მუხლი მოითხოვს სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფას ოჯახური კონფლიქტების მოსაგვარებლად, კერძოდ, ბავშვებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორცაა ზრუნვა და შენარჩუნება, მშობლის უფლებების ჩამორთმევა და შეზღუდვა, მეურვეობა და ბავშვებზე წვდომა.¹⁶⁸⁶

მშობლის უფლებები

მშობლის მეურვეობის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს კანონით დადგენილ შესაბამის და გონივრულ კრიტერიუმებს და არ გასცდეს ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია ბავშვისა და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ასევე, ოჯახის რეაბილიტაციისთვის.¹⁶⁸⁷

ბავშვის განთავსება ოჯახს გარეთ უნდა იყოს გამონაკლისი ზომა და გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეფუძნება ბავშვის საჭიროებებს - კერძოდ, როცა ოჯახის გარემოში ყოფნა საფრთხეს უქმნის მას.¹⁶⁸⁸ მეორე მხრივ, ოჯახის ფინანსური მდგომარეობა ან მატერიალური გარემოებები არ უნდა იყოს განთავსების ერთადერთი მიზეზი.¹⁶⁸⁹ ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა შეისწავლონ ბავშვთა განთავსების შესაბამისი ალტერნატივები, ბავშვის, მისი მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების მეხედულებებისა და სურვილების გათვალისწინებით.¹⁶⁹⁰

თუ ბავშვის განთავსება აუცილებელია, ეს უნდა განიხილებოდეს როგორც დროებითი გამოსავალი, რა დროსაც აუცილებელია ოჯახთან ურთიერთობის უწყვეტად შენარჩუნება.¹⁶⁹¹ ზომა მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვის რეინტეგრაციას ოჯახში და ოჯახთან კონტაქტს განთავსების პერიოდში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.¹⁶⁹² შეძლებისდაგვარად, მიმღებ ოჯახს ან ოჯახის ტიპის გარემოში განთავსებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაწესებულებაში განთავსებასთან შედარებით.¹⁶⁹³

მშობლის უფლებების შეზღუდვასა და ბავშვების განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება 17§1 მუხლის შესაბამისად.¹⁶⁹⁴

¹⁶⁸⁴ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁸⁵ [დასკვნები XIII-3 \(1995\), თურქეთი](#); [დასკვნები XVI-1 \(2002\), გაერთიანებული სამეფო](#); [დასკვნები 2019, ავსტრია](#)

¹⁶⁸⁶ [დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁶⁸⁷ [დასკვნები XV-2 \(2001\), განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁸⁸ [დასკვნები 2011, განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁸⁹ [დასკვნები 2011, განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁹⁰ [დასკვნები 2011, განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁹¹ [დასკვნები 2011, განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁹² [დასკვნები 2011, განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁹³ [დასკვნები 2011, განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁹⁴ [დასკვნები 2019, ავსტრია](#)

მედიაციის სამსახურები

ქარტიის მე-16 მუხლის შესაბამისად, ოჯახის სამართლებრივი დაცვა მოიცავს მედიაციის სამსახურების არსებობას, რომელთა მიზანია ოჯახურ კონფლიქტთა გამწვავების აცილება, ოჯახების დახმარება დავების გადაწყვეტაში და უზრუნველყოფა, რომ ზედმეტად არ დაზიანდეს მომავალი ურთიერთობები მშობლებს, ასევე, მშობლებსა და შვილებს შორის.¹⁶⁹⁵ მე-16 მუხლთან შესაბამისობისთვის, ამ მომსახურებებზე ადვილად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ყველა ოჯახს.¹⁶⁹⁶ კერძოდ, ფინანსური მიზეზების გამო მათ უარი არ უნდა თქვან მსგავს სერვისებზე.¹⁶⁹⁷ მედიაციის მომსახურებების უფასოდ მიწოდება შესაბამისი ზომია ამ მიმართულებით.¹⁶⁹⁸ სხვა შემთხვევაში, ოჯახებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მათზე, როცა სჭირდებათ.¹⁶⁹⁹

კომიტეტი განიხილავს საოჯახო მედიაციის მომსახურებათა ხელმისაწვდომობის პირობებს, კერძოდ: არის თუ არა ეს მომსახურება უფასო, მოიცავს თუ არა მთელ ქვეყანას და რამდენად ეფექტიანია.¹⁷⁰⁰

ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახში

ქარტიის მე-16 მუხლი ვრცელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმაზე და მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, შესაბამისად დაიცვან ქალები ასეთი ძალადობისგან, როგორც კანონმდებლობით, ისე პრაქტიკაში.¹⁷⁰¹ ვინაიდან ბავშვთა მიმართ ძალადობა უფრო კონკრეტულად რეგულირდება მე-17 მუხლით (ანდა მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით, თუ მხარე სახელმწიფოებს არ მიუღიათ მე-17 მუხლი), ეს საკითხი განიხილება მე-17 მუხლის შესაბამისად.¹⁷⁰²

აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოთა ვალდებულებების განმარტების მიზნით, კომიტეტი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, რომლითაც გარანტირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მე-8 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ თვითნებური ჩარევისგან თავშეკავებას, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც, ფაქტობრივად განახორციელოს მის მიერ გარანტირებული უფლებები.¹⁷⁰³ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს ეხება მე-16 მუხლსაც.¹⁷⁰⁴

მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ქალების შესაბამისი დაცვა როგორც კანონმდებლობით, ისე პრაქტიკაში. სამართლებრივი თვალსაზრისით, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

- ▶ ხელმისაწვდომი იყოს და აღსრულდეს შესაბამისი ზომები – მათ შორის, შემაკავებელი ორდერები;
- ▶ მოძალადეები ისჯებოდნენ;
- ▶ დაზარალებულებს ეძლეოდათ სამართლიანი კომპენსაცია მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანისთვის;
- ▶ დაზარალებულებსა და მათი სახელით მოქმედ გაერთიანებებს შეეძლოთ თავიანთი საქმეების სასამართლოში შეტანა; ასევე, არსებობდეს სპეციალური ღონისძიებები დაზარალებულთა სასამართლოში დაკითხვისთვის.¹⁷⁰⁵

¹⁶⁹⁵ [დასკვნები 2015, ავსტრია](#); [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁶⁹⁶ [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁶⁹⁷ [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁶⁹⁸ [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁶⁹⁹ [დასკვნები 2015, ავსტრია](#)

¹⁷⁰⁰ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁰¹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁷⁰² [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#); [Association for the protection of All Children \(APPROACH\) Ltd. v. Cyprus](#), საჩივარი N 97/2013, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 2013 წლის ივლისი, §10

¹⁷⁰³ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁰⁴ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁰⁵ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

პრაქტიკული თვალსაზრისით, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:

- ▶ სანდო მონაცემთა ჩაწერა და გაანალიზება;
- ▶ ტრენინგები, კერძოდ, პოლიციელთათვის;
- ▶ მომსახურებები ძალადობის რისკის შესამცირებლად, ასევე, მსხვერპლთა მხარდასაჭერად და რეაბილიტაციისთვის.¹⁷⁰⁶

მხარე სახელმწიფოებმა სათანადო გულმოდგინება უნდა გამოიჩინონ ისეთი ზომების გამოყენებისას, როგორცაა: შემაკავებელი ორდერები; სისხლისსამართლებრივი სანქციები დამნაშავეთათვის; დაზარალებულზე მორგებული სასამართლო პროცედურები და შესაბამისი კომპენსაციის გაცემა; პოლიციელთა და სხვა პირთა მომზადება, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ დაზარალებულებთან; სანდო მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.¹⁷⁰⁷ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავშესაფარი ან დაცული საცხოვრებელი დაზარალებული ან ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფი ქალებისთვის, ასევე, მომსახურებები მსგავსი რისკების შესამცირებლად, დაზარალებულთა მხარდასაჭერად და მათი რეაბილიტაციისთვის.¹⁷⁰⁸ დაზარალებულთა უფლებები და შესაძლებლობები უნდა გაძლიერდეს ადრეული კონსულტაციისა და დაცვის ზომებითაც, ასევე, დაზარალებულთა ან პოტენციურ დაზარალებულთა მინიმალური ან დამატებითი შემოსავლის მეშვეობით.¹⁷⁰⁹

მხარე სახელმწიფოთა ძალისხმევა ქალთა დასაცავად ოჯახში ძალადობისგან (როგორც კანონით, ისე პრაქტიკაში), შეფასდა პრინციპებით, რომლებიც დადგენილია შემდეგ დოკუმენტებში: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემული რეკომენდაცია Rec (2002) 5 ძალადობისგან ქალთა დაცვის შესახებ; და საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1681 (2004) ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კამპანიაზე ევროპაში.¹⁷¹⁰ თუ მხარე სახელმწიფოებს ხელმოწერილი დარატიფიცირებული აქვთ სტამბოლის კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, კომიტეტი მიუთითებს შეფასების პროცედურაზე, რომელიც ხორციელდება ამ მექანიზმის კონტექსტში.¹⁷¹¹

ეკონომიკური დაცვა

საოჯახო დახმარების მიმოხილვა

მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ოჯახის ეკონომიკური დაცვა შესაბამისი საშუალებებით. ძირითადი საშუალება უნდა იყოს სოციალური უზრუნველყოფის სახით მიწოდებული საოჯახო ან ბავშვის შემწეობები, რომლებიც ხელმისაწვდომია საყოველთაოდ, ან ექვემდებარება შემოსავლის შემოწმებას.¹⁷¹²

საკმარისი ოდენობის საოჯახო დახმარება

საოჯახო დახმარება უნდა იყოს შემოსავლის შესაბამისი დანამატი ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. შესაბამისობა ფასდება მედიანურ ეკვივალირებულ შემოსავალთან მიმართებით (მედიანური ეკვივალირებული შემოსავალი (ევროსტატი): ოჯახის შემოსავალი დგინდება თითოეული წევრის მიერ ნებისმიერი წყაროდან მიღებული ფულადი შემოსავლების შეჯამებით.¹⁷¹³ ოჯახის ზომასა და შემადგენლობაში არსებულ განსხვავებათა ასახვის მიზნით, ეს ჯამი იყოფა „ეკვივალენტურ ზრდასრულთა“ რაოდენობაზე, სტანდარტული სკალის გამოყენებით (ე.წ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)

¹⁷⁰⁶ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁰⁷ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁷⁰⁸ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁷⁰⁹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁷¹⁰ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷¹¹ [დასკვნები XXI-4 \(2019\), დანია](#)

¹⁷¹² [დასკვნები 2019, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁷¹³ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

ეკვივალენტობის შეცვლილი სკალა). შედეგად, მიღებული ციფრი მიემართება ოჯახის თითოეულ წევრს).¹⁷¹⁴

შეღვათის ოდენობა უნდა დარეგულირდეს საჭიროებისამებრ, რათა ფუნდამენტალური მისდის ინფლაციას.¹⁷¹⁵ ეკონომიკური დაცვის სხვა ფორმები, როგორცაა მშობიარობის შეღვათი, დამატებითი გადახდები მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, ან საგადასახადო შეღვათები ბავშვებთან მიმართებით, ასევე უკავშირდება აღნიშნული დებულების განხორციელებას.¹⁷¹⁶

საოჯახო შემწეობის შეჩერება ან შეწყვეტა, როდესაც ბავშვი წყვეტს სკოლაში სიარულს, შეიძლება ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს: შემცირდეს გაცდენები და მოსწავლეები დაუბრუნდნენ სკოლას, ამავედროულად, დაცული იყოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები (ამ შემთხვევაში - ბავშვის უფლება განათლებაზე).¹⁷¹⁷ მხარე სახელმწიფოები დისკრეციის ფარგლებით სარგებლობენ ასეთი ზომების შემუშავება-განხორციელებისას.¹⁷¹⁸ თუმცა, მიღებული ზომები არ უნდა იყოს სადამსჯელო, რადგან შეიძლება გაზარდოს შესაბამისი ოჯახის მოწყვლადობა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის კუთხით. ეს, თავისთავად, კიდევ უფრო გაართულებს ოჯახის სრულფასოვანი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას და გაზარდოს ამ ბავშვთა ეკონომიკურ და სოციალურ მოწყვლადობას.¹⁷¹⁹ საოჯახო შემწეობის ერთი წლით შეჩერება ან შეწყვეტა, როდესაც ბავშვი სკოლაში არ დადის ზედიზედ 3 თვის განმავლობაში, ან 6 თვე ერთი სასწავლო წლის მანძილზე, არ შეესაბამება მე-16 მუხლს.¹⁷²⁰

საოჯახო შემწეობის შეწყვეტა, როდესაც ბავშვი თავად ხდება მშობელი, ქარტიის მე-16 მუხლის დარღვევაა.¹⁷²¹

სოციალურად დაუცველი ოჯახები

მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ სოციალურად დაუცველი ოჯახების, მარტონელა მშობლებისა და ბოშათა ოჯახების დაცვა თანასწორი მოპყრობის პრინციპის შესაბამისად.¹⁷²²

თანასწორი მოპყრობა

მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, თანასწორად მოეპყრონ მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ ან რეგულარულად მომუშავე სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებს საოჯახო დახმარებებთან მიმართებით.¹⁷²³

თუმცა, როგორც 12§4 მუხლის შემთხვევაში და დანართის საფუძველზე, მე-16 მუხლი გამორიცხავს ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნას შენატანით შეღვათებთან მიმართებით, მაგრამ სახელმწიფოებს მისი გამოყენება შეუძლიათ შენატანის გარეშე შეღვათებისთვის, იმ პირობით, რომ ეს ხანგრძლივობა არ იქნება გადაჭარბებული.¹⁷²⁴

ბინადრობის ხანგრძლივობის მოთხოვნათა თანაზომიერება განიხილება ინდივიდუალურად,

¹⁷¹⁴ [დასკვნები 2006, განცხადება მე-16 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷¹⁵ [დასკვნები XVII-1 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\)](#)

¹⁷¹⁶ [დასკვნები XVII-1 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\)](#)

¹⁷¹⁷ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §58

¹⁷¹⁸ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §58

¹⁷¹⁹ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §59-61

¹⁷²⁰ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §61

¹⁷²¹ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §69

¹⁷²² [დასკვნები 2019, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁷²³ [დასკვნები XV-1 \(2000\), გაერთიანებული სამეფო; დასკვნები 2011, აზერბაიჯანი](#)

¹⁷²⁴ [დასკვნები XIV-1 \(1998\), შვედეთი](#)

სარგებლის ბუნებისა და მიზნის გათვალისწინებით: 6 თვის ვადა გონივრულია და შეესაბამება მე-16 მუხლს.¹⁷²⁵ მეორე მხრივ, 1 წელი - და, მით უფრო, 3-5 წელი - აშკარად გადაჭარბებულია და არღვევს მე-16 მუხლს.¹⁷²⁶

კითხვა, მოეთხოვება თუ არა ბავშვს ტერიტორიაზე ცხოვრება შემწეობის მისაღებად, განიხილება მხოლოდ 12§4 (და არა მე-16) მუხლის შესაბამისად.¹⁷²⁷

მუხლი 17 ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება

ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ უფლება შესაბამის სოციალურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ დაცვაზე.

17§1 ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების უფლების – აღიზარდონ ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი პიროვნების და მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრულ განვითარებას, ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უშუალოდ ან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, რომლებიც მიზნად ისახავს:

- ა) ბავშვებისა და ახალგაზრდების მათი მშობლების უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით მოვლის, დახმარების, განათლებისა და მომზადების უზრუნველყოფას, რომელიც მათ ესაჭიროებათ, კერძოდ, ამ მიზნისთვის საკმარისი და ადეკვატური ინსტიტუტებისა და სამსახურების შექმნითა და შენარჩუნებით;
- ბ) ბავშვებისა და ახალგაზრდების დაუდევრობისაგან, ძალადობისაგან ან ექსპლუატაციისაგან დაცვას;
- გ) უზრუნველყონ სახელმწიფოს მხრიდან იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა და მათთვის სპეციალური დახმარების გაწევა, რომლებიც დროებით ან განსაზღვრული ვადით მოკლებული არიან ოჯახურ მზრუნველობას.

დანართი: ეს დებულება მოიცავს 18 წლამდე ასაკის ყველა პირს, თუ ბავშვის მიმართ მოქმედი კანონმდებლობით სრულწლოვანება არ მიიღწევა უფრო ადრე, ქარტიის სხვა სპეციფიკური დებულებებისთვის, კერძოდ, მე-7 მუხლისთვის ზიანის მიუყენებლად.

*ეს არ გულისხმობს ვალდებულებას, რომ სავალდებულო განათლება მიეწოდებოდეს შემოსხენებულ ასაკამდე.*¹⁷²⁸

მე-17 მუხლი განმარტებულია გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის ფონზე.¹⁷²⁹ ის სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა ბავშვებმა ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი უფლება, გაიზარდონ მათი პიროვნებისა და ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოში.¹⁷³⁰ სახელმწიფოებმა, რომლებმაც მიიღეს ასეთი დებულება, უნდა გაატარონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ზომა, რათა ბავშვებსა და ახალგაზრდებს, მშობელთა უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, ჰქონდეთ საჭირო ზრუნვა, დანმარება, განათლება და მომზადება.¹⁷³¹

¹⁷²⁵ [დასკვნები XIV-1 \(1998\), შვედეთი](#)

¹⁷²⁶ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), დანია; დასკვნები 2019, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁷²⁷ [დასკვნები XVI-1 \(2002\), განცხადება 12§4 და მე-16 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁷²⁸ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁷²⁹ [დასკვნები XV-2 \(2001\), განცხადება მე-17 მუხლის განმარტების შესახებ; World Organisation against Torture \(OMCT\) v. Ireland](#), საჩივარი N 18/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, §55

¹⁷³⁰ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §134

¹⁷³¹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §134

მხარე სახელმწიფოთა ეს ვალდებულება მჭიდროდ უკავშირდება ზომებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა სიღარიბისა თუ სოციალური გარიყულობის შემსუბუქებისა და აღმოფხვრისკენ.¹⁷³² ეს ასევე ეხება შემთხვევას, როდესაც ბავშვთა სიღარიბე და სოციალური გარიყულობა გამოწვეული ან გამწვავებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისით, როგორცაა COVID-19-ის პანდემია.¹⁷³³

მე-17 მუხლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ▶ ბავშვის სამართლებრივი სტატუსი;¹⁷³⁴
- ▶ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვთა უფლებები;¹⁷³⁵
- ▶ ბავშვთა დაცვა ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და ბოროტად გამოყენებისგან;¹⁷³⁶
- ▶ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები;¹⁷³⁷
- ▶ უფლება დახმარებაზე.¹⁷³⁸

ბავშვის სამართლებრივი სტატუსი

ქარტიის მე-17 მუხლი არ უშვებს დისკრიმინაციას ქორწინების გარეშე და ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს შორის (მაგ: რჩენის ვალდებულებებსა და მემკვიდრეობის უფლებებთან მიმართებით).¹⁷³⁹

მე-17 მუხლით გარანტირებულია ბავშვის უფლება, იცოდეს თავისი წარმომავლობა.¹⁷⁴⁰ კომიტეტი შეისწავლის დედობისა და მამობის დადგენის ხელმისაწვდომ პროცედურებს, კერძოდ, ისეთ სიტუაციებში, როდესაც დედობის ან მამობის დადგენა შეუძლებელია და იზღუდება ბავშვის უფლება, იცოდეს თავისი წარმომავლობა.¹⁷⁴¹

წამოიჭრა კითხვები მიზეზებზე, რომლებიც უკავშირდება მხარე სახელმწიფოებში მამაკაცთა და ქალთა ქორწინების მინიმალურ ასაკში განსხვავებებს.¹⁷⁴² მათ უნდა გაათანაბრონ ეს ასაკი ქალებისა და კაცებისთვის.¹⁷⁴³

ევროპაში მოქალაქეობის არმქონე ბავშვთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მოქალაქეობის არქონის შესამცირებლად (მაგ: გამოავლინონ მოქალაქეობის არმქონე ყველა მიგრანტი ბავშვი, გაამარტივონ მოქალაქეობის მიღების პროცედურები და მიიღონ ზომები იმ ბავშვთა იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც არ დაურეგისტრირებიათ დაბადებისას).¹⁷⁴⁴

მხარე სახელმწიფოებმა ასევე უნდა მუწყონ ხელი დაბადების რეგისტრაციას, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ბოშები, თავშესაფრის მაძიებლები და არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები).¹⁷⁴⁵

განათლების მიღების უფლება

მე-17 მუხლის ორივე პუნქტით გარანტირებულია ყველა ბავშვის უფლება განათლების

¹⁷³² [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁷³³ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁷³⁴ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

¹⁷³⁵ [დასკვნები XV-2 \(2001\), განცხადება მე-17 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷³⁶ [დასკვნები XV-2 \(2001\), განცხადება მე-17 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁷³⁷ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

¹⁷³⁸ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

¹⁷³⁹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), მალტა](#)

¹⁷⁴⁰ [დასკვნები XV-2 \(2001\), საფრანგეთი](#)

¹⁷⁴¹ [დასკვნები XV-2 \(2001\), საფრანგეთი](#)

¹⁷⁴² [დასკვნები XV-2 \(2001\), საფრანგეთი](#); [დასკვნები 2011, უკრაინა](#)

¹⁷⁴³ [დასკვნები XV-2 \(2001\), საფრანგეთი](#); [დასკვნები 2011, უკრაინა](#)

¹⁷⁴⁴ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

¹⁷⁴⁵ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

მიღებაზე.¹⁷⁴⁶ თუ სახელმწიფოებს მიღებული აქვთ მე-17 მუხლის ორივე პუნქტი, საკითხი განიხილება 17§2 მუხლის შესაბამისად.¹⁷⁴⁷ ასევე, როცა სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს მე-15 მუხლი, მეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განათლების მიწოდება განიხილება ამ დებულებით, და არა შესწორებული ქარტიის 17(2) მუხლის შესაბამისად.¹⁷⁴⁸

სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები

ოჯახი ბუნებრივი გარემოა ბავშვის ზრდისა და კეთილდღეობისთვის და ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებს.¹⁷⁴⁹ მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი სამართლებრივი, ფინანსური და საოპერაციო ზომა, რათა პროგრესულად უზრუნველყონ ყველა მცირეწლოვნისთვის (განსაკუთრებით, სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის) საოჯახო და თემზე დაფუძნებული ზრუნვის ყველაზე შესაფერისი მომსახურებები.¹⁷⁵⁰

მშობლის მეურვეობის უფლების ნებისმიერი მეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს და არ გასცდეს ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია ბავშვისა და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ასევე, ოჯახის რეაბილიტაციისათვის.¹⁷⁵¹

გრძელვადიანი ზრუნვა ბავშვებზე ოჯახს გარეთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიმდინარეობდეს მათი აღზრდისთვის შესაფერის მიმღებ ოჯახებში და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში წარმართოს დაწესებულებებში.¹⁷⁵² მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია ოჯახში, განთავსების პერიოდში კი გასათვალისწინებელია ოჯახთან კონტაქტი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.¹⁷⁵³ დაწესებულებებში განთავსებულ ბავშვებს უფლება აქვთ, მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მათი ემოციური საჭიროებები და ფიზიკური კეთილდღეობა, ასევე, მიიღონ სპეციალური დაცვა და დახმარება.¹⁷⁵⁴ ასეთი დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული პირობები ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტს.¹⁷⁵⁵ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებაში განყოფილება უნდა წააგავდეს სახლის გარემოს; შესაბამისად, ის არ უნდა სთავაზობდეს საცხოვრებელს 10-ზე მეტ ბავშვს.¹⁷⁵⁶ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი პერიოდულად უნდა გადაიხედოს მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.¹⁷⁵⁷

ხელშეუხებლობის, კონფიდენციალურობის, საკუთრებისა და ახლობლებთან შეხვედრის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები შესაბამისად უნდა იყოს გარანტირებული დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვებისთვის.¹⁷⁵⁸

ნებადართულია ხელშეუხებლობის, კონფიდენციალურობისა და საკუთრების უფლების მხოლოდ ის მეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ბავშვის უსაფრთხოების დასაცავად, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ან სხვათა ჯანმრთელობისა

¹⁷⁴⁶ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §34

¹⁷⁴⁷ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §34

¹⁷⁴⁸ [დასკვნები 2019, ავსტრია](#)

¹⁷⁴⁹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §135

¹⁷⁵⁰ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §144

¹⁷⁵¹ [დასკვნები XIX-4 \(2011\), განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#), რომელშიც ციტირებულია დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁵² დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁵³ [დასკვნები XIX-4 \(2011\), განცხადება მე-16 და 17§2 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁵⁴ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁵⁵ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁵⁶ [დასკვნები 2005, მოლოდინის რესპუბლიკა](#); დასკვნები XVII-2 (2005), მალტა

¹⁷⁵⁷ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §143

¹⁷⁵⁸ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.¹⁷⁵⁹ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა და იზოლაციის პირობები, რომლებიც წესდება დისციპლინური ღონისძიების ან სასჯელის სახით, ასევე უნდა განისაზღვროს კანონმდებლობით და შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ახალგაზრდის აღზრდისთვის.¹⁷⁶⁰

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელიც შეეხება მშობლის უფლებათა შეზღუდვას, ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოთავსებას, ან უახლოესი ნათესავების წვდომის შეზღუდვას ბავშვზე.¹⁷⁶¹

გარდა ამისა, უნდა არსებობდეს გასაჩივრების პროცედურა ინსტიტუციური ზრუნვისა და მკურნალობის შესახებ.¹⁷⁶² აუცილებელია შესაბამისი ზედამხედველობა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაზე, კერძოდ, მასში ჩართულ დაწესებულებებზე.¹⁷⁶³ თუ ბავშვთა სახლებს მართავენ კერძო მიმწოდებლები და მიმღები ოჯახები დაქირავებულნი არიან კერძო სააგენტოების მიერ, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მექანიზმები სათანადო ხარისხის ზრუნვის მისაწოდებლად.¹⁷⁶⁴

ბავშვის განთავსება უნდა იყოს გამონაკლისი ზომა და გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეფუძნება ბავშვის საჭიროებებს - კერძოდ, თუ ოჯახის გარემოში ყოფნა საფრთხეს უქმნის ბავშვს.¹⁷⁶⁵ ოჯახის ფინანსური ან მატერიალური მდგომარეობა არ უნდა იყოს განთავსების ერთადერთი მიზეზი.¹⁷⁶⁶ ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა შეისწავლონ ბავშვთა განთავსების ალტერნატივები, ბავშვის, მისი მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების შეხედულებებისა და სურვილების გათვალისწინებით.¹⁷⁶⁷

როდესაც აღიარებულია, რომ ბავშვთა გარკვეულ ჯგუფს (მაგ: ბომა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნები) ემუქრება ან შეიძლება დაემუქროს ზრუნვის დაწესებულებაში განთავსების არათანაზომიერად მაღალი რისკი მოსახლეობის უმრავლესობასთან შედარებით, სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ მონაცემები პრობლემის მასშტაბის შესახებ.¹⁷⁶⁸ ასეთი მონაცემების შეგროვება და გაანალიზება (პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვითა და ბოროტად სარგებლობის საწინააღმდეგო გარანტიებით) აუცილებელია შესაბამისი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და ამ ბავშვთა სოციალური და ეკონომიკური დაცვისთვის საჭირო ზომების მისაღებად.¹⁷⁶⁹

მე-17 მუხლი გულისხმობს დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყება-გაგრძელების ვალდებულებას, რათა თემზე დაფუძნებული საოჯახო ტიპის მომსახურებები ფაქტობრივად იყოს ხელმისაწვდომი ყველა მცირეწლოვანი ბავშვისთვის, რომლებიც ვერ იზრდებიან ოჯახურ გარემოში, ან დროებით თუ სამუდამოდ მოკლებულნი არიან ოჯახის მხარდაჭერას.¹⁷⁷⁰ ამასთანავე, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ქარტიის მიზნების გონივრულ

¹⁷⁵⁹ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁶⁰ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁶¹ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁶² დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁶³ დასკვნები XV-2, განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁶⁴ [დასკვნები XXI-4 \(2019\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁷⁶⁵ [დასკვნები XIX-4 \(2011\), განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁶⁶ [დასკვნები XIX-4 \(2011\), განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁶⁷ [დასკვნები XIX-4 \(2011\), განცხადება მე-16 და 17§1 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁷⁶⁸ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §172, რომელშიც ციტირებულია [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 7 დეკემბერი, §23

¹⁷⁶⁹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §172, რომელშიც ციტირებულია [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 7 დეკემბერი, §23

¹⁷⁷⁰ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §145

ვადებში მისაღწევად, გაზომვადი პროგრესით და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით.¹⁷⁷¹ ამის შეუსრულებლობა არღვევს მე-17 მუხლს.¹⁷⁷²

ბავშვთა დაცვა ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და ბოროტად გამოყენებისგან

მხარე სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა აკრძალოს და დასაჯოს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, მათ შორის, ფიზიკური დასჯის ნებისმიერი ფორმა ყველა გარემოში.¹⁷⁷³ ასეთმა ქმედებებმა ან ქცევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, ღირსებაზე, განვითარებასა ან ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.¹⁷⁷⁴ შესაბამისი დებულებები უნდა იყოს საკმარისად მკაფიო, სავალდებულო და ზუსტი, რათა სასამართლომ უარი არ თქვას მათ გამოყენებაზე ბავშვის მიმართ ძალადობის კონტექსტში.¹⁷⁷⁵ გარდა ამისა, მხარე სახელმწიფოებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ ასეთი ძალადობის პრაქტიკაში აღმოსაფხვრელად.¹⁷⁷⁶

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

კომიტეტი მიიჩნევს, რომ მე-17 მუხლით გათვალისწინებული სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლება უკვე დიდი ხანია გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ.¹⁷⁷⁷ მხარე სახელმწიფოთა ვალდებულება მე-17 მუხლის შესაბამისად, „მიიღონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ზომა“ ამ უფლების ფაქტობრივად განხორციელებისათვის - მათ შორის, „საკმარისი და ადეკვატური ინსტიტუტების ან სამსახურების შექმნითა და შენარჩუნებით“ - აუცილებლად ვრცელდება იმ ზომებზე, ინსტიტუტებსა და მომსახურებებზე, რომლებიც უკავშირდება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა მდგომარეობას.¹⁷⁷⁸

განრიდება

მე-17 მუხლი მოიცავს ვალდებულებას შესაბამისი ზომების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, რათა შემცირდეს მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტის განსაკუთრებით მავნე ზემოქმედება და შეიზღუდოს საფრთხე, რომლის წინაშეც შეიძლება დადგეს ბავშვის კეთილდღეობა და განვითარება ასეთი კონტაქტის შემთხვევაში.¹⁷⁷⁹ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი გზაა ბავშვების განრიდება ფორმალური პროცესებისგან და ჩართვა განრიდების პროგრამებში, ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.¹⁷⁸⁰

შეიძლება მხარე სახელმწიფოთა დისკრეციაში დარჩეს განრიდების ზომების ზუსტი ბუნებისა და შინაარსის გადაწყვეტა, ასევე, აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომების

¹⁷⁷¹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §146

¹⁷⁷² [European Roma Rights Centre \(ERRC\) and Mental Disability Advocacy Centre \(MDAC\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 157/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 17 ივნისი, §165

¹⁷⁷³ [დასკვნები 2005, მოლოდინის რესპუბლიკა; Association for the Protection of all Children \(APPROACH\) Ltd v. Ireland](#), საჩივარი N 93/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 დეკემბერი, §§53-54; დასკვნები 2019, ბელგია

¹⁷⁷⁴ [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Portugal](#), საჩივარი N 34/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 5 დეკემბერი, §§19-21

¹⁷⁷⁵ [World Organisation against Torture \(OMCT\) v. Portugal](#), საჩივარი N 34/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 5 დეკემბერი, §§19-21

¹⁷⁷⁶ [Association for the protection of all children \(APPROACH\) Ltd v. Belgium](#), საჩივარი N 98/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 20 იანვარი, §47

¹⁷⁷⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §45

¹⁷⁷⁸ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §45

¹⁷⁷⁹ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §120

¹⁷⁸⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §120

მიღება მათ განსახორციელებლად.¹⁷⁸¹ რაც შეეხება ამ ზომების განხორციელების ფორმას, შეიძლება შემუშავდეს თემზე დაფუძნებული პროგრამები, როგორცაა: საზოგადოებრივი მომსახურებები; ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მხრიდან; საოჯახო კონფერენციები და სხვა აღდგენითი მართლმსაჯულების შესაძლებლობები, მათ შორის, ზიანის ანაზღაურება დაზარალებულთათვის.¹⁷⁸²

განრიდების ყველა ზომა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებებსა და საუკეთესო ინტერესებს.¹⁷⁸³ ეს მოიცავს სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას ამ კონტექსტში, როგორცაა იურიდიული დახმარება ბავშვისთვის შეთავაზებულ განრიდებასთან მიმართებით და ამ ზომის გადახედვის შესაძლებლობა.¹⁷⁸⁴

თუ ბავშვს, რომელსაც არ მიუღწევია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, ვერ სთავაზობენ ალტერნატივებს (განრიდებას), ირღვევა ქართის მე-17 მუხლი.¹⁷⁸⁵

პროცედურული გარანტიები

ქართის მე-17 მუხლის თანახმად, ბავშვები უნდა სარგებლობდნენ დაცვის შესაბამისი დონით, საქმისწარმოების (სისხლის სამართლის იქნება, თუ სამოქალაქო) ფორმალური მიზნისა და ბუნების მიუხედავად შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.¹⁷⁸⁶ ბავშვები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, შესაბამისად უნდა იყვნენ დაცულნი როგორც წინასასამართლო, ისე სასამართლო პროცესის ეტაპებზე.¹⁷⁸⁷

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არ უნდა იყოს ძალიან დაბალი.¹⁷⁸⁸ ის არ უნდა ჩამოსცდეს 14 წელს, სახელმწიფოები კი უნდა ეცადონ ამ მინიმალური ასაკის თანდათანობით გაზრდას.¹⁷⁸⁹ მართალია, არ შეიძლება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცეს ბავშვი, რომელსაც არ მიუღწევია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, თუმცა ის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამართლებრივ-პროცედურული დაცვით, ვინაიდან ასეთ საქმისწარმოებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვზე, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური დაცვის თვალსაზრისით.¹⁷⁹⁰

ბავშვთა და მოზარდთა მიმართ სისხლის სამართლის პროცესი უნდა მოერგოს მათ ასაკს, არასრულწლოვანთა მიმართ საქმისწარმოება კი სწრაფად განხორციელდეს.¹⁷⁹¹ ზომების მიღებას სახელმწიფოს განზრახვის ფონზე, რომ უფრო დამცავი სისტემა შეუქმნას ბავშვებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, შედეგად არ უნდა მოჰყვეს უფრო ნაკლები ან/და სუსტი სამართლებრივი პროცედურული დაცვა, ზრდასრულებთან შედარებით.¹⁷⁹²

¹⁷⁸¹ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §121

¹⁷⁸² [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §121

¹⁷⁸³ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §123

¹⁷⁸⁴ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §123

¹⁷⁸⁵ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §124

¹⁷⁸⁶ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §85

¹⁷⁸⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §86

¹⁷⁸⁸ [დასკვნები 2011, ირლანდია, დასკვნები XIX-4 \(2011\) გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁷⁸⁹ [დასკვნები 2019, საფრანგეთი](#)

¹⁷⁹⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §86

¹⁷⁹¹ დასკვნები XV-2 (2001), განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁷⁹² [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §85

იურიდიული დახმარების მიღების უფლება

ბავშვები, რომლებსაც არ მიუღწევიათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, უნდა სარგებლობდნენ ადვოკატის დახმარებით, რათა გაიზარონ თავიანთი უფლებები და მათ მიმართ მოქმედი პროცედურები დაცვის მოსამზადებლად.¹⁷⁹³ გარდა ამისა, მათ უნდა შეეძლოთ იურიდიული დახმარების მიღება საქმისწარმოების დაწყებისთანავე, განსაკუთრებით, პოლიციაში დაკითხვისას. სახელმწიფოებმა ბავშვისთვის უნდა უზრუნველყონ ადვოკატის დახმარება, თუ ბავშვი ან მისი კანონიერი მეურვე ვერ ახერხებს ამის ორგანიზებას.¹⁷⁹⁴

გარდა ამისა, ადვოკატის დახმარება აუცილებელია იმ სიტუაციებში, როდესაც მშობლების/კანონიერი მეურვეების ინტერესები ეწინააღმდეგება ბავშვისას და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებშია მშობლების/კანონიერი მეურვეების გამორიცხვა საქმისწარმოებიდან.¹⁷⁹⁵ ბავშვების სავალდებულო განცალკევებულ იურიდიულ წარმომადგენლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისწარმოების წინასასამართლო ეტაპზე.¹⁷⁹⁶

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა იურიდიული დახმარება არ უნდა დარჩეს ხელისუფლების დისკრეციაში, თუნდაც საქმისწარმოების წინასასამართლო ეტაპზე.¹⁷⁹⁷

დაკითხვისას ბავშვს უნდა ახლდეს მშობელი, კანონიერი მეურვე ან სხვა სანდო პირი.¹⁷⁹⁸ იგი ბავშვს უწევს ზოგად ფსიქოლოგიურ და ემოციურ დახმარებას, რითაც ხელს უწყობს ეფექტიანი შედეგების მიღებას. თუმცა ასეთ პირს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ცოდნა ბავშვის უფლებებსა და ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე.¹⁷⁹⁹

ბავშვებს უნდა მიეცეთ უფლება, ინფორმირებულნი იყვნენ პოლიციის ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე.¹⁸⁰⁰ მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავად აირჩიონ პრაქტიკაში ამის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები და ზომები.¹⁸⁰¹

პატიმრობაში მყოფი ბავშვები

არასრულწლოვნები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და ხანმოკლე ვადით უნდა დააკავონ მძიმე დანაშაულისთვის საქმის სასამართლოში განხილვის მოლოდინში. ასეთ შემთხვევაში, ისინი უნდა იმყოფებოდნენ ზრდასრულთაგან განცალკევებით.¹⁸⁰²

ახალგაზრდა დამნაშავეებს თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეფარდოთ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ეს ზომა უნდა იყოს ხანმოკლე, სასჯელის ხანგრძლივობა კი

¹⁷⁹³ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §93

¹⁷⁹⁴ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §93

¹⁷⁹⁵ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §99

¹⁷⁹⁶ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §99

¹⁷⁹⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §94

¹⁷⁹⁸ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §98

¹⁷⁹⁹ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §98

¹⁸⁰⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §104

¹⁸⁰¹ [International Commission of Jurists \(ICJ\) v. Czech Republic](#), საჩივარი N 148/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 20 ოქტომბერი, §106

¹⁸⁰² [დასკვნები 2005, საფრანგეთი; დასკვნები XIX-4 \(2011\), დანია](#); დასკვნები XV-2 (2001), განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

დაადგინოს სასამართლომ.¹⁸⁰³ სასჯელები რეგულარულად უნდა გადაიხედოს.¹⁸⁰⁴ გარდა ამისა, ახალგაზრდა დამნაშავეებმა არ უნდა მოიხადონ სასჯელი სრულწლოვან პატიმრებთან ერთად.¹⁸⁰⁵

ბავშვის სამართლო საკანში პატიმრობა ოთხ კვირამდე ვადით არ შეესაბამება მე-17 მუხლს.¹⁸⁰⁶

დამნაშავედ ცნობილ ბავშვებს უნდა შეეძლოთ ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება, მათ შორის, შეძლებისდაგვარად ახლოს განთავსებით, ასევე, მიმოწერისა და ვიზიტების უფლების მიცემით.¹⁸⁰⁷

დანარების მიღების უფლება

ქართის მე-17 მუხლში ნათქვამია, რომ არასრულწლოვნებს უნდა შეეძლოთ, მიიღონ მათი ასაკის, ასევე, იმ საფრთხის შესაბამისი დაცვა, რომლის წინაშეც დგანან ასაკის გამო.¹⁸⁰⁸ მე-17 მუხლი უზრუნველყოფს ბავშვთა, მათ შორის, არალეგალურ მდგომარეობაში და თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა მოვლისა და დანარების უფლებას, სამედიცინო დანარებისა და სათანადო საცხოვრებლის მიღების ჩათვლით.¹⁸⁰⁹

მე-17 მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანი არის თანმხლები პირის გარეშე, ან მშობლებს არ შეუძლიათ ასეთი დანარების ორგანიზება, დანარება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.¹⁸¹⁰ მე-17 მუხლის 1(b) პუნქტის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი წარუმატებლობა აშკარად უქმნის სერიოზულ საფრთხეს მრავალი ბავშვისა და მოზარდის სიცოცხლესა და ფიზიკურ ხელშეუხებლობას.¹⁸¹¹ ვინაიდან 31§2 და მე-17 მუხლების მოქმედების სფერო დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს, კომიტეტი თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა თავშესაფრის უფლების საკითხს აფასებს 31§2 მუხლის მოქმედების სფეროს შესაბამისად (თუ მხარე სახელმწიფოებს მიღებული აქვთ ორივე დებულება).¹⁸¹²

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი და შესაბამისი ზომები თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვნებზე ზრუნვისა და მათი დანარებისთვის; ასევე, დაიცვან ისინი გულგრილობის, ძალადობისა ან ექსპლუატაციისგან, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხელშეუხებლობა და ადამიანის ღირსების პატივისცემა.¹⁸¹³

თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვანთა მიღების სისტემამ პატივი უნდა სცეს ბავშვების ღირსებას.¹⁸¹⁴

თანმხლები პირის გარეშე მყოფი მიგრანტი ბავშვები შეძლებისდაგვარად სწრაფად

¹⁸⁰³ [დასკვნები 2011, ნორვეგია](#); დასკვნები XV-2 (2001), განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁸⁰⁴ [დასკვნები 2019, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁸⁰⁵ [დასკვნები 2011, ბელგია](#); დასკვნები XV-2 (2001), განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁸⁰⁶ [დასკვნები XXI-4 \(2019\), დანია](#)

¹⁸⁰⁷ დასკვნები XV-2 (2001), განცხადება 17§1 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁸⁰⁸ [European Committee for HomeBased Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §97

¹⁸⁰⁹ [International Federation of Human Rights Leagues \(FIDH\) v. France](#), საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 3 ნოემბერი, §36; [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §§70-71 ; [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §50

¹⁸¹⁰ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §73

¹⁸¹¹ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §73

¹⁸¹² [European Committee for HomeBased Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §173

¹⁸¹³ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §82

¹⁸¹⁴ [European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §138

უნდა მოთავსდნენ შესაბამის მიმღებ დაწესებულებაში და მათი საჭიროებები შეფასდეს გულდასმით.¹⁸¹⁵ დაუყოვნებლივი დახმარება აუცილებელია და საშუალებას იძლევა, შეფასდეს ახალგაზრდების მატერიალური საჭიროებები, მათ შორის, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების აუცილებლობა, და შემუშავდეს ბავშვის მხარდაჭერის გეგმა.¹⁸¹⁶ ეს შეფასება ხშირად გადამწყვეტია თავშესაფრის მიღების უფლების ეფექტიანობისთვის.¹⁸¹⁷

თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა დაკავება მოსაცდელ ადგილებში ზრდასრულებთან ერთად, ან/და მეურვის გარეშე განთავსება სასტუმროებში, განსაკუთრებით, დიდი ხნით (ანუ კვირების ან თვეების განმავლობაში) და ასაკის შესაბამისი მომსახურებების გარეშე, არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და არღვევს მე-17 მუხლს.¹⁸¹⁸

თანმხლები პირის გარეშე მყოფ ბავშვებს არ უნდა ჩამოერთვათ თავისუფლება, მათი პატიმრობა კი არ შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ისეთი საფუძვლებით, როგორცაა თანმხლების გარეშე ან ოჯახისგან განცალკევებულად ყოფნა, მიგრაციის ან ბინადრობის სტატუსი, ან ასეთი სტატუსის არქონა.¹⁸¹⁹ კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის დაპატიმრება მათი ან მშობლების საიმისიგრაციო სტატუსის საფუძველზე ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.¹⁸²⁰

უნდა გატარდეს ზომები, რათა თავშესაფრის მაძიებელი ოჯახების განთავსებისთვის მოიძებნოს ალტერნატივები და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსული მიგრანტი ბავშვი (თანმხლებით იქნება, თუ თანმხლების გარეშე) განთავსდეს შესაფერის საცხოვრებელ ადგილას, რომელიც იქნება შესაბამისი მონიტორინგის ქვეშ.¹⁸²¹ პოლიციის განყოფილებებსა ან დახურულ დაწესებულებებში განთავსება, თუნდაც ხანმოკლე დროით, ვერ ჩაითვლება სათანადო თავშესაფრისა და საცხოვრებლის ალტერნატივად, რომელიც მიესადაგება თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვების ასაკსა და საჭიროებებს.¹⁸²²

ასაკის სამედიცინო გზით დადგენას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს არასრულწლოვანთათვის, ხოლო ამ მიზნით ძვლის ანალიზის ჩატარება თანმხლების გარეშე მყოფ უცხოელ ბავშვთა მიმართ, შეუსაბამო და არასანდოა.¹⁸²³ ამიტომ, ასეთი ტესტის გამოყენება არღვევს ქარტიის 17§1 მუხლს.¹⁸²⁴

თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვანს დაუყოვნებლად უნდა დაენიშნოს დროებითი მეურვე.¹⁸²⁵ მეურვეობის ეფექტიანი სისტემა წინაპირობაა თანმხლები პირის გარეშე მყოფი და ოჯახისგან განცალკევებული მიგრანტი ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მასზე ზრუნვისთვის და მის დასახმარებლად, როგორც ამას მოითხოვს ქარტიის 17§1 მუხლი.¹⁸²⁶ ამიტომ, მხარე სახელმწიფოებმა დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე უნდა დანიშნონ მეურვე, როგორც კი გამოვლინდება თანმხლები პირის გარეშე მყოფი ან

¹⁸¹⁵ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §157

¹⁸¹⁶ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §157

¹⁸¹⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §157

¹⁸¹⁸ [European Committee for HomeBased Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §§100-101

¹⁸¹⁹ [დასკვნები 2019, ანდორა](#)

¹⁸²⁰ [დასკვნები XXI-4 \(2019\), გაერთიანებული სამეფო](#)

¹⁸²¹ [დასკვნები 2019, უნგრეთი](#)

¹⁸²² [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §176

¹⁸²³ [European Committee for HomeBased Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §§106, 108

¹⁸²⁴ [European Committee for HomeBased Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §113

¹⁸²⁵ [European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §158

¹⁸²⁶ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §165

ოჯახისგან განცალკევებული მიგრანტი ბავშვი, მათ შორის, ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი არასრულწლოვანი.¹⁸²⁷ მეურვის გარეშე, ასეთი ბავშვები შეიძლება დადგნენ დაცვის სერიოზული რისკის წინაშე და ვერ ისარგებლონ მთელი რიგი უფლებებით, იურიდიულ დახმარებასა და თავშესაფრის პროცედურებზე ფაქტობრივი წვდომის ჩათვლით.¹⁸²⁸

მეურვეს უნდა ჰქონდეს ბავშვზე ზრუნვის აუცილებელი გამოცდილება, რათა დაიცვას ბავშვის ინტერესები და შესაბამისად დააკმაყოფილოს ბავშვის საჭიროებები, მათ შორის, იმოქმედოს როგორც შემაკავშირებელმა რგოლმა ბავშვსა და ხელისუფლების ორგანოს, დაწესებულებებსა თუ ზრუნვის გამწევ ფიზიკურ პირებს შორის.¹⁸²⁹ მეურვეების დანიშვნასთან, პასუხისმგებლობებსა და ამოცანებთან მიმართებით, ქარტიის მხარე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ პრინციპებით, რომლებიც შევიდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემულ რეკომენდაციაში თანმხლების გარეშე მყოფ და ოჯახისგან განცალკევებულ ბავშვთა ეფექტიანი მეურვეობის შესახებ მიგრაციის კონტექსტში (მიღებულია 2019 წლის 11 დეკემბერს (CM/Rec(2019) 11, დანართი, კერძოდ, პრინციპები 2 და 3).¹⁸³⁰

ბავშვთა სიღარიბე

მხარე სახელმწიფოში ბავშვთა სიღარიბის ფართოდ გავრცელება (მონეტარული თვალსაზრისით განისაზღვრება/გაიზომება, თუ მრავალგანზომილებიანი კუთხით) მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფო ძალისხმევის ეფექტიანობას ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად.¹⁸³¹ სახელმწიფოთა ვალდებულება, მიიღონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ზომა, რათა ბავშვებსა და ახალგაზრდებს ჰქონდეთ საჭირო დახმარება, მჭიდროდ უკავშირდება ბავშვთა სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის შემსუბუქება-ამოფხვრაზე მიმართულ ზომებს.¹⁸³² ამიტომ, კომიტეტი გაითვალისწინებს ბავშვთა სიღარიბის დონეს როდესაც განიხილავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ქარტიის მე-17 მუხლის შესაბამისად.¹⁸³³

უნდა გატარდეს ზომები ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად, არაფულადი ღონისძიებების ჩათვლით, როგორცაა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურებების მიწოდება ჯანდაცვის, განათლების, საცხოვრებლისა და ა.შ. სფეროებში.¹⁸³⁴

ბავშვები ასევე უნდა მონაწილეობდნენ ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლაში.¹⁸³⁵

17§2 ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების უფლების – აღიზარდონ ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი პიროვნებისა და ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრულ განვითარებას – ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უშუალოდ ან საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, რომელიც მიზნად ისახავს: უზრუნველყონ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება, ისევე როგორც, მათ მიერ სკოლებში რეგულარული დასწრების წახალისება.

დანართი: ეს დებულება მოიცავს 18 წლამდე ასაკის ყველა პირს, თუ ბავშვის მიმართ მოქმედი

¹⁸²⁷ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §165

¹⁸²⁸ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, 165

¹⁸²⁹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, 165

¹⁸³⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, 165

¹⁸³¹ [დასკვნები 2019, ანდორა](#)

¹⁸³² [დასკვნები 2019, ანდორა](#)

¹⁸³³ [დასკვნები 2019, ანდორა](#)

¹⁸³⁴ [დასკვნები 2019, ანდორა](#)

¹⁸³⁵ [დასკვნები 2019, ანდორა](#)

კანონმდებლობით სრულწლოვანება არ მიიღწევა უფრო ადრე, ქარტიის სხვა სპეციფიკური დებულებებისთვის, კერძოდ, მე-7 მუხლისთვის ზიანის მიუყენებლად.¹⁸³⁶

ეს არ გულისხმობს ვალდებულებას, რომ სავალდებულო განათლება მიეწოდებოდეს ზემოხსენებულ ასაკამდე.¹⁸³⁷

მე-17 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ხელმისაწვდომი და ეფექტიანი განათლების სისტემის შექმნასა და შენარჩუნებას.¹⁸³⁸

სწავლების ხარისხი

მხარე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და შეინარჩუნონ ხელმისაწვდომი და ეფექტიანი განათლების სისტემა.¹⁸³⁹ დაწყებითი და საშუალო განათლების ფუნქციონირებადი სისტემა მოიცავს საკმარისი რაოდენობის სკოლებს, რომლებიც თანაბრად არის გადაწილებული გეოგრაფიულ არეალში (კერძოდ, სოფლებისა და ქალაქების ტერიტორიაზე).¹⁸⁴⁰ კლასების ზომა და მასწავლებელ-მოსწავლის თანაფარდობა უნდა იყოს გონივრული.¹⁸⁴¹ ასევე უნდა არსებობდეს სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმი დამისიმეთოდები გამოიყენებოდეს როგორც საჯარო, ისე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.¹⁸⁴²

განათლება უნდა იყოს სავალდებულო დასაქმების მინიმალურ ასაკამდე.¹⁸⁴³

ქარტია ითვალისწინებს, რომ ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულებები შეიძლება შესრულდეს უშუალოდ, ან კერძო სუბიექტთა ჩართულობით.¹⁸⁴⁴ ამ მიმართებით, კომიტეტი აცნობიერებს აბიჯანის სახელმძღვანელო პრინციპებს სახელმწიფოთა ვალდებულებებზე ადამიანის უფლებათა კუთხით, რომ უზრუნველყონ საჯარო განათლება და დაარეგულირონ კერძო პირთა მონაწილეობა განათლებაში.¹⁸⁴⁵ კომიტეტის თქმით, მოთხოვნა, რომ სახელმწიფოებმა პატივი სცენ მშობლების თავისუფლებას საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევას (სახელმწიფო იქნება, თუ კერძო), უცვლელს ტოვებს ქარტიით დადგენილ ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს უფასო და ხარისხიანი საჯარო განათლება.¹⁸⁴⁶ ანალოგიურად, კერძო სუბიექტთა მიერ აღტერნატიული საგანმანათლებლო ვარიანტების შეთავაზებამ არ უნდა დააზიანოს რესურსების გამოყოფა საჯარო განათლებისთვის, ან სხვაგვარად არ უნდა შეარყიოს მისი ხელმისაწვდომობა და ხარისხი.¹⁸⁴⁷ გარდა ამისა, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მკაცრად დაარეგულირონ და გააკონტროლონ კერძო სექტორის მონაწილეობა განათლებაში, რათა ძირი არ გამოეთხაროს განათლების მიღების უფლებას.¹⁸⁴⁸

პირადი მოქმედების სფერო

განათლებაზე თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეს ყველა ბავშვს. ამ მიმართებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან უმცირესობები, თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები, საავადმყოფოში ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები, ორსული მოზარდები, მშობელი მოზარდები, თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები და ა.შ.¹⁸⁴⁹ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ზომები უნდა გატარდეს ამ ბავშვებისთვის

¹⁸³⁶ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁸³⁷ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁸³⁸ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸³⁹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸⁴⁰ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸⁴¹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸⁴² [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸⁴³ დასკვნები 2003, განცხადება მე-17 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁸⁴⁴ დასკვნები 2019, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ – კერძო სექტორის ჩართულობა განათლებაში

¹⁸⁴⁵ დასკვნები 2019, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ – კერძო სექტორის ჩართულობა განათლებაში

¹⁸⁴⁶ დასკვნები 2019, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ – კერძო სექტორის ჩართულობა განათლებაში

¹⁸⁴⁷ დასკვნები 2019, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ – კერძო სექტორის ჩართულობა განათლებაში

¹⁸⁴⁸ დასკვნები 2019, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ – კერძო სექტორის ჩართულობა განათლებაში

¹⁸⁴⁹ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §34, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

განათლებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად.¹⁸⁵⁰ თუმცა, სპეციალური ზომები ბომა ბავშვების მიმართ არ უნდა მოიცავდეს ცალკე სკოლების ან კლასების შექმნას მხოლოდ ამ ჯგუფისთვის.¹⁸⁵¹

რაც შეეხება შშმ ბავშვებს, მათი განათლების მიღების უფლება გარანტირებულია როგორც მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით, ისე მე-10 და 15§1 მუხლებით.¹⁸⁵² თუმცა, ამ განსხვავებული დებულებების მახასიათებელთა გათვალისწინებით, მე-15 მუხლი პრიორიტეტულად გამოიყენება: თუ მხარე სახელმწიფოებს მიღებული აქვთ მე-15 მუხლი, კომიტეტი შშმ ბავშვთა წვდომას განათლებაზე განიხილავს ამ დებულების შესაბამისად.¹⁸⁵³ ასეთ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინკლუზიურ განათლებაზე, მე-17 მუხლის¹⁸⁵⁴ (და ასევე მე-15 მუხლის) შესაბამისად.

განათლებაზე წვდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეული ბავშვის ცხოვრებისა და განვითარებისთვის.¹⁸⁵⁵ მისი უარყოფა ამწვავებს იმ ბავშვის მოწყვლადობას, რომელიც ქვეყანაში არარეგულარულად იმყოფება.¹⁸⁵⁶ ამიტომ, ბავშვები, განურჩევლად მათი ბინადრობის სტატუსისა, ექვევინ 17§2 მუხლის მოქმედების ფარგლებში.¹⁸⁵⁷ გარდა ამისა, მხარე სახელმწიფოებს ქართის 17§2 მუხლის შესაბამისად მოეთხოვებათ, რომ მათ ტერიტორიაზე არაღელვარულად მყოფ ბავშვებს - თუნდაც მათ, ვინც ასცდა სავალდებულო განათლების ასაკს - ფაქტობრივი წვდომა ჰქონდეთ განათლებაზე ნებისმიერი სხვა ბავშვის მსგავსად.^{1858/1859} განათლებაზე წვდომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეული ბავშვის ცხოვრებისა და განვითარებისთვის.¹⁸⁶⁰ მისი უარყოფა ამწვავებს ბავშვის მოწყვლადობას, რომელიც ქვეყანაში უკანონოდ იმყოფება.¹⁸⁶¹ არასახელმწიფო აქტორების (მაგ: არასამთავრობო ორგანიზაციების) მიერ უზრუნველყოფილი არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებები ვერ ჩაანაცვლებს მიგრანტ ბავშვთა ინტეგრაციას საჯარო განათლების სისტემაში.¹⁸⁶²

განათლების ღირებულება

17§2 მუხლის თანახმად, დაწყებითი და საშუალო განათლება უნდა იყოს უფასო.¹⁸⁶³ ეს მოიცავს საბაზისო განათლების სისტემას.¹⁸⁶⁴ სხვა ხარჯები (მაგ: სახელმძღვანელოების ან ფორმის ტანსაცმლის) უნდა იყოს გონივრული; ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დახმარება, რათა შეიზღუდოს მათი ღირებულების გავლენა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე.¹⁸⁶⁵

სკოლაში დასწრება

¹⁸⁵⁰ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §34

¹⁸⁵¹ [დასკვნები 2011, სლოვაკეთი](#)

¹⁸⁵² [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#); [European Action of the Disabled \(AEH\) v. France](#), საჩივარი N 81/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 11 სექტემბერი, §25

¹⁸⁵³ [დასკვნები 2019, ანდორა](#)

¹⁸⁵⁴ [დასკვნები 2019, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

¹⁸⁵⁵ [Médecins du Monde – International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §128

¹⁸⁵⁶ [დასკვნები 2011, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁵⁷ [დასკვნები 2011, განცხადება 17§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁵⁸ /1859 [Médecins du Monde – International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §128; [European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family \(EU-ROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §125

¹⁸⁵⁹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §201

¹⁸⁶⁰ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §201

¹⁸⁶¹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §201

¹⁸⁶² [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §207

¹⁸⁶³ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸⁶⁴ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

¹⁸⁶⁵ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

უნდა გატარდეს ზომები, რათა წახალისდეს სკოლაში დასწრება, ასევე, შემცირდეს გაცდენების დონე და იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებიც ტოვებენ ან არ ასრულებენ სავალდებულო განათლებას.¹⁸⁶⁶

მხარე სახელმწიფოებს აქვთ დისკრეციის ფარგლები გაცდენების საწინააღმდეგო ზომების შემუშავება-განხორციელებისას.¹⁸⁶⁷

ჩაგვრის საწინააღმდეგო ზომები

უნდა გატარდეს ზომები სკოლებში ჩაგვრის საწინააღმდეგო პოლიტიკის დასანერგად - ანუ ზომები, რომლებიც უკავშირდება ცნობიერების ამაღლებას, პრევენციასა და ინტერვენციას.¹⁸⁶⁸

ბავშვის სიტყვის უფლება განათლების სფეროში

17§2 მუხლის შესაბამისად, განათლების უფლების რეალიზაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის უფლებას, მოუსმინონ.¹⁸⁶⁹ ეს სახელმწიფოებისგან მოითხოვს ბავშვების ჩართვას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ასევე, განათლებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, მათ შორის, ბავშვთა სპეციფიკური სასწავლო გარემოს კონტექსტში.¹⁸⁷⁰

მუხლი 18 სხვა მხარეთა ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელებაში ჩაბმის უფლება

ნებისმიერი მხარის მოქალაქეებს უფლება აქვთ, დაკავდნენ ნებისმიერი შემოსავლიანი საქმიანობით ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელის მოქალაქეებთან თანასწორ საფუძველზე, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ეფუძნება ძლიერ ეკონომიკურ ან სოციალურ მიზეზებს.

პირადი მოქმედების სფერო

მიუხედავად იმისა, რომ მე-18 მუხლის დებულებები არ ვრცელდება მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის მარეგულირებელ წესებზე, კომიტეტს არ შეუძლია მიიღოს განმარტება, რომელიც ძირს გამოუთხრის ამ მუხლის მიზანს („სხვა მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის უფლების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფას“) და ლიბერალიზაციის სარგებელს შემოფარგლავს სხვა მხარე სახელმწიფოთა მხოლოდ იმ მოქალაქეებით, რომლებიც უკვე იმყოფებიან ქვეყანაში.¹⁸⁷¹

18§1 სხვა მხარეების ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელებაში ჩაბმის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებული არიან იღებენ, გამოიყენონ არსებული რეგულაციები ლიბერალიზაციის სულისკვეთებით.

18§1 მუხლი ვრცელდება დასაქმებულებსა და თვითდასაქმებულებზე, რომლებიც არიან ქარტიის მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეები;¹⁸⁷² ასევე, მათი ოჯახის წევრებზე, რომლებსაც უფლება აქვთ, ქვეყანაში შევიდნენ ოჯახის გაერთიანების მიზნით.¹⁸⁷³

¹⁸⁶⁶ დასკვნები 2003, ბულგარეთი

¹⁸⁶⁷ [European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 82/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 19 მარტი, §31

¹⁸⁶⁸ დასკვნები 2019, ანდორა

¹⁸⁶⁹ დასკვნები 2019, ანდორა

¹⁸⁷⁰ დასკვნები 2019, ანდორა

¹⁸⁷¹ დასკვნები XIII-1 (1993), შვედეთი; იხ. ასევე [დასკვნები II \(1971\), განცხადება მე-18 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁷² დასკვნები 2012, სერბეთი

¹⁸⁷³ დასკვნები 2012, სერბეთი

მუხლი 18§1 ეხება ადმინისტრაციულ პრაქტიკას და არა იურიდიულ ასპექტებს.¹⁸⁷⁴ მხარე სახელმწიფოს ამ დებულების შესრულება შეუძლია მაშინაც კი, თუ მისი კანონმდებლობა უცხოელთა დასაქმების შესახებ შეიცავს მკაცრ წესებს, იმ პირობით, რომ ისინი იძლევა ადმინისტრაციულ თავისუფლებას და გამოიყენება ლიბერალობის სულისკვეთებით.¹⁸⁷⁵

დებულებები, რომლებიც ხელს უშლის სხვა მხარე სახელმწიფოს მოქალაქეებს შრომის ნებართვის მიღებაში, კერძოდ, ქვეყანაში შესვლის, დარჩენისა და ბინადრობის ხანგრძლივობის, ასევე, შემოსავლიანი საქმიანობის სხვადასხვა წესის ერთობლივი ეფექტის გამო, ვერ იქნება ქარტიის 18§1 მუხლის შესაბამისი.¹⁸⁷⁶

მხარე სახელმწიფოს მოქალაქე დაქირავებული ან ანაზღაურებადი დასაქმებულის შეზღუდვა კონკრეტული საქმიანობით და კონკრეტულ დამსაქმებელთან მუშაობით, და სისტემატური უარი შრომის ნებართვის გაცემაზე უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის, რომელიც სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევიდა შრომის ნებართვის წინასწარ მიღების გარეშე, ასევე ვერ ჩაითვლება „ლიბერალობის სულისკვეთების“ გამოვლინებად, ან მოქნილი სისტემიდან გამომდინარე რეგულირებად.¹⁸⁷⁷

ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც *დე იურე* ან *დე ფაქტო* ზღუდავს შემოსავლიანი საქმიანობის ნებართვას კონკრეტული თანამდებობით და კონკრეტული დამსაქმებლით, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.¹⁸⁷⁸

დასაქმებულის მიზმა საწარმოზე შიშით, რომ სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში დატოვებს მასპინძელ ქვეყანას, ფაქტობრივად არღვევს მის თავისუფლებას ისე, რომ ვერ ჩაითვლება „ლიბერალობის სულისკვეთების“ ან ლიბერალური რეგულაციების მტკიცებულებად.¹⁸⁷⁹ ეკონომიკურმა ან სოციალურმა მიზეზებმა შეიძლება გაამართლოს უცხოელთა დასაქმების შეზღუდვა კონკრეტულ პროფესიულ და გეოგრაფიულ სექტორში, კონკრეტული სამუშაოს სახეობებით, მაგრამ ვერ გაამართლებს კონკრეტულ საწარმოში დასაქმებულად დარჩენის ვალდებულებად განსაზღვრას.¹⁸⁸⁰

უცხოელ დასაქმებულთა წვდომა შრომის ეროვნულ ბაზარზე შეიძლება შეიზღუდოს, მაგალითად, ეროვნული უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად და მოქალაქეთა დასაქმების ხელშესაწყობად.¹⁸⁸¹ თუმცა, პოლიტიკამ, რომელიც ზღუდავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა წვდომას შრომის ეროვნულ ბაზარზე, სრულად არ უნდა გამორიცხოს ამ ბაზრიდან ქარტიის იმ მხარეთა მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის (ან ევროპის ეკონომიკური სივრცის) წევრები და მნიშვნელოვნად არ უნდა შეუზღუდოს მათ შრომის ეროვნულ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა.¹⁸⁸²

არსებული რეგულაციების გამოყენებისას ლიბერალობის შესაფასებლად, კომიტეტს ესაჭიროება ციფრები, რომლებიც ასახავს შრომის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის პროცენტულ წილს როგორც პირველი, ისე მეორე განაცხადის შემთხვევაში.¹⁸⁸³ ქარტიის მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეების წარმატებულ განაცხადთა მაღალ მაჩვენებელს შრომის ნებართვის გაცემისა და განახლების კუთხით, ასევე, უარის თქმის დაბალ მაჩვენებელს, კომიტეტი განიხილავს აშკარა ნიშნად, რომ არსებული რეგულაციები გამოიყენება ლიბერალობის სულისკვეთებით.¹⁸⁸⁴

18§2 სხვა მხარეების ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელებაში

¹⁸⁷⁴ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹⁸⁷⁵ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

¹⁸⁷⁶ [დასკვნები 2012, სერბეთი](#), რომელშიც ციტირებულია დასკვნები XIII-1 (1993), შვედეთი

¹⁸⁷⁷ [დასკვნები III \(1973\), განცხადება მე-18 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁷⁸ [დასკვნები II \(1971\), განცხადება მე-18 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁷⁹ [დასკვნები II \(1971\), განცხადება მე-18 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁸⁰ [დასკვნები II \(1971\), განცხადება მე-18 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁸¹ [დასკვნები 2012, განცხადება 18§1 და 18§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁸² [დასკვნები 2012, განცხადება 18§1 და 18§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁸⁸³ [დასკვნები XXII-1 \(2020\), გერმანია](#)

¹⁸⁸⁴ [დასკვნები 2012, სერბეთი](#)

ჩაბმის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებული იქნებიან, გაამარტივონ არსებული ფორმალობები და შეამცირონ ან გააუქმონ სასამართლო ან სხვა გადასახადები, რომლებსაც იხდიან უცხოელი მუშაკები ან მათი დამსაქმებლები.

ფორმალობები, მოსაკრებლები და სხვა გადასახადები დასაქმების მარეგულირებელი რეგულაციების ერთ-ერთი ასპექტია, რომელიც გათვალისწინებულია 18§3 მუხლითაც, მაგრამ კონკრეტულად განიხილება ამ დებულების შესაბამისად.¹⁸⁸⁵

შესასრულებელ ფორმალობებთან მიმართებით 18§2 მუხლთან შესაბამისობა გულისხმობს ამ ფორმალობათა შესრულების შესაძლებლობას როგორც დანიშნულების, ისე წარმოშობის ქვეყანაში და, ამავედროულად, ბინადრობისა და შრომის ნებართვის მიღებას ერთი განაცხადის მეშვეობით.¹⁸⁸⁶ ეს ასევე გულისხმობს საჭირო დოკუმენტების (ბინადრობის/ შრომის ნებართვები) გაცემას გონივრულ ვადაში.¹⁸⁸⁷ სამუშაო/საცხოვრებელი ვიზის გაცემის საშუალო ვადა დასაქმებულთათვის, ისევე, როგორც თვითდასაქმებულთათვის, საშუალოდ, ორი თვეა, რაც შეესაბამება 18§2 მუხლს.¹⁸⁸⁸

სიტუაციები, როდესაც შრომისა და ბინადრობის ნებართვები გაიცემა ორი ცალკეული პროცედურის ფარგლებში და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ აქვთ უფლება, თავიანთი განაცხადები წარადგინონ ქვეყნიდან (რაც ახანგრძლივებს ბინადრობის ნებართვის მოპოვების ვადას), არ შეესაბამება ქართლის 18§2 მუხლს.¹⁸⁸⁹

მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეამცირონ ან გააუქმონ საკანცელარიო მოსაკრებლები და სხვა გადასახადები, რომლებსაც იხდიან უცხოელი მუშაკები ან მათი დამსაქმებლები.¹⁸⁹⁰ ასეთი ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფოებმა, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დააწესონ ზედმეტად მაღალი მოსაკრებლები და გადასახადები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან უარი ათქმევინოს უცხოელ მუშაკს შემოსავლიან საქმიანობაში ჩართვაზე, ხოლო დამსაქმებელს – უცხოელ მუშაკთა დასაქმებაზე.¹⁸⁹¹ უცხოელი მუშაკის შრომის ნებართვის მისაღებად დამსაქმებლისთვის დაწესებული 48 ევრო, ასევე, 108 ევრო დროებითი ბინადრობისთვის, ან 264 ევრო მუდმივი ბინადრობისთვის, გადაჭარბებულად ითვლება და არ შეესაბამება 18§2 მუხლს.¹⁸⁹² შრომის ნებართვის საფასური 266 ევროდან 1536 ევრომდე ასევე ეწინააღმდეგება 18§2 მუხლს.¹⁸⁹³ გარდა ამისა, მხარე სახელმწიფოებმა კონკრეტული ძალისხმევა უნდა გაიღონ, რათა თანდათანობით შეამცირონ უცხოელი მუშაკების ან მათი დამსაქმებლებისთვის დაწესებული მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების დონე.¹⁸⁹⁴ სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ, რომ მათ მიიღეს ზომები ასეთი შემცირებისთვის.¹⁸⁹⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებენ დამტკიცებას, რომ ხელს უწყობენ უცხოელ მუშაკთა უფლების ეფექტიან განხორციელებას საკუთარ ტერიტორიაზე.¹⁸⁹⁶ თუმცა, კომიტეტი მიიჩნევს, რომ საკანცელარიო მოსაკრებლებისა ან სხვა გადასახადების გაზრდა შეიძლება შეესაბამებოდეს ქართლის 18§2 მუხლს, თუ ეს კეთდება საპატიო მიზეზით (მაგ: დამუშავების გაზრდილი ხარჯების ან ინფლაციის დასაფარად) და არ არის გადაჭარბებული.¹⁸⁹⁷

18§3 სხვა მხარეების ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელებაში ჩაბმის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებული იქნებიან,

¹⁸⁸⁵ [დასკვნები IX-1 \(1990\), გაერთიანებული სამეფო](#)
¹⁸⁸⁶ [დასკვნები 2016, სომხეთი; დასკვნები XVII-2 \(2005\), ფინეთი](#)
¹⁸⁸⁷ [დასკვნები XVII-2 \(2005\), პორტუგალია](#)
¹⁸⁸⁸ [დასკვნები XVII-2 \(2005\), პორტუგალია](#)
¹⁸⁸⁹ [დასკვნები XXII-1\(2020\), ისლანდია; იხ. ასევე დასკვნები 2020, უკრაინა](#)
¹⁸⁹⁰ [დასკვნები 2012, განცხადება 18§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁸⁹¹ [დასკვნები 2012, განცხადება 18§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁸⁹² [დასკვნები 2020, სომხეთი](#)
¹⁸⁹³ [დასკვნები XXII-1 \(2020\), გაერთიანებული სამეფო](#)
¹⁸⁹⁴ [დასკვნები 2012, განცხადება 18§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁸⁹⁵ [დასკვნები 2012, განცხადება 18§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁸⁹⁶ [დასკვნები 2012, განცხადება 18§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁸⁹⁷ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ისლანდია](#)

კოლექტიურად ან ინდივიდუალურად მოახდინონ იმ რეგულაციების ლიბერალიზაცია, რომლებითაც წესრიგდება უცხოელ მუშაკთა დასაქმება.

18§3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უცხოელ მუშაკთა დასაქმების მარეგულირებელი წესების ლიბერალიზაცია შემდეგ სფეროებში:

წვდომა შრომის ეროვნულ ბაზარზე

შრომის ეროვნულ ბაზარზე უცხოელ მუშაკთა წვდომისთვის დადგენილი პირობები არ უნდა იყოს ზედმეტად შემზღვეველი, კერძოდ, იმ გეოგრაფიულ არეალთან მიმართებით, რომელშიც შეიძლება განხორციელდეს პროფესიული საქმიანობა და დაკმაყოფილდეს მოთხოვნები.¹⁸⁹⁸

მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, საკუთარ ტერიტორიაზე დასაქმებისას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დააწესონ მოთხოვნა სამუშაო ნებართვის შესახებ, თუმცა არ აქვთ უფლება, ზოგადად აუკრძალონ დასაქმება ისეთი მიზეზებით, რომლებიც განსხვავდება ქარტიის G მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისგან.¹⁸⁹⁹ სხვა მხარის ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში კანონიერად მცხოვრებ პირს უნდა შეეძლოს იმავე უფლებებით სარგებლობა, როგორც აქვს ამ ქვეყნის მოქალაქეს.¹⁹⁰⁰ ამიტომ, დასაქმების ხელმისაწვდომობაზე თავდაპირველად დაწესებული შეზღუდვები თანდათან უნდა მოიხსნას.¹⁹⁰¹

ქარტიის მე-18 მუხლთან შესაბამისობისათვის, პოლიტიკამ, რომელიც ზღუდავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა წვდომას შრომის ეროვნულ ბაზარზე, სრულად არ უნდა გამორიცხოს ამ ბაზრიდან ქარტიის იმ მხარეთა მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის (ან ევროპის ეკონომიკური სივრცის) წევრები და მნიშვნელოვნად არ უნდა შეუზღუდოს მათ შრომის ეროვნულ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა.¹⁹⁰² ასეთი მდგომარეობა, გამოწვეული „პრიორიტეტულობის/უპირატესობის წესების“ განხორციელებით, არ იქნებოდა 18§3 მუხლის შესაბამისი, ვინაიდან სახელმწიფო ვერ შეასრულებდა იმ რეგულაციების თანდათანობითი ლიბერალიზაციის ვალდებულებას, რომლებიც არეგულირებს შრომის ეროვნულ ბაზარზე წვდომას ქარტიის წევრი რიგი სახელმწიფოების უცხოელ მუშაკთათვის.¹⁹⁰³

სიტუაცია არ შეესაბამება 18§3 მუხლს, თუ ქარტიის იმ მხარეთა მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი სახელმწიფოები, შრომის ნებართვის გაცემაზე უარების უმეტესობა ეთქვათ ე.წ. „პრიორიტეტული/უპირატესი მუშაკის“ წესების გამოყენების შედეგად, რადგან ეს მიუთითებს, რომ წესები არ გამოყენებულა ლიბერალობის სულისკვეთებით.¹⁹⁰⁴

სიტუაცია ასევე არ შეესაბამება 18§3 მუხლს, თუ უცხოელ მუშაკთა თვითდასაქმებაზე წვდომის მარეგულირებელი წესები არ არის ლიბერალიზებული და უცხოელებზე, რომლებსაც სურთ თვითდასაქმება, ვრცელდება 5-წლიანი ბინადრობის მოთხოვნა, ასევე, მათ უნდა აჩვენონ 10 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა ბაზარზე.¹⁹⁰⁵

სერტიფიკატების, კვალიფიკაციებისა და დიპლომების აღიარება

18§3 მუხლი თითოეული მხარე სახელმწიფოსგან მოითხოვს უცხოელ მუშაკთა დასაქმების მარეგულირებელი წესების ლიბერალიზაციას, რათა მუშაკებმა სხვა მხარე სახელმწიფოებიდან ფაქტობრივად განახორციელონ შემოსავლიან საქმიანობაში ჩაბმის

¹⁸⁹⁸ [დასკვნები V \(1977\), გერმანია](#)

¹⁸⁹⁹ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)

¹⁹⁰⁰ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)

¹⁹⁰¹ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)

¹⁹⁰² [დასკვნები 2012, განცხადება 18§1 და 18§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁰³ [დასკვნები 2012, განცხადება 18§1 და 18§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁰⁴ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ისლანდია](#)

¹⁹⁰⁵ [დასკვნები 2020, თურქეთი, რომელშიც ციტირებულია დასკვნები 2016, თურქეთი](#)

უფლება.¹⁹⁰⁶ ამ უფლების ფაქტობრივად განხორციელებისთვის, მხარე სახელმწიფოთა ჩართულობა ლიბერალიზაციაში უნდა მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც არეგულირებს უცხოური სერტიფიკატების, პროფესიული კვალიფიკაციებისა და დიპლომების აღიარებას, რამდენადაც ისინი აუცილებელია დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა შემოსავლიანი საქმიანობისათვის.¹⁹⁰⁷

მოთხოვნა, რომ უცხოელი მუშაკი ფლობდეს მხოლოდ ეროვნული ორგანოების, სკოლების, უნივერსიტეტების ან სხვა სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ სერტიფიკატებს, პროფესიულ კვალიფიკაციას ან დიპლომებს და მას არ მიეცეს იმ მოქმედი და არსებითად ეკვივალენტური სერტიფიკატების, კვალიფიკაციის ან დიპლომების აღიარების შესაძლებლობა, რომლებიც გაცემულია სხვა მხარე სახელმწიფოთა სკოლების, უნივერსიტეტებისა ან სხვა სასწავლო დაწესებულებების მიერ (ამ სახელმწიფოებში ჩატარებული სასწავლო კურსების ან პროფესიული კარიერის შედეგად), სერიოზულად აბრკოლებს უცხოელ მუშაკთა წვდომას შრომის ეროვნულ ბაზარზე და უტოლდება ფაქტობრივ დისკრიმინაციას არამოქალაქეთა მიმართ.¹⁹⁰⁸ ამ მიზეზით, მხარე სახელმწიფოებმა საკუთარი ძალისხმევა უნდა მიმართონ უცხოური სერტიფიკატების, პროფესიული კვალიფიკაციებისა და დიპლომების აღიარების მარეგულირებელი წესების ლიბერალიზაციაზე; ასევე, თანდათანობით შეამცირონ უცხოელ მუშაკთა არახელსაყრელი პირობები შემოსავლიანი საქმიანობის განსახორციელებლად, განპირობებული იმ უცხოური დიპლომის ან პროფესიული კვალიფიკაციის არაღიარებით, რომელიც არსებითად ეკვივალენტურია ეროვნული ხელისუფლების ორგანოების, სკოლების, უნივერსიტეტების ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დიპლომისა.¹⁹⁰⁹

უფლებები სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში

შრომისა და ღრობითი ბინადრობის ნებართვების მინიჭება და გაუქმება შეიძლება ურთიერთკავშირში იყოს, რადგან ისინი ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს, კერძოდ, უცხოელისთვის შემოსავლიანი საქმიანობაში ჩართვის უფლების მიცემას.¹⁹¹⁰

როდესაც შრომის ნებართვა უქმდება ვადის გასვლამდე, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან იმის გამო, რომ მუშაკი აღარ აკმაყოფილებს ამ ნებართვის გაცემის პირობებს, შესაბამის მხარე სახელმწიფოში ბინადრობის, სხვა სამსახურის ძებნისა და ახალი შრომის ნებართვის მიღების ავტომატურად ჩამორთმევა დაარღვევს ქარტიას, თუ არ არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც იძლევა უცხოელი მუშაკის გაძევების საშუალებას 1958 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.¹⁹¹¹

სამსახურის დაკარგვამ არ უნდა გამოიწვიოს ბინადრობის ნებართვის გაუქმება, რადგან ეს მუშაკისგან მოითხოვდა ქვეყნის შეძლებისდაგვარად სწრაფად დატოვებას.¹⁹¹² ფაქტობრივად, ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა უნდა გაგრძელდეს, რათა პირს საკმარისი დრო მიეცეს ახალი სამსახურის მოსაძებნად.¹⁹¹³

ქარტიის 1853 მუხლს ასევე ეწინააღმდეგება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის შრომითი ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტა სამსახურებრივი გადაცდომის გამო, რასაც მოჰყვება ამ პირის ბინადრობის ნებართვის ავტომატურად გაუქმება, ისე, რომ არ მიეცემა ახალი სამსახურის მოძებნის შესაძლებლობა.¹⁹¹⁴

1854 სხვა მხარეების ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელებაში

¹⁹⁰⁶ [დასკვნები 2012, განცხადება 1853 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁰⁷ [დასკვნები 2012, განცხადება 1853 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁰⁸ [დასკვნები 2012, განცხადება 1853 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁰⁹ [დასკვნები 2012, განცხადება 1853 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹¹⁰ [დასკვნები 2012, განცხადება 1853 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹¹¹ [დასკვნები 2012, განცხადება 1853 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹¹² [დასკვნები XXII-1 \(2020\), გერმანია](#)

¹⁹¹³ [დასკვნები XXII-1\(2020\), გერმანია](#); რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XVII-2 \(2005\), ფინეთი](#)

¹⁹¹⁴ [დასკვნები 2020, ნიდერლანდები](#)

ჩაბმის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, აღიარონ მათი მოქალაქეების უფლება, დატოვონ ქვეყანა, რათა დაკავდნენ შემოსავლიანი საქმიანობით სხვა მხარეთა ტერიტორიაზე.

18§4 მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, არ შეზღუდონ თავიანთი მოქალაქეების უფლება, რომ დატოვონ ქვეყანა ქარტიის სხვა მხარე სახელმწიფოში შემოსავლიანი საქმიანობის განსახორციელებლად.¹⁹¹⁵

უნდა არსებობდეს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას თავიანთი ქვეყნის შეუზღუდავად დატოვებაზე.¹⁹¹⁶ ადამიანებს, რომელთაც ეზღუდათ ქვეყნიდან გასვლის უფლება, უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებები ასეთი გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად.¹⁹¹⁷

ნებადართულია მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია ქარტიის G მუხლით, ანუ „დადგენილია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ან საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა თუ მორალის დასაცავად“.¹⁹¹⁸

შეზღუდვები შეიძლება გამოიყენებოდეს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულ სამედიცინო მუშაკთა სამსახურის პერიოდში (ნებაყოფლობითი იქნება, თუ სავალდებულო), იმ პირობით, რომ თავიანთი ვალდებულებებისგან გათავისუფლების შემდეგ არ შეუზღუდათ 18§4 მუხლით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა.¹⁹¹⁹

მოქალაქეთა უფლების აბსოლუტური შეზღუდვა ეროვნული ტერიტორიის დატოვებასთან მიმართებით სცილდება ქარტიის G მუხლით დამკვიდრებულ შეზღუდვებს და არ შეესაბამება ქარტიის 18§4 მუხლს.¹⁹²⁰

მუხლი 19 მუშაკთა და მათი ოჯახების უფლება დაცვასა და დახმარებაზე

შრომით მიგრანტებს, რომლებიც არიან ერთი მხარის მოქალაქეები, ასევე, მათ ოჯახებს, აქვთ დაცვისა და დახმარების უფლება ნებისმიერი სხვა მხარის ტერიტორიაზე.

19§1 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეინარჩუნონ ან დააკმაყოფილონ, რომ შენარჩუნებული იქნეს ასეთ მუშაკთა დახმარების სათანადო და უფასო სამსახურები, კერძოდ, ზუსტი ინფორმაციის მიღებით, და გადადგან ყველა სათანადო ნაბიჯი ემიგრაციასა და იმიგრაციასთან დაკავშირებული შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის წინააღმდეგ, იმ ზომით, რითაც ეროვნული კანონები და კანონქვემდებარე აქტები ამის საშუალებას იძლევა.

წინამდებარე დებულებით გარანტირებულია უფასო ინფორმაციისა და დახმარების მიღების უფლება როგორც საკუთარი მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სურთ ემიგრაციაში წასვლა, ასევე სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სურთ იმიგრაცია.¹⁹²¹ ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და ზუსტი და მოიცავდეს იმ შესასრულებელ ფორმალობებსა და საცხოვრებელ/სამუშაო პირობებს, რომლებიც მოსალოდნელია დანიშნულების ქვეყანაში

¹⁹¹⁵ [დასკვნები 2020, სერბეთი](#)

¹⁹¹⁶ [დასკვნები 2020, ლატვია](#)

¹⁹¹⁷ [დასკვნები 2020, ლატვია](#)

¹⁹¹⁸ [დასკვნები 2005, კვიპროსი](#); [დასკვნები XI-1 \(1989\), ნიდერლანდები](#)

¹⁹¹⁹ [European Federation of Public Service Employees \(EUROFEDOP\) v. Greece](#), საჩივარი N 115/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 13 სექტემბერი, §52

¹⁹²⁰ [დასკვნები 2020, უკრაინა](#)

¹⁹²¹ [დასკვნები I \(1969\), განცხადება 19§1 მუხლის განმარტების შესახებ](#)

(მაგ: პროფესიული ორიენტაცია და მომზადება, სოციალური უზრუნველყოფა, პროფესიული კავშირის წევრობა, საცხოვრებელი, სოციალური მომსახურებები, განათლება და ჯანდაცვა).¹⁹²²

ეფექტიანობისთვის, უფასო ინფორმაციისა და დახმარების მომსახურებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიგრანტებისთვისაც.¹⁹²³ მიუხედავად იმისა, რომ ონლაინრესურსების მიწოდება ღირებულებით მომსახურებაა, ინტერნეტზე მიგრანტთა პოტენციურად შეზღუდული წვდომის გამო, საჭიროა ინფორმაციის მოპოვების სხვა საშუალებებიც, როგორცაა დახმარების ხაზები და საკონსულტაციო ცენტრები.¹⁹²⁴

ამ დებულებით გათვალისწინებული კიდევ ერთი ვალდებულებით, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმიგრაციისა და ემიგრაციის შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის ასაცილებლად.¹⁹²⁵ ასეთმა ზომებმა ხელი უნდა შეუშალოს შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გადაცემას ქვეყნიდან მიმავალი მოქალაქეებისთვის და იმოქმედოს იმ ყალბი ინფორმაციის წინააღმდეგ, რომლის სამიზნეებიც არიან ქვეყანაში შესვლის მსურველი მიგრანტები.¹⁹²⁶

ეფექტიანობისთვის, შეცდომაში შემყვანი პროპაგანდის საწინააღმდეგო ქმედება უნდა მოიცავდეს სამართლებრივ და პრაქტიკულ ზომებს რასიზმისა და ქსენოფობიის, ასევე, ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ.¹⁹²⁷ ასეთი ზომები, რომლებიც მიემართება მთელ მოსახლეობას, აუცილებელია, მათ შორის, იმ სტერეოტიპული წარმოდგენების ასაცილებლად, რომელთა თანახმადაც მიგრანტები მიდრეკილნი არიან დანაშაულის, ძალადობის, ნარკომანიისა თუ დაავადებებისკენ.¹⁹²⁸ შეცდომაში შემყვან პროპაგანდასთან საბრძოლველად უნდა არსებობდეს ეფექტიანი სისტემა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს დისკრიმინაციულ, რასისტულ ან სიძულვილის შემცველ ენას, განსაკუთრებით, საჯარო სფეროში.¹⁹²⁹

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ აამაღლონ სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა ცნობიერება შეცდომაში შემყვან პროპაგანდაზე (მაგ: მოამზადონ თანამშრომლები, რომლებსაც პირველი კონტაქტი აქვთ მიგრანტებთან).¹⁹³⁰

1952 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ სათანადო ზომები მათი იურისდიქციის ფარგლებში, რათა ხელი შეუწყონ ასეთი მუშაკებისა და მათი ოჯახების გამგზავრებას, მგზავრობასა და მიღებას და მათი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ სათანადო მომსახურები მგზავრობის დროს ჯანმრთელობის, სამედიცინო დახმარებისა და კარგი ჰიგიენური პირობების შესაქმნელად.

ეს დებულება მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს სპეციალური ზომების მიღებას შრომით მიგრანტთა სასარგებლოდ, რათა ხელი შეუწყონ მათ გამგზავრებას, მოგზაურობასა და მიღებას.¹⁹³¹

„მიღება“ მოიცავს რამდენიმეკვირიან პერიოდს ჩამოსვლიდან, რა დროსაც შრომითი მიგრანტები და მათი ოჯახები საკმაოდ ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში.¹⁹³² სპეციალური ზომები უნდა მოიცავდეს დახმარებას არა მხოლოდ საცხოვრებლის საკითხებსა და სამუშაო ადგილზე ინტეგრაციაში, არამედ ისეთი პრობლემების გადალახვაშიც, როგორცაა მოკლევადიანი საცხოვრებელი, ავადმყოფობა, ფინანსების

¹⁹²² [დასკვნები III \(1973\), კვიპროსი; დასკვნები XV-1 \(2000\), ავსტრია](#)

¹⁹²³ [დასკვნები 2015, სომხეთი; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹²⁴ [დასკვნები 2015, სომხეთი; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹²⁵ [დასკვნები XIV-1 \(1998\), საბერძნეთი](#)

¹⁹²⁶ [დასკვნები 2019, ესტონეთი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XIV-1 \(1998\), საბერძნეთი](#)

¹⁹²⁷ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§138-140; [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹²⁸ [დასკვნები XV-1 \(2000\), ავსტრია](#)

¹⁹²⁹ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹³⁰ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹³¹ [დასკვნები III \(1973\), კვიპროსი](#)

¹⁹³² [დასკვნები IV \(1975\), განცხადება 1952 მუხლის განმარტების შესახებ](#)

ნაკლებობა და ჯანდაცვა.¹⁹³³

ვალდებულება - „მათი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ სათანადო სამსახურები მგზავრობის დროს ჯანმრთელობის, სამედიცინო დახმარებისა და კარგი ჰიგიენური პირობების შესაქმნელად“ - უკავშირდება შრომით მიგრანტებსა და მათ ოჯახებს, რომლებიც მოგზაურობენ ჯგუფურად, ან საჯარო თუ კერძო კოლექტიური დასაქმების ფარგლებში.¹⁹³⁴ კომიტეტი მიიჩნევს, რომ 1952 მუხლის ეს ასპექტი არ ვრცელდება ინდივიდუალური მიგრაციის ფორმებზე, რომლებზეც სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი.¹⁹³⁵ თუმცა, ამ შემთხვევაში მიმღები ობიექტების საჭიროება კიდევ უფრო იზრდება.¹⁹³⁶

მხარე სახელმწიფოთა 1952 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას, კომიტეტი ითვალისწინებს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- ▶ კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა ახალი მიგრანტების ჩამოსვლის შემდგომ პერიოდში, მათ დასახმარებლად;
- ▶ ფინანსური თუ სხვა დახმარების ხელმისაწვდომობა ყველა მიგრანტისთვის გადაუდებელ მდგომარეობაში, კერძოდ, საკვების, ტანსაცმლისა და თავშესაფრის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;
- ▶ შრომითი მიგრანტებისთვის დაწესებული შეზღუდვები სახელმწიფო სოციალურ უზრუნველყოფაზე;
- ▶ წესები, რომლებიც არეგულირებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ყველა მიგრანტისთვის, მიუხედავად მათი სტატუსისა, კერძოდ, გადაუდებელ მდგომარეობაში.¹⁹³⁷

1953 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, მხარი დაუჭიროონ თანამშრომლობას საჯარო და კერძო სოციალურ სამსახურებს შორის ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნებში.

ამ დებულების მოქმედების სფერო ვრცელდება იმიგრირებად შრომით მიგრანტებზე, ასევე, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ემიგრირებად შრომით მიგრანტებზე.

ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნებში საჯარო ან/და კერძო სოციალურ სამსახურებს შორის უნდა დამყარდეს კონტაქტები და გაიცვალოს ინფორმაცია, რათა ხელი შეეწყოს ემიგრანტებისა და მათი ოჯახების ცხოვრებას, ახალ გარემოსთან ადაპტაციას და ურთიერთობას წარმოშობის ქვეყანაში დარჩენილ ოჯახის წევრებთან.¹⁹³⁸ ფორმალური შეთანხმება ყოველთვის აუცილებელი არ არის, განსაკუთრებით, თუ მოცემულ ქვეყანაში ცოტა მიგრანტია.¹⁹³⁹ ასეთ შემთხვევებში შეიძლება საკმარისი იყოს პრაქტიკული თანამშრომლობა, საჭიროებიდან გამომდინარე.¹⁹⁴⁰

ჩვეულებრივ სიტუაციებში ასეთი თანამშრომლობა სასარგებლო იქნებოდა, როდესაც შრომითი მიგრანტი, რომელმაც ოჯახი დატოვა სამშობლოში, ვერ აგზავნის ფულს, ან საჭიროებს კავშირს ოჯახური მიზეზების გამო, ან დაბრუნდა თავის ქვეყანაში, მაგრამ სურს გადაუხდელი ხელფასებისა თუ შეღავათების მოთხოვნა, ან სჭირდება სხვადასხვა საკითხის გადაჭრა ქვეყანაში, სადაც დასაქმებული იყო.¹⁹⁴¹

მხარე სახელმწიფოთა 1953 მუხლთან შესაბამისობის შესაფასებლად, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ ინფორმაციას:

¹⁹³³ [დასკვნები IV \(1975\), გერმანია](#)

¹⁹³⁴ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება 1952 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹³⁵ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება 1952 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹³⁶ [დასკვნები IV \(1975\), განცხადება 1952 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹³⁷ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

¹⁹³⁸ [დასკვნები XIV-1 \(1998\), ბელგია](#)

¹⁹³⁹ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁴⁰ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁴¹ [დასკვნები XV-1 \(2000\), ფინეთი](#)

- ▶ კონტაქტებისა და ინფორმაციის გაცვლის ფორმა და ბუნება, რომლებიც სოციალურ სამსახურებს დადგენილი აქვთ ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნებში;
- ▶ მიღებული ზომები ასეთი კონტაქტების დასამყარებლად და სხვა ქვეყნებში სოციალურ სამსახურებს შორის თანამშრომლობისთვის;
- ▶ საერთაშორისო ხელშეკრულებები ან ქსელები, ასევე, ქვეყნის სოციალურ სამსახურებსა და წარმოშობისა თუ დანიშნულების ქვეყნებს შორის თანამშრომლობის (ფორმალური თუ არაფორმალური) კონკრეტული მაგალითები;
- ▶ სცდება თუ არა თანამშრომლობა მხოლოდ სოციალური უსაფრთხოების ფარგლებს (მაგ: ოჯახურ საკითხებში);
- ▶ ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის მაგალითები.¹⁹⁴²

1954 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, დაიცვან მათ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ასეთი მუშაკებისათვის, იმ ზომით, რითაც ხდება ამ ზომების რეგულირება კანონით ან კანონქვემდებარე აქტებით, ან რომლებიც ექვემდებარებიან ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების კონტროლს, არანაკლებ შედავითიანი რეჟიმი, ვიდრე ის რეჟიმი, რომელიც მოქმედებს მათი საკუთარი მოქალაქეების მიმართ შემდეგ საკითხებთან მიმართებით: ა) შრომის ანაზღაურება და დასაქმებისა და მუშაობის სხვა პირობები; ბ) პროფესიული კავშირების წევრობა და კოლექტიურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული უპირატესობით სარგებლობა; და გ) დაბინავება.

მოქმედების სფერო

მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, აჩვენონ, რომ არ არსებობს დისკრიმინაცია (პირდაპირი ან ირიბი) კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და შეატყობინონ დისკრიმინაციის შემთხვევათა გამოსასწორებლად მიღებული ნებისმიერი პრაქტიკული ზომის შესახებ.¹⁹⁴³ თანასწორობა კანონმდებლობაში ყოველთვის და აუცილებლად არ უზრუნველყოფს თანასწორობას პრაქტიკაში.¹⁹⁴⁴ ამრიგად, საჭიროა დამატებითი ქმედება, რათა შრომით მიგრანტთა მდგომარეობა არ განსხვავდებოდეს ქვეყნის მოქალაქეთა მდგომარეობისგან.¹⁹⁴⁵ მხარე სახელმწიფოებმა დადებითი და უწყვეტი მოქმედებებით უნდა უზრუნველყონ უფრო ხელსაყრელი მოპყრობა შრომით მიგრანტთა მიმართ.¹⁹⁴⁶

1954 მუხლი ვრცელდება მივლინებულ მუშაკებზეც, რომლებიც შეზღუდული პერიოდის განმავლობაში ასრულებენ სამუშაოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და ეს არ არის ქვეყანა, სადაც ისინი ჩვეულებრივ მუშაობენ.¹⁹⁴⁷ სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ქარტიით განსაზღვრული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული ყველა პირის მიმართ.¹⁹⁴⁸ შესაბამისად, მივლინებულ მუშაკთა მიმართ თანასწორი მოპყრობის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა, დაწესებული მათი ხანმოკლე დარჩენის გამო, ობიექტურად უნდა იყოს გამართლებული ამ პირთა სპეციფიკურ მდგომარეობასა და სტატუსზე მითითებით, შესწორებული ქარტიის G მუხლის პრინციპების გათვალისწინებით (1961 წლის ქარტიის 31-ე მუხლი).¹⁹⁴⁹

მხარე სახელმწიფოები ასევე პასუხისმგებელი არიან, რომ შიდასახელმწიფოებრივ

¹⁹⁴² [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁴³ [დასკვნები III \(1973\), განცხადება 1954 მუხლის განმარტების შესახებ; European Federation of national organisations working with the Homeless \(FEANSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §5 202-203

¹⁹⁴⁴ [დასკვნები V \(1977\), განცხადება მე-19 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁴⁵ [დასკვნები V \(1977\), განცხადება მე-19 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁴⁶ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) and Swedish Confederation of Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, §133

¹⁹⁴⁷ [დასკვნები 2015, განცხადება 1954 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁴⁸ [დასკვნები 2015, განცხადება 1954 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁴⁹ [დასკვნები 2015, განცხადება 1954 მუხლის განმარტების შესახებ](#)

კანონმდებლობაში მოაწესრიგონ დასაქმებულთა პირობები და უფლებები ტრანსსასაზღვრო მივლინებებთან მიმართებით.¹⁹⁵⁰

ანაზღაურება და დასაქმებისა და მუშაობის სხვა პირობები

19§4(a) მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ყველა სამართლებრივი და ფაქტობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა შრომის ანაზღაურებასა და დასაქმებისა თუ მუშაობის სხვა პირობებთან მიმართებით, მათ შორის, სამსახურებრივი მომზადებისა და დაწინაურების, ასევე, პროფესიულ მომზადების კონტექსტში.¹⁹⁵¹

პროფესიული კავშირების წევრობა და კოლექტიური მოლაპარაკებების უპირატესობით სარგებლობა

19§4(b) მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, აღმოფხვრან ყველა სამართლებრივი და დე ფაქტო დისკრიმინაცია, რომლებიც მიემართება პროფესიული კავშირის წევრობასა და კოლექტიური მოლაპარაკებების უპირატესობით სარგებლობას, მათ შორის, უფლებას, რომ პირი იყოს პროფესიული კავშირის დამფუძნებელი წევრი და ჰქონდეს წვდომა მის ადმინისტრაციულ და მენეჯერულ თანამდებობებზე.¹⁹⁵²

ქართის 19§4(b) მუხლში მოცემული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის გამოყენება კოლექტიური მოლაპარაკებების კონტექსტში მხარე სახელმწიფოთაგან მოითხოვს ზომების მიღებას, რათა შრომითი მიგრანტები სარგებლობდნენ: თანასწორი მოპყრობით კოლექტიურ შეთანხმებათა უპირატესობებთან მიმართებით, რომელთა მიზანია სამუშაო ადგილზე თანაბარი ანაზღაურების პრინციპის განხორციელება ყველა მუშაკის თანაბარი სამუშაოსთვის; ან ლეგიტიმური კოლექტიური ქმედებებით ასეთი შეთანხმების მხარდასაჭერად, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ან პრაქტიკის შესაბამისად.¹⁹⁵³

კოლექტიური მოლაპარაკებების ან მოქმედებების უფლების გამორიცხვა ან შეზღუდვა უცხოურ საწარმოებთან მიმართებით, რათა გაიზარდოს საერთო საბაზრო სივრცეში მომსახურებათა თავისუფალი ტრანსსასაზღვრო გადაადგილება და კონკურენტული უპირატესობა, დისკრიმინაციული მოპყრობა და დასაქმებულთა ეროვნული წარმომადგენლის ნიშნით.¹⁹⁵⁴ მასპინძელ სახელმწიფოში ის განსაზღვრავს უფრო დაბალ დაცვას და შეზღუდულ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს მივლინებული უცხოელებისთვის, ყველა სხვა მუშაკისთვის გარანტირებულ დაცვასა და უფლებებთან შედარებით.¹⁹⁵⁵

საცხოვრებელი

ამ ქვეთავის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებს ევალებათ ყველა სამართლებრივი და დე ფაქტო დისკრიმინაციის აღმოფხვრა საჯარო და კერძო საცხოვრებლებზე წვდომასთან მიმართებით.¹⁹⁵⁶ თუმცა, 19§4(c) მუხლის მოქმედება არ ვრცელდება არალეგალურად მყოფ იმიგრანტებზე.¹⁹⁵⁷

¹⁹⁵⁰ დასკვნები 2015, განცხადება 19§4 მუხლის განმარტების შესახებ

¹⁹⁵¹ დასკვნები VII (1981), გაერთიანებული სამეფო; დასკვნები 2019, ალბანეთი

¹⁹⁵² დასკვნები XIII-3 (1995), თურქეთი; დასკვნები 2011, განცხადება 19§4b მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები XIX-4 (2011), ლუქსემბურგი

¹⁹⁵³ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) Swedish Confederation, Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 140

¹⁹⁵⁴ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) Swedish Confederation, Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 141

¹⁹⁵⁵ [Swedish Trade Union Confederation \(LO\) Swedish Confederation, Professional Employees \(TCO\) v. Sweden](#), საჩივარი N 85/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 3 ივლისი, § 141

¹⁹⁵⁶ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. France](#), საჩივარი N 51/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 19 ოქტომბერი, §§111-113; [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§145-147 (დგინდება მუხლის E დარღვევა 19§4c მუხლთან ერთობლიობაში)

¹⁹⁵⁷ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. France](#), საჩივარი N 51/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 19 ოქტომბერი, §§111-113; [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§145-147 (დგინდება მუხლის E დარღვევა 19§4c მუხლთან ერთობლიობაში)

არ უნდა დაწესდეს სამართლებრივი ან დე ფაქტო შეზღუდვები სახლის ყიდვაზე¹⁹⁵⁸, სუბსიდირებული საცხოვრებლის წვდომაზე, ან საბინაო შეღავათებზე, როგორცაა სესხები ან სხვა შემწეობები.¹⁹⁵⁹

1954(c) მუხლით გათვალისწინებული თანასწორი მოპყრობის უფლება ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება.¹⁹⁶⁰

ეკონომიკური დაბრკოლებები, რომლებიც ექმნება იმ პირთა სრულად უზრუნველყოფას სოციალური საცხოვრისით, რომლებსაც ამის უფლება აქვთ, არ არის საპატიო მიზეზი ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეთა დისკრიმინაციისთვის.¹⁹⁶¹

მონიტორინგი და სასამართლო განხილვა

მთავრობისთვის არ კმარა ჩვენება, რომ მის კანონმდებლობაში არ არსებობს არანაირი დისკრიმინაცია; მან ასევე უნდა აჩვენოს, რომ შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა ნებისმიერი სამართლებრივი და დე ფაქტო დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქარტიის 1954 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებებთან მიმართებით.¹⁹⁶²

პრაქტიკაში მონიტორინგის გასაწევად და დისკრიმინაციის ასაკრძალად, მხარე სახელმწიფოებში უნდა არსებობდეს საკმარისად ეფექტიანი მონიტორინგის პროცედურები, ან ორგანოები შესაბამისი ინფორმაციის შესაგროვებლად (მაგ: ჩამლილი მონაცემები ანაზღაურების შესახებ, ან ინფორმაცია დასაქმების ტრიბუნალში განხილულ საქმეებზე).¹⁹⁶³

1954(c) მუხლით გათვალისწინებული თანასწორი მოპყრობის უფლება ეფექტიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლება.¹⁹⁶⁴ კომიტეტი მიიჩნევს, რომ ასეთი გადახედვა მნიშვნელოვანია 1954 მუხლით მოცული ყველა ასპექტისთვის.¹⁹⁶⁵

1955 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, დასაქმებულ პირთათვის დაწესებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებთან დაკავშირებით, თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ასეთი მუშაკების მიმართ გამოიყენონ ისეთივე ხელსაყრელი რეჟიმი, როგორიც მოქმედებს საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

ეს დებულება აღიარებს შრომით მიგრანტთა უფლებას კანონმდებლობასა და პრაქტიკაში თანასწორ მოპყრობაზე, გადასახადების, მოსაკრებლების ან შენატანების გადახდასთან მიმართებით.¹⁹⁶⁶

1956 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, რამდენადაც შესაძლებელია, ხელი შეუწყონ იმ უცხოელი მუშაკის ოჯახის გაერთიანებას, რომელსაც მიღებული აქვს მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნების ნებართვა.

დანართი: ამ დებულების მიზნებისთვის, ტერმინი „უცხოელი მუშაკის ოჯახი“ ნიშნავს, სულ მცირე, მუუღლეს და დაუქორწინებელ შვილებს, თუ ეს უკანასკნელნი არასრულწლოვანებად

¹⁹⁵⁸ [დასკვნები IV \(1975\), ნორვეგია; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁵⁹ [დასკვნები III \(1973\), იტალია; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁶⁰ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §204, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XV-1 \(2000\), ფინეთი](#)

¹⁹⁶¹ [დასკვნები 2015, სლოვენია](#)

¹⁹⁶² [დასკვნები III \(1973\), განცხადება 1954 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁶³ [დასკვნები XX-4 \(2015\), გერმანია; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁶⁴ [დასკვნები XV-1 \(2000\), ფინეთი](#)

¹⁹⁶⁵ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁶⁶ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XIX-4 \(2011\), საბერძნეთი](#)

ითვლება მიმღებ სახელმწიფოში და დამოკიდებულნი არიან შრომით მიგრანტზე.¹⁹⁶⁷

მოქმედების სფერო

ეს დებულება სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დაუშვან ოჯახების შეერთება მათ ტერიტორიაზე კანონიერად დამკვიდრებულ მიგრანტებთან.¹⁹⁶⁸ ოჯახის გაერთიანების უფლება აქვთ მუშაკის ბავშვებს, რომლებიც არიან დამოკიდებული პირები, დაუქორწინებლები და ჯერ არ მიუღწევიათ მიმღებ სახელმწიფოში დაწესებული სრულწლოვანი ასაკისთვის.¹⁹⁶⁹

„დამოკიდებულია“ ბავშვი, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა ოჯახს გარეთ, კერძოდ, ეკონომიკური ან ჯანმრთელობის მიზეზების, ან არაანაზღაურებად კურსებზე სწავლის გამო.¹⁹⁷⁰

თუ ეროვნული კანონმდებლობა ადგენს უფრო დაბალ ასაკს, პრაქტიკაში საკმარისია, რომ ზოგადად განაცხადები მიიღებოდეს 21 წლამდე ასაკის ბავშვთა გაერთიანების შესახებ.¹⁹⁷¹

როდესაც 18-დან 21 წლამდე ასაკის ბავშვებს ოჯახის გაერთიანების უფლება ერთმევათ არა მხოლოდ კანონით, არამედ პრაქტიკაშიც, კომიტეტი აფასებს 18-დან 21 წლამდე ასაკის ბავშვთა წილს, რომლებსაც უარი ეთქვათ ოჯახის გაერთიანებაზე.¹⁹⁷² თუ ეს წილი მაღალია, იღება დასკვნა 1996 მუხლთან შეუსაბამობის შესახებ.¹⁹⁷³

ოჯახის გაერთიანების მარეგულირებელი პირობები

მხარე სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ საერთო მიდგომა შესაბამის მოთხოვნათა გამოყენებასთან მიმართებით, რათა არ გამოირიცხოს გამონაკლისების დამკვიდრების შესაძლებლობა კონკრეტული კატეგორიის შემთხვევებში, ან ინდივიდუალურ გარემოებათა გასათვალისწინებლად.¹⁹⁷⁴

COVID-19-ის პანდემია ზოგ შემთხვევაში დიდი ხნით აშორებდა შრომით მიგრანტებს მათ ოჯახებთან (მაგ: ისეთი მიზეზების გამო, როგორცაა საზღვრების ჩაკეტვა, მოგზაურობის შეზღუდვა, საკარანტინო მოთხოვნების დაწესება, ან მოგზაურობის შემთხვევაში სამუშაოს დაკარგვის შიში).¹⁹⁷⁵ 1996 მუხლი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, შეძლებისდაგვარად შეუწყონ ხელი ოჯახის გაერთიანებას, და მიუთითებს წევრ სახელმწიფოთა შესაძლებლობაზე, საგანგებო ზომები მიიღონ პანდემიის დროს ოჯახების განშორების ასაცილებლად.¹⁹⁷⁶

ა) უარი ჯანმრთელობის მდგომარეობის მოტივით

მხარე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, უარი უთხრან შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრს თავიანთ ტერიტორიაზე ოჯახის გაერთიანების მიზნით შესვლაზე ჯანმრთელობის მიზეზების გამო. ამ საფუძვლით უარის თქმა შეიძლება მხოლოდ კონკრეტული დაავადებების შემთხვევაში, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას.¹⁹⁷⁷ იგულისხმება დაავადებები, რომლებიც საჭიროებს კარანტინს ჯანმოს 1969 წლის საერთაშორისო რეგულაციების თანახმად, ან სხვა სერიოზული გადამდები თუ ინფექციური დაავადებები, როგორცაა ტუბერკულოზი ან სიფილისი.¹⁹⁷⁸ მძიმე ნარკომანია ან

¹⁹⁶⁷ ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁹⁶⁸ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁶⁹ ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

¹⁹⁷⁰ [დასკვნები VIII \(1984\) განცხადება 1999 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁷¹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ნიდერლანდები](#)

¹⁹⁷² [დასკვნები XVI-1 \(2002\), ნიდერლანდები](#)

¹⁹⁷³ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ნიდერლანდები](#)

¹⁹⁷⁴ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2015, განცხადება 1996 მუხლის განმარტების შესახებ – საცხოვრებლის მოთხოვნები](#)

¹⁹⁷⁵ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁹⁷⁶ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

¹⁹⁷⁷ [დასკვნები XVI-1 \(2002\), საბერძნეთი](#)

¹⁹⁷⁸ [დასკვნები XV-1 \(2000\), ფინეთი](#)

ფსიქიკური დაავადება ასევე შეიძლება იყოს ოჯახის გაერთიანებაზე უარის თქმის საფუძველი, თუ ხელისუფლების ორგანოები ცალკეულ საფუძველზე დაადგენენ, რომ დაავადება ან მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას.¹⁹⁷⁹

ბ) ბინადრობის ხანგრძლივობა

მხარე სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ შრომით მიგრანტთა ბინადრობის კონკრეტული ხანგრძლივობა, სანამ მათ ოჯახები შეუერთდებიან. ქარტიის შესაბამისად, მისაღებიართწლიანივადა, თუმცა უფრო მეტი ხანგრძლივობა ითვლება გადაჭარბებულად.¹⁹⁸⁰ მაგალითად, 18-თვიანი პერიოდი არ შეესაბამება ქარტიის ამ დებულებას.¹⁹⁸¹

გ) საცხოვრებელი პირობები

ოჯახის ან მისი გარკვეული წევრების განსათავსებლად საკმარისი და შესაფერისი საცხოვრებლის მოთხოვნა, როგორც მხარე სახელმწიფოში მიღების წინაპირობა, არ უნდა იყოს ისეთი შემზღუდველი, რომ ხელი შეუშალოს ოჯახის გაერთიანებას.¹⁹⁸²

სახელმწიფოებს უფლება აქვთ, თანაზომიერი წესით დააწესონ საცხოვრებლის მოთხოვნები, ოჯახის ინტერესების დასაცავად.¹⁹⁸³ თუმცა, 1956 მუხლის შესაბამისად, ოჯახის გაერთიანების მაქსიმალურად ხელშეწყობის ვალდებულების გათვალისწინებით, მხარე სახელმწიფოებმა ასეთი მოთხოვნები არ უნდა გამოიყენონ განურჩევლად: ეს გამორიცხავდა გამონაკლისების დაშვების შესაძლებლობას ცალკეული კატეგორიის შემთხვევებში, ან ინდივიდუალურ გარემოებათა გასათვალისწინებლად.¹⁹⁸⁴

დ) მოთხოვნა საშუალებებზე

მხარე სახელმწიფოთა მიერ შრომითი მიგრანტის ოჯახის ან მისი გარკვეული წევრების გასაერთიანებლად მოთხოვნილი საშუალებები არ უნდა იყოს ისეთი შემზღუდველი, რომ ხელი შეუშალოს ოჯახის გაერთიანებას.¹⁹⁸⁵ სოციალური შეღავათები არ უნდა გამოირიცხოს ოჯახის გაერთიანების მსურველი შრომითი მიგრანტის შემოსავლის გაანგარიშებიდან.¹⁹⁸⁶

ე) ენის ან/და ინტეგრაციის ტესტები

სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიიღონ ზომები შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების ინტეგრაციის წასახალისებლად. ასეთი ზომები მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური ერთობის ხელშეწყობად.¹⁹⁸⁷

თუმცა, მოთხოვნები, რომ ოჯახის წევრებმა ჩააბარონ ენის ან/და ინტეგრაციის გამოცდები, ანდა გაიარონ საჭირო კურსები სახელმწიფოში შესვლამდე ან შესვლის შემდეგ, შესაძლოა უფრო აფერხებდეს (და არა ხელს უწყობდეს) ოჯახის გაერთიანებას.¹⁹⁸⁸ ამიტომ, ასეთი მოთხოვნები ეწინააღმდეგება ქარტიის 1956 მუხლს, თუ:

- ▶ მათი პოტენციური ეფექტი გულისხმობს შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრებისთვის უარის თქმას ქვეყანაში შესვლას ან დარჩენაზე; ან
- ▶ პირს სხვაგვარად ართმევენ 1956 მუხლით გარანტირებულ უფლებას (მაგ: ამკრძალავი გადასახადების დაკისრებით, ანდა ინდივიდუალურ გარემოებათა

¹⁹⁷⁹ [დასკვნები XV-1 \(2000\), ფინეთი](#)

¹⁹⁸⁰ [დასკვნები 2011, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁸¹ [დასკვნები I \(1969\), გერმანია; დასკვნები 2011, საფრანგეთი; დასკვნები 2011, კვიპროსი](#)

¹⁹⁸² [დასკვნები IV\(1975\), ნორვეგია](#)

¹⁹⁸³ [დასკვნები 2015, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ – საცხოვრებლის მოთხოვნები](#)

¹⁹⁸⁴ [დასკვნები 2015, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ – საცხოვრებლის მოთხოვნები](#)

¹⁹⁸⁵ [დასკვნები XVII-1 \(2004\), ნიდერლანდები](#)

¹⁹⁸⁶ [დასკვნები 2011, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁸⁷ [დასკვნები 2015, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ – ენის და ინტეგრაციის ტესტები](#)

¹⁹⁸⁸ [დასკვნები 2015, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ – ენის და ინტეგრაციის ტესტები](#)

გაუთვალისწინებლობით, როგორცაა ასაკი, განათლების დონე, ოჯახური ან შრომითი ვალდებულებები).¹⁹⁸⁹

ქვეყანაში დარჩენის დამოუკიდებელი უფლება

მაშინაც კი, თუ შრომითი მიგრანტის გაძევების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია 1958 მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ოჯახის წევრების დეპორტაცია შრომითი მიგრანტის გაძევების გამო.¹⁹⁹⁰ 1956 მუხლით გათვალისწინებული ოჯახის გაერთიანების უფლება უნდა ჩაითვალოს თითოეული ბენეფიციარისთვის მინიჭებულ პირად ბინადრობის უფლებად, რომელიც განსხვავდება შრომითი მიგრანტის მიერ მიღებული თავდაპირველი უფლებისგან.¹⁹⁹¹

შრომითი მიგრანტის ოჯახის წევრთა გაძევების შესაბამისობა ქარტიასთან ფასდება 1956 მუხლის ფარგლებში.¹⁹⁹²

სამართლებრივი დაცვის საშუალებები

ოჯახის გაერთიანების უფლების შეზღუდვა უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრების ან განხილვის ეფექტიან მექანიზმს, რომელიც შესაძლებელს გახდის საქმის არსებითად განხილვას თანაზომიერებისა და გონივრულობის პრინციპების შესაბამისად.¹⁹⁹³

1957 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ასეთი მუშაკების მიმართ გამოიყენონ ისეთივე ხელსაყრელი რეჟიმი, როგორც მოქმედებს საკუთარი მოქალაქეების მიმართ, ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე ადრეულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით.

ამ დებულების შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მიგრანტებს ჰქონდეთ წვდომა სასამართლოებზე, ადვოკატებსა და იურიდიულ დახმარებაზე, იმავე პირობებით, როგორც აქვთ მათ მოქალაქეებს.¹⁹⁹⁴ ეს ვალდებულება ვრცელდება ყველა სამართალწარმოებაზე, რომლებიც უკავშირდება მე-19 მუხლით გარანტირებულ უფლებებს (ხელფასი, სამუშაო პირობები, საცხოვრებელი, პროფკავშირული უფლებები, გადასახადები).¹⁹⁹⁵

უფრო კონკრეტულად, მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებიან მომუშავეების მიერ შრომითი მიგრანტი, რომელიც ჩართულია სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და არ აურჩევია ადვოკატი, უნდა იყოს ინფორმირებული, რომ შეუძლია ადვოკატის დანიშვნა და, როცა ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, უფასოდაც კი, თუ პირს არ აქვს საკმარისი სახსრები ამ ხარჯის ასანაზღაურებლად (ისე, როგორც დადგენილია მოქალაქეების შემთხვევაში და ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამისად).¹⁹⁹⁶ ამავე პირობების მიხედვით (შრომით მიგრანტთა მონაწილეობა სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში), თუკი მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, შრომით მიგრანტს უნდა ჰქონდეს თარჯიმნის უფასო დახმარებაც, როცა არ ესმის ან ვერ საუბრობს სამართალწარმოებისას გამოყენებულ სახელმწიფო ენაზე და გადასათარგმნი აქვს რომელიმე საჭირო დოკუმენტი.¹⁹⁹⁷ ასეთი იურიდიული დახმარება

¹⁹⁸⁹ [დასკვნები 2015, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ – ენის და ინტეგრაციის ტესტები](#)

¹⁹⁹⁰ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ნიდერლანდები](#), მუხლი 1958

¹⁹⁹¹ [დასკვნები XVI-1 \(2002\), ნიდერლანდები](#), მუხლი 1958

¹⁹⁹² [დასკვნები 2015, განცხადება 1956 და 1958 მუხლების განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁹³ [დასკვნები 2015, განცხადება 1956 მუხლის განმარტების შესახებ – საცხოვრებლის მოთხოვნები](#)

¹⁹⁹⁴ [დასკვნები I \(1969\), იტალია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო; დასკვნები I \(1969\), გერმანია; დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

¹⁹⁹⁵ [დასკვნები I \(1969\), გერმანია](#)

¹⁹⁹⁶ [დასკვნები 2011, განცხადება 1957 მუხლის განმარტების შესახებ](#)

¹⁹⁹⁷ [დასკვნები 2011, განცხადება 1957 მუხლის განმარტების შესახებ](#)

უნდა გავრცელდეს სავალდებულო წინასასამართლო წარმოებაზე.¹⁹⁹⁸

1958 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ, დაიცვან, რომ მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები ასეთი მუშაკები არ იქნენ გაძევებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი საფრთხეს უქმნიან ეროვნულ უსაფრთხოებას ან ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებსა და მორალს.

წინამდებარე დებულება მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს, კანონით აკრძალონ მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მიგრანტთა გაძევება, თუ ისინი საფრთხეს არ უქმნიან სახელმწიფო უსაფრთხოებას, ან არ ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ინტერესებსა თუ მორალს.¹⁹⁹⁹

როდესაც საქმე ეხება ისეთ ძირითად უფლებას, როგორცაა ბინადრობა, მთავრობას ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს, რომ პირი კანონიერად არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე.²⁰⁰⁰

ასეთი გაძევება შეიძლება შეესაბამებოდეს ქარტიას, თუ განხორციელდება სასამართლოს, მართლმსაჯულების ორგანოს ან ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანებით, რომლის გადაწყვეტილებებიც ექვემდებარება სასამართლო განხილვას.²⁰⁰¹ ნებისმიერი ასეთი გაძევება დასაშვებია მხოლოდ იმ სიტუაციებში, როდესაც პირი მსჯავრდებულია მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, ან ჩართული იყო ისეთ საქმიანობაში, რომელიც მნიშვნელოვან რისკს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ ინტერესებსა ან მორალს.²⁰⁰² გაძევების ბრძანებები უნდა იყოს თანაზომიერი, პირის ქვევის ყველა ასპექტის, ასევე, სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის გარემოებებისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.²⁰⁰³ გაძევების თანაზომიერების დასადგენად, გასათვალისწინებელია პიროვნების კავშირ(ებ)ი როგორც მიმღებ, ისე წარმომშობის სახელმწიფოსთან, ასევე, ნებისმიერი ოჯახური ურთიერთობების სიმტკიცე, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბებულიყო ამ პერიოდში.²⁰⁰⁴

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხე თავისთავად არ ნიშნავს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისთვის და არ შეიძლება გახდეს გაძევების საფუძველი, თუ პირი უარს არ ამბობს სათანადო მკურნალობაზე.²⁰⁰⁵

ფაქტი, რომ შრომითი მიგრანტი დამოკიდებულია სოციალურ დახმარებაზე, ვერ ჩაითვლება საფრთხედ საზოგადოებრივი წესრიგისთვის და ვერ გახდება გაძევების საფუძველი.²⁰⁰⁶

მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც გადაეცათ გაძევების ბრძანება, ჰქონდეთ სასამართლოსა ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოსთვის მიმართვის უფლება.²⁰⁰⁷

კოლექტიური გაძევება არ შეესაბამება ქარტიას. გაძევების გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ თითოეული პირის კონკრეტული სიტუაციის გონივრული და ობიექტური შემოწმების საფუძველზე.²⁰⁰⁸

¹⁹⁹⁸ [დასკვნები 2011, განცხადება 1957 მუხლის განმარტების შესახებ](#)
¹⁹⁹⁹ [დასკვნები VI \(1979\), კვიპროსი; დასკვნები 2011, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ; დასკვნები 2015, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ](#)
²⁰⁰⁰ [Médécins du Monde – International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §114
²⁰⁰¹ [დასკვნები 2015, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ](#)
²⁰⁰² [დასკვნები 2015, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ](#)
²⁰⁰³ [დასკვნები 2015, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ](#)
²⁰⁰⁴ [დასკვნები 2015, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ](#)
²⁰⁰⁵ [დასკვნები V \(1977\), გერმანია](#)
²⁰⁰⁶ [დასკვნები V \(1977\), იტალია](#)
²⁰⁰⁷ [დასკვნები V \(1977\), გაერთიანებული სამეფო; დასკვნები 2015, განცხადება 1958 მუხლის განმარტების შესახებ](#)
²⁰⁰⁸ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§155-158, [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. France](#), საჩივარი N 63/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 28 ივნისი, §§ 68-79; [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. France](#), საჩივარი N 64/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 24 იანვარი, §§51-67; [Médécins du Monde – International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §§ 112-117

ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა ასახოს 18§1 და 19§8 მუხლების სამართლებრივი შედეგები, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი: უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ სახელმწიფოში კანონიერად, ან ხელისუფლების ორგანოები დუმილით იღებენ მის არალეგალურ სტატუსს მასპინძელი ქვეყნის საჭიროებათა გათვალისწინებით, უნდა გავრცელდეს დეპორტაციისგან დაცვის წესები.²⁰⁰⁹

19§9 დაცვასა და დანაზოგების მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, სამართლებრივ ფარგლებში დართონ ნება ასეთ მუშაკებს, მათი სურვილის შესაბამისად გადარიცხონ მათი შემოსავლებისა და დანაზოგების გარკვეული ნაწილი.

ეს დებულება სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ არ დააწესონ ზედმეტი შეზღუდვები მიგრანტთა უფლებაზე, გადარიცხონ შემოსავალი და დანაზოგი როგორც მასპინძელ ქვეყანაში ყოფნისას, ისე ქვეყნის დატოვების შემდეგ.²⁰¹⁰

შემოსავლისა და დანაზოგის გადაცემის უფლება მოიცავს მოძრავი ქონების (მათ შორის, ფულის) გადაცემის უფლებას.²⁰¹¹

19§10 დაცვასა და დანაზოგების მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, გაავრცელონ ამ მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა და დანაზოგები თვითდასაქმებულ მიგრანტებზე, იმ ზომით, რითაც ეს ღონისძიებები გამოიყენება.

ამ დებულების შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა 1, 9, 11 და 12 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები უნდა გაავრცელონ შრომით მიგრანტებსა და მათ ოჯახებზე.²⁰¹²

მათ არ უნდა დაუშვან გაუმართლებელი მოპყრობა კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში, რომელიც უტოლდება დისკრიმინაციას დასაქმებულ და თვითდასაქმებულ მიგრანტებს შორის.²⁰¹³ გარდა ამისა, ამ დებულებით გათვალისწინებულ სფეროებში გარანტირებული უნდა იყოს თანასწორი მოპყრობა თვითდასაქმებულ მიგრანტებსა და მოქალაქეებს შორის.²⁰¹⁴

თუმცა, შეუსაბამობის დადგენა მე-19 მუხლის რომელიმე სხვა პუნქტთან მიმართებით, ჩვეულებრივ, გამოიწვევს შეუსაბამობას 19§10 მუხლთან, ვინაიდან შეუსაბამობის იგივე საფუძვლები ვრცელდება თვითდასაქმებულ მუშაკებზე.²⁰¹⁵ ასეთი შეუსაბამობის დადგენა ხელს უშლის დისკრიმინაციას ან განსხვავებულ მოპყრობას.²⁰¹⁶

19§11 დაცვასა და დანაზოგების მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ მიმღები სახელმწიფოს ეროვნული ენის სწავლებას, ხოლო თუ ქვეყანაში რამდენიმე სახელმწიფო ენაა, ერთ-ერთი ენის სწავლებას მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

ამ დებულების შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ ეროვნული ენის სწავლებას სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, ასევე, თავად მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც აღარ არიან სასკოლო ასაკში.²⁰¹⁷ მიმღები სახელმწიფოს ეროვნული ენის სწავლება მთავარი საშუალებაა მიგრანტებისა და მათ

²⁰⁰⁹ [დასკვნები 2011, განცხადება 19§8 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰¹⁰ [დასკვნები XIII-1 \(1993\), საბერძნეთი](#)

²⁰¹¹ [დასკვნები 2011, განცხადება 19§9 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰¹² [დასკვნები I \(1969\), ნორვეგია](#)

²⁰¹³ [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

²⁰¹⁴ [დასკვნები XVIII-1 \(2006\) ლუქსემბურგი](#)

²⁰¹⁵ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

²⁰¹⁶ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

²⁰¹⁷ [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

ოჯახების ინტეგრირებისათვის ჩვეულებრივ დასაქმებასა და მთლიანად საზოგადოებაში.²⁰¹⁸

მნიშვნელოვანი გადასახადის გადახდის მოთხოვნა არ შეესაბამება ქარტიას: მხარე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ეროვნული ენის გაკვეთილები უზრუნველყონ უფასოდ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი გაკვეთილები არ იქნება ხელმისაწვდომი მრავალი მიგრანტისთვის.²⁰¹⁹

მასპინძელი ქვეყნის ენის სწავლება დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში არ კმარა 19§11 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად.²⁰²⁰ მხარე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გაიღონ იმ იმიგრანტ ბავშვთა დამატებითი დახმარებისთვის, რომლებსაც თავიდანვე არ უვლიათ დაწყებით სკოლაში და, შესაბამისად, ჩამორჩებიან ქვეყნის მოქალაქე თანატოლებს.²⁰²¹

მხარე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ ეროვნული ენის სწავლება სამუშაო ადგილზე, მოხალისეობრივ სექტორსა და საჯარო დაწესებულებებში, როგორცაა უნივერსიტეტები.²⁰²² ასეთი მომსახურებები უნდა იყოს უფასო, რათა არ გაამწვავოს შრომით მიგრანტთა არახელსაყრელი მდგომარეობა შრომის ბაზარზე.²⁰²³

19§12 დაცვასა და დახმარებაზე მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ მიგრანტი მუშაკების ბავშვებისათვის მიგრანტი მუშაკების მშობლიური ენის სწავლებას.

მხარე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ მიგრანტთა შორის ყველაზე მეტად წარმოდგენილი ენების სწავლებას მათ ტერიტორიაზე, სასკოლო სისტემების ან სხვა კონტექსტში, როგორცაა ნებაყოფლობითი გაერთიანებები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები.²⁰²⁴

ამ დებულების მიხედვით სიტუაციის სრულყოფილად შესაფასებლად, კომიტეტი ითვალისწინებს შემდეგ დეტალურ ინფორმაციას:

- ▶ სტატისტიკური მონაცემები მიგრანტთა ძირითადი ჯგუფების შესახებ,²⁰²⁵
- ▶ განხორციელდა თუ არა რაიმე ზომა ან პროექტი სასკოლო სისტემასა ან სხვა სტრუქტურებში, რათა მიგრანტებმა მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება;²⁰²⁶
- ▶ აქვთ თუ არა წვდომა მიგრანტთა ბავშვებს მრავალენოვან განათლებაზე და რის საფუძველზე; რა ნაბიჯები გადადგა მთავრობამ მიგრანტი ბავშვებისთვის ამ სკოლებზე წვდომის გასაადვილებლად;²⁰²⁷
- ▶ არსებობს თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები ან სხვა ორგანოები (მაგ: ადგილობრივი გაერთიანებები და კულტურული ცენტრები), ან კერძო ინიციატივები, რომელთა მეშვეობითაც შრომით მიგრანტთა ბავშვებს ასწავლიან წარმოშობის ქვეყნის ენას, და იღებენ თუ არა ისინი მხარდაჭერას.²⁰²⁸

²⁰¹⁸ [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

²⁰¹⁹ [დასკვნები 2011, ნორვეგია](#)

²⁰²⁰ [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

²⁰²¹ [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

²⁰²² [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

²⁰²³ [დასკვნები 2002, საფრანგეთი](#)

²⁰²⁴ [დასკვნები 2002, იტალია; დასკვნები 2011, სომხეთი; დასკვნები 2011, განცხადება 19§12 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰²⁵ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

²⁰²⁶ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

²⁰²⁷ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

²⁰²⁸ [დასკვნები 2019, ალბანეთი](#)

**მუხლი 20 დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში
თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით
სარგებლობის უფლება საქსობრივი დისკრიმინაციის გარეშე**

ყველა მუშაკს აქვს უფლება, დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში სარგებლობდეს თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით, სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე.

დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ ეს უფლება და მიიღონ სათანადო ზომები ამ სფეროში მის უზრუნველსაყოფად და მხარდასაჭერად:

- ა. დასაქმების ხელმისაწვდომობა, სამსახურიდან დათხოვნისაგან დაცვა და პროფესიული რეინტეგრაცია;
- ბ. პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრა, მომზადება, გადამზადება და რეაბილიტაცია;
- გ. დასაქმების ვადები და სამუშაო პირობები, ანაზღაურების ჩათვლით;
- დ. კარიერული განვითარება, დაწინაურების ჩათვლით.

დანართი:

- 1. სოციალური უზრუნველყოფის საკითხები, ისევე, როგორც სხვა დებულებები, რომლებიც ეხება უმუშევრობის შემწეობას, ხანდაზმულთა შემწეობას და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებს, შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლის მოქმედების სფეროდან.²⁰²⁹
- 2. ქალების დაცვასთან დაკავშირებული დებულებები - კერძოდ, ორსულობის, თავისუფლების აღკვეთისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდისთვის - არ უნდა ჩაითვალოს ამ მუხლში მითითებულ დისკრიმინაციად.²⁰³⁰
- 3. ეს მუხლი არ გამოირიცხავს კონკრეტული ზომების მიღებას, რომლებიც მიმართულია დე ფაქტო უთანასწორობის აღმოფხვრისკენ.²⁰³¹
- 4. პროფესიული საქმიანობა, რომელიც თავისი ბუნებიდან ან განხორციელების პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება დაევალოს მხოლოდ გარკვეული სქესის პირებს, შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლის ან მისი ზოგიერთი დებულების მოქმედების სფეროდან. ეს დებულება არ უნდა განიმარტოს როგორც მოთხოვნა, რომ მხარეებმა კანონებსა ან რეგულაციებში ასახონ იმ პროფესიათა სიები, რომლებიც, მათი ბუნებიდან ან კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება განახორციელონ მხოლოდ კონკრეტული სქესის პირებმა.²⁰³²

თანასწორობა სამუშაოზე და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში

განმარტებები და მოქმედების სფერო

მე-20 მუხლით გარანტირებულია დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობის უფლება, სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე.²⁰³³

მე-20 მუხლის მიღება მხარე სახელმწიფოებს აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს:

²⁰²⁹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163
²⁰³⁰ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163
²⁰³¹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163
²⁰³² ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163
²⁰³³ [დასკვნები XIII-3 \(1995\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

- ▶ ამ უფლების ასახვა კანონმდებლობაში;²⁰³⁴
- ▶ ამ უფლების ეფექტიანობაზე მიმართული სამართლებრივი ზომების გატარება.²⁰³⁵ ასეთი ზომები ბათილად უნდა ცნობდეს კოლექტიური შეთანხმებებისა და ინდივიდუალური ხელშეკრულებების დებულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრინციპს; ასევე, უზრუნველყოფდეს შესაბამის გასაჩივრების პროცედურებს უფლების დარღვევის შემთხვევაში და დასაქმებულთა ეფექტიან დაცვას ნებისმიერი საპასუხო ზომისგან (მაგ: თანამდებობიდან გათავისუფლება), რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათ მოთხოვნას ამ უფლებით სარგებლობის შესახებ;²⁰³⁶
- ▶ აქტიური პოლიტიკის განსაზღვრა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა მის განსახორციელებლად.²⁰³⁷

მხარე სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც მიღებული აქვთ როგორც 1§2, ისე მე-20 მუხლი, კომიტეტი ამ უკანასკნელის ფარგლებში განიხილავს ქალებისა და კაცების თანასწორობის ზოგად ჩარჩოს (თანაბარი უფლებები, სპეციალური დაცვის ზომები, ქალების პროზიცია დასაქმებისა და მომზადების სქემებში, თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის ზომები).²⁰³⁸ შედეგად, ის კონკრეტულად არ ეხება სქესის ნიშნით დისკრიმინაციას 1§2 მუხლის შესაბამისად, ამ მხარე სახელმწიფოებთან მიმართებით.²⁰³⁹

თანაბარი სამუშაოს ან თანაბარი დირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების უფლების უზრუნველყოფის ვალდებულება

სამართლებრივი ჩარჩო

ქალისა და კაცის თანასწორობის უფლება გარანტირებული უნდა იყოს კანონით. ქარტია წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს არა მხოლოდ თანასწორ მოპყრობას, არამედ ქალებისა და კაცების დისკრიმინაციისგან დაცვასაც დასაქმებისა და მომზადებისას.²⁰⁴⁰ ეს ნიშნავს, რომ მხარეებს ევალებათ საკმარისად დეტალური კანონმდებლობის მიღება, რომელიც მკაფიოდ ადგენს თანასწორ მოპყრობას ყველა ასპექტში.²⁰⁴¹ ყველა სახის დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა კონსტიტუციაში საკმარისი არ არის.²⁰⁴²

ნებისმიერი კანონმდებლობა, რეგულაცია ან სხვა ადმინისტრაციული ზომა, რომელიც არ შეესაბამება თანასწორობის პრინციპს, უნდა გაუქმდეს ან გაბათილდეს.²⁰⁴³ დისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოუყენებლობა არ კმარა იმისთვის, რომ მდგომარეობა ჩაითვალოს ქარტიის შესაბამისად.²⁰⁴⁴ შესაძლებელი უნდა იყოს კოლექტიური შეთანხმების, შრომითი ხელშეკრულების ან კომპანიის შინაგანაწესის ნებისმიერი იმ დებულების გაუქმება, გამოთხოვა, გაბათილება ან შეცვლა, რომელიც არ შეესაბამება თანასწორი მოპყრობის პრინციპს.²⁰⁴⁵

კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მხარე სახელმწიფოებმა შემოიღონ ზომები, რომლებიც შეაკავებს დამსაქმებლებს ისეთი დებულებების თუნდაც უნებლიე გამოყენებისგან, რომლებიც ბათილად არის ცნობილი.²⁰⁴⁶ ეს შეიძლება იყოს: სამართლებრივი დებულების

²⁰³⁴ [დასკვნები XIII-3 \(1995\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰³⁵ [დასკვნები XIII-3 \(1995\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰³⁶ [დასკვნები XIII-3 \(1995\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰³⁷ [დასკვნები XIII-3 \(1995\), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰³⁸ [დასკვნები 2002, განცხადება 1§2 და მე-20 მუხლების განმარტების შესახებ](#)

²⁰³⁹ დასკვნები 2002, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ

²⁰⁴⁰ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁴¹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁴² [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁴³ [University Women of Europe \(UWE\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 125/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §131

²⁰⁴⁴ [University Women of Europe \(UWE\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 125/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §131

²⁰⁴⁵ [University Women of Europe \(UWE\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 125/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §131

²⁰⁴⁶ დასკვნები XV-2 (2001) დანართი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

შემოდება, რომელიც ბათილად ცნობს ნებისმიერ ასეთ დათქმას; სასამართლოს შესაძლებლობა, ბათილობა გამოაცხადოს *erga omnes* გადაწყვეტილებით; პროფესიული კავშირებისთვის სპეციალური უფლების შემოდება, სამართლებრივი მოქმედება დაიწყოს ამ საკითხებზე, მათ შორის, მიეცეთ ინდივიდუალურ დავაში ჩარევის უფლება, ან ჯგუფური საჩივრის შეტანის შესაძლებლობა იმ პირთა მხრიდან, რომელთა ინტერესებშიც იქნებოდა ბათილად ცნობა.²⁰⁴⁷

თანაბარი ანაზღაურების უფლება სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე გარანტირებულია 4§3 მუხლითაც. ამიტომ, წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც მიღებული აქვთ მხოლოდ 4§3 მუხლი, აღნიშნული საკითხი განიხილება ამ დებულებით.²⁰⁴⁸

თანაბარი შესაძლებლობები და პოზიტიური ზომები

მხარე სახელმწიფოებმა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა ხელი შეუწყონ თანაბარ შესაძლებლობებს *დე ფაქტო* უთანასწორობის აღმოფხვრით, რომელიც გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების შესაძლებლობებზე.²⁰⁴⁹ ამიტომ, ქალთა დაცვის პოტენციურად დისკრიმინაციული დებულებების გაუქმებას უნდა ახლდეს ქმედებები ქალთა ხარისხიანი დასაქმების ხელშესაწყობად.²⁰⁵⁰

გენდერული ასპექტები უნდა იყოს სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მოიცავს შრომის ბაზრის ყველა ასპექტს, ანაზღაურების, კარიერული განვითარებისა და პროფესიული აღიარების ჩათვლით, და ვრცელდება განათლების სისტემაზე.²⁰⁵¹

შესაბამის ზომებს შორის არის:

- ▶ თანაბარი შესაძლებლობების ეროვნული გეგმების მიღება-განხორციელება;²⁰⁵²
- ▶ ცალკეული საწარმოებისთვის მოთხოვნა, რომ შეიმუშაონ საწარმოს ან კომპანიის გეგმები ქალებისა და კაცების მეტი თანასწორობისათვის;²⁰⁵³
- ▶ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წახალისება, რომ თანასწორობის საკითხები გაითვალისწინონ კოლექტიურ შეთანხმებებში;²⁰⁵⁴
- ▶ ქალებსა და კაცებს შორის მეტი თანასწორობის დამყარება დასაქმების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში.²⁰⁵⁵

ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის დაცვის კონკრეტული ზომები, როგორც წესი, განიხილება ქარტიის 8§4 მუხლის შესაბამისად.²⁰⁵⁶

თანაბარი ანაზღაურების უფლების წახალისების ვალდებულებები

ქარტიის 4§3 და მე-20 მუხლების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ცნება უნდა მოიცავდეს ანაზღაურების ყველა ელემენტს, ანუ საბაზისო ანაზღაურებას და ყველა სხვა სარგებელს, რომლებსაც პირდაპირ ან ირიბად უხდის დამსაქმებელი მუშაკს ფულადი ან არაფულადი სახით, ამ უკანასკნელის დასაქმების გამო.²⁰⁵⁷

თანაბარი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად და ხელშესაწყობად, ძალიან მნიშვნელოვანია,

²⁰⁴⁷ დასკვნები XV-2 (2001) დანართი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

²⁰⁴⁸ [დასკვნები 2002, განცხადება 1§2 და მე-20 მუხლების განმარტების შესახებ](#)

²⁰⁴⁹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁵⁰ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁵¹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), საბერძნეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁵² [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

²⁰⁵³ [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

²⁰⁵⁴ [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

²⁰⁵⁵ [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

²⁰⁵⁶ [დასკვნები XVII-2 \(2005\), საბერძნეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²⁰⁵⁷ [დასკვნები 2020, ჩრდილოეთ მაკედონია](#), რომელშიც ციტირებულია [University Women of Europe \(UWE\) v. France](#), საჩივარი N 130/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 5 დეკემბერი, §166

შეგროვდეს სქესის მიხედვით ჩამოლილი მატალხარისხიანი სტატისტიკა ხელფასების შესახებ, ასევე, სტატისტიკური მონაცემები ანაზღაურებაში დისკრიმინაციის შემთხვევათა რაოდენობასა და ტიპებზე.²⁰⁵⁸ ასეთი მონაცემების შეგროვება ზრდის გამჭვირვალობას აგრეგირებულ დონეზე და, საბოლოოდ, იძლევა არათანაბარი ანაზღაურებისა და, შესაბამისად, ანაზღაურებაში არსებული გენდერული სხვაობის გამოვლენის საშუალებას.²⁰⁵⁹ ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ მიღებული ინდიკატორია ანაზღაურებაში სხვაობისა იმ კაცებსა და ქალებს შორის, რომლებიც ასრულებენ თანაბარ ან თანაბარი ღირებულების სამუშაოს.²⁰⁶⁰ საერთო სხვაობის (დაუკორექტირებელი და კორექტირებული) გარდა, კომიტეტი, საჭიროებისამებრ, გაითვალისწინებს უფრო კონკრეტულ მონაცემებს ანაზღაურებაში გენდერულ სხვაობაზე სექტორების, პროფესიის, ასაკის, განათლების დონისა და სხვა კატეგორიების მიხედვით.²⁰⁶¹ კომიტეტი ასევე მიიჩნევს, რომ მხარე სახელმწიფოებს ევალუატი ანაზღაურებაში გენდერული სხვაობის მიზეზთა გაანალიზება, რათა ეფექტიანი პოლიტიკა შეიმუშაონ მის შესამცირებლად.²⁰⁶² ანაზღაურებაში გენდერული სხვაობის შემცირების მხრივ გაზომვადი პროგრესის მიუღწევლობა ეწინააღმდეგება მე-20 მუხლს.²⁰⁶³

ანაზღაურების გამჭვირვალობა და სამუშაოს შედარება

ანაზღაურების გამჭვირვალობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის ეფექტიანად გამოყენებაში.²⁰⁶⁴ გამჭვირვალობა ხელს უწყობს გენდერული ნიშნით მიკერძობებისა და დისკრიმინაციის გამოვლენას, ასევე, მაკორექტირებელ ქმედებებს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების, მათი ორგანიზაციებისა და შესაბამისი ორგანოების მხრიდან.²⁰⁶⁵ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ეროვნული პირობებისა და ტრადიციების შესაბამისად, რათა პრაქტიკაში უზრუნველყონ ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობა. მათ შორისაა ზომები, ხაზგასმული ევროკომისიის 2014 წლის 7 მარტის რეკომენდაციაში, რომელიც შეეხება კაცებისა და ქალების თანაბარი ანაზღაურების პრინციპის გაძლიერებას გამჭვირვალობით, კერძოდ, დამსაქმებელთა ვალდებულებას, რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია ხელფასებზე და წარადგინონ გენდერის მიხედვით ჩამოლილი მონაცემები.²⁰⁶⁶ კომიტეტი ასეთ ზომებს ქარტიასთან შესაბამისობის ინდიკატორად მიიჩნევს ამ საკითხში.²⁰⁶⁷

მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალისა და კაცის მიმართ თანასწორი მოპყრობა მოიცავს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარ ანაზღაურებას.²⁰⁶⁸ ჩვეულებრივ, ხელფასი უნდა შედარდეს იმავე საწარმოს/კომპანიის თანამშრომლებს შორის.²⁰⁶⁹ თუმცა, შეიძლება იყოს სიტუაციები, როდესაც ასეთი შედარება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ კომპანიებს/საწარმოებს შორის.²⁰⁷⁰ ამიტომ მე-20 მუხლი მოითხოვს, რომ ხელფასების შედარება შესაძლებელი იყოს კომპანიებს შორისაც.²⁰⁷¹ სულ მცირე, კანონმდებლობამ ანაზღაურების შედარება კომპანიების შორის უნდა მოითხოვოს ერთ ან რამდენიმე სიტუაციაში. კერძოდ, როდესაც:

- ▶ საკანონმდებლო ნორმები სამუშაო და ანაზღაურების პირობებზე ვრცელდება ერთზე მეტ კომპანიაში;²⁰⁷²

²⁰⁵⁸ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁵⁹ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶⁰ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶¹ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶² [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶³ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

²⁰⁶⁴ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶⁷ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁶⁸ [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰⁶⁹ [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰⁷⁰ [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰⁷¹ [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰⁷² [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

- ▶ კოლექტიური შრომითი შეთანხმება ან დასაქმების პირობებთან დაკავშირებული რეგულაციები ვრცელდება რამდენიმე კომპანიაზე,²⁰⁷³
- ▶ დასაქმების პირობები ცენტრალიზებულია ერთზე მეტი კომპანიისთვის ჰოლდინგსა [კომპანია] ან კონგლომერატში.²⁰⁷⁴

იმისათვის, რომ განისაზღვროს, არის თუ არა შესრულებული სამუშაო თანაბარი ან თანაბარი ღირებულების, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ამოცანების ბუნება, უნარები და მოთხოვნები განათლებისა თუ მომზადების შესახებ.²⁰⁷⁵ ამიტომ, სახელმწიფოები უნდა შეეცადონ ამ ცნების გარკვევას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, საჭიროებისამებრ, კანონმდებლობის ან პრეცედენტული სამართლის მეშვეობით.²⁰⁷⁶ ამ მიმართებით, უნდა წახალისდეს სამუშაოთა კლასიფიკაცია და შეფასების სისტემები, ხოლო სადაც ისინი უკვე გამოიყენება, უნდა დაეფუძნოს გენდერულად ნეიტრალურ კრიტერიუმებს და არ იწვევდეს ირიბ დისკრიმინაციას.²⁰⁷⁷

თანაბარი ანაზღაურების შესახებ დავის საქმეებში კანონმა კომპანიებს შორის ანაზღაურების შედარება უნდა დაუშვას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხელფასების სხვაობა შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთსა და იმავე წყაროს.²⁰⁷⁸ მაგალითად, კომიტეტმა მიიჩნია, რომ მდგომარეობა შეესაბამება ამ პრინციპს, როცა თანაბარი ანაზღაურების შესახებ დავის საქმეებში შესაძლებელია შედარების გაკეთება სხვა კომპანიის ტიპურ მუშაკთან (შედარებად თანამდებობაზე მყოფ პირთან), იმ პირობით, რომ ანაზღაურების სხვაობა შეიძლება მიეკუთვნებოდეს ერთსა და იმავე წყაროს; ან როდესაც ხელფასების შედარება შესაძლებელია იურიდიულად განსხვავებულ სიტუაციებში მყოფ პირთა განყოფილებაში, თუ შრომის ანაზღაურება დადგენილია კოლექტიური ხელშეკრულებით, რომელიც გამოიყენება განყოფილების ყველა სუბიექტისთვის.²⁰⁷⁹

სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები

ანაზღაურების სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევაში შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი და ქმედითი საშუალებები.²⁰⁸⁰ დასაქმებულებს, რომლებიც ჩივიან, რომ დისკრიმინაცია განიცადეს, უნდა შეეძლოთ თავიანთი საქმის სასამართლოში შეტანა.²⁰⁸¹ ანაზღაურებაში დისკრიმინაციის მსხვერპლს გარანტირებული უნდა ჰქონდეს ეფექტიანი წვდომა სასამართლოზე.²⁰⁸² ამიტომ, საქმისწარმოება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დროული.²⁰⁸³

სასამართლოში წარდგენილ საქმეთა არარსებობა ან სიმცირე, სავარაუდოდ, მიუთითებს შემდეგ ხარვეზებზე: შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა, არასაკმარისი ინფორმირებულობა უფლებებზე, ნდობის ნაკლებობა ან არქონა არსებული სამართლებრივი საშუალებების მიმართ, პრაქტიკული წვდომის არქონა პროცედურებზე, ან შურისძიების შიში.²⁰⁸⁴

მე-20 მუხლთან შესაბამისობას სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებათა ხელმისაწვდომობის კუთხით, კომიტეტი აფასებს შემდეგი ინდიკატორების საფუძველზე:

²⁰⁷³ [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰⁷⁴ [დასკვნები 2012, განცხადება მე-20 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁰⁷⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁷⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁷⁷ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁷⁸ [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

²⁰⁷⁹ [დასკვნები 2016, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2012, ნიდერლანდები](#); და [დასკვნები 2014, საფრანგეთი, 453 მუხლი](#)

²⁰⁸⁰ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁸¹ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁸² [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁸³ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²⁰⁸⁴ [დასკვნები 2020, საქართველო](#)

- ▶ ანაზღაურებაში გენდერული დისკრიმინაციის საქმეთა რაოდენობა, რომლებიც შეტანილია სასამართლოში, კონკრეტული ინფორმაციით მათ შედეგებსა და დამსაქმებელთა მიმართ დაწესებულ სანქციებზე;²⁰⁸⁵
- ▶ დაწესებულია თუ არა ზედა ზღვარი კომპენსაციის ოდენობაზე, რომელიც შეიძლება გაიცეს ანაზღაურებაში გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევაში;²⁰⁸⁶
- ▶ ეკისრებათ თუ არა სანქციები დამსაქმებლებს ანაზღაურებაში დისკრიმინაციისას;²⁰⁸⁷
- ▶ რა წესები გამოიყენება სამსახურიდან საპასუხო გათავისუფლების საქმეებში, რომელიც უკავშირდება სასამართლო დავას თანაბარი ანაზღაურების შესახებ;²⁰⁸⁸
- ▶ სასამართლოს მიერ მიკუთვნებული კომპენსაციის მაგალითები ანაზღაურებაში გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევებში.²⁰⁸⁹

მტკიცების ტვირთი

ქარტიის მე-20 მუხლი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის გადატანას იმ მუშაკის სასარგებლოდ, რომელიც თვლის, რომ გახდა დისკრიმინაციული ზომის მსხვერპლი:²⁰⁹⁰ თუ პირი მიიჩნევს, რომ განიცადა სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები გონივრულ საფუძველს ქმნის დისკრიმინაციის სავარაუდოდ, მოპასუხეს ეკისრება პასუხისმგებლობა, ამტკიცოს, რომ ამკარა დისკრიმინაცია განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით, რომლებიც არ უკავშირდება სქესის ნიშნით დისკრიმინაციას და, შესაბამისად, არ არღვევს თანასწორი მოპყრობის პრინციპს.²⁰⁹¹

1§2 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ანალოგიით, გასაჩივრების უფლების სრულად ეფექტიანობისთვის უნდა გადაიდგას რიგი სხვა სამართლებრივი ნაბიჯები, როგორცაა: პროფესიული კავშირებისა და სხვა ორგანოებისთვის უფლების მიცემა, იმოქმედონ დასაქმებაში დისკრიმინაციის საქმეებში (მათ შორის, ფიზიკური პირების სახელით)²⁰⁹², ან შექმნან დამოუკიდებელი ორგანო თანასწორი მოპყრობის წასახალისებლად და დაზარალებულთათვის სამართლებრივი დახმარების გასაწევად.

შესაბამისი კომპენსაცია

მხარე სახელმწიფოებმა კანონმდებლობის მეშვეობით უნდა უზრუნველყონ შესაბამისი გარანტიები დისკრიმინაციისა და საპასუხო ზომების წინააღმდეგ.²⁰⁹³ კანონმდებლობამ უნდა გამოასწოროს შესაბამისი სიტუაცია (სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, ალადგინოს პირი) და აანაზღაუროს შუალედურ პერიოდში მიყენებული ფინანსური ზარალი.²⁰⁹⁴

ყველას, ვინც განიცდის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას ანაზღაურებაში, უნდა ჰქონდეს უფლება შესაბამისი კომპენსაციაზე.²⁰⁹⁵ ამ კუთხით, კომიტეტი განასხვავებს კომპენსაციას, რომელიც მიეკუთვნება არათანაბარ ანაზღაურებაზე შეტანილი წარმატებული საჩივრების შემთხვევაში, და კომპენსაციას/სამსახურიდან გათავისუფლების ანაზღაურებას, რომელიც გაიცემა სამსახურიდან საპასუხო გათავისუფლების გამო, თუნდაც ეს უკანასკნელი იყოს თანაბარი ანაზღაურების მოთხოვნის შედეგი.²⁰⁹⁶ პირველ შემთხვევაში შეუძლებელია ზედა ზღვრის დადგენა კანონით.²⁰⁹⁷ მეორე შემთხვევაში კანონით დადგენილი ზღვარი დასაშვებია

²⁰⁸⁵ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ხორვატია](#)

²⁰⁸⁶ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ხორვატია](#)

²⁰⁸⁷ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ხორვატია](#)

²⁰⁸⁸ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ხორვატია](#)

²⁰⁸⁹ [დასკვნები XXII-1 \(2020\), ხორვატია](#)

²⁰⁹⁰ [დასკვნები 2004, რუმინეთი](#)

²⁰⁹¹ დასკვნები XIII-5 (1997), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ

²⁰⁹² დასკვნები XIII-5 (1997), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ

²⁰⁹³ დასკვნები XIII-5 (1997), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ

²⁰⁹⁴ დასკვნები XIII-5 (1997), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ

²⁰⁹⁵ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

²⁰⁹⁶ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

²⁰⁹⁷ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

ქართით, თუკი კომპენსაციის დონე საკმარისია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და მოქმედებს, როგორც დამნაშავეს შემაკავებელი ფაქტორი.²⁰⁹⁸

შესაბამისი კომპენსაციის საშუალებებია:

- ▶ სამუშაო ადგილზე აღდგენა ან შენარჩუნება და ნებისმიერი მატერიალური ზიანის ანაზღაურება თანამდებობიდან უკანონო ან უსამართლო გათავისუფლების შემთხვევაში;²⁰⁹⁹
- ▶ მიყენებული ზიანის თანაზომიერი კომპენსაციის გაცემა მატერიალური და მორალური ზიანის დასაფარად, თუ თანამდებობიდან გათავისუფლებულ პირს არ სურს სამსახურში აღდგენა ან შეუძლებელია შრომითი ურთიერთობის გაგრძელება;²¹⁰⁰
- ▶ ყველა სხვა შემთხვევაში – დისკრიმინაციის შეწყვეტა და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის თანაზომიერი კომპენსაციის მიკუთვნება.²¹⁰¹

დაცვა საპასუხო გათავისუფლებისგან

ანაზღაურებაში დისკრიმინაციის შემთხვევაში, უნდა აიკრძალოს საპასუხო გათავისუფლება თანამდებობიდან.²¹⁰² დასაქმებულები, რომლებიც ცდილობენ თანასწორობის უფლებით სარგებლობას, კანონიერად უნდა იყვნენ დაცულნი დამსაქმებელთა ყოველგვარი შურისძიებისგან, მათ შორის, არა მხოლოდ თანამდებობიდან გათავისუფლებისგან, არამედ დაქვეითებისა ან სამუშაო პირობების ცვლილებისგან და ა.შ.²¹⁰³

თუ მუშაკისამსახურიდან გაათავისუფლეს იმსაფუძვლით, რომ ჩიოდა თანაბარი ანაზღაურების შესახებ, მას უნდა შეეძლოს საჩივრის შეტანა არასაპატიო მიზეზით გათავისუფლების გამო.²¹⁰⁴ ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, ადადგინოს პირი იმავე ან მსგავს პოზიციაზე.²¹⁰⁵ თუ აღდგენა შეუძლებელია, დამსაქმებელმა უნდა გადაიხადოს კომპენსაცია, რომელიც საკმარისი იქნება დასაქმებულის ზიანის ასანაზღაურებლად (ანუ მატერიალური და მორალური ზიანის დასაფარად) და დამსაქმებლის შესაკავებლად.²¹⁰⁶

გარკვეულ პროფესიებზე წვდომა

გამონაკლის შემთხვევებში და მკაცრი განმარტების პირობით, გარკვეული სამუშაოები და პროფესიული საქმიანობები შეიძლება შემოიფარგლოს ერთი სქესის პირებით, გამომდინარე სამუშაოს ბუნებიდან, კონტექსტიდან ან იმ პირობებიდან, რომლებშიც ის სრულდება. ასეთი შეზღუდვა შეიძლება შესაბამისი იყოს მხოლოდ იმ სამუშაოსა და საქმიანობასთან მიმართებით, სადაც სქესი ნამდვილად პროფესიული მოთხოვნაა (20§4 მუხლის დანართი).²¹⁰⁷

დადგენისას, არის თუ არა სქესი გადამწყვეტი ფაქტორი პოლიციაში, ჯარში და ა.შ. იმ პირობებიდან გამომდინარე, რომლებშიც ხორციელდება საპოლიციო საქმიანობა, მხარე სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ საჯარო წესრიგსა ან ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, იმ პირობით, რომ ისინი დადგენილია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში (მუხლი G).²¹⁰⁸ ნებისმიერი იმ ზომის მსგავსად, რომელიც გვერდს უვლის ქართით

²⁰⁹⁸ [დასკვნები 2020, ანდორა](#)

²⁰⁹⁹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ფინეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²¹⁰⁰ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ფინეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#); იხ. ასევე დასკვნები XIII-5 (1997), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ

²¹⁰¹ [დასკვნები XVII-2 \(2005\), ფინეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²¹⁰² [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²¹⁰³ [დასკვნები 2020, კვიპროსი](#); იხ. ასევე დასკვნები XIII-5 (1997), განცხადება დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის განმარტების შესახებ

²¹⁰⁴ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²¹⁰⁵ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²¹⁰⁶ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²¹⁰⁷ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²¹⁰⁸ [დასკვნები XVI-2 \(2004\), საბერძნეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

გარანტირებულ უფლებებს, გამონაკლისი უნდა განიმარტოს შემზღუდველად და არ გასცდეს ლეგიტიმური მიზნის ფარგლებს.²¹⁰⁹

დაცვის კონკრეტული ზომები

20§1 მუხლის დანართის თანახმად, ქალების დაცვასთან დაკავშირებული დებულებები არ მიიჩნევა დისკრიმინაციად. ასეთი დებულებები ობიექტურად უნდა იყოს გამართლებული იმ საჭიროებებით, რომლებიც უნდა მხოლოდ ქალებს (მაგ: დედობასთან დაკავშირებული საჭიროებები - ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი). ეს კონკრეტული უფლებები გარანტირებულია ქარტიის მე-8 მუხლითაც (დასაქმებულ ქალთა დედობის დაცვის უფლება).

ქალებისთვის ღამის საათებში მუშაობის ან მიწისქვეშა სამთო-მოპოვებითი საქმიანობის აკრძალვა, ხოლო კაცებისთვის ამის დაშვება, ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს.²¹¹⁰

დაცვის კონკრეტული ზომები განიხილება ქარტიის მე-8 და 27-ე მუხლების შესაბამისად.²¹¹¹

სოციალური უზრუნველყოფა

მე-20 მუხლით გარანტირებულია თანასწორი მოპყრობა სოციალურ უზრუნველყოფასთან მიმართებით.²¹¹² თუმცა, როდესაც სახელმწიფოები ახდენენ ქარტიის რატიფიცირებას ან იღებენ მე-20 მუხლს, დანართი მათ უფლებამოსილებას ანიჭებს, გააკეთონ განცხადება, რომელიც გამორიცხავს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს მე-20 მუხლის მოქმედების სფეროდან.²¹¹³ თანასწორი მოპყრობა სოციალურ უზრუნველყოფასთან მიმართებით გულისხმობს ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას სქესის ნიშნით, კერძოდ, ისეთი კუთხით, როგორცაა სქემების მოქმედების სფერო, მათზე წვდომის პირობები, შეღავათების გამოთვლა და შეღავათებზე უფლების ხანგრძლივობა.²¹¹⁴

დისკრიმინაცია ქარტიის დარღვევით არის აღიარებული შორის განსხვავებული მოპყრობა შესაძარ სიტუაციებში, რომელიც არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არ ეყრდნობა ობიექტურ და გონივრულ საფუძვლებს.²¹¹⁵

მუხლი 21 ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება

დასაქმებულებს აქვთ ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება შრომითი დაწესებულების ფარგლებში.

შრომით დაწესებულებაში მუშაკთა მიერ ინფორმაციითა და კონსულტაციით სარგებლობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ ან მხარი დაუჭირონ ისეთ ზომებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მუშაკებს ან მათ წარმომადგენლებს:

- ა. რეგულარულად ან სათანადო დროს და ამომწურავად იყვნენ ინფორმირებულნი მათი დამსაქმებელი შრომითი დაწესებულების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ინფორმაციაზე,

²¹⁰⁹ [დასკვნები XVI-2 \(2004\), საბერძნეთი, დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²¹¹⁰ [დასკვნები 2012 ბოსნია და ჰერცეგოვინა; დასკვნები XVII-2 \(2005\), ნიდერლანდები \(არუბა\), დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი](#)

²¹¹¹ [დასკვნები 2012, საქართველო](#)

²¹¹² [დასკვნები 2002, იტალია](#)

²¹¹³ [დასკვნები 2002, იტალია](#)

²¹¹⁴ [დასკვნები 2012, რუსეთის ფედერაცია](#)

²¹¹⁵ [Syndicat national des professions du tourisme v. France](#), საჩივარი N 6/1999, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2000 წლის 10 ოქტომბერი, §25

რომლის გამჟღავნება შეიძლება საზიანო იყოს შრომითი დაწესებულებისათვის, შეიძლება ითქვას უარი ან გამოცხადდეს კონფიდენციალურად; და

- ბ. სათანადო დროს გაეწიოთ კონსულტაციები შემოთავაზებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მუშაკთა ინტერესებზე, კერძოდ, იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს შრომით დაწესებულებაში მათი დასაქმების მდგომარეობაზე.

დანართი (მუხლები 21 და 22)²¹¹⁶

1. ამ მუხლების გამოყენების მიზნებისთვის, ტერმინი „მუშაკთა წარმომადგენლები“ ნიშნავს პირებს, რომლებიც აღიარებული არიან ასეთად ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით.
2. ტერმინი „ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა“, გარემოებიდან გამომდინარე, კანონებისა და რეგულაციების გარდა, მოიცავს კოლექტიურ თუ სხვა ხელშეკრულებებს დამსაქმებლებსა და დასაქმებულთა წარმომადგენლებს შორის, ასევე, ჩვეულებებს და შესაბამის სასამართლო პრაქტიკას.
3. ამ მუხლების გამოყენების მიზნებისთვის, ტერმინი „შრომითი დაწესებულება“ (საწარმო) ნიშნავს მატერიალური და არამატერიალური კომპონენტების ერთობლიობას, იურიდიული პირის სტატუსით ან მის გარეშე, რომელიც შეიქმნა საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად ფინანსური შემოსავლის მიღების მიზნით და უფლებამოსილია, განსაზღვროს საკუთარი საბაზრო პოლიტიკა.
4. რელიგიური თემები და მათი ინსტიტუტები შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლების მოქმედების სფეროდან, მაშინაც კი, თუ ეს ინსტიტუტები არიან „შრომითი დაწესებულებები“ მე-3 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ გარკვეულ იდეალებზე დაფუძნებით, ან ხელმძღვანელობენ ეროვნული კანონმდებლობით დაცული მორალური ცნებებით, იდეალებითა და კონცეფციებით, შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლების მოქმედების სფეროდან, იმ მოცულობით, რამდენიც აუცილებელია საწარმოს ორიენტაციის დასაცავად.
5. თუ სახელმწიფოში ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებები სორციალდება სხვადასხვა შრომით დაწესებულებაში, შესაბამისი მხარე ჩაითვლება ამ დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემსრულებლად.
6. მხარეებს შეუძლიათ, ამ მუხლების გამოყენების სფეროდან გამორიცხონ საწარმოები/შრომითი დაწესებულებები, სადაც დასაქმებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები მუშაკები.

საწარმოს დონეზე კონსულტაციები განიხილება ქარტიის 6§1 და 21-ე მუხლების შესაბამისად.²¹¹⁷ მხარე სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ ორივე დებულება, საწარმოს დონეზე კონსულტაციები განიხილება 21-ე მუხლის შესაბამისად.²¹¹⁸

პირადი მოქმედების სფერო

ქარტიის 21-ე მუხლი უფლებას აძლევს დასაქმებულებს ან/და მათ წარმომადგენლებს (იქნება ეს პროფესიული კავშირი, თანამშრომელთა კომიტეტი, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო, თუ უსაფრთხოების კომიტეტი), რომ ინფორმირებულნი იყვნენ ნებისმიერ საკითხზე, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ სამუშაო გარემოზე, თუ ინფორმაციის გამჟღავნება ზიანს არ მიაყენებს საწარმოს.²¹¹⁹ მათ ასევე უნდა მიიღონ დროული რჩევები შემოთავაზებული გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს მათ ინტერესებზე, კერძოდ, საგულისხმო გავლენა მოახდინოს მათ საწარმოში არსებულ

²¹¹⁶ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²¹¹⁷ დასკვნები 2018, ლატვია, რომელშიც ციტირებულია დასკვნები 2004, ირლანდია

²¹¹⁸ დასკვნები 2018, ლატვია, რომელშიც ციტირებულია დასკვნები 2004, ირლანდია

²¹¹⁹ დასკვნები XIX-3 (2010), ხორვატია

დასაქმების მდგომარეობაზე.²¹²⁰

ეროვნული მდგომარეობა შეესაბამება ქარტიის 21-ე მუხლის მოთხოვნებს, თუ დასაქმებულთა ინფორმირებისა და კონსულტირების მარეგულირებელი სამართლებრივი დებულებები მოიცავს ყველა კატეგორიის მუშაკსა და საწარმოს.²¹²¹

მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ დებულების მოქმედების სფეროდან გამორიცხონ საწარმოები, სადაც დასაქმებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობითა ან პრაქტიკით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები მუშაკები. მაგალითად, საწარმოები, სულ მცირე, 50 დასაქმებულთა, ან არანაკლებ 20 დასაქმებულთა ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში, შეიძლება გამოირიცხოს ამ დებულების მოქმედების სფეროდან ზღვრული მნიშვნელობების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 11 მარტის დირექტივით 2002/14/EC.²¹²² დასაქმებულთა ყველა კატეგორია (სხვა სიტყვებით, ყველა მუშაკი, რომლებსაც აქვთ შრომითი ხელშეკრულება საწარმოსთან, განურჩევლად სტატუსისა, წელთა ნამსახურობისა, თუ სამუშაო ადგილისა) უნდა გაითვალისწინონ იმ პირთა რაოდენობის გაანგარიშებისას, რომლებზეც ვრცელდება ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება.²¹²³

მიუხედავად იმისა, რომ 21-ე მუხლი შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ საწარმოთა მუშაკებზე, ეს დებულებები, ერთიანობაში, არ ვრცელდება საჯარო მოხელეებზე.²¹²⁴

მატერიალური მოქმედების სფერო

საწარმოს შიგნით დასაქმებულთა ინფორმირებისა და კონსულტაციების უფლების მატერიალური ფარგლების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კოლექტიური მოლაპარაკების საკითხზე.²¹²⁵

წესებისა და პროცედურების აღსრულება

21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების ფაქტობრივად უზრუნველსაყოფად, უნდა არსებობდეს ზედამხედველობის მექანიზმი (მაგ: შრომის ინსპექცია), რომელსაც შეუძლია სანქციების დაწესება ინფორმაციისა და კონსულტაციის ხელმისაწვდომობის დებულებათა დარღვევისთვის.²¹²⁶ ადმინისტრაციული ან/და სასამართლო პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ დასაქმებულების ან მათი წარმომადგენლებისთვის, რომლებიც თვლიან, რომ მათი უფლება ინფორმაციისა და კონსულტაციაზე არ არის დაცული საწარმოში.²¹²⁷ კერძოდ, ყველა დასაქმებულს ან მათ წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს უფლება უარიანობა, რომ ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანოს დამსაქმებლის წინააღმდეგ და შემდგომში ის გაასაჩივროს სასამართლოში.²¹²⁸ სანქციები უნდა არსებობდეს იმ დამსაქმებელთათვისაც, რომლებიც არ ასრულებენ 21-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.²¹²⁹

²¹²⁰ [დასკვნები XIX-3 \(2010\), ხორვატია](#)

²¹²¹ [დასკვნები 2010, ბელგია](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XVI-2 \(2004\), საბერძნეთი](#)

²¹²² [დასკვნები XIX-3 \(2010\), ხორვატია](#)

²¹²³ [დასკვნები XIX-3 \(2010\), ხორვატია](#)

²¹²⁴ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 40/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 223 სექტემბერი, § 42

²¹²⁵ [დასკვნები 2003, რუმინეთი](#)

²¹²⁶ [დასკვნები 2018, მოლოდვა](#)

²¹²⁷ [დასკვნები 2018, უკრაინა](#)

²¹²⁸ [დასკვნები 2003, რუმინეთი](#)

²¹²⁹ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

მუხლი 22 საშუაო პირობებისა და საშუაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობის მიღების უფლება

მუშაკებს აქვთ უფლება, მონაწილეობდნენ საწარმოს/შრომითი დაწესებულების საშუაო პირობებისა და გარემოს განსაზღვრასა თუ გაუმჯობესებაში.

საშუაო პირობებისა და საშუაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში მუშაკთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ და წაახალისონ ისეთი ზომები, რომლებიც მუშაკებს ან მათ წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, წვლილი შეიტანონ:

- ა. საშუაო პირობების, საშუაოს ორგანიზებასა და საშუაო გარემოს განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში;
- ბ. შრომით დაწესებულებაში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაში;
- გ. შრომით დაწესებულებაში სოციალური და სოციალურ-კულტურული მომსახურებისა და ობიექტების შექმნის ორგანიზებაში;
- დ. ამ საკითხებზე წესების შესრულებაზე ზედამხედველობაში.

დანართი (მუხლები 21 და 22):

1. ამ მუხლების გამოყენების მიზნებისთვის, ტერმინი „მუშაკთა წარმომადგენლები“ ნიშნავს პირებს, რომლებიც ადიარებულნი არიან ასეთად ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით.
2. ტერმინი „ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა“, გარემოებიდან გამომდინარე, კანონებისა და რეგულაციების გარდა, მოიცავს კოლექტიურ და სხვა ხელშეკრულებებს დამსაქმებლებსა და დასაქმებულთა წარმომადგენლებს შორის, ასევე, ჩვეულებებს და შესაბამის სასამართლო პრაქტიკას.
3. ამ მუხლების გამოყენების მიზნებისთვის, ტერმინი „შრომითი დაწესებულება“ (საწარმო) ნიშნავს მატერიალური და არამატერიალური კომპონენტების ერთობლიობას, იურიდიული პირის სტატუსით ან მის გარეშე, რომელიც შეიქმნა საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად ფინანსური შემოსავლის მიღების მიზნით და უფლებამოსილია, განსაზღვროს საკუთარი საბაზრო პოლიტიკა.
4. რელიგიური თემები და მათი ინსტიტუტები შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლების მოქმედებიდან, მაშინაც კი, თუ ეს ინსტიტუტები არიან „შრომითი დაწესებულებები“ მე-3 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ გარკვეულ იდეალებზე დაფუძნებით ან ხელმძღვანელობენ ეროვნული კანონმდებლობით დაცული მორალური ცნებებით, იდეალებითა და კონცეფციებით, შეიძლება გამოირიცხოს ამ მუხლების მოქმედების სფეროდან იმ მოცულობით, რამდენიც აუცილებელია საწარმოს ორიენტაციის დასაცავად.
5. თუ სახელმწიფოში ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებები ხორციელდება სხვადასხვა შრომით დაწესებულებაში, შესაბამისი მხარე ჩაითვლება ამ დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემსრულებლად.
6. მხარეებს შეუძლიათ, ამ მუხლების გამოყენების სფეროდან გამოირიცხონ საწარმოები/შრომითი დაწესებულებები, სადაც დასაქმებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები მუშაკები.²¹³⁰

დანართი [მუხლი 22]:

1. ეს დებულება არ ეხება სახელმწიფოთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს საშუაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების მიღებასთან მიმართებით, არც იმ ორგანოთა უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მონიტორინგს უწევენ მათ გამოყენებას.

²¹³⁰ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

2. ტერმინში „სოციალური და სოციალურ-კულტურული მომსახურებები და ობიექტები“ იგულისხმება გარკვეული საწარმოების მიერ უზრუნველყოფილი სოციალური ან/და კულტურული მომსახურებები და ობიექტები (მაგ: მატერიალური დახმარება, სპორტული მოედნები, მეჭუძურ დედათა ოთახები, ბიბლიოთეკები, ბავშვთა დასასვენებელი ბანაკები და ა.შ.).²¹³¹

დასაქმებულთა უფლება, მონაწილეობდნენ სამუშაო პირობებისა და გარემოს განსაზღვრა-გაუმჯობესებაში, გულისხმობს, რომ მათ შეუძლიათ გარკვეული წვლილის შეტანა დამსაქმებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.²¹³² დასაქმებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (სულ მცირე, 80%-ს) უნდა მიეცეს საწარმოს სამუშაო პირობებისა და გარემოს განსაზღვრა-გაუმჯობესებაში ჩართვის უფლება.²¹³³ ეს დებულება ვრცელდება ყველა საწარმოზე (როგორც კერძო, ისე საჯარო).²¹³⁴

მიუხედავად იმისა, რომ 22-ე მუხლი შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოთა მუშაკებზე, ეს დებულება, მთლიანობაში, არ ვრცელდება საჯარო მოხელეებზე.²¹³⁵ აქედან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომელთა უფლება, მონაწილეობდეს სამუშაო პირობებისა და სამუშაო გარემოს განსაზღვრა-გაუმჯობესებაში, არ ექვევა შესწორებული ქარტიის 22-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში.²¹³⁶

მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ დებულების მოქმედების სფეროდან გამორიცხონ საწარმოები, სადაც დასაქმებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობითა ან პრაქტიკით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები მუშაკები, ასევე, ტენდენციური შრომითი დაწესებულებები.²¹³⁷

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა

დასაქმებულებს ან/და მათ წარმომადგენლებს (პროფესიულ კავშირებს, მუშაკთა დელეგატებს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წარმომადგენლებს, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოებს) უნდა მიენიჭთ ქმედითი უფლება, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გააკონტროლონ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების დაცვა საწარმოში.²¹³⁸

შრომის ინსპექციის საქმიანობაზე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების ინფორმირებისა და კონსულტირების პრაქტიკული საშუალებები განიხილება შესწორებული ქარტიის 22-ე ფარგლებში.

სოციალური და სოციალურ-კულტურული მომსახურებებისა და ობიექტების ორგანიზება

სოციალური და სოციალურ-კულტურული მომსახურებებისა და ობიექტების ორგანიზებაში მონაწილეობის უფლება გამოიყენება მხოლოდ იმ საწარმოებში, სადაც დაგეგმილია ან უკვე შექმნილია ასეთი მომსახურებები და ობიექტები.²¹³⁹ ქარტიის 22-ე მუხლი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს სოციალური და სოციალურ-კულტურული მომსახურებებისა და ობიექტების შეთავაზებას თავიანთ დასაქმებულებისთვის, მაგრამ მოითხოვს, რომ სადაც ასეთი მომსახურებები/ობიექტები არსებობს, მუშაკებს შეეძლოთ მონაწილეობა მათ ორგანიზებაში.²¹⁴⁰

²¹³¹ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²¹³² [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²¹³³ [დასკვნები 2007, იტალია](#)

²¹³⁴ [დასკვნები 2018, ლატვია](#)

²¹³⁵ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 60/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 17 ოქტომბერი, §36

²¹³⁶ [European Council of Police Trade Unions \(CESP\) v. Portugal](#), საჩივარი N 60/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 17 ოქტომბერი, §36

²¹³⁷ [დასკვნები 2018, ლატვია](#); იხ. ასევე [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²¹³⁸ [დასკვნები 2018, ლატვია](#)

²¹³⁹ [დასკვნები 2018, ლატვია](#)

²¹⁴⁰ [დასკვნები 2018, ლატვია](#); [დასკვნები 2007, იტალია](#); [დასკვნები 2007, სომხეთი](#)

აღსრულება

დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, თუ ეს უფლებები არ არის დაცული.²¹⁴¹ სანქციები უნდა დაწესდეს იმ დამსაქმებელთათვისაც, რომლებიც არ ასრულებენ 22-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.²¹⁴²

მუხლი 23 ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე

ყველა ხანდაზმულს აქვს უფლება სოციალურ დაცვაზე.

ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით ეფექტიანად სარგებლობის მიზნით, მხარეები, უშუალოდ ან საზოგადოებრივ ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, ვალდებულებას იღებენ, მიიღონ ან წაახალისონ შესაბამისი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს, კერძოდ:

- ▶ **საშუალება მისცენ ხანდაზმულ პირებს, დარჩნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად რაც შეიძლება დიდხანს შემდეგი საშუალებებით:**
 - ა. ადეკვატური სახსრებით, რაც საშუალებას მისცემს მათ, იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში;
 - ბ. ინფორმაციის მიწოდებით იმ მომსახურებისა და შეღავათების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია ხანდაზმულთათვის, და ამ უკანასკნელთა მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.
- ▶ **მისცენ ხანდაზმულ პირებს საშუალება თავიანთი ცხოვრების წესის თავისუფლად არჩევისა და მათთვის ჩვეულ გარემოში დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობა მანამ, სანამ სურვილი აქვთ და შეუძლიათ, შემდეგი საშუალებებით:**
 - ა. თავშესაფრით უზრუნველყოფა მათი საჭიროებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ან სათანადო დახმარების გაწევა მათი თავშესაფრის ადაპტირების მიზნით;
 - ბ. ჯანმრთელობის დაცვა და აუცილებელი მომსახურების გაწევა მათი მდგომარეობიდან გამომდინარე.
- ▶ **უზრუნველყონ დაწესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულ პირთათვის სათანადო დახმარების გაწევა მათ პირად ცხოვრებაში ჩაურევლად, ასევე, ხანდაზმულთა მონაწილეობა დაწესებულებაში ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში.**

დანართი: ამ პუნქტის მიზნებისთვის, ტერმინი „რაც შეიძლება დიდხანს“ ეხება ხანდაზმული პირის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.²¹⁴³

ქართის 23-ე მუხლი არის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების პირველი დებულება, რომელიც იცავს კონკრეტულად ხანდაზმულთა უფლებებს.²¹⁴⁴ ამ დებულებით გათვალისწინებული ზომები, თავისი მიზნებითა და განხორციელების საშუალებებით, მიუთითებს ახალ და პროგრესულ ცნებაზე, თუ როგორი უნდა იყოს ხანდაზმული პირის ცხოვრება, რაც მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს ერთობლივი მოქმედებების შემუშავება-განხორციელებას ამ მუხლით მოცულ სფეროებში.²¹⁴⁵

²¹⁴¹ დასკვნები 2003, ბულგარეთი

²¹⁴² დასკვნები 2003, ბულგარეთი, სლოვენია

²¹⁴³ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი, ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²¹⁴⁴ დასკვნები XIII-3 (1995), განცხადება დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის განმარტების შესახებ (მუხლი 23)

²¹⁴⁵ დასკვნები XIII-3 (1995), განცხადება დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის განმარტების შესახებ (მუხლი 23)

23-ე მუხლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხანდაზმულებს მისცეს საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად დარჩენის საშუალება. გამოთქმა „სრულუფლებიანი წევრები“ ნიშნავს, რომ ხანდაზმული ადამიანები არ უნდა განდევნონ მათი ასაკის გამო.²¹⁴⁶ საზოგადოების სხვადასხვა საქმიანობაში მონაწილეობის უფლება უნდა მიენიჭოს ყველა აქტიურ თუ პენსიაზე გასულ პირს, რომელიც ცხოვრობს ან არ ცხოვრობს დაწესებულებაში.²¹⁴⁷ COVID-19-ის კრიზისმა გამოავლინა ხანდაზმულთა მიმართ არათანასწორი მოპყრობის შემთხვევები, მაგალითად, ჯანდაცვაში, სადაც მწირი რესურსების (მაგ: ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატების) ნორმირება ხანდაზმულთა ეფუძნებოდა სტერეოტიპულ აღქმებს ხანდაზმულობაში მოწყვლადობისა და მდგომარეობის გაუარესების შესახებ.²¹⁴⁸ კლასიფიკაციის ასეთი პოლიტიკის საზღვრების დადგენისას, ძალიან დიდი ადგილი ეთმობოდა იმპლიციტურ განსჯას ხანდაზმულთა „ცხოვრების ხარისხის“ ან „ღირებულების“ შესახებ.²¹⁴⁹ თანასწორი მოპყრობა მოითხოვს მიდგომას, რომელიც თანაბრად აღიარებს ხანდაზმულთა სიცოცხლის ღირებულებას.²¹⁵⁰

23-ე მუხლი ემთხვევა ქარტიის სხვა დებულებებს, რომლებიც იცავს ხანდაზმულებს, როგორც საერთო მოსახლეობის წევრებს. ესენია: მე-11 (ჯანმრთელობის დაცვის უფლება),²¹⁵¹ მე-12 (სოციალური უზრუნველყოფის უფლება),²¹⁵² მე-13 (სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება) და 30-ე (სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისაგან დაცვის უფლება) მუხლები.²¹⁵³ 23-ე მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ფოკუსირებული და დაგეგმილი ზომების გატარებას, ხანდაზმულთა კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად.

23-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებს ხანდაზმულთა სოციალურ დაცვაზე დასაქმების სფეროს მიღმა.²¹⁵⁴ დასაქმებისას ასაკობრივი დისკრიმინაციის საკითხები განიხილება, უპირველეს ყოვლისა, ქარტიის 1§2 (დისკრიმინაციის აკრძალვა დასაქმებისას) და 24-ე (დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში) მუხლების შესაბამისად.²¹⁵⁵

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა უნდა არსებობდეს, სულ მცირე, გარკვეულ სფეროებში, რათა დაიცვას ადამიანები ასაკობრივი დისკრიმინაციისგან.²¹⁵⁶

საკანონმდებლო ჩარჩო

23-ე მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ასაკობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლას დასაქმების მიღმა არსებულ რიგ სფეროებში, კერძოდ, როცა საქმე ეხება წვდომას საქონელზე, ობიექტებსა და მომსახურებებზე.²¹⁵⁷ ევროპის მასშტაბით საზოგადოების ბევრ სფეროში ნარჩუნდება ფართოდ გავრცელებული ასაკობრივი დისკრიმინაცია. მათ შორისაა: ჯანდაცვა და განათლება, სადაზღვევო და საბანკო პროდუქტები, პოლიტიკის შემუშავება/სამოქალაქო დიალოგი, რესურსებისა და ობიექტების გამოყოფა.²¹⁵⁸ ამიტომ, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო ძირითადი ზომაა ამ სფეროებში ასაკობრივ დისკრიმინაციასთან საბრძოლველად.²¹⁵⁹

²¹⁴⁶ [Fellesforbundet for Sjøfolk \(FFFS\) v. Norway](#), საჩივარი N 74/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 ივლისი, §116

²¹⁴⁷ [Fellesforbundet for Sjøfolk \(FFFS\) v. Norway](#), საჩივარი N 74/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 ივლისი, §116, რომელშიც ციტირებულია [დასკვნები XIII-5, ფინეთი](#)

²¹⁴⁸ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²¹⁴⁹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²¹⁵⁰ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²¹⁵¹ [განცხადება პანდემიისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების განმარტების შესახებ](#), 2020 წლის 20 აპრილი

²¹⁵² დასკვნების ზოგადი შესავალი 2017

²¹⁵³ [დასკვნები 2017, უკრაინა](#)

²¹⁵⁴ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

²¹⁵⁵ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

²¹⁵⁶ [Fellesforbundet for Sjøfolk \(FFFS\) v. Norway](#), საჩივარი N 74/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 ივლისი, §115

²¹⁵⁷ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

²¹⁵⁸ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

²¹⁵⁹ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

23-ე მუხლი სრულად უნდა იყოს დაცული COVID-19-ის კრიზისის დროს.²¹⁶⁰

23-ე მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ ჰქონდეთ შესაბამისი კანონმდებლობა, პირველ რიგში, დასაქმების მიღმა არსებული ასაკობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ; და მეორე, უზრუნველყონ გადაწყვეტილების მიღებაში დახმარების პროცედურა.²¹⁶¹

კანონმდებლობა, რომელიც უშვებს პრაქტიკას, რომ ხანდაზმული მოსახლეობის ნაწილს წაერთვას წვდომა ზრუნვის არაფორმალურ შეღავათებსა ან სხვა ალტერნატიულ დახმარებაზე, არღვევს 23-ე მუხლს.²¹⁶² ზოგ შემთხვევაში, ხანდაზმულ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ შეზღუდული ქმედუნარიანობა, ან საერთოდ არ ჰქონდეთ ასეთი უფლებამოსილება/ შესაძლებლობები.²¹⁶³ ამიტომ, უნდა არსებობდეს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ხანდაზმულებს დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში და მათთვის უზრუნველყოფს უფლებას, თავად მიიღონ გადაწყვეტილებები.²¹⁶⁴ ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება ხანდაზმული ადამიანი უუნაროდ ჩაითვალოს გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ გარკვეული სამედიცინო მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ანდა ქმედუნარობის გამო.²¹⁶⁵

ხანდაზმული პირის შესაძლებლობა კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადგინდეს გადაწყვეტილების ბუნების, მიზნისა და ხანდაზმულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით (გადაწყვეტილების მიღების დროისათვის).²¹⁶⁶ ხანდაზმულებს შეიძლება დასჭირდეთ დახმარება საკუთარი ნებისა და უპირატესობების გამოხატვაში. ამიტომ, სანამ მიიღება დასკვნა, რომ მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, გამოყენებული უნდა იყოს კომუნიკაციის ყველა შესაძლო საშუალება, მათ შორის, სიტყვები, სურათები და ნიშნები.²¹⁶⁷

ეროვნულმა სამართლებრივმა ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარანტიები, რათა ხანდაზმულ ადამიანებს თვითნებურად არ ჩამოერთვათ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, მათ შორის, ამ უნარის შემცირებისას.²¹⁶⁸ ხანდაზმულთა სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს მათ სურვილებსა და უფლებებში.²¹⁶⁹

23-ე მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს შესაბამისი ზომების მიღებას ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.²¹⁷⁰ ძალადობას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, სექსუალური, ან ფინანსური), ან უბრალოდ ასახავდეს განზრახ ან უნებლიე უგულებელყოფას.²¹⁷¹ ამიტომ, მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები პრობლემის მასშტაბის შესაფასებლად, აამაღლონ ცნობიერება ხანდაზმულთა მიმართ ძალადობისა და მათი უგულებელყოფის შეწყვეტაზე და მიიღონ საკანონმდებლო ან სხვა ზომები.²¹⁷²

²¹⁶⁰ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²¹⁶¹ [დასკვნები 2017, ანლორა](#)

²¹⁶² [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²¹⁶³ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²¹⁶⁴ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – გადაწყვეტილების მიღება დახმარების მეშვეობით](#)

²¹⁶⁵ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – გადაწყვეტილების მიღება დახმარების მეშვეობით](#)

²¹⁶⁶ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – გადაწყვეტილების მიღება დახმარების მეშვეობით](#)

²¹⁶⁷ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – გადაწყვეტილების მიღება დახმარების მეშვეობით](#)

²¹⁶⁸ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – გადაწყვეტილების მიღება დახმარების მეშვეობით](#)

²¹⁶⁹ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – გადაწყვეტილების მიღება დახმარების მეშვეობით](#)

²¹⁷⁰ [დასკვნები 2009, ანლორა](#)

²¹⁷¹ [დასკვნები 2009, ანლორა](#)

²¹⁷² [დასკვნები 2009, ანლორა](#)

► **საშუალება მისცენ ხანდაზმულ პირებს, დარჩნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად რაც შეიძლება დიდხანს შემდეგი საშუალებებით:**

ა. ადეკვატური სახსრებით, რაც საშუალებას მისცემს მათ, იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში;

შესაბამის რესურსებზე უფლების ფარგლებში, ძირითადი ყურადღება ეთმობა პენსიებს. პენსიები და სხვა სახელმწიფო შემწეობები უნდა იყოს საკმარისი, რათა ხანდაზმულებმა „იცხოვრონ ღირსეულად“ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.²¹⁷³

თუმცა, როდესაც აფასებს ხანდაზმულთა რესურსების საკმარისობას 23-ე მუხლის შესაბამისად, კომიტეტი ითვალისწინებს მათთვის გარანტირებული სოციალური დაცვის ყველა ზომას: კერძოდ, შენარჩუნებულია თუ არა შემოსავლის ის დონე, რომელიც ხანდაზმულებს საშუალებას მისცემს, რომ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.²¹⁷⁴ განიხილება პენსიები (დაგროვებითი, თუ შენატანის გარეშე) და სხვა დამატებითი ფულადი სარგებელი, რომლებიც ხელმისაწვდომია ხანდაზმულთათვის.²¹⁷⁵ შემდეგ ეს რესურსები უნდა შედარდეს მედიანურ ეკვივალირებულ შემოსავალს.²¹⁷⁶ კომიტეტი ითვალისწინებს შესაბამის ინდიკატორებსაც, რომლებიც უკავშირდება სიღარიბის რისკის კოეფიციენტებს 65 წლის ან მეტი ასაკის პირებისთვის.²¹⁷⁷

ბ. ინფორმაციის მიწოდებით იმ მომსახურებისა და შეღავათების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია ხანდაზმულთათვის და ამ უკანასკნელთა მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ;

მიუხედავად იმისა, რომ 23-ე მუხლი ეხება მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას მომსახურებებსა და ობიექტებზე, 1b პუნქტი ითვალისწინებს ამ მომსახურებებისა და ობიექტების არსებობასაც.²¹⁷⁸ ამიტომ, განიხილება არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება ამ მომსახურებებისა და ობიექტების შესახებ, არამედ თავად მომსახურებები და ობიექტებიც.²¹⁷⁹ ამით კომიტეტი ამოწმებს შემდეგ საკითხებს: საოჯახო საქმეში დანმარების მომსახურებათა არსებობა, ფარგლები და ღირებულება; საზოგადოებაზე დაფუძნებული მომსახურებები; სპეციალიზებული დღის ცენტრები დემენციისა და თანმხლები დაავადებების მქონე პირებისთვის; ინფორმირების, მომზადებისა და დროებითი ზრუნვის შეთავაზება ოჯახებისთვის, რომლებიც უვლიან ხანდაზმულებს, კერძოდ, ძალიან დამოკიდებულ პირებს; ხანდაზმულთათვის ხელმისაწვდომი კულტურული, დასასვენებელი და საგანმანათლებლო ობიექტები.²¹⁸⁰

გარდა ამისა, მხარე სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მომსახურებათა ხარისხზე მონიტორინგის სისტემა და მათი სტანდარტის შესახებ საჩივრის წარდგენის პროცედურა.²¹⁸¹

თუ არასაკმარისად არის რეგულირებული ხანდაზმულთა სოციალური საცხოვრისებისა და 24-საათიანი დანმარებით უზრუნველყოფილი საცხოვრისების ღირებულება, შეიძლება დაირღვეს 23-ე მუხლი.²¹⁸²

► **მისცენ ხანდაზმულ პირებს საშუალება თავიანთი ცხოვრების წესის თავისუფლად**

²¹⁷³ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – შესაბამისი რესურსები ხანდაზმულთათვის](#)
²¹⁷⁴ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – შესაბამისი რესურსები ხანდაზმულთათვის](#)
²¹⁷⁵ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – შესაბამისი რესურსები ხანდაზმულთათვის](#)
²¹⁷⁶ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – შესაბამისი რესურსები ხანდაზმულთათვის](#)
²¹⁷⁷ [დასკვნები 2013, განცხადება 23-ე მუხლის განმარტების შესახებ – შესაბამისი რესურსები ხანდაზმულთათვის](#)
²¹⁷⁸ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)
²¹⁷⁹ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)
²¹⁸⁰ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)
²¹⁸¹ [დასკვნები 2009, ანდორა](#)
²¹⁸² [The Central Association of Carers in Finland v. Finland](#), საჩივარი N 71/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 4 დეკემბერი, §53

არჩევისა და მათთვის ჩვეულ გარემოში დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობა მანამ, სანამ სურვილი აქვთ და შეუძლიათ, შემდეგი საშუალებებით:

ა. თავშესაფრით უზრუნველყოფა მათი საჭიროებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ან სათანადო დახმარების გაწევა მათი თავშესაფრის ადაპტირების მიზნით;

ხანდაზმულთა საჭიროებები გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნულ ან ადგილობრივ საბინაო პოლიტიკაში.²¹⁸³ სათანადო საცხოვრებლები ამ პირებისთვის საკმარისი რაოდენობით უნდა არსებობდეს.²¹⁸⁴ პოლიტიკა უნდა ეხმარებოდეს ხანდაზმულებს, რომ შეძლებისდაგვარად დიდხანს დარჩნენ საკუთარ სახლებში, კერძოდ, დაცული/დამხმარე საცხოვრებელი უზრუნველყოფითა და სახლის ადაპტირებაში დახმარებით.²¹⁸⁵ ხანდაზმულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მოითხოვს მნიშვნელოვან სახელმწიფო დაფინანსებას, რადგან საშუალო ხანდაზმულ ადამიანს, ჩვეულებრივ, არ აქვს ბინის განახლების ან უფრო მაღალსტანდარტული საცხოვრებლის ყიდვის საშუალება.²¹⁸⁶ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სხვა ადგილზე გადასვლით ხშირად არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს ხანდაზმულს ამორებს „ბუნებრივი“ გარემოსგან.²¹⁸⁷

ბ. ჯანმრთელობის დაცვა და აუცილებელი მომსახურების გაწევა მათი მდგომარეობიდან გამომდინარე;

შესაბამის ჯანდაცვაზე უფლების კონტექსტში, 23-ე მუხლი მოითხოვს, რომ არსებობდეს სპეციალურად ხანდაზმულებისთვის შექმნილი ჯანდაცვის პროგრამები და მომსახურებები (კერძოდ, პირველადი ჯანდაცვის, მათ შორის, შინ ზრუნვის/ჯანდაცვის მომსახურებები), ასევე, სახელმძღვანელო მითითებები ხანდაზმულთა ჯანდაცვის შესახებ.²¹⁸⁸ გარდა ამისა, უნდა არსებობდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამები (ხანდაზმულთა ნებისმიერი ფსიქოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად) და შესაბამისი პალიატიური მზრუნველობის მომსახურებები.²¹⁸⁹

- ▶ უზრუნველყონ დაწესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულ პირთათვის სათანადო დახმარების გაწევა მათ პირად ცხოვრებაში ჩაურევლად, ასევე უზრუნველყონ ხანდაზმულთა მონაწილეობა დაწესებულებაში ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში.

23-ე მუხლის ბოლო ნაწილი ეხება დაწესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულთა უფლებებს და ითვალისწინებს, რომ გარანტირებული უნდა იყოს: შესაბამისი მოვლისა და მომსახურებების უფლება; პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება; პირადი დირსების უფლება; მონაწილეობა დაწესებულებაში ცხოვრების პირობებზე გადაწყვეტილებათა მიღებაში; საკუთრების დაცვის უფლება; მოხუცებთან დაახლოებულ ადამიანებთან პირადი კონტაქტის შენარჩუნების უფლება; და საჩივრების შეტანის უფლება დაწესებულებებში მკურნალობის/ მოვლის შესახებ.²¹⁹⁰

ხანდაზმულებისთვის უნდა არსებობდეს საკმარისი რაოდენობის ინსტიტუციური ობიექტები (საჯარო თუ კერძო); ასეთ დაწესებულებებში ზრუნვა უნდა იყოს ფინანსურად ხელმისაწვდომი; ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დახმარება ხარჯების დასაფარად. ყველა დაწესებულება უნდა იყოს ლიცენზირებული და მოწმდებოდეს ინსპექტირების დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან.²¹⁹¹

²¹⁸³ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²¹⁸⁴ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²¹⁸⁵ [დასკვნები 2013, ანდორა; International Federation of Associations of the Elderly \(FIAPA\) v. France](#), საჩივარი N 145/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 25 მაისი, §45

²¹⁸⁶ [დასკვნები 2009, ანდორა](#)

²¹⁸⁷ [დასკვნები 2017, ბოსნია და ჰერცეგოვინა](#)

²¹⁸⁸ [დასკვნები 2003, საფრანგეთი; დასკვნები 2017, უკრაინა](#)

²¹⁸⁹ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²¹⁹⁰ [დასკვნები 2017, მალტა; პორტუგალია](#)

²¹⁹¹ [დასკვნები 2005, სლოვენია; დასკვნები XX-2 \(2013\), ჩეხეთის რესპუბლიკა](#)

უცხოური წარმოშობის ხანდაზმულები, რომლებიც ჰოსპიტალიზებულნი არიან და ვერ ახერხებენ სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციას, უნდა სარგებლობდნენ ზომებით, რომელთა მეშვეობითაც სათანადო ფორმით შეძლებენ აზრის გამოხატვას, კომუნიკაციას და კონსულტაციის მიღებას.²¹⁹²

მოხუცთა სახლებში COVID-19-თან დაკავშირებული განსაკუთრებული რისკებისა და საჭიროებების გამო, მხარე სახელმწიფოებმა: სასწრაფოდ უნდა გამოეყენებინათ საკმარისი დამატებითი ფინანსური საშუალებები; მოიძიონ პირადი დაცვის აუცილებელი საშუალებები და ორგანიზება გაუწიონ ამ პროცესს; უზრუნველყონ, რომ მოხუცთა სახლებს ჰყავდეს საკმარისი რაოდენობის დამატებითი კვალიფიციური პერსონალი, სამედიცინო, სოციალური თუ სხვა მუშაკების სახით, რათა მათ შეძლონ შესაბამისი რეაგირება COVID-19-ზე და ხანდაზმულთა უფლებები სრულად იყოს დაცული ამ სახლებში.²¹⁹³

ხანდაზმულებსა და მათ ორგანიზაციებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაციები იმ პოლიტიკასა და ზომებზე, რომლებიც პირდაპირ ეხება მათ, კრიზისთან დაკავშირებული სპეციალური ზომების ჩათვლით.²¹⁹⁴ პანდემიის შემდგომი აღდგენის დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ხანდაზმულთა შეხედულებები და განსაკუთრებული საჭიროებები, კრიზისის დროს დაგროვილ მტკიცებულებებსა და გამოცდილებებზე დაყრდნობით.²¹⁹⁵

დებულება ეხება ისეთ საკითხებსაც, როგორცაა: მოთხოვნები პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ; პერსონალის მომზადება და ხელფასები; პირის იძულებითი განთავსება; სოციალური და კულტურული კეთილმოწყობა; და ფიზიკური შეზღუდვისა და სედატიური საშუალებების გამოყენება.²¹⁹⁶

მუხლი 24 დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში

ყველა მუშაკს აქვს დაცვის უფლება დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში.

დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, აღიარონ:

- ა. ყველა მუშაკის უფლება, არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასა ან ქცევასთან, ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დაწესებულების, საწარმოს ან სამსახურის საოპერაციო მოთხოვნებით;
- ბ. მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ მუშაკს, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, აქვს მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

დანართი

- 1. ამ მუხლის მიზნებისთვის, ტერმინები „დასაქმების შეწყვეტა“ და „შეწყვეტილი“ ნიშნავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას დამსაქმებლის ინიციატივით.
- 2. ეს მუხლი მოიცავს ყველა მუშაკს, თუმცა მხარემ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხოს მისი დაცვიდან დასაქმებულები, რომლებიც:

²¹⁹² დასკვნები 2005, სლოვენია

²¹⁹³ 2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ

²¹⁹⁴ 2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ

²¹⁹⁵ 2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ

²¹⁹⁶ დასკვნები 2005, სლოვენია; დასკვნები 2003, საფრანგეთი

- ა. დაქირავებულნი არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, განსაზღვრული ვადით ან კონკრეტული დავალების შესასრულებლად;
 - ბ. გადიან გამოსაცდელ პერიოდს ან დასაქმების საკვალიფიკაციო ვადას, იმ პირობით, რომ ეს ვადა არის წინასწარ განსაზღვრული და გონივრული;
 - გ. მუშაობენ დროებით, მოკლე ვადით.
3. ამ მუხლის მიზნებისთვის, შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად არასაპატიოდ მიიჩნევა შემდეგი მიზეზები:
- ა. პროფესიული კავშირის წევრობა, ანდა პროფკავშირულ საქმიანობაში მონაწილეობა არასამუშაო საათებში ან, დამსაქმებლის თანხმობით, სამუშაო საათებში;
 - ბ. მუშაკთა წარმომადგენლის სახით მოქმედება აწმყოსა ან წარსულში, ან ამ თანამდებობაზე განაცხადის გაკეთება;
 - გ. დამსაქმებლის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, ან მონაწილეობა საქმისწარმოებაში, რომელიც უკავშირდება დამსაქმებლის მიერ კანონებისა თუ რეგულაციების სავარაუდო დარღვევას; ანდა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოებისთვის მიმართვა დასახმარებლად;
 - დ. რასა, კანის ფერი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, ოჯახური პასუხისმგებლობა, ორსულობა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულება, ეროვნული კუთვნილება ან სოციალური წარმომავლობა;
 - ე. დეკრეტულ შვებულებაში ყოფნა;
 - ვ. სამსახურში დროებით არყოფნა ავადმყოფობის ან დაზიანების გამო.
4. კომპენსაცია ან სხვა შესაბამისი დაკმაყოფილება დასაქმების საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტისთვის განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და რეგულაციებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით, ან ეროვნული პირობების შესაბამისი სხვა საშუალებებით.

დაცვის მოქმედების სფერო

24-ე მუხლი ეხება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას დამსაქმებლის ინიციატივით.²¹⁹⁷ ამ დებულების მოქმედების სფეროში არ შედის მდგომარეობა, როდესაც კანონით დადგენილია სავალდებულო საპენსიო ასაკი, რის შედეგადაც შრომითი ურთიერთობა ავტომატურად წყდება კანონის მოქმედებით. თუმცა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ პირმა მიაღწია საპენსიო ასაკს (რაც კანონით დამკვიდრებულია, მაგრამ არა სავალდებულო), გაუმართლებლად მიიჩნევა.²¹⁹⁸

„დასაქმებულის“ განმარტება

ყველა თანამშრომელს, რომელმაც გააფორმა შრომითი ხელშეკრულება, შრომის შეწყვეტის შემთხვევაში აქვს დაცვის უფლება.²¹⁹⁹ თუმცა, დანართის თანახმად, მხარე სახელმწიფოს შეუძლია, გამორიცხოს მუშაკები, რომლებიც:

- ▶ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულნი არიან განსაზღვრული ვადით, ან კონკრეტული დავალების შესასრულებლად.²²⁰⁰ საჯარო სექტორში ვადიანი ხელშეკრულების არგანახლება, ან ფაქტი, რომ ის არ გარდაიქმნება უვადო ხელშეკრულებად შტატში ვაკანტური თანამდებობების მიუხედავად, არ შეიძლება ჩაითვალოს ქარტიის 24-ე მუხლის საწინააღმდეგო გათავისუფლებად.²²⁰¹

²¹⁹⁷ დასკვნები 2012, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ

²¹⁹⁸ დასკვნები 2020, მალტა; დასკვნები 2012, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ

²¹⁹⁹ დასკვნები 2003, იტალია

²²⁰⁰ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²⁰¹ *Associazione Professionale e Sindacale (ANIEF) v. Italy*, საჩივარი N 146/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 7 ივლისი, §§104-106

- ▶ გადიან გამოსაცდელ პერიოდს ან საკვალიფიკაციო ვადას, იმ პირობით, რომ ეს ვადა არის წინასწარ განსაზღვრული და გონივრული.²²⁰² 24-ე მუხლის შესაბამისად, გამოსაცდელ პერიოდში თანამშრომელთა გამორიცხვა გათავისუფლებისგან დაცვის ექსტრემული ვადიდან არაგონივრულია, თუ ეს გამოიყენება განურჩევლად, დასაქმებულის კვალიფიკაციის მიუხედავად.²²⁰³ გამორიცხვის ერთწლიანი ვადა აშკარად არაგონივრულია და არ შეესაბამება ქარტიას.²²⁰⁴
- ▶ მუშაობენ დროებით, მოკლე ვადით.²²⁰⁵

ეს ნუსხა ამომწურავია. დასაქმებულთა ნებისმიერი სხვა კატეგორიის (მაგ: ვინც მიაღწია ჩვეულებრივ საპენსიო ასაკს) გამორიცხვა დაცვიდან, რომელიც მიემართება უსამართლო გათავისუფლებას, არ შეესაბამება ქარტიას.²²⁰⁶

უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ დამსაქმებლები, რომლებიც ქირაობენ მუშაკებს პლატფორმულ ან გიგ ეკონომიკაში, გვერდს არ აუვლიან შრომის კანონმდებლობას გათავისუფლებისგან დაცვის კონტექსტში, იმ საფუძვლით, რომ მათთვის მომუშავე პირი თვითდასაქმებულია, მაშინ, როცა რეალური სამუშაო პირობების შესწავლის შემდეგ, შეიძლება გამოვლინდეს შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი ნიშნები.²²⁰⁷

საპატიო მიზეზების განმარტება

24-ე მუხლი ამომწურავად ადგენს საპატიო საფუძვლებს, რომლებითაც დამსაქმებელს შეუძლია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.²²⁰⁸ ერთი მხრივ, ეს უკავშირდება დასაქმებულის შესაძლებლობებს ან ქცევას და, მეორე მხრივ, საწარმოს საოპერაციო მოთხოვნებს (ეკონომიკური მიზეზები).²²⁰⁹

I. დასაქმებულის შესაძლებლობებსა ან ქცევასთან დაკავშირებული მიზეზები

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ პირისთვის თავისუფლების აღკვეთა, თუ განაჩენი გამოტანილია დასაქმებასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.²²¹⁰ ეს არ მოიცავს დანაშაულებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის დასაქმებას და არ ითვლება გათავისუფლების საპატიო მიზეზად, თუ საპატიმრო სასჯელის ხანგრძლივობა ხელს არ უშლის პირს სამუშაოს შესრულებაში.²²¹¹

II. გარკვეული ეკონომიკური მიზეზები

თანამდებობიდან გათავისუფლების ეკონომიკური მიზეზები უნდა ეფუძნებოდეს საწარმოს, დაწესებულების, ან სამსახურის საოპერაციო მოთხოვნებს.²²¹² შეფასება ეყრდნობა კანონის განმარტებას ეროვნული სასამართლოების მიერ.²²¹³ სასამართლოებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენცია, რომ საქმე განიხილონ იმ ეკონომიკური ფაქტების მიხედვითაც, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამდებობიდან გათავისუფლებას, და არა მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შესაბამისად.²²¹⁴ ქარტიის 24-ე მუხლი მოითხოვს ბალანსის დაცვას ორ საკითხს შორის: ერთ მხრივ, ეს არის დამსაქმებლის უფლება, თავისი საწარმოს გაუძღვეს ისე, როგორც მიზანშეწონილად მიიჩნევა, და მეორე მხრივ - დასაქმებულთა უფლებების დაცვის

²²⁰² ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²⁰³ [დასკვნები 2012, ირლანდია](#); [დასკვნები 2012, კვიპროსი](#); [დასკვნები 2003, იტალია](#)

²²⁰⁴ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)

²²⁰⁵ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²⁰⁶ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)

²²⁰⁷ [დასკვნები 2020, ალბანეთი](#)

²²⁰⁸ [დასკვნები 2012, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²⁰⁹ [დასკვნები 2012, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²¹⁰ [დასკვნები 2008, ლიეტუვა](#)

²²¹¹ [დასკვნები 2008, ლიეტუვა](#)

²²¹² [დასკვნები 2016, ლატვია](#)

²²¹³ [დასკვნები 2016, ლატვია](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2012, თურქეთი](#)

²²¹⁴ [დასკვნები 2012, თურქეთი](#)

აუცილებლობა.²²¹⁵

კოლექტიური გათავისუფლების შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება COVID-19-ის კრიზისით გამოწვეულ შემცირებებს ან ცვლილებებს კომპანიის საქმიანობაში, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ქარტიის მოთხოვნას მუშაკთა წარმომადგენლების დროულ ინფორმირებაზე, ასევე, მათთან კონსულტაციების გავლაზე, რომელთა მიზანია გათავისუფლების პროცედურების დაცვა, კერძოდ: დასაქმებულთა ინფორმირება დაგეგმილი გათავისუფლების მიზეზებისა და მასშტაბზე; და მათი პოზიციების გათვალისწინება დამსაქმებლის მიერ კოლექტიური გათავისუფლების დაგეგმვისას.²²¹⁶

თანამდებობიდან გათავისუფლების აკრძალვა

ქარტიის რიგი დებულებები გაძლიერებულად იცავს დასაქმების შეწყვეტის გარკვეული მიზეზებისგან, როგორცაა:

- ▶ დისკრიმინაცია (მუხლები 1§2, 4§3 და 20);²²¹⁷
- ▶ პროფკავშირული საქმიანობა (მუხლი 5);²²¹⁸
- ▶ გაფიცვებში მონაწილეობა (მუხლი 6§4);²²¹⁹
- ▶ დელობა (მუხლი 8§2);²²²⁰
- ▶ შეზღუდული შესაძლებლობა (მუხლი 15);²²²¹
- ▶ ოჯახური ვალდებულებები (მუხლი 27);²²²²
- ▶ მუშაკთა წარმომადგენლობა (მუხლი 28).²²²³

24-ე მუხლის შესაბამისად, განიხილება მხოლოდ ორი მიზეზი, კერძოდ:

I. დამსაქმებლის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, ან მონაწილეობა საქმისწარმოებაში, რომელიც უკავშირდება დამსაქმებლის მიერ კანონებისა თუ რეგულაციების სავარაუდო დარღვევას; ან დაკომპეტენტირებული ადმინისტრაციული ორგანოებისთვის მიმართვა დასახმარებლად

ეროვნული კანონმდებლობა ან პრეცედენტული სამართალი მკაფიო გარანტიებს უნდა შეიცავდეს საპასუხო გათავისუფლების წინააღმდეგ.²²²⁴ იმ პირთა დაცვა შურისძიებისგან, რომლებიც სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს მიმართავენ თავიანთი უფლებების დასაცავად, აუცილებელია ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც მუშაკი აცხადებს კანონის დარღვევის შესახებ.²²²⁵ რაიმე ამკარა საკანონმდებლო აკრძალვის არარსებობის შემთხვევაში, მხარე სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ ჩვენება, რამდენად შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობა ქარტიის მოთხოვნას.²²²⁶

II. სამსახურში დროებით არყოფნა ავადმყოფობის ან დაზიანების გამო

ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს გათავისუფლებისგან დაცვის ვადა.²²²⁷ სამსახურში

²²¹⁵ დასკვნები 2016, ლატვია

²²¹⁶ 2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ

²²¹⁷ დასკვნები 2016, ლატვია

²²¹⁸ დასკვნები 2016, ლატვია

²²¹⁹ დასკვნები 2016, ლატვია

²²²⁰ დასკვნები 2016, ლატვია

²²²¹ დასკვნები 2016, ლატვია

²²²² დასკვნები 2016, ლატვია

²²²³ დასკვნები 2016, ლატვია

²²²⁴ დასკვნები 2016, ლატვია

²²²⁵ დასკვნები 2016, ჩრდილოეთ მაკედონია

²²²⁶ დასკვნები 2016, რუსეთის ფედერაცია

²²²⁷ დასკვნები 2012, უკრაინა

გამოცხადებლობა შეიძლება იყოს თანამდებობიდან გათავისუფლების საპატიო მიზეზი, თუ ეს სერიოზულად აფერხებს საწარმოს ფუნქციონირებას და დასაქმებულს, რომელიც არ გამოცხადდა, უნდა მოეძებნოს ნამდვილი, მუდმივი შემცვლელი.²²²⁸

რაც შეეხება შეტყობინების გარეშე გათავისუფლებას შესაძლებლობათა მუდმივი შეზღუდვის შემთხვევაში, შეფასებისას გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები:

- ▶ დასაშვებია თუ არა შეტყობინების გარეშე გათავისუფლება შესაძლებლობათა მუდმივი შეზღუდვის გამო, მიუხედავად ამ შეზღუდვების წარმომავლობისა? კერძოდ, შესაძლებელია ეს დასაქმებასთან დაკავშირებული დაზიანებების ან პროფესიული დაავადებების შემთხვევაში?²²²⁹
- ▶ მოეთხოვებათ თუ არა დამსაქმებლებს კომპენსაციის გადახდა მსგავს შემთხვევებში თანამდებობიდან გათავისუფლებისას?²²³⁰
- ▶ თუ შესაძლებლობათა მუდმივი შეზღუდვის მიუხედავად, დასაქმებულს მაინც შეუძლია მსუბუქი სამუშაოს შესრულება, ევალება დამსაქმებელს სხვა სამუშაოს შეთავაზება? თუ დამსაქმებელი ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, რა არის ალტერნატივა?²²³¹

iii. დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმებულის გათავისუფლება საპენსიო ასაკის მიღწევის გამო

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ყველა მუშაკი დაიცვან ასაკის გამო თანამდებობიდან გათავისუფლებისგან.²²³²

ასაკის გამო თანამდებობიდან გათავისუფლება ვერ იქნება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საპატიო მიზეზი, თუ ის ობიექტურად და გონივრულად არ არის გამართლებული ლეგიტიმური მიზნით ეროვნული კანონმდებლობის კონტექსტში (მაგ: ლეგიტიმური დასაქმების პოლიტიკით; შრომის ბაზრის მიზნებით; საწარმოს, დაწესებულების ან სამსახურის საოპერაციო მოთხოვნებით), ასევე, პირობით, რომ ამ მიზნის მისაღწევი საშუალებები შესაბამისი და აუცილებელია.²²³³

კანონმდებლობა, რომელიც იძლევა თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებას უშუალოდ ასაკის საფუძველზე და ფაქტობრივად არ უზრუნველყოფს დაცვის უფლებას დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში, ეწინააღმდეგება ქარტიას.²²³⁴

24-ე მუხლის დანართში მოცემული აკრძალული მიზეზების სია არ არის ამომწურავი.²²³⁵

შესაბამისი კომპენსაცია

გასაჩივრების უფლება

ნებისმიერ დასაქმებულს, რომელიც მიიჩნევს, რომ თანამდებობიდან გათავისუფლეს საპატიო მიზეზის გარეშე, უნდა ჰქონდეს მიუკერძოებელი ორგანოსთვის მიმართვის უფლება.²²³⁶ მტკიცების ტვირთი მთლიანად არ უნდა დაეკისროს მომჩივანს, თუმცა შესაბამისად უნდა დარეგულირდეს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.²²³⁷

²²²⁸ [დასკვნები 2016, ლატვია](#)

²²²⁹ [დასკვნები 2008, აზერბაიჯანი](#)

²²³⁰ [დასკვნები 2008, აზერბაიჯანი](#)

²²³¹ [დასკვნები 2008, აზერბაიჯანი](#)

²²³² [დასკვნები 2007, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²³³ [დასკვნები 2008, ლიეტუვა](#) ; [დასკვნები 2007, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²³⁴ [Fellesforbundet for Sjøfolk \(FFFS\) v. Norway](#), საჩივარი N 74/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 ივლისი, §§ 86, 89, 97, 99

²²³⁵ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²³⁶ [დასკვნები 2005, კვიპროსი](#), საფრანგეთი, [ესტონეთი](#)

²²³⁷ [დასკვნები 2008, განცხადება 24-ე მუხლის განმარტების შესახებ](#) და [განცხადება დისკრიმინაციის საქმეებში მტკიცების ტვირთის განმარტების შესახებ](#)

ზიანი

ქარტიის 24-ე მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ან სხვა კომპეტენტურმა ორგანოებმა გასცენ ბრძანება შესაბამისი კომპენსაციის, აღდგენის, ან შეღავათის შესახებ.²²³⁸ შესაბამისობისთვის, კომპენსაციამ უნდა მოიცავს: ფინანსური ზარალის ანაზღაურება, რომელიც პირს მიაღება თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან იმ თარიღამდე, როცა სააპელაციო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება გათავისუფლების კანონიერებაზე; სამსახურში აღდგენის შესაძლებლობა, ან/და კომპენსაცია, რომელიც საკმარისია დამსაქმებლის შესაკავებლად და თანაზომიერია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანისა.²²³⁹

კომპენსაციის ნებისმიერი ზედა ზღვარი, რომელიც არ იძლევა მიყენებული ზარალის თანაზომიერად ანაზღაურების საშუალებას და არ არის საკმარისად შემაკავებელი, ეწინააღმდეგება ქარტიას.²²⁴⁰ თუ არსებობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ზედა ზღვარი, დაზარალებულს უნდა შეეძლოს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სხვა სამართლებრივი გზებით (მაგ: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით), ხოლო სასამართლოებმა, რომლებსაც აქვთ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიკუთვნების კომპეტენცია, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ გონივრულ ვადაში.²²⁴¹

მუხლი 25 მუშაკთა მოთხოვნების დაცვის უფლება მათი დამსაქმებლის გადახდისუნარობის შემთხვევაში

ყველა მუშაკს აქვს უფლება, დაიცვას თავისი მოთხოვნები დამსაქმებლის გადახდისუნარობის შემთხვევაში

დამსაქმებლის გადახდისუნარობის შემთხვევაში, მუშაკთა მოთხოვნების შესრულების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფის დასაქმების კონტრაქტიდან ან შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მუშაკთა მოთხოვნების შესრულება საგარანტიო დაწესებულებების გზით, ან ნებისმიერი სხვა დაცვის ეფექტიანი ფორმით.

დანართი²²⁴²

1. კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს შეუძლია, გამორიცხვის გზით და დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით, მუშაკთა გარკვეული კატეგორიები გამორიცხოს დაცვიდან, რომელიც უზრუნველყოფილია მათი შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე.
2. ტერმინი „გადახდისუნარობა“ უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით.
3. ამ დებულებით გათვალისწინებული მუშაკთა მოთხოვნები უნდა შეიცავდეს, სულ მცირე:
 - ა. სახელფასო მოთხოვნებს დადგენილ პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც არ უნდა იყოს გადახდისუნარობის დადგომამდე ან დასაქმების შეწყვეტამდე 3 თვეზე ნაკლები პრივილეგიების სისტემის მიხედვით და 8 კვირაზე ნაკლები - გარანტიების სისტემის შესაბამისად;

²²³⁸ დასკვნები 2016, ჩრდილოეთ მაკედონია

²²³⁹ დასკვნები 2016, ჩრდილოეთ მაკედონია; Finnish Society of Social Rights v. Finland, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 8 სექტემბერი

²²⁴⁰ დასკვნები 2012, სლოვენია; დასკვნები 2012, ფინეთი; Finnish Society of Social Rights v. Finland, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 8 სექტემბერი

²²⁴¹ დასკვნები 2012, სლოვენია; დასკვნები 2012, ფინეთი; Finnish Society of Social Rights v. Finland, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2016 წლის 8 სექტემბერი

²²⁴² ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

- ბ. მოთხოვნებს შვებულების ანაზღაურებაზე იმ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოსთვის, როდესაც დადგა გადახდისუუნარობა, ან შეწყდა დასაქმება;
- გ. მოთხოვნებს სხვა ტიპის ანაზღაურებად გაცდენებთან მიმართებით, დადგენილი პერიოდისთვის, რომელიც არ უნდა იყოს გადახდისუუნარობის დადგომამდე ან დასაქმების შეწყვეტამდე სამ თვეზე ნაკლები პრივილეგიების სისტემის მიხედვით და 8 კვირაზე ნაკლები - გარანტიის სისტემების შესაბამისად.

4. შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ ან რეგულაციებმა შეიძლება შეზღუდოს მუშაკთა მოთხოვნების დაცვა დადგენილ მოცულობამდე, რომელიც იქნება სოციალურად მისაღები დონის.

ქართვის 25-ე მუხლით გარანტირებულია ფიზიკურ პირთა უფლება, დაიცვან თავიანთი მოთხოვნები დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.²²⁴³

ტერმინი „გადახდისუუნარობა“ მოიცავს სიტუაციებს, როდესაც: (1) დამსაქმებლის აქტივებთან დაკავშირებით დაწყებულია გადახდისუუნარობის ფორმალური საქმისწარმოება, რომლის მიზანია კრედიტორთა ზიანის კოლექტიურად ანაზღაურება; და (2) დამსაქმებლის აქტივები არ კმარა გადახდისუუნარობის ფორმალური საქმისწარმოების დაწყების გასამართლებლად.²²⁴⁴

დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მუშაკთა მოთხოვნების დაკმაყოფილება გარანტირებული უნდა იყოს საგარანტიო ინსტიტუტის მხრიდან, ან დაცვის სხვა ეფექტიანი ფორმით.²²⁴⁵ მხარე სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს ეს დებულება, დისკრეციის ფარგლებით სარგებლობენ მუშაკთა მოთხოვნების დაცვასთან მიმართებით; 25-ე მუხლი არ მოითხოვს კონკრეტული საგარანტიო ინსტიტუტის არსებობას.²²⁴⁶

ქართვის დანართი ითვალისწინებს ხელფასებისა და ანაზღაურებადი გაცდენების მინიმალურ თანხებსაც, რომლებიც უნდა დაიფაროს იმის მიხედვით, „პრივილეგიების სისტემა“ გამოიყენება (გადახდისუუნარობის დადგომამდე 3 თვით ადრე), თუ „გარანტიების სისტემა“ (8 კვირით ადრე).²²⁴⁷

უზრუნველყოფილი დაცვა, ფორმის მიუხედავად, უნდა იყოს შესაბამისი და ეფექტიანი, მათ შორის, ისეთ სიტუაციებშიც, როდესაც საწარმოს აქტივები არ კმარა დასაქმებულთა ხელფასების გადასახდელად.²²⁴⁸ უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ მათი მოთხოვნები ასეთ შემთხვევებშიც დაკმაყოფილდება.²²⁴⁹

მუშაკთა მოთხოვნებს უპირატესობა უნდა ჰქონდეს სხვა კრედიტორებთან შედარებით, როგორც გაკოტრების ფორმალური საქმისწარმოების ფარგლებში, ისე მაშინ, როცა საწარმო იხურება გადახდისუუნაროდ ფორმალური გამოცხადების გარეშე.²²⁵⁰

მხოლოდ პრივილეგიების სისტემა არ შეიძლება ჩაითვალოს დაცვის ეფექტიან ფორმად 25-ე მუხლის მნიშვნელობით.²²⁵¹ პრივილეგიების სისტემა შეიძლება ეფექტიანი დაცვა იყოს, როდესაც გადახდისუუნარობის ფორმალური საქმისწარმოების პროცესი დაწყებულია, თუმცა ეს ასე არ არის სიტუაციებში, როცა დამსაქმებელი აღარ ფლობს აქტივებს.²²⁵² პრივილეგიების სისტემა აზრს კარგავს, თუ კრედიტორებს შორის აღარ არსებობს გასაყოფი აქტივები, ამიტომ მხარე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ალტერნატიული მექანიზმი, რათა

²²⁴³ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)
²²⁴⁴ [დასკვნები 2012, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)
²²⁴⁵ [დასკვნები 2012, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)
²²⁴⁶ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)
²²⁴⁷ [დასკვნები 2012, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)
²²⁴⁸ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)
²²⁴⁹ [დასკვნები 2012, ირლანდია](#)
²²⁵⁰ [დასკვნები 2012, ალბანეთი](#)
²²⁵¹ [დასკვნები 2012, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)
²²⁵² [დასკვნები 2012, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

ფაქტობრივად დაიცვან მუშაკთა მოთხოვნები ასეთ სიტუაციებში.²²⁵³

შესაბამისად, სიტუაციები, როდესაც არ არსებობს პრივილეგიების სისტემის ალტერნატივა, არ შეესაბამება ქარტიას, ვინაიდან ასეთი სისტემით ეფექტიანად არ არის გარანტირებული მუშაკთა მოთხოვნების დაცვა სიტუაციებში, როცა დამსაქმებელს აღარ აქვს აქტივები.²²⁵⁴

პრივილეგიების სისტემა, სადაც დასაქმებულთა პრეტენზიები დგას იპოთეკურ ვალდებულებებს, ყადაღასა და გაკოტრების ხარჯებს ქვემოთ, არ არის ეფექტიანი დაცვა ქარტიის შესაბამისად.²²⁵⁵

დაცვის შესაბამისობის პრაქტიკაში საჩვენებლად, სახელმწიფოებმა კომიტეტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: დროის საშუალო ხანგრძლივობა მოთხოვნის წარდგენიდან ხელფასის გადახდამდე; და დასაქმებულთა მოთხოვნების მთლიანი წილი, რომლებიც დააკმაყოფილა საგარანტიო ინსტიტუტმა.²²⁵⁶

მხარე სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ მუშაკთა მოთხოვნების დაცვა დადგენილი მოცულობით, რომელიც უნდა იყოს სოციალურად მისაღები დონის.²²⁵⁷ მისაღებ დონედ მიიჩნევა დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასის სამმაგი ოდენობა.²²⁵⁸ დამსაქმებელი ასევე ვალდებულია, აანაზღაუროს მოთხოვნები სხვა სახის ანაზღაურებადი გაცდენის შემთხვევაში (შვებულება, შვებულება ავადმყოფობის გამო) - არანაკლებ 3 თვე პრივილეგიების სისტემის მიხედვით და 8 კვირა გარანტიების სისტემის შესაბამისად.²²⁵⁹

დასაქმებულთა გარკვეული კატეგორიები, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება გამოირიცხოს 25-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვიდან, მათი შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებული ბუნების გამო.²²⁶⁰ თუმცა, კომიტეტმა თითოეულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს, განაპირობებს თუ არა შრომითი ურთიერთობის ბუნება ასეთ გამონაკლისს.²²⁶¹ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მიზეზი იმ პირთა გამოსარიცხად, რომლებიც დასაქმებულნი არიან არასრული განაკვეთით, ან ვადიანი თუ სხვა დროებითი ხელშეკრულებით.²²⁶²

იმ დასაქმებულთა გამორიცხვა დამსაქმებლის გადახდისუნარობისგან დაცვიდან, რომლებიც ერთ წელზე ნაკლებ ხანს მუშაობდნენ იმავე დამსაქმებელთან, ეწინააღმდეგება ქარტიას.²²⁶³

მუხლი 26 სამუშაოზე ღირსების უფლება

ყველა მუშაკს აქვს სამუშაოზე ღირსების უფლება.

26§1 სამუშაოზე ყველა მუშაკთა ღირსების დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულნი არიან იღებენ დამსაქმებულთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით: ხელი შეუწყონ გათვითცნობიერებას, ინფორმირებას და სამუშაო ადგილზე ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებით სექსუალური თავისუფლების ხელყოფის თავიდან აცილებას და მიიღონ ყველა სათანადო ზომა ამგვარი ქმედებებისგან მუშაკთა დასაცავად.

დანართი: ეს მუხლი არ მოითხოვს, რომ მხარეებმა მიიღონ კანონმდებლობა.²²⁶⁴

²²⁵³ დასკვნები 2012, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ

²²⁵⁴ დასკვნები 2012 და 2020, დასკვნები

²²⁵⁵ დასკვნები 2003, ბულგარეთი

²²⁵⁶ დასკვნები 2012, ირლანდია

²²⁵⁷ დასკვნები 2012, ირლანდია

²²⁵⁸ დასკვნები 2012, სლოვაკეთი, რომელშიც ციტირებულია დასკვნები 2005, ესტონეთი

²²⁵⁹ დასკვნები 2012, სლოვაკეთი

²²⁶⁰ დასკვნები 2008, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ

²²⁶¹ დასკვნები 2008, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ

²²⁶² დასკვნები 2008, განცხადება 25-ე მუხლის განმარტების შესახებ

²²⁶³ დასკვნები 2012, თურქეთი

²²⁶⁴ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

აუცილებელი არ არის, სექსუალური შევიწროება იყოს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმა, თუმცა ის ყოველთვის კვალიფიცირდება თანასწორი მოპყრობის დარღვევად, რომელიც ხასიათდება პრეფერენციული ან რეპრესიული ქცევით ერთი ან მეტი პირის მიმართ, ან დაჟინებული ქცევის სხვა ფორმებით, რომლებმაც შეიძლება შელახოს მათი ღირსება ან დააზიანოს მათი კარიერა.²²⁶⁵

ადიარებული ან აღქმული საფუძვლების მიუხედავად, მტრული სამუშაო გარემოს შემქმნელი შევიწროება უნდა აიკრძალოს და დაისაჯოს დისკრიმინაციულ ქმედებათა მსგავსად, მიუხედავად იმისა, რომ შევიწროების ყველა ქცევა არ არის დისკრიმინაციული აქტი (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აშკარად გათვალისწინებულია კანონით).²²⁶⁶

26§1 მუხლის დანართის თანახმად, მხარე სახელმწიფოებს არ ევალებათ ცალკე კანონმდებლობის მიღება კონკრეტულად შევიწროების შესახებ, იმ პირობით, რომ სამართლებრივი ჩარხო, შესაბამის ეროვნულ ორგანოთა განმარტებით, კანონსა და პრაქტიკაში უზრუნველყოფს ეფექტიან დაცვას სამუშაო ადგილზე ან სამუშაოსთან დაკავშირებული შევიწროებისგან.²²⁶⁷

სექსუალური შევიწროებისგან სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განმარტავენ ეროვნული სასამართლოები კანონის ამჟამინდელ ფორმულირებას.²²⁶⁸

პრევენცია

26§1 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს შესაბამისი პრევენციული ზომების მიღებას სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ (საინფორმაციო, ცნობიერების ასამაღლებელი და პრევენციული კამპანიებით სამუშაო ადგილზე, ან სამუშაოსთან დაკავშირებით).²²⁶⁹ კერძოდ, მათ უნდა აცნობონ მუშაკებს განსახილველი ქცევის ბუნებასა და ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.²²⁷⁰

სოციალურ პარტნიორებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ზომებზე, რომლებიც ხელს უწყობს ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებას სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების შესახებ და მის პრევენციას.²²⁷¹

დასაქმებულთა ვალდებულება და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

აუცილებელი არ არის, სახელმწიფოს კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებდეს შევიწროებაზე, თუ მისი ზომებით შესაძლებელია დასაქმებულთა ეფექტიანი დაცვა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმისგან.²²⁷²

ეს დაცვა უნდა მოიცავდეს დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლებას შევიწროების შემთხვევაში, შესაბამისი კომპენსაციის მიღებას, და უფლებას დევნისგან დაცვაზე ამ უფლებათა განხორციელების გამო.²²⁷³

დამსაქმებლებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ პირთა წინაშე, რომლებიც არ არიან მათი დასაქმებულები (მაგ: ქვეკონტრაქტორები, თვითდასაქმებული პირები, მომხმარებლები და ვიზიტორები), თუმცა სექსუალური შევიწროება განიცადეს მათ სამსახურებრივ შენობებში, ან მათ დაქვემდებარებაში მყოფ დასაქმებულთა მხრიდან.²²⁷⁴

²²⁶⁵ [დასკვნები 2003, ბულგარეთი; დასკვნები 2005, მოლდოვა](#)

²²⁶⁶ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

²²⁶⁷ [დასკვნები 2014, საქართველო](#)

²²⁶⁸ [დასკვნები 2007, სლოვენია](#)

²²⁶⁹ [დასკვნები 2018, ლიეტუვა; დასკვნები 2005, მოლდოვა](#)

²²⁷⁰ [დასკვნები 2005, ლიეტუვა; დასკვნები 2003, იტალია](#)

²²⁷¹ [დასკვნები 2018, უკრაინა](#)

²²⁷² [დასკვნები 2003, ბულგარეთი; დასკვნები 2005, მოლდოვა](#)

²²⁷³ [დასკვნები 2007, განცხადება 26§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²⁷⁴ [დასკვნები 2014, ფინეთი](#)

მდგომარეობა არ შეესაბამება ქარტიის 26§1 მუხლს, სადაც არ დადგენილა, რომ დამსაქმებლის პასუხისმგებლობის კუთხით არსებობს სამართლებრივი დაცვის საკმარისი და ქმედითი საშუალებები სამუშაოსთან დაკავშირებული სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ.²²⁷⁵

მტკიცების ტვირთი

სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, მუშაკთა ეფექტიანი დაცვა მოითხოვს მტკიცების ტვირთის გადატანას, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს, მიიღოს დაზარალებულის სასარგებლო გადაწყვეტილება, საკმარისი პირველადი მტკიცებულებებისა და მოსამართლის/ მოსამართლეების პირადი რწმენის საფუძველზე.²²⁷⁶ მდგომარეობა არ იქნება ქარტიის 26§1 მუხლის შესაბამისი, თუ სექსუალური შევიწროების საქმეებში გათვალისწინებული არ არის მტკიცების ტვირთის გადატანა.²²⁷⁷

ზიანი

სექსუალური შევიწროების მსხვერპლს უნდა ჰქონდეს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.²²⁷⁸ ეს საშუალებები უნდა ითვალისწინებდეს სათანადო კომპენსაციას, იმ ოდენობით, რომელიც საკმარისია დაზარალებული პირის მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და დამსაქმებლის შესაკავებლად.²²⁷⁹

გარდა ამისა, გარანტირებული უნდა იყოს სამსახურში აღდგენის უფლება იმ დასაქმებულთათვის, რომლებიც უსამართლოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ან აიძულეს, რომ გადამდგარიყვნენ სექსუალური შევიწროებით განპირობებული არამეგობრული გარემოს გამო.²²⁸⁰

სექსუალური შევიწროების შემთხვევაში შესაბამისი და ეფექტიანი ანაზღაურების (კომპენსაციისა და აღდგენის) არარსებობა არ შეესაბამება 26§1 მუხლს.²²⁸¹

26§2 სამუშაოზე ყველა მუშაკთა ღირსების დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ დამსაქმებელთა და მუშაკთა ორგანიზაციებთან კონსულტაციებით: ხელი შეუწყონ გათვითცნობიერებას, ინფორმირებას და სამუშაო ადგილებზე ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებით განმეორებადი გასაკიცხი ან აშკარად უარყოფითი და შეურაცხმყოფელი ქმედებების თავიდან აცილებას, რომლებიც მიმართულია თითოეული მუშაკის წინააღმდეგ, და მიიღონ ყველა სათანადო ზომა ამგვარი ქმედებებისგან მუშაკთა დასაცავად.

დანართი: ეს მუხლი არ მოითხოვს, რომ მხარეებმა მიიღონ კანონმდებლობა²²⁸² და იგულისხმება, რომ მე-2 პუნქტი არ მოიცავს სექსუალურ შევიწროებას.²²⁸³

ქარტიის 26§2 მუხლი ადგენს უფლებას ადამიანის ღირსების დაცვაზე შევიწროებისგან, რომელიც ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს პიროვნების კონკრეტულ თვისებებთან მიმართებით.²²⁸⁴ მხარე სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ყველა საჭირო პრევენციული და საკომპენსაციო ზომის მიღება, რათა ცალკეული მუშაკები დაიცვან განმეორებითი გასაკიცხი, აშკარად უარყოფითი და შეურაცხმყოფელი ქმედებებისგან სამუშაო ადგილზე ან სამუშაოსთან

²²⁷⁵ დასკვნები 2018, ლიეტუვა; დასკვნები 2018, საქართველო

²²⁷⁶ დასკვნები 2018, აზერბაიჯანი; დასკვნები 2014, აზერბაიჯანი

²²⁷⁷ დასკვნები 2018, აზერბაიჯანი

²²⁷⁸ დასკვნები 2018, თურქეთი; დასკვნები 2005, მოლდოვა

²²⁷⁹ დასკვნები 2018, თურქეთი; დასკვნები 2007, სლოვენია

²²⁸⁰ დასკვნები 2018, თურქეთი; დასკვნები 2003, ბულგარეთი

²²⁸¹ დასკვნები 2018, უკრაინა

²²⁸² ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²⁸³ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²⁸⁴ დასკვნები 2003, ბულგარეთი

დაკავშირებით, ვინაიდან ეს ქმედებები წარმოადგენს დამამცირებელ ქცევას.²²⁸⁵

დამშვებული ან აღქმული საფუძვლების მიუხედავად, შევიწროება, რომელიც ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს და ხასიათდება ქცევის დაჟინებული ფორმებით ერთი ან მეტი პირის მიმართ, რამაც შეიძლება შელახოს მისი ღირსება, ან დააზიანოს მისი კარიერა, უნდა აიკრძალოს და დაისაჯოს დისკრიმინაციული ქმედებების მსგავსად.²²⁸⁶ შევიწროება უნდა აიკრძალოს და დაისაჯოს მაშინაც, თუ არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.²²⁸⁷

26§2 მუხლის დანართი ადგენს, რომ მხარე სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ კანონმდებლობის მიღება კონკრეტულად შევიწროებაზე.²²⁸⁸ თუმცა, შესწორებული ქარტიის მხარეებმა, რომლებმაც მიიღეს 26§2 მუხლი, დასაქმებულებისთვის უნდა უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი დაცვა აშკარად უარყოფითი და დანაშაულებრივი ქმედებებისა თუ ქცევისგან სამუშაო ადგილზე.²²⁸⁹ ეს დაცვა უნდა მოიცავდეს შეურაცხყოფილი ქცევის დამოუკიდებელ ორგანოში გასაჩივრების უფლებას, შესაბამისი კომპენსაციის მიღებას, და უფლებას დისკრიმინაციისგან დაცვაზე ამ უფლებათა განხორციელების გამო.²²⁹⁰

პრევენცია

რაც შეეხება ცნობიერების ამაღლებას, მოთხოვნები იგივეა, რაც 26§1 მუხლის შემთხვევაში.²²⁹¹ 26§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, რომ მიიღონ შესაბამისი პრევენციული ზომები მორალური შევიწროების წინააღმდეგ (მაგ: საინფორმაციო, ცნობიერების ასამაღლებელი და პრევენციული კამპანიებით სამუშაო ადგილზე ან სამუშაოსთან დაკავშირებით), კერძოდ, ისეთ სიტუაციებში, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შევიწროებას.²²⁹² მათ უნდა აცნობონ დასაქმებულებს განსახილველი ქცევის ბუნებასა და ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.²²⁹³ სამუშაო ადგილას შევიწროებაზე ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს საჯარო საგანმანათლებლო პროგრამებს, კამპანიებს, თანამშრომლობას არასამთავრობო და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან, შევიწროებაზე ინფორმაციის ონლაინწყაროების მიწოდებას და ა.შ.²²⁹⁴ ასეთ სიტუაციებში რაიმე პრევენციული ზომების, მომზადების, ან ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების არარსებობა შეიძლება არღვევდეს 26§2 მუხლს.²²⁹⁵

დამსაქმებელთა ვალდებულება და სამართლებრივი დაცვის საშუალებები

დამსაქმებლებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ ისეთი შევიწროების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს მათ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს, ანდა ხდება მათ სამსახურებრივშენობაში, თუმცა დაზარალებულიან მოძალადე არარის მათ მიერ დასაქმებული პირი (მაგ: ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი კონტრაქტორი, თვითდასაქმებული მუშაკი, ვიზიტორი, კლიენტი და ა.შ.).²²⁹⁶

სიტუაცია არ შეესაბამება ქარტიის 26§2 მუხლს, თუ დამსაქმებლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ისეთი შევიწროების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს მათი დაქვემდებარების ქვეშ მყოფ თანამშრომლებს, ანდა ხდება მათ პასუხისმგებლობაში არსებულ შენობაში, თუმცა დაზარალებული ან მოძალადე არ არის მათ მიერ დასაქმებული პირი.²²⁹⁷

²²⁸⁵ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

²²⁸⁶ [დასკვნები 2007, განცხადება 26§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²⁸⁷ [დასკვნები 2007, განცხადება 26§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²²⁸⁸ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²²⁸⁹ [დასკვნები 2005, მოლოდოვა](#)

²²⁹⁰ [დასკვნები 2005, მოლოდოვა](#)

²²⁹¹ [დასკვნები 2018, ანდორა](#); [დასკვნები 2003, სლოვენია](#)

²²⁹² [დასკვნები 2014, აზერბაიჯანი](#); [დასკვნები 2005, მოლოდოვა](#)

²²⁹³ [დასკვნები 2005, მოლოდოვა](#)

²²⁹⁴ [დასკვნები 2018, სერბეთი](#)

²²⁹⁵ [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 91/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2015 წლის 12 ოქტომბერი, §295

²²⁹⁶ [დასკვნები 2014, ფინეთი](#)

²²⁹⁷ [დასკვნები 2014, ფინეთი](#)

მტკიცების ტვირთი

სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, მუშაკთა ეფექტიანი დაცვა მოითხოვს მტკიცების ტვირთის გადატანას, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს, მიიღოს დაზარალებულის სასარგებლო გადაწყვეტილება, საკმარისი პირველადი მტკიცებულებებისა და მოსამართლის/ მოსამართლეების პირადი რწმენის საფუძველზე.²²⁹⁸

ზიანი

26§2 მუხლის შესაბამისად, შევიწროებით დაზარალებულებს უნდა ჰქონდეთ ეფექტიანი სასამართლო დაცვის საშუალებები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის.²²⁹⁹ ეს სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა ითვალისწინებდეს სათანადო კომპენსაციას, იმ ოდენობით, რომელიც საკმარისია დაზარალებულის მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და დამსაქმებლის შესაკავებლად.²³⁰⁰

გარდა ამისა, შესაბამის პირებს უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე აღდგენის უფლება, თუკი უსამართლოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ან აიძულეს, გადამდგარიყვნენ მორალურ შევიწროებასთან დაკავშირებული მიზეზების გამო.²³⁰¹

მუხლი 27 ოჯახური ვალდებულებების მქონე მუშაკთა თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება

ყველა ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე პირს, რომელიც დასაქმებულია ან სურს დასაქმება, აქვს ამის უფლება ისე, რომ არ დაექვემდებაროს დისკრიმინაციას და თავიანთ დასაქმებასა და ოჯახურ პასუხისმგებლობებს შორის, შეძლებისდაგვარად, კონფლიქტის გარეშე.

დანართი: ეს მუხლი ეხება იმ კაც და ქალ მუშაკებსაც, რომლებსაც აქვთ ოჯახური პასუხისმგებლობა დამოკიდებული ბავშვებისა და უახლოესი ოჯახის წევრების მიმართ, რომლებსაც ამკარად სჭირდებათ მათი ზრუნვა ან მხარდაჭერა, და ასეთი პასუხისმგებლობები ზღუდავს მათ შესაძლებლობებს ეკონომიკური საქმიანობისთვის მომზადების, მასში მონაწილეობის, ან დაწინაურების კუთხით. ტერმინები „დამოკიდებული ბავშვები“ და „უახლოესი ოჯახის წევრები, რომლებსაც ამკარად სჭირდებათ მათი ზრუნვა და მხარდაჭერა“, ნიშნავს პირებს, რომელთაც ასეთად განსაზღვრავს შესაბამისი მხარის ეროვნული კანონმდებლობა.²³⁰²

27§1 ოჯახური ვალდებულებების მქონე კაც და ქალ მუშაკთა და ასეთ მუშაკთა და სხვა მუშაკთა შორის თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ შესაბამისი ზომები:

- ა. რაც შესაძლებლობას მისცემს ოჯახური მოვალეობების მქონე მუშაკებს, დასაქმდნენ და დარჩნენ დასაქმებული, ასევე ხელახლა დასაქმდნენ ამ მოვალეობების გამო არყოფნის შემდეგ, რაც ასევე მოიცავს ზომებს პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული მომზადების სფეროში.

ქარტიის 27§1 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა თანაბარი შესაძლებლობები უნდა უზრუნველყონ ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე პირებისთვის დასაქმების დაწყების, შენარჩუნებისა და ხელახალი დასაქმების დროს, ვინაიდან ისინი შეიძლება სირთულეებს

²²⁹⁸ დასკვნები 2007, განცხადება 26§2 მუხლის განმარტების შესახებ

²²⁹⁹ დასკვნები 2014, აზერბაიჯანი

²³⁰⁰ დასკვნები 2014, აზერბაიჯანი

²³⁰¹ დასკვნები 2014, აზერბაიჯანი

²³⁰² ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

წააწყდნენ შრომის ბაზარზე, ოჯახური პასუხისმგებლობის გამო.²³⁰³

ამიტომ, მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებმა არ განიცადონ დისკრიმინაცია ამ პასუხისმგებლობების გამო; ასევე, დაეხმარონ მათ შრომის ბაზარზე შესვლაში, დარჩენასა და ხელახლა შესვლაში, კერძოდ, პროფესიული ორიენტაციის, მომზადებისა და გადამზადების მეშვეობით.²³⁰⁴

თუმცა, როდესაც დასაქმების სტანდარტული, ყველასთვის ხელმისაწვდომი მომსახურებები ადეკვატური ხარისხისაა, არ არის საჭირო ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე პირებისთვის დამატებითი მომსახურებების მიწოდება.²³⁰⁵

ბ. რაც მხედველობაში მიიღებს მათ საჭიროებებს დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრის მხრივ.

27§1b მუხლის მიზანია, ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკთა საჭიროებების გათვალისწინება დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის პირობების თვალსაზრისით.²³⁰⁶

საჭიროა ზომების მიღება სამუშაო დროის ხანგრძლივობასა და ორგანიზებასთან მიმართებით.²³⁰⁷ გარდა ამისა, ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებს უნდა მიეცეთ არასრულ განაკვეთზე მუშაობისა ან სრულ განაკვეთზე დაბრუნების საშუალება.²³⁰⁸ ეს ზომები თანაბრად უნდა გავრცელდეს კაცებსა და ქალებზე.²³⁰⁹

გასატარებელი ზომების ტიპი ცალმხრივად არ უნდა განსაზღვროს დამსაქმებელმა და მას უნდა ითვალისწინებდეს სავალდებულო დოკუმენტი (კანონმდებლობა ან კოლექტიური ხელშეკრულება).²³¹⁰

საპენსიო სქემების გაანგარიშებისას, ან საპენსიო უფლებების დადგენისას გასათვალისწინებელია უმუშევრობის პერიოდები ოჯახური პასუხისმგებლობის გამო.²³¹¹

გ. რაც განავითარებს ან ხელს შეუწყობს სახელმწიფო ან კერძო სამსახურებს, კერძოდ, ბავშვთა დღის განმავლობაში მოვლის სამსახურებს და ბავშვების მომვლელ სხვა დაწესებულებებს.

27§1c მუხლის მიზანია ბავშვთა დღის ცენტრების მომსახურებებისა და ბავშვზე ზრუნვის სხვა ღონისძიებების შემუშავება ან ხელშეწყობა, რომლებიც ხელმისაწვდომი და მისაღებია ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებისთვის.²³¹² სკოლამდელი განათლება უნდა იყოს უფასო, ხოლო თუ ასე არ არის, უნდა გადაიდგას ნაბიჯები, რომ ის ფინანსურად ხელმისაწვდომი გახდეს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის.²³¹³

თუ სახელმწიფოს მიღებული აქვს მე-16 მუხლი, ბავშვთა მოვლის ღონისძიებები განიხილება ამ დებულების შესაბამისად.²³¹⁴

ნებისმიერ შემთხვევაში, 27§1 მუხლის თანახმად, მშობლებს უნდა მიეცეთ სამუშაოს შემცირების ან შეწყვეტის უფლება ბავშვის მძიმე ავადმყოფობის გამო.²³¹⁵

²³⁰³ [დასკვნები 2005, შვედეთი](#)

²³⁰⁴ [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²³⁰⁵ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²³⁰⁶ დასკვნები 2005, განცხადება 27§1b მუხლის განმარტების შესახებ; იხ. მაგ: [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²³⁰⁷ დასკვნები 2005, განცხადება 27§1b მუხლის განმარტების შესახებ; იხ. მაგ: [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²³⁰⁸ დასკვნები 2005, განცხადება 27§1b მუხლის განმარტების შესახებ; იხ. მაგ: [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²³⁰⁹ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

²³¹⁰ [დასკვნები 2019, ბელგია](#)

²³¹¹ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²³¹² დასკვნები 2005, განცხადება 27§1c მუხლის განმარტების შესახებ; იხ. მაგ: [დასკვნები 2005, ესტონეთი](#)

²³¹³ [დასკვნები 2019, სომხეთი](#)

²³¹⁴ [დასკვნები 2003, იტალია](#)

²³¹⁵ [დასკვნები 2003, იტალია](#)

27§2 ოჯახური ვალდებულებების მქონე მამაკაც და ქალ მუშაკთა და ასეთ მუშაკთა და სხვა მუშაკთა შორის თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ ერთ-ერთი მშობლისათვის შვებულების აღების შესაძლებლობა ბავშვის მოსავლელად დეკრეტული შვებულების შემდგომ პერიოდში, რომლის ხანგრძლივობა და პირობები უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით, კოლექტიური შეთანხმებით ან პრაქტიკით.

27§2 მუხლი ითვალისწინებს მშობლის უფლებას შვებულებაზე, რომელიც განსხვავდება დეკრეტული შვებულებისგან²³¹⁶ (დეკრეტული შვებულება განიხილება ქარტიის მე-8 მუხლის შესაბამისად).

27§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ ორივე მშობელს მისცენ უფლება, მიიღოს მშობლის შვებულება, პროფესიული, პირადი და ოჯახური ცხოვრების შეჯერების მნიშვნელოვანი ელემენტის სახით. მშობლის შვებულების ხანგრძლივობა და პირობები უნდა განისაზღვროს მხარე სახელმწიფომ.²³¹⁷

შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ კაცებსა და ქალებს უნდა მიანიჭოს ინდივიდუალური უფლება მშობლის შვებულების აღებაზე ბავშვის დაბადების ან შვილად აყვანის გამო.²³¹⁸ მათ შორის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის ხელშესაწყობად, შვებულება თითოეულ მშობელს უნდა მიეცეს გადაცემის უფლების გარეშე.²³¹⁹

მხარე სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, რომ წაახალისონ მშობლის შვებულების გამოყენება ორივე მშობლის მიერ.²³²⁰

ანაზღაურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღებაში, კერძოდ, მამების ან მარტოხელა მშობლებისთვის.²³²¹ მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დასაქმებულ მშობლებს შესაბამისად აუნაზღაურდეთ მშობლის შვებულების დროს დაკარგული შემოსავალი.²³²² კომპენსაციის მეთოდები მხარე სახელმწიფოთა დისკრეციის ფარგლებში რჩება და ეს შეიძლება იყოს ანაზღაურებადი შვებულება (დამსაქმებლის მიერ ხელფასის გადახდის გაგრძელება), სოციალური უზრუნველყოფის დახმარება, ნებისმიერი ალტერნატიული შეღავათი სახელმწიფო სახსრებიდან, ან ასეთი კომპენსაციების კომბინაცია.²³²³ გადახდის მეთოდების მიუხედავად, ანაზღაურების დონე უნდა იყოს შესაბამისი.²³²⁴

მშობლის არაანაზღაურებადი შვებულება არ შეესაბამება 27§2 მუხლს.²³²⁵

არ უნდა დაუშვათ, რომ COVID-19-ის კრიზისმა გაანადგუროს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის კუთხით მიღწეული პროგრესი, ან დაგვწიოს უკან, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ გენდერული თანასწორობა კრიზისამდე ბოლომდე არ იყო მიღწეული.²³²⁶ არსებობს მაჩვენებლები, რომ პანდემიამ ქალების დასაქმებას უფრო დიდი რისკი შეუქმნა, ვიდრე კაცებისას.²³²⁷ ქალი დასაქმებულები, სავარაუდოდ, დაინფიცირების უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან, რადგან სწორედ ისინი ქმნიან საოჯახო, ჯანდაცვისა და სოციალური ზრუნვის მუშაკთა დიდ ნაწილს.²³²⁸ ოჯახური ცხოვრების შეთავსებამ დისტანციურ მუშაობასთან, ბავშვების შინიდან სწავლასა და მათზე ზრუნვასთან - COVID-

²³¹⁶ [დასკვნები 2011, სომხეთი](#)

²³¹⁷ [დასკვნები 2011, სომხეთი](#)

²³¹⁸ [დასკვნები 2011, სომხეთი](#)

²³¹⁹ [დასკვნები 2011, სომხეთი](#)

²³²⁰ [დასკვნები 2015, განცხადება 27§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³²¹ [დასკვნები 2011, სომხეთი](#)

²³²² [დასკვნები 2015, განცხადება 27§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³²³ [დასკვნები 2015, განცხადება 27§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³²⁴ [დასკვნები 2015, განცხადება 27§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³²⁵ [დასკვნები 2019, იროანდია, მალტა](#)

²³²⁶ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²³²⁷ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²³²⁸ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

19-ის სტრესთან ერთად - მრავალი ოჯახისთვის წარმოშვა სერიოზული წნეხი და პრობლემა (ხშირად არათანაზომიერი გავლენით ქალებზე).²³²⁹ ასეთ სიტუაციაში მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ქარტიით გათვალისწინებული იმ უფლებების გამოსაყენებლად და გასაძლიერებლად, რომლებიც გარანტირებულია 27-ე მუხლით.²³³⁰

27§3 ოჯახური ვალდებულებების მქონე მამაკაც და ქალ მუშაკთა და ასეთ მუშაკთა და სხვა მუშაკთა შორის თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობაზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ, რომ ოჯახური პასუხისმგებლობა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს დასაქმების შეწყვეტის საპატიო საფუძველს.

ოჯახური პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საპატიო მიზეზი. ამ კონტექსტში „ოჯახური პასუხისმგებლობის“ ცნება უნდა განიმარტოს როგორც ვალდებულებები დამოკიდებული ბავშვების, ასევე, უახლოესი ოჯახის წევრების მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ზრუნვა და მხარდაჭერა (მაგ: ხანდაზმული მშობლები).²³³¹ 27§3 მუხლის მიზანია, ამ ვალდებულებებმა არ შეზღუდოს შრომითი საქმიანობისთვის მომზადება, მასზე წვდომა, პროფესიული საქმიანობა და კარიერული წინსვლა ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე მუშაკებისთვის.²³³²

ასეთი უკანონო საფუძვლებით თანამდებობიდან გათავისუფლებული მუშაკები დაცულნი უნდა იყვნენ ისეთივე დონით, როგორც უზრუნველყოფილია დისკრიმინაციული გათავისუფლების სხვა შემთხვევებში, ქარტიის 1§2 მუხლის შესაბამისად.²³³³ კერძოდ, სასამართლოებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს უნდა შეეძლოთ, გასცენ ბრძანება უკანონოდ გათავისუფლებული მუშაკის აღდგენაზე, ან/და ისეთი კომპენსაციის მინიჭებაზე, რომელიც საკმარისია დამსაქმებლის შესაკავებლად და თანაზომიერია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანისა.²³³⁴

კომპენსაციის ნებისმიერი ზედა ზღვარი, რომელიც არ იძლევა მიყენებული ზარალის თანაზომიერად ანაზღაურების საშუალებას და არ არის საკმარისად შემაკავებელი, აკრძალულია.²³³⁵ თუ არსებობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ზედა ზღვარი, დაზარალებულს უნდა შეეძლოს მორალური ზიანის შეუზღუდავი ანაზღაურების მოთხოვნა სხვა სამართლებრივი გზებით (მაგ: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით), ხოლო სასამართლოებმა, რომლებსაც აქვთ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიკუთვნების კომპეტენცია, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ გონივრულ ვადაში.²³³⁶

მუხლი 28 შრომით დაწესებულებაში მუშაკთა წარმომადგენლების უფლება დაცვაზე და გათვით შესაბამისი საშუალებები საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად

საწარმოებში მუშაკთა წარმომადგენლებს აქვთ საზიანო ქმედებებისგან დაცვის უფლება და უნდა ჰქონდეთ შესაბამისი საშუალებები საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად.

მუშაკთა წარმომადგენლების მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულების უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ შრომით დაწესებულებაში:

²³²⁹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)
²³³⁰ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)
²³³¹ დასკვნები 2003, განცხადება 27§3 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. მაგ: [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)
²³³² დასკვნები 2003, განცხადება 27§3 მუხლის განმარტების შესახებ; იხ. მაგ: [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)
²³³³ [დასკვნები 2007, ფინეთი](#)
²³³⁴ [დასკვნები 2007, ფინეთი](#)
²³³⁵ [დასკვნები 2011, განცხადება 8§2 და 27§3 მუხლების განმარტების შესახებ](#)
²³³⁶ [დასკვნები 2011, განცხადება 8§2 და 27§3 მუხლების განმარტების შესახებ](#), იხ. ასევე [Confederazione Generale Italiana del Lavoro \(CGIL\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 11 სექტემბერი, §96

- ა. ისინი სარგებლობენ ეფექტიანი დაცვით მათთვის ზიანის მიმყენებელი ქმედებებისაგან, სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით, დაფუძნებული მათ სტატუსსა ან დაწესებულებაში როგორც მუშაკთა წარმომადგენლების საქმიანობაზე;
- ბ. ისინი უზრუნველყოფილნი არიან ისეთი შედეგებით, რომლებიც შეძლებისდაგვარად მისცემს მათ საშუალებას, შეასრულონ თავიანთი ფუნქციები დაუყოვნებლივ და ეფექტიანად ქვეყნის საწარმოო ურთიერთობათა სისტემის და შესაბამისი შრომითი დაწესებულების მოთხოვნილებების, ზომისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

დანართი: ამ მუხლის მიზნებისთვის, ტერმინი „მუშაკთა წარმომადგენლები“ ნიშნავს პირებს, რომლებიც აღიარებულნი არიან ასეთად ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით.²³³⁷

ამ დებულებით გარანტირებულია მუშაკთა/დასაქმებულთა წარმომადგენლების უფლება საწარმოებში დაცვასა და გარკვეული საშუალებებით უზრუნველყოფაზე.²³³⁸ ის ავსებს მე-5 მუხლს, რომელიც მსგავს უფლებას აღიარებს პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისთვის.²³³⁹

მუშაკთა/დასაქმებულთა წარმომადგენლების ტიპები

28-ე მუხლის დანართის თანახმად, ტერმინი „მუშაკთა წარმომადგენლები“ ნიშნავს პირებს, რომლებიც ასეთად აღიარებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით.²³⁴⁰ ამიტომ, მხარე სახელმწიფოებს შეუძლიათ, პროფესიული კავშირების გარდა, სხვა ტიპის წარმომადგენლობის აღიარებაც.²³⁴¹

28-ე მუხლი არ აწესებს კონკრეტული ტიპის მუშაკთა წარმომადგენლობის შემოღების ვალდებულებას, მაგრამ მიზნად ისახავს, რომ წარმომადგენლობის შესაბამისი ფორმები ხელმისაწვდომი იყოს ყველა დასაქმებულისთვის, როგორც დამსაქმებელთან კოლექტიური მოლაპარაკების ფარგლებში, ისე მის ფარგლებს მიღმა.²³⁴² წარმომადგენლობა შეიძლება განხორციელდეს უფლებამოსილი მუშაკების, ასევე, დასაქმებულთა საბჭოსა ან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელთა მეშვეობით.²³⁴³

მუშაკთა წარმომადგენლებისთვის მინიჭებული დაცვა

დაცვა უნდა მოიცავდეს თანამდებობიდან გათავისუფლების აკრძალვას მუშაკთა/დასაქმებულთა წარმომადგენლობის საფუძველზე და დაცვას ნებისმიერი სხვა საზიანო მოპყრობისგან.²³⁴⁴ ასეთი საზიანო ქმედებები შეიძლება იყოს: გარკვეული შედეგების, ტრენინგის შესაძლებლობების, დაწინაურების, ან გადაყვანის უარყოფა; დისკრიმინაცია თანამდებობიდან გათავისუფლებისას ან პენსიაზე გასვლის დროს; ცვლილებების გავრცელება, შემცირება, შეურაცხყოფა ან ძალადობა.²³⁴⁵

სოციალური ქარტიით აღიარებულ უფლებებს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული და ქმედითი და არა პირწმინდად თეორიული ფორმა.²³⁴⁶ ამ მიზნით, მუშაკებისთვის მინიჭებული დაცვა გონივრული ვადით უნდა გაგრძელდეს მათი უფლებამოსილების ვადის ფაქტობრივად

²³³⁷ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²³³⁸ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

²³³⁹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

²³⁴⁰ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

²³⁴¹ [დასკვნები 2003, ბულგარეთი](#)

²³⁴² [დასკვნები 2018, ლატვია](#)

²³⁴³ [დასკვნები 2014, ავსტრია](#)

²³⁴⁴ [დასკვნები 2018, რუსეთის ფედერაცია](#)

²³⁴⁵ [დასკვნები 2018, აზერბაიჯანი](#)

²³⁴⁶ [დასკვნები 2010, განცხადება 28-ე მუხლის განმარტების შესახებ, რომელშიც ციტირებულია International Movement ATD Fourth World v. France, საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §59](#)

ამოწურვის შემდეგ.²³⁴⁷

სიტუაციები, სადაც მუშაკთა წარმომადგენლების დაცვა გათავისუფლებისგან შემოიფარგლება იმ პერიოდით, რომელშიც ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს მანდატის ამოწურვამდე, არ შეესაბამება ქართვის 28-ე მუხლს.²³⁴⁸ ასევე შეესაბამება სიტუაციები, როდესაც მათი დაცვა გრძელდება მანდატის ამოწურვიდან სამი თვის განმავლობაში.²³⁴⁹

კომიტეტმა დაადგინა, რომ მდგომარეობა 28-ე მუხლის მოთხოვნებს შეესაბამება იმ ქვეყნებში, სადაც დაცვა გრძელდება მუშაკთა წარმომადგენლების მანდატის ამოწურვიდან ერთი წლის განმავლობაში²³⁵⁰, ან მანდატის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში.²³⁵¹

სამართლებრივი დაცვის საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც უკანონოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან.²³⁵²

დისკრიმინაციის შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს კომპენსაცია, რომელიც შესაბამისი და თანაზომიერი იქნება დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანისა.²³⁵³ კომპენსაცია, სულმცირე, უნდა შეესაბამებოდეს ხელფასს, რომელიც გადასახდელი იქნებოდა თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ან პირის აღდგენის თარიღამდე.²³⁵⁴

მუშაკთა/დასაქმებულთა წარმომადგენლებისთვის მინიჭებული შეღავათები

დაცულ მუშაკებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი შეღავათები: ანაზღაურებადი გაცდენა დასაქმებულთა წარმოსადგენად, ფინანსური შენატანები შრომით საბჭოებში, შენობა-ნაგებობებისა და მასალების გამოყენება შრომითი საბჭოებისთვის, ასევე, სხვა შეღავათები, რომლებიც მოხსენიებულია რეკომენდაციაში R143 საწარმოში დასაქმებულთა წარმომადგენლების დაცვისა და შეღავათების უზრუნველყოფის შესახებ (მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციაზე, 1971 წლის 23 ივნისს): შეღავათები და სხვა სოციალური დახმარებები გაცდენების გამო, რომლებიც უკავშირდება მათი ფუნქციების შესრულებას; მუშაკთა ან სხვა არჩეული წარმომადგენლების წვდომა ყველა შენობა-ნაგებობაზე (საჭიროების შემთხვევაში); შეუფერხებელი წვდომა საწარმოს დირექციაზე (საჭიროების შემთხვევაში); საწარმოში ხელმოწერების რეგულარულად შეგროვების უფლებამოსილება; განცხადებების ან შეტყობინებების განთავსება დირექციის მიერ განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე ადგილზე; უფლებამოსილება, რომ გაავრცელონ საინფორმაციო ფურცლები და ბიულეტენები პროფესიული კავშირების საერთო საქმიანობის შესახებ და სხვა დოკუმენტები.²³⁵⁵

გარდა ამისა, ეკონომიკური, სოციალური და პროფკავშირული საკითხების სასწავლო კურსებში მონაწილეობამ არ უნდა გამოიწვიოს ანაზღაურების დაკარგვა.²³⁵⁶ სწავლების ხარჯები არ უნდა დაეკისროთ მუშაკთა/დასაქმებულთა წარმომადგენლებს.²³⁵⁷

²³⁴⁷ [დასკვნები 2010, განცხადება 28-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁴⁸ [დასკვნები 2018, სომხეთი](#)

²³⁴⁹ [დასკვნები 2018, ავსტრია](#)

²³⁵⁰ [დასკვნები 2018, ავსტრია](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2010, ესტონეთი](#) და [დასკვნები 2010, სლოვენია](#)

²³⁵¹ [დასკვნები 2018, ავსტრია](#), რომელშიც ციტირებულია [დასკვნები 2010, ბულგარეთი](#)

²³⁵² [დასკვნები 2010, ნორვეგია](#)

²³⁵³ [დასკვნები 2010, ბულგარეთი](#)

²³⁵⁴ [დასკვნები 2007, ბულგარეთი](#)

²³⁵⁵ [დასკვნები 2010, განცხადება 28-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁵⁶ [დასკვნები 2010, განცხადება 28-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁵⁷ [დასკვნები 2010, განცხადება 28-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

მუხლი 29 ინფორმაციისა და კონსულტაციის უფლება კოლექტიური გათავისუფლების პროცედურების შემთხვევაში

ყველა მუშაკს აქვს ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების უფლება კოლექტიური გათავისუფლების პროცედურების შემთხვევაში.

კოლექტიური გათავისუფლების შემთხვევაში ინფორმაციის მიღებასა და კონსულტაციების გაწევაზე მუშაკთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, უზრუნველყონ, რომ დამსაქმებელმა წინასწარ აცნობონ ან კონსულტაციები გაუწიონ მუშაკთა წარმომადგენლებს ასეთი კოლექტიური გათავისუფლების შესახებ და იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლებითაც შეიძლება კოლექტიური გათავისუფლების თავიდან აცილება, ან მათი შეზღუდვა და შედეგების შერბილება, მაგალითად, თანმდევი სოციალური ზომების გამოყენებით, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავს გათავისუფლებულ მუშაკთა გადარჩევაზე და გადამზადებას.

დანართი: ამ მუხლის გამოყენების მიზნებისთვის, ტერმინი „მუშაკთა წარმომადგენლები“ ნიშნავს პირებს, რომლებიც ასეთად აღიარებულნი არიან ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით.²³⁵⁸

29-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ, დროული ინფორმაცია და კონსულტაცია მიიღონ დამსაქმებლებისგან, რომლებიც გეგმავენ კოლექტიურ გათავისუფლებას.²³⁵⁹

შესაბამისი გათავისუფლებები

29-ე მუხლის შესაბამისად, კოლექტიურია გათავისუფლება, რომელიც ეხება რამდენიმე მუშაკს, კანონით დადგენილ პერიოდში, და მიღებულია ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც უკავშირდება არა ცალკეულ დასაქმებულებს, არამედ კომპანიის საქმიანობის შემცირებას ან ცვლილებას.²³⁶⁰

შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში კოლექტიური გათავისუფლება არ უნდა განიმარტოს ძალიან შემზღუდველად.²³⁶¹

ქარტიას შეესაბამება კოლექტიური გათავისუფლება, როდესაც 30 დღის განმავლობაში უნდა გათავისუფლდეს: სულ მცირე, ხუთი ადამიანი 20-50-კაციან საწარმოში; სულ მცირე, 10 ადამიანი 50-100-კაციან საწარმოში; სულ მცირე, 10% 100-300-კაციან საამქროში; ან, სულ მცირე, 30 მუშაკი საწარმოში, სადაც დასაქმებულია 300 ან მეტი ადამიანი.²³⁶²

მუშაკთა/დასაქმებულთა წარმომადგენლების ცნება

ქარტიის დანართის თანახმად, მუშაკთა წარმომადგენლები არიან პირები, რომლებიც ასეთებად არიან აღიარებულნი ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაკთა წარმომადგენლების შესახებ N 135 კონვენციის შესაბამისად.²³⁶³

როდესაც დამსაქმებლები ახორციელებენ მიღებისა და კონსულტაციის პროცედურებს კოლექტიურ გათავისუფლებამდე, დასაქმებულებს უნდა წარმოადგენდნენ პირები, რომლებიც

²³⁵⁸ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

²³⁵⁹ დასკვნები 2003, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ

²³⁶⁰ დასკვნები 2003, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ, [დასკვნები 2018, ლატვია](#)

²³⁶¹ [დასკვნები 2014, აზერბაიჯანი](#)

²³⁶² [დასკვნები 2014, აზერბაიჯანი](#)

²³⁶³ ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართის განმარტებითი ანგარიში – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163; იხ. ასევე ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) დანართი – ევროპული ხელშეკრულებების სერია – N 163

ყველა მუშაკის სახელით მოქმედებენ სამუშაო ადგილზე.²³⁶⁴ ასეთი წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ როგორც დამსაქმებლის საწარმოში მოქმედი ორგანოები (მაგ: პროფესიული კავშირები ან მუშაკთა საბჭოები), ისე სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც დაინიშნენ ამ პროცესში მონაწილეობისათვის.²³⁶⁵

ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, დასაქმებულებს უნდა შეეძლოთ წარმომადგენელთა დაინიშნა მაშინაც კი, თუ კონკრეტულ სამუშაო ადგილას არ არიან წარმოდგენილნი პროფესიული კავშირის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.²³⁶⁶ ასეთმა გაერთიანებებმა წარმომადგენლობა უნდა გაუწიონ ყველა დასაქმებულს, რომლებსაც პოტენციურად შეიძლება შეეხოს კოლექტიური გათავისუფლება, და არ უნდა განიცადონ რაიმე უარყოფითი შედეგები ამ მიმართულებით საქმიანობის გამო.²³⁶⁷

კონსულტაციის პროცედურა

წინასწარი ინფორმირება და კონსულტაცია

29-ე მუხლის შესაბამისად, საკონსულტაციო პროცედურები უნდა ჩატარდეს კოლექტიურ გათავისუფლებამდე საკმაო დროით ადრე.²³⁶⁸ ამდენად, ეროვნული კანონმდებლობა დამსაქმებლებს უნდა ავალებდეს, რომ წინასწარ მიაწოდონ დასაქმებულებს ინფორმაცია დაგეგმილ კოლექტიურ გათავისუფლებებზე, რათა მუშაკებსა და მათ წარმომადგენლებს შეეძლოთ დაგეგმილ გათავისუფლებათა ძირითად ასპექტებთან გაცნობა.²³⁶⁹ ეროვნულმა კანონმდებლობამ ასევე უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა წარმომადგენლების უფლება, მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია კონსულტაციის პროცესში.²³⁷⁰

კონსულტაციებისთვის განკუთვნილი დრო დასაქმებულთა წარმომადგენლებს უნდა აძლევდეს შესაბამისი წინადადებების წარდგენის საშუალებას, შეთავაზებულ გათავისუფლებათა შედეგების ასაცილებლად, შესამცირებლად ან შესამსუბუქებლად.²³⁷¹

დამსაქმებლებს მოეთხოვებათ, რომ მუშაკთა წარმომადგენლებს მიაწოდონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ინფორმირებისა და კონსულტაციის პროცესის მთლიანობისა და ეფექტიანობისთვის.²³⁷² ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: შეთავაზებული გათავისუფლებების მიზეზები; გასათავისუფლებელ დასაქმებულთა განსაზღვრის კრიტერიუმები; ამგვარ გათავისუფლებათა წესი და გრაფიკი; ნებისმიერი ფულადი სარგებლის ოდენობა ან კომპენსაციის სხვა ფორმები; ნებისმიერი დაგეგმილი სოციალური ღონისძიების მასშტაბი და შინაარსი, რომლის მიზანია ამ პროცესის შედეგების შემსუბუქება.²³⁷³

კონსულტაციის მიზანი

29-ე მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ დაადგინონ საინფორმაციო და საკონსულტაციო პროცედურა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს კოლექტიურ გათავისუფლებას. 29-ე მუხლის დებულებათა მიზანია, ერთი მხრივ, მუშაკებმა გააცნობიერონ დაგეგმილი გათავისუფლების მიზეზები და მასშტაბი და, მეორე მხრივ, დამსაქმებელმა გაითვალისწინოს დასაქმებულთა პოზიცია კოლექტიური გათავისუფლების დაგეგმვისას (კერძოდ, ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა გათავისუფლების მასშტაბი, რეჟიმი და წესი, ასევე,

²³⁶⁴ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁶⁵ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁶⁶ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁶⁷ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁶⁸ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁶⁹ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁷⁰ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁷¹ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁷² [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁷³ [დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

რამდენად შეიძლება მისი შედეგების აცილება, შეზღუდვა ან/და შემსუბუქება).²³⁷⁴

29-ე მუხლი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, კონსულტაცია გაიაროს მუშაკთა წარმომადგენლებთან, ასევე, ამ კონსულტაციების მიზანს. ეს არ არის მხოლოდ ცალმხრივი ინფორმირების ვალდებულება და გულისხმობს, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულთა წარმომადგენლებს შორის დაიწყება საკმარისი დიალოგი გათავისუფლების შედეგების აცილების, შეზღუდვისა და შემსუბუქების გზებზე, თუმცა აუცილებელი არ არის შეთანხმების მიღწევა.²³⁷⁵ დამსაქმებლის მიერ ინფორმაციისა და კონსულტაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა არღვევს 29-ე მუხლს.²³⁷⁶

მუშაკებისა ან მათი წარმომადგენლების მხოლოდ ინფორმირება გათავისუფლებაზე საკმარისი არ არის.²³⁷⁷

საკონსულტაციო პროცედურა უნდა მოიცავდეს თავად გათავისუფლებას და მისი აცილებისა ან შეზღუდვის გზებს/საშუალებებს; ასევე, მხარდამჭერ ღონისძიებებს - როგორცაა სოციალური ზომები დაზარალებულ მუშაკთა გადანაწილების ან გადამზადების ხელშესაწყობად - და გათავისუფლების პაკეტს.²³⁷⁸

როგორც ამ პროცესის ნაწილი, დამსაქმებლებს მოეთხოვებათ თანამშრომლობა ადმინისტრაციულ ორგანოებსა ან სამთავრობო უწყებებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უმუშევრობასთან ბრძოლის პოლიტიკაზე (მაგ: აცნობონ დაგეგმილი კოლექტიური გათავისუფლების შესახებ, ითანამშრომლონ გათავისუფლებულ დასაქმებულთა გადამზადებლად, ან სხვა სახით დაეხმარონ მუშაკებს ახალი სამსახურის მოძებნაში).²³⁷⁹

პრევენციული ზომები და სანქციები

კონსულტაციის უფლებებს უნდა ახლდეს პრაქტიკაში განხორციელების გარანტიები.²³⁸⁰ თუ დამსაქმებლები ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, გათავისუფლებამდე უნდა არსებობდეს ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებში მიმართვის შესაძლებლობა, რათა ეს პროცესი არ ამოქმედდეს კონსულტაციის მოთხოვნის შესრულებამდე.²³⁸¹

გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ღონისძიების შემდგომი სანქციები, რომლებიც იქნება ეფექტიანი, ანუ საკმარისად შემაკავებელი დამსაქმებლებისთვის.²³⁸² ცალკეულ მუშაკთა უფლება - გაასაჩივრონ მათი გათავისუფლების კანონიერება, განიხილება ქარტიის 24-ე მუხლით.²³⁸³

მუხლი 30 სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისაგან დაცვის უფლება

ყველას აქვს სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისაგან დაცვის უფლება.

სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ,

- ა. მიიღონ ზომები საყოველთაო და კოორდინირებული მიდგომის ფარგლებში იმ პირებისათვის დაასვემათიოჯახებისათვის დასაქმების, დაბინავების, მომზადების,**

²³⁷⁴ დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ

²³⁷⁵ დასკვნები 2003, შვედეთი; დასკვნები 2003, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ

²³⁷⁶ დასკვნები 2014, საქართველო

²³⁷⁷ დასკვნები 2014, საქართველო

²³⁷⁸ დასკვნები 2014, საქართველო

²³⁷⁹ დასკვნები 2014, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ

²³⁸⁰ დასკვნები 2014, საქართველო

²³⁸¹ დასკვნები 2003 და 2007, შვედეთი

²³⁸² დასკვნები 2003, შვედეთი

²³⁸³ დასკვნები 2003, განცხადება 29-ე მუხლის განმარტების შესახებ

განათლების, კულტურის და სოციალური და სამედიცინო დახმარებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ცხოვრობენ ან რომლებსაც ემუქრებათ სოციალური გარიყულობის ან სიღარიბის სიტუაციაში ცხოვრების საფრთხე;

ბ. განიხილონ ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი კონკრეტულ სიტუაციასთან ადაპტაციის მიზნით.

სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის პირობებში ცხოვრება ლახავს ადამიანის ღირსებას.²³⁸⁴

პირადი მოქმედების სფერო

მხარე სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ იმ მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ზომების გამოყენება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსულ მიგრანტთა მიმართ, რომლებიც უნდა გაატარონ სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად.²³⁸⁵ 30-ე მუხლით მოთხოვნილი კოორდინირებული მიდგომა გულისხმობს პოზიტიური ზომების მიღებას, რომელთა უმეტესობა არ გამოიყენება იმ ჯგუფებისთვის, რომლებზეც არ ვრცელდება ქარტიის პირადი მოქმედების სფერო. ამრიგად, 30-ე მუხლი არ ვრცელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსულ მიგრანტებზე;²³⁸⁶ ის ასევე არ ეხება უკანონოდ მყოფ უცხოელ არასრულწლოვნებს.²³⁸⁷

საერთო და კოორდინირებული მიდგომა

სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელებისთვის, 30-ე მუხლი მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს საერთო და კოორდინირებული მიდგომის მიღებას, რომელიც შედგება ანალიტიკური ჩარჩოსგან²³⁸⁸, პრიორიტეტების ნაკრებისა და შესაბამისი ზომებისგან. მათი მიზანია, თავიდან აიცილონ და აღმოფხვრან ბარიერები სოციალურ უფლებებზე წვდომის კუთხით, როგორცაა, დასაქმება, საცხოვრებლის უზრუნველყოფა, მომზადება, განათლება, კულტურული უფლებები და სოციალური თუ სამედიცინო დახმარება.²³⁸⁹

ამ მიდგომამ თანმიმდევრულად უნდა დააკავშიროს და გააერთიანოს საჯარო პოლიტიკა, ყველა მიმართულებაში სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლის ჩართვით, და გასცდეს პირწმინდად სექტორულ ან სამიზნე ჯგუფის მიდგომას.²³⁹⁰ ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმები უნდა არსებობდეს ყველა დონეზე, მათ შორის, ბოლო მომხმარებელთა დახმარებისა და მომსახურების დონეზე.²³⁹¹ ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი რესურსები იმ ზომების განსახორციელებლად, რომლებიც მიიღება საერთო და კოორდინირებული მიდგომის კონტექსტში, 30-ე მუხლის შესაბამისად.²³⁹² ხშირ შემთხვევაში, სიღარიბის ზრდისა და სოციალური გარიყულობის აცილება მოითხოვს, რომ მხარე სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი და მდგრადი ძალისხმევა გაიღონ გაფართოებაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკის გასატარებლად.²³⁹³

²³⁸⁴ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²³⁸⁵ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, § 211, რომელშიც ციტირებულია [DCI v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §§ 145-147

²³⁸⁶ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, § 211, რომელშიც ციტირებულია [DCI v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §§ 145-147

²³⁸⁷ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 20 ოქტომბერი, § 145

²³⁸⁸ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²³⁸⁹ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²³⁹⁰ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²³⁹¹ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²³⁹² [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²³⁹³ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

შესაბამისი რესურსები სოციალურ გარიყულობასა და სიღარიბესთან ბრძოლის საერთო სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი და უნდა გამოიყოს სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.²³⁹⁴ ზომების ხარისხი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის ბუნებასა და მასშტაბს.²³⁹⁵ სანამ სიღარიბე და სოციალური გარიყულობა ნარჩუნდება, მათ უნდა აჩვენონ სოციალურ უფლებათა რეალიზებისთვის გამოყოფილი რესურსების ზრდაც.²³⁹⁶

I. ზომები ძირითად სოციალურ უფლებებზე წვდომის დაბრკოლებათა აცილებისა და აღმოფხვრისთვის

ასეთმა ზომებმა უნდა გააძლიეროს სოციალურ უფლებებზე წვდომა, მათი მონიტორინგი და აღსრულება; გააუმჯობესოს შედავათებისა და მომსახურებების პროცედურები და მართვა, ასევე, ინფორმირება სოციალურ უფლებებსა და მასთან დაკავშირებული შედავათებზე/მომსახურებებზე; ებრძოლოს უფლებებზე წვდომის ფსიქოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ ბარიერებს; და, საჭიროების შემთხვევაში, ორიენტირებული იყოს კონკრეტულად ყველაზე დაუცველ ჯგუფებსა და რეგიონებზე.²³⁹⁷

II. მონიტორინგის მექანიზმები, რომლებშიც ჩართულია ყველა შესაბამისი სუბიექტი

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონიტორინგის მექანიზმებიც, სადაც ჩაერთვება ყველა შესაბამისი სუბიექტი, სამოქალაქო საზოგადოებისა და იმ პირების ჩათვლით, რომლებზეც გავლენას ახდენს სიღარიბე და გარიყულობა.²³⁹⁸

სახელმწიფოთა უუნარობა, შეაგროვონ სანდო მონაცემები და სტატისტიკა ჯგუფებზე, რომლებიც ზოგადად აღიარებულნი არიან სოციალურად გარიყულად ან დაუცველად (ძალიან დამოკიდებული შშმ ზრდასრულების ჩათვლით, რომელთაც უარი ეთქვათ ზრუნვასა და განთავსებაზე), აფერხებს „საერთო და კოორდინირებული მიდგომის“ დანერგვას ამ პირთა სოციალური დაცვის მიმართ და აბრკოლებს მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებას მათთვის.²³⁹⁹

პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება

ქარტიასთან შესაბამისობის შეფასებისას, სისტემატურად განიხილება სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის ეროვნული განმარტებები და გაზომვის მეთოდოლოგიები, ასევე, ხელმისაწვდომი მთავარი მონაცემები.²⁴⁰⁰ კომიტეტი ასევე ითვალისწინებს ინდიკატორებს, რომ უფრო ზუსტად შეაფასოს მხარე სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ზომებისა და ქმედებების ეფექტიანობა საერთო და კოორდინირებული მიდგომის ფარგლებში.²⁴⁰¹ ამით მან ცხადყო, რომ სახელმწიფო პრაქტიკის გათვალისწინება 30-ე მუხლის თვალსაზრისით, ასახავს როგორც შემოსავლის, ისე სიღარიბის მრავალგანზომილებიან გაგებას.²⁴⁰²

²³⁹⁴ [დასკვნები 2005, სლოვენია](#)

²³⁹⁵ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²³⁹⁶ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²³⁹⁷ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²³⁹⁸ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²³⁹⁹ [International Federation of Human Rights \(FIDH\) v. Belgium](#), საჩივარი N 75/2011, 2013 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, § 193, 197

²⁴⁰⁰ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁰¹ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: დასკვნები 2003, საფრანგეთი, ის., მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#); [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴⁰² იხ. მაგ: „მრავალგანზომილებიანი სიღარიბისა და გარიყვის ფენომენის“ კომიტეტისეული აღწერა [დასკვნები 2005, ნორვეგია](#) და [დასკვნები 2007, ბელგია](#)

I. რესურსები

ამ მიმართებით, ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია სტრატეგიის მიზნების მისაღწევად გამოყოფილი რესურსების დონე (ნებისმიერი ზრდის ჩათვლით)²⁴⁰³, ვინაიდან „შესაბამისი რესურსები აუცილებელი ელემენტია იმისთვის, რომ ადამიანებს მიეცეთ თვითუზრუნველყოფის საშუალება“.²⁴⁰⁴

II. სიღარიბის ფარდობითი კოეფიციენტი

გარდა ამისა, სიღარიბის გასაზომად გამოყენებული ძირითადი ინდიკატორია სიღარიბის ფარდობითი კოეფიციენტი (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ პირთა პროცენტული წილი, რომელიც განისაზღვრება მედიანური ეკვივალენტული შემოსავლის 60%-ით).²⁴⁰⁵

III. სიღარიბის რისკქვეშ მყოფ პირთა კოეფიციენტი

სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფ პირთა კოეფიციენტი სოციალურ ტრანსფერებამდე და შემდეგ (ევროსტატი), ასევე გამოიყენება, როგორც შედარებითი სიდიდე ქვეყნებში ვითარების შესაფასებლად.

რესურსებსა და შემოსავლებზე დაფუძნებული ეს ინდიკატორები გამოიყენება სხვა შესაბამისი პარამეტრების დაუზიანებლად, რომლებიც გათვალისწინებულია სიღარიბის საწინააღმდეგო ეროვნულ სტრატეგიებსა ან გეგმებში (მაგ: მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება სიღარიბის „ფემინიზაციასთან“ ბრძოლას, სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის მრავალგანზომილებიან ფენომენებს, „მემკვიდრეობითი“ სიღარიბის დონეს და ა.შ.).²⁴⁰⁶

ეკონომიკური ზრდის კონტექსტში, სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლაში გადაწყვეტი პროგრესის არარსებობა 30-ე მუხლთან შეუსაბამობის საფუძველია.²⁴⁰⁷

სიღარიბე და სოციალური გარიყულობა კრიზისის დროს

ეკონომიკური კრიზისის სოციალურ უფლებებზე გავლენის განხილვისას კომიტეტმა დაადგინა, რომ ქარტიასთან შეერთებით მხარე სახელმწიფოები დაეთანხმნენ ვალდებულებას, ყველა შესაბამისი საშუალებით მიაღწიონ პირობებს, რომლებშიც ეფექტიანად განხორციელდება ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური და სამედიცინო დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლებები.²⁴⁰⁸ შესაბამისად, მან დაასკვნა, რომ „ეკონომიკურმა კრიზისმა არ უნდა შეამციროს ქარტიით აღიარებულ უფლებათა დაცვის დონე. ამრიგად, მთავრობებს ევალებათ ყველა აუცილებელი ნაბიჯის გადადგმა, რათა ქარტიით გათვალისწინებული უფლებები ეფექტიანად იყოს გარანტირებული იმ დროს, როდესაც ბენეფიციარები ყველაზე მეტად საჭიროებენ დაცვას“.²⁴⁰⁹

სიღარიბისადმი ადამიანის უფლებათა მიდგომა ხელახლა დადასტურდა უკიდურესი სიღარიბისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში, რომლებსაც კომიტეტი ითვალისწინებს (წარადგინა სპეციალურმა მომხსენებელმა უკიდურესი სიღარიბისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, მაგდალენა სეპულვედა კარმონამ, და მიიღო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ 2012 წლის 27 სექტემბერს).²⁴¹⁰

²⁴⁰³ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁰⁴ დასკვნები 2003, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, იხ. მაგ: [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁰⁵ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴⁰⁶ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴⁰⁷ იხ. მაგ: [დასკვნები 2017, ირლანდია](#)

²⁴⁰⁸ დასკვნების ზოგადი შესავალი XIX-2 (2009)

²⁴⁰⁹ დასკვნების ზოგადი შესავალი XIX-2 (2009)

²⁴¹⁰ [Defence for Children International \(DCI\) v. Belgium](#), საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 23 ოქტომბერი, § 81; [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

სოციალური გარიყულობა

კომიტეტის განმარტებით, 30-ე მუხლის მოქმედების სფერო უკავშირდება როგორც სიღარიბისგან დაცვას (რომელიც მოიცავს სოციალური გაჭირვების სიტუაციებს), ისე სოციალური გარიყულობისგან დაცვას (რომელიც მოიცავს მოქალაქეთა ინტეგრაციისა და მონაწილეობის ბარიერებს), დამოუკიდებლად, ან ქარტიის სხვა ურთიერთდაკავშირებულ დებულებებთან ერთობლიობაში.²⁴¹¹

რაც შეეხება სოციალურ გარიყულობას, სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, წახალისონ მოქალაქეთა მონაწილეობა იმ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომლებიც წარმოიქმნება უმცირესობათა წარმომადგენლობის ნაკლებობით ზოგადად კულტურასა და მედიაში, ასევე, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე. ამის მიზანია, შესაბამისმა ჯგუფებმა აღიქვან, რომ არსებობს რეალური ინიციატივები და შესაძლებლობები, რათა ისინი ჩაერთონ წარმომადგენლობის ნაკლებობასთან ბრძოლაში.²⁴¹²

გარდა ამისა, 30-ე მუხლით დადგენილი სოციალური უფლებების მითითება არ უნდა გავიგოთ ძალიან ვიწროდ. ფაქტობრივად, სოციალურ გარიყულობასთან ბრძოლა არის სფერო, სადაც ძირითადი უფლებების განუყოფლობის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.²⁴¹³ ამ მიმართებით, ხმის მიცემა, ისევე, როგორც სამოქალაქო და სოციალური მონაწილეობის სხვა უფლებები, არის სოციალური ინტეგრაციისა და ჩართულობის აუცილებელი განზომილება; შესაბამისად, ის რეგულირდება 30-ე მუხლით.²⁴¹⁴ ამიტომ, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებზე წვდომასაც, რომლებიც მნიშვნელოვანია ბინადრობის ნებართვისა და მოქალაქეობის მისაღებად და, შესაბამისად, სამოქალაქო თუ პოლიტიკური ჩართულობისთვის.²⁴¹⁵

30-ე მუხლის ეს ორი განზომილება – სიღარიბე და სოციალური გარიყულობა – გამოხატავს განუყოფლობის პრინციპს, რომელსაც შეიცავს ქარტიის სხვა დებულებებიც (მაგ: სოციალური დახმარების გამოყენება პოლიტიკურ ან სოციალურ უფლებათა შელახვის გარეშე, მუხლი 13).²⁴¹⁶

ურთიერთობა 30-ე მუხლსა და ქარტიის სხვა უფლებებს შორის

კომიტეტმა ხაზი გაუსვა მჭიდრო კავშირს ქარტიის 30-ე მუხლითა და სხვა დებულებებით აღიარებული უფლებებით სარგებლობას შორის, როგორცაა შრომის უფლება (მუხლი 1), ჯანმრთელობის დაცვის უფლება (მუხლი 11), სოციალური უზრუნველყოფის უფლება (მუხლი 12), სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მუხლი 13), სოციალური უზრუნველყოფის მომსახურებებით სარგებლობის უფლება (მუხლი 14), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (მუხლი 15), ოჯახის სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება (მუხლი 16), ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური, იურიდიული და ეკონომიკური დაცვის უფლება (მუხლი 17), დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის სფეროში თანაბარი შესაძლებლობებითა და თანასწორი მოპყრობით სარგებლობის უფლება სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 20), ხანდაზმულ პირთა უფლება სოციალურ დაცვაზე (მუხლი 23) და საცხოვრებელ ადგილზე (მუხლი 31), ისე, რომ არ დაივიწყა დისკრიმინაციის აკრძალვის (მუხლი E) მნიშვნელოვანი გავლენა, რომელიც, ცხადია, მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვას სიღარიბის საფუძველზეც.²⁴¹⁷

²⁴¹¹ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴¹² [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#), რომელშიც ციტირებულია [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, § 107

²⁴¹³ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴¹⁴ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#), რომელშიც ციტირებულია [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. France](#), საჩივარი N 51/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 19 ოქტომბერი, § 99

²⁴¹⁵ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, § 103 და 108

²⁴¹⁶ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴¹⁷ [დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ](#)

შედეგად, ზემოაღნიშნულ ინდიკატორთა გარდა, 30-ე მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას კომიტეტი ითვალისწინებს იმ ეროვნულ ზომებსა ან პრაქტიკასაც, რომლებიც ექვევს ქარტიის სხვა ძირითად დებულებათა მოქმედების სფეროში, მონიტორინგის ორივე სისტემის (ანგარიშგების პროცედურა და კოლექტიური საჩივრის პროცედურა) ფარგლებში.²⁴¹⁸ ასეთი მიდგომა არ ნიშნავს, რომ შეუსაბამობის დადგენა, ანდა გადაწყვეტილება ამ დებულებათაგან ერთ-ერთის ან მეტის დარღვევაზე, ავტომატურად ან აუცილებლად დაარღვევს 30-ე მუხლსაც; თუმცა ასეთი დასკვნა ან გადაწყვეტილება, გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება რელევანტური იყოს 30-ე მუხლთან შესაბამისობის შესაფასებლად.²⁴¹⁹

მუხლი 31 უფლება საცხოვრებელ ადგილზე

ყველას აქვს უფლება საცხოვრებელ ადგილზე.

პირადი მოქმედების სფერო

ლტოლვილები შედიან 31-ე მუხლის პირადი მოქმედების სფეროში, ამიტომ მათ უნდა მოეპყრონ შეძლებისდაგვარად ხელსაყრელად და, ნებისმიერ შემთხვევაში, არანაკლებ ხელსაყრელად, ვიდრე ზოგადად უცხოელებს იმავე გარემოებებში.²⁴²⁰ 31§1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, ალტერნატიული საცხოვრებელი მუდმივი საცხოვრისის სახით უზრუნველყონ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსული მიგრანტებისთვის. თუმცა, 31§2 მუხლი ვრცელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსულ მიგრანტებზეც.²⁴²¹ თავშესაფრის უფლება გარანტირებული უნდა იყოს ქვეყანაში არალეგალურად მყოფი პირებისთვისაც, მათ შორის, ბავშვებისთვის, სანამ ისინი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არიან.²⁴²²

მატერიალური მოქმედების სფერო

კომიტეტმა ადრე განაცხადა, რომ 31-ე მუხლი არ შეიძლება განიმარტოს როგორც „შედეგის“ ვალდებულების დაკისრება მხარე სახელმწიფოებისთვის;²⁴²³ ის შეეხება „ქმედების ვალდებულებას“ (კერძოდ, შესაბამისი ზომების მიღებას).²⁴²⁴ სოციალურ ქარტიით აღიარებულ უფლებებს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული და ქმედითი და არა პირწმინდად თეორიული ფორმა.²⁴²⁵ ეს ნიშნავს, რომ მდგომარეობის ქარტიასთან შესაბამისობისათვის, მხარე სახელმწიფომ უნდა:

²⁴¹⁸ დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ

²⁴¹⁹ დასკვნები 2013, განცხადება 30-ე მუხლის განმარტების შესახებ, რომელშიც ციტირებულია [EUROCEF v. France](#), საჩივარი N 82/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 19 მარტი, §5 59

²⁴²⁰ დასკვნები 2015, განცხადება ლტოლვილთა უფლებების განმარტების შესახებ

²⁴²¹ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §61

²⁴²² [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §61

²⁴²³ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 58-60; [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი §5 52-53; [Médecins du Monde – International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §55, რომელშიც ციტირებულია [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 59

²⁴²⁴ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი § 58; [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი § 52

²⁴²⁵ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 59; [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი § 53; [Médecins du Monde - International v. France](#), საჩივარი N 67/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 11 სექტემბერი, §55, რომელშიც ციტირებულია [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 59

- ა) მიიღოს აუცილებელი სამართლებრივი, ფინანსური და საოპერაციო საშუალებები, რათა სტაბილური პროგრესით მიაღწიოს ქარტიით დასახულ მიზნებს;²⁴²⁶
- ბ) აწარმოოს მნიშვნელოვანი სტატისტიკა საჭიროებების, რესურსებისა და შედეგების შესახებ;²⁴²⁷
- გ) რეგულარულად მიმოიხილოს მიღებული სტრატეგიების გავლენა;²⁴²⁸
- დ) დაადგინოს განრიგი და განუსაზღვრელი ვადით არ გადადოს თითოეული ეტაპის მიზნების მიღწევა;²⁴²⁹
- ე) მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციოს გატარებული პოლიტიკის გავლენას შესაბამის პირთა თითოეულ კატეგორიაზე, განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე.²⁴³⁰

რაც შეეხება ქარტიით დასახული მიზნების სტაბილური პროგრესით მიღწევის საშუალებებს, ქარტიის განხორციელება მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივი ზომების მიღებას, არამედ რესურსების ხელმისაწვდომობასაც და მასში მითითებულ უფლებათა სრული რეალიზაციისთვის აუცილებელი საოპერაციო პროცედურების დანერგვას.²⁴³¹

როდესაც ერთ-ერთი განსახილველი უფლების მიღწევა უკიდურესად რთული და განსაკუთრებულად ძვირია, მხარე სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რომლებიც მათ მისცემს ქარტიის მიზნების გონივრულ ვადაში მიღწევის საშუალებას, გაზომვადი პროგრესით და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.²⁴³²

სტატისტიკის წარმოების მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრებლის უფლების შემთხვევაში, პოლიტიკური ზომების სპექტრის, მათ შორის ურთიერთქმედებისა და იმ არასასურველი გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ სირთულეს.²⁴³³ თუმცა, სტატისტიკა სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია არსებული რესურსებისა და მიღწეული შედეგების/პროგრესის შედარება განსაზღვრულ საჭიროებებთან.²⁴³⁴

ხელისუფლების ორგანოებმა ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათ მიერ არჩეული საბინაო პოლიტიკის გავლენას ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე, ამ შემთხვევაში, ადამიანებსა და ოჯახებზე, რომლებიც განიცდიან გარიყულობასა და სიღარიბეს.²⁴³⁵

31-ე მუხლი უნდა განიხილებოდეს შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების ფონზე,

²⁴²⁶ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 58-60

²⁴²⁷ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 58-60

²⁴²⁸ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 58-60

²⁴²⁹ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 58-60

²⁴³⁰ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 58-60

²⁴³¹ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §61

²⁴³² [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §62; [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(ERTF\) v. France](#), საჩივარი N 64/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 24 იანვარი, §96

²⁴³³ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §63

²⁴³⁴ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §63

²⁴³⁵ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §67, რომელშიც ციტირებულია [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53; [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. France](#), საჩივარი N 64/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 24 იანვარი, §96

რომლებითაც შთაგონებულნი არიან ქარტიის ავტორები, ან რომლებთან ერთობლიობაშიც უნდა გამოიყენებოდეს ის: ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გაეროს პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.²⁴³⁶

ფაქტი, რომ საცხოვრებლის უფლება დადგენილია ქარტიის 31-ე მუხლით, არ გამორიცხავს მე-16 მუხლის შესაბამისად წარმოქმნილი საბინაო საკითხების განხილვას, რომელიც საცხოვრებელს მიემართება ოჯახების სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის კონტექსტში.²⁴³⁷ „სათანადო საცხოვრებლისა“ და „იძულების წესით გამოსახლების ცნებები“ იდენტურია მე-16 და 31-ე მუხლების ფარგლებში.²⁴³⁸

31§1 საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს: ხელი შეუწყონ საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას.

პირადი მოქმედების სფერო

ქარტიის 31§1 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებმა ყველასთვის უნდა უზრუნველყონ საცხოვრებლის უფლება და ხელი შეუწყონ სათანადო საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობას.²⁴³⁹ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი სამართლებრივი და პრაქტიკული ზომები, რომლებიც აუცილებელია ამ უფლების ეფექტიანად დასაცავად.²⁴⁴⁰ მხარეები დისკრეციის ფარგლებით სარგებლობენ ქარტიასთან შესაბამისობისთვის გასატარებელი ზომების განსაზღვრისას, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა ბალანსის დამყარება საერთო ინტერესებსა და კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს შორის, ასევე, არჩევანის გაკეთება პრიორიტეტებისა და რესურსების თვალსაზრისით.²⁴⁴¹

მხარე სახელმწიფოებმა ყველასთვის უნდა უზრუნველყონ უფლება სათანადო საცხოვრებელზე.²⁴⁴² მათ ხელი უნდა შეუწყონ საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფისთვის, როგორებიც არიან დაბალშემოსავლიანი პირები, უმუშევრები, ოჯახები მარტოხელა მშობლებით, ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები.²⁴⁴³

სათანადო საცხოვრებელი

„სათანადო საცხოვრებლის“ ცნება უნდა განისაზღვროს კანონით. ასეთი საცხოვრებელი:

1. უნდა იყოს უსაფრთხო სანიტარიული და სამედიცინო თვალსაზრისით (კეთილმოწყობილი ყველა საბაზისო საშუალებით, როგორცაა წყალმომარაგება, გათბობა, ნარჩენების განთავსება, სანიტარული სისტემა, ელექტროენერჯია და ა.შ.); მასში უნდა კონტროლდებოდეს კონკრეტული საფრთხეები, როგორცაა ტყვიის ან აზბესტის არსებობა;²⁴⁴⁴
2. არ უნდა იყოს გადატვირთული - ზომა შეესაბამებოდეს ადამიანთა რაოდენობასა და ოჯახის შემადგენლობას;²⁴⁴⁵

²⁴³⁶ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §5 68-71

²⁴³⁷ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 2005 წლის 10 ოქტომბერი, §9

²⁴³⁸ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 31/2005, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 18 ოქტომბერი, §17

²⁴³⁹ [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. France](#), საჩივარი N 64/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 24 იანვარი, §95

²⁴⁴⁰ [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. France](#), საჩივარი N 64/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 24 იანვარი, §95

²⁴⁴¹ [European Roma and Travellers Forum \(ERTF\) v. France](#), საჩივარი N 64/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 24 იანვარი, §95

²⁴⁴² [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁴³ [დასკვნები 2003, იტალია](#)

²⁴⁴⁴ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁴⁵ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

3. მისი ფლობა უნდა გამყარდეს კანონით. ეს საკითხი გათვალისწინებულია 31§2 მუხლით.²⁴⁴⁶

სათანადო საცხოვრებლის განმარტება უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ ახალი შენობების, არამედ, ეტაპობრივად, არსებულ საცხოვრებელთა მიმართაც,²⁴⁴⁷ ასევე, გაქირავებული საკუთრებისა და მესაკუთრის მიერ დაკავებული საცხოვრებლისადმიც.²⁴⁴⁸

პოზიტიური ზომები საბინაო სფეროში უნდა განხორციელდეს სოციალურად დაუცველი პირებისთვისაც, განსაკუთრებული ფოკუსით ბოშათა და მოგზაურთა მდგომარეობაზე. თავიანთი ისტორიის შედეგად, ბოშები იქცნენ განსაკუთრებული ტიპის დაუცველ ჯგუფად და მოწყვლად უმცირესობად.²⁴⁴⁹ ამიტომ, მათ განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ.²⁴⁵⁰ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მათ საჭიროებებსა და ცხოვრების განსხვავებულ სტილს, როგორც შესაბამის მარეგულირებელ ჩარჩოში, ისე კონკრეტულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებისას.²⁴⁵¹

არასაკმარისი ადგილების უზრუნველყოფას მოგზაურთა გასაჩერებლად, ასევე, ცუდ საცხოვრებელ პირობებსა და ასეთი ადგილების გაუმართაობას მოჰყვა ამ დებულებასთან შეუსაბამობის დადგენა.²⁴⁵²

ანალოგიურად, საბინაო პოლიტიკას, რომელმაც გამოიწვია ბოშების სივრცითი და სოციალური სეგრეგაცია (ცუდად აშენებული საცხოვრებლები ქალაქების გარეუბნებში, სეგრეგაცია დანარჩენი მოსახლეობისგან), ასევე მოჰყვა ქარტიის დარღვევა.²⁴⁵³

ფაქტი, რომ თანმხლები პირის გარეშე მყოფი ზოგიერთი ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვი შეიძლება დიდი ხნით რჩებოდეს დროებითი განთავსების პუნქტებში (გადაუდებელი მოთავსების სასტუმროები და უსაფრთხო ზონები), არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს გრძელვადიანი განთავსების შესახებ (რომელიც შეესაბამება მათ კონკრეტულ გარემოებებს, საჭიროებებსა და უკიდურეს მოწყვლადობას) და არღვევს 31§1 მუხლს.²⁴⁵⁴ ეს პუნქტები არ აკმაყოფილებს თანმხლები პირების გარეშე მყოფ ბავშვთა ხანგრძლივი განთავსებისთვის საჭირო სტანდარტებს.²⁴⁵⁵

ეფექტიანობა

სახელმწიფო ხელისუფლებას ევალება სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფა სხვადასხვა ზომის მეშვეობით, როგორცაა საბინაო ფონდის ინვენტარიზაცია, სასამართლო აკრძალვის ღონისძიებების გატარება განაშენიანების წესების დამრღვევ მესაკუთრეთა მიმართ და გამქირავებლებისთვის მოვლის ვალდებულებების დაკისრება.²⁴⁵⁶ მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ: როგორ მოწმდება არსებული საბინაო მარაგის შესაბამისობა (დაქირავებული იქნება ეს, თუ არა; კერძო საკუთრება, თუ საჯარო); ტარდება თუ არა რეგულარული

²⁴⁴⁶ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁴⁷ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁴⁸ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁴⁹ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§ 39-40

²⁴⁵⁰ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§ 39-40

²⁴⁵¹ [Centre on Housing Rights and Evictions \(COHRE\) v. Italy](#), საჩივარი N 58/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2010 წლის 25 ივნისი, §§ 39-40

²⁴⁵² [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. France](#), საჩივარი N 51/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 19 ოქტომბერი, §§ 38, 39, 49; დასკვნები 2019, საფრანგეთი

²⁴⁵³ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Portugal](#), საჩივარი N 61/2010, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2011 წლის 30 ივნისი, §48

²⁴⁵⁴ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §145

²⁴⁵⁵ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §145

²⁴⁵⁶ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

ინსპექტირება; და რა შემდგომი ზომები მიიღება იმ გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომ საცხოვრებელი არ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს.²⁴⁵⁷ სახელმწიფო ხელისუფლებამ ასევე უნდა შეზღუდოს შეფერხებები ძირითადი მომსახურებების მიწოდებაში, როგორცაა წყალი, ელექტროენერჯია და ტელეფონი.²⁴⁵⁸

მაშინაც კი, თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, ადგილობრივი ან რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, პროფესიული კავშირები ან პროფესიული ორგანიზაციები არიან პასუხისმგებელნი გარკვეული ფუნქციების შესრულებაზე, ქარტიის მხარე სახელმწიფოები რჩებიან საბოლოო პასუხისმგებლებად ამ მოვალეობათა სწორად შესრულებაზე, თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.²⁴⁵⁹ ამრიგად, ისეთ საკითხებზე, როგორცაა პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის, სულ მცირე, ადგილობრივი ქმედებების კონტროლი და რეგულირება, საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას: მას უნდა შეეძლოს ჩვენება, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამაც და თვითონაც გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები ლოკალურ ქმედებათა ეფექტიანობისთვის.²⁴⁶⁰

სამართლებრივი დაცვა

სათანადო საცხოვრებლის უფლების ეფექტიანობა მოითხოვს, რომ ის სამართლებრივად იყოს დაცული შესაბამისი პროცედურული გარანტიებით. მობინადრებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ხელმისაწვდომ და მიუკერძოებელ სასამართლო ზომებზე, ან დაცვის სხვა საშუალებებზე.²⁴⁶¹ გასაჩივრების ნებისმიერი პროცედურა უნდა იყოს ეფექტიანი.²⁴⁶²

31§2 საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს: თავიდან აიცილონ და შეამცირონ უსახლკარობა, თანდათან მისი აღმოფხვრის მიზნით.

განმარტება

უსახლკაროა პირი, რომელიც კანონიერად არ ფლობს სახლს ან სხვა ფორმის სათანადო საცხოვრებელს 31§1 მუხლის თვალსაზრისით.²⁴⁶³

31§2 მუხლი მხარე სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ თანდათანობით შეამცირონ უსახლკარობა, მისი აღმოფხვრის მიზნით.²⁴⁶⁴ უსახლკარობის შემცირება გულისხმობს ისეთი ზომების დანერგვას, როგორცაა უსახლკაროთა უზრუნველყოფა თავშესაფრითა და ზრუნვით, ასევე, მათი დახმარება, რომ გადალახონ სირთულეები და არ დაუბრუნდნენ ამ მდგომარეობას.²⁴⁶⁵

უსახლკარობის პრევენცია

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მოწყვლადი კატეგორიის პირთა უსახლკარობის პრევენციისათვის. ეს მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს საბინაო პოლიტიკის დანერგვას ყველა დაუცველი ჯგუფისთვის, რათა ხელმისაწვდომი გახდეს სოციალური საცხოვრისი და საბინაო შეღავათები (იხ. მუხლი 31§3).²⁴⁶⁶

²⁴⁵⁷ [დასკვნები 2019, თურქეთი, უკრაინა](#)

²⁴⁵⁸ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁵⁹ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 7 დეკემბერი, §26, რომელშიც ციტირებულია [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §29

²⁴⁶⁰ [European Roma Rights Center \(ERRC\) v. Italy](#), საჩივარი N 27/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 7 დეკემბერი, §26; [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, § 79

²⁴⁶¹ [დასკვნები 2003, საფრანგეთი](#)

²⁴⁶² [დასკვნები 2015, ავსტრია, მუხლი 16](#)

²⁴⁶³ [დასკვნები 2003, იტალია; Conference of European Churches \(CEC\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 1 ივლისი, §135

²⁴⁶⁴ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁶⁵ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁶⁶ [დასკვნები 2003, შვედეთი; დასკვნები 2005, ლიეტუვა; Conference of European Churches \(CEC\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 1 ივლისი, §136

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები დისკრეციის ფართო ფარგლებით სარგებლობენ ურბანულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული ზომების მიღებისას, მათ უნდა დააბალანსონ საერთო ინტერესები და ადამიანის ძირითადი უფლებები, კერძოდ, საცხოვრებლის უფლება და ამ უფლებიდან გამომდინარე შედეგი - ადამიანები არ დარჩნენ უსახლკაროდ.²⁴⁶⁷

გამოსახლებისგან დაცვა

იძულების წესით გამოსახლება შეიძლება გავიგოთ, როგორც დაკავებული საცხოვრებლის ჩამორთმევა პირისთვის, გადახდისუუნარობის ან არამართლზომიერი დაკავების გამო.²⁴⁶⁸

გამოსახლების რისკის შესამცირებლად, მხარე სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ პროცედურული გარანტიები.²⁴⁶⁹

ადგილის ან საცხოვრებლის უკანონო დაკავება შეიძლება გახდეს უკანონო მოიჯარეთა გამოსახლების საფუძველი.²⁴⁷⁰ თუმცა, უკანონო დაკავების კრიტერიუმები არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო, გამოსახლება კი რეგულირდებოდეს და განხორციელდეს იმ პროცედურული წესებით, რომლებიც სათანადოდ იცავს შესაბამის პირთა უფლებებს.²⁴⁷¹

გამოსახლების საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა სამართლებრივი დაცვა უნდა მოიცავდეს ვალდებულებას, რომ კონსულტაცია გაიარონ მხარეებთან გამოსახლების ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა მოსაძებნად და გონივრული ვადა დაწესდეს გამოსახლებამდე შეტყობინებისთვის.²⁴⁷² შეტყობინების ერთთვიანი ვადა გადახდისუუნარობის ან უკანონო დაკავების გამო გამოსახლების შემთხვევაში არაგონივრულია.²⁴⁷³

გამოსახლება უნდა წარმართოს ისეთ პირობებში, სადაც დაცულია შესაბამისი პირების ღირსება.²⁴⁷⁴ კანონით უნდა აიკრძალოს გამოსახლება ღამით ან ზამთარში.²⁴⁷⁵ თუ გამოსახლება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები შესაბამის პირთა ხელახლა განსახლების ან ფინანსური დახმარებისთვის.²⁴⁷⁶

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა დაცვის სამართლებრივ საშუალებებსა და იურიდიულ დახმარებას უნდა სთავაზობდეს მათ, ვისაც სჭირდება სასამართლოსთვის მიმართვა. ასევე უნდა უზრუნველყოფდეს კომპენსაციას უკანონო გამოსახლებისთვის.²⁴⁷⁷

თავშესაფრის უფლება

31§2 მუხლის თანახმად, უსახლკაროებს უნდა მიეცეთ თავშესაფარი, გადაუდებელი გადაწყვეტის სახით.²⁴⁷⁸ შეფარებულ პირთა ღირსების დასაცავად, თავშესაფრები უნდა აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სტანდარტებს (კერძოდ, კეთილმოწყობილი იყოს საბაზისო საშუალებებით, როგორცაა წვდომა სუფთა წყალზე, გათბობასა და სათანადო განათებაზე).²⁴⁷⁹ სხვა მთავარი მოთხოვნაა უშუალო

²⁴⁶⁷ [დასკვნები 2007, იტალია](#)

²⁴⁶⁸ [დასკვნები 2003, შვედეთი](#); [დასკვნები 2019, უკრაინა](#)

²⁴⁶⁹ [დასკვნები 2005, ლიეტუვა](#)

²⁴⁷⁰ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §51

²⁴⁷¹ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Greece](#), საჩივარი N 15/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 დეკემბერი, §51

²⁴⁷² [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁷³ [დასკვნები 2019, უკრაინა](#)

²⁴⁷⁴ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁷⁵ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁷⁶ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁷⁷ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁷⁸ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §46

²⁴⁷⁹ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §62

გარემოს უსაფრთხოება.²⁴⁸⁰ თუმცა, დროებით საცხოვრებელზე არ უნდა ვრცელდებოდეს ვარგისიანობის, ასევე, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და ოჯახური ცხოვრების დაცვის იგივე მოთხოვნები, რაც დაწესებულია სტანდარტული საცხოვრებლის შედარებით მუდმივი ფორმებისთვის, თუკი მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.²⁴⁸¹

მხარე სახელმწიფოებმა საკმარისი რაოდენობის ადგილები უნდა უზრუნველყონ გადაუდებელ თავშესაფრებში²⁴⁸², სადაც პირობები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანურ ღირსებას.²⁴⁸³

დროებითი თავშესაფარი, რაც უნდა სათანადო იყოს, ვერჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.²⁴⁸⁴ უსახლკარო პირებს გონივრულ ვადაში უნდა მიეცეთ სათანადო საცხოვრებელი.²⁴⁸⁵ გარდა ამისა, უნდა გატარდეს ზომები ასეთ ადამიანთა დასახმარებლად, რათა დაძლიონ სირთულეები და აღარ დაუბრუნდნენ უსახლკარობას.²⁴⁸⁶

თავშესაფრის უფლება შესაბამისად უნდა იყოს გარანტირებული მიგრანტებისთვის, მათ შორის, თანმხლები პირის გარეშე მყოფი მიგრანტი ბავშვებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის.²⁴⁸⁷ მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, შესაბამისი თავშესაფარი მისცენ მათ ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფ ბავშვებს, სანამ ისინი იმყოფებიან მათი იურისდიქციის ქვეშ.²⁴⁸⁸ ვინაიდან 31§2 და მე-17 მუხლების მოქმედების სფერო დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს, კომიტეტი თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა თავშესაფრის უფლებას აფასებს 31§2 მუხლის მოქმედების სფეროს შესაბამისად, თუკი მხარე სახელმწიფოებს მიღებული აქვთ ორივე დებულება.²⁴⁸⁹ ადამიანთა მოთავსება მიმღებ ბანაკებსა და დროებით თავშესაფრებში, რომლებიც არ აკმაყოფილებს ადამიანის ღირსების სტანდარტებს, ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევაა.²⁴⁹⁰ სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები მიმღები პუნქტების სტანდარტების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამის სივრცეს და დაიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის.²⁴⁹¹

მიგრანტთა და ლტოლვილთა მზარდი ნაკადით გამოწვეული სიტუაციის განსაკუთრებული ბუნება, ასევე, სირთულეები სახელმწიფოს საზღვრებთან არსებული ვითარების მართვაში, ვერ ათავისუფლებს სახელმწიფოს ქარტიის 31§2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან - უზრუნველყოს მიგრანტი და ლტოლვილი ბავშვები თავშესაფრით, მათი განსაკუთრებული საჭიროებებისა და უკიდურესი მოწყვლადობის გათვალისწინებით; არც სხვაგვარად ზღუდავს ან ამცირებს მხარის პასუხისმგებლობას ქარტიის შესაბამისად.²⁴⁹²

კომიტეტი მიიჩნევს, რომ ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე

²⁴⁸⁰ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §62

²⁴⁸¹ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §62

²⁴⁸² [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §107

²⁴⁸³ [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §§108-109

²⁴⁸⁴ [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §106

²⁴⁸⁵ [European Federation of National Organisations Working with the Homeless \(FEANTSA\) v. France](#), საჩივარი N 39/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §106

²⁴⁸⁶ [დასკვნები 2003, იტალია](#)

²⁴⁸⁷ [დასკვნები 2019, საბერძნეთი](#)

²⁴⁸⁸ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §117

²⁴⁸⁹ [European Committee for Home-Based Priority Action for the Child and the Family \(EUROCEF\) v. France](#), საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §173

²⁴⁹⁰ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §62

²⁴⁹¹ [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §121

²⁴⁹² [International Commission of Jurists \(ICJ\) and European Council for Refugees and Exiles \(ECRE\) v. Greece](#), საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §133

თავშესაფრებიდან გამოსახლება უნდა აიკრძალოს.²⁴⁹³

მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ მყოფ პირთა გამოსახლება უნდა აიკრძალოს, რადგან ეს მათ, განსაკუთრებით ბავშვებს, უკიდურესად უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსების პატივისცემას.²⁴⁹⁴

31§1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, ალტერნატიული საცხოვრებელი მუდმივი საცხოვრებლის სახით უზრუნველყონ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შემოსული მიგრანტებისთვის.²⁴⁹⁵

31§3 საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს: შექმნან საცხოვრებელზე ფასების ხელმისაწვდომობა მათთვის, ვისაც სათანადო სახსრები არ გააჩნია.

აუცილებელია, შეზღუდული რესურსების მქონე ადამიანებს შესაბამისად მიეწოდოთ ხელმისაწვდომი საცხოვრებელი.²⁴⁹⁶

სოციალური საცხოვრისი

საცხოვრებელი ხელმისაწვდომია, თუ ოჯახს შეუძლია, გადაიხადოს საწყისი ხარჯები (დეპოზიტი, ქირის ავანსი), მიმდინარე ქირა ან/და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა ხარჯები (მაგ: კომუნალური გადასახადები, მოვლისა და მართვის საფასური) გრძელვადიან საფუძველზე და, ამავდროულად, შეინარჩუნოს საარსებო მინიმუმი იმ საზოგადოების მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად, რომელშიც ცხოვრობს.²⁴⁹⁷ იმის დასადგენად, მიიღება თუ არა ზომები, რომ საცხოვრებლის ფასები ხელმისაწვდომი იყოს რესურსების არმქონე პირებისთვის, ქარტიის მხარე სახელმწიფოებმა უნდა აჩვენონ, რომ ყველაზე ღარიბ განმცხადებელთა საცხოვრებელზე წვდომის მაჩვენებელი შეესაბამება მათი შემოსავლის დონეს.²⁴⁹⁸

მხარე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა:

- ▶ უზრუნველყონ საცხოვრებლები, კერძოდ, სოციალური საცხოვრისი.²⁴⁹⁹ სოციალური საცხოვრისები გათვლილი უნდა იყოს ყველაზე დაუცველ ჯგუფებზე;²⁵⁰⁰
- ▶ მოლოდინის პერიოდი საცხოვრებლის გამოსაყოფად არ იყოს გადაჭარბებული;²⁵⁰¹ და ხელმისაწვდომი იყოს სასამართლო ან სხვა საშუალებები, როდესაც ლოდინის ვადები გადაჭარბებულია.²⁵⁰²

ამგვარად, ყველა ეს უფლება გარანტირებული უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე, განსაკუთრებით, ბოშების ან მოგზაურების მიმართ, რომელთაც სურთ მოძრავ სახლებში ცხოვრება.²⁵⁰³

²⁴⁹³ [დასკვნები 2015, განცხადება 31§2 მუხლის განმარტების შესახებ](#)

²⁴⁹⁴ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §110

²⁴⁹⁵ [European Federation of National Organisations working with the Homeless \(FEANTSA\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 86/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 2 ივლისი, §60

²⁴⁹⁶ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁹⁷ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁴⁹⁸ [FEANTSA v. Slovenia](#), საჩივარი N 53/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 8 სექტემბერი, § 72

²⁴⁹⁹ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁵⁰⁰ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §§98-100

²⁵⁰¹ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §131

²⁵⁰² [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §131

²⁵⁰³ [International Movement ATD Fourth World v. France](#), საჩივარი N 33/2006, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2007 წლის 5 დეკემბერი, §§149-155; [დასკვნები 2019, საფრანგეთი](#)

საბინაო შეღავათები

31§3 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოები ვალდებული არიან, დანერგონ საბინაო შეღავათების ყოვლისმომცველი სისტემები, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და მოწყვლადი სეგმენტების დასაცავად.²⁵⁰⁴ საბინაო შეღავათი ინდივიდუალური უფლებაა: ყველა შესაბამისმა ოჯახმა ის უნდა მიიღოს პრაქტიკაში; უარის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი საშუალებები.²⁵⁰⁵

ხელმისაწვდომი საცხოვრებლის უფლება არ უნდა დაექვემდებაროს დისკრიმინაციას ქარტიის E მუხლში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.²⁵⁰⁶

მუხლი E – დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ ქარტიით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა დაცული იქნება დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვაგვარი მოსაზრების, ეროვნული წარმოშობის ან სოციალური წარმომავლობის, ჯანმრთელობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, დაბადებისა ან სხვა სტატუსის საფუძველზე.

E მუხლის მოკლე დახასიათება

E მუხლი შთაგონებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით.²⁵⁰⁷

E მუხლის მიზანი

E მუხლი კრძალავს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ირიბი დისკრიმინაციის ყველა ფორმას.²⁵⁰⁸ ირიბი დისკრიმინაცია შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა სათანადოდ და დადებითად არ არის გათვალისწინებული ყველა შესაბამისი განსხვავება, ან არ მიღებულია ადეკვატური ზომები, რათა ყველასთვის განხილული უფლებები და კოლექტიური უპირატესობები ჭეშმარიტად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.²⁵⁰⁹ E მუხლის შეტანა შესწორებული ქარტიის ცალკეულ მუხლებში მიუთითებს, რომ ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს ქარტიის ძირითადი უფლებების განხორციელებაში.²⁵¹⁰ ამ მუხლის ფუნქციაა, ხელი შეუწყოს თანაბარ და ეფექტიან სარგებლობას ყველა შესაბამისი უფლებით, გარკვეული პირების ან პირთა ჯგუფის განსაკუთრებული მახასიათებლების მიუხედავად.²⁵¹¹

E მუხლი არ არის ავტონომიური უფლება, რომელიც შეიძლება თავისთავად გახდეს დამოუკიდებელი საფუძველი საჩივრის შესატანად.²⁵¹² ის ვერ იარსებებს დამოუკიდებლად და უნდა გაერთიანდეს ქარტიის ძირითად დებულებასთან.²⁵¹³ თუმცა, მდგომარეობა, რომელიც

²⁵⁰⁴ [დასკვნები 2003, შვედეთი; დასკვნები 2019, საბერძნეთი](#)

²⁵⁰⁵ [დასკვნები 2003, შვედეთი](#)

²⁵⁰⁶ [დასკვნები 2019, თურქეთი](#)

²⁵⁰⁷ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

²⁵⁰⁸ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

²⁵⁰⁹ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

²⁵¹⁰ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §51

²⁵¹¹ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §51

²⁵¹² [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §51

²⁵¹³ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §34

თავისთავად შეესაბამება ძირითად დებულებას, შეიძლება არღვევდეს მას E მუხლთან ერთობლიობაში წაკითხვისას, როცა ვითარება დისკრიმინაციულია.²⁵¹⁴

დისკრიმინაციის აკრძალული საფუძვლები, E მუხლში ცალსახად ჩამოთვლილის გარდა

გამოთქმა „ან სხვა სტატუსის საფუძველზე“ ნიშნავს, რომ ეს არ არის ამომწურავი სია.

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობა E მუხლში პირდაპირ არ არის ჩამოთვლილი დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძვლებს შორის, კომიტეტი მიიჩნევს, რომ დებულება მას მოიცავს „სხვა სტატუსზე“ მითითებით.²⁵¹⁵

კომიტეტმა იგივე მიდგომა გამოიყენა დისკრიმინაციის იმ საფუძვლებთან მიმართებით, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, როგორც „ურთიერთგადამფარავი“, „ურთიერთგადამკვეთი“ ან „მრავლობითი“ დისკრიმინაცია (მაგ: როდესაც გენდერის, ჯანმრთელობისა თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და გეოგრაფიული მდებარეობის ერთობლივი ეფექტი არ აძლევს ქალს სამუშაოებას აბორტის მომსახურებებზე ეფექტიანი წვდომისათვის).²⁵¹⁶

- ▶ შეზღუდული შესაძლებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ იხილეთ [International Federation for Human Rights \(FIDH\) and Inclusion Europe v. Belgium](#), საჩივარი N 141/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 9 სექტემბერი, §196;
- ▶ გენდერის, ეთნიკური კუთვნილების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ბარიერების ნიშნით ირიბ დისკრიმინაციაზე დედობის დაცვასთან მიმართებით იხილეთ [European Roma Rights Centre \(ERRC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 151/2017, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 5 დეკემბერი, §§85-86;
- ▶ ოჯახის შემწეობაზე წვდომისას ასაკისა და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ იხილეთ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §95.

დასაქმებისას დისკრიმინაციის საკითხებში არ არის საჭირო 1§2 მუხლის E მუხლთან გაერთიანება, ვინაიდან უშუალოდ 1§2 მუხლიც კრძალავს ასეთ დისკრიმინაციას.²⁵¹⁷

დისკრიმინაციის აკრძალვა შედის ქარტიის გარკვეულ დებულებათა მოქმედების სფეროში (მაგ: თანაბარი ანაზღაურების საკითხები 4§3 მუხლის შესაბამისად). ასეთ შემთხვევებში კომიტეტი მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი განხილვა, დაირღვა თუ არა ცალკე E მუხლი.²⁵¹⁸

მუხლის E მოქმედების სფერო

თანასწორობის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს E მუხლს, ნიშნავს თანასწორობა თანასწორ მოპყრობას და უთანასწორობა უთანასწორო მოპყრობას.²⁵¹⁹ გარდა იმისა, რომ ერთნაირსიტუაციაში მყოფ პირებს თანასწორად უნდა მოეპყრონ და განსხვავებულ სიტუაციაში მყოფ პირებს - განსხვავებულად, ყველა პასუხმა უნდა აჩვენოს საკმარისი გამჭვირება

²⁵¹⁴ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §34

²⁵¹⁵ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §51

²⁵¹⁶ [International Planned Parenthood Federation – European Network \(IPPF EN\) v. Italy](#), საჩივარი N 87/2012, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 10 სექტემბერი, §190-194

²⁵¹⁷ [Fellesforbundet for Sjøfolk \(FFFS\) v. Norway](#), საჩივარი N 74/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2013 წლის 2 ივლისი, §§116-117

²⁵¹⁸ [University Women of Europe \(UWE\) v. Belgium](#), საჩივარი N 124/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2019 წლის 6 დეკემბერი, §109

²⁵¹⁹ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

რეალური და ქმედითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.²⁵²⁰ მხარე სახელმწიფოები არ იცავენ ქარტიას, როდესაც ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე, განსხვავებულად არ ეპყრობიან არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს.²⁵²¹ სხვა სიტყვებით, გარდა იმისა, რომ ადამიანური განსხვავებები დემოკრატიულ საზოგადოებაში დადებითად უნდა განიხილებოდეს, მათ პასუხი უნდა გაეცეს საკმარისი გამჭვირვალობით, რეალური და ეფექტიანი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.²⁵²²

მედარებითობა, დასაბუთება და თანაზომიერება

მხარე სახელმწიფოები დისკრეციის კონკრეტული ფარგლებით სარგებლობენ შეფასებისას, ამართლებს თუ არა (და რამდენად) განსხვავებები სხვაგვარად მსგავს სიტუაციებში განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კომიტეტის გადასაწყვეტია, ხვდება თუ არა განსხვავება დისკრეციის ამ ფარგლებში.²⁵²³

E მუხლით განსაზღვრული დისკრიმინაციის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მთლიანად არ უნდა დაეკისროს მომჩივან მხარეს და ის უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამის კორექტირებას.²⁵²⁴

COVID-19 და მუხლი E

ახალი, დამატებითი ზომების შემუშავება-განხორციელებისას - იმ მიზნით, რომ ქარტიის შესაბამისად უპასუხონ COVID-19-ის გამოწვევებს - მხარე სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ სოციალურ უფლებათა ყველა მფლობელის ინტერესები, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე/პირებზე და მათი სათანადო პრიორიტეტიზაციით.²⁵²⁵ მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კრიზისის საპასუხო ზომებმა, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ჩათვლით, არ გამოიწვიოს პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია სოციალური უფლებებით სარგებლობისას (როგორც გათვალისწინებულია ქარტიის E მუხლით).²⁵²⁶

მუხლი F – გადახვევა ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ერის არსებობას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიიღოს ზომები, რომლებითაც მოხდება ამ ქარტიით მის მიერ აღებული ვალდებულებებისგან გადახვევა მხოლოდ იმ მოცულობით, რაც ეს მკაცრად მოთხოვნილია სიტუაციის სიმწვავეთ, იმ პირობით, რომ ასეთი ზომები შეუსაბამო არ იქნება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მის მიერ ნაკისრ სხვა ვალდებულებებთან.
2. ნებისმიერი მხარე, რომელიც ისარგებლებს გადახვევის ამ უფლებით, დროის გონივრულ მონაკვეთში სრულად აცნობებს გენერალურ მდივანს მიღებული ზომების ან მათი მიზეზების შესახებ. ის ამგვარად აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, როდესაც ეს ზომები შეწყვეტს მოქმედებას და იმის შესახებ, რომ ქარტიის მიერ მიღებული დებულებები კვლავ სრულია.

ჯერჯერობით არცერთ მხარე სახელმწიფოს არ განუხორციელებია F მუხლი.

²⁵²⁰ [Equal Rights Trust v. Bulgaria](#), საჩივარი N 121/2016, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 16 ოქტომბერი, §80

²⁵²¹ [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

²⁵²² [Association internationale Autisme-Europe \(AIAE\) v. France](#), საჩივარი N 13/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §52

²⁵²³ [Confédération française démocratique du travail \(CFDT\) v. France](#), საჩივარი N 50/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 9 სექტემბერი, §39

²⁵²⁴ [Mental Disability Advocacy Center \(MDAC\) v. Bulgaria](#), საჩივარი N 41/2007, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2008 წლის 3 ივნისი, §52

²⁵²⁵ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²⁵²⁶ [2021 წლის 24 მარტს მიღებული განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

თუ მხარე სახელმწიფო მიმართავს ქარტიის F მუხლს „ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს“, ეს მას საშუალებას მისცემს, მიიღოს ზომები თავისი ვალდებულებებისგან გადასახვევად, იმ მოცულობით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს სიტუაციის სიმწვავე.²⁵²⁷

თუ საგანგებო მდგომარეობისას შეიარაღებული ძალებიდან გათავისუფლების შეზღუდვები საკმარისად მკაფიოდ არის დადგენილი კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და შეიძლება აუცილებლად ჩაითვალოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოებისთვის, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მდგომარეობა შეესაბამება ქარტიას.²⁵²⁸

COVID-19-ის პანდემიას, მისი სიმძიმისა და მასშტაბური შედეგების მიუხედავად, მხარე სახელმწიფოები არ განიხილავენ საგანგებო მდგომარეობად, რომელიც ამართლებს ქარტიიდან გადახვევას F მუხლის შესაბამისად.²⁵²⁹ არცერთი მხარე სახელმწიფო არ მიიჩნევს აუცილებლად, რომ ისარგებლოს ქარტიით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის შესაძლებლობით, F მუხლის შესაბამისად.²⁵³⁰ ყველა მხარე სახელმწიფო რჩება სრულად შებოჭილი ქარტიით ნაკისრი ვალდებულებებით.²⁵³¹

მუხლი G – პუბლიკი

- 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლებები და პრინციპები, როცა ისინი ეფექტიანად ხორციელდება და ეფექტიანად გამოიყენება, როგორც ეს მითითებულია მე-2 ნაწილში, არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე შეზღუდვებს ან ლიმიტირებებს გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია 1-ელ და მე-2 ნაწილებში, იმ გამონაკლისის გარდა, რაც დადგენილია კანონით და აუცილებლობას წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების ან საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოების ჯანმრთელობის ან მორალის დასაცავად.
- ამ ქარტიით ნებადართული უფლებებისა და ვალდებულებების შეზღუდვები არ გამოიყენება რაიმე სხვა მიზნით, იმათ გარდა, რომელთა მიმართაც მოხდა მათი დაწესება.

შესწორებული ქარტიის G მუხლი (რომელიც შეესაბამება 1961 წლის ქარტიის 31-ე მუხლს და გამოიყენება მის მსგავსად) მხარე სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, შეზღუდონ ქარტიით გათვალისწინებული უფლებები.²⁵³² ის განსაზღვრავს პირობებს, რომლებშიც დაშვებულია შეზღუდვების დაწესება ქარტიით უზრუნველყოფილ უფლებათა განხორციელებაზე.²⁵³³ ეს დებულება შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 8(2) და 11(2) მუხლებს.²⁵³⁴ G მუხლს არ შეუძლია, გამოიწვიოს დარღვევა, როგორც ასეთი.²⁵³⁵ თუმცა, ის გასათვალისწინებელია, როდესაც ფასდება მიღებული საჩივრის არსებითი მხარე ქარტიის ძირითად მუხლთან მიმართებით.²⁵³⁶

²⁵²⁷ [European Organisation of Military Associations and Trade Unions \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 164/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 21 ოქტომბერი, §61

²⁵²⁸ [European Organisation of Military Associations and Trade Unions \(EUROMIL\) v. Ireland](#), საჩივარი N 164/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2020 წლის 21 ოქტომბერი, §63

²⁵²⁹ [განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²⁵³⁰ [განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²⁵³¹ [განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²⁵³² [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §83

²⁵³³ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §31

²⁵³⁴ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §31

²⁵³⁵ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §31

²⁵³⁶ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §33

ამ უფლებათა შეზღუდვის მძიმე შედეგების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებთან მიმართებით, G მუხლი ადგენს კონკრეტულ წინაპირობებს შეზღუდვების გამოყენებისთვის.²⁵³⁷ გარდა ამისა, შეზღუდვები G მუხლის შესაბამისად, როგორც გამონაკლისი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ საგანგებო გარემოებებში, ვიწროდ უნდა განიმარტოს.²⁵³⁸

შეზღუდვები კანონით უნდა დადგინდეს, ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ მიზნის მისაღწევად.²⁵³⁹ ნებისმიერი შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და იყოს ყველაზე ნაკლებშემზღუდველი დასახული მიზნის მისაღწევ ზომებს შორის, ქარტიის უფლებებზე მისი გავლენის თვალსაზრისით.²⁵⁴⁰

(1) კანონით იყოს დადგენილი

შემზღუდველ ზომებს მკაფიო საფუძველი უნდა ჰქონდეს კანონში, ანუ ისინი უნდა დაამტკიცოს დემოკრატიულმა საკანონმდებლო ორგანომ და ემსახურობდეს G მუხლით განსაზღვრულ ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს.²⁵⁴¹ აღნიშნული ზომები უნდა აკმაყოფილებდეს სიზუსტისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებსაც.²⁵⁴²

(2) ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს, ანუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა თუ მორალის დაცვას.

მართალია, დემოკრატიულ საზოგადოებაში საკანონმდებლო ორგანომ არსებითად უნდა დააკანონოს/განსაზღვროს საზოგადოებრივი ინტერესები ყველა წევრის საჭიროებათა სამართლიანი დაბალანსებით და, ქარტიის თანახმად, ამისთვის აქვს დისკრეციის ფარგლები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ორგანო სრულიად თავისუფალია რაიმე შეზღუდვისგან გადაწყვეტილების მიღებისას.²⁵⁴³ ქარტიით ნაკისრ ვალდებულებათა უგულვებელყოფა შეუძლებელია, თუ არ არის გარანტირებული დაცვის ის დონე, რომელიც ჯერ კიდევ შეესაბამება ძირითადი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.²⁵⁴⁴ სწორედ ეროვნულმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა დააბალანსონ სახელმწიფო ბიუჯეტზე ზრუნვა და სოციალურ უფლებათა შესაბამისად დაცვის აუცილებლობა.²⁵⁴⁵

სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, უარი თქვან თავიანთ ვალდებულებებზე და გარეინსტიტუტებს გადააბარონ იმის განსაზღვრის უფლებამოსილება, თუ რა შედის საზოგადოებრივ ინტერესებში.²⁵⁴⁶

(3) დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი შეზღუდვები უნდა დაწესდეს მხოლოდ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ საპასუხოდ.²⁵⁴⁷

²⁵³⁷ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §83

²⁵³⁸ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §83

²⁵³⁹ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §38

²⁵⁴⁰ [განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²⁵⁴¹ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §83

²⁵⁴² [განცხადება COVID-19-ისა და სოციალური უფლებების შესახებ](#)

²⁵⁴³ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §85

²⁵⁴⁴ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §85

²⁵⁴⁵ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §85

²⁵⁴⁶ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §87

²⁵⁴⁷ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §83

შემზღვეველი ზომების ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანისას სამართლებრივი აქტები უნდა უზრუნველყოფდეს თანაზომიერებას დასახულ მიზნებსა და მათ უარყოფით შედეგებს შორის, რომლებიც შეიძლება მოუტანოს სოციალური უფლებებით სარგებლობას.²⁵⁴⁸ შესაბამისად, საგანგებო გარემოებებშიც კი, შემაკავებელი ზომები უნდა შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს და არ სცდებოდეს მის მისაღწევად საჭირო ფარგლებს. ასეთი ზომები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ მიზნით, რომლისთვისაც განკუთვნილია, და ინარჩუნებდეს დაცვის სათანადო დონეს.²⁵⁴⁹

გარდა ამისა, ხელისუფლების ორგანოებმა სრულად და დაბალანსებულად უნდა გააანალიზონ საკანონმდებლო ზომების შედეგები, კერძოდ, მათი შესაძლო ზემოქმედება შრომის ბაზარზე არსებულ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე, და კონსულტაციები გამართონ მათთან, ვინც ყველაზე მეტად ზარალდება ამ ზომებით.²⁵⁵⁰

მუხლი H – ურთიერთობა ქარტიასა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა ან საერთაშორისო შეთანხმებას შორის

ამ ქარტიის დებულებები არ ზღუდავს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ან ნებისმიერი ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით, კონვენციებით ან შეთანხმებებით გათვალისწინებულ დებულებებს, რომლებიც უკვე ძალაშია ან შეიძლება შევიდეს ძალაში და რომლებიც ითვალისწინებს უფრო ხელსაყრელი რეჟიმის დაწესებას დაცული პირებისთვის.

კომიტეტი ქარტიას განმარტავს წესებით, რომლებიც განსაზღვრულია ვენის კონვენციაში საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ (1969 წლის 23 მაისი). მათ შორისაა 31§3(c) მუხლიც, რომლის თანახმადაც, გასათვალისწინებელია „საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი შესაბამისი წესი, რომელიც გამოიყენება მხარეებს შორის“.²⁵⁵¹ მართლაც, შეუძლებელია ქარტიის ინტერპრეტაცია ვაკუუმში.²⁵⁵² ის შეძლებისდაგვარად უნდა განიმარტოს იმ საერთაშორისო სამართლის სხვა წესებთან ჰარმონიაში, რომლის ნაწილიც არის.²⁵⁵³

H მუხლის თანახმად, ქარტიამ არ უნდა დააზიანოს არცერთი მრავალმხრივი ხელშეკრულების დებულება, რომლებიც დაცული პირებისთვის აწესებს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს.²⁵⁵⁴

კომიტეტი არ არის კომპეტენტური, რომ შეაფასოს ეროვნული მდგომარეობის შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივასთან, ან დირექტივის შესაბამისობა ევროპის სოციალურ ქარტიასთან.²⁵⁵⁵

თუმცა, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან შესასრულებლად სავალდებულო ზომებზე იმ დირექტივების სახით, რომლებიც შეეხება ევროპის სოციალური

²⁵⁴⁸ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §87

²⁵⁴⁹ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §87

²⁵⁵⁰ [Greek General Confederation of Labour \(GSEE\) v. Greece](#), საჩივარი N 111/2014, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2017 წლის 21 მარტი, §90

²⁵⁵¹ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 7/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §35

²⁵⁵² [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 7/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §35

²⁵⁵³ [Defence for Children International \(DCI\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 7/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §35

²⁵⁵⁴ [Conference of European Churches \(CEC\) v. the Netherlands](#), საჩივარი N 90/2013, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2014 წლის 1 ივლისი §§ 68-69

²⁵⁵⁵ [Confédération générale du travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 23 ივნისი, §33

ქართით გათვალისწინებულ საკითხებს, როგორც შესაბამისი ტექსტის მომზადებისას, ისე შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გადატანისას, სრულად უნდა გაითვალისწინონ ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიცირების დროს ნაკისრი ვალდებულებები.²⁵⁵⁶ საბოლოო ჯამში, კომიტეტმა უნდა შეაფასოს ეროვნული მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიასთან, მათ შორის, როდესაც ევროკავშირის დირექტივის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გადმოტანამ შეიძლება გავლენა იქონიოს ქარტიის სათანადოდ განხორციელებაზე.²⁵⁵⁷

ყოველთვის, როცა აფასებს მდგომარეობას, რომელშიც წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ ევროკავშირის სამართლებრივ ტექსტებს ან ევალებათ მათი შესრულება, კომიტეტი ინდივიდუალურად განიხილავს, რამდენად დაცულია ქარტიით გარანტირებული უფლებები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.²⁵⁵⁸

მუხლი I – ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

1. ამ მუხლებში გათვალისწინებული იმპლემენტაციის მეთოდებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ამ ქარტიის II თავის 1-დან 31-მდე მუხლების შესაბამისი დებულებების განხორციელება ხდება:

- ა. კანონებით ან კანონქვემდებარე აქტებით;
- ბ. დამსაქმებლებს ან დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და მუშაკთა ორგანიზაციებს შორის შეთანხმებებით;
- გ. წინა ორი მეთოდის კომბინაციით;
- დ. სხვა შესაბამისი საშუალებებით.

I მუხლი ითვალისწინებს გზებს ქარტიის სხვადასხვა დებულების განსახორციელებლად.²⁵⁵⁹ ამიტომ, ის თავისთავად ვერ გამოიწვევს დარღვევას.²⁵⁶⁰ თუმცა, გასათვალისწინებელია ეროვნული მდგომარეობის შესაბამისობა ქარტიის ნებისმიერ ძირითად დებულებასთან.²⁵⁶¹

ქარტიით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საშუალებები რჩება მხარე სახელმწიფოთა დისკრეციაში, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ, გამოიყენონ ყველა ზემოაღნიშნული მეთოდი. თუმცა:

- ▶ მხოლოდ კანონის არსებობა და ქარტიის პრინციპებთან შესაბამისობა არ კმარა, რომ მდგომარეობა იყოს ქარტიის შესაბამისი; კანონი უნდა გამოიყენებოდეს პრაქტიკაში;²⁵⁶²
- ▶ კოლექტიური ხელშეკრულებების მეშვეობით ან ეროვნული ხელისუფლების ორგანოთა მიერ შესრულების შემთხვევაში, სახელმწიფოს ევალება ქარტიით გათვალისწინებული უფლებების დაცვა: მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს შეთანხმებები არ ეწინააღმდეგებოდეს ნაკისრ ვალდებულებებს - არც იმ წესებით, რომლებსაც შეიცავს ეს შეთანხმებები, და არც მათი განხორციელების პროცედურებით.²⁵⁶³

²⁵⁵⁶ [Confédération générale du travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 23 ივნისი, §33

²⁵⁵⁷ [Confédération générale du travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 23 ივნისი, §33, იხ. ასევე [Syndicat de défense des fonctionnaires v. France](#), საჩივარი N 73/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 12 სექტემბერი, §29

²⁵⁵⁸ [Confédération générale du travail \(CGT\) v. France](#), საჩივარი N 55/2009, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2006 წლის 23 ივნისი, §38

²⁵⁵⁹ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §§32-33

²⁵⁶⁰ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §§32-33

²⁵⁶¹ [Syndicat des Agrégés de l'Enseignement Supérieur \(SAGES\) v. France](#), საჩივარი N 26/2004, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2005 წლის 15 ივნისი, §§32-33

²⁵⁶² [International Commission of Jurists against Portugal](#), საჩივარი N 1/1998, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 1999 წლის 9 სექტემბერი, §32

²⁵⁶³ [Confederation of Swedish Enterprise v. Sweden](#), საჩივარი N 12/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 15 მაისი, §§27-28

როდესაც ერთ-ერთი განსახილველი უფლების მიღწევა უკიდურესად რთული და განსაკუთრებულად ძვირია, მხარე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც მისცემს ქარტიის მიზნების გონივრულ ვადაში მიღწევის საშუალებას, გაზომვადი პროგრესით და ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.²⁵⁶⁴ მხარე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთი არჩევანის გავლენას დაუცველ ჯგუფებსა თუ სხვა შესაბამის პირებზე, განსაკუთრებით, მათ ოჯახებზე, რომლებსაც ყველაზე დიდი ტვირთი აწვებათ ინსტიტუციური ხარვეზების შემთხვევაში.²⁵⁶⁵

- 2. ამ ქარტიის II ნაწილის მე-2 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტებიდან, მე-7 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებიდან, მე-10 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებიდან და 21-ე და 22-ე მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება ჩაითვლება ეფექტურად, თუ დებულებების გამოყენება ხდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად შესაბამის მუშაკთა დიდი უმრავლესობის მიმართ.**

ზემოთ ჩამოთვლილ დებულებებთან მიმართებით მდგომარეობა შესაბამისად ითვლება, თუ დასაქმებულთა, სულ მცირე, 80% გამოიყენებს დადგენილ უფლებას.²⁵⁶⁶ თუმცა:

1. ნებისმიერი კანონი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმებს და პოტენციურად ვრცელდება ყველა დასაქმებულზე, არღვევს I§2 მუხლს, მაშინაც კი, თუ პრაქტიკაში ის ეხება დასაქმებულთა 20%-ზე ნაკლებს.²⁵⁶⁷
2. I მუხლის გამოყენებამ არ შეიძლება მიგვიყვანოს მდგომარეობამდე, როდესაც გარკვეული კატეგორიის პირთა დიდი რაოდენობა განზრახ გამოირიცხება სამართლებრივ დებულებათა მოქმედების სფეროდან.²⁵⁶⁸

²⁵⁶⁴ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

²⁵⁶⁵ [International Association Autism Europe v. France](#), საჩივარი N 13/2002, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2003 წლის 4 ნოემბერი, §53

²⁵⁶⁶ [დასკვნები XVIII-1 \(2006\), ხორვატია, მუხლი 2§2](#)

²⁵⁶⁷ [დასკვნები XIV-2 \(1998\)](#), ბელგია

²⁵⁶⁸ [Confédération Française de l'Encadrement CFE-CGC v. France](#), საჩივარი N 9/2000, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2001 წლის 16 ნოემბერი, §§39-41

დანართი: ქართის მოქმედების სფერო

დაცული პირების თვალსაზრისით, ქართის მოქმედების სფეროს შესახებ მთავარი მითითებაა ქართის დანართი. 1-ლი პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტი აცხადებს, რომ 1-17 და 20-31 მუხლები ვრცელდება უცხოელზე „მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი არიან სხვა მხარეების მოქალაქეები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე“. ეს წესი მოქმედებს „მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე“ და უნდა განიღმარტოს „მე-18 და მე-19 მუხლების დებულებების გათვალისწინებით“. მე-2 ქვეპუნქტი აცხადებს, რომ „ასეთი განმარტება არ გამოიყენება როგორც მხარის მიერ სხვებისთვის მსგავსი პირობების მინიჭება“.

ქვეყანაში კანონიერად გყოფ სხვა მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეების უფლებაები

ზოგადი

ქართის რატიფიცირებისას მხარე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ მათ მიერ მიღებული დებულებები გამოიყენონ საკუთარი მოქალაქეებისა და „სხვა მხარეების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ ან რეგულარულად მუშაობენ შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე“ (დანართი). ამრიგად, იმისთვის, რომ მოქალაქეთა თანაბრად ჰქონდეთ წვდომა ქართით გათვალისწინებულ უფლებებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა დააკმაყოფილონ სამი პირობა. კერძოდ, ისინი უნდა:

1. იყვნენ ქართის ან შესწორებული ქართის ერთ-ერთი მხარის მოქალაქეები;
2. ცხოვრობდნენ კანონიერად, სხვა სიტყვებით, ჰქონდეთ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და ბინადრობის უფლება;
3. ან/და მუშაობდნენ რეგულარულად, სხვა სიტყვებით, ჰქონდეთ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და მუშაობის უფლება.

ქართია არ ანიჭებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სხვა მხარეთა ტერიტორიაზე შესვლის უფლებას, რომ აღარაფერი ვთქვათ გადაადგილების თავისუფლებაზე. თუმცა, ის მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს მოქნილი საიმპიგრაციო პოლიტიკის გატარებას სხვა მხარეთა მოქალაქეებისთვის - უცხოელთა დასაქმების მარეგულირებელი წესების ლიბერალიზაციითა (მუხლი 18§§1-3) და ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობით (მუხლი 19§6).

კონკრეტული შემთხვევები

ქართის გარკვეული უფლებები არ არის შეტანილი იმ უფლებათა თანდართულ სიაში, რომლებიც მხარე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული წარმოშობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, არა მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით, რომ უცხოელები არიან ამ უფლებათა ერთადერთი ბენეფიციარები, არამედ იმიტომაც, რომ გარკვეული თვალსაზრისით, ეს დებულებები აფართოებს მოსარგებლეთა წრეს მოქალაქეებსა და უცხოელებს მიღმა, როგორც განსაზღვრულია დანართში:

- ▶ 12§4 მუხლი ეხება „სხვა მხარეების მოქალაქეთა“ სოციალურ უზრუნველყოფას. ეს მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ დანართით გათვალისწინებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ჰქონდეთ თანასწორი მოპყრობის, ასევე, სოციალური დაცვის გარკვეული შეღავათების ექსპორტის უფლება და, ამასთანავე, უცხო ქვეყნის

მოქალაქეები, რომლებიც აღარ ცხოვრობენ ქვეყანაში, მაგრამ ადრე კანონიერად ცხოვრობდნენ ან რეგულარულად მუშაობდნენ მის ტერიტორიაზე, ინარჩუნებდნენ ამ ქვეყნის კანონმდებლობით შექმნილ სოციალური უზრუნველყოფის უფლებებს;

- ▶ 13§4 მუხლი დახმარების სპეციალურ უფლებას ანიჭებს უცხოელებს, რომლებიც არიან ქარტიის მხარე სახელმწიფოს მოქალაქეები და კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუმცა არ ცხოვრობენ და არ მუშაობენ იქ. ეს შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, სტუდენტებს ან ტურისტებს, რომლებსაც ქარტია ანიჭებს დროებითი სოციალური დახმარებისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უფლებას;
- ▶ მე-18 მუხლი ანიჭებს სხვა მხარეთა ტერიტორიაზე შემოსავლიან საქმიანობაში ჩაბმის უფლებას. ამ დებულების მიზნიდან (იხ. ზემოთ) გამომდინარე, საუბარია პირებზე, რომლებსაც შეტანილი აქვთ განაცხადი ბინადრობის ან/და შრომის ნებართვაზე და ჯერ არ იმყოფებიან ქვეყანაში;
- ▶ მე-19 მუხლი შეიცავს რამდენიმე უფლებას, რომლებიც შეეხება კონკრეტულად შრომით მიგრანტებსა და მათ ოჯახებს. ესენია: ოჯახის გაერთიანების უფლება; პროცედურული გარანტიები გაძევების შემთხვევაში; და უფლება, ისწავლონ მასპინძელი ქვეყნისა და მშობლიური ენა.

სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ან/და არალეგალურად ყოფ პირთა გამორიცხვა

დანართით დაცულ პირთა დადებითი განმარტების ერთ-ერთი შედეგია ის, რომ გარკვეული პირები თეორიულად გამოირიცხებიან ქარტიის მოქმედების სფეროდან:

უცხოელები, რომლებსაც არ აქვთ ქარტიის მხარის მოქალაქეობა

არსებითად, მათზე არ ვრცელდება ქარტია.

2004 წელს კომიტეტმა გაიხსენა ქარტიის დაცვის გავრცელების შესაძლებლობა იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან მისი მხარეები.²⁵⁶⁹ კომიტეტმა თავისი არგუმენტი დააფუძნა თავად დანართს, რომლის მიხედვითაც, მხარეებს შეუძლიათ ქარტიის გავრცელება იმ პირებზე, რომლებსაც არ ფარავს დანართი. კერძოდ, კომიტეტმა განაცხადა, რომ „ქარტიის მხარეებმა (1961 წლისა და 1996 წლის შესწორებული ვერსიები) მისცეს უცხოელებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ქარტიით, იმ უფლებების გარანტია, რომლებიც ქარტიით გათვალისწინებული უფლებების იდენტურია ან განუყოფელია მათგან, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირებით ან შიდასახელმწიფოებრივი წესების მიღებით, იქნება ეს კონსტიტუციური, საკანონმდებლო თუ სხვა, დანართში პირდაპირ მოხსენიებული პირებისა და სხვა არამოქალაქეების გარჩევის გარეშე. ამით მხარეებმა აიღეს ეს ვალდებულებები“.

თუმცა, ამ პრინციპის ჩამოყალიბებისას კომიტეტმა დაამატა, რომ ეს ვალდებულებები „არსებითად, არ შედის მისი ზედამხედველობის ქვეშ მოქცეულ ფუნქციებში“. კომიტეტის მკაფიო მითითებით, იგი არ გამორიცხავს, „რომ ქარტიის გარკვეული დებულებების განხორციელებამ შეიძლება კონკრეტულ სიტუაციებში მოითხოვოს სრულად თანასწორი მოპყრობა მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ქარტიის მხარე სახელმწიფოთა მოქალაქეები“.

არსებითი გამონაკლისი გამორიცხულ პირთა პირველი ჯგუფისთვის კონკრეტულად გათვალისწინებულია დანართის მე-2 პუნქტში, კერძოდ:

- ▶ ლტოლვილები: მხარე სახელმწიფოებმა ლტოლვილებისთვის, რომლებიც განსაზღვრულნი არიან ქვეყნის კონვენციით ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951) და კანონიერად იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე, უნდა უზრუნველყონ მაქსიმალურად

²⁵⁶⁹ დასკვნები 2004, განმარტებითი განცხადება

ხელსაყრელი და, ნებისმიერ შემთხვევაში, არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ამას მოითხოვს აღნიშნული კონვენცია.²⁵⁷⁰

- ▶ მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც განსაზღვრულნი არიან ნიუ იორკის კონვენციით მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ (1954).²⁵⁷¹

ეს გამონაკლისი არა მხოლოდ ადასტურებს მხარე სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციებით ნაკისრ ვალდებულებებს ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა თანასწორი მოპყრობის შესახებ, არამედ მოუწოდებს მხარეებს, რომ უფრო შორს წავიდნენ და ამ პირებს შესთავაზონ შეძლებისდაგვარად ხელსაყრელი მოპყრობა.

ii. არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი უცხოელები²⁵⁷²

დანართით გათვალისწინებული პირადი მოქმედების სფეროს შეზღუდვა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ქვეყანაში არალეგალურად მყოფ უცხოელებს ჩამოერთვათ ქარტიით განმტკიცებული საბაზისო უფლებები, ან შეელახოთ ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ან ადამიანის ღირსების დაცვა.^{2573 2574}

დანართის 1-ლი პუნქტის მიღმა, პირადი მოქმედების სფეროს შეზღუდვა კეთილსინდისიერად უნდა განიმარტოს ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რომელიც ხელშეკრულების პირობებს ენიჭება დოკუმენტის კონტექსტში, ასევე, მისი ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით და საერთაშორისო სამართლის სხვა შესაბამისი, მოქმედი წესებით (ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ, 1969 წლის 23 მაისი, მუხლი 31, პუნქტები 1 და 3), მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებით (*jus cogens*), რომლებიც უპირატესია ყველა სხვა საერთაშორისო ნორმასთან მიმართებით და რომელთაგან გადახვევაც დაუშვებელია (ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ, 1969 წლის 23 მაისი, მუხლი 53).²⁵⁷⁵

ქარტია ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებაა და მისი მიზანია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემავსებელმა დოკუმენტმა, ევროპის დონეზე განახორციელოს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948) ყველასთვის გარანტირებული უფლებები. ქარტია, როგორც ღირსების, თანასწორობისა და სოლიდარობის ღირებულებებისადმი მიძღვნილი ცოცხალი ინსტრუმენტი, მიზნად ისახავს, ევროპაში სიცოცხლე და აზრი მიაღწიოს ყველა ადამიანის ძირითად სოციალურ უფლებებს.²⁵⁷⁶ სწორედ ამ დასკვნის ფონზე უნდა გამოიყენებოდეს ტელეოლოგიური მიდგომა ქარტიის ინტერპრეტაციისას: ანუ აუცილებელია, გამოიძებნოს ხელშეკრულების ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად შეუფერება მის მიზანს, ასევე, ამ მიზნის მიღწევას, და მაქსიმალურად არ ზღუდავს მხარეთა ვალდებულებებს.²⁵⁷⁷

დანართის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირადი მოქმედების სფეროს შეზღუდვა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ უცხოელებს ჩამოერთვათ ქარტიით განმტკიცებული საბაზისო უფლებების დაცვა, ან შეელახოთ ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობა ან ადამიანის

²⁵⁷⁰ დასკვნები 2015, განმარტებითი განცხადება: ლტოლვილთა უფლებები ქარტიის შესაბამისად

²⁵⁷¹ დასკვნები 2013, განცხადება მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების განმარტების შესახებ, ქარტიის შესაბამისად

²⁵⁷² 1408 Defence for Children International (DCI) v. Belgium, საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §§ 28-39

²⁵⁷³ International Federation of Human Rights Leagues v. France, იქვე, §§ 30 და 31

²⁵⁷⁴ Defence for Children International v. the Netherlands, საჩივარი N 47/2008, იქვე, §19

²⁵⁷⁵ Defence for Children International (DCI) v. Belgium, საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §29

²⁵⁷⁶ International Federation of Human Rights Leagues v. France, საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 სექტემბერი, §§ 27 და 29

²⁵⁷⁷ World Organisation against Torture v. Ireland, საჩივარი N 18/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 7 დეკემბერი, § 60

ღირსების დაცვა.²⁵⁷⁸

მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან მიმართებით (თანმხლები პირით იქნება, თუ მის გარეშე), დანართის 1-ლი პუნქტი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ ამ ბავშვების ძირითადი უფლებები დადგეს სერიოზული დარღვევის საფრთხის ქვეშ, ქარტიით გათვალისწინებულ სოციალურ უფლებათა შეუსრულებლობის გამო.²⁵⁷⁹

ქარტიის დებულებათა გამოყენება არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ უცხოელ მიგრანტთა მიმართ (თანმხლები ბავშვებით იქნებიან, თუ მათ გარეშე) სრულიად გამონაკლისი შემთხვევაა და არ ვრცელდება ყველა დებულებაზე. ასეთი გამოყენება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ არალეგალური მიგრაციის მდგომარეობაში მყოფ უცხოელთა გამორიცხვა ქარტიით გათვალისწინებული დაცვიდან სერიოზულად დააზიანებს მათ ძირითად უფლებებს (როგორცაა სიცოცხლის უფლება, ადამიანის ღირსების პატივისცემა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხელშეუხებლობა და ჯანმრთელობის დაცვა) და ამ პირებს, მოქალაქეებსა და კანონიერად მცხოვრებ უცხოელებთან შედარებით, მიუღებელ მდგომარეობაში ჩააყენებს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის კუთხით.²⁵⁸⁰

მაგალითები:

- ▶ **ჯანმრთელობა:** კანონმდებლობა ან პრაქტიკა, რომელიც უარყოფს მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე, თუნდაც იქ არალეგალურად იმყოფებოდნენ, ეწინააღმდეგება ქარტიას.²⁵⁸¹
- ▶ **ბავშვები:** ქარტიის მე-17 მუხლი^{2582, 2583}, კერძოდ, 1-ლი პუნქტი, მხარე სახელმწიფოებისგან მოითხოვს პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც მიემართება ბავშვებისა და ახალგაზრდების განთავსებას, ძირითად ზრუნვას მათზე და მათ დაცვას. ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ძირითადი უფლებებით სარგებლობას, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ხელშეუხებლობა და ადამიანის ღირსების დაცვა.²⁵⁸⁴
- ▶ **ბავშვები:** 31§2 მუხლი (უსახლკარობის პრევენცია და შემცირება):²⁵⁸⁵ თავშესაფრის უფლება მჭიდროდ უკავშირდება სიცოცხლის უფლებას და გადაწყვეტია თითოეული ადამიანის ღირსების დასაცავად. თუ ბავშვი მოწყვლადია და იზრდება ქუჩაში, ის ამკარა უმწეობის მდგომარეობაში აღმოჩნდება. შესაბამისად, თავშესაფრის უფლებაზე უარი უარყოფითად აისახება მათზე.

²⁵⁷⁸ European Committee for Home-Based Priority Action for the Child and Family (EUROCEF) v. France, საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §§49-57; Defence for Children International (DCI) v. Belgium, საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §§ 28-39; Defence for Children International (DCI) v. the Netherlands, საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §§ 34-38, 46-48); International Commission of Jurists (ICJ) and European Council for Refugees and Exiles (ECRE) v. Greece, საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §75

²⁵⁷⁹ European Committee for Home-Based Priority Action for the Child and Family (EUROCEF) v. France, საჩივარი N 114/2015, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2018 წლის 24 იანვარი, §55); International Commission of Jurists (ICJ) and European Council for Refugees and Exiles (ECRE) v. Greece, საჩივარი N 173/2018, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §75

²⁵⁸⁰ Defence for Children International (DCI) v. Belgium, საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §35; International Commission of Jurists (ICJ) and European Council for Refugees and Exiles (ECRE) v. Greece საჩივარი N 173/2018. გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი §76

²⁵⁸¹ International Federation of Human Rights Leagues v. France, საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 სექტემბერი, §§ 30-32

²⁵⁸² International Federation of Human Rights Leagues v. France, საჩივარი N 14/2003, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2004 წლის 8 სექტემბერი, §§ 30-32

²⁵⁸³ Defence for Children International v. the Netherlands, საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §§ 34-38)

²⁵⁸⁴ Defence for Children International (DCI) v. Belgium, საჩივარი N 69/2011, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2012 წლის 23 ოქტომბერი, §82

²⁵⁸⁵ Defence for Children International (DCI) v. the Netherlands, საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §§ 41-45

საპირისპიროდ, კომიტეტმა ადრე დაადგინა, რომ მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე არალეგალური მიგრაციის მდგომარეობაში მყოფი ბავშვები არ შედიან 31§1 მუხლის (სათანადო საცხოვრებლის უფლება) მოქმედების სფეროში. ამავდროულად, მან განაცხადა, რომ სახელმწიფოთა საიმიგრაციო პოლიტიკის მიზნები და ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არ იქნება შეთანხმებული, თუ ბავშვებს, ბინადრობის სტატუსის მიუხედავად, უარს ეუბნებიან ძირითად ზრუნვაზე, ან უგულებელყოფენ მათ გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებს.²⁵⁸⁶

თუმცა, 31§1 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლის უფლებას გრძელვადიანი/მუდმივი საცხოვრებლის და არა დროებითი თავშესაფრის სახით, ვრცელდება თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ბავშვებზე. ამ ბავშვებს - რამდენადაც მათი ყოფნა ტერიტორიაზე არ შეიძლება ჩაითვალოს არალეგალურად - უნდა შესთავაზონ მათი გარემოებების შესაბამისი გრძელვადიანი საცხოვრებელი, ან შესაბამისი სტანდარტების მქონე საცხოვრისი, გონივრულ ვადით.²⁵⁸⁷

²⁵⁸⁶ Defence for Children International (DCI) v. the Netherlands, საჩივარი N 47/2008, გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2009 წლის 20 ოქტომბერი, §5 46-48

²⁵⁸⁷ International Commission of Jurists (ICJ) and European Council for Refugees and Exiles (ECRE) v. Greece საჩივარი N 173/2018. გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარეზე, 2021 წლის 26 იანვარი, §85

ევროპის სოციალური ქარტია მიღებულია 1961 წელს და გადაისინჯა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგი ეკონომიკისა და სოციალური უფლებების სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, საცხოვრებელს, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

პანევროპულ დონეზე არცერთი სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც ქარტია.

შესაბამისად, იგი განიხილება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელი ნაწილია კონტინენტზე.

www.coe.int/socialcharter
[@social_charter](https://twitter.com/social_charter)

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

